ახალგაზრდა

7

საბჭოთა წიგნი გამომცემლობა
ტფილისი 1928

პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით

მანიფესტი

ეროვნული ბიბლიოთეკა

7

[illegible]

ყოველთვიური მხატვრულ-ლიტერატურული
მეცნიერულ-პუბლიცისტური ჟურნალი

წელიწადი მეცხრე

მაის-ივნისი

სახელმწიფო გამომცემლობა
ფფიქისი 1928

მხატვრული ლიტერატურა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გალაკტიონ ტაბიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ე პ ო ქ ა

(გაგრძელება *)

თაობას მისდევს კიდევ თაობა, გამბედაობის დიდო გენია,
აღმოჩენანი ახალ-ახალი, ქვეყნად, შეხედე, რაოდენია!
თაობას მისდევს კიდევ თაობა,—და მიღწევების დამახსოვრება
ჰქმნის ახალი გზის, ახალი ქვეყნის ადამიანის ახალ ცხოვრებას.
სხვაგან, სხვა მხარეთ განვითარება, რაღაც უმიზნოს მიჰყავს დინებას
ჩვენი ეპოქა მიზნად ისახავს კაცობრიობის აღორძინებას.
ეს განსხვავება უფრო მკაფიო სინათლითაა ნაბინდბუნდები,
როდესაც მდიდარ საზღვაოგარეთით ღარიბს ჩვენს მხარეს დაუბრუნდები.
და შენ განიცდი დიად სიხარულს, სახლში, ყანაში თუ ქარხანაში
შრომის სიხარულს, წინსვლის სიხარულს ჩვენის საქმისთვის, ჩვენს ქვეყანაში.
სხვა ქვეყანაში დღის რვა საათი უფლებას იცავს ყველა ბრჭყალებით:
ესკადრილიის, დესანტებისა, ხვრეტის და რბევის საშუალებით,
კოლონიალურ მუშების ბედი ნუ დაესიზმროს ჯარს და ჯამაათს,
იმ „კულტურული“ ბორკილის მუშა მუშაობს 14 და 18 საათს.
კაპიტალიზმი ცდილობს ააგოს და განამტკიცოს თავისი ბედი
მუშათა კლასზე გააფთრებული და გამარჯვებულ ბრძოლის იმედით.
კაპიტალიზმი ცდილობს დაობას მუშათა კლასი მაგარი ურვით
მის ნერვებისგან კიდევ ზედმეტი ღირებულების მთლად ამოწურვით.
კაპიტალიზმი ცდილობს ომისგან მოხდენილ კრიზისს გაართვას თავი
და ემუქრება პროლეტარიატს, იგი, ბურჟუა, სულთამხუთავი.
კაპიტალიზმი სხვა გამოსავალს ვერ ხედავს მუშის დარბევის გარდა.
ჩვენში სხვა გვარი არის ეპოქა: აქ სახელმწიფოს თვით მუშა მართავს.
ყოველმხრივი ზრდის და გამარჯვების თვითეული დღე არის ფაქტორი
მხარეში, სადაც მშენებლობაა დღეს ჰეგემონი და დიკტატორი.
ვინა სთქვა: საქმე სად გაიქცევა? ზოგია წრფელი გულის, ზოგია—
ვერ წაუშლია გულით წარსული და თათქარიძის ფსიქოლოგია.
მეცნიერების, ტექნიკის, ყოფნის და ხელოვნების დასაყრდენია
გამბედაობა ახალ-ახალი, გამბედაობის დიდო გენია!
გამბედაობის დიდო გენია! თაობას მისდევს კიდევ თაობა,
გამბედაობა, გამბედაობა და ერთხელ კიდევ გამბედაობა!

დრო დაგაშორებს შეჩვეულ ბინას. ყუმბარების ხმა. ტყვიების ქროლა.
ცეცხლის სახმილი გამოსცდის რკინას, ხოლო კაცის გულს მედგარი ბრძოლა.

ნუ დაგალონებს, ნუ შეგაწუხებს, დროებითია ის მწუხარება.
გადმოადუღებს ოქროებს ქურა, კაცს კი ბრძოლათა ცეცხლში ტარება.

ხელში გეჭიროს სიცოცხლის თასი. მასში მტევნები გრძნობის ჩასწურე.
რასაც არა აქვს სიცოცხლის ფასი, დალეწე, დასწვი, გაანადგურე.
ხელისშემშლელი გაჭყვეთე ბინდი, ხავსს განშორების ცეცხლი აპკურე
გათენებათა იყავ რაინდი—დასწვი, დალეწე, გაანადგურე.

*) იხ. ჟურ. „მნათობი“ № 5—6.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დრო ალარ დარჩა რომ ახალი იწყო ცხოვრება!
არა! ყოველი წუთი გზაა თავისდაგვარი.
ამ გზაზე ბევრი თანამგზავრი უცდის მომავალს,
ბევრი გადივლის ქარიშხალი და ნიალვარი.

კვლავინდებურად ირხეოდენ ალვის ხეები
ცად ატყორცნილი ყინვის მთები იდგენ მეფურად
კვლავინდებურად შრიალებდენ ხშირი ტყეები.
მხოლოდ ტაძარი ალარ იდგა კვლავინდებურად.

მხოლოდ ეს გული, ჩვენი გული, ისევ მხურვალე
გრძნობდა, რა ნამი გადასუსხულ ველს ეპკურება.
მას გაზაფხული ენატრება და არა ცივი,
საშემოდგომო, უიმედო დაუძლურება.

კმარა! რას გადასცქერიხარ მდინარის ზვირთთა დენასა
წყალმა წაიღოს წყალისა, დრო ლამობს გადაფრენასა.

კმარა სიზმრები ჰაეროვანი! შრომა საესეა უეცარ შვებით
სიზმრებს ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუ გადაიარ გზას გამარჯვებით.

ვდარაჯობ იმ დროს როცა ძილიდან გამოგაღვიძებს სულის მუდარა
რომ ხალხს ადგილი ექნეს იმ გულში, ყამმა ხანჯალი რომ გაუტარა.

ბიჰქრიან დღენი. გული არ გვწყდება რომ რაც გვჯეროდა დღეს ალარ გვჯერა
თვალთა დევნაში არ გვენანება ის ალმაფრენა, ის გულის ძგერა.

ცხოვრებისათვის ძველ ალმაფრენით, საუკეთესო ახალში ვცხრებით
ვიპოვეთ გზები და ამ ღრმა რწმენით სიცოცხლისაკენ მივეშურებით.

ვიპოვეთ ქვეყნად ჩვენ ბეგობრობა და სიყვარულით გამთბარი სხივი,
თანამედროვე ცხოვრების გრძნობა, მუდამ მართალი, მუდამ ხანგრძლივი.

ნუ თუ ღირს დროთა კვლავ მოგოხება წარსული წყლული რომ განიახლო?
არ გიცხოვრია შენ ქვეყანაზე, შენ გაიარე სიცოცხლის ახლო.

შენ აარიდე ყველაფერს თვალი, არ დაგინახავს წრფელი ღიმილი
ყველაფერს ირგვლივ რაც კი რამ გერტყა, შენ დასცინოდი მშვიდი, გულგრილი.

სასწაულს რასმეს ელოდა სული, გიჟურ ფიქრებით, იკლავდი შენ თავს
შენ გაიარე სიცოცხლის ახლო და სიცოცხლისთვის არ შეგიხედავს.

ყველაფერს მისწვდი შენს სიცოცხლეში ბედნიერებით სიცოცხლეს გარდა.
რომ შრომა არის ბედნიერება— ვერ იგრძენ—ისე დაეშვა ფარდა.

ძველი ქვეყანა! ნიშნად იმისა, რომ მკაცრი იყო შენი სიმრუდე
შენს იდეებში ობობა ხლართავს ქსელს, და მიკიოტს ჩაუბამს ბუდე.

როგორც მინდვრებში პიონერები ნალარასა სცემს და ბუკს აყვირებს
შეფარებულა შვლის ნუკრი თხემებს და უცნაური ეს ხმა აკვირვებს,
ისე სოფელის სმენას აოცებს ხმა უჩვეულო, ხმა გადაწნული
ჯერარნახული გამოგონება, სიტყვა, რადიოს ყელში ჩასმული.

ცა პირიდან წვიმას აქცევს სერავს ელვის ნათებას,
ყურადღებას არვინ აქცევს მის სამხედრო მზადებას.

ტყეში კრთომა არის ნუკრის და გრიგალი ამავ დროს
ველად დაძრწის და თავს უყრის თავის ძალებს სამხედროს.

გაჭრა ძველი დუბეითი იბრძვის განამალები
საჰაერო და ქვეითი დარაზმული ძალები.

ჩვენ დავხედეთ საზეიმო დატას. გაზაფხული დაჩნევია მიწას
ოპტიმისტურ ფერადებით ხატავს პერსპექტივებს მომავალი დღისა.

უნდა ბოლო მოელოს ამ წყრომას და ვაებას
ყველა ქარხნად გავიდეს, ყველა მტვერში ჩაებას.

კაპიტალიზმის ომი, აბა რისაა მდომი,
სად გავარდება თოფი, როდის იფეთქებს ომი.

ქუჩებს დროშები მოეფინება და გაბრწყინდება სახეთა ღვარი
ინტერნაციონალის სიმღერით წავა, ამ ქალაქებზე მუშათა ჯარი.

ფერადი ფერით შეიმოსება, ყველგან სახლები გიგანტიური
ყველგან ელვარე გაზაფხულია და ვარდებია ყველგან მზიური.

პროლეტარიატს შუბლზე ჰფენია ცხარე ბრძოლების ალი ჩქერებად
ბედნიერება შეიქნეს ქვეყნად—სთქვა და იქნება ბენდიერება.

ჩვენ შევეჩვიეთ ბრძოლაში ყოფნას სიცოცხლით, მთელი შემოქმედებით.
თავზე ტყვიები დაგვფარფატებდა, და გატაცება ფოლადის ფრთებით.
ჩვენ შევეჩვიეთ ქარს და ქარიშხალს, ბავშობიდანვე ჩვენი ცხოვრება
იყო მარტოდენ რევოლიუციის მქუხარე ძალთან დამეგობრება.
რომ გაგიჟებას ჰგავდა დღეები, მრავალფეროვან წამთა ფერხულში
წინ მივდიოდით და იმედები გამარჯვებისა ხარობდა გულში.

დღეს გავიმარჯვებთ! დღეს გავიმარჯვებთ. ამგვარად ვფიქრობთ ჩვენ ყოველ
დილით
და სალამოხანს კვლავ ვიკრიბებით აღფრთოვანებული დროით განვლილით
ეძალებიან მოგონებები გაზაფხულისას გრძნობებს რჩეულებს
რა სიხარულით, რა სიამაყით ვათვალიერებთ ახალ რვეულებს.

ფრთი სტრიქონიც იქ ვერ ვიპოვეთ რომ იმედებით არ სძგერდეს გული,
ყოველ სტრიქონზე შრომას დაუსვამს: გამარჯვებული გამარჯვებული.

წინად მეტეხის ბურჯი და ნარიყალა აგეს
ეხლა მძლავრი და ურჩი—სიტყვა ეკუთვნის ზაგესს.
სიბნელე? არასდროს, არასდროს!
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს,
სინათლეს გაუმარჯოს, სინათლის ყვავილებს.
დრო მიდის ნათელ გზით რომ მტრობა დათრთვილოს,
სალამი ახალგზით გაერთიანებულ საქართველოს.
სიბნელე? არასდროს, არასდროს!
სიკვდილი წყვდიადის ჩრდილებს.
სინათლეს გაუმარჯოს, სინათლის ყვავილებს.

პაპას ზღაპრები შემოელია, დიდედას კიდევ ამბები ძველი.
სიტყვა ეკუთვნის ეხლა პიონერს, ხვალ რა მოხდება—კარგი თუ მწველი?
მეურმეს გზაზე წყნარი სიმღერით წისქვილისაკენ მიაქვს ხორბალი

კოლექტივებზე ჭრიალებს ღერძი და ტრაქტორებზე მღერის ბორბალი.
ზამთრის ღამეა. სიჩუმის სახით გაწითლებული დადის ყინული.
დიდი ზამთარი დაგვიდგაო წელს. გზა თოვლითაა გადაბვინული.

ო, საუცხოო ახალი წიგნი! ადამიანურს ვამჩნევ მის თვალებს.
ვერავითარი სიტყვის მოსმენა უფრო ძლიერად ვერ გამაწვალებს.
მე არ ვკითხულობ ვისია გული, და სიხარულის ცეცხლი [illegible]
ჩემთვის ამ მარად მშვენიერ წიგნის აღფრთოვანებაც [illegible]

არსად ჰკვდება წვეთი ოფლის. ჩვენ ხომ ჩვენის ქვეყნად მშობლის,
ნაწილი ვართ წუთისოფლის სამუდამო, განუყრელი.
და ჩვენს ირგვლივ რაც კი ხდება, ჩვენს გულებში იხატება.
და ისევე—ჩვენით ჩნდება რაც კი არის. ჩვენ ვართ მქმნელი.

თვითონ ღელვაც როს ნელდება, და სიცოცხლე ქვესკნელდება
ის არსებობს. თუმც არ ჩნდება და დუმილი ფარავს ჭაობს.
მარად, მარად ჩვენი გული, ბუდით საზღვარს გადასული.
ილტვის, სცოცხლობს და მოძრაობს.

დაფარული შედეგებით, შედეგებში ბედს ვამწვავებთ.
სიცოცხლეს არ ვაშორებთ თვალს. ნიადაგზე ვაყრით ხორბალს,
და ამ გვარად ყოფნის ბორბალს ისევ ისე ვამოძრავებთ.

რადიოს ფრთებით დაჰქრის სიმღერა, ფრთხილი რუპორით გადმონაცემი.
იგი იღვიძებს, იბრძვის, გრიალებს ის სიმღერაა შენი და ჩემი.
გამარჯვებული ბრძოლების რიგით მიდიან დღენი, მიდიან თვენი,
წელიწადები და საუკუნე. და ის სიმღერა ჩვენია, ჩვენი.

ღამის ქალაქი, გამოაღე სწრაფად ფანჯარა.
ოომ ახმაურდეს ტრამვაის და ეტლების ჯარა.
აღტაცების ხმა მოიტაცოს და შემოღვაროს,
ლორთქი შუქები მაგიდაზე მიჰყარ-მოჰყაროს.
ხათელი იგრძენ და მუსიკის ხმობა მეშურე,
გამოერკვიე, გამოფხიზლდი და გაეშურე.

ხარობს ღრუბელი დაყრდნობილი ტყეების წარბზე
ქალაქისაკენ მიმავალ ქალს რომ იცნობს შარფზე,
კისკისებს შკოლის მოაჯირთან სოფლელი ქალი.
თავისუფლება, სიხარული! გააღე თვალი!

შენ გძულს მთაბარი? გამოერკვიე! ნუ დაატარებ წამებულის ჯვარს,
შენ ყურს არ უგდებ ინტერნაციონალს, ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.

წითელი დროშა არ გიმონებს შენ? გაზაფხულისას არ ემონვი ქარს?
აჰ, უსაფუძვლო რალაც შეიქმენ! ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს!

შუალამისას მწარე დუმილში, შენ უზაჰესოს დასცქერიხარ მტკვარს.
გამოერკვიე. ასე არ უნდა. ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.

ვინ უწყს, რამდენჯერ ამოიოხრებ, და უცნაურად აამღერებ ქნარს.
შენ სიცოცხლეში არავის ეძებ? ეგ იმიტომ რომ მასსა არ გიყვარს.

შენ ყურს უგდებდი განცვიფრებული, და ეხლაც ისევ ისე გწადია
ადგილი სადაც მყუდროებაა, სად დანგრეული ბარიკადია.

ის ყველგანაა, მთელ მსოფლიოში. ბარიკადებზე კლასს ებრძვის კლასი
იცვლება, შიდის და ისევ მოდის მებრძოლთა წყება ათას-ათასი.

ყური დაუგდე ქარხნების გუგუნს, ძველი ქვეყანა ჰქრება ვით ჩრდილი
უნიადაგო ჰქონდა სიცოცხლე, სამარადჟამო ექნეს სიკვდილი.
წარსულს გუნდგუნდად გადაეფარა, შავი ყორნების და გაბრწნის სუნი.
მხოლოდ განახლდა და ისევ სცოცხლობს კარგი გუგუნი, შრომის გუგუნი.

კავშირმა, კლასმა მასში გახვია თავისი სული, თავისი გრძნობა,
წელიწადები წელიწადს შესცვლის, შთამამავლობას შთამამავლობა.
შრომის უწმინდეს სიდიადეში დარწმუნდებიან მუნჯნი და ყრუნი,
სანამ ჰქუხს ახალ საქართველოში მძლავრი გუგუნი, ქარხნის გუგუნი.

ელექტროსადგურს აშუქებს მთვარე. ელექტრონისთვის ხსნა ქვეყნად არი.
დაუსრულებელ მდინარეებზე, დაუსრულებლად ელავს მედგარი.
მას ენატრება გამოძახილი. ის გაჩუმდება და დაუგდებს ყურს,
მღელვარე გუგუნს მოუცავს არე, მღელვარე გუგუნს მოტორისებურს.

თესავს და თესავს. თან ნელი ხმით მხიარულად ღიღინებს,
სწამს მხოლოდ შრომა მძლეველი, მოსავლით დააგვირგვინებს.
გრძნობს, თესლი სად დაეცემა სალ კლდეზე თუ ლალ მიწაზე
თესავს და თესავს თან მღერის მთესველი მხიარულ ხმაზე.

მიდიან, თუმცა ძალუძთ ისევე გაგვამხნევონ და აგვიძრან ძალა.
მიდიან, რომელთ სული არა აქვთ ძალი და ღონე გამოეცალა.
მოდიან, ვისიც სიცოცხლე, გვინდა, აქ მრავალთათვის იქნეს მალამო.
მოდიან, მოაქვთ ახალგაზრდობა და სიხარული სამარადჟამო.

ქალაქისგარეთ, როს ძმაბიჭურად, ხელიხელ გადახვეული.
ყარს მოადგება ახალგაზრდობა, გესმის არღნების ხმა დამტვრეული.
მათი იდუმალ ფიქრთა ნაყოფი, მათი ცხოვრება და მათი გული,
შენთვის სამუდმოდ გასაგებია როგორც სიცოცხლე და სიხარული.
არ დაფიქრდები: ახალგაზრდობის, შენ რომ გეხვევა ირგვლივ ჩრდილებათ
თუ კი უყვარხარ—რად გიღერს დანას, თუ სძაგხარ რისთვის გემორჩილება?
როდესაც ვნების მკაცრი გრიგალი, თხოულობს შენგან სრულ თანაგრძნობას,
გკოცნის, გაგართობს, გეალერსება და ფეხქვეშ გიგებს უსაზღვრო ტრფობას,
რა შუაშია მერე ხანჯალი, მერე რომ სისხლით აგივსებს უბეს.
ამდროს სადღაც შორს გრგვინავს ორკესტრი და ელექტრონი აჩაღებს კლუბებს.

დღენო მშვენიერ სიყმაწვილისა! აწ გარდასულნო სიმღერის დრონო,
ბევრი რამ დარჩა თქვენგან ძლიერი, მაგრამ რომ დარჩა, არ მოვიგონო?
ო, აღელვებულ დღეთა შვენებავ! მრავალ ახალთა იმედთა მფენო,
ბევრი რამ მომეც დაუვიწყარი. არ შემიძლია, არ გაგიხსენო.
იდუმალ ფიქრთა სახიერება, თქვენს მოვლენებში ჩემთვის სრულია.
ბედნიერება წარმავალია. სიცოცხლე მაინც სიხარულია.

წვეთი წვეთებზე გადადის, წვეთი წვეთებზე ირხევა,
ერთ ადგილას სცემს მარადის, და ქვა შუაზე ირღვევა.
ეს დაჟინების წყურვილთა მარადისია განგება
როდესაც გული ძველისძველ ფიქრებით დაიჟანგება.
სინათლეს უშვებს წვეთწვეთად კატაკომბებში სანთელი
გული შუაზე ირღვევა როგორც ცა გასალანდელი.

იმედთა ძებნა გულის სილრმეში, მე არასოდეს არ მომწყინდება,
მგონია, არვინ არ გამილიმებს. უეცრად: შუქი გამობრწყინდება.
მადლობელი ვარ ჩემო ვარსკვლავო, სხვა ვარსკვლავები შენთან მკრთალია,
ჩემთვის ეს შუქი მოულოდნელად აღმოჩენილი კაპიტალია.

სიმღერა ახალ სახლების ახლო. იყოს, ასფალტის გასხივოსნება,
ახალგაზრდული აღფრთოვანების, ვინა სთქვა, თითქო მოკვდა იცნება?
გაზაფხულისა დღეთა ძლიერი ნაკადულები გულს არ ელევა
ვიპოვეთ ჩვენი დაკარგული ცა, და ჩვენი მიწის ამეტყველება.
აღმოვაჩინეთ ახალი მხარე, სადმე იქ, გულის ახლო ეფლობა,
რომ გიგანტიურ კიბეებს აჰყავეს ახალ სიმღერათ აღმშენებლობა.

ბედო, იმისთვის იყავ მდუმარე—მფლობელი იყავ, მე კი სტუმარი?
დრო მცინარეა და მოხუმარი: შე მიმღები ვარ, შენ კი სტუმარი.
გამოასწორე, ჩქარა, კუმარი, ნაწვიმარი და ნასამუმარი.

მნათობი დადის ჩირაღდნით ხელში, თავზე დაადგა ჩვენს საქართველოს,
მისი დიდიხხით დაჭრილი გული რომ გაიგონოს და გაამრთელოს.
ჩანგის სიმებო! იყღერეთ მარად სპეტაკ ახალის აღმადგენ ჟინით.
მიმოიფინოს ჩვენი ქვეყანა, უბრწყინვალესი შრომის გვირგვინით.

ტბის ბროლება ელექტრონის სიცილს იჭერს
არაგვიდან ატრიალებს შუქთა გიშერს.
აქ ახალი სიხარულის ხელმა ჩადო
კოლოვატთა ფოლადის და რკინის ჯადო.
და მაღლიდან ცისარტყელას ალთა ცემა
მუდამ მძაფრი და ნათელი არის ტემა.

გაბედე გულში ჩახედვა, იქ ნაპერწკალი ციმდება
ძალე სხივები გრძნობისა ფერფლებად გადაცვივდება.
უჩქარე ისევ გაღვივდეს, უჩქარე ისევ აენთოს,
ის საჭიროა ხალხისთვის რომ სიბნელის დროს დაენდოს.
ხალხი ჯერ ტყვილებშია, ოდნავ მოშუშდა იარა,
იქ ხომ მძლავრმა და მჭეხარემ გრიგალმა გადაიარა.

გრიგალო, შენი ძლიერი ქროლა, მიწას აწებებს შფოთიან საფარს,
უდაბურებად გაშლილ სივრცეებს დაჭრილ ლომივით მიაფენს ფაფარს.
რა ალტაცებით, რა სიამაყით ალიგებს ბინას ნაპრალთა შორის
შენთან ღელვათა გამოძახილი, დაიგრიალებს მეხი მთაგორის.
სვეტად ავარდნილ ლრუბელთა ცაში, გასწვრივ აენთე და აგუგუნდი
რა საარაკო სანახავია—აფრიალებულ ყორნების გუნდი.

მაშ გაუმარჯოს დღევ დღევანდელო შენს შეუცდომელ და მტკიცე რწმენას,
ჩვენ ხომ ვსცდილობდით ბედნიერების თავისუფალი შრომით შერჩენას.
ჩვენ ხომ გვინდოდა აქ ნაპერწკალი ქურის გულიდან ამოროლვეული
ანთებულიყო თანაბარ შუქით; ძირს, ძირს სიბნელე! იყოს წყეული!

ხანდახან, როცა გაზაფხულები უახლოვდება ჩემს მხიარულ სულს,
მინდა ვიმღერო, როს იდუმალი ძალა შუაზე სწყვეტს ამ სიხარულს.
რა ბოხდა? ქარი, ქარიშხალია? როგორ უარვყოფ ძალას ამ ხმისას?
დიდიხანია ხომ რაც იმგვარად არ უმღერია ჩანისლულ მიწას.

დაე, შეებას მკაცრად ჯარი ჯარს, ვიცი განანოთ ქცევა უცვლელი,
სულყველამ იცის რა გვირჩევნია, კაბინეტები თუ ბრძოლის ველი.
ულტიმატუმი? ძალიან კარგი! უნდა დაინგრეს სამყარო ძველი!
შენ იმუქრები—თბილ საწოლიდან, სად საწოლი და სად ბრძოლის ველი?

ეს გაზაფხული გამძაფრებული, პატიმრობისას გაარღვევს საკანს,
გახარებული ხელის კანკალით არხევს ახალი სიცოცხლის აკვანს.
გაცოცხლებულა ირგვლივ ყოველი. მფეთქავი ძალა არეს ჰფენია,
სულ რომ არ იყო ქყეყნად ღიმილი, შეხედე ეხლა რაოდენია.
მჩქეფარე წყაროს, ამოყრილ ხეებს, მათ განახლებას ეუბნება ბანს
ეს გაზაფხული უხარებს დღეებს და არხევს ახალ სიცოცხლის აკვანს.

დღემდე შენ თუმცა გქონდა სასოწარკვეთა მწველი
მას მწუხარების გველი ტკივილებისგან ღრღნიდა
მაგრამ წამება დიდი, დაგუბებული გულში—
საშუალებას გგვრიდა—გამწარების და წყევლის.

ის მწუხარება დარჩა, მაგრამ ემსგავსა საფლავს,
ჩლუნგი, დახშული, ცივი—გადაეფარა ოჯახს,
ის მოძრაობას ბოჭავს, ის ნებისყოფას დამბლავს,
იგი მომავალს ავსებს გაუშუქებელ ღამით.

თან შემოდგომა დადგა, თან წამოვიდა წვიმა,
ქარმა დაჰბერა უცებ, ბალი გაშიშვლდა უცებ,
გულდარდიანი ისმის ახმაურება ხეთა.
ღამეებია ბნელი, ღამეებია ვრცელი.

უცებ დაბრუნდა შენთან, გადაკარგული სადღაც,
ეხლა გამხდარი, ჩუმი, და ავადმყოფი—იგი...
ვერ გადაურჩა ყინვას, ვერ გადაურჩა სირცხვილს,
„აი დავბრუნდი"—ამბობს. „დარჩი"—პასუხი შენი.

მხოლოდ ეს იყო თქვენში. არც ერთი სიტყვა მეტი.
არც ერთი სიტყვა წარსულს, არც ერთი სიტყვა მყობადს.
ერთიმეორის თვალწინ საბედისწერო დღიდან
თქვენ ერთ ბინაში სდუმხართ და რაღაცაზე ფიქრობთ.

თქვენ შეიძლება უცდით სასწაულების მოსვლას,
როცა გათბება გული პატიებით და გრძნობით:
ან აღტაცებას უცდით? მაგრამ ამაო ცდაა.
თქვენ ერთბინაში სდუმხართ და რაღაცაზე ჰფიქრობთ.

იქნებ გასრესილ ფიქრად მოგეზმანებათ თავი
ერთი მეორეს უცქერთ და ხხოლოდ ამას ჰფიქრობთ:
შენ: ხომ დაამხვე ჩემი, ცივო ტიკინა, ბედი?
ის: რომ გასრისე, გველო, ახალგაზრდობა ჩემი?

თქვენში რომელი სტყუის? ან რომელია წმინდა?
გამოიღვიძეთ, კმარა! ყოფნას გაჰხედეთ ახალს.
გაიფანტება ჩრდილი გარდამავალი დროის.
საქართველოში, გრძნობდეს, ყოველი ჩუმი სახლი.

რევოლიუცია თავისუფალი, მთქმელი სიმართლის დაუფარავის,
ძლიერი სული გაბრწყინვებული არ ემონება ქვეყნად არავის.
მხოლოდ სიმართლემ დაიმონავოს, ეს გაქანება, გრძნობა, გონება,
ბევრმა არ იცის რა რიგ ტკბილია ეგ მძიმე ხუნდი და დამონება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შრომით ისევ აღდგენილი თვალუწვდენ მინდორ-ველი
შენი დიდი სიხარული და შვენება შეუცვლელი,
შენი ხევი და გორები შენი მთა და შენი სერი —
იყოს მრავალ, მუდამ მრავალ, კიდევ მრავალჟამიერი.

იქ სადაც მთანი დარაჯად დგანან, ბიბინი გააქვს ზურმუხტის ჭალებს
სადაც არწივი მწვერვალებიდან დიად ბუნებას ხარბად თვალს ავლებს,
სადაც ფაზისი მოქუხს და გრგვინავს ხან მკაცრი, ხანაც დაღონებული
დიდიხანია შრომის სახლი დგას ძებნათა ეშხით დამონებული,
დრომ რომ წაიღო უბოროტესმა აქ საწმისია იმ ოქროისა
მოვდივართ ახალ აღმოჩენისთვის აოგონავტები ახალ დროისა.

დიდება შრომას სამყაროს შემქნელს, ნათელის მომტანს ქებათა-ქება,
იგი გარდაქმნის ქვეყნად ყველაფერს. დიდება მის ძალს და გამარჯვება.

დაჰკრა, ორკესტრო! გული გაიპე, ნაპერწკლებია დღეს ყველას გულში
ეხლა განათლდა მის ჯურღმულებში, ისმის მაისში და სიხარულში
თვითეულ შუქში, თვითეულ ქვაში, დაუძლეველი ღალადებს გრძნობა:
ინტერნაციონალთან, ინტერნაციონალთან, გვჯერა აღსდგება კაცობრიობა.

შენ მიატოვე მონობისაგან გაკვალილი გზა. და გზა ნაცადი.
ახალ ბრძოლებში კი გამარჯვება შენი ხვედრია, იარე, წადი!
ო, არ გატყდება არსად ეგ ნაბი, შენ შეგიძლია ტალღებთან შებმა,
არ დაივიწყო რომ მოგაწყევლეს და სხვა სიტყვები გისაგზლეს სხვებმა:

გეყოფა ლურჯი ნაკადი ცისა, ხალისიანი და გამჭვირვალე,
აი ეს თასი, ბრძოლათა თასი. თვალი დაჰხუჭე და გამოსცალე,
დაჩუმდი, კმარა! მალე გაიგებ სხვა ოცნების იდუმალ ძგერას,
იქ, სადაც დროშა აღიმართება, იქ სადაც სისხლი დაიწყებს ჩქერას.

გაბრწყინვებული სიმშვენიერით, მახვილით ხელში, დღის გათენება
აღმოსავლეთით სდგას ანთებული, ხალხის ნუგეში და მოსვენება,
აღმოსავლეთით, აღმოსავლეთით! თავისუფლებას ეძახის ქნარი
ფიქრი თვალს აწევს ზრუნვით აღვსილი, იზრდება რისხვა და ნიაღვარი.

დღემ გაიარა, დღემ გაიარა, ლაქადან ლაქას, ფერიდან ფერზე,
არც უჩვეულო შრიალებს ქარი, არც ავი სული ხრიალებს სერზე
არც ფერიაა, რომ სასიამო ამბავი ჰქონდეს რწმენა-სიმტკიცის
დღემ გაიარა, ისვენებს შრომა, და მომავალიც მან შრომის იცის.

ყაყაჩოების გუნდი! საჩრდილობელი ფარდა.
აყვავებული წალო, ბრძოლის დაუმცხრალ ენთა.
გაჭრა ბორკილი, ხუნდი. გაჭრა ფრიალი ფართა.
კვლავ განახლება, ქარო, გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა.

გვწყურის, ვეძიებთ, გვინდა! არ გვენანება შრომა,
ის მოწითალო კიდე, მსგავსი ელვარე ქურის,

კაცობრიობა წმინდა, უსამართლობის კვდომა
კიდევ, კიდევ და კიდევ გვინდა, ვეძიებთ, გვწყურის!

როგორ არ იცი თუ რა ძალაა—შრომაში მარად დაუთრგუნველი,
კარგია შრომა ახალგაზრდული, თავგანწირული და უზრუნველი.
იმედი კიდევ, ბევრი იმედი, გზა სხივოსანი მომავალისა,
ეს სამუდამო აღტაცებაა დაუთრგუნველი შრომის ძალისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მწარე წარსულო, იგრძენი შენი, გადამტყდარია ბედითი მშვილდი,
აწმყო შრომაა, და მომავალო შენ მხოლოდ შრომას დაუმორჩილდი.

ხვალ მაისია. რა სიხარულით ჩვენ გავალთ ხალხში აფრთოვნებული.
სადაა მტერი? ისევ მაისმა მას სასიკვდილოდ გაუპო გული.

ხვალ მაისია. წითელ დროშებით და ყვავილებით გამოვა მასსა,
ის ღირსი იყო გამარჯვებისა, მაისმა გრძნობა გაუალმასა.

გახსოვთ? რა ქარმა გადაიარა ველი ბრძოლისა მძლავრად ფარ-ახდით.
რა სიძლიერით ყოველმა მხარემ დაიგრიალა: შეიარაღდით!

თითქო საზღვრები გადაიშალა. ორი ქვეყანა გიგანტის ტოლა
გაიყო ორად და გაიშალა ორი მრისხანე სტიქიის ბრძოლა.

მახსოვს ბრძოლისგან ნანთები სახე და ავარდნილი ზეცამდე ალი
მწარედ დაჭრილმა მე თვითონ ვნახე, ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

ვინ იფიქრებდა იმნაირ დროში: ყინვა, ქარბუქი და ცეცხლის ალი
რიგებში ხელში წითელი დროშით ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

გადიშალეს ცეცხლის ზოლთა ჟამი ბრძოლით შელახული,
სიმტკიცე და გზა მებრძოლთა ჩვენს გულშია შენახული,

გულს თუ კარი დარაზოდეს გადაქცეულს ბრძოლის ხმადა
არ მსმენია არასოდეს მე იმგვარი კანანადა.

ასე გასჭრას ჩვენმა ბედმა თუ არ არის ძველებური
დაიმღეროს კიდევ გედმა ცეცხლი გადაჭენებული.

რალა დარჩა ძველ სამყაროს მეგობრად რომ მოაქვს თავი
და სურს ჩუმად გაგვითხაროს ფეხქვეშ მიწა და საფლავი?

ო, სირცხვილო! თუ მონებად შეუქმნივართ ჩვენს წინაპრებს
განა კი ღირს მოგონებად თუ დაუშვებთ ბრძოლის აფრებს?

კარგო ქალო, ხსოვნა შენი სხეულთან არ დამარხულა,
საგმიროთა საქმეთ მჩენი ხალხის გულში შენახულა.

ვინც გიგონებს ასე ამბობს: გამარჯვება დარჩა გულსო
იგი გვანთებს, იგი გვათბობს, ქარიშხლებით დაღალულსო.

შენ მუდამ ხარ და და დედა, ეხლა აღარ შეწუხდები
თუ ქვეყანას გადახედავ და ახალი გესმის ხმები.

ქალებს ეხლა იგივე აქვთ საამაყო მზის შვენება
ის გმირობა კიდევა სწამთ და იგივე ძლიერება.

მათაც შერჩათ ის, რაც ძველად გიტაცებდათ, ცეცხლში გხვევდათ
ჩვენი დროის საფუძველად მუდამ გგრძნობთ, მუდამ გხედავთ.

იგი ქარხანის ერთგული შვილი ხალხისთვის გულსაც კი გაიბობდა
და მანქანების გრიალი ტკბილი, ქალის ფიქრებთან მუსაიფობდა.

თითქოს მუსიკის ჰანგების შრიალს მოტორი მხრებზე გადაიფენდა,
ღვედების რბენას, ბორბლების ტრიალს უსმენდა და ჰანგს შმორბლურს ისმენდა.

მაგრამ ელვარე ხმალმა გალესა, შვილის და ყველა შვილების ბედი
უცებ გაისმა ხმა გრიგალისა ქარხნებს მიაწყდა ცხრაას ჩვიდმეტი.

„გასწიე წადი—ისტუმრებს ის შვილს—მტერს ნურასდროს ნუ შეუშინდები
და უნანებლად იდექ იმ ადგილს, სად შენი ძმების ისმიან ხმები.

„რა საჭიროა მდიდრის ქადებზე არ გაიცვლება თავისუფლება
„ყოველი გმირი ბარიკადებზე, ყოველი გმირი დროშასთან ჰკვდება.

ქუჩაზე იდგა. თოვლის ფენობებს ხმაური სდევდა მძაფრი, მრღვეველი
სულ ახლო ცეცხლი ედო შენობებს და კაკანებდა ტყვიისმფრქვეველი.

ქალის სახეზე იყო შთენილი იმ ქარიშხალთა ძლიერი ბრუნვა
ფიქრი მის შუბლზე გადაფენილი და ერთად ერთი საქვეყნო ზრუნვა.

მეხუთე დღეა რაც განცდის შუქში მებრძოლი შვილის სახე ტრიალებს,
უმაგალითო ბრძოლის ქარბუქში, სხვათ მისწრაფებებს ის იზიარებს?

ვინ იცის იქნებ სასირცხოდ შვილი გასაჭირს ასცდა და მიიმალა?
როდესაც მის წინ იდგა სიკვდილი, იქნებ ლაჩრულათ დაჰკარგა ძალა?

არა და არა. მტერთან ბრძოლაში არ შეშინდება იმ დედის შვილი,
იგი მუშაა, ქურების ალში ჭირნახული და გამოწრთობილი.

რა არის მასთან სხვა ძლიერება, თუნდაც ვაება, თუნდაც სიკვდილი?
სულის სიმტკიცე და სრული ნება სიყრმიდანვე აქვს თანდაყოლილი.

ასე ფიქრობდა ქალი, როს ფერთა შემოიხვია საღამომ ჩრდილი,
სახლთან საკაცით უცებ გაჩერდა ძველი, საბარგო ავტომობილი.

დედას საკაცე სისხლში მოსვრილი შვილის სიკვდილზე ეუბნებოდა,
ბარიკადებზე დაეცა შვილი: იცოდა ასე რომ მოხდებოდა.

ქალი იგონებს გულგანგმირულ შვილს: არ სტირის გული განაგრძობს დაგვას
ო, როგორ მწარედ გრძნობს იმის სიკვდილს; ო, როგორ მწარედ გრძნობს ამ
დაკარგვას.

გრძნობამ, რომ იყო ის ღირსეული, დედის თვალთაგან გაფანტა ნისლი.
არ წყდება ბრძოლა ცეცხლმოდებული, ბარიკადებზე იღვრება სისხლი.

„პირველად კრემლთან მოგვისწრო მტერმა, და ქარიშხალი დაატრიალა,
„ჩვენი სიმტკიცე რომ იგრძნო მტერმა, თითქო, ასე ჩნდა, დაჰკარგა ძალა.
„მაგრამ როდესაც მან შეამჩნია ჩვენი სიმცირე და სიცოტავე,
მოჰკრიბა ძალა რაც კი გააჩნდა და ცეცხლი ისევ გაჩაღდა მწვავე.

„რაღას ვიზამდით. ოცი ერთ მუშას მოპირდაპირე ხვდებოდა მტერი,
რას დააკლებდა მტერი ამ ხროვას, თუნდ უმტკიცესი, თუნდაც ძლიერი.

„მებმება ენა. მას, ერთგულ გუშაგს, არ ასცდებოდა ტყვია, ცხადია
რადგან ის იყო ნამდვილი მუშა, მუშის მიზანი კი დიადია.

„ვერ რა გავაწყვეთ, როგორც აფთარი მძიმედ დაჭრილი თვალს აცეცებდა
ბევრს უიმედოთ დასცა თავზარი. თავს არ ზოგავდა, ხსნას არ ეძებდა.

„ბარიკადებზე ჩვენი ამალა დგას ამ ცეცხლებში და კარგავს ენერგიას
ელვევა საზრდო, ტყვია-წამალი, პირდაპირ უცქერს აუცდენელ ბედს.

მტერს, რა თქმა უნდა ის ველარ დასძლევს, თვით დაიძლევა ის, ვალ მოხდილი,
ის გამარჯვებას სიცოცხლეს აძლევს, მაგრამ სილაჩრეს არ აქვს ადგილი.

ბარიკადებზე ბრძოლაა რთული, გაცხარებული ალ-ამსახველი
ცეცხლს ეტანება სიცოცხლე, გული, ცეცხლში ტრიალებს ტყვია, მახვილი.

გზიდან ყუმბარამ გადისრიალა, სახლების თავზე გაინავარდა,
ცაზე ძლიერი ზოლი გაშალა და შუა კრემლში ძძიმედ ჩავარდა.

ხმლები ეხვევა სისხლიან ალმებს. სისხლში მრავალჯერ ამოვლებული
ბევრს წუთისოფელს გამოასალმებს, საბოლოოდ სცემს მომაკვდავთ გული.

ბრძოლაა. შორით გამოჩნდა მტვერი, მტრის რაზმს, ზღვადქცეულს შუაზე აპობს,
ხან თოფის კვამლის ედება ფენი, ხან ყუმბარების ალში კიაფობს.

ხან შიაწყდება რომ მოდებული გადაარღვიოს ალყათა რკალი,
დაუზოგველი თავდადებული ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

იქიდან რაზმმა დაიგრიალა! ჩვენია იცვნეს მხედარი ქალი,
„მიეშველენით“ მოსწყდენ ადგილებს: გადაერიეთ, ჰკა მაგათ ხმალი.

აფრთოვნებულნი ხმალთა ვადიდან, მებრძოლნი წამის დაკარგვის შიშით
გადავარდნილნი ბარიკადიდან მტერზე მიდიან აწ იერიშით,

რა დააკავებს შეტევას ძლიერს. თავს დაატეხენ მეხს და სიავეს
ბარიკადს იქით გამაგრებულ მტერს, ეკვეთნენ, მოსპეს, გაანიავეს.

შებინდებისას დაჭროლა ქარმა და დაილვარა სუნთქვა შვებისა,
სიმართლისათვის მებრძოლმა ჯარმა გაშალა დროშა გამარჯვებისა,

ალმოხდა შუქი და გაანათა უსწორო ბრძოლით განვლილი კვალი,
დაცლილი იყო ადგილი სადაც, ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

თოვლმა და ქარმა თხრილი დასილა და აირია ქვიშა სადები,
შუალამეა. თოვლით ავსილა მიტოვებული ბარიკადები.

ეძებენ დაჭრილთ ამხანაგები საკაცეებით, ვრცელი ჩრდილებით,
სავსეა თხრილი და ბანაკები დაჭრილებით და დახოცილებით.

ლონემიხდილი, დაჭრილი ქალი, თხრილებისაკენ კვლავ მიდის ნელა,
უკანასკნელი მას აწევს ვალი, თუ კიდევ ძალუძს ვისიმე შველა.

და შეიძლება იპოვოს შვილიც, უკანასკნელად მიიკრას გულზე,
ის არ ინანებს სიტყვა უთქმელად მოჰკვდეს ამ ბედზე და გაზაფხულზე.

აგერ იპოვა კიდეც—ის. ხელებს მაგრად უჭერდა იარაღს მკვდარი
სახეზე აჩნდა საშინელ ბრძოლის იარა, სისხლი და ნატყვიარი.

აწითლდა შორით აღმოსავლეთი, დაჰკრა საყვირმა განთიადისამ,
ქარხნებმა ცისკენ აუშვეს სვეტი და განახლება კვლავ იგრძნო მიწამ.

ბევრმა დალია სული გმირივით, ეხლა ქალაქებს ეალუბლება,
ამდენი მსხვერპლით და თავგანწირვით მოპოებული თავისუფლება.

ვინ არის მთვლელი მათი ამაგის, შემქნელის დიდი მომავალისა
რწმენის სიმტკიცის და სიამაყის გრძნობას მარადის რომ ახალისებს?

პროლეტარიატს თუ აფოლადებს და ერთის რწმენით უფეთქავს გული
და წინ მიიწევს, ისევ მხოლოდ ეს; თვის კლასისადმი მძლე სიყვარული.

ბრძოლა მარადი, ბრძოლა მზადებით სად კი ქალაქი და ხევებია
თუმცა არ არის ბარიკადები და მხოლოდ მათი ნანგრევებია.

და იქ, სად ტყვიით გულალმაცერად გაპობილია რკინა და რვალი.
ამართულია ძეგლი წარწერით: ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

რევოლიუცია! ვინ მოთვლის რამდენს შენთვის გულიდან სისხლი ღვრია,
პროლეტარიატს ამ ახალ გზამდე არასდროს ქედი არ მოუხრია.

ცხრაას ხუთიდან ჰანგებს ეძებდა, დროის შესაფერს, მებრძოლი ქნარი
მაგრამ არასდროს ის არ ყოფილა მხდალი, უძლური და მოშიშარი.

რამდენჯერ ბრძოლით დასუსტებული იდგა მებრძოლი გულდამაშვრალი,
და ამ დროს როგორც ზეშთაგონება, ბარიკადებზე იბრძოდა ქალი.

ეხლა მოვიდა დრო განახლების, კვლავ ძალა დასცემს მოსეულ ძალებს.
მაგრამ აღდგენილ თავისუფლების დროშა იქნება და იფრიალებს.

ძალას ვპოულობთ ქარიან ხმებში, ჰანგი სულს ხიბლავს და გულს იმონებს.
და გვიყვარს, როცა ჩაქუჩით ხელში, მებრძოლი წარსულ დღეებს იგონებს.

გმირული სული ცხრაას ჩვიდმეტის, რომელ ტილოზე არ დახატულა?
გაუმარჯვნია აღფრთოვანებას, სასოწარკვეთა ბნელში შთანთქმულა.

დაფიქრებული ამბობს მოხუცი: რას ფიქრობთ, მე კი არა ვგრძნობ, განა,
რამდენი ახალ გამარჯვებისთვის გამოიცვალა ზნე და ქვეყანა?

გვინდა ეს შუქი და არემარე, გვინდა ცხოვრება, გვინდა ბუნება,
რაკი ხუნდები დამსხვრეულია, და მომავალი გვესალბუნება.

გვინდა მარადი ძმობა-ერთობის ჰაერში დროშა დაფრიალებდეს,
გვინდა სიმტკიცის და სიამაყის უკვდავი სული მხარეს აგზნებდეს.

იქ, სადაც ერთხელ უმეტესობას, ერთი დიადი რწმენის აქვს გული,
აფოლადებდეს სულსა და გრძნობას მომავლისადმი მძლე სიყვარული.

სადაც ერთხელვე შრომა და შრომა, ემბლემად მშრომელ მასსას რგებია,
არვინ არ ნანობს წმინდა ტაძრების ნაცვლად თუ მხოლოდ ნანგრევებია.

მამაკაცებო, დედაკაცებო! მზემ გააშუქა, ასწიეთ თავი,
მზემ გააშუქა წინედ რომ რისხვით ეფარებოდა სულთამხუთავი.

გვინდა ეს გრძნობა და გულის ძგერა, იყოს ახალი, იყოს უმანკო,
იმღერეთ ხალხო ეს ბედისწერა, სასიხარულოდ აეღერდი ჩანგო.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მ ე წ ყ ე რ ი

მზე დგება, კლდე თბება, ინთება დარები,
გადადნა თოვლი და დიდდება რუ.
მთას არ მოსწრებია ასეთი ღვარები,—
გრიალებს ხეობა ღრიალით ყრუ.
ხელედბა ღელე და ღელდება მდინარე,
ხევდახევ იშლება ტალღების ბრბო;
ნისლშია მყინვარი — ცივი და მძვინვარი,
იწყება წყლობა და მეწყერის დრო.
მოსკდება ზვაობა, მოწყდება ლანქრობა,
იფშვნება შვავი და გუგუნებს ხმა;
გორდაგორ ეწყობა რუების ლაშქრობა,
ხმაურობს ხრამი და წყალდიდობს მთა.

—

მდინარე: ჩქერ მარდი ვარო,
კლდის ძირას რო ვიბადები;
ზვირთთ ნავარდით დავდივარო,
ბარში მივალ, ვგვიანდები.
ვტყდები ხრამ და ხეობაში,
ვხტი ლოდებზე — ლოდიდანო;
არ ვბერდები მხნეობაში,
ზღვას შევზეი შორიდანო.

—

მზე წვება, დღე ჰქრება, ნთა რჩება სოველი,
ხე მიაქვს, ტყე მიაქვს მოვარდნილ ღვარს;
მდინარემ წაიღო ხიდი და სოფელი,
ღმუის და მიათრევს წისქვილს და ღარს.
ღელე რბის, წყალი სდის, ღელავენ ველები,
იშლება ზვირთი და შორდება თვალს;
სილნარით ივსება თხრილი და ხვრელები,
ფარავენ ლორღები შარებს და კვალს.
მთა ღმუის, ზღვა ზუის ტალღების სროლაში,
გრძელდება მდინარის რისხვა და გზა;
ინგრევა ჯებირი მეწყერთან ბრძოლაში
ქუხილის დრო დგება, იყავი მზათ.

ჩემი გზა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გულმა „ხვალეზე“ ზრუნვა იცოდა,
ახლა იმ წარსულს რა თავში ვიხლი?
ჩემს წინ მაისის ცეცხლით იწოდა
შორს მწვერვილებზე გაშლილი ჭირხლი...
გადნა მზღუდავი ლონისძიება:
გარდატეხებმა გადაღრღნეს მთები,
და იქ, სადაც ძრწის ძველი ციება,
ახლა მე ცისკრად არ ავენთები.
გულში კი, გულში დავდგი სამჭედლო,
ქურაში — ცეცხლი და ცეცხლიც — შანთით
და ურტყამს გრდემლზე მარში, სამხედრო,
ფალასკით, ღვედით, თოფით და ჩანთით!..
შუადღის სიცხემ დაყათრა შუბლი,
მკერდს დაეფრქვია შრომის ფორეჯი,
მზით გადაიწვა შორი ცის ზღურბლი
და ზღურბლს იქითაც — ცის სიშორეთი.
ახლა არ ვზომავ ამ „პერსპექტივებს“,
პერსპექტივებით ამევსო უბე!..
ჰაუ! დასძახეთ დაყათრულს ტივებს:
„გაჰკვეთეთ ზვირთი! გააპეთ გუბე!..“
გარკვეულია ჩემი სვლიგეზი
და დედამიწაც — გადასერილი:
წინ მიმაქანებს ყოფნის მიზეზი
და მრჩება ყოფნის ვრცელი წერილი...
მოჰყევით ამას! ყელგან ასვია
სანიშნო სვეტი თუ სვლის „ვერსები“,
ტანზე ჩაჩქანი ჯავშნის მაცვია
და რვალის რონებს ვეალერსები!..
მიმყვება გული, მზესავით მწველი,
და დაუწველი ხალისის ბროლით,
რადგან ვარ ამ გზის პირველი მცველი
და მისი მვლელიც შრომით და ბრძოლით!
არ უწერია მტერს გახარება!
აი, მოყვრების, ჩემის, იმედი,
სანამ ჩემგან არ მიეფარება
მზის სინათლე და ცის ციმციმეთი!..

ეროვნული
ბიბლიოთეკა

*
* *

რად მინდა დაღლილი სახის
უმიზნო ალერსი შენი,
მაგ ქალურ გაცვეთილ სახელს,
როს მხოლოდ დუმილი შვენის.

მრავალი გადარებს ლამაზს.
შენ მაინც გსურს ცრემლებს ღვრიდე.
იწვები უცნაურ ალით.
რომ სატრფო ალერსად ღირდეს.

შენ ხშირად ოცნება გიყვარს
მგოსანთა საყვარელ გმირის,
გგონია — ილბალი გრიყავს
საბრალო საწოლთან ტირი!..

გრიშაშვილს კითხულობ, ვიცი,
იგონებ ტაბიძის „მერის“,
აკაკის ლექსებსაც იცნობ
და ხშირად „სულიკოს“ მღერი.

ეძებე! — ჩემში ვერ ჰპოვებ
ძველ ქართველ მგოსანთა სადარს,
რადგანაც მშრომელთა პოეტს
მჩვევია ცხოვრება სადა.

შენთვის ხომ წარსული ბრწყინავს
და ალბათ მოელი ბესიკს,
წავიდა რაც იყო წინად
ვერავინ გაგართობს ლექსით.

ვიქტორ გაბესკირია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაშინ გავექეც მოწოლილ გზნებას...

მაშინ გავექეც მოწოლილ გზნებას
და გარინდებას თვალებში დარგულს...
როცა შევხედე ნაწვიმარ გზებზე
ჭალადიდიდან მოტანილ აგურს.

ასე მგონია წამოიწიენ,
თითქოს დამიწყეს ჭვრეტა შორიდან...
ან ვით არ იცნოს საბჭოთა მიწამ—
კაცი მოსული სირიაჩქონიდან.

მე მივდიოდი და ვგრძნობდი იქვე
გულზე სიცოცხლის ძაფებს მართავდენ
რადგან ქალაქში ჩამოსულიყვნენ
ახალი ქარხნის ასამართავად.

გულში ვარხევდი იმედებს ნაქებს,
მიმქონდა განცდა დაუქსელავი—
... და ჩემი სოფლის მოქალაქეებს
მეც მოკრძალებით მივეც სალამი.

სტეფანე კასრაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მეგადური უგანი

ტყეში

გაუვალ ტყეში მუშაობენ კაცები.

გაუვალ ტყეში სჭრიან ხეებს და ისმის ნაჯახის ცემა და ლაპარაკი. ლაპარაკი ხშირად წყდება. თხმელების კენწეროებზე ჭირისუფლებივით მგლოვიარენი სხედან ბებერი ძერები და არ ირხევიან.

ერთგან ნაჯახს მოუხშირეს და ვიღაცამ დაიყვირა:

— მოდის ჰუუ... გზა მიეცი—

მოჭრილი ხე ერთი შეირყა და ტორტმანითა და ქშუილით იწყო ვარდნა. ტყე თითქო შეკრთა; ძერებმა მსწრაფლ ფრთები გაშალეს და გულგახეთქილის ჩხავილითა და კვნესით თავს დაჰფარფატებენ ხეს. ის კი, მოჭრილი ხე, მსხვილი ტოტებით ედებოდა ტყეს, რომ მიბჯენოდა და ისევ დამდგარიყო, მაგრამ დაუშავდა ტოტები და მალე, დალეწილ სხეულით მიწაზე დაენარცხა. მიწამ ზანზარი მოიღო. ძერები გადაფრინდენ და შორს ჰკივიან.

— ხე არა და, გოლიათი მოგიჭრია ბათურია...

ბათურიამ იჭვნეულად გადახედა მოსაუბრეს, მერე გაუღიმა:

— რას არ ათქმევინებ ეხას?

მოსაუბრე მკვირცხლად შედგა დავარდნილ ხეზე და სანამ შტოების სხვლას დაიწყებდა, ბათურიას ჰკითხა:

— ვტყუი თუ?—

— არა, რაება ტყუი; მე გიოხარი, კაი ლაპარაკი იცი მეთქი...

ისევ გაისმა ნაჯახის ცემა. ხეს ტოტებს აცლიან; ორად გადასჭრიან და მხარზე იდებენ. ბათურიამ მძიმე მორს მეორე მხრიდან ნაჯახი მიაშველა და კვალ-და-კვალ მიჰყვება ჭალარა მოსაუბრეს.

— ფარნა, სახლში არ წევიდეთ?—ეკითხება ბათურია ჭალარას.

ჭალარამ ამ სიტყვებზე ჩუმად ჩაიცინა, მაგრამ თითქო არ გაუგონიაო, ეკითხება:

— ჰა, რა თქვი?

— ფარნა მეთქი, სახლში არ წევიდეთ?—გაიმეორა ბათურიამ.

ჭალარამ ისევ ჩაიცინა და ისევ ეშმაკური რამ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ამ დროს ცალი ფეხი ისე ღრმად ჩაეფლო ჭაობში, რომ ვერ ამოზიდა და მხარზე დიდებული მორიც გადმოუვარდა. ფარნა გაჯავრდა:

— ფუჰ—დაიძახა მან, მაგრამ ხელათვე ხუმრობით დააბოლოვა:

— დავბერდი, დავჩაჩანაკდი!.

ბათურიამ ჩაუარა ფარნას და როცა დაწინაურდა, განჩით მოაძახა:

— აქ მომიცადე ფარნა, მოვალ, ამოგიყვან და შეშასაც წაგიღებ...

ამ ხუმრობაზე ფარნა მართლა გაჯავრდა და უბრყვილო წყრომითა და მუქარით დაუყვირა ახალგაზრდას:

— თავს ნუ იგდებ ბიჭო, თორემ...

სამაგიეროდ ეხლა ბათურიამ ჩაიცინა; ჩაიცინა, რადგან ასეთ წყრომითა და მუქარით ხნიერი გლეხები მუდამ მიმართავენ ჭაბუკებს, როდესაც ამაზე იცინიან მხოლოდ და არ თაკილობენ.

ფარნა ჭაობიდან ამოვიდა; მორს დაეიჭიდა, დიდხანს წვალებით გაიდო მხარზე და ბეჭებში მოხრილი, ნელის ნაბიჯით გაუდგა ბილიკს.

ბილიკი, ისე როგორც მთელი ნიადაგი ტყეში, იყო ნესტით გაჟღენთილი: ამიტომ ფარნას ხშირად ეფლობოდა ფეხი უყეში, ხან ბარდიც ედებოდა ღარიბ სამოსზე და ჭალარა კაცი უნებურად ჩერდებოდა, რომ თავი გაენთავისულებინა და გზა განეგრძო.

ფარნა ამ დროს ნელ სიმღერასაც ღიღინებდა და მისი უსიტყვო სიმღერა, ისეთივე თვინიერი იყო, როგორც მისი დაღლილი სვლა, ამ სიმშვიდით დაყურსულ ტყეში.

მალე გათხელდა ხშირი ტყე და შორს გამოჩნდა ცალფა კარავი, კარავში კვამლი, კვამლში ბათურია, მოშორებით დაბალი ნაპირი და ნაპირზე დაზორვილი შეშა.

ფარნა მივიდა ნაპირზე და მორი დააგდო; მერე ჩოხის კალთით ოფლი მოიწმინდა და ნაპირზე დადგა. იქვე ება მათი ბაიდა.

პატარა ღელე აევსო წვიმებს, მაგრამ მისი განი მაინც არ იქნებოდა უმეტეს ვაქკაცის ორი ნახტომისა; ღელე ზანტად და უხმაუროდ მიდიოდა ტყის შუაგულ. ფარნა კარავში შევიდა და ცეცხლის პირას დაჯდა.

ბათურიას საჭმელი გამოეტანა.

ფარნამ ჯერ ჩიბუხი გაიწყო და პირველი ნაფაზი რომ გულზე დაეცა, ნეტარებით მილულა თვალები და ფიქრებში გაერთო. მერე ოდნავ შეცივდა, ანუ უკეთ, უფრო მეტი სითბო მოუნდა და მას ფიქრები არ შეუცვლია, ისე; ხელები დაიფშვნიტა და ცეცხლისაკენ მიიწია.

თებერვალი იდგა.

არ თბილოდა, თუმცა ზამთარიც არ სჩანდა და ხეებსაც მოესხა შეკუმშული მწვანე ყლორტები. მუქი და სქელი ცა მაღლიდან დასწოლოდა ტყესა და ჰაერი აევსო ცვრითა და ნამით. მზეც არ სჩანდა; მზეს უთუოდ ცა გაელია და მის ალმაცერ სხივებს ერთგან ტატნობი გაერღვია და მიმავალ თეთრ ღრუბლების კიდეები ალისფრად აეგზნო.

ყველაფერი ეს ჭალარა ფარნას ხუმრობისა და ნელ მასლაათისათვის განაწყობდა. მან ერთი ხანგრძლივად დაამთქნარა, თანაც დაამღერა თვის მთქნარებას და მოისაზრა რა სასაუბრო, წინასწარ გაიღიმა:

— ბათურო—დაიწყო მან—რაო—შენ რა თქვი ამას წინათ?.. მე მომეყურა ვითომ მაგდანა დაგესახელებიოს...

ბათურია ილუკმებოდა; როცა ფარნამ ხმა ამოიღო, მან გაიღიმა, მაგრამ როცა მაგდანა უხსენეს, უეცრად გული აუძგერდა, სახეზე წამოწითლდა და ღიმილი გაუქრა:

— არაფელი არ მითქვამს მე... — უკმაყოფილოდ სთქვა ბათურიამ.

—როგორ არა, შენ არ თქვი სახში წევიდეთო, მაგდანა მელოდებაო, თუ რაცხა ასეთი?—ისევ ღიმოდა ფარნა.

— არაფელი არ მითქვამს მე—უფრო უკმაყოფილოდ გაიმეორა ბათურიამ. ფარნამ გაიცინა:

— ჰმ, არაფელი არ მითქვამსო, არც სახლში წასელა გითქვამს?—არ ემვე-ბოდა ფარნა. ბათურიამ კარგად იცოდა ფარნას ხასიათი; იცოდა, რომ მას ძალიან უყვარდა ოხუნჯობა და მის ოხუნჯობაზე ბათურიაც მუდამ იცინოდა, მაგრამ ეხლა სიცილი კი არა, უბრალო პასუხი ვერ მოეხერხებია და ამოლოდ წითლდებოდა.

— კარგი...—ეშმაკურის ღიმილით გამოუცხადა ფარნამ ბათურიას, თითქო გაათავა და მეტს არ გააგრძელებსო, მაგრამ ხელათვე დაიწყო:

— აბა, შენ თუ არაფელი გითქვამს, მაგდანამ მე მითხრა, ჩემო ბიძია, რომ ბათურიასთანა გონჯი ბიჭი მეორე არ მეგულებაო! ჰა? რას იტყვი შენ ამაზე? ჰა?—

ჭაბუკმა მეტი ვერ მოითმინა და იფეთქა:

— კაცო, შემოჩენილი ხომ არა ხარ, თავი დამანებე!—გულიანად დაიძახა მან, კარვიდან სწრაფად გავიდა და ნაპირზე დადგა.

ფარნა კი ამ დროს ხმამაღლა იცინოდა, თვალზე ცრემლი ადგებოდა, ახველებდა და როცა ხველა გაათავა, ისევ ისმოდა მისი სიცილი:

ხა-ხა-ხა-ხა, შენ აგაშენა ღმერთმა—მოჰყვა კვლავ სიცილს.

ბათურია შორიდან ჩუმ-ჩუმად უბღვერდა ფარნას, მაგრამ ჭალარა კაცის ხარხარზე მასაც ეპარებოდა ნელი ღიმილი. მერე ფარნამ სული დაითქვა და ჭაბუკს დაუძახა:

— მოდი ჩემო ბათური, მოდი! სიცილი გავათავე...

ბათურია გაემართა კარვისაკენ.

„რაცხას კიდო იხუმრებს"— თავისთვის ფიქრობდა ბათურია. უეცრად მას გაურკვევი და უჩვეულო ხმაური მოესმა და შესდგა. ბათურიამ ყური დაუგდო, ალბად ფარნამაც გაიგონა ხმაური და მანაც სმენა გაიმახვილა.

ღელის ნაპირს ვილაც მოფოლავდა და ნაბიჯის ხმაური ხან წყალში ის-მოდა, ხან კიდევ ტყეში, გამხმარ შტოების მტვრევაზე.

მალე უცნობი კაცი გამოჩნდა; მას მაღალი ჩექმები ეცვა, ზურგზე დიდი ჩანთა ეკიდა და ღელის პირ-პირ გამალებული მობობავდა. მუშების დანახვაზე ის თითქო შეკრთა, მაგრამ წამსვე წარბები გაშალა და სალამი მხიარული ხმით დაიძახა:

— თქვენი კაი გამარჯვება!

— გაგიმარჯოს? გაგიმარჯოს!—უპასუხეს ტყის მუშებმა.

უცნობმა ნაბიჯს უკლო, მაგრამ მაინც მიდიოდა. მაშინ ფარნამ დაუძახა:

— კაცო, სად მიგეჩქარება, მოდი დეისვენე, მოშიებულიც იქნები!..

უცნობი შეყოყმანდა, მერე კარავში მოვიდა და ხელმეორედ მიესალმა მუშებს.

— ბატონი ყმასა ასაქმებს და ჭკუას გამოცდილება—სთქვა მან, როცა ფარნამ მის წინ ლარიბი საჭმელი დასდგა.—საქმე ის არის, მართლა მოშიებუ-ლი ვარ, თუმცა მეჩქარება ძალიან. ასე რომ, არ ვიცი რა უკეთესია ჩემთვის, კუჭს ვიძღობდე თუ ისევ გზას ვადგე?...—ამბობდა უცნობი, გამალებით ილუ-კმებოდა და ხანდაზმით მღელვარე თვალებს სტყორცნიდა იმ მხარეს, საიდანაც მოვიდა.

ასეთი ყოფაქცევა უჩვეულო იყო; თვითონ უცნობიც არ უნდა ყოფილიყო აქაური; მას კარგი ტანისამოსი ეცვა, სახელოში სუფთა, გახამებული პერანგი მოუჩანდა და სიტყვა პასუხიც სწავლული კაცისა ჰქონდა.

ტყის მუშები შეშფოთდენ; ორივემ იგრძნო, რომ ამ კაცს ვინმე მოსდევს, ან თვით მისდევს ვინმეს. ფარნას უნდოდა პირდაპირ ეკითხნა საქმის ვითარება და, თუ რაიმე შეეძლო, თვისი დახმარებაც მიეწოდებია, მაგრამ გადაიფიქრა,

ვინ იცის რა საიდუმლო ჰქონდა ამ კაცს, ან გაანდობდა თუ არა იმ საიდუმლოს უცნობ ხალხს? ფარნამ ვერ მოითმინა:

— თუ გაჭირება გადგია რამე, ჩემო ძმაო, გვითხარი, ჩვენც ხალხი ვართ...—გულწრფელად მიმართა მან უცნობს. ბათურიამ დაუმატა:

— ჰო, ხალხი ვართ, პატიოსანი ხალხი...

უცნობს იამა ეს სიტყვები: თვალები გაუბრწყინდა და სახე გაუნათლდა, მაგრამ ისევ საჭმელს შეექცეოდა და ხმას არ იღებდა. ბოლოს გამოცდით შეხედა ტყის მუშებსა და სთქვა:

— თუ მართლა დამეხმარებით, ძალიან დაგიმადლებთ; ხოლო დახმარება ის იქნება, თუ ამ ბაიდით მდინარის სათავეში გამიყვანთ; რაც ადრე, მით უკეთესი, რადგან, როგორც გითხარით, ძალიან მეჩქარება!

— კი შენი ჭირიმე!—დაიძახა ფარნამ. მერე ბათურიას მოუბრუნდა:

— აბა, მოვემზადოთ ბათური! ეს კაციც წევიყვანოთ და ჩვენც სახში წევიდეთ, თვარა საბრალო მაგდანა ალბად გვიცდის და ცოდვაა.

მუშები დატრიალდენ.

ბაიდაში საჩქაროდ ჩაალაგეს ნაჯახები, ხერხები, ხურჯინი. ყველანი ჩასხდენ ბაიდაში და ღელეს დაუყვენ დალმართით.

ბათურია ნიჩბებით მუშაობდა. ფარნა საჭეს მართავდა და ბაიდა მისცურავდა სწრაფად. ღელის ორივ ნაპირას იდგა მყუდროება და ამ მყუდროებაში იდგენ ბებერი მუხები თავის მძლავრ ტოტებითა და „დასტკლეცილი“ კანით.

დროგამოშვებით, შორს ლაქაშში წამოვარდებოდა დამფრთხალი ღალლა და მიფრინავდა. ამას ტყის მუშები ყურადღებას არ აქცევდენ.

უცნობი კი ცნობისმოყვარეობით იცქირებოდა ირგვლივ და ყველაფერს აკვირდებოდა; მხოლოდ ხანდახან, თითქოს გამოერკვაო, მოუსვენრად მოიხედავდა უკან, მაგრამ წამსვე მშვიდდებოდა და ისევ გატაცებით იწყებდა გარემოს თვალიერებას.

ფარნა დადუმებული ეწეოდა ჩიბუხს და ბაიდას მარჯვედ აცურებდა.

ეს სიმარჯვე განსაკუთრებით საჭირო იყო წყალ-ნაკლებსა და ვიწრო ღელეში, სადაც შავი სახიფათო როკები უხვად მოსჩანდა ზედაპირზე.

შეუმჩნევლად ღელე გაფართოვდა.

ხშირი ტყეც გათხელდა და ეხლა, მეჩხერ ხეებ შორის გადაიშალა ტრამალი, ფერად მუქ-ყვითელი და უხმაურო. ღამდებოდა.

ბათურია უფრო ღონივრად სცემდა ნიჩბებს და ნიჩბები ღელეში ღრინავდა.

ფარნასაც მკვირცხლად ეჭირა თვალები; გარდა საჭის მართვისა, ის ეხლა ბათურიასაც შველოდა მოხერხებულ ბიძგებით და უცნობს მზრუნველობით შესცქეროდა:

— ხედავ, რა კაცი ყოფილა შენი ჭირიმე?—ფიქრობდა ფარნა. ბათურიაც ასე ფიქრობდა.

ტყის მუშებმა მხოლოდ ეხლახან მოისმინეს უცნობის თავგადასავალი.

ფარნას არც ახსოვს, როგორ გაიმართა საუბარი, ოღონდ ეს არი, საუბარი გაიმართა; უცნობს ძალიან იამა ფარნას გულახდილობა. დაიწყო:

— მე კოსტა მქვია. უნდა გითხრათ ჩემო ძმაო და ბიძია, რომ ეხლა გამოქცეული ვარ, თორემ მასწავლებლად ვიყავი ქ. №-ში. ხომ იცით ქ. №-ი ახლოა აქედან; იქ ჩვენ მთავრობის საწინააღმდეგოდ ფარულ მუშაობას ვაწარმოებდით; ძალიან კარგადაც გვქონდა საქმეები, ხალხი გამოფხიზლდა და დაირაზმა, მაგრამ ერთმა უსინიდისომ გაგვცა და ჩვენები დაიჭირეს. მე გამოქცევა მოვასწარი, მაგრამ უთუოდ მომდევენ...

ტყის მუშები აღშფოთდენ:

— ღმერთმა შეარცხვინა ის უსვინდისო! — დაიძახა ფარნამ.

ბათურიას მხოლოდ თვალები აევსო მრისხანებით, თქმით კი არაფერი უთქვამს.

— არა უშავს — ამბობდა გამოქცეული — ხალხის საქმეს მოლალატე ვერ წაახდენს, თვითონ კი უეჭველად გაებმება მახეში.

— რა ბრძანებაა, ნამდვილია! — ეთანხმებოდა ფარნა და [illegible] იმეორებდა მასწავლებლის უკანასკნელ სიტყვებს, რამაც ის მოჰხიბლა.

ჯერ კიდევ შორს იყო მდინარის შესართავი. ღამეში ტყე გაშავდა. ღელე დაიბურა.

ბათურია მასწავლებლისაკენ მიიწია. ნიჩბებს ამუშავებდა და ოდნავ აწეულ სუნთქვით მოუთხრობდა თავის უბნის ახალ-თაობის საქმეებს:

ყოველგან მუშაობს ახალი თაობა! თვითონ ბათურიაც, რაც შეუძლია, ცდილობს, თუმცა უსწავლელი კაცია, ისე როგორც სხვები მებადურთა უბანში. ჰო, მებადურთა უბანი ჰქვია იმ უბანს, სადაც ბათურია ცხოვრობს და ეს ჩვენი ფარნა...

ბათურიას სიტყვა არ გაეთავებია, ფარნა წამოდგა და ანიშნა — ხმა გაეკმიდა. ლაპარაკი შეწყდა. სმენად გადაიქცენ.

შორიდან, ძალიან შორიდან, მოისმოდა ღელეში ნიჩბების ხმაური. ეტყობოდა, რამდენიმე წყვილ ნიჩბით მუშაობდენ. ხმაური სწრაფად იზრდებოდა და ახლოვდებოდა.

— უთუოდ მდევრებია: — სთქვა მასწავლებელმა.

— უთუოდ, უთუოდ! — დაეთანხმენ მუშები.

— როგორ აჯობებს ნეტავი? — ყოყმანით იკითხა მასწავლებელმა, მაგრამ ხელათვე რაღაც გადასწყვიტა და მოითხოვა ბაიდა ნაპირზე მიეყვანათ. ფარნა მიხვდა მასწავლებლის განზრახვას:

— მართალია, ასე აჯობებს! — დათანხმდა ფარნა და ბაიდა ნაპირზე მიაგდო. ბაიდა დაეჯახა ნაპირს და ფეხზე წამომდგარი მასწავლებელი წაბორძიკდა და ოდნავ ჩაიმუხლა. მასწავლებელი წამოდგა, ხელი გაუწოდა ფარნასა და ბათურიას:

— გმადლობთ! გზას მე თვითონ გავიკვლევ! აბა, თქვენ იცით! — უბრალოდ სთქვა მან, ნაპირზე ავიდა და ღამეში ჩაინთქა.

— ნეტავი როდის გაწყდება ქვეყნად ბოროტი ხალხი? — თავისთვის ჩაიდუდუნა ფარნამ.

ბაიდა ისევ დაიძრა.

მუშებს დიდხანს არ ამოუღიათ ხმა. მდევრები მოახლოვდენ. გარკვევით ისმოდა მათი ხმამაღალი ლაპარაკი. ცხადია, ისინი ხედავდენ მუშების ბაიდას და სადაც არის დაეწეოდენ.

— ჰეი თქვენ, გააჩერეთ ბაიდა! — დაიძახეს ბოლოს ბრძანების კილოთი.

ფარნამ ჩუმად უჩურჩულა ბათურიას:

— წადი, არ გააჩერო; მათთან ლაპარაკი ჩემი საქმე იყოს, შენ ოღონდ ყველაფერში დამემოწმე, — შემდეგ ფარნამ პირი მდევრებისაკენ იბრუნა:

— ვინა ხარ ძმობილო? — ხმა ბაღლა იკითხა ფარნამ.

— ხავი გააჩერე, ნავი! — ეძახდა ერთი.

— მაშინ გაიგებ, ვინცა ვარ! — იმუქრებოდა მეორე.

ასეთ მუქარითა და ხმაურით მოახლოვდა დიდი, შავი ბაიდა, სადაც თოფიანი ჩაფრები ისხდენ. ერთმა მათგანმა მუშების ნავს ხელი ჩასჭიდა და ორი ბაიდა, — ერთი დიდი, მეორე პატარა, — შუა ღელეში ერთმანეთს მიეკრა და ნელის რხევით აჰყვა მდინარებას.

DEVLET KITAPHANASI

— ბიჭოს, ეს რა ამბავია?—ღიმილ-ნარევ გაოცებით იკითხა ფარნამ. მდევრებმა ასანთს გაჰკრეს; ასანთის შუქი მკრთალად მოედო ბაიდებს, გაბოროტებულ ჩაფრების წვერ-ულვაშიანი სახეები გაანათა, წამით ღრეჩეც ააელვარა და ჩაქრა.

სად დამალეთ მასწავლებელი? იყვირა ერთმა ჩაფარმა, რომელიც უთუოდ მდევრებს ხელმძღვანელობდა.

— რას ამბობ ძმაო, რას!—თითქოს გაიკვირა ფარნამ.

— ვინ მასწავლებელი?—ბათურიაც გაოცდა.

ჩაფრები ალაპარაკდენ; მუშებიც თავისას მარტავდენ და ირკვეოდა, რომ აი ეს ჩაფრები მოსდევენ ერთს დიდ დამნაშავეს, რომელიც მათის აზრით მუშებმა სადღაც გადამალეს; ტყის მუშები ყოველივე ამას უარყოფდენ.

— არავინ არ გვინახავს, თორემ კი ბატონო,—არწმუნებდა ჩაფრებს ფარნა.

— ნამდვილია, თვალითაც არავინ გვინახავს,—ადასტურებდა ბათურია

უარის გაგონებაზე უფროსი ჩაფარი გაბრაზდა და ბათურიას შეუტია:

— მაშ სად გაჰქრა, სადა!?

ჩაფრები უწმაწურად ილანძღებოდენ.

— მოაბრუნეთ ბაიდები. თქვენ დატუსაღებული ხართ!—განაცხადა უფროსმა.

— რატომ შე კაი კაცო,—დაიწყო ფარნამ,—თუ მართლა ვინმე გაგექცათ და მის შაგიერ ჩვენ გვიჭერ, არ ვიცი რაში გამოგადგებით...—ამობდა ფარნა. მისი აუღელვებელი ხმა ისმოდა მტკიცედ და დამაჯერებლად.

ღ ა ბ ე

ღამით მოფენილ ნაპირებს შორის უხმაუროდ მიატორტმანებდა ტალღებს ერთობ განიერი და წყალ-უხვი მდინარე.

ღამეში, მდინარის პირად, ბუნდოვანად მოსჩანდა დაბმული, შავი და ვიწრო ბაიდები, იქვე ბაიდებთან გაფენილი სათრომელი ბადეები და მოშორებით, ხეებში მთვლემარე პაწია სახლები.

ეს იყო კუთვნილება მებადურთა: მებადურთ-უბანი.

ამ ადგილას მდინარე ორად იშლებოდა; ერთი გახრილიყო განში და ალვის ხეებიან მოსახვევში იკარგებოდა, ხოლო მეორე ნახევარ ეჯის მანძილზე მუქი და ელვარე ერთვოდა ზღვას.

ზღვა და მდინარის შესართავი თითფერის ზოლივით კრთოდა ცისკიდურზე.

მშვიდად ეძინა მებადურთ-უბანს; მარტის ღამე შემობურვოდა მის მყუდროებას და ამ მყუდროებაში პატარა სახლებს დაღლილ ფრინველებივით მიენაბათ თვალები. შუაღამეს გადასული იქნებოდა, როცა ერთ სახლში კარი გაიღო და კარებში გამოჩნდა ახალგაზდა ქალი, ის თავშალს ისწორებდა და კიბეზე ჩამოდიოდა. ეზოში ქალს ძაღლი აედევნა.

— წამო მურიკო, წამო—საამური ხმით დაუძახა ქალმა ძაღლს და მდინარის პირად გაემართა. ძაღლმა კუდი ალერსით შეარხია და ქალს მხურვალე ენა აუსვა ხელზე.

— კაი ახლა შე სულელო—ოდნავ უსაყვედურა ქალმა ძაღლს და შემდეგ, ვითომ ძაღლს ესაუბრებაო, ამბობდა:

— ჰო, ჩემო ბატონო მურიკო, ჩვენ ჩავჯდეთ რომელიმე ნავში და მამას დაუცადოთ. მამა მარტო კი არაა: მამასთანაა... აბა, ვინ თუ იცი? არ იცი! შენ მურიკო, არაფერი არ იცი! მამასთანაა ბათურია... იცი ბათურია, მურიკო? იცნობ ბათურიას?..

ძაღლი ისევ კუდს იქნევდა.

ქალი მიუახლოვდა ნაპირს; თვალით ერთი ბაიდა ამოარჩია და რომ ფოსტლები არ დასვროდა, ფეხაკრეფით გაიარა ლამიანი ნაპირი და ნაგში მოთავსდა. ძაღლმა მოქნილი ტანი დაჰძაბა, ისკუპა და ქალთან დაცუცქდა.

ქალი დიდხანს ესაუბრებოდა ძაღლს. ძაღლი ჯერ კუდს იქნევდა. შემდეგ მოსწყინდა ერთფეროვანი ალერსი და ქალის ფეხთან მორგვიალ[illegible] [illegible] და გაყუჩდა. ქალიც დადუმდა. ეტყობოდა სციოდა: ხელეხს [illegible] [illegible] და თავშალს ხშირ-ხშირად ისწორებდა. ბოროგამოშვებით ქალი ხანგრძლივის ცქერით აჩერდებოდა მდინარის იმ მხარეს, საიდანაც ნავის გამოჩენას ელოდა, მაგრამ ამაოდ. შეუმჩნევლად შორს ზღვაზე ნისლი აიმართა. ნისლი სწრაფად მოიწევდა ზღვიდან მდინარისკენ, და, თითქო ღამეში მეორე ღამე გაჩნდაო, იგი თანდათან ჰფარავდა ჯერ ცისკიდურსა და შორეულ საგნებს, შემდეგ ახლო საგნებსაც. მალე მთელი უბანი დაჰფარა სქელმა ნისლმა; არ სჩანდა სახლები და მდინარე. არ ჩანდა მდინარეში ბაიდები.

ქალმა მოუთმენლად მიმოიხედა ირგვლივ: ნეტავი რატომ დაიგვიანეს?— თავისთვის იკითხა ქალმა, ოდნავ გასაგონად.

მან იცოდა: ეს ნისლი მოახლოებულ განთიადისა იყო, ხოლო ისინი, ვისაც ელოდა, დიდი ხანია მოსული უნდა ყოფილიყვნენ. ქალი შეშფოთდა. მისჩერებოდა მდინარეს, თითქოს ნისლი უნდა გასჭვრიტოს და მის გადალმა, შორ მანძილს თვალი მოავლოსო; ამ დროს ქალს საშიში ამბები უტრიალებდა თავში და გული ელეოდა: ვინ იცის, ვინ, რა შეემთხვათ? მოულოდნელობით ხომ სავსეა წუთისოფელი?—და როცა ქალმა სიტყვა „წუთისოფელი“ გაიფიქრა, უმწეოდ აუფთხრიალდა გული და თვალზე ცრემლები მოადგა.

ის იყო ნელი ჭავლი მოედო მიდამოს და ნისლი არია, შორს ზღვამაც დაიქშინა და არეულ ნისლში რიჟრაჟის მკრთალი შუქი ჩამოდგა, რომ სიომ მდინარეში ნიჩბების ოდნავ გასაგონი შხაფუნი მოიტანა.

— მოდიან მურიკო, მოდიან!—სიხარულით დაიძახა ქალმა, ძაღლს დაწვდა, გულზე მიიკრა და პაწია ხელებით ძაღლს თავი მდინარისაკენ მიუბრუნა:

— ეჰე, მოდიან მურიკო, მოდიან!— დაუცხრომლად ამბობდა ქალი, თითი მდინარისაკენ გაეშვირა. ძაღლმა ერთი დაიყეფა შეცბუნებულის ხმით, მერე კიდევ დაიყეფა უფრო მხნედ და მხიარულად და შესდგა სასიხარულო შეხვედრის მოლოდინში.

ცხადია მოდიოდენ.

ბურიდან საუბარიც მოისმა და იმ ადგილას, სადაც საუბარი წარმოიშობოდა, ბურში მოსჩანდა სქელი და მუქი საგანი, უთუოდ ბაიდა, მალიად მსრბოლავი ნაპირისაკენ.

საუბარი ისმოდა დაღლილი და ასეთი:

— მგონი, არაქათი არ გაქ ჩემო ფარნა?—მზრუნველობით კითხულობდა ხმა და ვიდრე მას პასუხს გასცემდენ, ქალმა ხმაზე ბათურია იცნო და სიხარულით ადგილიდან წამოიჭრა.

— უი ბათურია, ბათურია!—გული უცემდა ქალს და თვის გულისცემას ეტიტინებოდა.

ძაღლმა ყეფა ასტეხა. ბაიდაც მოახლოვდა, ფარნა ჯავრობდა:

— უყურე შენ! აქ გვიცდის. არ ვიცი, ეს რა წესია! ან შემეშინებაო, ან გავცივდებიო... გოგო მაგდანა, სად გაგონილა ეს, სად? აჰ?

ბაიდა ნაპირს მოადგა და ბაიდაში ბათურია აიმართა.

მურიკო ყეფით გადაეშვა ნავში. მაგდანაც მოვიდა და როცა ბათურიამ მას ხერხი მიაწოდა, ჟურდულად მიეფერა:

— შეშინდი მაგდანა?

— არა ბათური!— ძლივ გასაგონადვე უპასუხა ქალმა ბათურიას, ხერხი ჩამოართვა და მის ლონიერ ხელიდან თვისი ხელებიც გაინთავისუფლა.

— მაინც არ ვიცი, სად გაგონილა, სად!—ჯავრობდა კიდევ ფარნა.

ბათურიამ ფარნას მიუგო:

— ახლა მოვედიო მაგდანამ და რას ერჩი?—

ფარნამ საყვედურები შეწყვიტა; მან მხოლოდ ცოლს ... ტკბილად დაამთქნარა. შემდეგ ნელა ადგა და ყველანი, მურიკოს გარდა, დატვირთულნი ხურჯინითა და ხელსაწყოებით, გაეშურენ სახლისკენ.

ეხლა მათ წინ მოძრაობდა მათივე ჩრდილები. აღმოსავლეთს მოსდებოდა რიჟრაჟი და მის ნათელში შფოთავდა ნისლი.

ეზოში პირველად ფარნა შევიდა. ქალ-ვაჟი ჩამორჩენილიყო.

— მერე ბათური, მერე?—შიშისგან თვალებ-გაფართოებული ეკითხებოდა ბათურიას მაგდანა.

— მერე რა, არაფერი. ვითომ დაგვიჭირეს და წაგვიყვანეს, მარა ფარნამ ჩაფრები მოატყვილა და ხომ ხედავ მაგდანა, მოვედით! შენ ხომ არ შეშინებულხარ მაგდანა! ან რა შეგაშინებდა!—ბათურია იცინოდა. დაღლილი ფარნა იყო.

გათენდა და ეზოებში ამოძრავდა მებადურები.

დღე და ღამე

რამდენიმე დღეა აღმოსავლეთით მზე ენთება ვარდის ფთილივით წითელი და მებადურთ უბანს ათბობს. ეზოებში აკაცია აყვავდა, ფუტკარი აირია და გაიშალა გაზაფხული. ჭაბუკი გოგო-ბიჭები ერთმანეთის გასაგონად იცინიან, მათი სიცილი ლონიერია და გამომწვეელი.

გარდა ამისა, მდინარეში ბოლაზით შემოსულა ლაზური სანდალი და ცნობისმოყვარეობის ამძვრელი დგას იგი იდუმალად, თოლიასავით ფრთებ დაშვებული.

სანდალს რიზედან მოუტანია მშვენიერი ფორთოხალი, ხოლო ქერჩიდან მარილი და ფართალი. მებადურთ უბანს ფორთოქალი უნდა.

ბავშებსაც ფორთოქალი უყვართ და ბავშების გუნდი შორი-ახლო უტრიალებს სანდალს; ბავშები სჭამენ ფორთოქალს, ნიკაპზე წვენი ჩამოსდით, ხოლო ფორთოქლის ნაფცქვენს ტალღები ათამაშებენ ნაპირთან.

სანდლის რეიზი, ანუ კაპიტანი მოხუცი ლაზი ანთიმოზ-აღა, სანდლის ბანზე ფარდაგ ქვეშ, ოსმალურ ყავას გნარავს და აღმოსავლური სიდარბაისლით გარინდებული თვალს ადევნებს თავის ხელქვეითებს, რომელნიც ფორთოქალს ტომრობით ჰყიდიან.

სამი დღეა მოსულა სანდალი.

ანთიმოზ-აღა გონებაში ითვლის:

„—დღეს და ხვალ სანდალი აქ მოიცდის; ამასობაში ფორთოქალი გასაღდება და სანდალი ისევ გასცურავს ზღვაში; ზღვიდან ერთ მდინარეში; მდინარით კი, ჩაუვლის სამეგრელოს სოფლებს, ჩითსა და მარილს სიმინდში გადასცვლის და დატვირთული გაემართება ლაზისტანში... არა უშავს... ხეირია“...

სანდალის მოშორებით, ფარნას სველი სათრობელი ბადე გაუფენია, გარღვეულ ადგილებს ქსოვს და ღიღინებს.

ფარნა მარტოა.

ლაზურ სანდალს ჩამოჰყოლია მეაფქიოე მურზა და ბათურია მასთან არის. აქაურია მურზა-მეაფქიოე. მებადურთ-უბანში დაბადებულსა და აზრდილს სახ-

ლიც აქა აქვს და მისი ხნიერი მეუღლეც აქა ცხოვრობს; მაგრამ მურზა მეზ-ღვაურია, გამოცდილი მეაფქიოე და ოჯახში მხოლოდ მაშინ მოდის, როცა სან-დალი მოადგება ჩვენს სანაპიროს; სხვა დროს მუდამ სანდალზეა, ბერებობს ლაზებს და მათთან ერთად ებრძვის ზღვას. ხოლო როდესაც მოდის, თან მეუ-ღლისა და მეზობლებისათვის მოაქვს უცხო „ფეშქეშები".

მურზას ეხლაც შეესრულებია ჩვეულება, და, მართალია, [illegible] ის დარდიმანდათ ესაუბრებოდა ბათურიას, მაგრამ დროგამოშვებით [illegible] ესმოდა მეზობელ ქალების გაოცებული წამოძახებანი, ეს მაშინ როცა უთუოდ დიასახლისი სტუმარ ქალებს ანახვებდა მეუღლის ფეშქეშებს. მურზას ამ წამო-ძახილზე ღიმილი ერეოდა.

— კარგი დაგემართოს... შემდეგ ჩემო ბათურია, შემდეგ — ამბობდა ამ დროს მურზა, სტუმრისათვის რომ ღიმილი დაეფარა.

მურზა სამსუნის სუნნელოვან თამბაქოს ეწეოდა და მის გრძელ ჩიბუხიდან ხანდახმით ამოდიოდა მწვანე კვამლი; იჯდა განიერ ტახტზე. ბოგე და ახოვანი; ახალუხის ღირკილოები ოდნავ გაეღეღა და შიგ უმწიკვლო პერანგი მოუჩანდა. ეტყობოდა ძველ მეაფქიოეს, რომ ეს სისუფთავე და ოჯახში ამგვარი მოსვენება ჩვეულება იყო მისი და რომ ის კმაყოფილი იყო ამ სისუფთავით და დასვე-ნებით.

— ხუმრობა კი არაა — მოუთხრობდა მეაფქიოეს ბათურია — მთავრობა ფთხება და ზომებს ღებულობს; ამ ბოლო დროს მაგალითათ, ქუჩაში ღამით შეიარაღებული დადიან და განაპირა უბნებს უთვალთვალებენ... ჰო. კიდო ამ-ბობენ, შეიძლება ჯარები გამეიწვიონ გაფიცვებს ელიან...

ასეთი ამბების მომსმენი მურზა სუნთქვას უნებურად იგუბებდა და ღრმა თვალთაგან, — ღონივრად მოდრეკილ წარბებში არწივებივით რომ ეგზნო, — მოუკრთოდა ჯანყი და გამბედაობა.

— აი სეირი... კარგი დაგემართოს, კარგი... — დაიბუბუნა მურზამ; შემდეგ ფიქრში გართულმა თავი აიღო და თავაზიანად დაიძახა:

— ედუკი, გვეცი ქალო პატივი!

საჯალაბოდან დიასახლისის ხმამ უპასუხა:

— ახლავე ჩემო ბატონო, ახლავე.

იქ ალბად დატრიალდენ. მალე კარები გაიღო და კარებში გამოჩნდა ჯერ ერცხლის ლანგარი, შემდეგ მამაკაცი, რომელსაც ლანგარით მოჰქონდა ფაიფუ-რის ფინჯნებში ამორთქლილი ყავა. მამაკაცმა კარი ოდნავ ღია დატოვა და ბა-თურიამ საჯალაბოში დაინახა მაგდანა, მეაფქიოეს მეუღლე ედუკი და სტუმარი ქალები; ედუკის მურზას ფეშქაშები გამოეტანა და მეზობლის ქალები სინჯავ-დენ იშვიათ ფარჩიულს, ოქროს სამაჯურსა და სხვა სამკაულებს.

ბათურიამ საჯალაბოს ზრდილობისამებრ თვალი აარიდა, თუმცა მაგდანამ ამ დროს აიღო მარგალიტის ყელსაბამი დასაზმანებლად.

— როგორ მოგწონს კოლვა აქაურობა? — ღიმილით ეკითხებოდა მურზა შემოსულ მამაკაცს.

— რატომ. კარგია! — რუსულად უპასუხა კოლვამ და გაიღიმა. შემდეგ ბა-თურიას ავად გადახედა, შეყოყმანდა და გაბრუნდა.

ეს იყო, როგორც თვითონ გააცნო თავი მურზას, ერთი უთვისტომო კაცი — კოლვა, გვარად კონანი. მესამე დღეა, რაც ის უსაქმური, შიშველი და მშიე-რი, გამოჩნდა მებადურთ-უბანში. მურზას ის სახლში წაეყვანა და ებლა კოლვას ეცვა ფართე შარვალი და ხალათი მურზასი, ჭრელი ლაზლის წინდები და მურ-ზასივე ქუსლ-წითელი წაღები.

კოლვა კონანი მოჯამაგირედ უნდოდა ოჯახში მეაფქიოეს და კოლვა კო-

ნანიც დასთანხმდა. ის იყო ბობრი სახისა, ოცდათერთმეტი წლის, ჯანმრთელი კაცი.

როდესაც კოლვას საჯალაბოდან ლანგარი გამოჰქონდა, ორნივ შესამჩნევი დამცინავი ღიმილი უთამაშებდა მას სახეზე და თვალებში ცოდად ფარული უტიფრობა ემჩნეოდა, რაიც უფრო აშკარა ხდებოდა შინაურებთან ურთიერთობაში.

— მიირთვი ბათური ჩემო,—მიიპატიჟა მურზამ სტუმარი.

— გმადლობ, გიახლები...

ბათურიამ თვალი გააყოლა მიმავალ კოლვას; კოლვამ იგრძნო და მოიხედა შემდეგ საჯალაბოში შევიდა. მოსჩანდა, თუ როგორი ღიმილით გაუწოდა ლანგარი მაგდანას.

— „რატომ მაგდანას? მაგდანა ხომ სტუმარია?"—ეტყოშა ბათურიას.

მაგდანაც დაიბნა და გაწითლდა, მაგრამ კოლვამ თითქოს ძალით მიაჩეჩა ქალს ლანგარი. როდესაც ლანგარს აძლევდა, ხელი უდიერად აუთამაშდა, თითქო ეს არის ქალს მოეხვევაო.

მაგდანა კინალამ ატირდა; მან სათნო თვალები მოაქცია ბათურიას, რომელიც ყველაფერს ხედავდა და სასტუმროდან განრისხებული მისჩერებოდა ზურგშექცეულ კოლვას. კოლვამ საჯალაბოდან გამოჰხედა ბათურიას და გამოწვევა მიიღო; თვალში თვალი გაუყარა.

— „ერიჰა! ეს მოჯამაგირე არ არის!"—გადასწყვიტა ბათურიამ.

უჩვეულო გულისწყრომას ბათურიასათვის ხელი აეთრთოლებია და ათრთოლებულ ხელით ის იწიწკნიდა პაწია, შავ ულვაშებს.

შუადღე მიიწურა.

გავარვარებული მზე ჩაეშვა ზღვაში და მალე მებადურთ-უბანი მოექცა გაზაფხულის ნათელ ღამეში.

შრომა-ნახული და დასასვენებლად განწყობილი უბნის მცხოვრებნი მწვანე მოლზე გამოსულიყვნენ, დიდი წრე შეეკრათ და ცეკვა-თამაში გაემართათ. წრეში იდგენ მანდილოსნები. მათ უკან მოლიმარი მამაკაცები ტაშს გულმოდგინეთ სცემდენ და ერთმანეთს საცეკვაოდ აქეზებდენ.

ლაზები სანდლიდან გადმოსულიყვნენ და მათ შორის იდგა მეაფქიოე.

— შენ არ იცეკვებ მურზა?—ღიმილით ჰკითხა ანთიმოზ-ალამ მეაფქიოეს.

— როგორ არა, შენი ჭირიმე!..

ის იყო წრე განთავისუფლდა და ძველი მეაფქიოე გამოჩნდა წრეში. მის გამოჩენაზე ტაში უფრო გაცხოველდა. წარბ-გაშლილმა მურზამ ჩოხის სახელოები ჩამოუშვა, ცერზე შედგა და მსუბუქად მოევლო წრეს. მერე ანთიმოზ-ალას წინ შესდგა და სათამაშოდ გამოწვევის ნიშნად თავი მძიმედ დაუკრა.

ანთიმოზ-ალა გამოვიდა.

მოხდენილად ცეკვავდენ ძველი მესანდლენი; მათი მიმოხვრა, ბრგე ბეჭები და ფართეთ გაშლილი ხელები, ისეთივე თავისუფალი და გაბედული იყო, როგორც ზღვაზე სრბოლა ხომალდისა. ანთიმოზ-ალამ ორჯერ შემოუარა წრეს, შესდგა, მეაფქიოეს სალამი დაუბრუნა და წრიდან გავიდა. მურზა კენტად დარჩა.

— აბა, ბათური გადი!

ფარნამ წელში მოჰხვია ხელი იქავე მდგომ ბათურიას და ოდნავ უბიძგა.

ბათურია გავიდა.

კარგი იყო, ძალიან კარგი ჭაბუკისა და გულად მეაფქიოის ცეკვა. ბათურია ცეცხლივით ბობოქრობდა; მისი მოძრაობა მალი და ცვალებადი იყო;

ბათურიას დინჯად მიჰყვებოდა მეაფქიოე. მერე მეაფქიოემ წრე დასტოვა, მოლიმარ ანთიმოზ-აღას შეუერთდა, ერთიმეორეს ცეკვა შეუქეს და მეაფქიოე ფართე ბაღდადით შუბლს იგრილებდა.

ბათურიამ ამ დროს მაგდანა გამოიწვია.

მაგდანას ჯერ ალმური მოედო შავგვრემან სახეზე და თავდაბრილი გამოვიდა, მაგრამ მალე ხელები ლერწამივით შეარხია და კდემა[illegible] თვალები გაშალა.

ბათურია აედევნა ქალწულს; კვალდაკვალ მისდია და მხრებ-გაშლილი ჭლამობდა მის დაჭერას.

იგი კი, ქალწული, უსხლტებოდა ბათურიას მკლავებსა და მზერას, თითქო შემკრთალია და გარბისო, რომ მამაკაცის თვალს დაუმალოს თავისი ცეკვა, რაშიაც უნებურად მეღავნდებოდა დაგროვილ სურვილითა და ნებით საესე ქალწულებრივი სხეული, ქალურობას ჯერ მიუხწეველი და მით ოდნავ მოუქხელი, ამიტომ ზომაზე მეტად მეტყველი, მაგრამ ოდნავ, ოდნავ საჩინო.

მაგდანა ცდილობდა თავდაჭერას. სახეზე ამომავალ მზისებურად აგზნებოდა სიამე და სახეზევე მის პაწია ხალს ირგვლივ მოჰფენოდა სიწითლე.

ჭაბუკი ზვერავდა მაგდანას ხალს და მკერდი უნებლიედ უღვიოდა.

ბათურიას გადაღმა, წრის მოშორებით, ქვიელ-ხვიელით დარბოდენ უბნის ბავშები. შორს მოსჩანდა სანდალი; უფრო შორს ლორთქო ჩქოლში გაყუჩებული ბოლაზი, ხოლო მაღლა და ირგვლივ უძრავად იდგა გამჭვირვალე და აკაციის სუნნელებით სავსე ღამის ჰაერი.

უეცრად ვიღაცამ წრე გაარღვია და ასპარეზზე გამოჩდა კოლვა კონანი. კოლვამ მანძილი გაზომა, ერთი ისკუპა და მოცეკვავე ქალ-ვაჟს შუა მოექცა.

კოლვა იღიმებოდა.

ბათურია გაჯავრდა, მან არ იცოდა, რა ექნა, მაგრამ რადგან კონანი ამ დროს ბუქნით მისდევდა მაგდანას და ხალხი ამაზე აშკარად იცინოდა—ბათურიამ მოედანი მიატოვა და ხალხში გავიდა. მაგდანაც გავიდა.

ბუქნაობით გართული კოლვა ვერ ამჩნევდა მარტო დარჩენას, ბოლოს შენიშნა და როცა ხალხში ხარხარი ატყდა, ირგვლივ მწრალად მიმოიხედა.

— დაიშალეთ ხალხო, დაიშალეთ!—გაისმა ამ დროს ბრძანების ძახილი და წრესთან ცხენი მოაგდო თოფიანმა ჩაფარმა; ეს იყო ჩაფარი მურად, ტომით ინგუში; სამი შეიარაღებული ცხენოსანი თანახლდა მას.

— რა ამბავი მურად!

— რა ამბავია, შე კაი კაცო!—უსაყვედურეს მას.

მურადმა ისევ გაიმეორა:

— დაიშალეთ მეთქი, დაიშალეთ, რა დროს ცეკვაა!

ხალხმა გაურკვევი შიში იგრძნო—რადგან ჩაფრები ადგილიდან არ იძროდენ და არც ახსნა განმარტებას იძლეოდენ, ხალხი ნელა ამოძრავდა და თავიანთ შინისაკენ გაემართა.

— აქ მოდი კოლვა კონანო!

სახლში მიმავალმა ბათურიამ ფარნა და მაგდანა შეუმჩნეველად მიატოვა და კოლვა მოიხმო.

კოლვა უხალისოდ გამოეყო მეაფქიოს ჯგუფს.

— რა იყო!—მოვიდა კონანი.

— შენ იცი კოლვა, რას გიზამ!—ბათურიას სიბრაზისაგან სუნთქვა ეხშობოდა და წინადადება ვერ დაესრულებია.

— ჰე-ხე, ვიცი, რას იზამ—დაცინვით სთქვა კოლვამ, ჯარისკაცივით შემობრუნდა და თუ ამდენ ხანს მეაფქიოეს სახლისაკენ მიდიოდა, ეხლა სანდლი-

საკენ გაემართა. ბათურიამ მუშტები შეკუმშა და ასე იდგა მცირე ხანს, მერე ახალგაზრდა მებადურებმა ჩამოუარეს და წაიყვანეს:

— გაფიცვას ელიანო,--ჩუმად ამბობდა ერთი.

— მერე, ლაზების სანდალი რა შუაშია?

— ჰო, რაო ლაზების სანდალი, რა?

— ვერ ხედავ!

— ჩხრეკენ, იარაღს ეძებენ.

სანდალს მართლა სჩხრეკდენ.

ნაპირზე იდგენ ცხენოსანი ჩაფრები, ხოლო ნავთსადგურის მოხელეები და ორი ჟანდარმი, რომელნიც ჩაფრებთან ერთად მოსულიყვნენ და ამდენხანს ნაპირზე იცდიდენ—სანდალში ჩასულიყვნენ და კუნჭულებს ათვალიერებდენ.

როგორც სჩანს, საეჭვო ვერაფერი აღმოაჩინეს სანდალში და ანთიმოზ-ალას წინაშე ბოდიში მოიხადეს, შემდეგ ერთმა მოხელემ თავაზიანად, მაგრამ დაბეჯითებით სთხოვა სანდლის რეიზს, რაც შეიძლება მალე მოხსნილიყო და ნავთსადგურის მიდამოები დაეტოვებია.

— კი არაფერი იფიქროთ, მხოლოდ სხვადასხვა მოსაზრებებისა გამო...— ასაბუთებდა თავის წინადადებას მოხელე რადგან ეს თავაზიანობა იძულებას უდრიდა, ანთიმოზ-ალა უსიტყვოდ დათანხმდა. პოლიციელები და მოხელენი სანდლიდან ჩამოვიდენ.

ანთიმოზ-ალამ განკარგულება გასცა და ხელქვეითებმა ღუზა ასწიეს და მსხვილი თოკები აჭკრიფეს.

მეაფქიოემაც გასცა განკარგულება, მის განკარგულებაზე გაიმართა თეთრი აფრები და მალე, ფრთებ გაშლილი სანდლის ანარეკლი ბოლაზისაკენ მისდევდა ლაზურ სანდალს.

მებადურთ-უბანში ამ დროს არავინ დადიოდა. მარტოოდენ კოლვა კონანი გამოჩდა, მან ჩქარი ნაბიჯით გაიარა მდინარის ნაპირი და ქალაქში გავიდა.

ქალაქშიაც შეწყვეტილიყო მოძრაობა; მოქალაქენი არ ჩანდენ და ცალიერ ქუჩებში შეიარაღებული პოლიციელები მიმოდიოდენ.

კოლვამ გაიარა ბნელი ქუჩები და სადგურში ამოჰყო თავი.

სადგური ხალხით იყო სავსე; ხალხი ხმა-დაბლა საუბრობდა, თუთუნს ეწეოდა, ყველას ეჩნეოდა დაღლილობა და გაურკვევი შიში. ქედმაღლად დადიოდა ჟანდარმი, რომელსაც მორიდებით გზას უთმობდენ.

ჟანდარმმა და კოლვამ, თითქმის ერთდაიმავე დროს დაინახეს ერთმანეთი; კოლვამ ჟანდარმს სალამი მისცა; ჟანდარმმა გაიღიმა და თითით მიიხმო კონანი.

— რას იტყვი კონან?

კოლვამ ნაღვლიანად უპასუხა:

— ვიტყვი, ბევრს ვიტყვი საველიჩ, ჩემო კეთილო...

ჟანდარმი გაოცდა:

— ბიჭოს! მაშ მოდი მოჰყევი, აქეთ წავიდეთ... თუმცა მოიცა, მგონი მატარებელი მოდის... გარედან ბორბლების გრიალი მოისმა. დარბაზი ერთბაშად ახმაურდა, ამოძრავდა და ყველამ ბაქანზე გასასვლელ კარებს მიაშურა, მაგრამ კარებში დარაჯი იდგა, რომელმაც მხოლოდ ჟანდარმი და კოლვა გაუშვა.

მატარებელი ქშენით მოვარდა და ბაქანი აივსო ჩამოსულ ხალხით; მათ შორის ერთმა წითურმა, დაინახა თუ არა ჟანდარმი და კოლვა, წამსვე თვალი აარიდა მათ და მხარი იცვალა.

— აი ის არის კონანი, მგონი არ დაუნახავართ...—ეუბნებოდა წითური კაცი თანამხლებ მუშას.

— არა, არ დაუნახავართ—დაუმატა მუშამ.

წითური კაცი სათვალეებს ატარებდა, კარგად ეცვა და თუ დააკვირდებოდით, ადვილად იცნობდით დევნილ მასწავლებელს, რომელსაც ჩვენმა მებადურებმა ტყეში ხელი შეუწყვეს. მისი თანმხლები კი ნავთსადგურის მუშა იყო.

მათ უვნებლად გაიარეს ბაქანი. დარბაზიც გაიარეს და საბუფეტოში იმყოფებოდენ.

მატარებელით ჩამოსულები გაიკრიფენ. რონოდიდან დაღლილი მემუხრუჭეებიც გადმოვიდენ და თავის განუყრელ სანათურების რწევით შეეიდენ დარბაზში. ისევ დაიცალა ბაქანი.

— ჰო, რაო, რას ვიტყვიო? — მხარზე ხელი დაჰკრა ჟანდარმმა კონანს და ჟანდარმთა საგუშაგოსაკენ წაიყვანა.

— ბევრს ვიტყვი მეთქი, საველიჩ, ჩემო კეთილო, ბევრს,—გაიმეორა კოლვამ. საგუშაგოს კარები გაიღო და დაიკეტა.

რადგან იქ პატიოსან ხალხს საზოგადოდ არ უშვებდენ, ამიტომ ვინ იცის, რა ითქვა კოლვასა და ჟანდარმს შორის; თუმცა ცალკე სიტყვები ისმოდა და სიტყვები წარმოითქმოდა აღელვებით და ეკუთვნოდა კოლვას:

— დიახ, დიახ... საეჭვო ხალხია!.. გაიძვერა მებადურები... ლამაზია, სხვა რა გინდა, ამომავალ მზესავით... ამომავალ მზესავით...

კოლვას უკანასკნელი სიტყვები ჟანდარმის ხარხარმა დაჰფარა:

— ვირი ხარ შენ კონან, ვირი, ჰა-ჰა-ჰა-ჰა...

მ ე ბ ა დ უ რ ე ბ ი

— ჰო, იმას ვამბობდი... როკაპს ყავდა სამი შვილი, ერთი შავი, მეორე თეთრი, მესამე წითური. ერთ დღეს ვნახოთ, ციხის გალავანს ცხრათავიანი დევი მოადგა და დეიძახა... ფარნა სხვა მებადურებთან ერთად შორი-ახლო უჯდა ცეცხლს ზღვის პირად და ზღაპარს მადიანად ჰყვებოდა.

გრძელი და ვიწრო ბაიდა ნაპირზე ამოეთრიათ მებადურებს და შიგ ახლად დაჭერილი და ჯერ კიდევ ცოცხალი კეფალები ხტუნაობდენ და ხმაურით ეხეთქებოდენ ბაიდის გვერდებს. უკვე დაღამებულიყო.

უცნაურად მინაზებული ზღვა ბავშვივით იწვა სილიან ნაპირზე და არ ირხეოდა, ხოლო მოლრუბლული ცა დაბლა იწევდა და გარემოს აბნელებდა.

თბილოდა, მაგრამ მებადურები მაინც შემოსხდომოდენ ცეცხლს, ზღაპარს ისმენდენ და ფართე მკერდით სუნთქავდენ ზღვის მლაშე ჰაერს.

ერთი ახალგაზდა მებადური ღიმილით თავს იქექდა და ფარნას არ უსმენდა; ბოლოს, როცა ფარნამ სული დაითქვა, მებადურმა, თითქო დროს უცდიდაო, შემპარავი ღიმით დაიწყო:

ეს რა მაგის პასუხია, მარა...—ახალგაზდა მებადურს სიტყვა არ დაუსრულებია; მან ღიმილით გადახედა ბათურიას. ფარნამ ზღაპარი შესწყვიტა:

— რა იყო ბიჭო კარდემია! — ჰკითხა ახალგაზრდას ფარნამ.

— რა და, უკაცრავად თუ არ ვიქნები, ეს ზღაპარი ბევრჯელ გაგვიგონია... ბათურიამაც გაიცინა, ფარნამაც.

— მართალია? ვითოოომ? — ამბობდა ფარნა და იგონებდა ხერხს, გაწბილებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. კარდემია, ხუმარა ბიჭი, ამას ამჩნევდა და გონებაში ბევრი დამცინავი წინადადება უტრიალებდა, მაგრამ არ უნდოდა ფარნასთვის დაცინვა ეკადრებია და იცინოდა.

ფარნამ სხვა ვერაფერი მოიგონა და ვითომ გულახდილად განაცხადა:

— აბა რა გიყო ჩემო ბიძია, სხვაი მე არ ვიცი და..

— სხვაი არაფელ შვაშია. შენ ოლონდ თითი მოკაკვე, თითი!—ამ სიტყვებით კარდემია მკვირცხლად წამოდგა, გამომწვევად გაიღიმა და დადგა.

— თითი რაა, სანაძლეო მქონდა თუ?—გაბუტვით სქვა ჭალარა ფარნამ, მაგრამ შეხედა თუ არა დოინჯ შემოყრილ მებადურს, კილო იცვალა და ჭაბუკივით აენთო:

— დეგეჭიდები თუ გინდა!—მხიარულად დაიძახა ფარნამ.

— მობძანდი!—მკერდი ამოზნიქა კარდემიამ.

— ჰეი, მოგიკვდეს ბიჭი ფარნა,—ღიმილით ამბობდა ჭალარა მებადური, და ის იყო საჭიდაოდ დგებოდა, რომ ბათურიამ დაასწრო: მადროვე თუ ხათრი გაქვსო—და კარდემიას ეძგერა.

გაჩაღდა ჭიდაობა.

ფარნა წამოდგა და ჭაბუკების სიფიცხეს თვალს ღიმილით ადევნებდა. ამ წუთში ეს მოჭიდავეები და ეს ჩვენი ფარნა უდარდელსა და დიდრონ ბავშებს ჰგავდენ, რომელნიც მუდამ ხალისს უწევენ ანგარიშს, ხოლო ხალისი ულევი აქვთ.

კარდემია სწრაფი აღმოჩნდა; ის კალმახივით სხლტებოდა, მაგრამ ბათურიამ წელში მოჰხვია ღონიერი მკლავები, ასწია და დაანარცხა.

— ოჰ-ჰო-ჰო-ჰო, ესეც შენი სანაქებო ფალავანი,—ხარხარებდა და დასცინოდა ფარნა დამარცხებულ ფალავანს. კარდემიამ უთხრა ფარნას:

— მართალია ბათურია ღონიერია და ძალიან ღონიერიც, მარა წელში ხელის ჩაჭიდება არ შეიძლება და რადგან ბათურიამ წელში ხელი ჩამჭიდა, ამიტომ ჭიდაობა სწორი არ იყო...

ბათურია ჩუმად იცინოდა და ლაპარაკში არ ჩარეულა; მხოლოდ ჭალარა ფარნა დიდხანს არ ეშვებოდა კარდემიას. თუმცა ისევ ცეცხლს დაუბრუნდენ და სხვა საგანზე საუბრობდენ, ფარნა დრო-გამოშვებით მაინც იგონებდა კარდემიას დამარცხებას და ახალგაზრდა ფალავანს აწითლებდა.

ძალიან ჩამოწვა ღრუბლები. უეცრად ელვა გაეკლო ცის ტატნობს, შავი და აზორეული ცა გაანათა, ტყე და თვალუწვდენელი ზღვაც გაანათა და როცა ჩაჭქრა, მოისმა შორეული გრგვინვა.

— გაწვიმდება ვითომ?—იკითხა ბათურიამ.

— კაი იქნება, რომ გაწვიმდებოდეს,—ინატრა ფარნამ და დაფიქრდა.

„კარგად თუ იწვიმებდა, შეიძლებოდა ტყიდან დაგროვილი შეშის მოტანა; შეიძლებოდა სოფელში ნათესავების მონახულება და, რა დასამალია, მაგდანას გათხოვებაზედაც ზრუნვა იყო საჭირო“.

აქ ფარნამ ბათურიას გადახედა. ბათურია თავდახრილი მისჩერებოდა ცეცხლს და ცეცხლზე მოსჩანდა მზეში ამოვლებული ვაჟკაცი მებადური.

ბათურია—აფხაზი, დიდი ხანია თავის ოჯახიდან გამოსულიყო და ფარნასთან ცხოვრობდა, თუ რატომ მოშორდა ოჯახს ბათურია, არავინ იცოდა.

ამბობდენ, სისხლი მართებსო; აგრეთვე ამბობდენ, ძმებს ვერ ეგუა და გადაიხვეწაო: მხოლოდ ეს არის, არც ჰკითხულობდა შინაურებს, არც შინაურები ბათურიას. ფარნას ოჯახს ბათურია იმ თავითვე შეეგუა; შემდეგ მაგდანასა და მის შორის პირობა დაიდო, ეს იცოდა ფარნამაც და კმაყოფილი იყო.

— აბა ჰა, დროა ვაჟკაცებო,—სიჩუმე დაარღვია ფარნამ.

ახალგაზდები შეფთხიალდენ.

— ერთხელ კიდე გავშალოთ ბადე და ჰაიდა სახში...

წამოდგენ. გააზმორეს. ნიჩბები გამართეს ფარნა კიდეც მოთავსდა და ახალგაზდებმა იწყეს ბაიდის ზღვაში ჩაშვება; ის იყო ბაიდა ატივტივდა და კარდემიამ ნიჩბები აიქნია, რომ მათ თავს წაადგა მურადი და ხუთი ჩაფარი.

— ადგილიდან არ დაიძრეთ, თორემ გესვრით!—დაიძახა მურადმა.

მებადურები განცვიფრდენ და ხმას ვერ იღებდენ.

— ნავიდან გადმოდით აბა, მალე, მალე!—ბრძანა მურადმა.

ჩაფრები თოფ ძომარჯვებულნი იდგენ.

— რას ხუმრობ შენ, შენ..! ვინცხა ხარ..!—ვერ მოითმინა ბათურიამ, აღშფოთებული ამოხტა ბაიდიდან და მურადის წინ მუქარით დადგა.

— ახლავე მით ხარი, ვის რა დუუშავეთ, ახლავე, [illegible] გაშმაგებული იძახდა ბათურია და მურადისაკენ მიიწევდა. მურადს [illegible], ბათურიას ულერებდა და თუმცა ნელ-ნელა იხევდა, ეტყობოდა, დიდხანს ვერ მოითმენდა.

— გირჩევ, არ მომეკარო,—ყვიროდა მურადი.

ფარნა გადაეღობა ბათურიას:

— ნეტაი ხომ არ შეშლილხარ, ბათური—ფარნამ მხრებში ხელი ჩააღლო ბათურიას და ეხიარულად იცინოდა—შე სულელო, აგენსაც ეს უნდა თუ იჩხუბებ...

ბათურია განრისხებული იყო და ვერ მოესაზრებია, თუ მართლა ფარნა იცინოდა; ის კი არა, ბათურია მუშტებს ,კუმშავდა და ვერ მოეგონებია, ბებუთი სად შეინახა.

— წაიყვანეთ!

მურადის ბრძანებაზე ბათურიას ორი ჩაფარი ამოუდგა გვერდში:

— დატუსაღებული ხარ, წამო ძმობილო!

— ვინაა დატუსაღებული! ვინ დამატუსაღა! ვინ, ვინ!—ჰბორგავდა ჭაბუკი მებადური:

ის მკლავებში მოემწყვდია ფარნას.

— გთხოვ მეთქი შე შენ; ბიჭო ბათუ, დამშვიდდი, გესმის თუ არა, ფარნა გეუბნები—ამ დროს ისევ გამოკრთა ღრუბლებში ელვა და ბათურიამ დაინახა ფარნა.

მამასავით თხოვდა, თხოვდა ბათურიას და მის თვალებში უზომო სიყვარული და ვედრება მეღავნდებოდა. ბათურია გონს მოვიდა:

„ვისა? ფარნას? ფარნას როგორ აწყენიებს? ოღონდ მურადი უფრთხოდეს, მურადი! ყველას ახსოვს, რომ ბათურია აფხაზია და აფხაზის ბტრობა არაა ადვილი!" უკანასკნელი სიტყვები ყვირილით გამოთქვა ახალგაზრდა მებადურმა და დამორჩილებული ტყისკენ გაემართა. ორი ჩაფარი სწრაფად გაჰყვა.

— ჰეი, არ გაგექცეთ!—მიაძახა მურადმა ჩაფრებს, რომელნიც ლამეში უკვე აღარ ჩანდნენ

— ახლა შენ. ბებერო... ეს ვინლაა?—მურადმა კარდემია შენიშნა.

კარმედია შორი-ახლო იდგა.

— მეზობლის ბიჭია, ბადეობაში გვეხმარებოდა.

— კარგი. შემდეგ გამოირკვევა... აიღეთ თქვენი ბადე და მოგვყევით!

— მურად ნეთქი, სამართლიანობა ითითხოვს...—მშვიდად დაიწყო ფარნამ, მაგრამ მურად-ჩაფარმა დასჭყიტა:

ჰაატ შე გაიძვერა! რომელი სამართლიანობა! ქურდულად ბადეობ, ბეგარას არ იხდი. ქურდი ხარ, ქურდი, კიდეც დაგიჭირე ქურდობაზე...

— ტყუილი შე წყეულო!—ერთბაშათ იყვირა ჭალარა მებადურმა. მას არ ახსოვს შემდეგ რა მოხდა.

ელვამ გაჰფანტა ღრუბლები და ცაზე კიდევ იკლაკნებოდა ნისი ნაკადი. მურადის ხელში სტვენით აიმართა მათრახი და ფარნას, თითქო ცეცხლით ამოსწვესო, შუბლი და ლოყა აეწვა.

— „ვაი სიბერეო შერცხვენილო"—სინანულივით მარტივი გრძნობა აიგზნო და ჩაჰქრა. მეხიც გავარდა. მერე სხვილი წვეთები ეცემოდა ფარნას სირ-

ცხვილეულ შუბლსა და ლოყაზე, თითქო წვიმას შეურაცყოფის ჩამორეცხვა შეეძლო.

არა! არა! წვიმა თავისთვის შხუოდა, და, როცა ჭალარა მებადურის გონებაში ელვასავით ანთებული თავგანწირვა ერთბაშად სწოხიდა მთელ სიცოცხლეს, რომელიც არ ღირდა ასეთ შეურაცყოფად, როცა გაცოფებული მურადი სიკვდილით იმუქრებოდა და აღელვებულ ჩაფრებისაკენ იხედებოდა, ფარნამ ბებუთი იძრო და სამჯერ ჩასცა მურადს მკერდში.

მურადი დავარდა.

ჩაფრები სროლით მისდევდენ ჭალარა მებადურს და ჭალარა მებადური გარბოდა სადღაც, მგონი ტყისაკენ. მას ამ დროს ახსოვდა მისი მსხნელი ბებუთი, მარტო ბებუთი.

ჩაფრების სროლაზე ტყეშიაც გავარდა თოფი; ის შორიდან სუსტად მოისმა, უთუოდ ბათურიას თანხლები ჩაფრები იყვნენ.

შემდეგ სროლა მიწყნარდა და ადამიანების ხმა გაიკმიდა.

წვიმდა.

მაღლა მიფრინავდენ აფორიაქებული ზღვის ფრინველები და ისმოდა მათი ერთმანეთის ძახილი, ზღვის პირად კი, ბაიდის გვერდით, პირქვე ჩამხობილი ეგდო მურადი, რომელსაც წვიმის წვეთები ულვაშებში სილას აშხეფებდა.

ამბავი პირველი

ფერწასული მაგდა უსმენდა კარდემიას. ქალს თავზარი დასცემოდა, თვალი გაჰყინოდა და ვერ მოესაზრებია რას ეუბნებოდენ:

— არ მითხრა კარდე, არ მითხრა კარდე, კარდე...— ოდნავ ბუტბუტობს ქალი.

— ხელში შემოაკვდა... გეიქცა... მგონია დაჭრეს... ბათურია მგონია დაჭრეს... იძახდა აღელვებუ-ლი კარდემია. მაგდანას უეცრად სინათლე მოეცა თვალებში და ლოყები გამწარებით დაიკაწრა:

— ვააიმე! ვააიმე!—ჰკიოდა მაგდანა.

თუმცა შორს იყო განთიადი, მაგრამ ჩაესმათ თუ არა მეზობლებს მაგდანას კივილი, ხელათვე მოცვივდნენ მაგდანასთან. მოვიდა შეაფქიოის ცოლი ედუკი და მასთან ერთად თავი შემოჰყო კოლვა კონანმა.

ქალები შემოეხვიენ მაგდანას და ამშვიდებდენ როგორც შეეძლოთ, მაგდანას თმები აწეწოდა და ლოყებზე სისხლი სდიოდა; მეზობლებს გული ეწოდათ, ჩუმად ტიროდენ. კარდემიას ქალები და ხნიერი კაცები ეხვია ირგვლივ და ახალგაზრდა მებადური დაბნეულად ჰყვებოდა სამწუხარო ამბავს.

კოლვა რამდენიმე ხანი იდგა და შეუმჩნეველად ზეერავდა კარდემიას, რომელსაც მაღალი ჩექმები ეცვა, როგორსაც მებადურები ატარებენ და ქუდადაც მებადურული საწვიმური ეხურა.

არ გასულა ნახევარი საათი, ფარნას ეზოს ჩაფრები შემოერტყა. მათთან იყო კოლვა კონანი, რომელიც ჩაფრების თანხლებით სახლში გაემართა. სახლში კივილი არ შეწყვეტილა, ოღონდ ჩაფრები შენიშნეს და მოემზადენ; როცა კოლვამ კარები გააღო და ჩავარდნილი თვალები მოავლო იქაურობას, მან მაგდანა ვერ დაინახა.

— კარდემია დაატუსაღეს.

— ფარნას ქალიშვილი სადღაა ხალხო?

— მაგდანა, მაგდანა!—აშკარად ბუტბუტებდა კონანი და ოთახებს ჩხრეკდა. მერე ეზო გაჩხრიკეს. მაგდანა არსად იყო. წარბ-შეჭმუხვნილი ხალხი ავი თვალით მისჩერებოდა კონანს. ხალხი წავიდ-წამოვიდა.

განთიადზე ჭალარა მებადურის სახლში ცეცხლი ავარდა. მურიკო ნაღვლიანად შეჰღმუოდა ცეცხლს და ჩაფარმა, რომელიც ეზოს დარაჯობდა, მურიკო გადენა; მაშინ მურიკო იატაკ ქვეშ შეძვრა და დაიწვა.

კოლეა კონანი კი მეაფქიოის ოჯახში არ დაბრუნებულა და ამის შემდეგ ის ქალაქშიაც არავის უნახავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამბავი მეოთხე

ფარნა გარბოდა და ჩაფრები მისდევდენ. წვიმდა, ბნელოდა თან. ამ წვიმასა და სიბნელეში ჩაფრები ვერაფერს ხედავდენ და მხოლოდ ელვის ნათელზე წამით გამოჩენილ მებადურს ალალ-ბედზე ესროდენ.

ფარნა შორი-ახლო გრძნობდა ტყვიების მშვიდობიან ზუზუნს და სიხარულით ივსებოდა.

ტყეც ახლოს იყო.

ერთხელ კიდევ გაანათა ელვამ მებადურის ზურგი და ჩაფრებმა მას თოფები დაახალეს, მაგრამ ფარნას ხიფათი არ გაჰკარებია: მან თავი ტყეს შეაფარა. ცხადია ტყეში ჩაფრები ვერას დააკლებდენ, მაგრამ გამოცდილ მებადურს ეშინოდა გზები არ შეეკრათ და ის კვლავ გარბოდა.

დიდხანს ირბინა ფარნამ. ტყე ნაცნობი იყო და ნაცნობ ტყეში ყოველი ბილიკის გეზი იცოდა. ყველაფერზე ფიქრობდა ამ დროს ჭალარა მებადური. ფიქრობდა მაგდანაზე, ბათურიაზე, მოკლულ ჩაფარზედაც ფიქრობდა და ფიქრები ერთმანეთში ირეოდა, წყდებოდა უეცრად და უეცრადვე დგებოდა კვლავ.

ბოლოს ტყე შეთხელდა; ტყის გვერდით გამოჩნდა მდინარე. ფარნა მდინარეზე უნდა გადასულიყო და სამშვიდობოში იქნებოდა, მაგრამ გზის შეკვრისა რომ ეშინოდა—სწორედ ეს ადგილი იყო.

„— ჰაი ბიჭო ფარნა, თუ მოგკლეს!"—შეეჭვდა წუთში მებადური, მაგრამ ხელათვე მოაგონდა, რომ ვილაც ჩაფარს შეურაცყოფა არ შეარჩინა და ჭალარა მებადური გამხნევდა, გამხიარულდა: ჯანდაბას თუ მომკლავენ, ჯანიც გავარდნია"...—გადასწყვიტა ფარნამ და სირბილი არ შეუნელებია—ისე გავიდა მინდვრის პირად.

წვიმდა.

ფარნამ საჩქაროდ გაიძრო ჩექმები, ახალუხი გაიხადა, ქამრით ზურგზე დაიმაგრა და მდინარეში ცურვით გადაეშვა.

მეორე ნაპირზე ფარნამ უფრო დამშვიდებით განაგრძო სვლა.

სიარულში გაათენა და სიარულშივე დაალამა ფარნამ. ტყე-ტყე მიდიოდა; და მხოლოდ მეორე დღის რიჟრაჟზე, როდესაც ღრუბლებით დატვირთულ ცას ოდნავ გაეცალა ღია ფერადები და ბურში ქვეყანა ალმოჩნდა, ჭალარა მებადური შევიდა სოფლის ორღობეში. მებადურმა ერთ ეზოს ირგვლივ შემოუარა, დაზვერა და ეზოში გადახტა. ძაღლები გაავებული ყეფით მისცვივდენ ფარნას.

— ჰაუ, ჰაუ!—ხმა მიაწოდა ძაღლებს მებადურმა და ძაღლები დაცხრენ, ალერსით შემოეხვიენ მას.

— რომელი ხარ?—კარები გაიღო და თავაზიანად იკითხა მამაკაცის ხმამ.

ფარნა უსიტყვოთ მივიდა. მამაკაცი გაოცდა. ხელები გაშალა და მებადურს მოხვია:

ბიჭო, ფარნა ხარ შენ? ფარნა?—სიხარულით ბუტბუტებდა მოხუცი, ილიმოდა, თან თვალებზე ცრემლები ადგებოდა.

— როგორ ხარ ბიძა ჩემო!—დაღლილად გაიღიმა ფარნამ.

— მადლობა ღმერთს, შვიდობით გხედავ...—ისევ თავისას ბუტბუტებდა მოხუცი.

ამ დროს კარები კვლავ გაიღო და სახლიდან სასიხარულო ძახილით გამოეშურა მაგდანა:

— მამა, ჩემო მამა!—მაგდანა ჩაეკრა მებადურს.

ქალს მამის მკერდში თავი ჩაერგო და ტირილისაგან ხმა ეთრთოდა.

— კაი შვილო გეყოფა...

— გეყოფა შვილო მაგდანა, გეყოფა...

ქალებიც გამოსულიყვენ სახლიდან, ბავშებიც და შემოხვეოდენ მამა-და შვილს. ბოლოს აღელვებულნი სახლში შევიდენ. ფარნა მაგდანას ამბავს ჰკითხულობდა და სხვები მისას.

— ჰო, მამა სახლი გაგვიჩანაგეს, მარა ხალხი დამეხმარა და აქეთ გამომაპარეს...

— კარგი შვილო, ნუ ტირი...

— ბათურია?...

დალონდენ. ამბობდენ დასჭრეს და დატუსაღებულიაო. ნამდვილი არ იცოდენ.

— კარდეც დაჭერილია...

— აწი რას აპირობ ფარნა?—ჩუმად იკითხა მოხუცმა ბიძიამ.

მაგდანა განუწყვეტლივ იცრემლებოდა.

— ხომ არ იცი ბიძია, ლაზური სანდალი სად არის?—კითხვითვე მიმართა ფარნამ მოხუცს და რა უპასუხეს: „ჰო მართლა, სანდალი აქა დგას და მეაფქიოეც აქ არისო“,—ყველამ თავისუფლად ამოისუნთქა. მეაფქიოესთან კაცი აფრინეს. მეაფქიოე მოვიდა.

— კეთილი, კეთილი!—ამბობდა მეაფქიოე—ამ საღამოს ლიმანში მივდივართ... რა ბძანებაა, სტუმართ-მოყვარეობა მოვალეობაა...

სანდალი იმ ღამესვე მოიხსნა. იგი გაემართა ლაზურ სანაპიროებისაკენ და თან ფარულად წაიყვანა ფარნა, ჭალარა მებადური.

იმ დროს, მსუბუქად დაჭრილი ბათურია სატუსაღოში იმყოფებოდა. თურმე, ბათურიას რომ სროლა გაუგონია: მივეშველებიო—უფრქრია და გაქცეულა, მაგრამ ჩაფრებს ის ფეხში დაეჭრიათ და დაჭრილი წაეყვანათ სატუსაღოში.

მნიშვნელოვანი ამბები

ამ ამბების შემდეგ თვენახევარი-ღა გავიდა.

ნავთსადგურის მტვირთავები გაიფიცენ.

ხე-ტყის ქარხნის მუშები გაიფიცენ.

ნოქრები გაიფიცენ და ქალაქი გამოიცვალა. ველარ დადიოდენ თამამად პოლიციის მოხელეები. მათ ბავშებიც დასცინოდენ. ქალაქის უბნებში შესდგა კომიტეტები. სასამართლოები, შესდგა რაზმები, და როდესაც ქუჩაში რაზმელთა გუნდი ჩნდებოდა, პოლიციელები იმალებოდენ.

ამგვარადვე იყო საქმე სოფლებში და შორეულსა და მახლობელ ქალაქებში.

დატუსაღებულ კარდემიას ხელისუფლებამ გამოუცხადა:

— შენ ძმობილო, ბრალი არ გქონია, თავისუფალი ხარ-ო და გაუშვეს.

მეორე კვირას ბათურიაც გაანთავისუფლეს:

— უდანაშაულო ხალხს როდის ვსჯიდით, ეხლა რომ დავსაჯოთ-ო.

ბათურიამ ჩაიცინა და წავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასასრული

სქელი და ბარდიანი ტყე მდუმარედ ამართულიყო ფართე შარა-გზის ორივე მხარეს.

ტყეს შარაზე გამოეშვირა შტოები და შტოებზე ელვარებდა მწიფე მაყვალი. შესახვევში მამაკაცის სიმღერა და ცხენების ფლოქვების ცემა გაისმა და მალე ავარდნილ მტვერში გამოჩნდა ორი ცხენოსანი.

„მაყვალს გიგავს თვალებიო დელიო ოდელა“—მღეროდა კარდემია.

ბათურიას დინჯათ მოჰყავდა ცხენი. შეიარაღებული იყვნენ ცხენოსნები.

ცხელოდა.

მზე დასწოლოდა ლარიევით წრფელ შარა-გზას, რომელიც თვალუწვდენელ ლიბრსა და მსუბუქ ცაში ილეოდა.

შეუმჩნევლად, შორს შარა-გზაზე ბუღი ავარდა. ცხენოსნებმა ბუღი შენიშნეს და ბათურიამ მათრახი აიქნია; ცხენები ათოხარიკდენ. კარდემია არ მღეროდა.

— რატო არ მღერი ბიჭო!—ჰკითხა ბათურიამ კარდეს.

— რავა, შენ გგონია შემეშინა თუ?

— არა, რავა გეკადრება!—დაბეჯითებით მიუგო ბათურიამ და ჩუმად ჩაიცინა.

ეს ის დრო იყო, როცა სიხარულით ატორტმანებულ დაბებსა და ქალაქებს შესეოდენ დამსჯელი რაზმები: რაზმები ნელა მოიწევდენ განაპირა მხარეებისკენ და მათ მიერ განვლილ გზებიდან ყრუდ მოისმოდა ნგრევის ხმა.

განაპირა მხარეებში იდგა ჩოჩქოლი.

განაპირა მხარეები დღე-დღეზე მოელოდენ დამსჯელ რაზმების გამოჩენას.

მოელოდენ და წინასწარ ამბების შესატყობად მეზობელ დაბებში მარჯვე ბიჭებს ჰგზავნიდენ.

ბათურია და კარდემიაც გაგზავნილები იყვნენ.

ბუღი გაიზარდა შარა-გზაზე და ბუღში გამოჩნდა ქვეითი ხალხი.

— ვილაც მოყავენ...

— ჩვენებია, ჩვენებია...

ცხენებს აუჩქარეს. ქვეითი ხალხი ახლოვდებოდა. უეცრად ბათურიამ შუბლზე ხელი მიიფარა და გაკვირვებულმა მიმავალთა თვალიერება დაიწყო.

— რა იყო ბიჭო, ბათურია?—იკითხა კარდემიამ.

ბათურია გაფითრდა და შუბლზე მიფარებული ხელი ოდნავ აუცახცახდა.

— ჰო, რა იყო მეთქი კაცო!—კარდემია ხან ამხანაგს შესცქეროდა, ხან კიდეე მომავალთ, მაგრამ პასუხი ვერ მიეღო.

„რა იქნება ნეტაი?“—ფიქრობდა თავისთვის კარდემია: „რაზმს ტუსაღი მოყავს; ან ქურდ-ბაცაცა იქნება ვინცხა, ან სხვა რომელიმე მოლალატე“.

ამასობაში ბათურიამ ცხენს მათრახი გადაკრა და გაქროლა. კარდემიაც გაჰყვა.

— მიცანი თუ არა მოღალატე!—დაუძახა ტუსაღს ბათურიამ და ცხენი შეაყენა.

ქვეითნი შესდგენ; ტუსაღი თავჩაღუნული იდგა.

— ეგება მართლა?—სიხარულით ამბობდა კარდემია და ტუსაღს თვალს არ აშორებდა: ბოლოს ცხენიდან ჩამოვიდა, ტუსაღს თავი აუწია და თვალებში ჩახედა.

— კონანია, კონანი,—იძახდა კარდემია.

მართლა კონანი იყო. მას ფერი წასვლოდა, სახეზე ოფლი და მტვერი არეოდა. როცა კარდემია თვალებში მისჩერებოდა კონანმა სცადა გაღიმება, მაგრამ ვერ შესძლო და მხოლოდ ტუჩები აუმოძრავდა.

— სად მიგყავთ!—იკითხა ბათურიამ.

უპასუხეს:

— ქალაქში მიგვყავს, გასასამართლებლად.

მაშინ ბათურია ცხენიდან საჩქაროდ ჩამოხტა:

— არა—ეუბნებოდა ბათურია—არაა ახლა ამის დრო. უკეთესია—აქ მოგიცადეთ...

ამ სიტყვებით ბაოურიამ კონანს ხელი ჰკრა და ტყისაკენ მიაბრუნა.

— რას შობი კაცო!—შეშინდა ერთი ქვეითი.

ბათურიამ მხოლოდ თვალები გადააბრიალა: თვალები სისხლით ავსოდა.

— თავი დაანებე, აფხაზია!—ჩუმად ეუბნებოდა კარდემია ქვეითებს.

ქვეითნი თავს იმართლებდენ:

— ჩვენ ვერ შევძელით, თვარა გვითხრეს, თუ გინდათ გზაშივე მოკალითო.

ბათურიამ კონანი ტყეში შეიყვანა.

გრილი სიბნელე იდგა ტყეში.

— არ მიხარია უიარაღოს რომ შეგხვდი კონან, მარა შენ იარაღის ღირსიც არ ხარ. აბა, წადი!

კონანმა ორი ნაბიჯი გადასდგა და მეტი ვერ შესძლო, ის მთვრალივით დაბარბაცდა, მაგრამ სანამ თავისით დაეცემოდა ბათურიამ თოფი ესროლა და დააგდო. ბათურია დაღვრემილი გამოვიდა ტყიდან:

— იქ აგდია, თუ გინდათ მოუარეთ!—ცხენზე შეჯდა და წავიდა.

მაგდანა მოელოდა ბათურიას.

ფარნა კი სანდალზე მსახურობდა. სანდალი ეხლა მხოლოდ ლაზთა სანაპიროებში ცურავდა, მაგრამ ჭალარა მებადურს იმედი ჰქონდა, რომ ოდესმე, როდესაც ქვეყანა დაწყნარდება, დროგამოშვებით მაინც, ისე როგორც ძველი მეაფქიოე, ინახულებდა მებადურთ-უბანს, ინახულებდა მაგდანას, ბათურიას, და, ვინ იცის, იმათ მოდგმასაც.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გულქან*)

რომანი

XI

ნაწილი პირველი

მშვენიერი კვირა დილა გათენდა. მზემ დაფერა ბაკურიძის განიერი ეზო. სხივები დილის ცვარში გაიბნენ და მწვანე ბალახს ალმასების კუნწულები დაეკიდენ. ბაკურიძე დიდ ფაციფუცში იყო. ის იმ დღეს სტუმრებს ელოდა. მოურავი შიუკა ბოსელს უკან ატყავებდა როდამ კვესაურის ძროხას და პირის წლაკუნით გაიძახოდა:

— იფ, ძაან საჭმელი ხორცი აქვს ამ დალოცვილს! რა მსუქანი ყოფილა. ხბოიანი მეწველი ძროხა და ასე მსუქანი მეტი არ მინახავს.

სხვა მოსამსახურეები მის გარშემო ფართი-ფურთობდენ, ვის წყალი მიჰქონდა ჩაფით და დიდ საარაყე ქვაბს ავსებდა, სამზარეულოში შუა-ცეცხლზე, ძროხის ხორცის ჩასადგმელად, ვინ ძალლებს უგერებდა დაკლულ ძროხას, ვის ასოასოთ აქნილი ძროხის ხორცი მიჰქონდა მარანში და იქ გრილათ ჰკიდებდა ხის ბორჯღით კაკვებზე, ვინ ძროხის ტყავს ჰჭიმავდა გასახმობათ დამწვეტებულ ხის ჭოგრებით; იქვე ორი მოახლე ძროხის შიგნეულს ხევის წყალში რეცხდა და ასუფთავებდა მოსახარშავათ; თან ერთმანეთს ეუბნებოდენ:

— ქალბატონს და გვრიტოს ძალიან უყვართ მოხარშული წელები და ფაშვები.

— გვრიტოს უფრო ღვიძლსა და გულზე მიუდის სული.

— ქალო! ცხრა-წიგნა კარგათ გადაფურცლე, შიგ არა დაგრჩეს რა, თვარა მაგ წყეულმა მიმალვა იცის უწმინდურობისა. მერე ხომ იცი, ქალბატონი რავარი გულზიზღიანია, თუ შენიშნა რამე, შავ-დღეს დაგვაყენებს.

ნაგაზები, წევრები და მეძებრები მისეოდენ დაღვრილ სისხლს და სლაქავდენ; ზოგს ნაწლევების ნაწყვეტები გაეტაცნათ, ზოგი ბუშტის ნაგლეჯებს შეექცეოდა ხან და ხან ერთმანეთში ჩხუბი მოუვიდოდათ, ხორხალს და ღრიანცელს შექმნიდენ, მაგრამ იქვე იდგა მეკურდღლე ბიჭი და ყურს უგდებდა, რომ მწევრები ნაგაზებს არ გაეთელათ.

*) იხ. „მნათობი" № 5 – 6.

ბაკურიძე აივანზე დადიოდა და ხშირ-ხშირათ უძახოდა ხან ერთ მოსამსახურეს, ხან მეორეს, ყველას აფრთხილებდა, სტუმრებისათვის პატივი ეცათ, უყურადღებობით არა დაეგვიანებიათ რა და ყოველნაირ თავდარიგს ახდენდა. იმ დღეს სულ ცოტა, ორმოც კაცს სტუმარს მაინც მოელოდა, რადგან იმ სოფელში მარიამობის დღესასწაული იყო და ბაკურიძე ყოველ წლობით იხდიდა ხოლმე ამ დღეობას.

ანასტასია ბაკურიძისა ირთვებოდა თავის ოთახში: ჯერ წირვის მოსასმენათ ემზადებოდა და მერე წირვიდან სტუმრებს ერთათ გამოუძღვებოდა თავის სახლში. გვრიტო აღტაცებაში იყო, რადგან ის დღეს პირველათ იცვამდა ახალ შეკერილ წითელ ყანაოზის კაბას და მას ცალკე ცხენს უკაზმავდენ წითელი მოქარგული ასლით და ოქროუნა ვერცხლის ლახტით მორთულსა. ის მეათე წელში გადადგა და მამა უპირებდა შემოდგომაზე ქ. ქუთაისა წმინდა ნინოს სასწავლებელში პანსიონერათ მიბარებას.

ამ დროს წირვის დარეკეს და ზარების ხმა ოდნავ შამოესმა ანასტასიას, რომელმაც აღაპყრო თვალები ღვთის მშობლის ხატისკენ, გამოისახა სასოებით პირჯვარი და წაიბუტბუტა:

— მესმა, უფალო, ხმა შენი და გაანათლა გონება ჩემი.

— დედა, წირვის დარეკეს, წირვის!—შემოვარდა ამ დროს გვრიტო დედის ოთახში მორთული და გამოკოპწიავებული. ის ძალიან შვენოდა წითელ ყანაოზის კაბაში, თავზე ოქროთ ნაკერი ბლონდის ლეჩაქი აფხაზურათ ჰქონდა გაკეთებული. სქელი წაბლის ფერი თმების კავები ყურებზე ჰქონდა გადახვეული და შვენივრათ ახამებდა მის გაბდღიალებულ სახეს.

— ანასტასია, თუ გინდა წირვაზე წასვლა, ბარემც გამობძანდით.—მოისმა რიხიანი ხმა ბაკურიძისა.

— ცხენები და მხლებლები გიცდიან.

ამ დროს ეზოში იდგა ბარე თორმეტიოდე შეკაზმული ცხენი, ზოგი ასლებიანი და ლახტებიანი, ქალისა, ზოგი ვერცხლით მოჭედილი უნაგრებითა. ბაკურიძეს წინდაწინ მოსვლოდა ვაკე იმერეთიდან და გურიიდან მახლობელი ნათესავები და სახლიშვილები.

მორთული ქალი და კაცი გამოეფინენ აივანზე. მათ წინ მოუძღოდა ანასტასია ბაკურიძისა, ოქრომკედით მოქარგული წითელი გულის პირით, ქართულათ მორთული; ტანზე ეცვა მწვანე ხავერდის ქათიბი, მდიდარ თავსაკრავზე წინ ებნია ორი თხილის სისხო მარგალიტის თავებიანი ქინძისთავები. ლეჩაქ ზემოთ ეხვია თეთრი ბაღდადი და პირი სამგზავროთ აკრული ჰქონდა. მას გვერდით მოუთამაშობდა გვრიტო, უკან კი მოსდევდენ ბაკურიძიანთ სახლის-შვილი სტუმრები ამალათ. მასპინძელი და სტუმრები შესხდენ ცხენებზე და გაემგზავრენ. გვრიტოს წინ ფარეში მიუძღოდა, რომელსაც ცხენის აღვირზე ჰქონდა ხელი ჩაკიდებული.

იმ დროს საქალე უნაგირები ჯერ კიდევ შემოღებული არ იყო და ქალები კაცურათ ისხდენ ცხენებზე. გვდიტოს დიდებში მოჰქონდა თავი და სიხარულისაგან აღარ იყო; ხშირათ ჰიმავდა ცხენს თავს, რომ რახტის ფიფინაქებს გაეღარუნებინა და ეს მას ძალიან ართობდა.

ეკლესიაზე მიმავალნი დიდი ხანია ჭიშკარში გავიდენ და ხშირ ტყეს მიემალენ. მხოლოთ ახლა მოითხოვა ბაკურიძემ პირსაბანი წყალი და მასთან ოჯახის დალაქი წვერის მოსაპარსავათ. შემდეგ გამოეწყო თავის ნიკოლოზის დროის წითელ მაღალ საყელოიან და ყურთმაჯებიან მუქი მწვანე ფერის ფუნდერში, რომელსაც მხრებზე ცოტა გახუნებული ჯინჯილებიანი ყვითელ-ფეხებიანი ესხა, მოითხოვა ბედაური და შიუკას ერთხელ კიდევ მისცა [illegible] ბოურავმა ცხენის სადავე დაუჭირა და აბჯანდი *) დაუწია; ამ სახით ბაკურიძე შეხტა ლურჯაზე და გაუდგა ჭიშკრისკენ. განიერი ფაფანაკი ოთხკუთხათ ეფარა კეფა გაბელატებულ თავზე, რომელსაც უკან ძირში ჩამოჰკიდებოდა რამდენიმე გაჭაღარებული და დახუჭუჭებული თმა.

— ბიჭო!—შეჰძახა ბაკურიძემ, ჰკრა ქუსლი ცხენს და გაეშურა ჭიშკრისაკენ,—ქესა ყალიონი არ დაგავიწყდეს! ბიჭი გამოეკიდა ქვეითათ ცხენოსან ბატონს გძელი თუთუნიან ქისით, რომელშიაც ჩადებული იყო გძელტარიანი ყალიონი.

ბაკურიძე რომ საყდარზე მივიდა, წირვა დიდი ხნის გამოსული იყო. გალავანი გაჭედილი იყო მოდღესასწაულე ხალხით; საქალებოს წინ ბეგზე გადმომდგარიყვენ თავადიშვილის ქალები და უცქეროდენ ხალხის მხიარულებას. მათ მოშორებით, საყდრის განის კარებთან შექუჩულიყო თავად-აზნაურობა. შამოვიდა თუ არა საყდრის გალავანში ბაკურიძე, ხალხმა გზა მისცა.

— ბაკურიძე მობრძანდაო! — გაისმა ხალხში, რომელშიაც მომეჯებული ნაწილი მისი ყმები იყვნენ და ყოველ მხრით უკრავდენ თავს.

ბაკურიძე ცხენდაცხენ მივიდა იმ ადგილას, სადაც მოგროვილიყვნენ იმ სოფლის სხვა და სხვა ოჯახში სტუმრათ მოსული თავად აზნაურები, ჩამოხტა ცხენიდან, რომელიც თავის მხლებელს მიაბარა და პატივისცემით მიესალმა საზოგადოებას, რომელმაც თავის მხრით მადლი გადაუხადა და მიულოცა დღესასწაული.

შემდეგ ბაკურიძე შევიდა საყდარში, ცოტა ხანს იდგა ღვთისმშობლის ხატის წინ, ტუჩებს ანძრევდა, თვალებს ზეცისკენ აპყრობდა, პირჯვარს იწერდა და მუქს გულში იბრაგუნებდა, ეტყობოდა, რომ გულმოდგინეთ ევედრებოდა თავის სალოცავს. მერე ემთხვია ხატებს და გამოვიდა გარეთ.

საყდრის გალავანში დიდი მოლხენა იყო. ზოგან ფერხული იყო გამართული, შიგ ჩაბმულიყვენ ქალი და კაცი და იმღეროდენ „ორი დელა, შემოუარეთო!“ ზოგან ჯგუფ-ჯგუფათ იდგენ, ქალები და კაცები ტაშს უკრავდენ და საცეკვავს იმღეროდენ, იქვე წრე გაეკეთებინათ და ქალ-ვაჟი თამაშობდენ. ერთგან ჯირითი გაიმართა: თავად-აზნაურობა გაიყო ორ ნაწილათ და ერთმანეთს იწვევდენ ცხენდაცხენ ჯირითში. ერთი მხრიდან გამოაჭენებდა ახალგაზრდა ცხენოსანი და მსწრაფლ უკან გააბრუნებდა ცხენს, მას გამოეკიდებოდა მეორე და სტყორცნიდა ჯირითს; პირველი ცდილობდა, ნატყორცნი ჯირითი აეცილებინა თავიდან, ხშირათ მოხდებოდა, რომ უკან დაბრუნებული და გამოქცეული ცხენოსანი უცბად მოტრიალდებოდა და პირდაპირ სტყორცნიდა ჯირითს.

*) უხანგი.

ამ დროსგატარებაში ერთი უბედურება მოხდა: თავადმა მხეციამ თავად ჩიჩუას ჰკრა ჯირითი, რომელმაც უნაგრის უკანა ტახტა შეამტვრია და ისეთი მწარეთ მოხვდა კუკუხოზე, რომ ჩიჩუა გადმოვარდა ცხენიდან და მკლავი დაუშავდა. შეიქნა არევ-დარევა. თავად ჩიჩუას მომხრეებმა ჩხუბი მოუნდომეს თავად მხეციას მომხრეებს და ბაკურიძე რომ არ გარეულიყო და ორივე მხარე არ დაეშოშმინებინა, ბევრი უბედურება მოხდებოდა. აქა-იქ ხმალიც გაიელვა, მაგრამ მადლობა ღმერთს, სისხლი არ დაღვრილა.

დაშოშმინდა ჩოჩქოლი. სტუმრები წავიდ-წამოვიდენ. ბაკურიძეს და ანასტასიას სამოცი ცხენოსანი გამოჰყვა. ბევრი მათგანი დაუპატიჟებელიც იყო, მაგრამ ეს ბაკურიძემ პატივისცემათ მიითვალა, რადგან გულში ფიქრობდა, ალბათ სხვებთან წასვლას ჩემთამ მოსვლა არჩიესო და ამით დარწმუნდა, რომ მისი ოჯახი ყველაზე უფრო დიდებული იყო, რადგან ყველაზე მეტი დაუპატიჟებელი სტუმარი იმას მიუდიოდა ყოველ წელს. ცოტა ხანს იქით ბაკურიძის ეზო ცხენით და კაცით აივსო. მან მაშინვე გასცა ბძანება, დიდი თივის ზვინი წაექციათ, სტუმრების ცხენები მშიერი არ დარჩენო.

სადილათ სასტუმრო დარბაზში დასხდენ სამოცდა ათი კაცი, გარდა სტუმრების შინაყმებისა, რომელთ რიცხვი ოცდა ათზე მეტი იყო. ისინი ცალკე ისხდენ მოლზე გაშლილ ხის ტაბაკებით. სტუმრების შინაყმებს ბაკურიძის მოსამსახურეები აძალებდენ ღვინოს.

ლხინი ძალიან დიდხანს გაგძელდა. დიდი სიმღერის ხმა გამოდიოდა სასტუმრო დარბაზიდან, მაგრამ მოსამსახურეებსაც დიდი მხიარულება და სიმღერა შეექნათ გაშლილ მინდორზე ლაჟვარდ ცის ქვეშ. აქ, ამ წმინდა ჰაერში, უფრო მეტი ღვინოც შეისმებოდა. სტუმრები ისე შეექცენ ლხინს რომ თემობაც გამოეპარათ სადილს უკან საყდარზე, თუმცა იქიდან საყდრის ბუკის ყვირილი ხშირად მოდიოდა ბაკურიძისას. ალბათ ხალხს იწვევდნენ საყდრის გალავანში ბურთის სათამაშოთ. დაღამდა ის დღე და სტუმრები არ ამდგარან სადილიდან. რომ შებინდდა, მხოლოთ მაშინ გააჩინეს დიდი ყანწებით ღვინის სმა. ეზოში მოქეიფენიც არ აკლებდენ ხელს; ისინი თუ მეტს არა, ნაკლებ ღვინოს არ ითხოვდენ ხელოსნისაგან. ქალები, რასაკვირველია, კაცებს თანასწორობას ვერ გაუწევდნენ მოლხენაში; ისინი დიდი ხანია წამოდგენ სუფრიდან, ზოგი ეზოში ისხდენ და მუზიკის ხმაზე ცეკვავდენ, ზოგი კი დაღალული, სხვადასხვა ოთახში განისვენებდენ. ბევრს სტუმართაგანს მოჰკიდებოდა ღვინო და სადღაც ეზოში დაგდებულიყო უგრძნობლათ, დარბაზში დარჩენილიყვნენ მხოლოთ ჭირვეული მსმელები და ერთმანეთს არ უთმობდენ ალაგს. თითოეული ცდილობდა თავის მოპირდაპირე აეყენებინა სუფრიდან და გაექცია. ბევრი კიდეც გაიქცა, დარჩენილიყვნენ ცოტანი, რომელთ არც ძრიელ დათრობას ეშველა რამე, არც სუფრიდან ადგომას.

ღამე კარგა ხანი იყო გასული. უეცრათ დარბაზში არა ჩვეულებრივმა სინათლემ შამოაშუქა. ამ დროს მოისმა ეზოში მყოფ ქალების კივილ-ჩხივილი და კაცების ჩოჩქოლი.

— არიქა, უშველეთ, ბოსელს ცეცხლი ეკიდებაო.

ყველა ამას იძახოდა, მიშველების თავი კი არც ერთს არ ჰქონდა. ბაკურიძე წამოხტა თოფ ნაკრავ დათვივით სუფრიდან, გარეთ გავარდა და შეჰძახა:

„შიუკა, ბიჭებო, არიქა მიშველეთ! ჩემი ბედაური, გვრიტოს ბაჩა, ანასტასიას კვანწია (ცხენის სახელი) მომეხმარეთ, გამოიყვანეთ!“.

მან მარდათ ჩამოირბინა კიბეზე და გაეშურა ბოსლისკენ, რომელიც ამ დროს მთელ სახურავზე მოდებოდა ალი. ბაკურიძემ დაინახა [illegible] ამოვლენა, ერთ წამს შედგა. „ეს რა ამბავიაო!—გაივლო მან გულში.—ბოსელს ძირიდან უნდა გაჩენოდა ცეცხლი და აქ კი პირდაპირ სახურავს მოკიდებიაო!“ მაშინვე მიხვდა, რომ ეს განზრახ გაჩენილია და ერთმა მწარე აზრმა ააღელვა მისი არსებობა:

„იმ საძაგელ პეტრიელას არ მოეხდინოს ეს ამბავიო“. ეს ეპვი რომ მართლა გამართლდეს, მერე სად უნდა წასელა იმ ჩემი ცოდვით სავსესო. კბილით დავგლეჯ, ლუკმა ლუკმა ავკუწავ, მის ოჯახს ავაფორიაქებ, დედა მისს ანძაზე წამოვაცმევინებ... მის დას ცხენის კუდზე გამოვაბმევინებ და ისე დავაგლეჯინებ ჩემ ბედაურს, თუ ღმერთმა ქნა და ახლა გადავარჩინე, ცეცხლში არ დამეწვა...“

ასეთი ბრაზმორეული სიტყვებით გაექანა ის და შეხედა, რომ ცეცხლს თანდათან უფრო გაჰქონდა გუგუნ-გუნი. შიგ დაბმულმა ცხენებმა თითქოს იგრძნეს რაც უბედურება მოელოდათ, შექნეს ჯიხვინი და ხვიხვინი, ფეხებს ბაგაზე უბრაგუნებდენ... შიუკა დიდი ხანია ზოგიერთ შინაყმებიანა შევარდნილიყო ბოსელში და ცდილობდა საჩქაროთ გამოეყვანა ცხენები გარეთ, მაგრამ არც ერთი მათგანი ადგილიდან არ იძვროდენ, ისინი მხოლოთ ერთ ადგილს ტრიალებდენ, და არ უნდოდათ გარეთ გამოსვლა, თითქოს უნდოდათ თავი შეეწირათ გეენია ცეცხლისთვის.

ამ დროს ბაკურიძე მიფარდა კარებთან.

„— შიუკა! ზარი უთხარით ცხენებს, ზარი, თვარა ისე ვერ გამოიყვანთ. ცეცხლის შიში აქვთ. თვალები აუფარეთ, ყურები დაუბუგეთ, რომ ცეცხლის ტკაცა-ტკუცი არ ესმოდესთ, იქნება მაშინ გამოიყვანოთ.

მართლაც ბიჭებმა აამაღლეს ზარის სიმღერის ხმა, თვალები აუფარეს და ცხენი თითქოს გამოერკვა, გამოვიდა გარეთ ბოსლის დერეფანში, იქიდანაც მალე მინდორში გააგდეს და ახლა ისევ შეტრიალდენ სხვა ცხენების გამოსაყვანათ, მაგრამ ამ დროს ჩამოინგრა დამწვარი სახურავის გადასაკიდეები და ლასტები, დააწვა ჭერს, რომლიდანაც ჩამოსკდა ძირს კომლი და ცეცხლის ალმა ლოკვა დაუწყო ჭერის ფიცრებს. ახლა კი ვეღარავინ გაბედავდა ბოსელში შესვლას.

— ვაი შენ ჩემო თავო, ცხენები დამეწვაო!- შამოიკრა თავში ხელი და თმა დაიგლიჯა ბაკურიძემ.

ამ დროს იგრიალა ჭერმა და ერთბაშათ კვამლი და ალი ბურქვად ამოვარდა და გაანათა ღამეში მიდამო მთა-გორები. გვრიტოს ხმა-მაღალი ტირილი მოისმა:

„— ჩემი ბაჩა, ჩემი კარგი ბაჩა... რაღა მეშველება. რაღაზე შევჯდე... რა კარგი თოხარიკი იყო...“

ბავშის წივილს შეუერთდა ქალების კივილი და ხალხის ჟრიამული, მთელი სოფელი მოატყდა ბაკურიძის ეზოს; დიდი რუზრუზი და ხმიანობა იყო. შავ ნაბადსავით ცეცხლს გარს შემოდგომოდენ, მაგრამ არავინ კი არის აკეთებდა. შიუკა ჭირისუფალსავით განზე გამდგარიყო და იძახოდა:

— ეაი შენ ჩემო ბატონის ცხენებო! ყველა თანაგრძნობის სიტყვებს ამბობდა: ზოგი ამბობდა ბოსლის ბუხარში ნაკვერცხალი დარჩენილიყო; ზოგი — ერთი სტუმრის ხლებულს ყალიონი აუბოლებია და ნაკვერცხალი უჩინრათ თივაში გადაუგდიაო; ზოგი კი—მტრობით არის ცეცხლი გაჩენილი. თვარა პირველათ ალი სახურავიდან როგორ ამოვარდებოდაო. ამ დასკვნას ერთი სოფლის გლეხი კიდეც ასაბუთებდა იმითი, რომ იმ დროს, როცა ალი პირველათ ამოვარდა ჭერიდან, ერთი ვინღაც ჩოხიანი დავინახე, რომ სოფლისკენ გარბოდაო.

ასეთმა უსიამოვნო შემთხვევამ ბაკურიძის სტუმრებს და მასპინძელს იმ დღის ლხინი წაამწარა. ცეცხლი გათენებამდის არ დანელებულა. ბაკურიძე ისე ბოსლის დაწვას არ შეუწუხებია, როგორც კარგი ჯიშის ცხენების დაკარგვას.

იმ დროს იმერეთში სახელგანთქმული იყო სახუცის ჯოგის შთამომავლობის ცხენები, რომელნიც ყარაბაღულისა და იმერული ცხენის ჯიშისაგან შთამომავლობდენ. განსაკუთრებით შესანიშნავი იყვენ წმინდა ოქროს ფერი, მორჩილი, ლამაზი თავ-კისრიანი და ირემსავით წვრილი ფეხებიანი ცხენები. ესენი იყვენ ლონიერნი, ჯაფის ამტანნი, მომთმენნი და სწრაფნი. ეს ჯოგი ახლა მემკვიდრეობით გადასულიყო თ. ალ. წერეთელზე. იმერეთ-გურია-სამეგრელოში ალექსანდრეს ან ნესტორის ჯოგის კვიცის მოპოებას დიდ ბედნიერებათ თვლიდენ და არც იქნებოდა სახელგანთქმული თავადი რაჭა-იმერეთში, რომ ნესტორის ან ალექსანდრეს ჯოგის მოდგმის ბედაური არ ბმოდა თავლაში, ანუ ბოსელში.

ბაკურიძე უფრო იმას ჯავრობდა, რომ ანასტასიას ცხენი, ოქროს ფერი ჭაკი ბედაური, პირ და პირ ნესტორის ჯოგიდან იყო გამოყვანილი და დედა ბაკურიძის ლაფშასი [1]), (ცხენის სახელი)· მას სასინანულოთ ის მიაჩნდა, რომ მისი ჯიშის ჭაკს ძნელათ თუ იშოვნიდა და უფრო იმას წუხდა, რომ მის ოჯახში ნესტორის ჯიშის ცხენები ალარ გამოიზდებოდენ.

XII

შემოდგომა მიწურული იყო. დასავლეთის ცივი ქარი ამოვარდა და უწყალოთ გლეჯდა ხეებიდან მათ გაზაფხულის მწვანე ხავერდის სამკაულს გამხმარი ყვითელი და ნარიჯის ფერი ფოთლები ირეოდენ ჰაერში.. ლაჟვარდ ცაზე დაგლეჯილ-დაფლეთილი თეთრი ღრუბლები მიეშურებოდენ ცის ბატკნების ჯოგივით დასავლეთიდან აღმოსავლეთისკენ და დღეს თუ ხვალ უქადდენ ქვეყანას ზამთრის თეთრ ქერქსა.

სუსხიანი დილა გათენდა. გარეთ ზამთრის პირის ქარი ღმუოდა და დრო-გამოშვებით ცივ წვიმის წინწკლებს აყრიდა არე-მარეს, თან ღონივრათ არყევდა ბაკურიძის ოდას. კედლები ისე საწყლათ კვნესოდენ, გეგონებოდათ,

1) ლაფშა—აფხაზურია; ნიშნავს დადინჯებულ ცხენს მამრობითი სქესისა.

საცა არის, ფეხს აუდგამს ამ ოდას და ქათმის საბუდარივით გადმოაბრუნებსო. ოდის ჭვრიტიმალები ალაგ-ალაგ ქაღალდ-გაუკვრელი დარჩენოდათ, და ამ ფარღალალებში ქარი მუდამ სალამურს უკრავდა. ოდის ბუხრებში ცეცხლს გიზ-გიზი გაჰქონდა.

ანასტასია ბაკურიძისა ტახტზე იჯდა, კალთაში პატარა, დაუჯდომელი გაეშალა და ტუჩებს აცმაცუნებდა. როგორც ეტყობოდა, ლაპარაკობდა ჰერ-დაპირ ერთ კუთხეში ხატების წინ წმინდა სანთელი ბჟუტავდა, რომლისკენაც ანასტასია დრო გამოშვებით აღმართავდა ხოლმე თავის შავ თვალებს და ისეთ ნაირათ დაჰნაბავდა, რომ გეგონებოდა, სწორეთ სასოებით გული წაუვიდაო. ეს იყო ნიშნათ მხურვალე ვედრებისა, შემდეგ უეცრათ შეჩერდებოდა, თითქოს ლოცვა გაწყვიტაო და რამდენსამე ხანს თვალებს მიაპყრობდა გაცხოველებულ ბუხარსა. მერე უეცრათ წამოიძახებდა:

„ღმერთო, ნუ გამირისხდები მე ცოდვილს, მე გარეწარსო! ფუჰ!!! დაწ-ყევლოს ღმერთმა ეშმაკი! რა დროს ამისთანების მოგონებაა! უფალო, შევი-ნანო მე შეცოდებანი ჩემნი ნებსითნი და უნებლიეთნი... ნუ მიაქცევ პირსა შენსა გარეშე ჩემსა!

ამ სიტყვებს შემდეგ ისევ სწრაფათ ჩახედავდა თავის დაუჯდომელში, ხელ-ახლა მოჰყვებოდა ბუტ-ბუტსა და პირჯვრის წერასა.

მეორე ოთახში ბუხრის წინ ხალიჩაზე მუხლები მოეკეცნა გვრიტიას. დაგ-ლეჯილი ხის ყდიანი დავითნი გადაეშალა და ჰკითხულობდა ისე ნელა და ხმა-მაღლა, რომ შორიდან გეგონებოდა, სწორეთ ჩონგურზე ამღერებენო. გვრი-ტიას შეჭმუხვნილი წარბები და ცრემლიანი თვალები ნათლად ხატავდენ, რომ წიგნის კითხვა იმას არასფრათ ეხალისებოდა და რომ მეორე ოთახში მჯდო-მარე დედის არ შინებოდა—ვგონებ ფერფლათ აქცევდა უმისოთაც დაფლეთილ დავითსა. ჩუმათ კი ხევას არ აკლებდა. როგორც რომ ცოტას შეჩერდებოდა, ვითომც შევისვენეო, მაშინვე ფურცლის ყურზე მოჰხევდა დავითსა და ჩაიდე-ბდა პირში, თითქოს თავის გაწვალებისთვის ჯავრს იმ დავითნის ნაგლეჯს აც-ხრობდა.—„ჰი, ჰი, ჰი! ეგრე მოგიხდება! კბილით უნდა დაგფხრიწო, დაგ-გლეჯო, ჩემო სიცოცხლის დამმწარებელოვო!

ამ სახით, სანამდის ერთ გვერდს გაიბეჯითებდა, ფურცლის ნახევარი დავითნში ალარ იყო და გამქრალ ნახევარ გვერდზე რაც ფსალმუნი ეწერა, უბრალო ქაღალდზე ხელ-მეორეთ უნდა დაეწერა ანასტასიას და წიგნში ჩაე-კრა. ის ბევრჯელ დაუსისხლიანებდა ხოლმე გვრიტოს ხელებსა:

შე მიწა დასაყარო, რატომ ხევ, რატომ არ უფრთხილდები მაგ წმინდა წიგნს, რომ სულ ნაფლეთების მეტი არა არის რაო! ნუ იცი ხევა, თვარა, გვრიტო ნუ მომიკვდება, მოგჭრი მაგ ხელებსო!—ეტყოდა გაჯავრებით დედა და თან სცემდა ხოლმე ხელებზე.

გვრიტია გაჯიუტდებოდა, რაც უნდა ტკენოდა, არ იტირებდა და არც ხმას ამოიღებდა, გულში თითქოს კიდეც დაცინოდა. „ჰი, ჰი, ჰი, ხომ ვერ მა-ტირეო!“ მართლაც დედას უფრო ჯავრი იმაზე მოდიოდა, რომ გვრიტია

უტირლათ უძლებდა დედის ცემას. ბოლოს გაკერპებულს ყმაწვილს გააგდებდა მეორე ოთახში.

ერთხელ კითხვის დროს რაღაც ენა ველარ გაიგნო გვრიტიამ და სიტყვებსაც ბეჯითათ ველარ ამბობდა; ანასტასია ბაკურიძისა ნაშინვე მიხედა, გვრიტიას პირში, რაღაცა უდევსო, მოიხმო და პირი დააღებინა. მართლაც, ბავშს მსხვილი ბურთი დავითნის ნაგლეჯებისა პირიდან გამოუკარგა დედამ შეჰყვირა:

„გამოყავი ენა, შე ეშმაკის მოდგმისაო!“ და როცა ენა გამოაყოფინა— ეცა ენის წვერში გვრიტოს ორივე ხელებით და ეუბნებოდა:

— მე შენ ენა უნდა ამოგგლიჯო, ენა უნდა ამოგგლიჯოვო! გვრიტიას მართლა ეგონა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ისე იყვირა. ბევრი ამისთანა საშუალება იხმარა ანასტასიამ, მაგრამ დავითნის ხევა მაინც ვერ გადააჩვია თავის ქალსა.

იმ დილით გვრიტია ჩვეულებრივათ დაზარებით ეწეოდა დავითნის კითხვას. ანასტასია, თუმცა ლოცულობდა, მაგრამ თვალი და ყური მაინც თავის ქალისკენ ეჭირა. გვრიტიას ერთიც არ შეცდენია, ისე რომ დედას მეორე ოთახიდან მუქარით და წყრომით არ გაესწორებინოს. ცოტა ხანს შემდეგ ოთახში შემოვარდა სიცივით აკანკალებული მარინე, თავის ტალახიანი ფეხები ცეცხლში ჩააწყო და ხელებსაც ალზე ითბობდა. როცა სული მოიბრუნა, ცხვირი ხელით მოიხოცა, ხალიჩაზე წაუსვ-წამოუსვა და თავის ბატონიშვილს გვერდით დაუჯდა. გვრიტიამ მაშინვე დავითნის კითხვა შეწყვიტა და დაბალი ხმით ჰკითხა:

— სად იყავი?

— სამზარეულოში.

— რას აკეთებდი?

— რას ვაკეთებდი და ფეხებს!.. დიდვარდისას ამბავი არ იცი, რომ არ დამაყენებს!.. ჯერ სამუახლო დამახვეტინა, მერე წყალზე გამაგდო; უშველებელი ჩაფით; ისე შემცივდა, რომ სუნთლად გავიყინე.

— მარინე! რომ იცოდე, რავა მშია!—შეჩივლა გვრიტიამ. წუხელი ვახშამი კი არ მიჭამია... თუ გიყვარდე წადი დიდვარდისას უთხარი, საჭმელი გამომიგზავნოს... თუ მომიტან, შენც გაჭმევ.

— უჰ, ახლა ვინ წავა ამისთანა სიცივეში!.. ფეხები დამწვა ამდენმა სიარულმა... არ იცი იმის ამბავი, თუ?.. ისე გააკაპასეს ბიჭებმა წელან, რომ მივიდე, გამლახავს... არც არაფერს მომცემს.

— გვრიტია, გვრიტია!—გამოისმა მეორე ოთახიდან ანასტასიას ხმა. ოჰ, შე გაუმაძღარო, შენ!.. ჯერ არ გათენებულა და მახელა ქალი საჭმელს ითხოვ!.. იკითხე! სანამდის მაგას არ ჩეიკითხავ, საჭმელს ნუ ელი ტყუილათ!.. მარინე, მარინე!—მიუბრუნდა ოგოს.—შენ ხარ გვრიტოს რომ ართობ მად? რატომ მოდი, ჰა?.. მად რა გინდა, შე წუპაკო?.. გვრიტოსთან რა შენი ადგილია!.. ახლავე წეეთერი სამოახლეში და იქ იყავი. აქ ამოსვლა არ გაბედო, თუ მე არ გიბძანო, თვარა ვაი შენ დღეს! წადი თქვა, გეუბნები, შე უჯიშოს შვილო!.. შეხედეთ ახლა ამ გომბიოს, ჩემი რომ არ ესმის!..

მარინეს ტანში აზრიალებდა, როცა წარმოიდგინა, რომ ყინვაში კიდევ უნდა გაქცეულიყო ტიტველა ფეხებით სამოახლოში, მაგრამ რა უნდა ექნა, ძალა ალმართსა ხნავს, საწყალი აფხორილი გავიდა ოთახიდან.

— დედა! მე კიდევ ჩავიკითხე, რაც საჭირო იყო! — მწუხარე ამბით წამოიკრინა გვრიტიამ.

— არა, არა... ტყუილს ამბობ, ტყუილს, შე საძაგელო! [illegible] აქ, ჩემ გვერდით დაჯექი და ისევ თავიდან დაიწყე!.. თქვენ გაგიბოროტდათ სიცოცხლე, მე თქვენ ლოცვა დღეს გამიბოროტეთ.. ღმერთო შეგცოდე. შენს ბოწყალებას რავა ღირსვარ!.. მე უბედურს ნახევარი დაუჯდომელი გულის ხმით არ წამიკითხავს.. — გვრიტია შევიდა დედასთან, რომელსაც ლოცვა გაეთავებინა და ხელსაქნარს აკეთებდა. ის დაჯდა ანასტასიასთან და თითქმის ტირილით დაიწყო ისევ თავიდან დავითნის კითხვა.

— ნე... ტარუ... არს... „ნეტარუარს"

— რავა, რავა?....

— ტარუარს...

— უჰ, შე უტვინო, შე უბედურ დღეს გაჩენილო!.. — და ამასთანავე ჩაკრა ცერი თავში. — ასჯერ გითხარი: „ნეტარ არს,„ „ნეტარ არს"... „ნეტარარს"... მოუხშირა ანასტასიამ. ამით უნდოდა დედას, რომ ბეჯითად ჩაენერგა ეს სიტყვა თავში შვილისთვის, მაგრამ გვრიტია ამის დაჟინებამ ისე გააჯავრა, რომ სრულებით აღარ ესმოდა, რას ამბობდა დედა მისი. ყურები გაიმეხა.

ჰო, იკითხე, რას ჩაგირგავს ცხვირი მაგ დავითნში?

— კუ... აცი, კუაცი...

— „კუაცი" კი არა, კვიცი კიდევ! მართლაც და კვიცი ხარ... თავიდან დეიწყე ისევ... ჰო, მოყევი გოგო, ასე, ჰა: „ნეტაარ არს კაცი, რომელი არა მივიდა ზრახვასა ულმრთო-თასა და გზასა ცოდვილთასა..." ჩაჰჩიჩინებდა დედა; გვრიტია კი ამ ჩაცივებამ უფრო გააბრაზა. გულში გაივლო: რო მომკლა, თავიდან აღარ დავიწყებო. იცოდა, რომ ვერ იტყოდა კარგათ და დედა ისევ დააწყებინებდა; ეს კი სიკვდილივით ეჯავრებოდა, რადგან ცალკე საჭმლის დარდი აწუხებდა და ცალკე ამ დავითნის ეიტნამ თავი გაურეტა. იმან კიდევ უფრო ჩარგო თავი დავითნში და გადასწყვიტა: თუ ეგრეა, აწ ხმასაც აღარ ამოვიღებო. ბევრი უყვირა დედამ, ხან დაუტკბა, ხან გაუჯავრდა, მაგრამ გვრიტიას ხმის ამოღებას მაინც არა ეშველა რა; ბოლოს ანასტასია მოთნინებიდან გამოვიდა. — „მოგიკვდა თავი, შენ მე მომკალიო!" ათრთოლებით შესძახა თავის ქალს, შეუვარდა ოთახში და თმები დაუჭირა. გვრიტიამ იკივლა: უნდოდა ტირილით შეეწყალებინა დედა, გამწეწავს და გამაგდებს, ეს კიდევაც მირჩევნიაო, ამ საზიზღარ დავითნს მაინც მოვრჩები და კარგიაო. ფიქრობდა გვრიტია და ამის გამო ტირილს მოუმატა.

ამ დროს შინ შემოვიდა ბაკურიძე თავიდან ფეხებამდის შეიარაღებული. რუხი შალის ჩოხა ზედ ეცვა, თავი ყაბალახით ჰქონდა შეკრული და ხელში მათრახი ეჭირა. ეტყობოდა, ეს არის, ცხენიდან ეხლა ჩამომხტარაო. სიცივისა-

გან ცხვირი გაწითლებოდა. იმის შემოსვლაზე ანასტასიას პირზე წითელმა ფერმა გადაჰკრა. ხელსაქნარი აიღო და დაბალი ხმით დაუწყო ჯავრობა გვრიტიას:

ღმერთი ნუ გაგიწყრეს, თუ შენ მაგას აქამდინ დაისწავლიდი, სულ ცელქობს, ეშმაკობს, აგერ გასაოხოვარი შეიქნება და წიგნი არ იცის! ხმა მაღლა დაასრულა მან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გვრიტია ტიროდა

ბაკურიძემ დედა-შვილს თვალი გადაავლო, დაჯდა ტახტზე და უთხრა ანასტასიას.

— მე როგორც ვატყობ, სწავლის მაგივრათ, მგონია, უფრო წაახდენ შენ მაგას. მალე მოგაშორებ, წავიყვან ქუთაისის ზაედენიაში. მერე დღესასწაულების გარდა არც კი დაგანახვებ.

ანასტასიამ უსიამოვნების ნიშნათ ქმარს თვალები გადაუბრიალა.

— წადი, წიგნი შეინახე, შე უხეირო! უნირო, უნიჭო შენა!—შეუძახა ანასტასიამ თავის ქალს, რომელსაც ამ დროს ხმა ჩაეწყვიტა და ხმა დაბლა კრუსუნობდა. ქალი იდგა ჩუმად, თუმცა გულში უხაროდა, რომ დილის ტანჯვას ასე მშვიდობით გადარჩა. წიგნი შეინახა და ისევ ოთახში შემოვიდა.

— გვრიტო, მოდი აქ... დედამ გაგაჯავრა?—დაუძახა ბაკურიძემ.

— კი!—კვნესით უთხრა და თითი პირში ჩაიყო. ბაკურიძემ მუხლზე დაისვა თავისი ქალი, ლოყაზე აკოცა და უთხრა:

— სასწავლებელში არ წახვალ? იქ რუსულსაც გასწავლიან და რუსულ ცეკვა-თამაშსაც... დედას უთხარი, რომ მეორეთ აღარ გაგლახოს... საჭმელი ჯერ არ გიჭამია?

— არა!—კვნესით მიუგო და თავი ჩაჰკიდა.

— ჭამაზე კი მარჯვეთ არის!.. უთენიათ უნდა მუცელი გაიმსოს... ნეტა ისე სწავლა ეხალისებოდეს, როგორც საჭმელი?.. არა გეტკინოს რა, სწავლაზე თავი არ ტკივოდეს!—დაუმატა ანასტასიამ.

— არაფერია, ისწავლის ჩემი გოგო! ყოველიფერს მოესწრება! წადი უთხარი პატარა ბიჭს, საჭმელი მოგიტანოს?—უთხრა სიყვარულით მამამ გვრიტოს, აკოცა და გამოისტუმრა.

გვრიტიას პირმა გაუცინა და ერთ წუთას გავარდა მეორე ოთახში.

XIII

დამყუდრდა. სუსხიანი დილები მოიშალა. გაზაფხულის მზემ ბუნება გააღვიძა. მინდვრები ამწვანდა. ხარაბუამ ფრთები შეისხა, ტყეში გვრიტმა ღუღუნი დაიწყო. ბულბულის გალობა, კოდარას კაკუნი და ამასთან წმინდა ჰაერი სიცოცხლეს უმატებდენ ქვეყანას. გვრიტია, ოთხი თვეა, შინ აღარ იყო. ის სასწავლებელში მიაბარეს ქუთაისში. ანასტასია მეტი შეწუხებული იყო ამ გარემოებით და დღე დღეზე ითვლიდა, როდის დაბრუნდებოდა მისი ავი და

თავნება გვრიტო. ყველასთვის დადგა ტკბილი გაზაფხული, მხოლოთ ანასტასიას და მის გამდელს არ ექეიფებოდა, იმათ ორივეს გვრიტო აკლდათ თვალში.

გამდელი მაინც სულ მოეშვა. იმან ზამთრითვე დაიწყო უძღებობა და გაზაფხულის სუნმა როგორც მოჰბერა, თათია გამდელი წააქცია. რამდენადაც ამინდი კეთდებოდა, იმდენათ თათიას სიცოცხლე უარ-და-უარ [illegible] ხანგრძლივი იმის ავადმყოფობა ყველას მოსწყინდა და ყველამ ხელ[illegible] მოხუცებული ავათმყოფი ხშირათ გაიხსენებდა ხოლმე თავის გვრიტიას, მაგრამ ვინ აღირსებდა მის ნახვას. საწყალი ბებერი თანდათან დაილია ავადაყოფობაში; სახე ისე დაეპრანჭა, რომ ანასტასიასაც კი ეზარებოდა იმის ოთახში შესვლა, და თუ ოდესმე ეღირსებოდა თავის სიყრმის გაზდილის, ე. ი. ანასტასიას ნახვას, მაშინვე ხელებს დაუკოცნიდა და კვნესით დაუწყებდა ლოცვას:

შვილო, ღმერთმა დიდი დღე მოგცეს ქმარშვილით, ღმერთმა გაგიბედნიეროს შენი გვრიტო!.. მე ვკვდები, აგია, ნეტავი ერთი კიდევ მაჩვენა ჩემი გოგო!.. შვილო, ერთს გევედრები, ნუ დამივიწყებ სიკვდილს შემდეგ, ხან და ხან საკურთხი გააკეთებინე ხოლმე ჩემთვის, სულ ნუ მომიძულებ, თვარა სიქიოს დავიმშვევი და შენი ოჯახისთვის არ ვარგა."

— იჰ ბეჩა გადია, რა დაგემართა რა გიჭირს სასაკურთხო? ნუ გეშინია მალე მორჩები!..—ანუგეშებდა ანასტასია, მაგრამ გულში კი იმედი ჰქონდა დაკარგული.

— არა, ჩემო სიცოცხლე, ჩემო შვილო,—ამოიოხრებდა არაქათ წართმეული მოხუცებული.—ღმერთმა თქვენ გაცოცხლოთ, შვილო, დიდხანს... ჩემთვის, რამდენიც ვიცოცხლე, იგიც კმარა... ბევრი წვალება მერგო, შვილო, ჩემ სიცოცხლეში. მეყოფა, მეტი აღარ მინდა,—სასოწარკვეთილებით წაილაპარაკა და მიმქრალ თვალებზე ორი კურცხალი ცრემლი გადმოვარდა.

ბოლოს ანასტასიას მოწყინდა მომაკვდავი ბებრის კვნესა და იმანაც ხელი აიღო... ამიერიდან აღარ შედ[illegible]ოდა მის სანახავათ. დიდ ხანს აღარც უცოცხლია თათიას.. ერთ შვენიერ მაისის დილას თათიას კუბოს წინ მიუძღოდა მუცელ განიერი მოძღვარი საყდრისკენ. რევაზ ბაკურიძეს არ გაუტეხია თავი მწუხარებით, მხოლოთ ანასტასიამ იტირა მოთქმით და აწირვინა იმის სულისათვის, ტაბლაც აკურთხებინა. ამას შემდეგ ყველამ დაივიწყა, მაგრამ ბიჭებს კი დიდხანს არ მისცემიათ მოსვენება; ძილი გაუტყდათ. ხან ერთს დაესიზრმებოდა, რომ აგერ თათია მოდის და თავის გრძელ კუდს მოაქნევსო... დააჭდებოდა ბიჭს გულზე, თითქოს გული უნდა ამოსჭამოსო... ხან მეორეს დაესიზრმებოდა, ვითომ თათიას მისთვის წნელის ღვლეჭი ჩაებას კისერში და ბრუტს საბძელზე მიათრევდეს. ერთხელ კიდეც ატეხა ბიჭმა შუალამისას ხარიეით ბღავილი. ყველა ბიჭები ზეზე წამოვარდენ და გაალვიძეს. ადგა თუ არა, მაშინვე მოჰყვა დაფეთებული ბიჭი პირჯვრის წერას:—დასწყევლოს ღმერთმა შენი სახსენებელი, დალახვროს ღმერთმა შენი ეშმაკი, კუდიანო თათია!.—იძახოდა ისა.

—ბიჭო, რა ამბავია, რა მოგეჩვენა? თქვი ჩქარა!—ჩასძახოდენ სხვანი შეშინებულსა.

—არა, აქ გაძლება აღარ შემიძლია. ხვალვე უნდა წავიდე მკითხავთან. სულიც რომ ამომაძროს ბატონმა, მაინც აქ მოცდა აღარ შემიძლია.

—ბიჭო, თქვი რა დაგემართა! დაყრუვდი, თუ?—შესძახა მოურავმა.

—რვა რა დამემართა? ის წყეული თათია კატაზე იჯდა, მოვიდა ჩემთან, თმაში ჩამაფრინდა და მიმათრევდა.

—ნუ გეშინია, პირჯვარი დეიწერე. ღმერთს შეეხვეწე, აჩაფელი გიჭირს! —გაამხნევა მოურავმა და დაწვა ისევე.

დაელაგენ და ცოტა ხანს შემდეგ ისევ ხვრინი გამართეს. სიზმრით შეშინებულ ბიჭს ლული აღარ მოკიდებია თვალებზე; იმან ცეცხლი გააჩალა კერაში და დილამდის ასე გაატარა. მეორე დილას ერთი ბიჭი ნიშნიანი ნახეს; ლოყა გასივებოდა და გაწითლებოდა; ეტყობოდა, რომ გაცივებისაგან წითელი ქარი ატყდომოდა, მაგრამ ვინც კი შეჩედა, ყველა ამბობდა,—თათიას დაუდალავსო. ბაკურიძის ოჯახში და იმ ახლო-მახლოს სწრაფათ გავარდა ხმა ბიჭის დადალვაზე; ბაკურიძემაც მოჰკრა ყური ამბავს, მაგრამ არა გაამხილარა. ბოლს თვით მოსამსახურე ბიჭებმა გამოიდვეს თავი; ერთ საღამოს ხუთმა-ექვსმა ბიჭმა ერთმანეთში მოილაპარაკა, უსათუოთ თათიას საფლავი უნდა გავთხაროთ, ის სწორეთ დაყუნტული იქნება იქა და თუ მეორეთ არ მოვკალით, მოსვენებას არ მოგვცემსო; დღისით ნამდვილათ საფლავში ძინავს და ღამე წამოჯდებაო, გამოუშვებს თავის ბოროტ სულს და კაცებს აფუჭებსო. მოურავს წინათვე ჰქონდა ეს ამბავი გაგონებული და თუმცა თვითონ არ მიუღია მონაწილეობა თათიას საფლავის გათხრაში, ამ საქმეს ჩუმათ ხელს უწყობდა. იმან მისცა ბიჭებს ბარი, ცული და ნიჩაბი. შუაღამე რომ შეიქნა, ბიჭები მიიპარებოდენ საყდრისაკენ. საფლავთან რომ მიახლოვდენ, ერთმა იმათგანმა გაოცებით წამოიძახა:

—კაცო, კაცო შეხედე, რაა, იქანა რომ ანთია?

მართლა კვერცხის ოდენა რაღაცა ნათელი, თითქოს საფლავიდან ამოვიდა, კარგა მაღლა აიწია და გაჰქრა.

ყველამ შენიშნა ეს ნათელი ბუშტი.

—იგი სული იყო იმისი!.. ეს არის, ახლა ამოვიდა საფლავიდან და წავიდა კაცების საცდენათ.

ყველანი შეჩერდენ. გული უცემდათ. ელოდენ, იქნება კიდევ ამოვიდესო ნათელი ბუშტი; დიდ ხანს უცადეს, მაგრამ ბნელ ღამეში არა ჩანდა რა.

—აწი, ფიქრი არ არის, სული ქე წავიდა და მძორი ვერაფერს გვიზამს!— დაიწყო იმ ბიჭმა, რომელიც ყველაზე მხნე იყო იმათში,—ახლა ამოვთხაროთ ჩქარა საფლავი!

ნახევარ საათის უკან კუბო გამოაჩინეს. თავი რომ ახადეს, საშინელი სიმყრალე ამოვარდა კუბოდან და მასთან ამოვარდა რამდენიმე ნათელი ბუშტიცა. (ფოსფორის გაზი იქნებოდა).

—ივანია! მომე აქ ცული;—გახდა ხეთქა და საწყალ თათიას თავი ტანზე მოცილდა.—დახურეთ კუბოს თავი!—დაიყვირა ისევ იმ ბიჭმა. ყველა სწრაფათ გაშორდა სამარეს.

—დედა, დედა, რავა შემეშინდა, ის ნათელი სულები რომ ამოვარდენ!—გაოცებით დაიწყო ყველაზე უნცროსმა.

თურმე სულ კი არ ამოსულიყო მთავარი სული!

—რავა ღმერთი შეგვეწია, რომ ის პირველი სული წინათ ამოვარდა, თვარა აგი რომ ყოფილიყო, ყველას გაგვარეტებდა, მოგვკლავდა.

—აკი, დაყუნტული იქნებაო? დაყუნტული კი არა, სიგძისათ იყო გაშლართული კუბოში. იმას სიცოცხლე არ ეტყობოდა, ტყუილათ, დევიდეევით მგონია, ცოდვა!—თქვა ივანიამ.

ყველას ფერმა გადაჰკრა.

—აჰ, რას ამბობ! თვალები არ გქონია შენ!—შეუტია იმან, რომელმაც ცული დაჰკრა.—ჩემი თვალით ვნახე რომ თათია იჯდა და ხტუნავდა.

—კი, კი, მეც დევინახე!—დეემოწმა პატარაც.

—ჰე! შენ რომ სულ იქინა არ მიკარებიხარ, რავა დეინახე! შენ არ იყავი, რომ გეიქეცი, რავარც სული გეცა? უთხრეს სხვებმა.

ამ ლაპარაკში იყვენ ბაკურიძის ბიჭები, რომ ბატონის ეზოში შევიდენ. წინ მოურავი შეხვდათ.

—რა ჰქენით, მოჭერით თავი?—ჰკითხა მან.

—დედა, დედა!.. რა ვნახეთ! თათია დამჯარიყო საფლავში და ხტუნავდა. ყველამ ერთი ხმით უთხრეს მოურავს.

—ცალ გვერდით კაცის გული ედვა და ჭამდა!—დაუმატა ივანიამ.

—კი, კი, მეც დევინახე!—დეემოწმა ყველაზე უნცროსი ბიჭი.

—მართალია, მართალია!—წამოიძახეს ყველამ ერთი ხმით.

ირაჟრაჟა. გათენება ახლოს იყო. ბატონი საკურდღლაოთ ემზადებოდა. მოურავმა უთხრა იმ ბიჭებს: ღმერთი არ გაგიწყრეთ, არსად გაამხილოთო, და მერე თავლაში წავიდა, ვითომც ბიჭების გასაღვიძებლათ...

XIV

საღამო ჟამი იყო. ორსართულიანი სახლი ბეგზე გადმოჰყურებდა; გარშემო ბაღი ხეხილით იყო სავსე. ბაღს ქვითკირის გალავანი ჰქონდა შემოვლებული. ერთგან ჭიშკარი ჰქონდა რკინის რიკულებიანი დატანებული, ცალი ჭიშკრის კარი ცოტათ გამოღებული იყო, ისე რომ კაცი შეეტევოდა. ქვიტკირის კედელიან ხიგძისათ, ერთი მოხდენილი, ჩერქეზულათ გამოწყობილი ვაეკაცი დასეირნობდა. მხრებზე აფიცრის პაგონები ეკერა—წმინდა გიორგის ჯვარი და წელზე—ვერცხლით მოჭედილი და ოქროთი დაფერილი ხანჯალი ერტყა. გვერდზე ჩერქეზულათ გაწყობილ ლეკურს (ხმალი) მიაქიანებდა. აფიცერს, ეტყობოდა, იმ სახლიდან რალაც საიდუმლო ამბავს ელოდა. ქუჩაზე ბევრი არავინ დადიოდა, ბარე ორმა ქალაქის ბიჭმა ჩაიარა და იქვის თვალით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქვიტკირის გალავანთან მოსიარულე.

გალავანს შიგნით, ბაღში, ყმაწვილი ქალების ხმაურობა ისმოდა. მათი წმინდა, კრიალა ხმა და მასთან ერთათ „დუშკა-"ს ძახილი ბაკურებელ აფიცერს რაღაც სიამ-ტკბილობის გრძნობას ულვიძებდა. ის თავ ჩალუნული შავ ულვაშებს იგრეხდა და ხან და ხან ჩარაზმული, ბროლივით თეთრი კბილები სიამოვნების ნიშნათ შავ წვერ-ულვაშში ელვასავით გამოკრთებოდენ. ხშირათ მოისმოდა გალავანს იქიდან სახელები: „ვარია", „სონია", „მარუსა" და სხვა. ბოლოს ეს ხმები და ყვირილი მიწყნარდა. ორსართულიანი სახლი ნელნელა ლამპრებით და სანთლებით გაჩაღდა. ახლა ყმაწვილების რუზრუზი სახლის ზემო სართულიდან ისმოდა, ეტყობოდა, ქალები გაკვეთილების სასწავლებლათ დამსხდარიყვენ.

კარგათ შებინდდა, მაგრამ ხმალ-ხანჯალიანი გამოწკეპილი იმერელი ქვიტკირის კედელს მაინც არ მოცილებია და ეს მესამოცეჯერ იყო რომ იმ კედლის სიგძით წინდა უკან სიარულით სეირნობის ქსელი გაება, ბოლოს, დღე და ღამე რომ გაიყარა, ყმაწვილი კაცი მიუახლოვდა ჭიშკარს, ერთი კიდევ დააყურა, ხომ არავინ მოდის ორ ეტაჟიან სახლებიდანო და უცბათ შეილალა ნახევრათ გაღებულ ჭიშკარში. ამ დროს თითქოს რაღაც შავმა ლანდმა ჩამოირბინა ზევიდან და ორივე შევიდენ იმ სახლის ქვეშა პალატის კარებში.

ახალგაზდა კაცმა ოთახში ნახა ცამეტი წლის ქალი, თეთრი გულსაფარიანი. ყმაწვილს მოკლე ცისფერი დიმიკონტის კაბა ეცვა და ზედ თეთრივე წინსაფარი ჰქონდა აკრული. მისი შავი თვალწარბი ალისფერ ლოყებს საუცხოოთ ეხამებოდა; ლამაზ სახეს ჩრდილავდა ბეჭებზე დაყრილი გძელი სქელი თმები. ყმაწვილი კაცი შინაურულათ მიეგება ამ ქალს შემდეგი სიტყვებით.

უიმე, ამას ვის ვხედავ! ბიძა ჩემი ბაკურას ქალი. დედა, რამხელა გაზდილა! მე ახლა, ეს არის ახლა მოვედი აფხაზეთიდან, იქ გურიის დრუჟინაში ვიყავი გამწესებული, შევიტყვე, რომ ბიძა ჩემი ბაკურას ქალი აქ, ქალების პანციონშიაო და გამოვეშურე სანახავათ. ლიდია პეტროვნა, (ასე ეძახდენ მასთან შეყოლილ ქალს, ჩემი კარგი ნაცნობია სოხუმიდან. ამან მითხრა დღეს, ქალო, შენი აქ ყოფნა და ვთხოვე, შენი თავი ეჩვენებინა. გვრიტომ თავი ჩალუნა და რევერანსი გაუკეთა ახალ მოსულ ბიძაშვილს.

— Садитесь—მიაწოდა სკამი და უთხრა სტუმარს. ახალგაზდა სტუმარი არხეინათ დაჯდა სკამზე, ამოიღო ჯიბიდან ნახევარი გირვანქა კანფეტი და მისცა გვრიტოს, რომელმაც სიხარულით ჩამოართვა და კვლავ რევერანსი გაუკეთა.

— Гврито, Вот видишь, какой добрый твой двоюродный брат! Ступай теперь к подругам. Скоро вам придется итти спать смотри, скажи всем, что конфеты тебе принес твой двоюродный брат, который хотел видеть тебя у меня. Ну, ступай, дитя мое!

— შვიდობით, გენაცვალე, გვრიტო! სანამდის შინ წავიდოდე, კიდევ გნახავ რამდენჯერმე. ლიდია პეტროვნა, იმედია, ნებას მომცემს.

— Да, да! Когда вы пожелаете!—უპასუხა ქალმა, რომელსაც ქართული კარგათ ესმოდა.

კამფეტებით ნასიამოვნებმა გვრიტომ ჩამოართვა ხელი ახალგაზდა კაცს, რომელმაც ლოყაზე აკოცა. ამას შემდეგ გვრიტო უცებ გაჰქრა ოთახიდან.

დარჩენ თუ არა მარტო ლიდია პეტროვნა და ახალგაზდა კაცი, სწრაფათ სახე ეცვალა ყველაფერს.

ქალმა ტუჩი ააბზუა და უთხრა:

— Противный, как он ловко притворился! Даже не постеснялся поцеловать девушку!

Неправда ли, я хорошо сыграл комедию двоюроднаго брата?—სიცილით უპასუხა ახალგაზდა კაცმა, გადახვია ქალს ხელი, ჩაიკრა გულში და ტუჩები შეუწება, ამ მდგომარეობაში ისინი მიესვენენ იქვე კრაოტზე და სიყვარულის ბურანი კარგა ხანს არ განელებიათ...

ლიდია პეტროვნას ოთახი კოპწიათ იყო მორთული. ორი ფანჯარა ჭრელა შალის საფარებლებით ჰქონდა გაწყობილი; თითონ ფანჯრის შუშები ორკეცი თეთრი ნარმით იყო დაფარული, ისე რომ ხორცშესხმული კაცი ვერ გაიგებდა, მის ოთახში რა ხდებოდა, როცა ფანჯრები ჩამოფარებული იყო. ცალ მხრით კედელზე რკინის კრაოტი ჰქონდა სულ თავის ხელით მონაქსოვი თეთრი კრუქოებით გაწყობილი; ზეწრები თეთრი ძაფით ნაკერი სახეებით იყო გამოკანკლული, აგრეთვე ბალიშის პირებიც, მეორე კედელზე ხავერდით გადაკრული პაწია დივანი ედგა თავის ორი სავარძელით; წინ ლამაზი სახით ნაკერი ხალიჩა ეფინა, ზედ რგვალი სტოლი იდგა და კუთხეებში ექვსი სკამი. საწოლ კრაოტ-წინ პატარა ტრიუმო ჰქონდა მოწყობილი. ცალ კუთხეში ღვთისმშობლის ხატი ესვენა და მუდამ სალამოს წმინდა სანთელს უნთებდა იმ დროს გარდა, როცა ახალგაზდა ლეკურ-ხანჯლიანი სტუმარი ეწვეოდა. მაშინ ღვთისმშობლის ხატი ყოველსავის ფარდა ჩამოფარებული იყო.

ლიდია პეტროვნას სხვა სახელიც ერქვა. იმას ეძახდენ „მილაია მაიორშა"-ს, მაგრამ ეს სახელი მან დაიგდო ცხუმის ქალაქში. ის იყო მეუღლე ერთი მოხუცებული მაიორისა, რომელმაც ყირიმის ომს შემდეგ მოიგონა ცოლის შერთვა, თუმცა ორმოცდათორმეტ წელს გადაცილებული იყო და დღე-დღეობით მოელოდა სრულ პენსიას, სამოც თუმანს.

ერთხელ ის მოდიოდა ადესიდან და კერჩში ბულვარზე შეხვდა ერთი მაღალ-მაღალი გაფუნჩულებული ახალგაზდა ქალი ქისაიას კაბაში, რომელსაც იქით აქეთ იღლიაში ხელ გაყრით ორი მაზედ მორჩილი მანდილოსნები დაუდიოდა გვერდით. იმ დროს ლიდია პეტროვნა თურაშაული ვაშლივით აწითლებულ ლოყებიანი ახალგაზდა ქალი იყო, მარდი პაწია, ჭროღა თვალებიანი. თუმცა მისი ცხვირის ნისკარტი მუდამ ცაში იყურებოდა ასაფრენათ, მაგრამ ზედა მოსქო ტუჩი მუდამ ქვეით ეზიდებოდა და წამის წამს იღიმებოდა. ეს ღიმილი თვალების ეშმაკურ ტრიალთან ისეთი მომხიბლავი რამ იყო, რომ ჩვენი

მაიორი პირველ დანახვაზედვე გაიტაცა და გული აუცუღლუტა. მან განიზრახა, საცოლეს დაეეძებ და აბა, ცოლიც ამისთანა უნდა მყავდესო.

იმან რამდენჯერმე ჩქარი მხედრული ნაბაჯით აიარ-ჩაიარა ქერჩის ბულვარი და ყოველ ავლა-ჩავლაზე ლიდია პეტროვნას ეშმაკური ლიმილი, თვალების გოგვა და მხრების შეთამაშება მიყუჩებულ გულისთქმას ეტყვიდებდა. როგორც გამოცდილ ამგვარ საქმეებში მხედარს, მაიორს გამოუჩდებ, იმ საღამოსვე ნაცნობი აფიცრები, რომელთაც ძალიან მოუწონეს მისი ლიდია პეტროვნა და იმ ქალის ისტორიაც ზედ მიაყოლეს. ლიდია პეტროვნა ყოფილიყო ერთი მოხუცებული ბებიის აყვანილი ქალი, ქერჩის საქალებო ინსტიტუტში გამოზდილი. ბებია თუმცა ღრმა მოხუცებულობაში შესულიყო, მაინც არ უნდოდა ისე მომკვდარიყო, რომ თავის ლიდიუშა ბედნიერი არ ენახა. მაიორმა მეორე დღესვე გადაწყვიტა იმ ბებიის ნახვა და თავის სურვილის განცხადება. ეძიებდე და ჰპოებდეო! გაივლო გულში მაიორმა.—ლიდია პეტროვნა საჩემო პუტკუნა ქალიაო. მისი ამობურთული გულ-მკერდი სიცოცხლის ნექტარათ იმოქმედებს ჩემ მობერებულ გრძნობაზეო. რა მიშავს, ბარე ხუთასი თუმანი ბანკში მაქვს, სოხუმს ინვალიდების კამანდის უფროსათ ვარ დანიშნული. რვაასი მანეთი ჯამაგირი მექნება, ერთ ამდენს „პრივარკაშიაც“ ყოველ წელს ჩანოვრჩები, ერთ წელიწადს შემდეგ პენსიაც ექვსასი მანეთი გამომივა. ნუ თუ ამდენი ფული ტკბილათ ვერ აცხოვრებს ჩემ ლიდასო?

— „მოველ, ვნახე და დავამარცხეო“,—ცეზარის თქმისა არ იყოს, მაიორმაც ისე მოახდინა. თავის მეგობარი აფიცერის მეოხებით მაიორი თავის ჯინჯილებიანი ეპოლეტებით და აურაცხელ მენდლებით და ჯვრებით გამოეჭიმა მოხუცებულ ბებიას, თუმცა ის ცოტა შეუძლოთ იყო, მაგრამ მის მაგიერათ ლიდია პეტროვნას თვალების სიელვარემ, მიმზიდველმა ღიმილმა და შნოიან სიტყვაპასუხმა მთლათ მოხიბლა მაიორის არსება. ის უკეთეს სამოთხეს მზედამავალს ცხოვრებაში ველარ წარმოიდგენდა, არც აცხელა, არც აცივა და პირდაპირ გამოუცხადა ლიდია პეტროვნას თავის გულის მდგომარეობა.

ლიდია პეტროვნამ თვალები დაწკურა, გაიღიმა, სახეზე ალის ფერმა გადაჰკრა და არა თქვა რა. მაიორმა ეს თანხმობის ნიშნათ იცნო, მივარდა მის ფუნთრუშა ხელს და მაგრად დაასვა თავის ტუჩების ბეჭედი, შემდეგ წამოდგა და ბებიას განუცხადა თავის სურვილი და მიზეზი იმ სიჩქარისა, რომელმაც ასე მალე გააბედინა თავის გულის პასუხის გამოცხადება. ის მარტო სამ დღეს უნდა დარჩენილიყო ქერჩს, შემდეგ კი სახელმწიფო სამსახური იპატიჟებდა ცხუმისკენ. ბებიას, მეტი არ შეიძლება, ისე გაეხარდა ასეთი მოულოდნელი ბედნიერება; თუმცა ლიდია პეტროვნა, იმის აზრით, კარგი ცოცხალი ქალი იყო, მაგრამ ამ ბოლოს დროს მეტათ გაეშალა ფრთები და მოხუცებული ბებია ველარც მის მხიარულ ზნეს გაწვდომოდა, ველარც მის სურვილებს. ხარჯი ბევრი მოდიოდა ოჯახში, რადგან მას ქერჩის აფიცრები ძალიან ხშირათ ესტუმრებოდენ ხოლმე და აღარც დღით, აღარც ღამით მათგან მოსვენება არ ჰქონდა საწყალ მოხუცებულს.

ამ სახით სამი დღის განმავლობაში ბებიამ გადაიხადა შვენიერი ქორ-

წილი; ლიდია პეტროვნას ხელები სულ დაწითლებული ჰქონდა აფიცრების მილოცვისა და მათი ტუჩების მედგარი იერიშისაგან. გაბედნიერდა მაიორი და ლიდია პეტროვნას სიამოვნების მეტს ქვეყანაზე აღარას ფიქრობდა; ასე გაშინჯეთ, როცა საჭირო იყო, ფეხსაცმელებსაც ის გააძრობდა ხოლმე ფეხებზე და კიდეც ჩააცმევდა.

პირველ ხანებში ცხუმის ქალაქი ძალიან შეიძრა მაიორისა და მისი ახალგაზდა მეუღლის მობძანებით; სახლი არ დარჩენილა არც მედუქნის და არც აფიცრის, რომ მაიორის ახალგაზდა ცოლზე არ ელაპარაკნა, მედუქნეები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ მუშტრისათვის, აფიცრები კი—მაიორის მეუღლის სილამაზისათვის. ლიდია პეტროვნა ისეთი გულ-მოწყალე და გულ-კეთილი ქალი გამოჩნდა, რომ ყველა მომადლიერებული ჰყავდა გარდა თავის მეუღლისა, რომელიც წლის გასულს მეტათ გულ-დათუთქულათ გამოიცქირებოდა, რადგან ორას თუმან ჯამაგირს გარდა ერთი ასი თუმანიც ვალი ზედნადებათ აღმოუჩნდა მის ჯიბეს, როცა ახალწელიწადს მედუქნეებმა და ფართლით მოვაჭრეებმა მოლოცვასთან ანგარიშიც თან გამოაყოლეს.

ახლა კი მიხვდა, რა გამოუსვლელ ჯურღმულშიაც ჩატოპა მოხუცებულობაში, რა საშიში იყო მისთვის მთვარესავით აბურთებული ლიდია პეტროვანს გულ-მკერდი. მაგრამ როგორც ადამი დაისაჯა მომხიბლავი ევათი, ისე მაიორი ლიდია პეტროვნას მოძრავი თვალების სიელვარით. ჩავარდა მაიორი ჯავრში, მაგრამ რაც უფრო მეტათ ულრენდა გული მას თავის ბედ-იღბალზე, მით უფრო გაჩირაღდნებული იყო ხოლმე ლიდია პეტროვნას დარბაზი ყოველ ღამ, საიდანაც ცხუმის სამხედრო გამგებლიდან მოკიდებული ოცი წლის კორნეტამდის ყველანი აქ ტკბებოდენ დიასახლისის სტუმართ-მოყვარეობისაგან.

მესამე წელს მაიორის ვალი აღვიდა ათას თუმნამდის და მეტი რა ღონე ჰქონდა, „პრივარკის“ ჩამორჩენა უნდა გაეძლიერებინა, თუმცა „ინვალიდის კამანდა“, მის ხელში თანდათან „ბოსი“ და „გოლოდნი კამანდათ“ იქცეოდა.

უეცრად დაეცა თავს მაიორს ფიცხელი რევიზია და რომ შიშს არ გაენთავისუფლებინა ამა სოფლისა ცხოვრებისაგან, უსათუოდ რევიზია სამუდამოთ მოაცილებდა მას ცხუმის არე-მარეს. მაიორი ერთ ზამთრის დილას შამოვარდა შინ ინვალიდების კანცელარიიდან აკანკალებული.

ლიდიუშა! მეტათ გამაცივა, ახლავ უბძანე დამიგონო! მთრთოლვარე ხმით უთხრა ქმარმა ცოლს. მესამე დღეს მას გამოაჩნდა ორივე ფილტვების ანთება და მეშვიდე დღეს საწყალმა მაიორმა გაძალლებული სული ღმერთს ჩააბარა.

დარჩა ლიდია პეტროვნა ახალგაზდა ქვრივათ და ამ დღიდან ცხუმელებმა მას უწოდეს „მილაია მაიორშა“. ლიდია პეტროვნას სხვა მეგობრებს შორის უფრო საიდუმლო მეგობრათ ერთი იმერელი, ხმალ-ხანჯლიანი მოხდენილი ჭაბუკი ჰყავდა, რომელიც იმ დროს მართლაც ცხუმის აფხაზურ ცხენოსან დრუჟინაში მსახურობდა იუნკრათ და პირველ ჩინზე იყო წარდგენილი. სარდიონ ენუქიძე, ასე ეძახდენ იმ ახალგაზდას, ხშირათ იგზავნებოდა ხოლმე ლიდია პეტროვნასთან ასეულის კამანდირისაგან, რომელიც თუ წერილს გაატანდა, თუ მოსაკითხს. ლიდია პეტროვნას პირველ გაცნობისთანავე მოეწონა სარდიონ ენუ-

ქიძე და თითო საათობით არ გაუშვებდა ხოლმე სახლში, მოაყოლებდა ქვეყნის ამბავს და ცისას; ბოლოს ეს მოხდენილი ახალგაზდა იმდენათ დაიახლოვა, რომ ასეულის კამანდირის მეგობრობას მისი ხელქვეითის მეგობრობა არჩია და ამ დროდან თუ რასმე საწადელს აუსრულებდა როტნი კამანდირს, სარდიონ ენუქიძის დაჯილდოვებას მოთხოვდა. ხშირათ მოხდებოდა ხოლმე, რომ როტნი კამანდირი ლიდია პეტროვნას დარბაზში კარტის თამაშს შეეჩვეოდა მაიორთან, და ლიდია პეტროვნას კი ამ დროს ახალგაზდა იმერლის ხანჯალზე ეკიდა ხელი მის საკუთარ საწოლ ოთახში და წამის-წამ, სიყვარულით გატაცებული, ეუბნებოდა სარდიონს: „O! как я люблю грузинскую черкеску, как я люблю грузинский кинжал!

ლიდია პეტროვნას ტყუილათ არ ჩაუარია თავის პურ-მარილმა: მაიორის სიკვდილის შემდეგ ერთი წელიც არ გასულა, რომ ცხუმის გამგეობის შემწეობით ის დაინიშნა ქუთაისის საქალებო სასწავლებლის უფროსის თანაშემწეთ და წელიწადში სამოცი თუმანი ჯამაგირი დაუნიშნეს. სამოც თუმანთან ქმრის სამოცი თუმანი პენსიაც ზედ დაერთო და ლიდია პეტროვნა ამ მდგომარეობაში ბევრათ უფრო ბედნიერათ რაცხდა თავის თავს, ვიდრე თავის ზაფრის ქარებიან ქმართან.

XV

ეს მეორე წელიწადი იყო, რაც გვრიტო სასწავლებელში იყო მიბარებული. მაგრამ მისი გული ჯერ კიდევ არ გახსნილიყო იქ არავისთვის. თუმცა დედა ხანდახან დავითნის სწავლებაში სასტიკათ ეჭცეოდა, და ბევრჯერაც მომხდარა, რომ მისი ცრემლები დავითნის კანონებს ლაქებათ დაჩენოდეს, მაგრამ ერთი დედის მხურვალე ალერსი ამ უსიამოვნო შთაბეჭდილებას უცებ აქარწყლებდა და მამა ხომ მუდამ მისი გულის სიტკბოება იყო. რაც უნდა ეთხოვა, დედა თუ არ აუსრულებდა—მამა მაინც უსათუოთ. ხშირათ კიდეც უჯავრდებოდა ანასტასია რევაზს:

ეგ ბოვში მოფერებით სულ გააუზნევე, კაცის შვილათ აღარ ვარგია, არ შეიძლება ბოვშის ყოველი თხოვნის ასრულებაო...

როცა გვრიტო მოიგონებდა თავის მამის ოჯახში გაბატონებულ ცხოვრებას, ყოველ კვირაობით თავის ლახტით შეკაზმულ ბაჩით საყდარზე გასეირნებას, როცა მას იქით-აქეთ ხლებულები ახდენ და ეერცხლის ფიფინები, რომელნიც ცხენის ლახტს ეკიდენ, ჟღარუნობდენ,—ის მწუხარეო ჩაქინდრავდა თავს. რა სიამოვნება ჯობდა მაშინდელ ცხოვრებას!

ახლა, მოიყვანეს თუ არა საქალებო სასწავლებელში, დაამწყვდიეს ოთხ კედელში. პირველათ ამხანაგები კიდეც დაეინოდენ, ველურ ცინდალს ეძახდენ. აღარც დილის საუზმე, აღარც საღამოს სამხარი. დილას მისცემდენ ერთ ჭიქა უგემურ ცხელ წყალს, რომელსაც ჩაის ეძახოდენ, შიგ თითო კვნიტ შაქარს ჩაუგდებდენ, ისე რომ არც ტკბილი იყო და არც მწარე და მიუჩვეველ გვრიტოს ამ ჩაის წყალობით მუდამ გულის რევა ჰქონდა ატეხილი. რამდენჯერმე კიდეც წააღებინებია, რაც კი ჰამა. შემწვარ ბროწეულ გადასხმულ ქათმის მაგიერათ

ხშირათ მოუტანდენ ერბოში არეულ ქაშს, ზოგჯერ ცხვრის ქონშიაც... მოდი და ჭამე! რა აკმევდა? რა რომ შევიდა სასწავლებელში, ღვინო თვალით არ უნახავს; თურაშაულ ვაშლსავით წითელი ლოყები ყვითელ სანთელსავით ჩამოუდნა. ერთხანს ის ალარსად დადიოდა; ყმაწვილებს ბაღში რომ გაუშვებდენ სათამაშოთ, გვრიტო კუთხეში იჯდა და ცრემლებს ღვრიდა, მუდამ თავის დედმამა, ოჯახი, გამდელი და თავის ბაჩა აგონდებოდა.

ერთი საოცარი პირხმელი, თმებ გაცვენილი ზედამხედველი ნამდვილ ტყის ქაჯანათ ეჩვენებოდა გვრიტოს. მისი ყურის გამყრუებელი წივილა ხმა ყველას ტვინის ძაფებს უშლიდა; გვრიტოს დასანახავად ეზარებოდა ეს ყბა გამოვარდნილი, ქვედა ტუჩ გადმობრუნებული და ჭრელი თვალებიანი სულიერი. როგორც შვილის ნუკრს მგლის ღმუილი ტანში დათართავს ისე გვრიტოს ტვინის ძაფებზე მოქმედებდა ამ ქალის წივილი. როგორც კი თვალს მოავლებდა ეს საოცარი სულიერი თავის კუთხეში მჯდომარე გვრიტოს, მაშინვე შეჰკივლებდა: — Ты что там, шакалиное отрадье, одна не хочешь на двор выходить? Все другие бегают, а ты что? — выхади, выхади, вон атсюда!.. და ერთი აუარება ამისთანა ლანძღვის სიტყვებს შეტევებით და ტიკსინით მიაყოლებდა, თანაც მიუახლოვდებოდა. ქალს სისხლი გაუშრებოდა ხოლმე შიშისაგან და მუხლები მოეკვეთებოდა. ძალიანაც რომ ნდომებოდა კარში გამოსვლა, ფეხის გადადგმასაც ველარ მოახერხებდა, სანამდის ტყის ქაჯანა ზედამხედველი ხელს არ მოავლებდა და არ გამოაფურცხუნებდა გარეთ ბაღში. გვრიტოს ნახევარიც არ ესმოდა ის უკადრისი სიტყვები, რასაც რუსის ქაჯანა წყრომით ელაპარაკებოდა, მაგრამ მისი წივილა ხმა ისეთი შემაძრწუნებელი იყო, რომ ქალი უმისოთაც ტყობილობდა, რომ რუსის ქაჯანა მას ლანძღვა-გინების მეტს საალერსოს არას ეტყოდა და წინდაწინვე დაასწრებდა ფშლუკუნს, რომ რამე ნაირად მოეცილებინა საზარელი ზედამხედველი. ამგვარმა მოქცევამ კიდევ უფრო დაჩაგრა გვრიტო, შეაძულა სასწავლებელი და თავის დედ-მამის ოჯახს რომ მოიგონებდა, ელდა ეცემოდა.

შინიდან ხშირად დაუდიოდა მოსაკითხი დედისგან, თუ ხილი, თუ ფული და თან წიგნი. როცა ან წიგნი მოუვიდოდა, ან მამას ნახავდა, გვრიტოსთვის ის დღე აღდგომის გათენება იყო. მეტის სიხარულისაგან ცრემლები ღაპა-ღუპით წასქდებოდა სახეზე. ამის მნახველმა სასწავლებლის უფროსმა გვრიტოს მამა დაარიგა, რომ ხშირად აღარ ენახა და ერთი წლის განმავლობაში დღესასწაულებზე შინ არ წაეყვანათ, რომ ყმაწვილს მოჭარვებოდა ოჯახისა და დედ-მამის სევდა, რომ თვით სასწავლებელში ყოფნას მიჩვეოდა.

დადგენ გვრიტოსთვის ბნელი, უნუგეშო დღეები, როცა მამამაც დაუძვირა ნახვა და შინიდანაც ამბავი არა მოდიოდა რა. ბაკურიძე და მისი მეუღლე ანასტასია მეტად წუხდენ ამ გარემოებას; მათი ერთად ერთი შვილის ასე დაშორება იქნება იმათ უფრო დიდ ცეცხლს უდებდა, მაგრამ დარწმუნებული იყვენ, რომ ახლანდელ დროში ურუსულოთ და უტანციოთ მაღალ საზოგადოებაში გამოჩენაც აღარ მოხერხდებოდა, როდესაც უმაღლეს სასწავლებელში გამოზდილ თვით ქართველ ახალგაზდობას, მოსამართლე იქნებოდა იგი, თუ ადმინისტრაციის

მოხელე, ინჟინერი თუ ექიმი თავი მაღლა მოჰქონდა და უკადრისობადაც მიაჩნდა ქართულათ ლაპარაკი. ის თავს იმითი მართლულობდა, რომ ქართულ ენაზე მაღალი ფილოსოფიური და სამეცნიერო აზრები არ გამოითქმისო, მაშ მეტი რა ჩარა იყო, წარჩინებულ ქართველ თავად-აზნაურობასაც ისე უნდაგ ამოეზარდა თავის ვაჟები დ ქალები, რომ ქართულის მაგიერათ რუსული ენა უნდა შეეთვისებინა, რომ ყოველ ქალსა თუ ვაჟს კარგი რუსული გამოექმნა, ესახელნა თავი.

ამ დროს ასეთი აღზდა იყო პირველი სათავდებო იმისა, რომ ქალი განათლებულ დიდ-ჯამაგირიან მოხელეს მითხოვებოდა. ისეთი დრო დადგა, რომ კაცის ღირსება მხოლოთ სახელმწიფო ჯამაგირის ადლით განიზომებოდა, მაშ ქალიც ისე უნდა მომზადებულიყო, რომ ასეთი სასიძოების შესაფერი ყოფილიყო: ზედმიწევნით უნდა ცოდნოდა რუსული ენა, ბალებში დარბაისლული მიხვრა-მოხვრით და კეკლუცობით უნდა გამოეჩინა თავი, ამასთანავე ევროპული თამაშობა, ვალსი, კადრილი, პოლკა და განსაკუთრებით მაზურკა-კოტილიონი ვინც იცოდა, ის წინ-დაწინვე დარწმუნებული იყო, რომ ორდენებით გულ-მკერდ დაშვენებული უმაღლესი სახელმწიფო მოხელესგან მოწონებული იქნებოდა და ჩინებულ ბედსაც ეღირსებოდა. ამ დროს გარეგან ქალის სილამაზეს, მის მოხდენილ ყოფა-ქცევას, ნარნარ რუსულ სიტყვა-პასუხს და შნოიან კეკლუცობას უფრო დიდი მაზანდა ჰქონდა, რომ კარგი საქმრო ეშოვნა და ბოლოს, ან პოლკოვნიცა, ან ღენერალშა გამხდარიყო, ვიდრე ჩვენებურ ერთგულ ცოლობას, კარგ დედობას, ოჯახში თავიანობას და ადგილ-მამულის კარგ მომვლელ დედაკაცობას. რაკი ზემოხსენებული დრო დადგა, ყველანი იმას ცდილობდენ, რომ იმ გზაზე ქალებსაც შესაფერი წარმატება მიცემოდა. ძველ ქართულ ოჯახობას და ადგილ-მამულის ყურისგდებას მაზანდა წაუხდა; ყველანი ჯამაგირს შეჩერებოდენ. რადგან სახელმწიფო მოსამსახურეს უფრო მდიდრული, კარგი შამოსავლიანი ცხოვრებაც ჰქონდა და უფრო ბევრი სიამოვნებაც მიელოდა.

ამ ახალმა მიმართულებამ დასცა, როგორც ქართული ოჯახი, ისე მისი ადგილ-მამულის მოვლაც. ამიერიდან ქართველი ქალიც მისკენ იყურებოდა, ვისაც ყოველ ოცს ჯამაგირი ეძლეოდა, მისთანა კაცისთვის ამზადებდა თავის თავს, ყოველ ღონის-ძიებას ხმარობდა ასეთ კაცს მითხოვებოდა.

მაშინდელი საქალებო სასწავლებლები ამ გვარ ქალებს უმზადებდა საცოლოთ ჩინოვნიკობას, რომელმაც ამის გამო თავისი ადგილ-მამული, მიწა-წყალი ვერანათ მიაგდო. მის თვალში მისი მამა-პაპის სახნავ-სათესი და მამული ყურის გდებათაც არ ღირდა, რადგან ის თავის დღეში იმდენს ვერ მისცემდა, რამდენსაც სახელმწიფო სამსახურით იშოვნიდა: ესეც უნდა ვთქვათ რომ ჩვენი თავად-აზნაურობა არც იყო იმ დროს შესაფერ მეურნეობისათვის მომზადებული, რადგან მისი განათლება მხოლოთ კანცელარიებში სამუშაოთ იყო მოწყობილი; მხოლოთ ჩინოვნიკის ხელობას უნდა ეჭმია მისთვის მისი ღირსების შესაფერი პური.

ბაკურიძეს და ანასტასიას ამ ანგარიშმა შეუკრა კრიჭა და ძალაუნებურათ მიავიწყებია თავისი გვრიტო და დაატოვებინა საქალებო სასწავლებელში რუსის ქაჯანას ანაბარათ მისი აზრდა.

გვრიტოს შეძაგდა მთელი პანსიონი, მისი უფროსები, მისი ამხანაგებიც. მთელი ერთი წელიწადი გავიდა, რომ რუსულს, როგორც რიგი იყო, კიდევ ვერ ლაპარაკობდა, სწავლობდა მეტათ მძიმეთ, ორი თვე გავიდა, სანამ რუსულ კითხვას მიეჩვია და წერა კი ღმერთმა შეინახოს; ყოველი მისი დაწერილი რუსული ასო ქართულ ასოს მოყვანილობას ჰგავდა. ამხანაგები „უკარებას" ეძახოდენ, ხან-და-ხან ზოგიერთი ავი უფროსი მოწაფე ჩამოურბენდა, მკლავში ეჭიმეტდა და დააწიელებდა, ზოგი თმას მოწევდა, ზოგიც ტყუილით ახელებდა. ამ წვა და დაგვაში გაატარა ორი წელიწადი. ის თუმცა მეორე კლასში გადაიყვანეს, მაგრამ მეორესი კი არა, არც მოსამზადებელი კლასის იცოდა რამე ხეირიანათ.

ამ დროს სასწავლებელში მოვიდა უფროსის თანაშემწეთ ლიდია პეტროვნა და იმან პირველ დანახვაზედვე შენიშნა გვრიტო და შეუყვარდა. ის ატყობდა, რომ ეს ყმაწვილი დაჩაგრული იყო. რუსის ზედამხედველი ქაჯანა მგლის ლეკვს ეძახოდა გვრიტოს, რომელიც ვერ მოეშინაურებია... ის ხშირათ იტყოდა ბოლმე: „Волка как ни корми, он все влес смотрит". ლიდია პეტროვნამ მოკიდა ხელი გვრიტოს, წაიყვანა თავის ოთახში, მისცა კამფეტები და უთხრა: „Гврито ты смотри на меня, как на твою сестру, не обращай ни на кого внимание и почащее ходи комне." ანას იქით ამხანაგებმა რომ შეატყვეს გვრიტოს მასწავლებლის უფროსის თანაშემწე განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევსო, ცოტა ხათრი მიეცათ, ალარც ახელებდენ, ალარც არავინ ჩაკრავდა ხოლმე და ზოგიერთი მის დაახლოვებასაც ცდილობდა. გვრიტო ნელ-ნელა გამოფხიზლდა, დაღვრემილი სახე გადაეწმინდა... მეთოთხმეტე წელიწადში გადადგა, ტანი აიგდო, სარივით წელ-წერწეტა გახდა, თან-და-თან დაშნოიანდა, თმა დაუსქელდა, მუქი წაბლის ფერი გაუხდა და ამით კიდევ უფრო მოუმატა სილამაზე.

გვრიტოს ძალიან შეუყვარდა ლიდია პეტროვნა, იგი თან-და-თან უახლოვდებოდა ახალგაზდა ვარდის კუკურს, რომელსაც რაც დღე გადიოდა, ისე უფრო ემატებოდა ბუნებითი ფერი და სუნელოვანი ფშინვა. ლიდია პეტროვნა ხშირათ არიგებდა გვრიტოს, თუ როგორი ელფერი უნდა ჰქონოდა ახალგაზდა ქალს, რომ კავალრებს მოწონებოდა.

რა არის ქალის ალზრდაო,—ეტყოდა გვრიტოს ლიდია პეტროვნა,—თუ არ მისი გარეგანი მიხვრა-მოხვრა, შნოიანი თავ-კისრის დაჭერა, მოხდენილი მხრების შეთამაშება და ლამაზათ ხელების ხმარება. ყოველსავე ამაებს შეუძლია კაცის გული მიიტაცოს და ეს ხომ პირველი და უალრესი წადილი უნდა იყოს ყოველი ქალიშვილისა, რომ დაიმსახუროს ისეთ-ახალგაზდა კაცის ყურადღება, რომელსაც შეუძლია თავის ქმრობით ბედნიერი გახადოს ცხოვრებაში და ყოველი ქალის დანიშნულებაც ხომ ის არის, რომ თავის ბედნიერებას და უზრუნველ ცხოვრებას შეესწროს. პირველი იარაღი ამისი არის კარგი სამსახურისა და კარგი ჯამაგირიანი მოხელის ხელში ჩაგდება. ქალი რომ ასაკში შევა, იმან ყველაფერი უნდა დაივიწყოს, თავის დედ-მამაც, ოჯახიც და გადასაფრენათ უნდა ეშზადებოდეს, მაგრამ ისე კი, რომ თვალი კარგ ლამაზ და უზრუნველყოფილ საბუდარში ჩასაფრენათ ეჭიროს. ქალის სწავლა განათლებაც ამაში უნდა მდგომარეობდეს, რა ჩვენი საქმეა გეომეტრია და ალგებრა, ან ბუნების მეცნი-

ერება? რაში გამოგვადგება? ქმარს რომ წავყობით, მერე სულ იმას უნდა ვცდილობდეთ, რომ ქმარს არ შევძულდეთ და, ღმერთმა თუ შვილები აღირსა ქალს, მათი ლამაზი აღზდით კიდევ უფრო მაგრათ ჯაჭვით დავაბათ ჩვენი ქმრები. ჩვენ ყმაწვილების გაზდაც გვეყოფა საჭირ-ბოროტოთ, რომ ამის გულისთვის ქმარმა თავისი ღონე და ძალა მისი ჯიბიანა ჩვენ ბედნიერ ცხოვრებას წინ ზვარაკათ დაუდვას. თუ შვილი არ მოგვეცა, მაშინ კი ყოველ ჩვენი ფიქრი და ხერხი იმას უნდა მოვანდომოთ, რომ ქმარს თან-და-თან უფრო შევაყვაროთ თავი და ჩვენი ნების მორჩილ ყმათ გავიხადოთ. ამაში ვერც მატემატიკა და ვერც ბუნების მეცნიერება ჩვენ ვერ მოგვეხმარება. ამისთვის თვით ქალს უნდა დაყვეს ბუნებითი სინარნარე და სიკეკლუცე. გამოცდილებითაც ბევრს შეიძენს ქალი, თუ კარგ საზოგადოებაში კავალრებთან გაქნილს მანდილოსნებს დაუკვირდება და შეითვისებს იმათ ხერხსა და აი, მე მინდა, ჩემო კარგო, ამგვარ წერთნაში მოგეხმარო და საზოგადოებაში თავი კარგათ დაგაჭერინო."

ამ გვარ ლექციებს შემდეგ ლიდია პეტროვნა გვრიტოს მკერდზე მიიკრავდა და ალისფერ ტუჩებს ამოუწუწნიდა. პირველათ გვრიტოს ძალიან ეჩოთირებოდა ხოლმე ლიდია პეტროვნას ასეთი საქციელი, მაგრამ შემდეგ თან-და-თან მიეჩვია მის ხასიათს, ყოველ ტუჩებში ჩაკოცნის დროს რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელი დაუვლიდა ტანში, სახეზედაც ალის ფერი გადაჰკრავდა.

ერთ საღამოს ლიდია პეტროვნა ადრე დაბრუნდა ბულვარიდან, საცა ის სასეირნოთ იყო გასული და მოვიდა თუ არა პანსიონში, მაშინვე გვრიტო შეიხმო თავის ოთახში.

— იცი, გვრიტო, ვინ ვნახე ბულვარში?—შეეკითხა ლიდია პეტროვნა ახალგაზდა ქალს.

— ვინ, „ტიოტია"?—ასე უძახოდა გვრიტო მას, რადგან მისგანვე ჰქონდა ერთხელვე ნაბძანები, „ტიოტია" დამიძახეო.

— ვინ და შენი მამიდაშვილი, სარდიონ ენუქიძე!

— მე მაგისთანა მამიდაშვილს არავის ვიცნობ ჩვენ ნათესაობაში!—უპასუხა გვრიტომ.

— როგორ არა! ის, როცა შენ ოთხი, ხუთი წლის ყოფილხარ, მაშინ წასულა სამსახურში, ცხენოსან ჯარში მიუღიათ და ცხუმს გადაუყვანიათ. როცა მე ჩემმა ცხონებულმა ქმარმა ცხუმს მიმიყვანა, სარდიონ მაშინ გავიცანი, ჩინებული ლამაზი, მოხდენილი ახალგაზდა იყო და მე ხომ ყველა ძალიან მომწონდენ ჩერქეზულათ ხმალ-ხანჯლით გამოწყობილები. მისი ასეულის კამანდირს ძალიან კარგათ ვიცნობდი და, როცა სეირნობა მომესურვებოდა, შევუთვლიდი, კარგი საჯდომი ცხენი გამოეგზავნა ჩემთვის და შენი მამიდაშვილი სარდიონ ენუქიძეც უნდა გამოეყოლებინა. მე ძალიან მიყვარდა იმასთან სეირნობა. ჩინებული ცხენოსანი იყო და მეც მასწავლიდა ცხენზე ჯდომას. ისე მარდათ შემსვამდა და ჩამომსვამდა ხოლმე ცხენზე, მეგონა, შევფრინდები და ჩამოვფრინდები ხოლმე მეთქი. ძალიან მარჯვე და ყოჩაღი ყმაწვილი კაცია. მე სულ იმაზე ვზრუნავდი, ისე შევაყვარე შენი მამიდაშვილი მის უფროსებს, რომ ჩინიც მივა-

ცემინე; ახლა კორნეტია ცხენოსან ჯარში და წმინდა გიორგის ჯვარიც ჰკიდია გულზე ჩემი წყალობით.

— კი, ტიოტია, მაგრამ საიდან შეიტყვე, რომ სარდიონ ენუქიძე ჩემი მამიდაშვილი უნდა იყოს?

— მე ახლა ბულვარში რომ ვნახე, მოვუყევი შენი ამბავი, [illegible] შენი გვარი და სახელი და მითხრა, ჩემი ბიძაშვილია გვრიტო [illegible]ქალიო; ძალიან იამა შენი ამბავი და გაეხარდა, რომ ვუთხარი, კარგათ სწავლობს მეთქი.

— ნეტავი მანახვა, ტიოტია, ძალიან გამეხარდებოდა.

— კიდეც მისთვის ვუთხარი ამ საღამოს მოსვლა, რომ შენ გაგეხარდებოდა მისი ნახვა და იმანაც მითხრა, ძალიან მიამება გვრიტოს ნახვაო. იცი, სულიკო ერთი გირვანქა კამფეტსაც მოგიტანს.—უცებ გადაეხვია, მიიკრა გულზე გოგო და ტუჩები ამოუწუწნა ისეთი გულისთქმით, თითქოს გვრიტო კი არა ჰყოლოდეს გულზე მიკრული, არამედ უფრო ის ახალგაზდა, რომელზედაც ასე აღტაცებით ელაპარაკებოდა გვრიტოს.

გვრიტომ რაღაც არაჩვეულებრივი გულის მღელვარება იგრძნო ლიდია პეტროვნასი, თითქოს საკირეში დაწვის შეეშინდაო, ძალით დაუსხლტა ხელიდან, შეხტა მაღლა, ტაში დაუკრა და ბხიარულათ დაიძახა.

— ნეტაი მე, ამ საღამოს ჩემ მამიდაშვილს ვნახავ და კანფეტებსაც მომიტანსო.

— ხომ სხვებსაც უნდა ვაჭამო კანფეტები, „ტიოტია?"—ჰკითხა ყმაწვილური უანგარობით გვრიტომ.

— მაშ, მაშ!.. რაცა გიქვს, ყველაფერი სხვებსაც უნდა გაუზიარო. გულკეთილობა, გულმოწყალება ქალიშვილს არ უნდა აკლდეს. ვინც გულკეთილი არ არის, ის ვერც ღრმათ შეიყვარებს ვერავის ცხოვრებაში.

— მშვიდობით, ტიოტია, უ! რა ბედნიერი ვარ დღეს, მამიდაშვილი მომივა! ღმერთო, რამდენი ხანია, ჩემიანებისაგან არა ვიცი რა, არც პაპა მინახავს, არც დედისაგან მომსვლია წიგნი... ასე მგონია, ყველამ მომიძულა მეთქი.

— არა, მაგას ნუ იფიქრებ! ეგ ჩვენი უფროსის ბრალია; იმან დაითხოვა მამა შენი და შენი სახლობა. გვრიტოს გული სახლისკენ აქვს და, თუ ნახვა დაუხშირეთ—თავის დღეში ვერას ისწავლისო. რა ექნათ, იმათაც შენი სიკეთის გულისთვის დროებით გაწყვიტეს შენთან კავშირი.

— ფუ, იმ ჩვენ უფროს ქალს გაუწყდა მიწა, მე ის არ მიყვარს! რა კარგი იქნებოდა, ტიოტია, რომ თქვენ ყოფილიყავით სასწავლებლის უფროსი! თქვენ ხომ არ მოიქცეოდით აგრე ოლმერთოთ?

— ოჰ, როგორ იქნება. მე მაგისთანა გულცივი არა ვარ.

— ოჰ, ნეტავი თქვენ იყოთ ჩვენი უფროსი. ასე ხომ არ იზამდით, მამაჩემს ხომ არ ეტყოდით, თქვენ ქალს ნუ ნახავო.

— მე მაინც ვეცდები, რომ საშობოთ გაგიშვან შინ.

— უჰ, ტიოტია, რა კარგი გულის ხარ!—უცბათ გამოსტაცა ლიდია პეტროვნას ხელი და აკოცა.

— მაშ ახლა საღამომდის წადი, ისწავლე და საღამოს შენ მამიდაშვილს ნახავ ჩემთან.

— უი, ტიოტია, რა მოხარული ვარ!—აკოცა კიდევ ხელზე ლიდია პეტროვნას და წავიდა ამხანაგებთან.

XVI

ლიდია პეტროვნას პირველ განწესებისთანავე ქუთაისის საქალებო სასწავლებელში საზოგადო ყურადღება დაიმსახურა. სასწავლებლის უფროსი მოწიწებით ეექცეოდა, რადგან მასში ხედავდა მომავალ თავის მემკვიდრეს, რომელსაც შეეძლო კიდეც წაერთმია უფროსობის ადგილი, ისეთი მფარველობა და მოწყალეები ჰყავდენ ლიდია პეტროვნას სახელმწიფო მოხელეს შორის. კლასებში ზედამხედველი ქალები, განსაკუთრებით რუსის ქაჯანა, მეტათ ქვეშევრდომობითი გრძნობით ეექცეოდენ, მას თვლიდენ, მიუწვდენელ უპირატეს არსებათ, იმისთვის რომ ლიდია პეტროვნას,—ერთი რამ—პენსია ჰქონდა სამოცი თუმანი, მეორე ჩინებული თვალტანადი და ჯერ კიდევ ახალგაზდა იყო, მესამე—როგორც მაიორშას—სამხედრო წოდებაში მოწონება ჰქონდა და ყოველ „ბალ-ვეჩერებზე“ აფიცრობა ისე ეხვეოდა, როგორც თაფლს ბუზები. ერთ წუთს მოსვენება არ ჰქონდა, ყოველი აფიცერი, ბედნიერათ ჩათვლიდა თავს, თუ ლიდია პეტროვნასთან მაზურკას ითამაშებდა, რადგან მასავით მოხდენილათ ქალი ვერ თამაშობდა. მაზურკის თამაშობის დროს მისი სარივით ამართული ტანი, ჩქარი წაგოგვა, თითქოს მიჰქრისო, შვენიერი გვერდზე გადმოხედვა ცეცხლ-ზფრქვეველი თვალებით კავალრისადმი—ერთ ქალათ ღირდა.

ასეთი ღირსებები სასწავლებელში მოსამსახურე ზედამხედველთა ქალთათვის მიუწვდენელი იყო და ისინი შურსა და ჭორიკანობას ვერც კი უბედავდენ. მათ თვალში ლიდია პეტროვნას რაც უნდა ექნა და რაც უნდა შემთხვეოდა—ყველაფერი მისი შესაფერი და უძრახი უნდა ყოფილიყო.

ლიდია პეტროვნა ძალიან კეთილი გულის ქალი იყო, დაჩაგრული ეცოდებოდა, ვისაც რამე უნდა ეთხოვა, თუ კი რამე ღონისძიება ექნებოდა, არავის არაფერს დაუკავებდა. მისი პენსიის ფულები ვის არ ემართა, თითო ოროლა თუმნობით. განსაკუთრებით დაბალი მოსამსახურეები, გამდლები, მრეცხველები, მოსამსახურე გოგოები და ბიჭები ფულის ჩუქებით ძალიან მომადლიერებული ჰყავდა. ამ გარემოების გამო, ლიდია პეტროვნას რომ საქმეები ეპატივებოდა, იმდენს არავის აპატივებდენ. იმას შეეძლო ორი სამი დღე თავის ოთახში სტუმარი კავალერი შეენახა და ვერავინ გაიგებდა. რომ ვისმე ცოდნოდა ეს ამბავი, იმდენი პატივისცემა ჰქოდათ მისი, რომ კრინტსაც არ დასძრავდენ.

პირველ ხანებში ლიდია პეტროვნაც არ აძლევდა მიზეზს არავის, რომ რამე ცუდი ეფიქრათ მაზე, მაგრამ გავიდა ნახევარი წელიწადი და გაჩდა მის მახლობლათ სარდიონ ენუქიძე. ლიდია პეტროვნას გული ღრმათ შეინძრა წარსულის მოგონებით.

მან წახსნა თავი თავდაჭერილობას. კვირაში ორჯელ-სამჯელ სარდიონ ენუქიძე მეათე საათზე ზავედენიის ალაყაფის კარებში შეძვრებოდა ხოლმე და ნაშუალამევის მეოთხე საათამდის იქიდან აღარ გამოვიდოდა. ლიდია პეტროვნამ ერთი მეტათ ერთგული, ხანში შესული მოსამსახურე გოგო აიჩინა და მისი

შემწეობით ხორცშესხმული კაცი ვერ ტყობილობდა, რომ სარდიონ ენუქიძე ლიდია პეტროვნას ოთახში სიამოვნებით ატარებდა დროს იმ დროს, როცა მთელ სასწავლებელში ბაიბურის ხმა არ იყო და ყველას ეძინა. უფრო მოხერხებული კიდევ ის იყო, რომ სარდიონ ენუქიძეს გვრიტოს ბიძაშვილობის სახელი დაუვარდა და ორ კვირაში ერთხელ ყველას დასანახავათ მივიდოდა ლიდია პეტროვნასთან, სადაც ინახულებდა თავის ბიძაშვილს, ბაკურიძის ქალს, რომელიც მხიარულათ მიეგებებოდა და ტუჩებში ჩაკოცნიდა. მთელმა ხავედენიის ქალებმა იცოდა, რომ გვრიტოს კარგი მოხდენილი, ლამაზი და წარმოსადეგი ახალგაზდა ბიძაშვილი დაუდიოდა ლიდია პეტროვნასთან. ბევრი მოწიფული უმაღლეს კლასის მოწაფე გულში კიდეც ნატრობდა სარდიონ ენუქიძის ქმრობას, რომელიც ცხრა საათამდის დარჩებოდა ლიდია პეტროვნასთან, გვრიტოს სანახავათ, მერე გამოემშვიდობებოდა, წავიდოდა, მაგრამ მივიდოდა თუ არა ლამეში ალაყაფის კარებთან, იქ დახვდებოდა ლიდია პეტროვნას მოსამსახურე გოგო, რომელიც გზას აქცევინებდა სარდიონს და ჩუმათ ისევ უკან შეიყვანდა ლიდია პეტროვნას ოთახში.

ერთხელ ლიდია პეტროვნას მოუნდა კვირა საღამოს გასეირნება ბულვარში და თან წაიყოლია გვრიტო, რომელიც აღტაცებაში მოვიდა ამის გამო, რადგან იცოდა, ერთი რომ ბულვარში სამხედრო მუსიკა უკრავდა და მეორე — თავის მამიდაშვილს, სარდიონს ნახავდა. მართლაც გავიდენ თუ არა ბულვარში, სარდიონ ენუქიძე მაშინვე წინ შეხვდათ. გვრიტომ მიიღო კანფეტები, ლიდია პეტროვნას კი მარტო მის დანახვაზე სიხარულის ნაპერწკლები ცვიოდა თვალებიდან. იმათ ოთხჯელ შამოუარეს ბულვარს; ამ დროს არც სარდიონის და არც ლიდია პეტროვნას ენა არ გაჩერებულა; თუ ოხუნჯობდენ, თუ წარსულ ცხუმის ამბავს ელაპარაკებოდენ ერთმანეთს; გვრიტო კი თავის კანფეტებს შეექცეოდა, მაინცა და მაინც ყურს არ უგდებდა სარდიონისა და ლიდია პეტროვნას ლაპარაკს, მისი ყურადღება უფრო მუსიკის დაკვრისკენ იყო მიქცეული, მას ესმოდა სანატრელი მატივები და გონებაში ფეხებს აყოლებდა.

კარგათ დაბნელდა, რვა საათმა დაჰკრა; ნახევარი საათი გასულიყო, რაც სამხედრო მუსიკა აღარ უკრავდა, ბულვარი დაცარიელდა. ლიდია პეტროვნა და სარდიონ ენუქიძე მიჯდენ ერთ კუთხის სკამზე, საცა უფრო ბნელოდა; ენუქიძე ლიდია პეტროვნას და გვრიტოს შუა ჩაჯდა; მას არ გაუწყვეტია ლიდია პეტროვნასთან ლაპარაკი, მაგრამ ამავე დროს მარცხენა ხელი გვრიტოს შამოხვია, ნელნელა ააყოლა ხელი და თითები ახალ აქვირითებულ მკერდზე მიადვა. გვრიტოს რაღაც სასიამოვნო ჟრუანტელმა დაუარა ტანში და უნებურათ შეკრთა, განიზრახა სარდიონ ენუქიძის თითების მოშორება. ამ დროს უცბათ დაწვდა სარდიონი გვრიტოს ყურში და უჩურჩულა: „უი, რა პაწია კოკორი გქონიაო! შემდეგ კვლავ ხმა მაღლა განაგრძო ლიდია პეტროვნასთან ლაპარაკი.

ლიდია პეტროვნა ძალიან მხიარულათ იყო, მისი მარცენა ხელი სარდიონს ეკავა მარჯვენა ხელში და გრძნობით უჭერდა, მაშინ, როდესაც მარცხენა ხელი გვრიტოს წელზე გველსავით მოხვეოდა და ხან მკერდზე მიიტანდა, ხან წელზე უჭერდა. ლიდია პეტროვნა ფიქრობდა, გვრიტოს ნამალავათ მიჭერს ხელს

ხელზეო, გვრიტო კი ნათესაობის გრძნობით გამსჭვალული არ უშლიდა სარდიონს თავის ნორჩ-გულმკერდზე შეხებას.

გავიდა კიდევ ნახევარი საათი, რომ ეს სამი არსება კვლავ ამ სკამზე ისხდნენ. გვრიტომ თითქოს ალღო აიღო, რომ დაწოლის დრო მოუვიდა და წამოიძახა:

ტიოტია, წავიდეთ შინ, გვიან არის, მგონია ჩვენი დაწოლის დროც მოვიდა.

— მართლაც რომ დრო არის, წავიდეთ სარდიონ, გაგვაცილეთ!—უთხრა სიყვარულით ლიდია პეტროვნამ. ამ დროს უეცრათ სარდიონმა მარცხენა ხელით გულზე მიიკრა გვრიტო და ტუჩებზე მაგრათ დაეკონა. ლიდია პეტროვნამ კოცნის ხმა გაიგონა და გველ-ნაკბენივით შესძახა:

ეს რა ამბავია, სარდიონ?

— არაფერი, ჩემ ბიძაშვილს გამოვეთხოვე.

— მერე ეგ კოცნა რაღა იყო?—განუმეორა ჩურჩულით ლიდია პეტროვნამ.

— არაფერი, ისე როგორც ნათესავმა, ვაკოცე!—ჩუმათ უპასუხა სარდიონმა.

— რას მიჰქარავ!—ისევ უჩურჩულა ლიდია პეტროვნამ,—მე როგორც გატყობ, შენ ერთობ წაუშვი ტუჩი. მერე ხმა მაღლა უთხრა გვრიტოს:

— აქეთ მოდი, ჩემკენ იარე.

გვრიტოს ეს ამბავი ეუცხოვა, გულში იფიქრა, რატომ ჩემ მამიდაშვილის გვერდით არ უნდა ვიაროვო, მაგრამ მაინც სიტყვა აღარ შეუბრუნა ლიდია პეტროვნას და დაიწყო იმის გვერდით სიარული. სარდიონმა ხმა-დაშვებით უთხრა:

— არ გამიწყრე, ჩემო სულის კოკობო, ისე ვიეშმაკე ხუმრობით!

—თქვენისთანა ავაზაკებს რომ ნებას მისცემ, ყოველთვის აგრე მოიქცევა... უსირცხვილო!.. ღამეში ლაწირაკ ბავშთან კოცნა გამიმართა!—გაბრაზებით ეუბნებოდა ლიდია პეტროვნა სარდიონს, მაგრამ ისე ხმა-დაბლათ, რომ გვრიტოს არ ესმოდა.

რას ფიქრობდა გვრიტო ამ დროს?.. ის მიხვდა, რომ მისი მამიდაშვილი მეტათ ეალერსებოდა ლიდია პეტროვნას, სჩანს, ძველი მეგობრები ყოფილან!

გულში კიდეც უხაროდა, იქნება ლიდია პეტროვნა მართლა ჩემი ბიცოლა გახდეს, სარდიონი ქმრათ შეირთოსო.

ამასობაში ისინი მივიდენ სასწავლებლის ალაყაფის კარებთან, სადაც სარდიონ ჩვეულებრივათ გამოეთხოვა ლიდია პეტროვნას, რომელმაც უგულო ხელის ჩამორთმევით დაუმტკიცა, რომ მისი ყოფა-ქცევით კმაყოფილი არ იყო. თუმცა ლიდია პეტროვნა და გვრიტო კიდეც შეეიდენ სკოლის სარდაფში, სარდიონ არ ფიქრობდა უკან დაბრუნებას. ის შეეიდა ალაყაფის კარებში და იქ უცდიდა ცოტა ხანს, ფიქრობდა, ლიდია პეტროვნა ჩვეულებრივათ მოსამსახურე გოგოს გამოუგზავნიდა, მაგრამ რომ ველარ ელირსა მოციქულს, თვითონ წავიდა ფეხ-აკრეფით ლიდია პეტროვნას ოთახში შესასვლელათ. მივიდა თუ არა მის ოთახის კარებთან, ამ დროს სამზარეულოდან გამოვიდა სასწავლებლის

უფროსი ქალი, რომელსაც ეუცხოვა მამაკაცის ლანდი, ლიდია პეტროვნას ოთახის კარებთან ატუზული.

„ვინ ხარ მად?“—შეაძახა.

სარდიონ გაშრა შიშისაგან და ხმას არ იღებდა.

ბიჭო, ფარანი გამოიტანე!—დაიძახა უფროსმა. მართლა გამოიტანეს ფარანი და სარდიონ ენუქიძე კი შერჩათ ხელში.

— რა გნებავთ, ვისთან მობძანებულხართ?

— ლიდია პეტროვნას სანახავათ გიახელი, დამავალა, საპენციო წიგნაკი უნდა გამომეცვლევინებია.

— ახლა რა დროს მაგისთანებია? განა არ იცით, რომ ამ დროს საქალებო სასწავლებელში შესვლა დაშლილია?

— ჯერ ადრეა, ათი საათიც არ არის!—უპასუხა სარდიონმა.

— რას მიჰქარავთ, ადრე კი არა, ის კიდევ! ღამით გაგონილა სასწავლებელში სიარული?—გაბრაზებით შეუტია სასწავლებლის უფროსმა. მერე მიუბრუნდა ფარნიან მოსამსახურეს და უბძანა:—წადი ახლავ მოიყვანე პოლიციის ბოქაული, ამ ვაჟბატონის აქედან წასაყვანათ.

— თვითონ თქვენ რას მიჰქარავთ? რას ქვია პოლიციის ბოქაული? ვინ გგონივართ? მე გახლავარ ხელმწიფის აფიცერი! წმინდი გიორგის ჯვარი მკერდზე მაკერია!.. რა მეცოდინება თქვენისთანა ქალბატონების ბძანებისა? ამ სიტყვებზე შეიქნა ჩოჩქოლი. სასწავლებლის უფროსი ხმა-მაღლა ჰკიოდა.

არიქა, გვიშველეთ, ავაზაკი შემოგვიხტა პანსიონშიო. ყოველ მხრიდან გამოცვინდენ მოსამსახურეები.

სარდიონმა ახლა კი იკადრა უკან დაბრუნება ჩქარი ნაბიჯით. ის უშვერი სიტყვებით ილანძღებოდა.

ლიდია პეტროვნას თუმცა დაწვრილებით ესმოდა ეს ამბავი, მაგრამ უცბათ საწოლში ჩახტა და გაინაბა, ვითომც მძინავსო. ის კი არა, მის გულს შიშისაგან ბაგა-ბუგი გაჰქონდა და თავის გაჩენის დღეს იწყევლიდა, რადგან კარგათ იცოდა, რომ ეს შემთხვევა მეორე დღეს მთელ ქალაქში მოეფინებოდა და მისი სარდიონთან დამოკიდებულება გამომჟღავნდებოდა.

XVII

186... წ. ბაკურიძე მოსულიყო ქუთაისს თავის ამალით. ის იყო ქრისტეშობისთვის თუთხმეტი რიცხვი დამდგარიყო. ანასტასიას თავის გვრიტოს ნახვა მეტათ მონატრებოდა და ქმრისთვის დაებარებინა, თუ არ გამოგატანონ ჩემი გოგონა, სულ დაანებებიე სწავლას თავი და შვილის უნახავათ ამ დღესასწაულებზე ნუ დამტოვებო. თუმცა ქალაქში ჯერ თოვლი არ იყო მოსული, მაგრამ ბაკურიანის სოფელში იმდენი თოვლი დადვა, რომ ხოხობ-კურდღლების შემოკვეთა შეიძლებოდა. ჩინებული სანადირო ამიდები იყო და ბაკურიძეც ფიქრობდა, ამ საშობოთ ჩემ გვრიტოს კაი ნადირობას ვასწავლი და ქორ-მეძებრის ხელობასაც შევაჩვევო.

მეორე დილას ბაკურიძე გამოეწყო თავის ნიკოლოზის დროის მუნდირში და მივიდა სასწავლებელში.

სასწავლებლის უფროსი მხიარულათ მიეგება ბაკურიძეს და უთხრა:

უნდა მოგილოცოთ, თქვენი ქალი კარგათ სწავლობს, თითქმის გასათხოვარი შეიქნა, იმდენათ აყარა ტანი. მეოთხე კლასში უნდა გადავიყვანოთ, ესათუოთ ჯილდოსაც მიიღებს. რუსული ჩინებულათ დაისწავლა.

ბაკურიძე სიხარულისაგან აღარ იყო და საჩქაროთ მოელოდა თავის ქალის ნახვას.

ამ დროს შემოვიდა ლიდია პეტროვნა. სასწავლებლის უფროსმა გააცნო თავის თანაშემწე. ლიდია პეტროვნამ ჩვეულებრივი ღიმილით მიულოცა, რომ მას შვენიერი ლამაზი ქალი ეზდება.

თქვენი ქალი—ნამდვილი აღმოსავლეთის ვარსკვლავი იქნებაო!—დააბოლავა ლიდია პეტროვნამ.

— აი, მამა შენი!—შეჰყვირა სასწავლებლის უფროსმა გვრიტოს, რომელიც ამ დროს თითქმის რბენით მივარდა მამასთან. ბაკურიძეს თვალები აუთამაშდა და სიხარულისაგან არ იცოდა, რა ექნა. იმან თავის ქალს შემოხვია ხელები და გულში ჩაიკრა. გოგომ ტირილი დაიწყო.

— ქალო, რას ტირი?—შეჰძახა უფროსმა.—განა მამის ნახვა არ გიამა? კი არ უნდა იტირო, უნდა იცინო!

— ეგ სიხარულის ცრემლებია,—დაატანა ლიდია პეტროვნამ,—რა ბედნიერია გვრიტო, დედ-მამასთან მიდის!

— წამოხვალ შინ?—ჰკითხა ბაკურიძემ. გვრიტომ თანხმობის ნიშნათ თავი დაუქნია.

— დედაშენს დიდი ღვეზელი*) აქვს შენთვის მომზადებული.—დაატანა ბაკურიძემ. ქალმა დედის მოგონებაზე უფრო მოუმატა ტირილს. მამამ შვილი ხელ-ახლა ჩაიკრა გულში და ეუბნებოდა:

— გაგონილა შენხელა ქალის ტირილი? თუ გეწყინა, ისეეე აქ დაგტოვებ! გვრიტომ უარის ნიშნათ თავი გაიქნია.

— აბა, გაჩუმდი, სირცხვილია, უფროსები გიყურებენ.

— უჰ! რა ბედნიერია გვრიტო! შინ მიდის!—ამბობდა ლიდია პეტროვნა. პანსიონის უფროსს არ იამა ქალის ასეთი გულჩვილობა და რიხიანი ხმით უთხრა:

როგორ არა გრცხვენია, მაგხელა ქალი ტირი. თუ სიხარულის ნიშანია. ნუ თუ ჩვენთან ყოფნა ეგრე მოგძაგდა, და თუ უსიამოვნების—ეგეც შენს უგულობას ამტკიცებს.

— არა, მე მიხარია შინ წასვლა!—უპასუხა თვალცრემლიანმა გვრიტომ.

— თუ ეგრე უსაქციელოთ მოიქეცი, არც კი გაგიშვებ! წადი ახლა შენ კლასში და!—უბძანა უფროსმა.

---

*) ღვეზელი—საშობო დიდი პურია, ყველით და მაგრათ მოხარშული მთელ-მთელი კვერცხებით გატენილი.

გვრიტომ ხვეწნის თვალები მიაპყრო მამას. ბაკურიძე მიუხვდა, რასაც ეუბნებოდენ შვილის დიდრონი თვალები და უთხრა:

კი, შვილო, წაგიყვან, აქ როგორ დაგტოვებ ამ დღესასწაულებზე. მოემზადე ზეგისთვის!

ლიდია პეტროვნა გაჰყვა გვრიტოს კლასში და ამ დროს მის სახეს მართლაც დედობრივი გულშემატკივრობა დაეტყო. ბაკურიძე დიდხანს ალაზე დარჩენილა სასწავლებლის უფროსთან. ის გამოეთხოვა და უთხრა, რომ ყმაწვილი ზეგ უნდა წავიყვანოვო.

— დიაღ, წაიყვანეთ, მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ, ტანისამოსს ვერ გავატანთ.—უპასუხა გულ-გრილათ უფროსმა.

— ტანისამოსი მე მოვუტანე. მეც ვიცოდი ეგ წესი და უტანისამოსოთ როგორ მოვიდოდი, მაგრამ გვრიტოს ისე აუყრია ტანი, რომ შეიძლება თავის ტანისამოსში ველარც კი ჩაეტიოს.

— არა უჭირს რა შინამდის.—ანუგეშა უფროსმა.

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ.—გამოეთხოვა ბაკურიძე.

— ნახვამდის!—ჩამოართვა ხელი უფროსმა და გაეშურა თავის ოთახში. „Как волка ни корми, он все в лес смотрит!"—წაიდუდუნა მან და შეალო კარები.

ბაკურიძეს კიბის ჩამოსასვლელზე დახვდა ორი ხლებელი აზნაურიშვილი, რომელთაც გზა მისცეს და თითონ უკან აედევნენ. ქუჩაზე ბაკურიძეს წინ შეეგება მაზრის მდივანბეგი, რომელმაც მხიარულათ მოიკითხა ბაკურიძე და სხვათა შორას უთხრა:

თქვენთან საჭირო მოსალაპარაკებელი საქმე მაქვსო.

ბაკურიძემ მოიხედა უკან და თავის ხლებულებს გააგებინა, ცოტა უკან ჩამოდექითო. ხლებელები შეჩერდენ და მერე ნელ-ნელა შორი-ახლოს გამოედევნენ. ბაკურიძე და მდივანბეგი კარგა მანძილზე დაშორდენ ხლებელებს.

— თქვენ რომ ქალაღდი შემოიტანეთ და ეჭვით განაცხადეთ თქვენს ნაყმევზე, პეტრე კვესაძეზე, რომ ვითომც იმას მოეკიდებინოს ცეცხლი თქვენი ბოსლისთვის, რა საბუთი გქონდათ ასეთი ეჭვისათვის?—ჰკითხა მდივანბეგმა.

— რა და ჩემი წინააღმდეგობა გამოიჩინა... ქალაქს იყო რამდენიმე წელიწადი... იქ წახდა, გასალახანდა, ბატონ-ყმური ხათრი სულ დაივიწყა და რომ ჩამოვიდა, პირველს შემთხვევაში ამაყობა დამიწყო. ერთხელ დამჭირდა, ხაბაზი ავათ გამიხდა, ვუბრძანე—თორნეს ჩაუკიდე-მეთქი და იმან უარი მტკიცა: არა, ბატონო, მე ხაბაზობას ვერ აგისრულებ, რადგან მამა-პაპიდან არ მმართებიაო; ძალა რომ დავატანე—გამექცა. მაშინ ძროხა წავართვი და ამისთვის, ვფიქრობ, უეჭველათ ის წაუკიდებდა ბოსელს ცეცხლს. იმ დღეს სტუმრებიც დავიპატიჟე და მისი ძროხით გაუმასპინძლდი... ეს კიდევ არაფერი, მაგრამ წინეთ მეზობლებში დაექადნა, პეტრიელა არ ვიქნები, თუ ჩემ ბატონს ჩემი ძროხა ფარად არ დავუჯდინეო. ეს რომ დილით დაეკვეხა, იმ საღამოს დღე და ღამის გაყრისას ჩემ ბოსელს ცეცხლი წაეკიდა. ყველა ამბობდა, პირველათ ალი სახურავიდან ავარდაო, საცა თივის ბულულები მქონდა შეზიდული, მაღლა

ბოსლის ჭერზე. ერთი ჩემი შინა-ყმა კიდეც ამტკიცებს, რომ როგორც ალი გამოჩდა სახურავს გარეთ, უცბათ მივირბინე და ამ დროს მოშორებით ერთი კაცი მირბოდა, ბოსლიდან გამოქანებული და ღამეში პეტრიელას ვამზგავსეო.

— ეგ ნამდვილათ პატივდებაში მისაღები საბუთებია.—დაბერა კვერი ბოქაულმა,—მაგრამ მე კიდევ უკეთესს გეტყვი: ქალაქის პოლიციმეისტრისაგან მომივიდა ამბავი, რომ პეტრე კვესაძემ იქ სოვდაგარი გაქურდათ, და ჩამოთვლილია, რაც ვერცხლის და ოქროს ნივთები წამოულია. ამას გარდა, ოცდა-ხუთი თუმანი ფულათ მოუპარავსო.

— რას მელაპარაკები!—გაკვირვებით უპასუხა ბაკურიძემ.—მართალი იქნება. ის ისეთი ავაზაკია, დაუნდობარი, რომ ყოველიფრის მომქმედი იქნება.

— ახლა მე მინდა ამ დღეებში თქვენთან გეახლოთ საიდუმლოთ,—განაგრძო მდივანბეგმა საუბარი,—და უეცრათ დავესხათ თავზე, იქნება შევიპყრათ და სახლიც გაუჩხრიკოთ.

— ძალიან კარგი იქნება. მე მზათ დაგხვდები და იმედია, კიდეც დავიჭერთ.—უპასუხა ბაკურიძემ.

— თუ ვისახელე თავი, აბა, ახლა ვისახელებ, სულ თქვენი მეოხებით, ბატონო ბაკურიძე.

— იმე!... რაც ჩემგან შეიძლება, თავს არ დავიზოგავ, მაგრამ ისე საიდუმლოთ უნდა მობძანდე ღამით ჩემთან, რომ ხორც-შესხმულმა კაცმა არ უნდა იცოდეს შენი ჩემთან მოსვლა, რადგან ბაკურიანის სოფელში ძალიან დაკვირებულები არიან და სუნით მიხვდებიან, რა საქმეზედაც უნდა მოვიდეს მთავრობის მოხელე და ყოველ ზომას იხმარებენ, რომ დამნაშავე გააპარონ. თქვენ უნდა მოხვიდეთ ღამით ჩემთან, ასე ვახშმობის დროს მგზავრათ და ითხოვოთ ღამის გათევის ნება. მეც, რასაკვირველია, ისე მიგიღებთ, როგორც უცხოს, მაგრამ იმ წამსვე კი უნდა დავეცეთ თავზე პეტრიელას. ის ჩემგან გამფრთხალია და მხოლოთ ღამით მოდის ხოლმე შინ. მოხდება, რომ ხან-და-ხან ღამითაც არ არის ხოლმე, როცა რამე ეჭვს აიღებენ. დედა ჰყავს საშინელი მზაკვარი და კუდიანი.

ნამდვილათ შინ ექნება მოპარული ნივთები, თუ ღმერთმა ჰქნა არსად გაყიდა, ან დააგირავა, ან სხვაგან არ გადამალა. იცით მერე რა ნივთებია? ერთი ვერცხლის საშაქრე, ოქროში დაფერილი, ერთი ოქროს სტაქანი და ექვსი დიდი ვერცხლის კოვზი.

— ჰაი, რა ავაზაკი ვინმე ყოფილა ეგ ეშმაკის შვილი! ამისთანა ვერცხლეულობა შინ ჰქონია, რასაკვირველია, გაამაყდებოდა. ორიც არ მეგულება ჩვენში მდიდარი აზნაურიშვილი, რომ მაგდენი ვერცხლი და ოქრო შინ მოეძებებოდეს.

— მე კიდევ, იცი, სად ვუკაკუნებ? — განაგრძო მოსაზრებული სიდინჯით მდივანბეგმა. — იქნება ღმერთმა იპრიანოს და ეს ნივთები ხელუხლებლათ ვნახოთ პეტრიელას სახლში, მაშინ?

— შეაჭყიტა თვალები ეშმაკურათ მდივანბეგმა.

— მაშინ რაი, გავძაგრავთ იმ ბიჭს და საციმბიროთ გადავცემთ მთავრო-

ბას. თუ ციმბირამდის ამოლპება ნაობალში, ეს კიდევ უკეთესი, ჯანდაბამდისაც გზა ჰქონია, — დაატანა გულის წყრომით ბაკურიძემ. — მე ის ყმათ მაინც ალარ მარგია, თბილისში წამხდარი კაცია.

— არა, ბატონო, მაგას რას დავეძებ?.. ნეტა კი იმ ბიჭს დავიჭერდე... ფული წამოულია კიდევ ოც და ხუთი თუმანი... გაფანტავდა... ალარ ექნება?— სასოწარკვეთილებით დაუმატა მდივანბეგმა.

— ჰაი, ის მამაჩამკვდარი! თურმე კიდეც იმიტომ შეიძინა ამდენი რამეები ამ ცოტა ხანში. ძროხა იყიდა, თავისიანები დამოსა, ერთი ძელური დაიდგა... ერთი სავენახე ადგილიც დაიგირავა...

— ვაი, ვაი, ვაი!.. მომწყდა წელი. მაშ ფულს ველარას ვუნახავთ. სულ გაფანტული ექნება! — თქვა დალონებით მდივანბეგმა. ნივთები მაინც რომ ვნახოთ, ისიც კარგი იქნება.

— შეიძლება შინ ჰქონდეს. ჯერ ვერსად წაიღებდა, ფიქრი მიეცემოდა, არ გამომაჩდეს, თვითონ ოქრომჭედელი არ დამიკვირდესო.

— თუ ვნახეთ, სიცოცხლე გაქ, ჩვენ იმას ალაგი ვუპოვნოთ! — ჩაილაპარაკა მდივანბეგმა სიამოვნებით.

— როგორ? — ჰკითხა ბაკურიძემ.

— როგორ და იმ ნივთებს ჩვენ გავიყოფთ. მე იქიდან მარტო ოქროს სტაქანი მინდა, დანარჩენი შენ წაიღე.

— მერე ქალაქს რაღას გაუგზავნი?

— შავ ქვას. ქალაქს, თუ დავიჭირეთ, ხელ-ფეხ შეკრულ პეტრიელას გავგზავნი, თუ ვერ დავიჭირეთ — გადავარდა თქო, მივწერ პოლიციას და გათავდა. წავიდენ და ეძიონ, არც ნივთები აღმოჩნდა და არც ფული თქო.

— აბა, ახლა რავა მოვიქცეთ? — გამოჰკითხა ცნობისმოყარეობით ბაკურიძემ.

— რავა და საშობოთ გეწვევი ჩემი იასაულით მხოლოთ. ღამით მარტო მე და თქვენ წავიდეთ, ჩემ იასაულსაც ნუ გავიყოლიეფთ. თქვენი მოურავი წავიყვანოთ და ერთი ორი ფარეშიც. უცებ შევიდეთ პეტრიელას სახლში. პეტრიელა გავძაგროთ და ჯერ-ჯეროობით შენ შეინახე დაჭერილი. ჩვენ იქ რასაც ვნახავთ, ყველაფერი წამოვიღოთ; მეორე დღეს მიფრინე კაცი, პეტრიელა დავიჭირეთქო. მე მთელი კამანდით წამოვალ და „ოფიციალურათ" დავჩხრიკოთ სახლი საქვეყნოთ. რასაკვირველია ველარას ვიპოვით და მაშინ საქვეყნოთ შევადგენთ პრატაკოლს; პეტრიელას კი გაძაგრულს წავიყვან და ეტაპით გავაგზავნინებ ქალაქს. რაც უნდათ, ის უყონ.

— მერე პეტრიელამ რომ თქვას იქ, ნივთები მდივანბეგმა წაიღოვო? — ჰკითხა ბაკურიძემ.

— ერთი რომ არ იტყვის, და თუ თქვა — არ დაუჯერებენ, რადგან პროტოკოლი მოწმეების ხელის მოწერით იქნება შემდგარი.

— ეგ ძალიან მოხერხებულათ არის ნამოქმედარი; გეტყობა, გაქნილი პოლიციელი ყოფილხარ! — უთხრა მდივანბეგს ბაკურიძემ.

— აბა ამდენ ხანს რუსის სამსახურში ვარ, მარტო ფაფას ხომ არ ვჭამდი?

ახლა მშვიდობით. ასე, საშობოთ შენთან ვარ სადილათ. — დაუძახა ბაკურიძეს მდივანბეგმა ყველას გასაგონათ.

— მობძანდით, მეტად მასიამოვნებთ.—უპასუხა ბაკურიძემ და გაშორდა.

XVIII

შობის მარხვის მიწურული იყო. ბაკურიძის ეზოში დიდი მოძრაობა შეიქნა. ცა მოიღუშა; თეთრი ფარფლები უხვათ ჩამოდიოდა საჯალაბო სახლსა და ოდას შუა მოსიარულე შინაყმებს ეფინებოდა ტანზე და თეთრათ აჭრელებდა.

წამისწამ შემოდიოდენ მებატონის ეზოში საუდიერო დაკლული ღორები. თითო ღორი მსხვილ ჯოხზე იყო ჩამოკიდებული, ჯოხი ორ-ორ კაცს გაედვა მხარზე და შუაში უკანა ფეხებით ჩამოკიდებული ღორი დინგს თოვლიან მიწაზე მიათრევდა და ახალ თოვლზე კვალს აჩენდა. უკან მოყვებოდა მებეგრე გლეხი. ბაკურიძე ნაბადში გამოხვეული იდგა აივანზე და ულვაშებში იღიმებოდა. გლეხი მიესალმებოდა ბატონს, რომელიც გულმხიარულათ ეუბნებოდა მებეგრე გლეხს და ხან-და-ხან ხუმრობით ეკითხებოდა:

ღორი, იცოდე, ცხრა მტკაველზე ნაკლები არ უნდა იყოს, თვარა ხომ იცი, ღორზე ღორი დაედება და შენც შობის დღეს ჩემსა ვერ გაიჭაჭანებ. — გლეხიც სხარტათ უპასუხებდა.

— ბატონო, დებულებას რავა გადუვალთ.

—აბა, შობას მეწვიე და ჩემი დუხიური წითელ ღვინით გამოგაბრუშებო.

— ღმერთმა შენი სიცოცხლე და მოწყალება ნუ მომაკლოსო.

— წაიღეთ ღორი მარანში და მოურავს ჩააბარეთო! ეტყოდა ხოლზე ბაკურიძე. ამგვარათ ღორი ღორზე მოდიოდა ბატონს და ბატონიც თავის მებეგრეებს საშობოთ პატიჟობდა.

საღამოს ბაკურიძე წაბძანდა მარანში ღორების დასათვლელათ. იქ სამოცი დაკლული ღორი ეკიდა. მებატონე განკარგულებას ახდენდა მეორე დღისთვის, რადგან შობა თენდებოდა. ლხინი უნდა გაემართა სასტუმრო სახლში, რომელსაც უკან დიდი ბოსელი ჰქონდა მოდგმული და წინ ბუხარს უშველებელი პირი დაეღო. ბუხარი ისეთი განიერი იყო, რომ ნახევარი საჟენი სიგძე ხის კუნძი შეეტეოდა. შინაყმები შობის წინა დღეს ზოგი ხის გძელ სუფრებს რეცხდენ, დარეცულ ფეხებს უმაგრებდენ. ზოგი საჯალაბო სახლში მუშაობდა, ღორებს ჰქნიდა და დიდ საარაყე ქვაბში ჰყრიდა. საარაყოში დიდი შუაგული ცეცხლი იყო გაჩაღებული და კერიის ქვაზე ისეთი ქვაბი იყო დადგმული, რომ სიმაღლით კაცს მხრებზე წვდებოდა. ის წყლით გავსებული იყო და ჩუხ-ჩუხებდა. ამ ქვაბში ერთბაშათ ორი ძროხა ჩაეტეოდა.

შობის დღესასწაული განსაკუთრებით გლეხკაცობის სტუმრობით იყო ნაქები. ყველა გლეხები იმ დღეს ბატონს უნდა სტუმრებოდენ, ვინც კი ბაკურიძისაგან მეტათ შერისხული არ იყო. ბაკურიძის სასტუმროში იმ დღეს ას ორმოცდაათი გლეხი მაინც დასხდებოდა ჭამათ, ზოგიერთ პატივსაცემ სტუმრებსა და დედაკაცებს გარდა.

— ამ დღეს თამადათ თითონ მებატონე გახდებოდა. მისი მოვალეობა იყო, ყველა გლეხები დაეთრო. იმ დღეს ბატონსა და ყმას ერთი ერთმანეთში ვერ გაარჩევდი, ბატონი ყმას გაელექსებოდა და ყმა ბატონს, გალობებოდენ ოხუნჯობაში; მათი სიმღერა, გალობა და თამაში სწორეთ სასიამოვნო სასყურებელი იყო.

ბაკურიძეს სულ ორასი კომლი ჰყავდა, მათ შორის მხოლოდ სამოცი გლეხს ემართა საშობო ღორი ბეგრათ. ამ სამოცი ღორიდან შობა დღეს ორმოცი მაინც შეიჭმებოდა, დანარჩენი ერთ კვირასაც არ გაჰყვებოდათ.

საჯალაბო სახლში რომ ასეთი მზადება იყო, სამოახლეოში კიდევ სხვა ამბავი ხდებოდა. იქ სამი მოახლე და ოთხი მოზდილი გოგო ექვსი პიროფარეშითურთ ქათმების, ინდოურების და ბატების კვლა-გაპუტკვაში იყვენ გართული. შუა-ცეცხლზე დიდი ქვაბი ეკიდა და წამის-წამს ავლებდენ შიგ დაკლულ ფრინველებს, რომ მდუღარის საშუალებით ბუმბლი გაეცლიათ და გაეწმინდათ. კერას იქით ერთი ხვავი ქათმისა და ინდოურის ბუმბლა იდგა, მეორე ხვავი ბატის ბუმბლის.

უფროსი მოახლე დიდ გობზე პურს ზელდა. მას გარს შემოწყობილი ჰქონდა ასიოდე მოხარშული დაფცქვნილი კვერცხი, აგრეთვე წინ ედგა გობით აზელილ-აფინჩხული ყველი, რომელიც კვერცხით იყო შერეული. მოახლე გძელ ღვეზელს ამზადებდა. ეს იყო ერთნაირი ხაჭაპური, რომელიც აფინჩხული კვერცხის ცილათი შეკაზმული ყველით უნდა გატენილიყო და შიგ მოხარშული მთელ-მთელი კვერცხები ჩატანებულიყო. შემდეგ ამისთანა ხაჭაპურს ჩასვამდენ ცეცხლის ღველფში გამოსაცხობათ. ოჯახში არც ბატონი და არც მოსამსახურე არ უნდა დარჩენილიყო, რომ მის წილათ თითო ქათამი და თითო ხაჭაპური არ შეეხადებულიყო.

აქვე ტახტზე იჯდა ანასტასია, რომელიც განკარგულებას აძლევდა მოსამსახურეებს და მის გვერდით გვრიტო მხიარულებდა საშობო ძღვნის მზადებით. ანასტასია განსაკურებით ყურადღებას აქცევდა, რომ ბატისა და ქათმის ბუმბლი კარგათ შეენახათ.

— დედიკო, — ჰკითხა გვრიტომ, — ამდენ ბუმბლში რამდენი ბალიში გამოვა?

— ეს სულ შენი ქვეშსაგებისათვის მინდა, შვილო. იქნება ერთი ბუმბული და ოთხი ბალიში მაინც გამოვიდეს. დროა, შვილო, აწი შენი სამზითვო ქვეშსაგები ვამზადო.

— კაია, დედა, მაგისთანებს ნუ მეტყვი.

— როდის იქნება, შვილო, შენს ქორწილს მომასწრებს ღმერთი და ერთი ჯინჯილებიანი აფიცერი ჩაგიკოტრიალდება ბუმბულში ჯვარ-მენდლით გულმკერდ დამშვენებული! ამ სიტყვებზე მოხვია ანასტასიამ ხელი თავის ქალიშვილს, მიიკრა გულზე და თვალებში აკოცა. გვრიტო გაინაბა, თითქოს ასალი დაჭერილი ყურდღელი ყოფილიყოს და აღარა თქვა რა.

შორიდან მოისმოდა რაღაცა ტყაპა-ტყუპი და ორი-დელას მღერა. ეს ხმა სახაბაზოდან მოდიოდა, სადაც ხაბაზი ეს მესამე დღე იყო, გამუდმებით აკრავდა

თონეში მჭადებს, ლავაშებს, შოთებს და მურასებს საშობო სამასპინძლოთ. ის იყო ვახშმობამაც მოატანა და ანასტასია თავისი ქალით აიბარგა წასასვლელათ ოდისკენ.

— დედა, ხვალ ბევრი სტუმარი გვეყოლება?—ჰკითხა გვრიტომ, როცა გამოვიდენ სამოახლოდან. ისინი ეფლობოდენ შუა წელამდეს ახალ მოსულ თოვლში.—უჰ, დედა რავარი დიდი თოვლი მოსულა!

— შვილო, ნელა, არ დაეცე, დატკეპნილ გზას არ გადაცდე.

— დედა, მე კიდეც მეხალისება თოვლში წაქცევა, ასე ამბობენ, ვინც ახალ თოვლში იბურღავებს, იმას კაი ფერი და ხორცი წლამდის გაყვებაო.

— არა, შვილო, რომ გაცივდე, რაღა მეშველება. ხვალ მდივანბეგი გვეყოლება სადილათ, მამა შენმა ასე მითხრა, ამის მეტი პატიოსანი სტუმარი არავინ გვეყოლება.

— დედა, ხვალ ბევრი ღვეზელი მოგვივა?

— იმდენი სიცოცხლე გაქ, შვილო! ბარე ასი ღვეზელი მოგვივა. ვისაც საუდიერო ღორი არ მართებს, ყველამ უნდა მოგვიტანოს ძღვენი, ერთი ღვეზელი, ერთი ქათამი და ერთი დოქი ღვინო. აბა ხელ-ცარიელი რავა ჩამოვა ჩვენი გლეხი ეზოში!

ამ ლაპარაკში დედა-შვილი ავიდენ ოდის კიბეზე და აივანში ფეხები დაიბერტყეს.

— დედა, მე ამალამ ვახშამი არ მინდა. ხვალ დილას უთენიათ რომ გავიხსნილებ ღვეზლით და რგვლათ მოხარშული ქათმით ის მირჩევნია.

— აბა, შვილო, ეხლა სერობა მოისმინე, მე გილოცავ.

— უიმე, დედა, იმისთანა დაღალული ვარ, რომ ეხლავე წავიქცევი, თუ ამ წამს არ დამიგეს.

— განა სასწავლებელში ულოცავათ გაძინებენ?

— იქ ერთცახე დაწოლის ლოცვას წაიბუდბუტებს ვინმე და გათავდა. შენ კი, დედა, სერობის ლოცვას ერთ საათს არ გაათავებ, რავა შემიძლია, გავძლო.

— ეგ არი თქვენი სწავლა. ღვთის მოშიშობას რომ ალარ ასწავლიან პატარაობიდან, რა ხეირი უნდა გამოვიდეს იქიდან. პირჯვარი მაინც დეიწერე, შვილო, შეეხვეწე ღვთისმშობელს, მისი მადლი შეგეწია, რომ ხვალ ბედნიერი დღე გაგითენოს დედ-მამასთან ერთათ.

— აჰ, არა, არ შემიძლია, დედა, მეძინება, თვალები მებლიცება.

ამ სიტყვებით გვრიტომ დაიწყო ტანისამოსის გახდა და ჩაგორდა ბუჰბულში, დედას ლოგინში. ანასტასიამ გახსნა ლოცვანი და მოყვა ანთებულ ხატების წინ ჩვეულებრივ ლოცვას.

ამ დროს მეორე ოთახში ბაკურიძეს საიდუმლო მოლაპარაკება ჰქონდა თავის მოურავთან.

— შიუკა, ხვალ ორასი კაცი მაინც გვეყოლება სადილათ. ბაკურიძე იყო წამოწოლილი ტახტზე, საცა ჩარსავ გადეფარებელი ლეიბი ეგო და ჩითის ყურბალიშსზე თავით დაყრდნობოდა. იქვე გვერდით ბუხარი გუგუნებდა.

— ხომ მზათ გაქ ყველაფერი?.. ხაბაზს ჯერ არ გაუთავებია ცხობა?

— არა, ბატონო, შუალამემდის კიდე მოუნდება... მომკლა, ბატონო, მომკლა მიქელა ბრუციანმა,—ასე ეძახდენ ხაბაზს, რომელსაც ცალი თვალი ყვავილით ჰქონდა წამხდარი და ამის გამო სამასხაროთ ხან ჭუტას ეძახდენ, ხან მიქელა ჭოტს, ხან ბრუციანს. ბაკურიძემ ჩაიცინა ულვაშებში და თითქოს ემუქრებაო, შიშინით წაილაპარაკა:

— ჰაი, ეგ ჭოტი, ეგ!.. რაო? ალბათ ღვინით გასკდებოდა?

— ორჯერ გამომივარდა სახაბაზოდან, ღვინო ნიადაგ დოქით უნდა მედგასო, თვარა არ გამოვაცხობო... მერე ბატონო, ნარწყულს კი არ კადრულობს, უსათუოდ თავი ღვინო უნდა მომიტანოვო.

— დიმის წითელი ღვინო ბევრი გაქ?

— გახლავს, ორი ორმოციანი ჭური (ქვევრი) სავსეა.

— აბა დიმის ღვინო მოხადე. ეგ ჩემ ღვინოებში საუკეთესო ღვინოა, მაგარი... ბევრსაც ვერ დალევენ, მალე მოეკიდებათ. უფრო ცოტა დაიხარჯება.—ჩაილაპარაკა ბაკურიძემ.—იცი, რომ ხვალ მდივანბეგი გვეყოლება?

— ხვალ, ბატონო, გლეხები გვყავს მარტო სტუმრათ. ხვალ რა სადიდკაცო დღესასწაულია?—უსიამოვნებით შენიშნა მოურავმა, რომელსაც ისე ეწყინა ეს ამბავი, თითქოს რაიმე უფლება ჩამორთმეოდეს.

საშობოთ ყოველთვის შიუკას ერთი დღე ჰქონდა ბატონის ოჯახში, როცა ის თვითონ თავის ბატონის უფლებით შეიმოსებოდა და გლეხკაცობასთან ისე მოჰქონდა თავი, თითქოს ნამდვილი ბატონი ის ყოფილიყოს და არა ბაკურიძე. ბაგიერათ აკრძალული იყო ამ დღეს ვინმე თავადიშვილის ან მოხელე კაცის დაპატიჟება. ამისათვის თვით ბაკურიძემ თითქოს ბოდიში მოიხადა.

— რა ვქნა, არც მე მინდოდა დაპატიჟება, მაგრამ თვითონ ჩამაცივდა. საქმეზე მოდის, შიუკა. ხვალ სალამოსთვის ნზათ იყავი, შენ და რამდენიმე ბიჭი უნდა წაგიტანოთ.

— სად, ბატონო?

— აბა, თუ მიხვდები?—წამოჯდა ლოგინზე ბაკურიძე.

— შენი რისხვა არ მქონდეს, ვერ მივხვდი.

— შენ ეს მითხარი, პეტრიას ამბავი არა შეგიტყვია რა? ღამით შინ არის ხოლმე თუ არა?

— ხან და ხან მოდის ხოლმე, თვარა უფრო ქუთაისშია, ამბობენ ალებ-მიცემობსო.

— მერე ფული ვინ მიცა.

— ქალაქიდან ჩამოყვა, ბატონო. ბარე შვიდი, რვა თუმანი აქაც, სოფლათ გაასესხა, მარა თქვენ რო გაუწყერით, ისევ მობოჭა და თან წაილო.

— ეტყობა, იმ ქალაქშიაც კარგი საქმეები არ ჩაუდენია. თუ იცი, ხომ არ გაგიგონია რა, ვერცხლისა და ოქროს ნივთები ხომ არ მოყოლია ქალაქიდან?

— არ გამიგონია, ბატონო.

— შენ და ერთი სამი ბიჭი ხვალ ფხიზლათ იყავით, ღვინოს ბევრს ნუ დალევთ, სალამოს დაგვჭირდებით.

— კი ბატონო!—ჩამკრთალი ხმით უპასუხა მოურავმა. ის მაშინვე მიხვდა

რომ პეტრიას თავს კარგი არა მოელოდა რა და გუნებაში გაივლო, წინ და წინვე უნდა შევატყობინოვო. შიუკა გამოვიდა ბატონის ოთახიდან და წაილაპარაკა: „საწყალი პეტრია, საწყალი მისი უბედური დედა!.. ერთი ოჯახი კიდევ უნდა ამოაგდონ... ღმერთო, სად არის შენი სამართალი?“ ამ სიტყვებით შიუკა შევიდა სასტუმრო ძელურში, სადაც შინაყმებს თავი მოეყარათ, გალუზღუზებულ ბუხარს შემოჯდომოდენ და ხვალის დღესასწაულის ამბავში იყვნენ გართული.

XIX

შობის დღესასწაული სწორეთ ბაკურიძის დღესასწაული იყო. იმ დღეს ის იყო დიდებული თვითმპყრობელი, რომელსაც გარშემოსეული ჰყავდა თავისი ქვეშევრდომები. არამც თუ მთელი ბაკურიანის სოფლის მცხოვრებლები, არამედ შორი სოფლებიდანაც ეწვეოდა მას თავისი ყმები ხელგავსებული ღვეზილებით, ღვინით სავსე დოქებით და სხვა მოსაკითხით. მთელი დღე ბაკურიძის ეზოში ტრიალებდა გლეხკაცობა და ახალი მოსული თოვლი ისე გაეტკეპნათ, რომ თეთრი მარმარილოს იატაკით მოგებულ სარბიელს ჰგავდა. ლხინი ორგან იყო გამართული.

სამოახლოში რამდენიმე წყებათ ისხდენ გლეხების ცოლები ჭამათ და მათ თავს დასტრიალობდათ ბაკურიძის მოახლეები, სასტუმრო ძელურში კი ოც საჟენზე გვრილშამო გაშლილი იყო გძელი ხის ტაბაკები, ზედ უხვათ ეწყო სანოვაგე: მჭადი, ლავაში, შოთი, ლორის ხორცის კერძები თავისი კელავერებით.

იქვე იდგენ ღვინით სავსე დიდი დოქები და ჩაფები. ყოველ ათ კაცს თავს ადგა ერთი მერიქიფე, რომლის მოვალეობაც იყო, სტუმარისათვის არა დაეკლო რა. თავში, გაჩაღებული დიდი ბუხრის მახლობლათ მაღალი გძელი სკამი იდგა, სადაც ისხდენ ბაკურიძე და მის გვერდით მდივანბეგი, რომელსაც თან ახლდა ორი იასაული. იასაულები საპატიო ადგილას დასხეს გლეხებთან.

გაიმართა დიდი ჭამა-სმა. ბაკურიძე ძალიან მხიარული იყო, სულ ეპატიჟებოდა თავის ყმებს მიირთვით, დალიეთ, მომილხინეთო. იაგუნდივით დიმის წითელი ღვინო ჭიქებში, ხის ჯამებში და ყანწებში ძვირფას თვლებსავით ამკობდა გაშლილ სუფრებს.

„იაგუნდის მარანშიდა
ჭიქა დგას და ღვინო სჭვერსო,
ზედ ბულბულნი შამომსხდარან,
ზოგი გალობს, ზოგი სტვენსო“.

სწორეთ ამისთანა შემთხვევისათვის უნდა ყოფილიყო ხალხისაგან გამოთქმული.

და აი გაუჯდათ თუ არა თავში გლეხებს წითელი იაგუნდის ფერი ღვინო, ბაკურიძემ შესძახა სტუმრებს:

როგორ მოწყენილათა ხართ, აბა, ერთი იმღერეთ!

გაჩნდა ისეთი კრიმანჭულები, მუშური, და ძველ კილოზე მრავალ ჟამიერის გალობა, რომ მართლაც გეგონებოდათ, ბულბულთა გუნდი მოფრენილაო.

სამოახლოში ქალების მასპინძლობის ზედამხედველათ ანასტასია და მისი ქალიშვილი გვრიტო იყვენ. სოფლის დედაკაცებს ძალიან უყვარდათ ანასტასია, რადგან ის ყოველთვის გულლმობიერათ ეპყრობოდა ყველას. თუ კი შერცხვებდა, რომელსამე გლეხის ოჯახს ან ავადმყოფი ჰყავდა, ან ხელ მოკლეთ იყო, ანასტასია თავის მოწყალებას არაოდეს არ დააკლებდა.

პირველ შესვლაზე გლეხის ცოლები სათითაოთ მიეგებენ ანასტასიას და გვრიტოს, ხელზე ეამბორეს ქალბატონს, გვრიტოს ეხვეოდენ ნათესაობრივი გრძნობით. თითოეულს მათგანს უკვირდა ბატონიშვილის ასეთი მალე ტანის აყრა და დაშვენება.

— უი, შენ გენაცვალე, გვრიტო, რამხელა გაზდილხარ, დედაია... რავა გალამაზებულა, გასათხოვარი შექნილა!..

— შენ შემოგევლე, რა კარგი ქალი გამხდარა!

და თან დიდის პატივისცემის ნიშნათ გვრიტოს მარჯვენა ხელს ავლებდენ თავზე, ნიშნათ დანაცვლებისა და ჭირის წაღებისა.

„შენ შემოგევლე, შენი ჭირი წამილიაო!“ ხშირად ისმოდა მათგან.

ანასტასიამ სათითაოთ მოიკითხა ნაცნობი ყმების ცოლები. გულშემატკივრობა მეტათ ესიამოვნათ დედაკაცებს. ცოლების გავლენით თვით გლეხების გამქისებული გული მებატონისთვის მომბალი იყო, თუმცა მათ ხშირათ ბაკურიძის მოთხოვნილებისაგან ილაჯი ჰქონდათ წართმეული. თუ მეხრეობა ყარო, თუ შინაყმობა, თუ გადასახადი, ვინ იცის, რამდენი კიდევ სხვა გაჭირვება არ ადგათ თავზე.

შობა დღეს მაინც ანასტასიას სახეზე ვარდი მუდამ ეშლებოდა და ბაგეებიდან თაფლი გადმოდიოდა. ეს დღესასწაული მებატონის და გლეხებს შუა შერიგებისა და საზოგადო მხიარულების დღე იყო. ამ დღეს წითელ ღვინოსთან ერთათ ძველი ვარამი და ერთმანეთზე უკმაყოფილება ჩაილულის წყალს მიჰქონდა; იმ დღეს ბატონი და ყმა ერთმანეთს მეგობრულათ ექცეოდენ; გლეხებსაც ღრმათ აჩნდებოდა გულში ბაკურიძის ყოველი ოხუნჯობა, სიტყვის მასხრულად გადაკვრა; ზოგიერთ გავლენის მქონე და კარგი ოჯახის გლეხთან ყანწით გადასვლა სადღეგრძელოსი და თან ერთმანეთის გადაკოცნა მეტი არ შეიძლება, ისე სასიამოვნოთ მიაჩნდათ მთელ გლეხობას. იმ დღეს გლეხს რომ კიდეც ეცემა ბატონისათვის, ან უკადრისი სიტყვებით მოეხსენებია ოჯახის ვინმე წევრთაგანი, ბატონი ხმას ვერ ამოიღებდა, თუმცა კი არასოდეს არ მომხდარა, რომ გლეხებს, რაც უნდა ნასვამი ყოფილიყვენ, თავი დავიწყებოდესთ და მასპინძლის ოჯახში რაიმე უწესოება მოეხდინოსთ.

როდესაც გლეხები კარგათ შეხურდენ და სხვადასხვა სიმღერები გაიმართა, ბაკურიძემ მასპინძლობა თავის მოურავს, შიუკას, გადაულოცა, სასტუმროში თავისი ალაგი დაუთმო და გააფრთხილა, რომ ულვინოთ და მოულხენათ არავინ დარჩენოდა, განსაკუთრებით მდივანბეგის იასაულები ჩააბარა და ყურში წაუჩურჩულა, მაგათ ღვინო დააძალე, შენ კი ფხიზლათ იყავიო.

ბაკურიძეს თან გამოჰყვა მდივანბეგი; ისინი წავიდენ ოდაში მოსასვენებლათ იმ პირობით, რომ საღამოს უეცრათ დაესხმოდენ პეტრიელას ოჯახს.

ბაკურიანთ კარში ყველასთვის გათენდა ბრწყინვალე შობა, მხოლოდ ერთი კვესაძის ოჯახი იყო, რომელსაც შობის მაგიერათ შავი დღე გათენებოდა. როდესაც ბაკურიძის ოჯახში მთელი ბაკურიანთ კარის გლეხობა მხიარულობდა თავის ბატონთან, როდამ კვესაური, შავებ მოსილი, თვალებ გამოლამებული იჯდა თავის ლოგინზე და თვალცრემლიანი წუწუნებდა.

„ღმერთო, რა შეგცოდა ჩემმა უბედურმა ოჯახმა ამის-ფასი, ამ ქრისტეშობის დღე მეორე მოსვლათ გადამექცეო“.

პეტრიელა დაღვრემილი სახით სახლში ალაგებდა თავის ტანისამოსს, ეტყობოდა რომ იმას საამსოფლოთ აღარ ჰქონდა პირი, სადღაც შორს წასვლას ემზადებოდა.

— დედა, მომეცი, მე რაც ვერცხლეულობა მოგაბარე, თან უნდა წავიღო. მდივანბეგი სახლს გაგვიჩხრეკავს და თუ რამე გვინახა, შარს მოგვდებს და მე კი არა თქვენც აღარ დაგაყენებს.

— ვაი, ჩემი უბედური თავი. ამას რას მოველოდი, რომ სიბერის დროს ასე გამიძაღლდებოდა სიცოცხლე. დედავ, დედავ! ეს რა მოგვივიდა. ღმერთო, შენ მოკითხე ჩვენს ასე ამწიოკებელს. ის დღე დაიქცა, როცა ბატონობა გაჩდა ქვეყანაზე. უიმე, უიმე, ამას რას მოვესწარი!

გოგუცას თუმცა ბევრი არა ესმოდა რა, რაც ხდებოდა ოჯახში, მაგრამ ეს კი იცოდა, რომ რაღაც უბედურება ელოდათ და ისიც დედის მწუხარებას აყვა და დაიწყო საცოდავათ ტირილი. წინა ღამით იმას ადრე დაძინებოდა იმ იმედით, რომ შობა დილას გაიხსნილებდა, დედა მთელ ქათამს მოუტანდა საუზმეთ და ახლა რომ გამოიღვიძა, უეკრათ ეს უბედურება დაუხვდა და გაოცდა.

პეტრიამ ვერ გაუძლო დედის და დის საცოდაობას, თანაც გრძნობდა რომ ამიერიდან ის თავის სოფელს უნდა მოშორებოდა და საწყალი დედა და და უნდა დაეგდო უმწეოთ შეუბრალებლის, ვეშაპის კლანჭებში. ამიერიდგან მათი პატრონი ლვთის მეტი კაცი არ იქნებოდა, მაგრამ ღმერთი შორს იყო, ან განა ცოტა იყო ქვეყანაზე ასეთი უსამართლობა, რომ ღმერთი ითმენდა და თავის მოწყალე თვალს არიდებდა. ის წინათვე გრძნობდა, რაც უნდა დამართნოდა ოხერ-ტიალათ დაგდებულ დედას და უწლოვან დას. იმან ველარ მოითმინა, გული აუჩუყდა და თვალცრემლიანი მივარდა გოგუცას, ჩაიკრა გულში და მხურვალე ცრემლი დაადინა შუბლზე. დედამ წუწუნი ღრიალათ შექნა, ამოიყარა მათი გამზრდელი ძუძუები, გაეშურა, ორთავეს გადაეხვია და მათ ცრემლებს თავისი ცრემლები შეურთო. ამათი ასეთი ყოფა მტერსაც დააღონებდა. ერთხანს ასე ჟივილ-ტირილში იყვენ, ბოლოს მაინც პეტრიამ დაუწყო დედას და დას ნუგეშის ცემა.

— რა ვუყოთ დედა, არაფერია. მე ერთი ცოტა ხნით გადავვარდები, ადლერისკენ წავალ ზღვის პირაო, იქ კარგი მოსაგები ალაგებია, ფულს ვიშოვნი და ცოტ-ცოტას მოგაწვდენთ, ჩემი ამბავი ყოველთვის გეცოდინებათ, ჩვენებურები ბევრია იქითკენ წასული. ვინც იქით წასულა, ყველა გამდიდრებულა, მე რა მიჭირს. ერთი ჩემხელა კაცი თუ რასმე იშოვნის, არც მე ჩამოუდგები უკანნუ გეშინიათ, გული გაიმაგრეთ, ჩემ ამბავს მალე შეგატყობინებთ.

როდამმა ხვნეშით ამოიწმინდა თვალები და დაუწყო შვილს სამგზავროთ მომზადება. სკივრიდან ამოიღო ქალაქიდან მოტანილი ვერცხლის ნივთები და ხვირჯინში ჩაულაგა, როცა ყველაფერი მზათ იყო, როდამმა მოიტანა თავის ორ შვილს საჭმელი, ღვინო, ნამცხვარი მჭადები, ერთი ღვეზელი, მერე კი ხვირჯინში ჩაუდვა საგზაოთ, თან დაუმატა ერთი რგვლათ მოხარშული ქათამი, ხუთი კვერცხი და ერთი პაწია ტიკჭორა ღვინო. როდამს ალბათ უფიქრია, პეტრიასაც მადა არ ჰქონდა, მწუხარებისაგან პირს ძლივს იხსნიდა, ეხოლოთ გოგუცა იყო კარგ მადაზე. როცა გაათავეს საჭმელი, როდამმა აიღო ღვინო, ჩაიკრა გულში ხელი და ასე დაილოცა:

— დედაშვილობის გამჩენმა ღმერთმა კეთილი გიწინამძღვროს, შვილო! ღვთისმშობელიც იყოს შენი და ჩემი გოგუცას მფარველი! აბა, შვილო, აღარ უნდა დაგვიანება. იმ ჩვენმა ცოდვით სავსემ აქ არ მოგასწროს, თვარა სულ დავიღუპებით.

პეტრია ადგა, პირჯვარი გამოისახა, გოგუცას გამოეთხოვა. როდამი მივარდა ქვითინით შვილს. მისი თავი მკერდში ჩაიკრა და ზევიდან ცრემლის ნაკადულით დაუსველა შავი ხუჭუჭა თმები.

დღე და ღამე გაყრილი იყო, როცა პეტრიამ ბაკურიანთ სოფლის საზღვარს გადააბიჯა. ის იჯდა კარგ მატარებელ ცხენზე და იმედი ჰქონდა შუალამემდე საჯავახოს დუქნებში მივიდოდა.

როდამ კვესაურმა, გაისტუმრა თუ არა შვილი, ჩაიკრა გულში თავისი გოგუცა და მწარეთ დაატირა.

— ვაი ჩვენს მოსწრებას შვილო! შენ უბედურ დღეზე დაბადებულო, რაღა გეშველება, ვინღა გყავს აწი პატრონი, შენი პეტრია გაგვშორდა საუკუნოთ.

გოგუცამ მორთო ტირილი და შეეფარა დედის კალთას. როდამ კვესაურმა მწუხარებისაგან მეტის-მეტი დალალულობა იგრძნო, ჩაკეტა კარები და ტან-გაუხდელი მიწვა ლოგინზე, გოგუცა გულში ჩაიხუტა და საბანი წაიფარა.

როდამს მწუხარებისგან არ ეძინებოდა, მაგრამ გოგუცას, დედის მკერდში ჩათბუნებულს, მალე მოუვიდა ძილი.

ხანგამოშვებით შორიდან ბაკურიანის სოფელში მოისმოდა სიმღერა და თამაში გუნდ-გუნდათ დაბრუნებული შეღვინიანებული გლეხებისა; ზოგი ხმამაღლა ლაპარაკში აქებდა ბატონის მასპინძლობას, ქალები—ანასტასიას და გვრიტოს ქებაში იყვენ. როდამს ესმოდა ეს ამბავი და იმდენათ თავის ბატონს არ ამტყუნებდა, რამდენადაც თავის ოჯახს, რომელსაც ალბათ დიდი რამე ცოდვა უნდა ჰქონოდა, ან მამა-პაპის რომელიმე სალოცავი ხატი უნდა ყოლოდა გამწყრალი, რომ ამდენი უბედურება თავს დატყდომოდა. ის ახლა მარტო იმის ფიქრში იყო გართული, რომელ მკითხავთან წასულიყო, რომ ნამდვილათ გამოეცნო მისი მამა-პაპის ხატი და საკურთხით მოელბო გული. ცოტა ხანს იქით მიწყნარდა ხმაურობაც და როდამი ძილ-ღვიძრათ იყო გაოსებული, როცა უეცრათ კარებში მაგრათ ბრახუნი მოესმა.

— პეტრია, გააღე კარები, ბატონი მობძანდება!—გაისმა გარედან შიუკა მოურავის ხმა. როდამი წამოვარდა ზეზე და ჯერ ხმას არ იღებდა.

— გააღე, თვარა კარები უნდა შემოვამტვრიოთ! მოისმა უფრო მრისხანე ხმა.

— პეტრია გადავარდნილი გახლავთ, დიდი ხანია.—უპასუხა შიგნიდან აკანკალებული ხმით როდამ კვესაურმა.

— გააღე მაინც კარი, მდივანბეგი მობძანდება.—ამის გაგონებაზე როდამი შიშმა აიტანა და მის კბილებს წაკა-წუკი გაჰქონდა. ის ფეხებზე ადგა, ფეხები წაერთვა, მაგრამ მაინც მიფორთხდა კარებთან და ურდული გამოუყარა. შინ შემოვიდენ ბაკურიძე, მდივანბეგი და ორი-სამი ხლებელი; ერთს ცხენები ეკავა გარეთ.

— ეს რა ამბავია? ასე ღამეში რათ ხართ?—დაიყვირა ბაკურიძემ.—შიუკელა, ცეცხლი გაანათე!—უბძანა მრისხანეთ მოურავს.

შიუკა და ერთი ხლებელი მივარდენ კერას, გადაქექეს ღეელფი და იქვე დამჭრალი მუგუზლებით მალე გააჩაღეს ცეცხლი.

მდივანბეგი მიუბრუნდა როდამს და წარბ-შეკრულმა უთხრა:

— სად არის პეტრია? მთავრობა იხმობს. გამოაჩინე ახლავე, თვარა შენ უნდა შეგკრა და მთავრობასთან წარგადგინოვო.

როდამმა ამ სიტყვებზე მორთო კივილი: „ღმერთო, რა დაგიშავე, ამისთანა, რომ ალარ მაკმარე ამდენი ჩემი ტანჯვაო!“

— ჩუმათ! —დაიღრიალა ბაკურიძემ, მაგრამ როდამს არ ესმოდა მისი სიტყვები და უფრო მოუხშირა კივილი. ამ ხმაურობაზე გამოეღვიძა გოგუცას და რომ შეხედა უცხო კაცებს, ნაბდებში გახვეულებს, იმას წარმოუდგა რაღაც რჭიანი ეშმაკები და მორთო წივილი. ბაკურიძემ უბძანა ბიჭებს, გოგუცასთვის მოეკიდათ ხელი და გარეთ გაეყვანათ. ფეხშიშველა და პერანგის ამარა გოგუცა გააგდეს გარეთ თოვლში; ერთი ბიჭი პირს უკრავდა და წივილის ნებას არ აძლევდა. მეორე ბიჭი მივარდა როდამს, მხრებში მაგრა წაავლო ხელები და ჩაჩიჩინებდა ყურში, ხმა გაკმინდეო. ზოგი შიშით, ზოგი ბიჭის მაგრათ მხრებში ხელის ჩაკიდებით როდამი უცებ მოიქანცა და ულონო ხმით წუწუნებდა.

მდივანბეგის ბძანებით შიუკამ გადმოაქოთა იქაურობა, დალეწეს ხის სკივრები, გადმოშალეს ჭინჭეულობა ტანისამოსი, ქვეშსაგები თაროები, ჭურჭლები და ბოლოს მხოლოთ ერთ ჭინჭში გამოკრული ოცდა ხუთი მანეთი იპოვეს.

— აი ნაქურდალის კვალი!—წამოიძახა მდივანბეგმა, დაავლო ფულს ხელი და თქვა: ეს მთავრობას უნდა წარვუდგინოვო.

სანამ სახლს ჩხრეკდენ, გავიდა კარგა ხანი, ბოლოს ბაკურიძემ გაბრაზებით წამოიძახა:

— აქ ვინლამაც გაგვცა, თვარა მე ნამდვილათ შეტყობილი მქონდა, რომ პეტრია შობა დღეს შინ უნდა ყოფილიყო.—იმან ამ სიტყვებით ბიჭებს გადმოუყვრიალა თვალები.—შევიტყობ ვინც გაგვცა და ადრე აცნობა პეტრიას ეს ამბავი... ვაი მისი ბრალი, ვინც გამოჩნდება ენის მიმტანი!—მერე მიუბრუნდა როდამს და შეძახა.

— შენ, შენ, კუდიანო დედაკაცო, სულ შენი ბრალია ეს საქმე. შენ ხარ შენი ჭურდი შვილის დამფარავი, დამაცადე! არ შეეარჩენ ჩემი ბოსლის დაწვას შენ ოჯახს!

როდამი ღონე წართმეული აღარას ამბობდა, მხოლოთ რაღაცას გაუგებრათ ზუზუნებდა და თვალებიდან ცრემლები ღაპა-ღუპით გადმოდიოდა.

სახლი რომ დაჩხრიკეს, გოგუცა ისევ შიგ შეაგდეს; ის ტიროლით ჩაუვარდა დედას კალთაში და ორივე ატირებულები დაეშვენ მიწაზე.

ბაკურიძე და მდივანბეგი შესხდენ ცხენებზე და უკან დაბრუნდნენ. მათ უკან მიდევდათ ფეხით შიუკა და სამი მოსამსახურე, რომელთაგან ერთს ყარი გამოიგდეს და ღვთის ანაბარას დააგდეს გაჭირვებული დედა-შვილი.

როდამ კვესაურს ხმა აღარ ამოუღია, მიფორთხდა ტახტზე შვილთან და შეძვრა საბანში. გოგუცა ისე გაციებული იყო გარე ყოფნაში, რომ შუალამემდის კანკალი არ შეწყვეტია. ნაშუალამევს დედა და შვილი ორივე საშინელმა სიცხემ გაათარანა.

ანასტასიამ მეორე დღეს გაიგო ყველა, რაც წინა ღამეს მომხდარიყო, როცა მდივანბეგი გამოძიების წერას შეუდგა და იქვე, იასაულების თან დასწრებით მოწმებათ სახლის გაჩხრეკისა ბაკურიძე, შიუკა მოურავი და სამი შინაყმა დაისწრო. შემდეგ მიირთვა საუზმე, კარგა შეზარხოშდა დიმის წითელი ღვინით და გაუდგა თავის გზას.

დარჩა ბაკურიძე გულდაწყვეტილი, რომელსაც წუხანდელი ნადავლისაგან არა რგებია რა გარდა იმისა, რომ ერთი მარჯვე ბიჭი მოსამსახურე დაკარგა და ტყუილა უბრალოდ ერთი გლეხის ოჯახი გააცივა. ის წარბშეკრული შევიდა ანასტასიას ოთახში გულის მოსაოხებლათ. მაგრამ აქ ცოლი დახვდა გაოფთრებული.

—ერთი ოჯახი კიდევ მოინელა შენმა სიავემ!—მიახალა გულზე ანასტასიამ თავის ქმარს. ის ამ დროს გვრიტოს კაბას უკერავდა და საკერავიდან თავი არ აუღია, ისე ეზუზღუნებოდა.

ბაკურიძემ კიდევ უფრო მოიღუშა სახე და წაილაპარაკა:

— აბა, პეტრიელას ჩემ ბოსლის დაწვას შევარჩენდი?

— არა, პეტრიელა მაგას ვერ გაბედავდა! ეგ ტყუილია! მერე რა მოგვიდა? ცალკე ბოსელი დაგეწვა და ცალკე ერთი ყმის ოჯახი გაგიპარტახდა. ვინ იცის, უბედური როდამი ახლა რა მდგომარეობაშია. იმას შვილის დაკარგვა თან გადიტანს, მე ვიცი! უბედური დედაკაცი!

ამ დროს უცბად შემოაღო მოახლემ კარი და აღელვებული ხმით უთხრა ანასტასიას:

— ქალბატონო, ეს არის, ახლა მეზობლის გოგომ მოირბინა და მოგახსენათ, როდამ კვესაური კვდებაო, მისი ბავში, გოგუცა, სიცხით გათარანებული გდიაო. როდამს კბილები ველარ გაუხსნეს.

— უი, შენ ჩემო უბედურება!—შემოიკრა ანასტასიამ თავში ხელი. გადაგდო იქით საკერავი და წამოიძახა:

— „ღმერთო შენ დეიფარე ჩემი ოჯახი უბედურებისაგან, ღმერთო, შენ ნუ მოკითხავ მამის ცოდვას ჩემს გვრიტოს!

იმან უცბად მიიკრა გულზე თავისი ქალი და მხურვალეთ აკოცა.

— ღმერთო, დაგვიფარე ღმერთო! წადი, ახლავე მოურავს უთხარი, ცხენი შემიკაზმოს, ამ საათში უნდა გადავიჭრე.

— დედა, მეც წამოვალ! — აიტეხა გვრიტომ.

— წამოდი, შვილო, წამოდი. იქნება გათახსირებული დედა-შვილი დავიხსნათ სიკვდილიდან... გოგო, მიბრუნდი, უთხარი მოურავს, გვრიტოს ცხენიც შეაკაზმინოს. — მიაძახა გაბრუნებულ მოახლეს.

ბაკურიძე ამ დროს თვალებ გამოშტერებული, თითქოს ოცნებანი დაცემოდეს, იდგა შუა ოთახში და არას ამბობდა.

— ღმერთმა შეგინდოს! — მოიბრუნა სახე ქმრისკენ ანასტასიამ და უთხრა. — ღვერთმა ნუ მოგკითხოს, რაც შენ ჩვენ ყმებს უსამართლოთ ეპყრობი.

ბაკურიძე გაილალა ოთახიდან და აღარა უთქვამს რა. ნახევარი საათიც არ გასულა ამას შემდეგ, რომ ანასტასია და მისი ქალი ხლებულებით გაემგზავრენ როდამ კვესაურისას.

ახალ წლის მესამე დღე იყო. ბაკურიძე თავის ოჯახში ჯერ კიდევ ლოგინში ფეხმოკეცილი იჯდა და სახე არეული თავის გძელ ჩიბუხს აბოლებდა. ბუხარში ჩვეულებრივ ცეცხლი გუგუნებდა, მის შორი ახლოს შიუკა მოურავი თავს დადგომოდა და ხან გამოშვებით ღრმად ამოიხვნეშებდა ხოლმე.

— არა, რა მრჯიდა. რა ჩემი საქმე იყო, რას დავეძებდი იმ ოჯახ დაქცეულ ბოქაულს! რა გლეხის ოჯახი გამიპარტახდა! — ხმა დაბლათ დუდუნებდა ბაკურიძე. — იმ ბებერ დედაკაცს თუნდაც ჩემი ჭირი წაულია, ახალგაზდა გოგო მენანება. ერთი კარგი ხულზე მოსამსახურე დამეკარგა.

— ამ კვირაში მისმა ცოდვამ ყველა დატანჯა. ავი სული აკიეულებდა საწყალს. სულ ბოდავდა, რალაც რქებიანი ეშმაკები ებლანდებოდენ. ხანდახან ისეთ ნაირათ გაგიჟდებოდა, ორი დედაკაცი ხელში ვერ იმაგრებდა... მიშველეთ, მიშველეთო, რომ გააბამდა კიეილს, მაყურებლები ცრემლით იღვრებოდენ... მიშველეთ, რქებიან ეშმაკებს მივყეეაროო... უფრო დედაზე სწუხდა საწყალი, დედა მომტაცესო. ცხონებული კვნესაური კვნესით ჩაჩიჩინებდა, არა შვილო, აქა ვარ, აგერ ვარ, შენ შემოგეევლოს ჩემი თავიო, მაგრამ გოგო სულ ვეღარავის ცნობდა... გაგიჟებული იყო... მეტათ წუხდა ქალბატონი. ისე უვლიდა, რომ მტერი და ავი, ღმერთმა მის მოსვლამდის თქვენს ოჯახს ნურა გაუჭირვოს რა, გვრიტოს უკეთ ვეღარ მოუვლის. რა ღონე არ იხმარა, თუ ღვდელს ზეთი არ აკურთხებინა. თუ მარჩიელები არ მოაყვანია... ბევრი ულოცეს, მარა არა გაიწყო რა... საწყალმა ხუთი დღე იწვალა და მეექვსე დღეს გათავდა, — მწუხარებით უამბო ბატონს შიუკამ. ბაკურიძემ უნებურათ ხელი მუხლზე დაიკრა და ჩიბუხი ბუხართან მიაყუდა.

— საწყალი კვესაური უფრო ბოვშის ტანჯვამ გადიტანა, — განაგრძო მწუხარებით შიუკამ, — ხუთ დღეს მის პირში არა ჩასულა რა. ერთხელ ქალბატონმა ძალათი გააღებია პირი და ჩაასხა ჩორბა, მარა საწყალ მოხუცებულს პირიდან ასაქმა... დალია თუ არა სული გოგომ, დედამისსაც ხროტინი დააწყებია და გოგოს შემდეგ ნახევარი დღეც აღარ უცოცხლია. ქალბატონმა ისე შეიცხადა დედა და შვილი, თითქოს თავისიანი მოკვდომოდეს. გვრიტო ძალიან შეწუხდა ტირილისაგან.

ამ სიტყვებზე ბაკურიძე გაბრაზებული წამოვარდა ლოგინიდან, გაუყარა ფეხები ფოსტლებში და დაიწყო ოთახში გაჯავრებული წინ და უკან სიარული.

— სხვა არა იყოს რა, იმ ბოვშს მომიკლავს! ახირებული ქალია! რას დაეთრევს ამ სიცივეში გვრიტოს, ახი არ არის, ბავში რომ გაშეშდეს! ჩემ ჩემ დედაკაცს სწორეთ ტვინი აქვს გამოლაყებული. რა ბოვშის საშველი ეყოფნა? წადი ერთი შემიკაზმე ცხენი. ბოვშს მაინც გადმოვიყვან. შიუკამ ოთახიდან გასვლა დააპირა.

— ჰო, მოიცადე, შიუკა. კუბოებს ხომ აკეთებინებ?

— კი ბატონო, ქალბატონმა მიბძანა, დურგლები დამებარებია და საღამე პურსაც ვამზადებინებ.

— ჰო, მაგრე ჰქენი. გადიყვანე ერთი უშობელი. ისიც უნდა დავუკლათ საღვთოთ. მეზობელი გლეხები ბევრი მოვა. ღვდელს არ შეატყობინე?

— კი, ბატონო, ღვდელი იქ დავტოვე, გასასვენებელს აკითხვინებს დიაკონს. საფლავის გასაჭრელათ ჩვენი ბიჭები გავგზავნე.

— კარგი გიქნია. საწირავები მიეცი ღვდელს და საკურთხიც გააკეთებინე ჩვენ მოახლეებს.

შიუკა რომ წავიდა, ბაკურიძემ მეტათ მოუმატა მწუხარებას; ის ხან ხელებს შლიდა, ხან პირჯვარს იწერდა. იმას ეხლა ცოცხლათ წარმოუდგა თვალწინ თავისი უცები მოქმედება, მას ყურებში სულ ანასტასიას სიტყვები უწივოდა...

„ღმერთმა ნუ მოგკითხოს შენი ცოდვებიო“. ბაკურიძემ წარმოიდგინა თავისი მოხუცებულობა, თავისი ერთათ ერთი ბედნიერება, ქალიშვილი გვრიტო.

— მე რომ ახლა რამე დამემართოს, რაღა ეშველება ჩემ ქალს, ჩემ ოჯახს! ვინ იცის, რას არ აუტეხენ ჩემ გვრიტიას... იქნება ისეთ ვინმე უგვარიშვილოს მოატაცებინონ, ოჯახი გამიფოლორცონ, ანასტასია მომიკლან... ამ საშინელს ფიქრებში ბაკურიძეს, გადასვლეპილ თავზე ორი ღერი რაღაც თმა დარეჩნოდა, ისინიც აბურძგვნოდა, ყურზე გადახვეული ულვაშები ჩამოშლოდა, ორი ჩაშავებული წინა კბილი ღა უჩანდა და ამ მდგომარეობაში რომ ის ვისმე ენახა, საიალბუზე კუდიანიაო, იტყოდა. იმან შამოიკრა თავში ხელი და ღონე მიხდილი წაკოტრიალდა ტახტზე.

— ღმერთო, ჩემ მტრებს ჩემზე ნუ გაახარებ! სიმწარით წამოიძახა.—წმინდა გიორგი, ბაკურიანთ კარისა, შენმა მადლმა შენს ძველ ხატს ვერცხლით შევჭედავ!—იმან ისე გაუშტერა თვალი ჭერს, თითქოს მართლაც ცოცხალი წმინდა გიორგი თვალწინ დგომოდეს, მერე ძილ-მლვიძრათ მიეგდო. ამ დროს წარმოუდგა, ვითომც მის გვრიტოს ცხენოსნები შამოხვეოდენ, ერთს გვრიტო უნაგრის ტახტზე შამოეგდო, ანასტასია თმა-გაწეწილი თავის ქალს კაბაში ჩაფრენოდა და ჰკიოდა, მიშველეთ, ვინ ხართ მამაცი, ღვთიანიო! „ჰატ, ნუ გეშინია, აქა ვარო!“ დაილრიალა ბაკურიძემ და წამოვარდა ზეზე. მიიხედ-მოიხედა—მის ოთახში არავინ იყო, მხოლოდ ბუხარში ცეცხლი უწინდულათ ლულუნებდა. იმან გადისვა შუბლზე ხელი და ჩაილაპარაკა:

ოჰ, რა გლახა ფიქრებმა წამართვეს თავიო! ამ დროს ოთახის კარები გაიღო და შიუკა გამოჩნდა.

„ცხენები მზათ გახლავთ, ბატონო შეკაზმულიო“.

ბაკურიძემ წალები მოითხოვა, გამოეწყო სამგზავროთ და მოურავიც ცხენით თან იახლა.

მათ მიდევდა ხუთი ფარეში, ყველა ქვეითათ. როცა ბაკურიძე ტირილში წავიდოდა, სხვათა შორის ამ ფარეშებსაც იახლებდა თან ცხენებით. მაგრამ რადგან ახლა მეზობლათ თავის გლეხთან მიდიოდა, მათი ცხენებზე შესმა აღარ დაინახა საჭიროთ.

მისმა ფარეშებმა ჩინებული სამტირალო ზარი იცოდენ. ბაკურიძე ჯერ კიდევ შორს იყო, რომ მისი მაღალი ზარსავით ხმა მოთქმისა ჩეცას წვდებოდა. ამ მაღალ ხმას ხუთი კაცის მოძახილი და ბანი ისე შეეწყო, რომ თუმცა მწუხარე გამომეტყველება ჰქონდა მთელ მათ თავისებურ გალობას, მაგრამ რაღაც გულის დასაწველი და სულის ღრმათ შემძვრელი გრძნობა იხატებოდა. რაკი ერთხელვე ყურს მოჰკრავდა ამ საზარელ გალობას კაცი, თუმცა თან გულიც უკვნესოდა თვალებიც ეცრემლებოდა, მაგრამ მაინც ყურის მოშორება არ უნდოდა. ეს საოცარი გოდების ხმა თითქოს მწუხარების მორევში იტაცებდა ყოველ მაყურებელს და ყველას ჭირისუფლათ აქცევდა, ვინც კი ამ საჭირისუფლო გალობას ყურს მოჰკრავდა.

საწყალი კვესაურის გვამი და მისი ახალგაზდა ქალისა, ორივე კუბოებში ესვენა; ჭირისუფლათ ანასტასია გახდომოდა, მას გვერდით გვრიტო უჯდა. მერე სულ შავებში ჩამწკრივებულიყვენ მეზობლის ქალები. აქ ნამდვილი ჭირისუფალი, მართლაც, ბატონები იყვენ და გლეხკაცობაც მრავალი მოსულიყო, რადგან იცოდენ, კარგი ალაპი ექნებოდათ მიცვალებულების სულის მოსახსენებლათ.

ბაკურიძემ ძალიან გულდაწყვეტილათ იტირა. მისი გრძნობა მართლაც ღრმათ შეირყა, როცა დაინახა სახლში ორი კუბო. მის სიტყვებში რაღაც საოცარი უბედურების მომასწავებელი აზრი იხატებოდა, ის თითქო ტიროდა თავის ბოროტმოქმედების გამო, ეშინოდა მაგიერი მეხი ღვთის რისხვისა მის ოჯახს არ დატეხოდა თავზე: მისი მოთქმა იყო ერთი რაღაც ღრმა სინანულით სავსე გოდება. თვით ეს გლეხის ოჯახი ამ დროს წარმოადგენდა სამარეს, რომელსაც თითქო ერთიღა ბებერი ქოფაკი დარაჯობდა, რომელიც წელს ვეღარც კი იღებდა. ის ამ დროს უკანა კარში სანეხვეზე დაწოლილიყო და გულსაკლავათ ყმუოდა. ალბათ გრძნობდა პატრონების დახოცვას, შემდეგ თვითონ იმასაც რა დღე მოელოდა. ბაკურიძეს გრძნობიერმა ტირილმა მთელი გლეხობა ააქვითინა. ანასტასიამ ვეღარ მოითმინა და ტირილით წამოიძახა:

ღმერთმა ყოველ ოჯახს ააშოროს ამ უბედურობის დღე და ნურც ვისმე მოკითხვია ამათი ცოდვაო.

ბაკურიძე შეძრწუნდა ამ სიტყვებზე და ამ დროს მის ხმას კიდევ უფრო დაეტყო ცოდვილი კაცის ღრმათ გამოთქმული სინანული. ის მიუბრუნდა კვესაურის კუბოს და დაატირა:

—მე გავხდი შენი უბედურების მიზეზი, მე შეგიშფოთე სიბერის დღე-

ები, მე ვიყავი მიზეზი შენი პეტრიელას გადავარდნის, მაგრამ მერწმუნე, ჩემო დაია, ყოველ ღონის ძიებას ვიხმარ, რომ შენი პეტრიელა შენს ნატამალზე ისევ მოვაბრუნო და შენს კერიაზე ცეცხლი არ დავაქრობინოვო.

მაყურებელი ხალხის გული მეტათ მოალბო ამისთანა ნუგეშის ცემამ, ყველა აქებდა ბაკურიძეს ასეთი გულმოწყალებისათვის, ანასტასია ჭიმიტაშვილის ნამდვილ დედათ მიაჩნდათ.

ამ დროს ერთი ოთხმოცი წლის გლეხი გარეთ ეზოში კაკალ ქვეშ ჩამომჯდარიყო, ყალიონი გაეკეთებინა, ტალსა და კვესს ახრაკუნებდა, აბედზე ცეცხლი უნდა მოეკიდებინა და ლაპარაკობდა:

თუ გყავდეს ბატონი, მაგისთანა უნდა გყავდეს. რისხვაც იცის, ჭირისუფალიც კარგია, ვენაცვალე მაგის ბატონობას. ეგ და ქალბატონი რომ არ ყოფილიყვენ დღეს აქ, ვინ მოეკარებოდა საცოდავებს. მგონი, დედა შვილი თავისივე სახლში გამოლპებოდენ, საყდარზე გამტანიც არავინ ეყოლებოდათ. მე ახლა სულაც არ მეშინია სიკვდილის, დღევანდელ საქმეს რომ ვხედავ, მე ახლავე მიხარია სიკვდილი, ჩემი სანუგეშო იგია, როცა ჩემ კუბოს ბატონი დააშვენებს თავისტირილით და მისი მოზარეებით, თავისი ზარით ზეცათ შეატყობინებენ ჩემ მისვლას. ქალბატონიც საკურთხს გამიკეთებს.

—თუ იმდენზე მიმიყვან, რომ საფლავს გამითხრი, მერე შენი ტირილი, შენი საკურთხიც და შენი ალაპიც შენ გქონდეს!—შენიშნა იქვე მდგომარე ახალგაზდამ.

—ჰატ, მაგისთანა უმადურები ხართ თქვენ, ახალგაზდები. თქვენთან ბატონს არაფერი გაუვა!... ბატონი ღვთისგან არის. იმას უნდა ემორჩილო. ბატონყმობა ღვთის გაჩენილია და შენ გინდა ღვთის საქმეებს წინ დაუდგე!

—თუ მამკლავ და ოთხში ამომიღებ, აქ აღარც ღმერთია და აღარც მისი მადლი.

—ბიჭო, ნუ ხართ უკმეხი! გაიგეთ, რომ კამბეჩის მარქენალ ხარს რჭა არ შერჩება.—დატუქსვით წამოიძახა ოხუცებულმა და ააბოლა ყალიონი.

ამ დროს შიუკამ მიიპატიჟა სტუმრები სადილათ. ეზოში ხის ფიცრები ტაბაკებათ იყო გაყოლებული, ზედ ბლომათ ეწყო მჭადები, ლავაშები და ძროხის ხორცი. ბარე სამოცი კაცი დაჯდა საჭმელათ. შინაურებმა, ნათესავებმა და მახლობელებმა ხორცი არ ჭამეს, იმათთვის სამარხო საჭმელები იყო ბლომათ მომზადებული. სახსნილო მარტო გარეშე მოსულებისათვის და გლახაკებისათვის იყო დადგმული, წითელი დიმური ღვინო ყველას თავს დიოდა. როგორც კი აკურთხა ღვდელმა ალაპი, შეუდგენ ჭამას და კარგა საკმაოთაც შეჭორიკდენ. ვინც იქ ვერ დარია ხელი საჭმელს, თავისი კერძი შინ წაიღო. ხარჯი სულ ბაკურიძის იყო, კიდეც იმიტომ მოაწყდა ამდენი ხალხი კვესაურის გასვენებას. სადილს უკან დიდი ზარით და თავში ცემით წაიღეს საყდარზე ორი მიცვალებული და ერთათ დაასაფლავეს. ამ დროს ისიც კი ტიროდა და თავში იცემდა, ვინც მხოლოთ სადილისთვის მოსულიყო და სხვა დამოკიდებულობა არა ჰქონდა რა გადაშენებულ ოჯახთან, გარდა იმისა, რომ კარგი საალაპე სადილი მიერთმია და მადლობის ნიშნათ ტირილი გაემართა.

მზე ჩასული იყო, როცა დასაფლავებას მორჩენ. ანასტასია და ბაკურიძე მათი ქალით და მრავალი ხლებულებით პირდაპირ შინ დაბრუნდნენ. შიუკა მოურავი უკან ჩამორჩა და გლეხებს გამოყვა სოფლისკენ. იმას ბატონისაგან ჰქონდა ნაბძანები დაცარიელებული სახლი და მიდამო ვინმესთვის ჩაებარებია. სახლი კარგათ ჩაეკეტა, რომ არავინ შესულიყო შინ და რაც საოჯახო ავეჯეულება ჰქონდა, არ მოეპარათ. საწყალი ბებერი ნაგაზი ისევ კარწინ იყო აყუდული და უწინდელივითვე ყმუოდა.

—ნეტა ვიცოდეთ, ამ გაპარტახებულ ადგილ-მამულს ბატონი ვის ჩააბარებს სამოდათ?—ჰკითხა ერთმა ხანში შესულმა გლეხმა, რომელსაც თვალი ეჭირა პეტრიელას ადგილ-მამულზე.

—ჯერ არა ვიცი რა. ბატონს არა უთქვამს რა ჩემთვის.

—შიუკა, თუ ბევრ მოდს არ მთხოვს, მე მინდა ავიღო, ბევრი არა არის რა. საწყალს თავის ვენახში ხუთი ჩაფი ძლივს მოდიოდა და სიმიდი არ მოუვიდოდა ორმოცდაათი ქილა.—ჩაილაპარაკა ხნიერმა გლეხმა.

—მე როგორც ვიცი, ორმოცდაათი ქილაც მოდიოდა და ორასიც! თქვა შიუკამ და გადახედა სხვა გლეხებს; ზოგმა მათგანმა თვალი უქნია, მართალიაო ზოგმა გულში ჩაიცინა და არა თქვა რა. ისინი მუშტრის თვალით ადევნებდენ ყურს ამ ვაჭრობას და ვერც არა გამოეთქვათ იმის შიშით, რომ მოურავმა ჯიბრი არ დაგვწამოს და მოდს არ აუწიოსო.

—არც ნახევარი, შიუკა არ მომიკვდეს.—განაგრძო ხნიერმა გლეხმა.—თუ ბატონთან გამარიგებ, ერთ კაი ცხვარს შოგართმევ.

—ცხვარს კი არა, ხარსაც კი მომცემ, მაგრამ ჯერ მე თვითონ არ ვიცი, რას იტყვის ჩემი ბატონი.

—არა, თუ შეგვხდეს ლაპარაკი, შიუკა, ჩემზე უთხარი და ძალიან ნუ გამიძნელებ აღებას. სამოდოს მივართმევ ერთ ჩაფ ღვინოს და ხუთ ქილა სიმიდს.

—ვნახოთ, ვნახოთ,—დააიმედა შიუკამ, თუმცა გულში ფიქრობდა, სხვისთვის მიეცა და გასამრიგებლათაც უფრო მეტი აეღო. იმან იქვე გლეხებში შენიშნა, რომ ბევრი იყო გაპარტახებული ადგილის მოსურნე და საჩექმესაც მეტს მიცემდენ.

საწყალ კვესაურის ეზოში რომ შევიდენ, შიუკამ მოიხმო ის გლეხი, რომელმაც გზაზე თვალი უყო და ჩააბარა დაცალიერებული კარ-მიდამო:

თუ ძმა ხარ, ამ საწყალ ნაგაზსაც აჭამე რამე, შიმშილით ნუ მოკლავ, ცოდვაო!—დაუმატა შიუკამ.

—კი ბატონო!—გულ-გალაღებულათ წამოიძახა მეორე გლეხმა. ხნიერ გლეხს არ იამა ასეთი განკარგულება შიუკასი; იმან თვალები გადუბრიალა მეორე გლეხს, თითქოს გულში ეუბნეოდა: გეტყობა, მემუშტრეები, მარა კარგათ არ მოგივა საქმე, თუ ვინიცობაა, შენ დაგარჩინეს, ამ ნაოხარ სახლკარს თავზე გადაგბუგაო. მაშინვე შეეტყო ხნიერ გლეხს გულ-ნატკენობა: შიუკას აღარა უთხრა რა, მაგრამ გამოთხოვებისას ღამე მშვიდობისაც არ აღირსა.

XXI

14 იანვარი 186... ქუთაისში მეტად სუსხიანი დილა გათენდა. თოვლი გათქეფილიყო. ქუჩებზე შავის წყალი ღრმა ტბებათ იდგა. ვაცი ქუჩებზე თუ არ მაღალ-ყელიანი კალოშებით, ან წაღებით, ვერ გაივლიდა. თოვლ ნარევი წყალი წვიმებზე ადგებოდა.

ამ დღეს ქუთაისის საქალებო სასწავლებელში დიდი სადღესასწაულო მზადება იყო. მთელი ქალაქის მაღალი წოდება და მოხელეობა იქ იყო მიწვეული. მოსწავლე ქალებს დაურიგდა ჯილდოები, ყველას, ვინც კი მთელი წლის განმავლობაში კარგათ სწავლობდა. საღამოს დანიშნული იყო ბალი. აქ იხდიდენ წმინდა ნინოს დღეობას. ღამის ცხრა საათიდან შეიქნა ეტლების რიხინი. სასწავლებლის შესავალ ქვის კიბეზე წამის წამ გადმოხტებოდენ საბალოთ მორთული ქალ-ვაჟები; მოსამსახურეები ფრაკებში და თეთრ ჟილეტებში გამოკრულები, თეთრი ხელთათმანებით ეგებებოდენ სტუმრებს, ჩამოართმევდენ შინელებს და ქურქებს, მერე წაუძღვებოდენ დარბაზში, რომლებიც ლამპრებით უხვათ განათებული იყო. ყმაწვილი ქალები აღტაცებული იმ ფიქრით, რომ იმ ღამეს ბევრს იცეკვებდენ, გროვა-გროვათ ხელ-გაყრილები დასეირნობდენ განიერს დარბაზში და ყოველი მორთული კავალერის შამოსვლაზე სახე უცინოდათ, ყოველი მათგანი გულში ფიქრობდა, პირველათ ნეტავი მე გამიყვანდეს ვალსშიო.

გვრიტოს ცისფერი დიმიკონტის კაბა ეცვა, თეთრი წინსაფრით და გულსაფრით დაშვენებული. დახუჭუჭებული თმა გრუხნათ გადმოშლოდა სახეზე და უკან ბეჭებზე ლამაზათ ეყარა. ის იყო ახალი გულ-მკერდ ათქვირებული მეთხუთმეტე წელში გადამდგარი, ლერწამ ტანისა, ლოყებ აწითლებული, ვით ორი კოკორი მაისისა. სახე უცინოდა, მისი თვალები ნაპერწკლებს ისროდენ. მარჯვნივ და მარცხნივ ორი ამხანაგი ხელ-გაყრილი უდგა გვერდით, რომელნიც გვრიტოს მარტო მხრებამდის წვდებოდენ. მოსწავლე ქალების გროვაში ეს სამი ახალგაზდა მოწაფე უნებლიეთ იქცევდა ყველას ყურადღებას, მაგრამ ამ სამში გვრიტო ისე მოჩანდა, თითქოს ბადრი მთვარე ვარსკვლავებში ჩამდგარაო.

გაისმა მუზიკის ხმა და ყმაწვილი ქალები აირიენ; ხან აქ, ხან იქ ბზრიალასავით გაგოგდენ ვალსში პაწაწინა, დაბალი კლასის მოწაფეები.

გვრიტო თავისი ორი ამხანაგით არ ჩქარობდა თამაშობას, ეტყობოდათ, ისინი ელოდენ კავალრებს და ხშირ-ხშირათ დაიწყეს სეირნობა შემოსავალ კარისკენ. დარბაზი სტუმრებით გაიტენა. ღენერლისა, პოლკოვნიკების და აფიცრების ეპოლეტები ლამპრების შუქზე აპრიალდენ. მდიდრულათ მორთულ ქალების თმებში ციციანთელებათ აინთენ ბრილიანტების ხოჭოები.

ამ დროს დარბაზში შემოვიდა ერთი მაღალ-მაღალი დრაგუნის აფიცერი, ლამაზი სახისა, რომელსაც ახალ-ამოსული ულვაშების კუდები ნემსის წვერსავით გაწკიპინებული ჰქონდა. ის დადგა წინ და დაიწყო პაწია ულვაშების გრეხა, თან თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თითქოს ამდენ ქალებში არჩევდა საუკეთესოს.

უცებ მოჰკრა თვალი სამ ახალგაზდა მოწაფეს, რომელთაც ერთმანეთთან

ხელი გაეყარათ, და ამდენ მოცეკვავე ქალ-ვაჟში დასეირნობდენ ისე მარდათ, რომ არავისთვის გვერდი არ წაუკრავთ. დრაგუნის აფიცერი გაექანა და შუათანას წინ გაჩერდა მოხდენილი დეზების რაწკუნით.

— გთხოვთ ჩემთან იცეკვოთ!—უთხრა მან ხმა-ტკბილათ. ქალს უცებ მოშორდენ ხელ-გაყრილი ამხანაგები; მან შეანათა აფიცერს ლამაზი თვალები და მორცხვათ თავი დახარა. აფიცერმა შამოხვია წელზე მარჯვენა ხელი და ვალსში გაიტაცა. გვრიტომ დიდი სიამოვნება იგრძნო თამაშობაში, მით უფრო, რომ აფიცერი მარდი მოთამაშე იყო და თან მუზიკის კვრას ლამაზათ აყოლებდა ფეხებს. თვით მისი დეზების რაწკუნი მუზიკას ტაკტს აძლევდა. აფიცერმა შემოატრიალა გვრიტო მთელ დარბაზში ორჯელ-სამჯელ და დააყენა ერთ კუთხეში.

— თავბრუ ხომ არ დაგესხათ?—ჰკითხა მან ზდილობით.

— არც კი გამიგია!—უპასუხა ქალმა.

— მაშ წავიდეთ კიდე საცეკვავად.

გვრიტო სიამოვნებით გაჰყვა აფიცერს. იმათ დიდხანს იტრიალეს დარბაზში, სანამ მუზიკამ არ შეწყვიტა ვალსი. გვრიტოს ლოყებს სიწითლე მოემატა. იმან ცხვირსახოცი ამოიღო და იწყო სახესთან ქნევა, ეტყობოდა შეხურებულიყო.

— ნება მომეცით კავალრობა გაგიწიოთ, წავიდეთ ბუფეტში შაქრიან წყლის დასალევათ!

ქალმა მორიდებით გაუყარა ხელი მკლავში აფიცერს და გავიდენ მეორე ოთახში. გზაზე მას გადაეღობა ამხანაგი, რომელმაც თვალი უქნა, თითქოს მიუღოცა კარგი კავალერის შოვნა. გვრიტოს ლიმილი დაეტყო სახეზე და ისე გადმოხედა, თითქოს ეუბნებოდა, მეორეთ შენთან იცეკვებსო. აფიცერმა გადუგდო ბუფეტში მორიგე ქალს სამ მანეთიანი და უთხრა:

— გთხოვთ, ერთი ბოთლი ლიმონ დაშაქრული წყალი მიბოძოთ.

— ქალო, თუ ოფლიანი ხარ, ცივს ნუ დალევ, გაწყენს!—უთხრა გვრიტოს მასწავლებელმა, რომელიც ბუფეტს დახლიდრობდა, მერე მიუბრუნდა აფიცერს, კეკლუცათ თავი გვერდზე გადიღო და შენიშნა:

— ყმაწვილი ავათ არ გამიხადოთ, თორემ მეორეთ აქ აღარ შემოგიშვებთ!

— რას ბრძანებთ, ავათ კი არა, პირველი მე ვარ მაგის ბედნიერებისა და სიცოცხლის მონატრული.

გვრიტომ ჩაღუნა თავი და ჩუმ-ჩუმათ იღიმებოდა. აფიცერმა მოხადა თავი ლიმონ დაშაქრულ შუშხუნა წყალს, აავსო ჭიქა და უთავაზა გვრიტოს. ახალგაზდა ქალმა ნახევრათ მოსვა და დადგა ჭიქა.

— რა ამბავია? გამოცალეთ, გამოცალეთ, გაგაგრილებთ!—ემუდარებოდა აფიცერი.

— არა, მეტი არ მინდა,—მორცხვათ უპასუხა ქალმა, თუმცა თვალები მაინც ჭიქისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— უსათუოთ უნდა გამოცალოთ,—განუმეორა კავალერმა, აიღო ჭიქა და ხელში მისცა გვრიტოს.

ახალგაზდა ქალს უარი აღარ უთქვამს. აფიცერმა მოითხოვა კიდევ ლამაზათ გამოკრული მეოთხედი . გირვანქა კამფეტი და მისცა საჩუქრათ გვრიტოს.

მან ალტაცებით ჩამოართვა საჩუქარი, რევერანსი გაუკეთა და გამოტრიალდა. აფიცერმა ხელი გაუკეთა და შემოიყვანა ისევ სათამაშო დარბაზში. როგორც კი წადგეს წინ ორი ნაბიჯი, უცებ მათ გადაეღობა გზა სარდიონ ენუქიძემ და შესძახა:

— გვრიტო!

— სარდიონ!—მხიარულათ უპასუხა ახალგაზდა ქალმა ჩერქეზულ ტანსაცმელში გამოწყობილ აფიცერს, ჩამოართვა ხელი და მიატოვა თავისი კავალერი. დრაგუნის აფიცერს ცოტა არ იყოს, ეწყინა ასეთი მოქცევა ახალგაზდა ქალისა. სარდიონმა შენიშნა ეს და ზდილობით უთხრა:

— გვრიტო ჩემი ბიძაშვილია.

— შვენიერი ბიძაშვილი გყოლიათ!—უთხრა დრაგუნის აფიცერმა ქალის გასაგონათ, დაუკრა თავი და გამოემშვიდობა. გვრიტო და სარდიონ მივიდენ დარბაზის ერთ კუთხეში და დასხდენ სკამებზე.

— კარგი ხანია, აღარ მინახავხართ, როგორ აგიყრიათ ტანი, დაშვენებულხართ!..

ქალს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე და უპასუხა.

— მე დღესასწაულებში შინ ვიყავი. ეს სამი დღეა, რაც მამამ მოიყვანა და უკან დაბრუნდა.

— ძალიან მინდოდა, მეც ამ დღესასწაულებში შინ ვყოფილიყავი ბაკურიანის სოფელში, მარა სამსახურის გამო ვერ მოვიცალე. შენს იქ ყოფნაში ბევრი ამბები მოხდა აქ. ლიდია პეტროვნა ქალაქს წავიდა.

— ოჰ, ძალიან მეწყინა „ტიოტიას“ წასვლა. უიმისოთ თითქოს ობლად დავრჩი. აღარავისთან გული აღარ მაქვს. მწუხარებით ამოიხვნეშა გვრიტომ.

— საძაგელი ამბავი მოხდა. გაუტანელი ქალი ყოფილა თქვენი უფროსი. სულ იმის ბრალია ლიდია პეტროვნას ქალაქს წასვლა. მე უფრო იმიტომ მწყინს მისი წასვლა, რომ ჩემი გამოისობით მოხდა.

— რავა, რაზე?—ცნობის მოყვარეობით შეეკითხა გვრიტო.

— ერთ საღამოს ცოტა გვიან მოვედი აქ ლიდია პეტროვნას სანახავათ. უფრო შენ მინდოდი მენახე და მოვედი თუ არა მის კარებთან, თქვენი უფროსი შემეფეთა წინ და დამიწყო ჩხუბი. მეც კაი კაი მისი საკადრისი სიტყვები ვუთხარი, ამაზე რა ჭორები არ მოიგონა იმ ვეშაპმა. თურმე ლიდია პეტროვნას მტერი ყოფილიყო, ეშინოდა, ადგილი არ წამართვასო და ათასნაირათ გადაეკეთა ჩემი მისვლა...

— უჰ, რა საძაგელია ჩვენი უფროსი! შესახედავათ მეზარება! სთქვა ქალმა.

— ასეო, ისეო, გუბერნატორის ცოლს მიწერა საძაგელი წიგნი. ეს ლიდია პეტროვნამ იუკადრისა, არ ღირს აქ სამსახურიო, თქვა და ქალაქს წავიდა.

—უჰ, საძაგლობა, საძაგლობა!... ზიზღით მოიხსენა გვრიტომ თავისი უფროსი.

გვრიტო, გახსოვს, რა კარგათ ვატარებდით დროს ბულვარში?

ახალგაზდა ქალს ამ მოგონებაზე რაღაც ტკბილმა ერუანტელმა დაუარა ტანში. იმას მოაგონდა ის საღამო, როცა სარდიონმა ღამეში ლიდია პეტროვ-

ნას ნამალავათ ხელი მოხვია და თითებს მის მკერდისაკენ აყოლებდა. ახლა გვრიტოს ეს მკერდი ვარდის კოკრებსავით აფურჩქნოდა და ამ უმანკო თითქოს კოკრებმა ახლაც იგრძნესო სარდიონის თითები; ახალგაზდა ქალი უნებლიეთ შეკრთა და მკლავები შეანძრია, ვითომც და მზაკვარი სარდიონის თითები მოეგერებინოს. მართალია სარდიონს, როგორც თავის მამიდაშვილს, ისე უყურებდა, მაგრამ მაშინდელი კოცნა და ეს შემთხვევა გვრიტოს ახლა რაღაც სხვა გვარად ეჩვენებოდა. იმან დახარა თავი და არა უთხრა რა. სარდიონმა შეატყო მორცხვობა ახალგაზდა ქალს და კიდევ უფრო გააღვიძა მასში უწინდელი შემთხვევების მოგონება.

ამ დროს გვრიტომ მოჰკრა თვალი, რომ მის შორიახლოს ერთი მაღალმაღალი ქალი იდგა, მას შამოხვევოდენ უფროსი კლასის მოწაფეები და მხიარულათ ელაპარაკებოდენ. „გუბერნატორის ცოლიაო!“ გაიფიქრა გვრიტომ, წამოვარდა და შეერია უფროსი კლასის მოწაფეებს. სარდიონიც წამოდგა და მოწიწებით დაუწყო ყურება გუბერნატორის ცოლს, რომელმაც ახლა შეამჩნია მოწაფეების ჯგუფში გვრიტო და უცებ შეეკითხა.

— შენ რომელ კლასში ხარო?

— მეხუთეში გახლავარ! უპასუხა გვრიტომ და რევერანსი გაუკეთა.

გუბერნატორის ცოლმა თავზე ხელი დაუსვა და გამოჰკითხა, ვისი შვილი ხარო.—კარგი ქალი ყოფილხარ, კვირაობით ჩემთან წაგიყვან ხოლმე,—უთხრა გუბერნატორის ცოლმა და თავზე ხელი დაუსვა.

მოწაფეები ამას შემდეგ შამოეხვიენ გვრიტოს და ულოცავდენ, ნეტავი შენ, დიდი კაცის ცოლმა ყურადღება მოგაქციაო. ამ დროს გაისმა ხმა, „კადრილ“, „კადრილიო!“ ქალებმა და კავალრებმა ერთმანეთს დაუწყეს ძებნა. დრაგუნის აფიცერმა ისევ გვრიტო აიყვანა თავის დამათ.

როდესაც დაიწყეს თამაში, გვრიტოს ძალზე მეტი მხიარულება ეტყობოდა. მაღალი ტანის აფიცერი კოკობი ულვაშებით მაზე რაღაც მომხიბლავ შთაბეჭდილებას ახდენდა, მისი შვენიერი „პა“ თამაშში, დეზების რაწკუნი, ბრჭყვიალა ტანსაცმელი და განიერი მოხდენილი ბეჭების მუსიკასთან შეთანხმებული მიხვრა-მოხვრა, გვრიტოს ერთიანად ატყვევებდა. ის იყო ტკბილ ზეციურ ოცნებებში გართული, ლოყები თან და თან უწითლდებოდა. ქალი ცდილობდა ფეხები აეყოლებია მუზიკისათვის, ისე რომ დრაგუნის მოხდენილ თამაშობას უკან არ ჩამოდგომოდა; როდესაც პირველი ფიგურა გაათავეს, აფიცერმა მარდათ მიუმარჯვა სკამი თავის „დამას“ და უთხრა, დაბძანდითო. გვრიტომ უნებლიეთ ჩაიკეცა სკამში თითქოს რაღაც ზეციურ ხმას დამორჩილებოდეს. დრაგუნის აფიცერი სარსავით გაჩერდა მის გვერდით და მოჰყვა წვრილი ულვაშების კუდების გრეხას, თითქოს ამ დროს რაღაცას იგონებდა—ალბათ გონებაში იმზადებდა თავის ვარდის კოკორთან შესაფერ საუბარს. გვრიტომ აიხედა და შვენიერათ დაგრეხილ ულვაშებს თვალი შეასწრო. მის ნორჩ გამოხატულებას ეს კოკობი ულვაშები რაღაც სატრფიალო მანქანათ ჩაებეჭდა საუკუნოთ. ამიერიდან აფიცრის ულვაშები გვრიტოს გონების თვალებს აღარ მოშორებია. ყველაზე საკვირველი ის იყო, რომ ქალის გამოხატულებაში კოკობ

ულვაშებს თან აპროწიალებოდა განუშორებლივ თვით დრაგუნის აფიცრის სახე და მისი მოხდენილი ტანადობა, ამიერიდან გვრიტო სწავლის დროსაც მუდამ ყარანდაშით ხატავდა ქალალდზე ორ კოკობ ულვაშს და შემდეგ ნელ-ნელა თან შამოუხაზავდა ხოლმე გარშემო დრაგუნის აფიცრის სახე-ტანადობასაც.

მესამე ფიგურა რომ გაათავეს, დრაგუნის აფიცერი გვერდით მიუჯდა.

— გიყვარსთ ცეკვა.

— ძალიან.—უპასუხა ნელი ხმით გვრიტომ.

— მერე არ იღალებით?

— მთელი ეს ღამე გათენებამდის რომ თამაშში გავატარო, ოდნავათაც არ შემეტყობა დაღალვა.

— ოჰ, რა მხნე ქალი ყოფილხართ! მაზურკა იცით?

— კი.

— მაშ პირველი მაზურკა ამალამ ჩემთან ითამაშეთ.

— თუ დასაძინებლად არ წაგვიყვანეს.

— ო, მაგას მოვახერხებ. გუბერნატორის ცოლს ვთხოვ, რომ თქვენ დიდებთან დაგტოვოს ამალამ სათაბაშოთ, პატარებს რომ წაიყვანენ დასაძინებლათ. ქალმა მხიარულათ გაიღიმა.

— თქვენ განა აგრე კარგათ იცნობთ გუბერნატორის მეუღლეს?—ჰკითხა გვრიტომ.

— მე თითქმის ყოველ მეორე დღეს სალამოს გუბერნატორის ოჯახში ვატარებ დროს. მისი მეუღლე ჩვმთან შინაურულათ არის, „ვოლოდიას„ მიძახის.

— მაშ თქვენ შაბათობითაც იქ იქნებით.

— ყოველ შაბათ-სალამოს მისი წვეული ვარ და თამაშობის რიგს სულ მე ვაძლევ ხოლმე.

— შაბათობით მეც ვივლი ხოლმე. გუბერნატორის ცოლმა სხვა უფროსი კლასის ქალებს შორის მეც მიმიპატიჟა.

ოჰ, იმას ძალიან უყვარს ლამაზი ახალგაზდა ქალები. გვრიტომ ამ სიტყვებზე თავი დახარა და სიწითლე მოემატა.

— იცით, გვრიტო, მე ჩემ დამებს როგორ ვემუსაიფები?

— როგორ?

— მიმიკით, ნიშნებით.

. არ შეიძლება, მეც მასწავლოთ ეგ ენა?

— იმ პირობით გასწავლით, თუ დამორჩილდებით ჩემ რჩევას.

— რა იქნება ისეთი, რომ არ გეთანხმოთ?

— ვინ იცის, იქნებ კიდეც გამიწყრეთ, დამეუბროთ.. ამ დროს მუზიკამ დაუკრა მეოთხე ფიგურა და გვრიტო თავის კავალერიანად გაფრინდა სათამაშოთ. ეს ფიგურა ძალიან გარეწრათ ითამაშა, მუზიკის ჰანგს ველარ აყოლებდა ფეხს, ნაბიჯებს თანასწორათ ველარ აკეთებდა.

ამ ამბავმა დრაგუნის აფიცრის ყურადღება გამოიწვია, მის სახეს თამაშობაში თვალი გადაავლო და წაუჩურჩულა: გვრიტო, თქვენ თითქოს მოხდენილი

კადრილის თამაშობა დაგავიწყდათ! გვრიტომ ხმა არ გასცა, მაგრამ ამ შენიშვნამ უცებ გამოარკვია მისი გონება. იმან ხელ ახლავ ხერხიანათ ააყოლა ფეხები მუზიკას, თუმცა გულიდან მაინც არ ამოცლია დრაგუნის აფიცრის მწვავი კითხვა; ნეტა რა უნდა იყოს დრაგუნის აფიცრის იმისთანა რაღაც საკითხავი, რომ მე გავებუტო და კიდეც დავემდუროო.

ამ ფიქრების გამო მისმა უმანკო გულმა მოუსვენრათ იწყო ტოკვა, თითქოს რაღაცას საშინელს, მისთვის გამოურკვეველს, საოცარს ელოდა; კიდეც ეშინოდა მისი, მაგრამ ნატრობდა კი, რომ დრაგუნის აფიცერს მაინც არ შეეწყვიტა საუბარი და ბარემც დაებოლოებინა ის, რაც მისთვის უნდოდა გაემჟღავნებია. „რაც მომავალია, მოვიდესო, ფიქრობდა ქალი და თან მისი გულიც მოუთმენლათ ხტოდა თავის ბუდეში.

გათავდა მეოთხე ფიგურა. გვრიტომ თავის სკამს მიაშურა, დრაგუნის აფიცერი ალვის ხესავით გვერდს ამოუდგა. თითქოს კოკობი ვარდის დასაჩრდილავათ. თავჩაღუნული ქალი გულში ნატრობდა—ნეტა წელანდელი საუბარი განაგრძოსო, ბოლოს, რომ ველარ მოითმინა, თავი ასწია და თავის დიდრონი თვალები აფიცერს შეანათა. დრაგუნის აფიცერი თითქოს მიუხვდაო გვრიტოს სურვილს და განაგრძო:

— ჰქვენ დედ-მამას მეტი არავინ გყვარებიათ?

— როგორ არა. სარდიონ ენუქიძე, ჩემი მამიდაშვილი, აი, ეგერ რომ თამაშობს!

— ჰო, მე იმას კარგათ ვიცნობ, კარგი მარჯვე ახალგაზდა კაცია, მაგრამ მე ხომ ნათესავებზე არ გელაპარაკებით. სხვა გარეშე ახალგაზდა თუ ვინმე მოგწონებათ?

გვრიტომ იგრძნო, თითქოს გული ჩაუვარდაო. თავი გაიქნია უარის ნიშნათ.

დრაგუნის აფიცერმა უცბად დაატანა:

— მაშ გთხოვთ, ის რომელზედაც თქვენ აქამდის არ გაფიქრიათ, ჩემზე იფიქროთ.

გვრიტომ არა უთხრა რა.

— ჰო, ვთქვათ, მე და თქვენ ერთმანეთი შეგვიყვარდა. სხვამ, გარეშე პირმა, არც მამამ, არც დედამ, არც ნათესავმა არა უნდა იცოდეს რა. ვთქვათ, ჩვენ საზოგადოებაში ვართ, როგორც დღეს, ხომ ყოველთვის ერთათ არ ვიქნებით... რომ არა შეგვნიშნონ რა, ერთმანეთს განზრახ უნდა ვერიდებოდეთ კიდეც...

გვრიტომ სული გატვრინა. დრაგუნის აფიცგრმა განაგრძო ჩვეულებრივათ თავისი საუბარი, შეატყო, რომ მისი ლაპარაკით ქალი მოჯადოებული იყო.

— მაგრამ მუდამ ერთმანეთი თვალში უნდა გვყავდეს, უნდა ვცდილობდეთ სადმე ისეთ ალაგას შევხვდეთ, რომ მჭირდავი თვალი არ გვიყურებდეს. უნდა ვეძებდეთ შემთხვევას და ამ დროს, აი, საჭიროა ერთმანეთის ნიშნების გაგება. მე ბევრ სხვა და სხვანაირ ნიშნებს გასწავლით, თუ რომ დავრწმუნდები, რომ ნათესავებს ჯარდა მეც მექნება თქვენ გულში ადგილი.

ამ სიტყვებზე დრაგუნის აფიცერი დააცქერდა გვრიტოს, რომელიც, თითქოს თავგასავით მოჯადოებული შეიქნა, როცა მას კატის თვალები ზედ დაეშტერდება. ისინი ორივე ერთხანს იყვენ ასეთ მდგომარეობაში, სანამდის მუზიკის ხმამ ორივე არ გამოაფხიზლა და არ შეუდგენ მეექვსე ფიგურის თამაშს. დრაგუნის აფიცერმა წელზე მოხვია ხელი და გაიტაცა თამაშობაში. ეს გრძნობდა, რომ ქალი, როგორც მოქნილი წნელი, ისე ნებდებოდა. ამ გარემოებამ დრაგუნის აფიცერს დაუმტკიცა, რომ გვრიტო მის ახირებულ საუბარს თითქო დაემორჩილებია და უფრო გათამამდა.

როცა სასწავლებლის უნცროსი კლასიანები დასაძინებლად წაიყვანეს და დიდებთან მხოლოთ მეშვიდე კლასიანები დარჩენ, გვრიტოც იმათში მოჰყვა დრაგუნის აფიცერის მეოხებით, თუმცა გვრიტო მეხუთე კლასის მოწაფე იყო და ნება არ ჰქონდა მეთერთმეტე საათის შემდეგ ბალში დარჩენილიყო.

გახურდა მაზურკის თამაში. გვრიტო ისევე დრაგუნის აფიცერის დამა შეიქნა და ისე მოხდენილათ თამაშობდა, ისე კეკლუცად იხრიდა გვერდზე თავს და მასთან ტანს, ისე გამართულათ იჭერდა სხეულს, რომ ყველამ შენიშნა ახალგაზდა ქალის შნოიანი მაზურკის თამაში; გუბერნატორის ცოლს ნამეტნათ მოეწონა გვრიტო და როცა მუზიკის დაკვრა გაათავეს, ის მივიდა დრაგუნის აფიცერთან, რომელსაც რაღაც განსაკუთრებული გრძნობიერებით შეხედა და უთხრა:

ყოჩაღ, ვალოდია, რა კარგი დამა აგირჩევია!

— თქვენ დიდიხანია იცით, თქვენო აღმატებულებავ, რომ მე წარჩინებული გემოს კაცი გახლავარ.

— მასხარა!—უპასუხა გუბერნატორის ცოლმა შეხუმრებით დრაგუნის აფიცერს და მარაო შემოუცაცუნა სახეზე. გვრიტო იქვე იყო. არ ვიცი, ამ ლაპარაკიდან იმან რა აზრი დაასკვნა მხოლოთ ეს კი ვიცი, რომ გვრიტოს ძალიან იამა, რომ გუბერნატორის ცოლს მისი მაზურკის თამაში მოეწონა.

მხიარულება გაგრძელდა ნაშუალამევის ორ საათამდის. შემდეგ სტუმრები მიიპატიჟეს სუფრაზე. სასწავლებლის უფროსმა შუღლიანი სახე უჩვენა გვრიტოს და თან დაატანა. გეყოფა ამდენი თამაში, წადი, ეხლავე დაიძინეო.

XXII

186—წელს მთელი საქართველოს თავად-აზნაურობისათვის დიდი შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა. ქუთაისს დაბარებულნი იყვენ ყველა იმ მხრის მებატონეები, რომელთაც გამოეცხადა უმაღლესი მთავრობის განკარგულება ბატონყმობის მოსპობაზე. რევაზ ბაკურიძეს თითქოს თავზარი დაეცა ამ ამბით; ის შინ დაბრუნდა მკვდარ-ცოცხალი... იმაზე ნაკლებათ აღარც ანასტასია დევდარიანის ასული ყოფილა შეწუხებული. ბევრი ცრემლი დაღვარა მისმა თვალებმა, როცა მოახლეები ერთი-მეორეზე ზედ-მიყოლით გამოეცალენ ხელიდან; სულ ყველაზე უმალ გაიქცა მარინე, რომელსაც თურმე პირობა ჰქონდა ერთ ახალგაზდა შინაყმასთან მიცემული ცოლად გაყოლისა. იმათ, რომელთაც პირადი სამსახური ემართათ, არც ერთს აღარ მოუცდია ბაკურიძესთან.

„აი, ეს გახლავს გლეხის სინიდისი, ეს არის მათგან ამაგის დასწავლა! მაგათთვის რამდენი კარგი მიქნია? შხამათ შეერგოთ მაგათ ჩემი ჭირნახული. ჩემი მორიდებით ვინ გაბედავდა მაგათ შევიწროებას, მაგათ ხმის გაცემას? გზაში გაწვევა მაგათ არ იცოდენ რა იყო და ბოქაულის მათრახი, მოგეცა სიცოცხლე აწი კი გამოცდიან, რა არის უპატრონობა! იმდენი სიცოცხლე ჩემ გვრიტოს მიეცა, რამოენი მაგათ გაჭირვება დაადგესთ! გზის ვეთებაში რომ ჩაალპობენ, ადგილ-მამულს რომ დავით წაართმევენ, ხარჯს რომ გაუათკეცებენ და მაგათ შვილებს სალდათათ გამოიყვანებენ, აბა მაშინ იგემონ თავისუფლება! მოგეცა სიცოცხლე, მაგათ მაშინ მოგვიგონონ, მარა რაღა დროს? როცა სალდათის შინელს ჩააცმენ, შავი პურის ნატეხს ხელში მისცემენ წყალში დასალბობათ, ხიშტიან თოფს მხარზე გაუდებენ, ცოლს, შვილს, სახლკარს მოაშორებენ, ამოხდებათ სული მთას გადაღმა თვალ-უწვდენელ მინდორში, მაშინ მოიგონონ მაგათ რევაზ ბაკურიძე!—ამაყათ გადისვა ხელი გულ-დაჩაგრულმა მებატონემ გძელ ულვაშებზე და გადიხვია მისი ბოლოები ყურებზე.

ბევრს ამისთანას იგონებდა აზრებაშლილი და მეტად გაბრაზებული რევაზ ბაკურიძე. ის დადიოდა თავის ოთახში, გძელ ტარიანი ყალიონი ხელში ეჭირა, ცეცხლი გაქრობოდა, საკინძი ჩამოწყვეტოდა. ორი ღა კონა შავათ შეღებილი თმა სიარულის დროს დაგლეჯილ დროშის ნაფლეთებსავით კეფაზე დაფრიალებდა. ამ დროს გძელი, ყურებზე გადახვეული ულვაშები ისევ ძირს ჩამოშლოდა და ნამდვილ ჩინეთის მანდარინის სახეს მოგაგონებდა, როგორც იმას საბავშო წიგნებში ხატვენ. ის ხშირ-ხშირათ დაეწაფებოდა გძელ გამქრალ ყალიონს, რომელიც წევისაგან უგემურათ ჭახ-ჭახებდა, მაგრამ ბოლი კი არ გამოდიოდა. დავთრებ დაბნეულ მებატონეს, იქნება, კიდეც ეგონა ამ დროს, რომ მის ყალიონს ცეცხლი ეკიდა და ვითომც ყალიონის ბოლში იყო გახვეული. კუდმომწვარი მებატონე ცეცხლ გამქრალ ყალიონს რომ მოწევდა ხოლმე, მერე თავს აიღებდა ზევით და პირიდან ჰაერს ხვნეშით უშვებდა, ვითომ თამბაქოს ბოლიაო.

ძალიან დაფიქრიანებულ და გულდასაწველ გამოურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა რევაზ ბაკურიძე.

— ჰმ!—დაცინვის კილოთი დაიღრინა ბოლოს მან და განაგრძო. —ამ დღესაც მოვესწარი, როცა ჩემ ნაყმევებს ფერხული აქვთ და ჩემს ოჯახში ორი შინაყმაც აღარ დარჩენილა. ეს იყო ჩამი ერთგულების სამაგიერო? აბა, მე რომ არ ვყოფილიყავი 'გურიის აბუნტების დროს და თავადებთან შუამავლობით რომ საქმე არ გამეთავებინა, ბევრს გაარიგებდენ უცხო ადგილას უცნობი ჯარები! მგონია, არც ერთი სალდათი და მათი წინამძღოლი ცოცხალი არ დაბრუნდებოდა! ახია, ახი ჩვენზე, რაც რომ დღეს გვემართება. განა ასე არ გვიყვეს ჩვენც იმერეთში? დავერიეთ ბატონო ერთმანეთს ქოფაკი ძალლებივით თავადი და აზნაური... გაკითხვა აღარ იყო... არა, რას ერჩოდა მამაჩემი კურთხეულ მეფე სოლომონს? ის რომ არა, განა ვარციხის ციხეში შეიმწყვდევდენ, ან იერიშით რასმე უქმდენ ჩვენ ბატონ მეფეს? მამა ჩემი არ იყო, რომ ხანის ტყის წყლიან გზებში ზურაბ წერეთლის ბრძანებით ერთი რაზმი ჯარი ორი პაწია ზარბაზნით

ჩუმათ შემოასია ვარციხის გარშემო, მაშინ როცა ქაიხოსრო აბაშიძემ ახალციხეზე გადასასვლელი გზა და ფერსათის მთები შეაკვრევინა?.. რა კარგი უნდა მოგვსლოდა იმათ ჩამომავლობას?.. ღვთისაგან ცხებული ვერცხლით გაგეცით, როგორც იუდამ იესო ქრისტე. ოჰ, ზურაბ, ზურაბ! შენ გატეხე იმერეთი, მარა კი ვნახავ შენ ნასახლარზე ტურები ჭყაოდენ!--ამ სიტყვებზე [illegible] უნებურათ გადაავლო თვალი თავის გარემოს, თითქოს წარმოუდგა, [illegible] სახლკარს და ადგილ-მამულს მოელოდა უკეთესი ბედი.

— ვინ იცის, იქნება ერთ დროს ამ ბაკეშიც მგლები დარბოდენ, სახლკარიც გაპარტახებული შეიქნესო, გაიფიქრა მან. უნებურად ხელიდან გაუვარდა გრძელი ყალიონი, რომელიც დაეცა იატაკზე და ნაწილ-ნაწილათ დაიმსხვრა. ამ დროს ის გამოერკვა ფიქრებიდან და უცნაურმა შიშმა აიტაცა, თითქოს ყალიონის დამსხვრევა მისი ოჯახის დაქცევის ნიშანი ყოფილიყოს, იტაცა ორივე ხელი თავში და ყრუ-მიდუმებული ხმით წამოიძახა:

— ვაიმე, ვაიმე შვილო გვრიტო, ვაჟი მაინც ყოფილიყავი!

ამ დროს უცბათ შემოაღო კარი შიუკამ და დაღონებული სახით ოთახში შემოიმართა. რევაზ მხოლოთ ეხლა გამოერკვა შავი ფიქრებისაგან, მოავლო ხელები თავის გრძელ ჩამოშვებულ ულვაშებს და გადიხვია ისევ ყურებზე, მერე მიუბრუნდა შიუკას და უბრძანა:

— წადი, ახალი ყალიონი მომიტანე, ეს ოხერი გამიტყდა.—შიუკამ აიღო იატაკიდან ჩიბუხის ტარი და ყალიონის ნამტვრევები, მაგრამ ოთახიდან გასვლას მაინც არ ჩქარობდა.

— რა ამბავია?—ცოტა შეშინებულივით შეეკითხა ბატონი.

— მოჯალაბემ მოგახსენათ, ექვსი თვის ბორჯი გამივიდა და უნდა წევიდეო.

— წევიდეს, წევიდეს და თვალით აღარ დამენახოს!

— კი, მარა, ბატონო, ხაბაზი აღარ გვეყოლება და!..

— მოკვდენ შიმშილით და ის იქნება! სად ეშმაკში მიდის მერე?

— ვინცხას გაუბრიყვებია, ადგილს მოგცემ, დაგასახლებო და ისიც მიდის.

— რავა, ჩვენ ადგილ-მამულს ჭირი დამართნია თუ?

— მეც მაგიზა გიახელით. სჯობია, ბატონო, დავასახლოთ. ამაზე არც იგია უარს.

— იყოს, დარჩეს. მიუზომე ერთი ხუთი ქცევა და ის იქნება!—უფრო დამშვიდებით უთხრა რევაზმა მოურავს.

— კი, ბატონო, მასე გვირჩევნია. ისევ ხაბაზათ გამოგვადგება და კარგია... ახლა სხვა დროა, ბატონო, თუ არ მოულბეთ გული, აღარ გვარგია.

XXIII

მალე გავარდა ხმა ბაკურიანის სოფელში, რომ ქუთაისში მოსულა ყმების ფულიო. მებატონეებს იწვევდენ იქ კუთვნილი ფულის მისაღებათ. დაუდგა ხაზინაში მოსამსახურეებს ბედნიერი დღეები. ყველაზე უფრო ჭკვიანათ ამ საქმით

ისარგებლა ხაზინადარმა, რადგან მან შეატყო, რომ მებატონეები მოუთმენლათ ელოდენ ყმის ფულს და ყველას სურდა მალე მიეღო. ხაზინადარმა ისარგებლა თავის უფლებით და გამოაცხადა:

მე სამსახურში დილის ცხრა საათიდან—ორ საათამდე მეტს ვერ დავრჩები და ვერც კანონი მომთხოვს მეტ სამსახურს. ამ ორ საათამდის რამდენსაც მოვასწრებ ფულის დარიგებას, დავარიგებ და რომელ მებატონესაც ჰსურს მალე მიიღოს თავის ხვედრი ფული, ისინი გამოვიგდენ, ცოტა რამე მომცენ სასყიდელი და ნაშუადღევის ორი საათიდან იმათი მუშა ვიქნებიო.

ამ სახით ბევრმა ათისთავი შეაძლია, ბევრმა ოცისთავიც მისაღები ფულისა. ზოგი აზნაურთაგანი, რომელიც ეშურებოდა მალე სოფელში დაბრუნებას, რომ ბევრი ხარჯი არ მოსვლოდა ქალაქში, ისინი ოცდახუთისთავსაც კი იძლეოდენ. ასეთმა მოსაზრებამ ხაზინადრის საჩუქრები თითქმის დააკანონა ყველას თვალში.

ვეჟო, რას ვერჩით მაგ კაცს, ჩვენთვის შრომობს, მივცეთ, ვისაც როგორ უჭირდეს ფულის მალე მიღება.

ამნაირათ გაივსო ჯიბა ხაზინადარმაც. ის ძალიან დახელოვნებული და ჭკუიანი ამღები გამოჩდა. იმან იცოდა, ვისგან აეღო, და ვისგან არა. ზოგისაგან, თოფიც რომ გეკრა, კაპეიკსაც არ მიიღებდა, რადგან იცოდა, რომ შხამათ წამწარდებოდა, ზოგს კი ხელს უჭერდა. ამას გარდა ამასაც კი ფიქრობდა: „სიფრთხილეს თავი არ ტკივაო“ და თავის ხელქვეითს მოსამსახურეებს გამოუცხადა, რადგან თქვენც მეტ შრომას ეწევითო, ჩემი პროცენტიდან ნახევარს თქვენ გაგიზიარებთო. ამას შემდეგ მისი ხელ-ქვეითი მოსამსახურეები თავგანწირული ერთგული მოსიყვარულენი შეიქნენ თავის ხაზინადრისა. ამიერიდან ისინი გახდენ ხაზინადრის ერთგული მეთვალყურენი და თვალგაფაციცებით უდარაჯებდენ საზოგადოებაში, რომ არავის ცუდათ არ მოეხსენებია ხაზინადრის ასეთი განკარგულება. ის მართლაც ბევრს მუშაობდა დილა-საღამოს, რომ მალე გაესტუმრებია თავად-აზნაურობა.

რევაზ ბაკურიძემ შეიტყო თუ არა ქალაქში ყმების ფულს არიგებენო, ცოტა არ იყოს, გული დაუმშვიდდა, სახე გადაეწმინდა და მოყვა შემდეგ ფიქრს:

მადლობა ღმერთს, თუმცა პირადი უფლება და ბძანება მომესპო ჩემ გლეხებზე, მაგიერათ ფული ვიგდე ხელში და ესეც ხომ ერთი იმგვარივე ბძანების იარაღია. მართალია, მებატონის უფლება ამხადეს, მაგრამ რა მიჭირს, ფულით ისევ ბატონი გავხდებიო. ჩემი საკუთარი ყმა თუ არ მეყოლება, ფულით ვინც მინდა, იმას გავიხდი ყმათ. აქაური არ იყოს, აფხაზეთიდან და დაღისტნიდან მოვიყვან მოსამსახურეებს. ვისაც ფულს მივსცემ, ყველა ჩემი ყმა არ იქნება?

რევაზმა ასეთი მოსაზრებით გული გაიმაგრა და შეუდგა მომავალი ცხოვრების მოწყობის თავდარიგს. იმან გამოიხატა გონებაში ნაყმევების მეოთხედის და სამოსახლოების ფულის აღება; მას ჰყავდა ორას-ორმოცდა-ათი კომლი. ამ ანგარიშით თითქმის ახლა მეტი ხორაგიც შემოუვიდოდა, ვიდრე ბატონობის დროს, ფულათაც ბარე რვაას მანეთამდის ერგებოდა ყოველ წლობით. ამას

შემდეგ იმან და მისმა მეუღლემ, ანასტასია დევდარიანის ასულმა გადაწყვიტეს ბაკურიანის ოჯახობის მიტოვება და გადასახლდენ ქალაქ ქუთაისს. ყმების ფული ერგოთ ოცდა-ოთხი ათას ხუთასი მანეთი, მაგრამ ეს ხუთასი მანეთი ხაზინადარს დაუთმეს. ამ ფულით იმათ იყიდეს შვენიერი სახლი ქალაქში თავისი მოწყობილობით და განიერი ეზოთი. ბაკურიანის სახლ-კარი შიუკა შოურავის განკარგულების ქვეშ დატოვეს, ამას უნდა ეღო გლეხებიდან მოსავლის მეოთხედი და სამოსახლოებიდან სამ-სამი მანეთი. შიუკა გზავნიდა დაჭირვებისამებრ ბატონთან ჭირნახულს და ფულს. ის თითონაც ხშირათ მიდიოდა ქუთაისს ბატონთან მამულის გარემოების მოსახსენებლათ.

რევაზი და მისი მეუღლე არაოდეს არ თხოვდენ შიუკას დაწვრილებით ანგარიშს. მოურავს მის ნებაზე ჰქონდა მამულის შემოსავალი და, რასაკვირველია, თვითონაც არ აკლებდა ხელის მოთბობას, რადგან ბატონი ამ შემოსავლით და ყმების დანარჩენი ფულით პირველ ხანებში სრულიათ უზრუნველ ცხოვრებაში იყო. რევაზმა ქალაქში მამული და სახლები ათას თუმნათ იყიდა. დანარჩენი თოთხმეტი ათასი მანეთი ბანკში შეიტანა და საჭიროების მიხედვით გამოჰქონდა ხოლმე წვრილ-წვრილათ.

(დასასრული პირველი ნაწილისა)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამეგრელოში

I

სოფლისკენ

მშვიდი სახენი. ჭრელი კაბანი.
და რონოდები აშლილ ციფრებით.
მახლობელ გორებს გასცქერს ბაქანი
ელამის ღიმით და განცვიფრებით.
დამრჩება ცაზე სქელი ღრუბელი
აღმოსავლეთით დევური სწრაფვით:
ოცნება შორი, შეუზღუდველი
ძველის მანძილით, ზვიადი ზრახვით.
მზე ჩამოიწევს. გავსცდები წისქვილს.
დამეწევიან მთაში ქარები.
იქ ღელვათაგან სხივი დამიხსნის,
ძვირფას სავანეთ შევეფარები.

II

თავადის მიტოვებული სახლი

ალანძული ცაცხვები,
წაქცეული ჭისკარი.
ნესტიანი სახლები,
შორეული სიზმარი
სახურავზე მცენარე,
სუროები კედელზე,
კარი პირმოცინარი
და სურათი მეთევზე,
ტბა და ბადე გაშლილი.
ქოჩორა მთა, თვალები.
შორეული მანძილი,
ნაპირები მკრთალები.
ბალი, რწმენით ნაშენი,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აფანტული ფოთლები.
წარსულთ სიმამაცენი,
მღელვარება, ბრძოლები.
აქ დუმილი ბინადრობს,
ხვეულებში ქსელების.
სურათები გვიამბობს
განცხრომებზე ძველების.
სათნო თვალი ოჯახის,
დახატული შვილებში,
ძვირფასს თვისკენ უძახის —
ჟინით — განცხრომილებში.

ვერ გაირბენს ამ გზებზე
ნებივრობით ფინია,
და წარსულის სიზმრებზე
სიზმარს დაუძინია.
აიშლება ზამთარი
და ჩამოჰყრის აგურებს,
სახლში მტვერი და ქარი
მკვიდრად დაისადგურებს.

III

ხოლბში

წარსულის სახე გრეხილებზე გადაყინული,
ხობი ცოტნესი, ვამეხისა, და ნარაზენი.
მთა მთის მომდევნო, მთასთან ბედით გადარკინული,
უცხო ომებში ლაშქრობისგან ფეხით ნაზონვი.
შემოჰყრის პონტოს აორთქლილი შორ ხეობაში
ღრუბელთ ნაგლეჯებს, ფიქრებს წარსულს, აწ გარდაცვლილებს,
ჩამოჰლვრის ცრემლად ხალხში — ხშირად — და დღეობაში,
და მოაჩვენებს ერთხელ კიდევ განცდათ განცდილებს.
აქ ბავშვობაში დედას ზრდიდა შზე ალერსული.
შემოხვდა ვაჟკაცს დარბაისელს, ბეჯითს და სათნოს...
აქ ფრთა შეესხა მრავალ ფიქრებს შენათვის—ნაგრძნობს.
დაურჩა აწმყოს მოგონება გადალესილი.

IV

მაგულა

ლურჯა ამაყი, თავაწეული.
ბევრიც წაბლისა და ნაცრის ფერი...
მხედრები დაბას შემოსეულნი

ამაყი მზერით, მტკიცე სიმღერით.
ზვიადი დროშა დღესასწაულის.
აუარება ხალხი, ხალისი.
ჟჟური თანხმობით მხედართ დაუელის
და კითხვებს მისცემს სიდარბაისლით.
ტუბის ძახილი. ხმათ შენელება.
ფეხთა მოსხლეტა ადგილებიდან.
მხედართ გავარდნა. თვალთ დაბნელება.
ხმები ლოდინის ურიცხვ ხნებიდან.
ჰაერში ქუდის გახვრეტა უცბად
ჯერ თოფით, შემდეგ მარჯვე დამბაჩით,
და ჰაერშივე ხმლებით დაკუწვა
შეთანხმებული უცხო თამაშით.
წამოსვლა შორით მნახველის ბევრის.
შეკაზმულ ცხენთა რიგი დაბმული.
ბრჭყვიალი მზეზე ხმლების, სატევრის.
მოედნის ხალხი სულგანაბული.
და ყველა ჩასჭრა ლურჯამ ამაყმა.
შვება აღმოხდა წიაღით იმ ველს.
და ჟჟურის გახდა ყველა თანახმა,
რომ პირველობა აკუთვნეს პირველს.
დაუკრეს ტაში. ქება გაისმა,
თითქოს აეშვა შვება დაბმული.
კვლავ გაიმარჯვა მზემ და ხალისმა —
და გააგრძელეს დღესასწაული...

V

სეფა

ყოველდღიური გაჭირვება, ზრუნვა-ჭაპანი
აქ ისახება და დასაწყისს იღებს აქედან.
ბედს აქ ხვდებოდნენ განუწყვეტლივ მამა-პაპანი.
შრომის წყაროებს, სასურველ წვეთთ აქ შეაქებდნენ.
„კუჩხა ბედნიერ"-ს აოროთქლებდნენ ხმაშემატებით,—
და მაყრიონი ყანწით ღვინოს შეექცეოდა.
აქ იხილავდნენ პატარძლის თვალთ პირველ ანთებით
და სიძეს მორცხი სიტკბოება აქ ეწვეოდა.
აქვე თაობა სცილდებოდა ძველთა ანდერძებს,
უცდიდა თმენით დღეთ აღსასრულს და ცივ მელოდეს.
სული მძლეველი ამოცანას მუდამ აქ ეძებს,
ლხენის სეფისკენ მომავლისას იწვევს ჰეროლდებს!

VI

ბოლიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

თქვენ ალბათ წუხელ ვერ მოისვენეთ:
გიშლიდათ ჭროლა ქართა მრისხანეთ.
ხმაური, ზათქი ბევრი ისმინეთ,
ზღვაურთ გუგუნი გადაიტანეთ.
აქ ტყეა თავის ცივი ცოდვებით,
მრისხანე ჩრდილით და მასპინძელით.
რჩებიან თვალნი განაცები
ვარსკვლავთ ციმციმით აქ ღამინდელით.
მთებია ჟინით ნაალერსები
და მშობლიური ფხვიერი მიწა:
ძმამ უძღვნა თავის უცხო ლექსები,
და უნუგეშოდ აქვე წაიქცა*).
როგორლაც დარჩა რვეული მთელი,
ოცნება ტკბილი, დაუნესტავი.
დაშლილა დროით ზოგი ფურცელი
და დარჩენილა დაუბეჭდავი...
თანდათან მიჯნას ვშორდებით ძველის,
სჭკნება სიცხოვლე მშობლის ზღაპართა.
ხშირად ვოცნებობთ: ახალი გველის,
სული ძიების ცამ ვერ წაგვართვა.

VII

უცხო სხივი

ყმაწვილობის სიზმრები
და ბავშვობის სახენი.
შხეფში შენახიზნები
გარდასულთა სახელნი.
და ტეხური, სავანე
ქარიშხალთ და ზღვაურთა,
დაუშრეტი საპალნე
ხალისთა და ხმაურთა,
მთას მარად უალერსებს
მოსალმებით დაბლიდან.
ხშირად ათბობს ამ ლექსებს
მზიურ სიმხურვალითა.

*) ერმილე (ჩაღერ), უმცროსი, ავტორი მრავალი ლექსებისა რუსულ ენაზე. გარდაიცვალა 1908 წ.

ჭალის მიწა ჩაგრულ ძმას
ლამის ცვრებმა უნამა.
დამალონეს მე მისმა
სიბეჩავემ, ჭმუნვამა.
მაგრამ ძალა იგრძნო და
დღეს ამაყად წინ მიდის...
წინეთ სადღა ისმოდა
ხმა მთესველის სიმინდის?
ახლა საქმეთ განაგებს:
დღენი ლხენით დალიოს.
შველის ძმა-ამხანაგებს,
და სწევს ერთგულ ყალიონს.
თუ იმედით ბოლავდა
უმიზნოთ შორს ყურება,
ეს ამბავი ბრძოლათა
ახლა დაიხურება.
და აბაშის მიდამოთ
უკვე სხივი მიენთო.
საქმე, უნდა ვიწამოთ,
სანდო მშრომელთ მიენდო.
ხიდი მტკიცე, ერთგული
მომავლისკენ იდება,
და ვარსკვლავთა კრებული
გზებზე დაეკიდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამართალს სისხლით მოვძაებნი*)

(გაგრძელება)

II

დუდარუხის ბატონი თავადი ქავშუბი სვანეთის ერთი დიდი მემამულე იყო. მას კიდევ საკმაოთ შერჩენოდა ფეოდალური ელფერი.

თავადის რაინდულ კეთილშობილ თვისებებს ჩრდილავდა მეტად აღტყინებული ავხორცობა, რომელსაც ყოველ სოფელში ჰყავდა თითო-ოროლა მაჰანკალი დედაკაცი და გაქნილი ახალგაზრდა ბიჭები.

— ოხოო, ეს კი ვარგა ბატონის კერძათ!

იტყოდენ ხოლმე ხსენებული მოხელეები, თუ სადმე ლამაზი ქალი მოეწონებოდათ და შეუდგებოდენ საქმის გაჩარხვას.

უკვე ერთი წელია, რაც ქავშუბი ყოველ ღონეს ღებულობს სირინოზის დაახლოვებისათვის. ყოველმა ცდამ ამაოთ ჩაუარა, რამაც უფრო გააცელა მისი ამაყი ბუნება.

„ეს მამაძალლი, როგორ კურდღელივით გამირბის, მაგრამ არაფერია, როდესაც იქნება, ჩავიგდებ ხელში და გავუსწორდებიო“—ფიქრობდა ხოლმე თავადი.

მზის სხივებ ქვეშ ალამაზებული მწვანეთი გაფენილი თავადის წალკოტი მედიდურათ გამოიყურებოდა ბუმბერაზ ციხე-გალავნის წინ. ხეივანთან ჩრდილ ქვეშ, ნოხ-მუთაქაზედ მხარ-თეძოზედ წამოწოლილი თავადი პაპიროსს აბოლებდა.

ირგვლივ მომასლაათე სვანები შემოსხდომოდენ და სირინოზის ამბავს უამბობდენ. უმტკიცებდენ, მასზე და დუდარუხზე გავრცელებული ხმები მართალიაო.

თავადი ეილეწა, ვითომდა ზნეობის შელახვაო:

— მამი-ჩემის სულს ვფიცავ, თუ ეს მართალია, დუდარუხს სვანეთიდან გადავასახლებინებ. ასეთი უზნეო კაცი, ქვეყანას რყვნის, ასეთი ცოდვის ჩამდენი მღვდელმა საყდარში არ უნდა მიიღოს და თემმა კი თემურ ყრილობაზედ!...

— მართალია, მართალია, თქვენი რისხვა არ მოგვეცეს!

ახორხოცდენ ერთ ხმად სვანები.

---

*) იხ. ჟურნალი „მნათობი“ № 5—6.

— მამამთილზე უფრო შეჩვენებული ის წყეული გოგოა. ის არის მოსაკლავი. ისე მოსწონს თავი, ვითომ დედოფალიაო.

სთქვა ერთმა სვანმა.

— მართალია, მართალს ამბობ სწორეთ. დიდი თავგასულია.

დაუმოწმეს დანარჩენებმა.

— არაფერია, თავის მოწონება—როგორც უნდა, [illegible] ჩვენებ.

უპასუხა ორ-აზროვანი ღიმილით ქავშუბმა.

— არ ინებე თქვე დალოცვილო, თორემ აქამდინაც შეგეძლო ყველაფერი.

მოახსენა მეორე სვანმა.

— არაფერი ამდენი წირვა-ლოცვა უნდოდა ამ საქმეს. გამოვიტყუებდი სადმე ტყის პირას, დავსტაცებდი ხელს და—მორჩა და გათავდა. მერე რაღას იზამდა? მე შენ მოგახსენებ და მისი გლახა ქმარი გაბედავს რამეს. მამამთილი ჭკვიანი კაცია,—მოვაცხებდით ცოტა ქონს და გაჩუმდებოდა.

— მართალია! მართალს მოგახსენებს თაისავი სწორეთ.

დაუმოწმა ყველამ და არიხრიხდენ სიცილით.

— ძალათ დაჭერილი ქალი რათ მინდა!... არაფერია, ამ გვარები მე უკეთ ვიცი თქვენზედ. როცა იქნება, მოჭყვება თევზი ბადეს.

უპასუხათ ქავშუბმა და მოსამსახურე გოგოს გასძახა.

— სერეხან! სერეხან! ცივი წყალი მოგვიტანე!

სერეხანმა ვერცხლის დოქით ბატონს წყალი მოართვა და ყელ მოღერებული ჯეირანივით უკანვე გაბრუნდა, რომელსაც ყველამ თვალი გააყოლა.

— აქეთ მოიხედეთ ბიჭებო! საწყალი გოგო არ გამითვალოთ!

იხუმრა ქავშუბმა.

— ნეტავი ქე შემეძლოს, რომ მთლად გავაქრო ჩემი თვალებით შეჰკადრა ერთმა სვანმა.

— ღმერთი მარტო თავადებისათვის არის.

იხუმრა მეორემ.

— რატომ, შე შურიანო?

— რაც კარგი და ლამაზია, ყველაფერი თქვენთვის გაუჩენია და....

— ქალბატონის არ გეშინია, რომ გაიგოს სახლში მეტოქე? შეეხუმრა მესამე.

— რას იზამს! იფხაკურებს ცოტა ხანს და გაჩერდება მერე, ქალებმა ასე იციან.

— ოჰო! ამას კი ეცოდინება ბევრი ამბები! კესამხანი მოდის!

სთქვა ერთმა, რომელმაც ჭიშკარში შემოსული კესამხანი შეამჩნია.

— ააშენა ღმერთმა, კარგი მოსაკითხიც მოაქვს.

სთქვა მეორემ.

— ჰოო, ნათლი-დედა, ნათლი-დედა! აქეთ მობრძანდით, აქეთ, და გვიამბე შენებურათ საგაზეთო ამბები.

მიაძახა ქავშუბმა.

— ჯერ ქალბატონთან ბატონო და მერე გიახლები.
— ეეჰ, ყველაფერი ქალბატონს, ვაებატონმა რა დავაშავე!
— ვაებატონისთვის უკეთეს ძღვენს ვამზადებ.
გამოსძახა ეშმაკურათ კესამხანმა.
— ეტყობა მეძებარს კარგი კურდღელი მოუნახავს.
იხუმრა ერთმა მიმხდურმა სვანმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

სადილზედ კარგა შეზარხოშებულმა სვანებმა ისევ წალკოტში მოიფრთხნეს. ყალიონები ააბოლეს და მაგრათ გაძლომის აღსანიშნავათ წამ და უწუმ აბოყინებდენ.

ქავშუბი სანახავ ოთახში შევიდა, რომელიც ნადირთა ტყავეულობით, ძველი და ახალი იარაღებით და სვანური სავარძლებით, სადათ და ლამაზათ იყო მორთული და კესამხანს გამოსძახა.

— ნათლი-დედა! მოდი და მირჩიე ერთი შენი ლობიოთი, თუ ვიპოვი ჩემ ცხენს! ხომ იცი ძლიერ მწყინს ჩემი ცხენის დაკარგვა.

კესამხანი იმ წამსვე წამოიჭრა, თავსაფარი შეისწორა და ეახლა ბატონს.

— სერეხან! შენ ლობიოს მარცვლები და საცერი მოგვიტანე.

უბრძანა ქავშუბმა.

რამდენიმე წუთის შემდეგ სერეხანმა საცერი და ლობიოს მარცვლები მიართვათ.

— აბა, შენ გასწი ეხლა, ქალბატონს ემსახურე.

უბრძანა ბატონმა.

— რა გაქვთ ასეთი სამალავი სარჩევი?

— შენ გიპირობ ოსეთში გაყიდვას, შე მამაძაღლო!

წაუხუმრა ალერსით ბატონმა.

— ცხენზე მარჩევინებს შენი ჭირიმე.

— დიდი კუდიანი ხარ კესამხან, დიდი!

სთქვა იჭვიანობის ღიმილით სერეხანმა და უკმაყოფილოდ გავიდა.

— უყუროს კაცმა ამ სულელს! შენ კი არა, შენ ქალბატონს არ მიაჩერდა შენი ბატონი და ეხლა შენ ცქვიტე ყურები, შენმა თავის ხეთქამ!

— უჰ საოცარი იჭვიანია. ჩემს ახლოს ვერავის იტანს.

—დახედოს კაცმა!

— აბა, დაიწყე და შეუდექი შენ მეცნიერებას.

კესამხანმა საცერი მუხლებზე თავდალმა დაიდგა, ორმოცდა ერთი მარცვალი ლობიო გადათვალა და ქავშუბს ხელში ჩაუყარა.

— აბა, ბატონო, ჩაუთქვი, რაც გნებავს.

ქავშუბმა რაღაცა ჩუმად ჩასჩურჩულა ლობიოს და ისევ კესამხანს ჩაუყარა ხელში. კესამხანმა თავისებური თილისმური სახე მიიღო და ლობიოს ხმა-მაღლა ჩაუთქვა:

— ლებიო ისგვა გამჩენლვარა ტკიც რექარ.—მაი ხეყრენი მიშგვი ჰეპის,

ედ ჯეი ქანთხეენე მოშ, მიჩა ჩააჟს, მიჩა მოწმ ი მუხეენე ესგენ [1]). (სვანური).

ჩაუთქვა და გაშალა ლობიოს მარცვლები საცერზე. ლობიო სამათ გაჰყო და რიგ-რიგათ დაამწკრივა.

— აბა მოყევი ტყუილებს, ნათლიდედა!

მარჩიელი დიდი დაკვირვებით ჩაცქეროდა დამწკრივებულ ლობიოს და აქა-იქ დაჯგუფულ მარცვლებს ასწორებდა და არკვევდა.

— ცხენს მალე ნახავ... რაღაცა სიყვარულის თოკი გიწყდება... უჰ, ჩემი ცოდვა!... ძალიან წყენა მოგელის... რაღაც სისხლის გაღენაა.

— კარგი დაგემართოს, კარგად მე შენ მირჩიე. გაჩუმდი შე კუდიანო!

და წაჰკრა სიცილით თავში.

— აბა რა მითხარი წელან? „შენთვის სხვა ძღვენს ვამზადებო“ და ეხლა მეუბნები თოკი გიწყდებაო!

— ეს, სხვა რამე იქნება ბატონო, თორემ იმასთან საქმე გაჩარხული მაქვს.

— აბა, მოყევი თუ გიყვარდე. როგორაა საქმე?

— დედამთილ-მამათილი დავითანხმე, როგორც იქნა, და გოგოს ამ დღეებში მოელიან მთიდან და, როგორც ჩამოვა, მოველაპარაკები და გათავდა.

— გოგომ რომ კიდევ უარი სთქვას?

— რას ბრძანებ ბატონო, რომელ გოგოს შეუძლია თქვენი უსიყვარულობა! მისი უარის მიზეზი მისი უფროსები იყვნენ აქამდის, თორემ ის სიხარულით დათანხმდებოდა.

— თუ მისი სულ წაწყმედილი მამამთილი მართლა დამცდარია, აბა, როგორ დაანებეს! შენთან სხვას ამბობს, გოგოს სხვას ეტყვის და ჩვეულებრივ გააჯიუტებს.

—ოოხ! არ წაწყდეს ჩემი საწყალი მიცვალებულები, როგორც მე არ ვარ ჩემ შვილთან დამცთარი, არც ის, მაგრამ ეს იმ მხეცი გლახის ბრალია და მტერი მეზობლების. ვიცი მე ყველაფერი.

— აბა შენ იცი, თუ ამ საქმეს გამიკეთებ, ოცდახუთი მანეთი შენი საჩუქარი იყოს. ხომ გესმის!.

კესამხანს ოცდახუთი მანეთის დაპირებამ გული აუტოკა.

— შენი მოწყალება არ მომაკლოს ღმერთმა, ეს საქმე საეჭვო ალარ არის, მაგრამ რაღა ვქნა, ქალბატონმა რომ გამიგოს: სვანეთში სამყოფი პირი ხომ ალარ მექნება!

— ეეე, ნუ სულელობ; ქალბატონი სიდან გაიგებს. ხომ იცი ამის შესახებ რა დაშინება გავაკეთე სვანეთში!

— არ ვიცი!

— როგორ არ იცი! მაგ სულელმა ჯამლათმა რომ უთხრა ჩემი და ასპიროზის საქმე და ერთი ალიაქოთი ამიტეხა.

— მაგ როგორ არ ვიცი. მთელმა სვანეთმა გაიგო.

[1]) ლობიო შენს გამჩენს, მართალი სთქვი რა მოელის ჩემ ნათლიას ან თუ ნახავს მის ცხენს, მისი მოწმე და მახარობელი გამოუშვი.

— ჰო, და ამან ისე გამაბრაზა, მედიატორეები დავუსვი მაგ ჭორიკანა მონეს: მისმა ენამ ქალბატონი ისე გადამირია, რომ თავის მოკვლას აპირებდათქო.

— ეს კი ვიცი ბატონო, მაგრამ მედიატორებმა რა მოგისაჯეს ჯამლათისგან, ეს კი არ ვიცი.

— ერთი ულელი ხარები მომისაჯეს და კიდეც ვაჩუქე მედიატორებს.

— იჰ, რატომ შე დალოცვილო!

— აჰ! ეს იმიტომ კი არ მიქნია, რომ ჯამლათის დარბევით მესარგებლა. სვანები ისეთი ცრუ და საზიზღარი მონები არიან, რომ თუ რამეთი არ დაამინე, თავის დღეში უკმაყოფილებაში და შეხლა-შემოხლაში იქნები ,აცი. მაგალითი კი ყველას ჭკუას გასწავლის და ცუდ-ენაობას მოუკლებთ. შენ ჩემო კესამხან საქე გააკეთე მხოლოთ და ამის ნუ გეშინია.

დააიმედა ქავშუბმა.

* * *

მთიდან ჩამოსული სირინოზი მთის მშვენიერი ყვავილივით გაფურჩქნულიყო. დედამთილ-მამამთილი სიამაყით შესცქეროდენ, მაგრამ იმავე დროს გულის ტკივილით გაიფიქრებდენ ხოლმე, რომ მალე მას სხვა უნდა დაეპატრონოს, და, ვინ იცის, როგორ შეიცვლება ჩვენზედ ამის მოსიყვარულე გულიო. ხოლო ქმარი მუდამ შურის თვალით ხედავდა და თითქმი ხმასაც არ სცემდა.

კესამხანს არ გამოეპარა სირინოზის მთიდან ჩამოსვლა და მეორე დღესვე ესტუმრა.

— შე კაი ქალო, როგორ დაგვეკარგე ამდენი ხანი! შენ მოლოდინში ერთ კაცს მგონი გული გაუსკდეს.

უთხრა მისალმების უმალ კესამხანმა.

— ღმერთმაც ქნას, რომ გაუსკდეს ვილაცაა.

უპასუხა მკვახეთ სირინოზმა.

— ი, სულელო! იცი ვის სწყევლი? ჩვენ დიდ ბატონს, ჩვენ კარგ ბატონს, ჩვენ წმინდა გიორგის.

— დაანებე თავი, თუ ღმერთი გწამს, მწინდა გიორგი გაუწყრეს მის თავს!

— ეი, მთაში ყოფნამ ხომ არ გადაგრია შენ! ნუ სულელობ, ყური დამიგდე და მე თუ შენ ორგულათ რამე გირჩიო, ღმერთმა ჩემ შვილებს ორგულს. ღმერთს თუ აქამდის შენთვის რაიმე ბედი დაუკლია, ეხლა სურს მოგანიჭოს შე ბედნიერო. ბატონი შენზე ისეა გადარეული, რომ ძილში და ფხიზლათ სულ შენზე ფიქრობს, სულ შენზე ბოდავს, შენ რომ უთხრა მის ცოლშვილს თავზე შემოგავლებს. სწორეთ ჩემი პირით შამოგითვალა, რომ თუ არ მომკლავ შენი უსიყვარულობითო, ნახევარ ჩემ საცხოვრებელს შენ გადაგალევო.

— მისი საცხოვრებელი მის გაუმაძღარ ცოლშვილსაც არ ყოფნის. მე მათი სალამიც მეჯავრება.

უპასუხა გაფითრებულმა სირინოზმა.

— რათ ხარ გოგო ასეთი მკვახე. ხომ იცი დიდკაცებს ყველაფერი შეუ-

ძლიათ. ჯერ შენი ტოლი კაცივით გეხვეწება და მერე შენი გულისთვის სირცხვილს არ სჭაბს და ძალით იზამს ყველაფერს.

— თუ მომკლავს არ ვიცი და ისე კი არას გზით.

— ქე რა ვიცი, ეგებ ქეც მოგკლას.

— მომკლავს, მკვდარი ვიქნები. ერთ დღეს მაინც მოვკდები.

— რა ღმერთი გიწყრება გოგო, და რისთვის ილუპავ თავს?

— მისთვის, რომ არ მიყვარს.

— ჰო, მართალია შენი ქმრის პატრონს არ მოგეწონება ისეთი წმინდა გიორგის სურათი.

— სწორეთ რომ იმ ჩემ ქმართან გავიგე: ვინც არ გიყვარს, იმასთან ყოფნა რა ყოფნაა!

— გოგო, ხომ არ გადაირიე, შენ ქმარს ატოლებ ბატონს!

— თუ კი არ მიყვარს, ჩემთვის სულ ერთია ბატონიც და ყმაც, მისი ბატონობა მის ცოლშვილს ახარებს.

— არა, აბა ცოლშვილს გაუშვებს შენთვის შენმა მზემ.

— არც მაგას ვთხოვ.

— სირინოზ თავს ნუ ილუპავ!

— სირინოზი მაინც დალუპულია. ამაზე მეტი რა მომიეა!

— კიდევ გეტყვი, თავს ნუ ილუპავ! კარგათ დაფიქრდი.

— დამლუპოს იმ ჩვენი წმინდა გიორგის რისხვამ, დაბინელოს მზე დამთვარე, დამიბრმაოს თვალები, თუ, სანამ პირში სული მიდგას, მე მაგ საქმე ვქნა. ამის აღთქმა ჩემ ღმერთთან მაქვს დადებული... ტყვილა ნუ იწუხებ ლაპარაკით თავს.

— შენ გეტყობა ვიღაცა ღმერთიც გყავს და იმედიც გაქვს, მაგრამ იცოდე ყველა შორს დაგრჩება შე უბედურო და მერმეთ სინანული გვიან ღა იქნება

— რაც გინდათ, ის მიქენით.

— შენი უფროსების ხომ არ გეშინია? ისინი ცას სწვდებიან სიხარულით.

— ჩემი უფროსების რჩევით, რაც დავიღუპე, ისიც კმარა, აწი აღარაფერი მაქვს მათი საკითხავი.

„ფუი, დასწყველოს ღმერთმან! გომბიოს რომ ნამუსი წაუა, იმაზე ვარესი არაფერია! ამას დაჯაბნებული ყავს საწყალი მოხუცებულები და გლახა ქმარი, და ხედავთ რაებს ბედავს ეს შეჩვენებული!..“

ბუტბუტებდა კესამხანი და ბრაზმორეული სახლისკენ მიდიოდა.—„დაგეკარგა თვალის სერი, მე შენ ჩემი იმედები დამიკარგე... რალა ვქნა! ქე მაინც არ გავრიგებოდე ფასზე ხვაშას მის კარგ ძროხაზედ. მერე რა იაფია, ოცდახუთ მანეთათ, იმის ფასი ძროხა ჩვენ სოფელში არ არის... დედავ, დედავ, როგორ დამლუპა ამ წყეულმა გოგომ!“

ფიქრობდა მიმავალი კესამხანი და დაღონებულ სხეულს ძლივს მიათრევდა.

მეორე დღეს კესამხანმა ბატონს გასაბრაზებელი მოხსენება გაუკეთა.

— ჰმ! ეს ულაში არ მქონია, თუ, მას რომ ეკადრება, ისე არ დავრჩე;

რას იზამს მაგ ეშმაკის ფეხი! დედამთილ-მამამთილი თანახმა არის და მას მარტო რა შეუძლიან! ძალიან კარგი, ჩემო ნათლიდედა... ვნახოთ... ვნახოთ...

ნერვიულათ იძახოდა გულგაცხელებული მამაკაცი.

* * *

ეხლა გადავხედოთ ისევ ჩვენ ნაცნობ მარეხს: მარეხი ცხენგუნებაზედ იყო, როდესაც მასთან შემოვიდა მისი მეგობარი ქალი თეთრუა. მარეხმა გაანდო მეგობარს საიდუმლო.

— მოსაწყენი კი მაქვს ჩემო თეთრუა, მაგრამ რა ვქნა.

— რა იყო შე ქალო, რატომ არაფერს მაგებინებ შენს ავ-კარგს?—უსაყვედურა თეთრუამ.

— რა იყო და ჩემი უბედურება... ბადიგერს ტყის ქალი დაეპატრონა.

— უი, ჩემს თავს უბედურს!

შემოიკრა ლოყას ხელი ელდა ნაკრავმა თეთრუამ.

— აბა, ასე დავიღუპეთ!

— რამდენი ხანია?

— ერთი თვეა თითქმის.

— ალბათ სანადიროში შეხვდა ის შეჩვენებული!

— ჰო, სანადიროთ წავიდა და იქედან რომ დაბრუნდა, ისე იყო გამობრუებული, რომ ცნობა ალარ შეგეძლო. მის ჭკუაზე ალარ იყო,—არც სვამდა, არც ჭამდა, არც მუშაობაზე ჰქონდა გული, ჩემგან არაფერი ალარ იამებოდა, სულ მოწყენილი იყო და ყველაფერი აჯავრებდა. მეც ვითმენდი ყველაფერს და ალბათ შევეცოდე და გამომიტყდა მიზეზს. მარეხო,—მითხრა ერთ დღეს,—ძრიელ ვსწუხვარ, მაგრამ ჯანი ალარ მაქვს, რომ არ გითხრა ერთი საიდუმლო საწყენი ამბავიო, მაგრამ როგორც იმედი მაქვს შენი ჭკვიანი ქალობის ისე რიგიანათ მოიქეცი, არ შესწუხდე და დამშვიდებულათ შეურიგდი ამ საქმესო. მივხვდი მაშინვე, რომ რალაც დიდი უბედურებაა ჩვენს თავზე და რალაც მეხივით დამეცა თავში. რა იყო მითხარი ბარემლაცთქო—ვუპასუხე. „ტყის ქალი დამეპატრონაო“—მითხრა. ეეეხ! იმისთანა გაიგონა ჩვენმა მტერმა, მე გავიგონე, მაგრამ ეს ოხერი სული ჯერ არ ამოვიდა.

— უი, ჩემს თავს უბედურს, ეს რა მესმის!

— სულ ამას მითქვამდა გული, ჩემო თეთრუა! ვიცოდი, რომ ასე აჯინებულ და გადაყოლილ ნადირობას ასეთი შედეგი აქვს, მაგრამ ვინ დამიჯერა.

— ეს მითხარი, შენი ჭირიმე, მთლად შეუცთენია?

— მთლათ, მთლათ ბეჩა თეთრუა!

— მოგიყვა ყველაფერს, როგორ ყოფილა?

— როგორ არა, ყველაფერს.

— როგორ ყოფილა, შენი ჭირიმე, დაწვრილებით მომიყევი.

— როგორ და, რომ ასულა საჯიხვე სერზე, გამოემწკრივა თურმე თუთხმეტი ისეთი ხარ-ჯიხვი, რომ სამ-სამი წლის მოზვრების ტოლა ყოფილან. ესეც ჩაუჯდა თურმე სახუნდარში და შემართა თოფი. რომ იღებს ნიშანში და ეს

არის უნდა ისროლოს, ამ დროს გამოჩნდა თურმე ერთი თეთრათ ჩაცმული ისეთი ლამაზი ქალი, რომ მზე იმასთან ნახშირათ სჩანდა. რვა ნაწნავი თმა შავი ნაბადიეთ მიწამდი მისთრევდა თურმე. დაუძახნია: „ბადიგერ, არ ისროლო, თორემ მე მომხვდებაო“. ამასაც თოფი ძირს დაუშვია და ისიც მოსულა, მოხვევია კისერზე და უთქვამს: „რაც ცა და მიწა გაჩნდაო, მერე მეც ვარ ქვეყანაზე უკვდავ-მოუხუცებელიო და ჯერ შენს მეტი კაცი არ შემყვარებიაო. არაფერი არ მაკლიაო. ჩემი სასახლე კლდის გულში არის აშენებული და შიგ მარგალიტის ავეჯით არის მორთულიო; ფრინველები მსახურათ მყვანან და ნადირები მცველათო. მთვარის ცრემლებით ტანს ვიბან და მზის სხივებით პირს ვირთამო; ნიავი თმას მივარცხნის და ვარსკვლავები ტანს მირთავსო; ელვა ფეხს მაცმევს და ქუხილი გვირგვინს მადგამსო; ყვავილები ლოგინს მიგებენ და ზეცის ნანა მაძინებსო; ჩემს ეზოში ოქრო-ვერცხლის მდინარეთი ათი თვალი წისქვილი ბრუნავსო, ვინც იმაში ტანს დაიბანს ახალგაზრდობას და უკვდავებას მოიპოვებსო. ასე დიდებულათ ვცხოვრობო, მაგრამ ჩემს ცხოვრებას უშენოთ სიხარული არ აქვსო. ხომ იცი ამ ჩემ სამეფოდან ერთხელ გაწბილებული არ გამიშვიხარ და ეხლა არც შენ გამიშვა გაწბილებული, თორემ დაილუპებიო, უთქვამს და ყელზე თმის ნაწნავები შემოუხვევია. ამ ჩემი თმის ქვეშ ფიცი დასდევი, რომ ამიერიდან ჩემს გარდა სხვა ქალს არ მიეკარო, თორემ მეორე დღესვე შენც და შენ ქალსაც ამ ჩემი თმებით დაგახრჩობო და ყველა შენ ნათესავებს და მოყვრებს ჭკუაზე შევშლიო. კი იცი ტყის ქალის გრძნებას რომელი კაცი ვაუძლებს და ესეც შეუცდენია. მას აქეთ გაიყო ჩემი და ჩემი ქმრის ლოგინი. ღამღამობით, როგორც ვახშამს სჭამს, მეტყვის: აწი გარეთ აღარ გახვიდე, მე მივალ და არ შეგეშინოსო. გავა გარეთ, დახვდება თურმე ხარის ოდენა მგელი, შეიჯენს ზურგზე და ხუთ წუთში ტყის ქალის სასახლეში მიაგდებს თურმე. გათენებისას მოვა ცოცხალ-მკვდარი და მთელი დღე სძინავს, აი ასე გამიწყრა ღმერთი ჩემო თეთრუა.

თეთრუა ისე გაიტაცა მარეხის ნაამბობმა, ისე აცეცებდა აქეთ-იქეთ თვალებს, თითქოს ამ წუთში ხსენებული ტყის ქალის სასახლეში ზის და ყველაფერს განცვიფრებით ხედავსო.

— დედავ, დედავ, რამდენი კარგი კაცი წაახდინა იმ დაწყევლილმა, და არავინ მყვარებიაო. კიდევ ის უთქვამს იმ შეჩვენებულს! ცხონებული ბაბუა-ჩემი იმას შეურყევია თურმე ჭკუაზე.

სთქვა შიშით აკანკალებულმა თეთრუამ.

— ეეხ,—ამოიოხრა მწარეთ, გულ დაჩაგრულმა მარეხმა. ქვეყნის მღალავმ თვალმა და ყბამ მიწია და ეს არის.

— რა უყოთ შენი ჭირიმე. ჭირს უნდა გაძლება. გულს ნუ დაიჩაგრავ. ცოცხლები იქნებოდეთ და კაცის მეტი რა იშოვება.

ანუგეშა თეთრუამ.

— რას ამბობ ბეჩა თეთრუა! ბადიგერის შემდეგ გლახა მე აღარ მინდა და კარგს მე რათ უნდებვარ.

— შე ქალო, მთლათ შახინჯებს ყავთ საყვარლები და შენთვის რა გაწ-

ყვება. შენი შეძლებით და დედაკაცობით ვისაც პატივს სცემ, ყველა შეგიყვარებს ნუ გეშინია. სირცხვილიც კია ასე გაქვავებული ყოცნა. რომ ვინმეს აწყენინო, ხომ წამოგიძახებს: კარგი რომ იყო—სხვას ეყვარებიო! ხომ უყურებ საწყალ მართალუს, ხმას ვერავის გასცემს, რომ არ წამოსძახონ: „შე კაცის უსიყვარულოვო“.

— ჩემი სიყვარული და ბედი ეშმაკებმა წაიღო და მადლობა ღმერთს.

— შენ ბედზე უფრო საყვარელი სხვისი ბედია იცოდე. ხომ ხედავ, ცის და ქვეყნის სიკეთე და სიმდიდრე იმ ტყის ქალისთვის მიუცია ღმერთს, მაგრამ უსაყვარლოთ მაინც ვერ გასძლო და ჩვენ რაღა გვეძრახვის! ორი დღის წუთისოფელია: „რითაც გავიხარებ—იმას შევიყვარებო“, ხომ გაგიგონია.

— თეთრუა, შენი ჭირიმე, ეს ამბავი არავისთან გაამჟღავნო, თუ ჩვენი დალუპვა არ გინდა.

— შე ქალო, არ იცი ჩემი ამბავი! კაცი საიდუმლოს მეტყვის და იმას გავამხელ, რაღა ქალი ვიქნები!

სახლში მიმავალ თეთრუას ჭიშკარსგარეთ ბადიგერი შამოხვდა მხიარულ გუნებაზედ. თეთრუა გაკვირებული განშორდა, გაგებული ამბის შესაფერი ჭმუნვარება მის სახეზედ რომ ვერ ნახა. „ოხრები არიან კაცები, ოხრები! მაგათთვის ტყის ქალი და ჩვენ, მახინჯი და ლამაზი, ერთია. აბა ჩვენი ქალი რომ ტყის კაცმა შეიყვაროს, ხომ გადირევა! ან თავს მოიკლავს!“ ფიქრობდა სახლში მიმავალი თეთრუა.

* * *

ღამე იყო. დაასაკებული მთვარე, ვარსკვლავთა მისდამი საალერსო ციმციმს გულ გრილათ უცქეროდა, თითქო მოსაწყენია მათთან ცხოვრების ხანგრძლივობაო, და ღამის მყუდროებით მოცულ სვანეთის მიდამოთა შორის, თვალები ისე ხარბათ ჩამოენათებია, თითქო არ უნდა ერთი ბუჩქის ძირიც კი დასტოვოს მისი შუქის შეუხებელი და უალერსოვო. დღიური ვარამით მოქანცული დუდარუხის სახლობა ძილის სამეფოში გადასახლებულა. მხოლოთ გინადრუყს დიდი ხანია უძილობა დასჩემდა. განაბულს ფიქრები აღრჩობდა.

— უჰ! ნეტავი ეს ქალები გასწყდებოდენ სულ და მერე თუნდა საკირეში ჩამწვან... მაგ დაწყევლილები ეშმაკსაც კი უყვართ და მე კი ჩემ ცოლსაც არა... სადაც ჩემ ცოლს არ უყვარვარ, აბა სხვას ვიღას ვეყვარები!.. არა და რა ვქნა, მეც კაცი ვარ და გული მაქვს! ოოხ! ღმერთო ან კარგი გაგეჩინე და ან სულ არა! ამოიხვნეშა შხამიანათ გინადრუყმა.

გარედან მოისმა სალამურის სტვენა.

სირინოზი ნელა წამოდგა, ყური მიაპყრო მეზობელ სარეცლებს, და რომ დარწმუნდა, რომ მწოლარეთ ძილი დაუფლებიათ, ჩამოვიდა ლოგინიდან, გავიდა გარეთ. გინადრუყის მთელი არსება იჭვიანობის ჯანყმა ააბოლა. ისედაც ველური ბუნება, მთლად მხეცური გულის ზრახვით აღეგზნო. გულ აძგერებული მივიდა სირინოზის ლოგინის დასახედავათ, ლოგინის სიცალიერემ მაძის თოფი მოაძებნია. დერეფანში რომ გამოვიდა, თვალი მოჰკრა, რომ სირინოზი ცალ-

მაგში შეძვრა. გინადრუყმა ცალმაგს ნელის ნაბიჯით უკანიდან მოუარა და პატარა სარკმელთან გაჩერდა. დაიგრიალა თოფმა. თოფის ხმას ქალის შეშფოთებული მიკივლება შეუერთდა, ვილაცამ ქალი აყვანილი გამოიტანა და დასვა სახლის წინ. თვითონ ელვისებური სისწრაფით გაიქცა. სანამ აღელვებული გინადრუყი უკანიდან შამოიელიდა, კაცი სამშვიდობოში გავიდა, და ქალი ლოგინში ჩაწვა.

გინადრუყმა რომ გარეთ ველარავინ დაინახა, ყვირილით სახლში შეეარდა.

— აი, არ გაგაღვიძათ ღმერთმა! — დაუყვირათ მშობლებს, — ეხლაც არ დაიჯერებთ რა პატიოსანი ქალია თქვენი რძალი!.. ახ, მაგ საზიზღარი! ქმარი სძულს და სხვები უყვარს.

ყვიროდა ძალზე გინადრუყი.

შეშფოთებული დუდარუხი და ჯამურხანი ძლივს-ძლივობით ძილს გამოერკვენ. ჯამურხანმა ქმარს ხელი წაჭერა და ჩუმათ წასჩურჩულა.

— ადექი ჩქარა, ვაი ჩვენი ცოდვა! დავღუპულვართ, გადარეულა, ფრთხილათ იყავი.

— რა იყო ჩემო გინადრუყ, რა მოგივიდა?!

გამოეხმაურა ტკბილად მამა.

— რა მომივიდა და თქვენი პატიოსანი რძლის საყვარელი შევისწარი და თოფი ვესროლე.

— როგორ, შენ იყავი, თოფის ხმა რომ იყო?!

შეშფოთდა მამა.

— მე ვიყავი, მაშ!

უპასუხა თავმომწონეთ.

— მოიცა შვილო, მოიცა, ყველაფერს გამოვარკვევთ, ყველაფერს გავასწორებთ, მხოლოთ შენ დაწყნარდი.

ამშვიდებდა კერიასთან მისული მამა და თან შეხვეულ მუგუზლებს ჩხრეკდა და ნაკვერცხლებზედ კვარს უკიდებდა.

— სირინოზი რა იქნა მერე?

ჰკითხა მამამ.

— წაჰყვა მის ეშმაკს.

— ვინ იყო, ვერ შეიცანი?

— რა ვიცი ვინ იყო, მგონი დავსჭერი და გამექცა.

სირინოზის ლოგინს დახედეს. სირინოზი, სულ განაბული, მწყერივით იწვა.

— ვაი შე უბედურო, რავა გელანდება ყველაფერი უცნაური! გოგოს მკვდარივით სძინავს და ეს რაებს ამბობს!

უთხრა დედამ.

— რას ჩერჩეტობ, რას, შე გამოყრუებულო! ვის გაუგონია ასეთი მოლანდება! წამოდით და გაჩვენებთ რაც იყო!!

ყვიროდა ომ-გადახდილი.

სირინოზი ვითომდა ძილს გამოერკვა;

— რა იყო, რა მოგივიდათ, ძილიც აღარ ეღირსოს კაცს! — წამოიძახა.

— აი შე ეშმაკეულო სულო, ვითომ არ იცი, რა ამბავი იყო! შენ კიდევ ილებ ხმას!!

დაუყვირა ქმარმა.

— რა ეშმაკმა გადარია, ვერ იტყვით!?

— არ ვიცი ღმერთმანი! ჩვენ ვართ გადარეული თუ ესენი.

უპასუხა მამამთილმა.

— შენ შეგსწრებია საყვარელთანო.

უთხრა დედამთილმა.

— აი, ისე მაგას მოესწრო ალდგომა! როდის? სად? რას ბოდავს!?

— ახლაო, ჩვენ რომ გვეძინა.

ეუბნება დედამთილი.

— თუ დაიჯერებთ შეშლილია მაგ და თოკით უნდა დაბმა, თორემ რაკი ბოლანდება დაუწყო, ყველას დაგვხოცავს, იცოდეთ.

გინადრუყის გაბრაზებამ გადალეკა ყველაფერი, წამოავლო ცულდს ხელი და მიაშურა ცოლს დასაკრავათ, მაგრამ დიდის ვაი-ვაგლახით დააკავეს მშობლებმა.

— ეხლაც არ დაიჯერებთ, რომ გადირია??

წასჩურჩულათ სირინოზმა.

— კი მჯერა, მაგრამ რა ვქნათ!

უპასუხა გაშველებით აქოშინებულმა მამამთილმა.

— შევკრათ!

გინადრუყი უფრო და უფრო შმაგობდა.

— სანამ მაგას არ დავამტვრევ, მანამ ვერ დავისვენებ.

ყვიროდა და მიიქაჩოდა ცოლისკენ.

— სირინოზ! ადექი და მოიტანე თოკი და ხეჩო! გამიწყრა ღმერთი და ეს არის! გადარეულს შეკვრა უნდა!

ყვიროდა მოთმინებიდან გამოსული დუდარუხი.

სირინოზმა იმ წამსვე თოკი და ხეჩო[1]) მოარბენინა, დაესიენ სამნივე და ისე მაგრათ შეკრეს, როგორც ცხენზე ასაკიდი ცალი.

დუდარუხის სახლში ძილის აჩრდილი დაფრთხა. გინადრუყის ყაყანი მოსვენებას აღარ იძლეოდა.

— ვაი ჩემი ბრალი, როგორ გავხდი მტრის შანსაგებათ. შვილი გადამერია, აწი რძალიც გამექცევა. ვაი ჩემო სახლო და კარო, ეზო-გარემო, როგორ დაგეკარგება შენი მამშვენებელი სირინოზი.

ბუტბუტებდა დუდარუხი ლოგინში.

— რატომ ცა და მიწა თავზე არ დამექცა, როდესაც მაგ უბედური გამიჩნდა.

ფიქრობდა ჯამურხანი.

„ღმერთო, რათ გინდოდა ამ წვალებისთვის ჩემი გაჩენა... ვაიმე, დაჭრილია!.. გაიგებენ ნამდვილათ ვინ იცის რამდენი უბედურება უნდა მოჰყვეს ამას.

[1]) ხეჩო მსხვილი თოკია, ცხენის საპალნე ტვირთვის შემოსაკრავათ ხმარობენ სვანეთში.

სხვა რომ არა, წყეულ ბატონს რა გადურჩება!.. ოჰ, შენი ჭირიმე, როგორ წმინდა სანთელივით ჩაენთე ჩემს გულში. კიდეც მწვავ და კიდეც მატკბობ, კიდეც მტანჯავ და კიდეც მახარებ... ღმერთო, წმინდა გიორგი, ოღონდ ის გადამირჩინე და სამაგიეროთ მე შემიწირე.

ფიქრობდა სირინოზი.

— ვაი დედა თქვენს, ვაი დედა თქვენს, რავა გძინავთ ყველას და მე თოკით ხორცები ჩამეჭრაააა!!

ჯლაოდა საზარლად გინადრუყი.

— ვაი შენს დედას უბედურს! რატომ მე არ მოვკვდი შენს გადარევამდი.

გამოეხმაურა გულ-დათუთქული დედა.

გათენდა დილა.

— ადექით, ადექით და გადით ცალმაგში! ვილაცა იყო, ისე დაიყვირა, რომ უთუოდ დაიჭრა. თუ ნახოთ რამე ნიშანი, მერე რას მერჩით. ამიშვით ხვთის გულისათვის.

იხვეწებოდა გინადრუყი.

რამდენიმე წუთის შემდეგ, დუდარუხი და მისი ცოლი ცალმაგში ერთმანეთს გაშტერებით შესცქეროდენ. ცალმაგი სისხლით იყო მოსვრილი; იქედან გატანილ სისხლის კვალმა საწისქვილო წყლის პირამდი მიიყვანათ, იქ კი კვალი დაიკარგა.

— ეტყობა აქ მოიბანა და შეიხვია.

სთქვა დუდარუხმა.

— წავიდეთ ჩქარა და ის საწყალი ბიჭი მაინც ავუშვათ.

უთხრა ცოლმა.

— რას ვერჩოდი მაგ უბედურს, მართალი ყოფილა.

— აბა, როგორ დავსტანჯეთ უბრალოთ საწყალი.

შესჩიოდენ სინანულით ერთმანეთს.

— დავიღუპეთ! ჩვენი საშველი მაინც არ არის,—ეტყვის დუდარუხი: ჩუმის ხმით ცოლს,—თუ მაგ შეჩვენებული გოგო გვიმალავდა და ისე ჰქონდა ბატონთან საქმე და ეს ბატონი იყო, აგვყრის პირდაპირ. თუ „დოხტურის“ ნათქვამი იყო, მაშინ ხომ მთლათ მოვისპეთ და ეს არის...

— ვაი, ვაი, ვაი ჩვენი ბრალი.

ჩაიმოთქმა აკანკალებულმა ჯამურხანმა.

— რატომ მაშინ არ ჩავვარდი ქვესკნელში, როდესაც მაგ ჩემ სახლში შემოვიყვანე.

სთქვა დუდარუხმა.

— შენი ბრალია, შე სულ-ძალლო, აქაო და კარგი შვილი ეყოლება და შთამომავლობა გაჩომიბრუნდებაო. არც შვილი ჰყავს, და, ვინცა ვართ, იმასაც გვსპობს.

— ეს რა ვიცოდი, კაცს მიძახოდენ და სოფელ-ქვეყანაში მოწონება მქონდა. მოსახლე კარგი ვიყავი და ქონების სახელი მქონდა. ვფიქრობდი, ყველა ამაებით ქმრის სიძაბუნეს მოითმენსთქვა, მაგრამ ქალები ასე ხართ ქრისტეს ფეხის მჭამელი და მე რა ვქნა!

ამ ლაპარაკით შევიდნენ გინადრუკთან, აუშვეს და უთხრეს: იმ პირობით აგიშვებთ, კაცს არ ერჩოლო, თორემ ისევ ასე შეგკრავთო.

დუდარუხმა სირინოზს დაუძახა. სირინოზი მიხვდა, რომ გინადრუკის აშვება მისი დამარცხება იყო და ფერი წაუხდა.

— ქალბატონო, შენ ეშმაკობა აღარ გაგივა აწი ჩემთან. ბრძანე, ვინ იყო წუხელი შენთან!?

— ეშმაკი ღმერთმან დასწყევლოს!.. მე არაფერი არ მიქნია ისეთი, რაც თქვენი ნება დართული არ იყო.

— სთქვი რა იყო!?

— ჩემი დედამთილი წამობრძანდეს გარეთ და იმას ვეტყვი.

— ჰო, შენ დედამთილს უფრო კარგათ გაასულელებ.

თუ აგრე ფიქრობთ, ჯერ წამიყვანეთ და დამაფიცეთ, რომ ტყუილი არ ვსთქვა, და მერე ვიტყვი.

დუდარუხს, როგორც ფიცის მორწმუნე სვანს, უკანასკნელმა სიტყვებმა გამკაცრებული კილო დაუმშვიდეს. „მტყუანს ფიცი ასე არ ეადვილება“—გაიფიქრა და ცოლს უთხრა:

— წაყევი და გამოკითხე ყველაფერი.

რძალ-დედამთილი სახლის უკან პუტპუტებდენ.

— სთქვი ყველაფერი მართალი, შვილო, თორემ ხედავ, შენი მამამთილის გაბრაზებას, ცოცხალს არ მოგარჩენს, შე უბედურო.

— ბატონო, თქვენი ნება ასე იყო და ეხლა რას მერჩით!

— რა იყო ჩვენი ნება! ბატონი იყო თუ?

— არა.

— აბა ვინ იყო?

— „დოხტურის“ ნათქვამი დაგავიწყდათ?

ჯამურხანი შეკრთა.

როგორ! ტყის ანგელოზი ხომ არ ბრძანდებოდა?

— ჰო, აბა ვინ იქნებოდა!.. წუხანდლამდი არ მოსულა. „მეზარებოდაო“ მითხრა.

— რატომ?!

— მხეცი გყავს სახლში და მეზარებოდაო. მაგრამ წუხელი ველარ მოეთმინა, შესულიყო ჩვენი ნაძვის წვერზე და ისე მშვენივრათ სტვენდა, რომ მკვდარს გააცოცხლებდა მისი მოსმენა, იმ ხმამ უეცრად გამომაღვიძა და ჩემდა უნებურათ რაღამაც ჩიტივით გარეთ გამაქროლა. ისიც უცებ ჩემ წინ დაფრინდა, წამიყვანა ცალმაგში და რომ დამიწყო მოფერება და ჭკუის სწავლება, იმ დროს გავარდა თოფი. წამოვარდა და მითხრა: „ეხლა დაიღუპა თქვენი სახლიო“. უცებ ფრთებზე შემისვა, ჩემ ლოგინზე მომაფრინა და თითონ სახლის სართულში გაფრინდა და გასწია. ეს იყო და ეს. აწი რაც გინდათ ის მიქენით.

გაფითრებულმა ჯამურხანმა აღარ იცოდა რა ექნა.

— სისხლი, რომ გასვლია იცი?

— ამისი ნუ გეშინიაო, მითხრა. ამას ან წყლით ან ბალახით უცებ მოვირჩენო.

— ოჰო, გეშველა, მართალია. წყლით მოურჩენია ჰგავს. წყალს იქით სისხლის კვალი დაგვეკარგა.

მიხვდა და დაამოწმა ჯამურხანმა.

— ეს ჭრილობა მე კი არ მტკივაო, თქვენ გეტკინებათო — მითხრა, რომ გაფრინდა მაშინ.

ჯამურხანმა თავში ხელები წაიშინა.

— დედავ, დედავ, როგორ გავხდით ამ გლახის წერაააა!... რაღა ვქნათ! მობოდიშება და შეეედრება ვერაფერს გვიშველის თუ იცი?

— რა ვიცი.

— ვაიმე, ვაიმე, ჩემო ნაშრომო ოჯახო, გლახის წერა შეიქენიიი!

გაეშურა მწარე მოთქმით ქმარ-შვილისკენ. მოუთხრო ორივეს ნათქვამი.

— რა ვქნათ, არ ვიცი, ღმერთმანი. ამ მხეცს არაფერი სჯერა, თორემ მე ხომ გითხარი, ამ დილით შეიძლება ტყის ანგელოზი ბრძანდებოდათქო. მე ამ საქმეში უცოდველი ვარ, დიდება მის სახელს, ისიც დაინახავდა, და შენ რაც მოგივა ახია შენზე.

უთხრა ნიშგებით შეშინებულმა დუდარუხმა შვილს.

— ეხლა თქვენი კინკლაობა კი არ მოუხდება საქმეს და მობოდიშება რამე მოვახერხოთ.

ურჩიათ ჯამურხანმა.

— აეთრიე შენ ეხლავე,—უთხრა შვილს. ჩვენი შავი ხარი უნდა შევსწიროთ. წმინდა სანთლით შენი ხელით თავი შეურუჯე; მარჯვენა რქაზე ჯვარი დაუსვი და სამთავეს შევპირდეთ, რომ წლამდი უღელი არ დავადგათ, წლის თავზე საბოდიშო წირვა გადავიხადოთ და შენაწირიც მაშინ დავკლათ; იმ სისხლებს თავის მიწიანათ აღება უნდა და წმინდა ადგილზე; საყდრის გალავანში შეტანა და იქნებ გვაპატიოს ჩვენი უმეცრება.., ვაი, ვაი, გლახის პატრონს უბედურს!...

გაათავა თუ არა განკარგულება დუდარუხმა, საცოდავათ ჩაიმოთქმა და თავში ხელი შამოიკრა. გინადრუყიც შეშინებულ-გაფითრებული ადგა და დედას სთხოვა — შენ წმინდა სანთელი ჩამოქენი და მე ხარს მოვიყვანო და გავიდა.

***

საშინელი წვიმის ქენთქი იყო. ბუნება ჯანყსა და ბურუსს დაეფარა. თავადი ქავშუბი მის გრძელ აივანზედ პაპიროსის წევით და ჩქარის ნაბიჯით იქეთ-აქეთ დასეირნობდა. წალკოტზე გამოჩნდა თავადის ერთი მრავალთაგანი, ქალებთან სიტყვიერი ბარათი—დევეთგერი.

დევეთგერი, მოხერხებული ცბიერი და ანგარების მოყვარე სვანი იყო და თავადის ჩრეული დაგეშილი მწევარი. დაასაქმებდა თუ არა რომელიმე ლამაზთან, იმდენს ირბენდა, იმდენს გაძვრებ-გამოძვრებოდა, რომ კურდღელს დაჭერილს მოჰგვრიდა.

დევეთგერმა, კიბის ბოლოზე შეტალახებული ქალამნები გაიწმინდა, მუჯუჩო მიაყუდა, დაკაპიწებული ჩოხის კალთები ჩამოუშვა, ქუდი მოიხადა და აივანზედ ავიდა.

— კაი დღე ბატონს [1]) მიესალმა.

— კარგი დაგემართოს [2]) რა ამბავი, დევეთგერ!?

— მშვიდობა ბატონო.

— აბა მე ნუ მოგიკვდე, მითხარი რამე ახალი და სასიამოვნო აშ მოსაწყენ ამინდში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევეთგერმა ცბიერათ ჩაიცინა:

— ახალი ყველაფერი კი არ ვარგა სათქმელათ, თქვე დალოცვილო!

— აჰა, გეტყობა, იცი რაღაცა! უთქმელობას გული არ მოგითმენს და ბარემლაც სთქვი ეხლავე.

და გადიხარხარეს ორთავემ.

— გულის გასახეთქი საქმეა სწორებით, გულის!

— მაინც რა?

— იმ მამაძაღლი გოგოს საქმე ბატონო...

— რომელი გოგოსი?

— სირინოზის, ბატონო?

— ჰო, რა, მე ნუ მოგიკვდე!?

— რა, ბატონო... ბატონო და წინაღამეს, ასე, თავადიშვილის ვახშმობა იქნებოდა, რომ მთიდან მოვდიოდი. დღესავით მთვარიანი ღამე იყო. დუდარუხის კარზე რომ მოვაწიე, უცებ თოფის სროლა და ქალის დაკივლება მომესმა. მივხვდი, რომ დუდარუხის ეზოდან იყო. შემეშინდა: ფათერაკი არაფერი მომხვდესთქო და იქვე თივის ზვინს ამოვეფარე. ამ დროს მომესმა საშინელი ყვირილი გლახა გინადრუყის. აგერ უცებ დაჭრილი მგელივით ბადიგერმა გამოირბინა, საწისქვილე წყალთან რომ ჩააწია, იქ კარგა ხანს ჩაჯდა და რაღაცას ფოხიალობდა. ამან რაღაც წარმოუდგენელი იქვები დამიბადა. ავდექი გუშინ დილით და დუდარუხთან შეეედი. ძალიან მოწყენილი დამხვდა. ვკითხე, რა ამბავი იყო წუხელ თქვენთანთქო. გაუკვირდა. „შენ რა იციო“—„მთიდან მოვდიოდი, მესმოდა ყველაფერითქო“. მინდოდა გამომეტეხნა. მთლად უარი ველარ მოახერხა და მომიყვა გადაკრულ-გადმოკრულათ. „დავღუპულვარ კაციო. ტყის ანგელოზი მწყვევია და მაგ მხეც გინადრუყს ქურდი ჰგონებია და თოფი უსვრიაო“. სიდან იცი რომ ტყის ანგელოზი იყოთქო—ვკითხე მე. „ჩემ რძალს დაუნახავს, ჩვენი ნაძვის წვერში მჯდარა უშველებელი ფრთებითო“ ეეე, ეხლა კი მიუხვდათ დევეთგერი, საქმე რაში იყო. ჩემი თვალით რომ არ მენახა ბადიგერი, დავიჯერებდი კიდე, მაგრამ რაც თვალით ვნახე, იმას რას უზამ კაცი! ტყვიას ხომ არ დაუჭრია თქო—ვკითხე. შეყოყმანდა და „არ ვიციო“, მითხრა. იჰ, რის ანგელოზი იქნებოდა შე კაცო, თუ ტყვიას მოიხვედრებდათქო—ვუთხარი. „ეჰ, მაგაზე არ არის საქმეო, როდესაც ხორციელათ გადიქცევა, მაშინ მასაც ხვდება ტყვიაო“. კარგი და პატიოსანი. ეს ერთი გამოძიება გავაკეთე ხომ! ავდექი და ბადიგერს ვესტუმრე. წამოწოლილა თავადიშვილივით ლოგინში და ყალიონს აბოლებდა. ვკითხე—რა დაგემართა, ავათ ხომ არა ხართქო. „დასწყევლოს ღმერ-

[1]) სვანური სალამი: ხოჩალადეღ მახვის.

[2]) სალამის პასუხი: ხოჩა ჯეყარ.

თმა, მთაში ვიყავი და მწყემსების ძაღლმა დამკბინა ფეხშიო". აჰაა, ეხლა თლათ აშკარათ მივხვდი, როგორი ტყის ანგელოზი წვევია ქალბატონ სირინოზს... ეხლა ბატონო, თუ ეს ბადიგერს შეარჩინე, ისე დაგეკარგება ჩვენში სახელი, რომ...

— სსუუ. გაჩუმდი, კმარა... სთქვა თავადმა და განაგრძო ჩვეულებრივი სეირნობა.

— მაინც არავის გვაგდებდა ტოლათ და ეხლა სულ არავის გვიკადრებს. წაიბუტბუტა დეევეთგერმა ბატონის შესაქეზებლად.

— დეევეთგერ, შენ ერთი უნდა ქნა! წადი და დუდარუხი ინახულე და ეს ამბავი საიდუმლოთ უთხარი. ისიც უთხარი ჩემ მაგივრათ რომ თუ მაგ ლაწირაკ ბიჭში გამცვალა, იცოდეს, რომ სვანეთში საცხოვრებელ პირს აღარ მივცემ. თუ შენ ამ საქმეს კარგათ მომიჩარხავ, ქალბატონს ვფიცავ, ჩემ წითელ ცხენს გაჩუქებ. აბა, გასწი!

დეევეთგერი ციბრუტივით შეტრიალდა და გასწია დუდარუხისკენ, ისე სწრაფი და მსუბუქი ნაბიჯით, თითქო ბატონის ნაჩუქარ ცხენზე უკვე ზის და მიაქანებსო.

საიდუმლოების გასამეღავნებლათ დუდარუხი ცალმაგში გაიხმო. ნახული და მოჩმახული ყოველივე გადასცა.

— არ მინდოდა ამ საქმეში ჩარევა, მაგრამ ბატონმა არ ინება, იმ დალოცვილმა, რომ ვიცი დუდარუხის ერთგული ხარო და შენ უფრო მართალს ეტყვი ყველაფერსო. ერთი სიტყვით, უნდა გამოგიტყდე, ბატონი ისე გაჯავრებულია, ცას და მიწას ორივეს ბრდღვნის.

დასძინა დეევეთგერმა.

დუდარუხს ბევრათ ერჩია, შვილი და რძალი ორნივე მოკვდომოდა და ეს ამბავი კი არ გაეგო. მით უფრო ბადიგერის მეოხებით, რომელსაც ყველაზე მეტათ ენდობოდა და პატივს სცემდა.

გონება აღშფოთებულ მოხუცს ათასმა აზრებმა გაუელვეს თავში, თუ როგორი პასუხი მიეცა მოციქულისთვის. მაგრამ ბოლოს გადასწყვიტა ისევე ტყის ანგელოზის საქმეს დასწოლოდა. ფიქრობდა: თუ ტყის ანგელოზის საქმე მართალი გამოდგა, მაშინ ან ბატონს რაღა შეეძლება, და თუ გაწყრა ღმერთი და ჩემი რძალი ასე უცნაურათ მატყუებდა მაშინ ბატონთან ბოდიშს მოვიხდი, რომ ჩემ უმეცრებას აპატიოსო.

ამ მოსაზრებით დაუწყო დეევეთგერს საპასუხო ლაპარაკი.

— რა ვქნა, ჩემო დეევეთგერ! ხომ გაგიგონია „სითაც გავიქეცი—იქით წავიქეცი", ისეა ჩემი საქმე. სათქმელათ არ მივარგა, რასაც გეტყვი, მაგრამ ჩემმა უბედურებამ ისე მომიმწყვდია, ილაჯი აღარ მაქვს, რომ არ გითხრა ყველაფერი... ვერც შენ და ვერც ბატონს ვერ გაგიგიათ ჩემი საქმის სიმართლე. ჩემი რძალი ტყის ანგელოზმა დააკავა, დეილოცა მისი დიდება, და ის დადის ხან და ხან მასთან. იმ ღამეს ჩემ უგუნურ შვილს ეს აღარ მოფიქრებია, კაცი ჰგონებია, ჩამოულია თოფი და უსვრია. კი იცი ანგელოზს ჩვენსავით არ გაუჭირდებოდა თავის შველა, მაშინათვე ქალი ფრთებზე დასმული სახლში შემოუფრენია და მერე თითონ გაფრენილა გამწყრალი. ასეა ჩემი საქმე და რა ვქნა.

ბატონს არ გავაგებინო ჩემი უდანაშაულობა, ბატონი ამყრის. ანგელოზის საქმე გავამხილო საქვეყნოთ, ანგელოზი გამირისხდება. რა ვქნა მითხარი! ორ ცეცხლს შუა ვარ, ორ ცეცხლს შუა, დეეეთგერ, და ვისაც ღმერთი წამს, უნდა გეცოდებოდე.

— ეხ, ბეჩა დუდარუხ, მთელი სვანეთი ჰკუიან კაცს გიძახის და მიკვირს, ერთმა გოგომ ასე როგორ გაგასულელა.

— მე თუ არ მიჯერი, ჯამურხანს ჰკითხე, იმან იცის ყველაფერი. ასეთი მოტყუება ვის გაუგონია!

— ქალებს ჩემი მტერი აყვეს, ხომ გაგიგონია—ქალმა დედამიწაზე ყველა კაცი რომ შეაცდინა, მემრეთ ზეცაში გასწია და ღმერთის სასახლის კარი შეალო თურმე და იქ ძაღლი რომ არ დახვედროდა, ღმერთსაც შეაცდენდაო, მაგრამ იმ დალოცვილმა ძაღლმა არ შეუშვა თურმე. და რა გასაკვირველია, ქალმა ჩვენ შეგვაცდინოს!

— რას მეუბნები, შე კაცო. შეცდომა და გამოცთომა არაფერ შუაშია აქ. ასე იყო და ასე გიამბე. და თუ მაინც და მაინც ბატონსაც, ყმასაც და ანგელოზსაც ჩემი დაღუპვა გინდათ, დამღუპეთ და ის იქნება. ჩემი დაღუპვით არავინ აშენდება.

— შენი დაღუპვა რომ მდომოდა, შენთანაც არ მოვიდოდი. მაგრამ მოვედი იმიტომ, რომ დაღუპვას აგაცდინო. დამიგდე ყური და უფრო მართალს მე გეტყვი ყველაფერს. იმ ღამეს მე მთიდან მოვდიოდი. შენ კარზე რომ მოვედი, თოფის ხმა და ქალის დაკივლება ერთად გავიგონე. შევჩერდი თუ არა, ლობეზედ ძაღლივით ბადიგერი გადმოხტა და მიაშურა სახლისკენ. საწისქვილე წყალთან რომ ჩავიდა იქ ჩაჯდა. დაჭრილი ფეხი შეიხვია და გაიქცა. მეორე დღეს მივედი მასთან. დაწოლილი იყო,—მთაში ძაღლმა დამკბინაო, მითხრა. მე კარგად მივხვდი, საქმე რაშიც იყო, მაგრამ თავს როგორ ვაკადრებდი ვინმესთვის მეთქვა. მაგრამ ხომ იცი, ათასი თვალია ქვეყანაზე და ათასი ოხერი ენა, ბატონისთვის მაინც უთქვამს ვილაცას. ალბათ მაგ შერცხვენილმა ბადიგერმა დაიჩემა ვინმესთან. კი იცი, კაცისთვის ლამაზი და კარგი ქალი სახელია, და რა ენაღვლება, ტრაბახობს ალბათ.

დუდარუხს ყველაზედ მეტად ენიშნა—„საწისქვილე წყალთან ჩაჯდა და ფეხი შეიხვიაო“.

— შე კაცო, შენ ისეთ ზღაპრებს მეუბნები, რომ კაცი კაცისთვის სანდო აღარ ყოფილა.

უპასუხა გულ-გახეთქილმა დუდარუხმა.

— არ იცი, აბა! კაცი შეიძლება ყველაფერში სანდო იყოს, მაგრამ ლამაზ ქალზე რომ მიდგება, შაშინ ღმერთმა შეინახოს... ბადიგერსაც ასე მოსვლია საწყალს. მეც ვიცი, რომ ძრიელ უყვარხართ და ერთგულია თქვენი, მაგრამ ხომ იცი, ლამაზი ქალი ყველაფერს ურჩევნია კაცს. შე დალოცვილო, დაგავიწყდა ჩვენხელაობა! ეხლა ჩემი ფიქრით, ბადიგერმა რაც ჩაიდინა, სჯობია, ბატონთანაც დავმალოთ და სოფელთანაც და ბატონის წყურვილს წყალი მივართვათ და დარჩები მშვიდობიანათ. თუ მე ამას შენი ერთგულობისთვის არ გეუბნებოდე, ასე თავი დამექცეს...

მოიხადა ქუდი და დაახალა მიწაზე.

— მე რომ აწი მშვიდობა მომელის, ასეთი ელოდეს ჩემს მოღალატეს. ამ სიბერის ჟამს სათემო შერცხვენას ჩემ ტოლ-კაცს როგორ ვაპატიებ. თუ მართლა ბადიგერმა ასეთი საქმე მიყო, ეს თეთრი წვერები მისი სისხლით უნდა შეეღებო.

რამდენადაც ირკვეოდა დუდარუხისთვის რძლისაგან და ბადიგერისაგან ამდენად გამასხარავებული შეურაცხყოფა, იმდენად მისი აღშფოთება მატულობდა და თვალები ცოფიანივით უსისხლიანდებოდა.

დევეთგერი კი აღფრთოვანებაში მოდიოდა. ფიქრობდა, სადაც არის მოვაჯექ ბატონის ცხენსო.

— ჭკვიანი კაცი ხარ, დუდარუხ, და ამ სიბერის დროს სახელი არ წაიხდინო. მისი სიკვდილი რას გაგიკეთებს. იმას ბატონი მოგიმწყვდევს ხელში, ჩავითრევთ მედიატორეში და ისე გაუხდით საქმეს, რომ პერანგი არ შევარჩინოთ.

— მისი პერანგი და ქონება მის გლახა ცოლს გადააყაროს თავზე. იმას ჩემი თოფის ტყვია გაუსწორდება მარტო. ვაჩვენებ, შეუძლია თუ არა კიდევ დუდარუხს თოფის სროლა.

— მოგენატრა ამ სიბერის დროს რუსის ციმბირი? როგორ გეკადრება ასეთი აჩქარება.

— მე არც რუსის მეშინია და არც მისი ციმბირის.

— მაგას არ გვათქმევინებს რუსის კანონი თუ რამე დავაშავეთ...

— ჩემი კანონი ჩემი ქვეყანაა. რუსებმა რა იციან ჩვენი ადათი. რუსებმა რომ მითხრან, დედაბრის ლეჩაქი დავიხურო? უკაცრავად! რუსი კი არა, ღვთის ტოლი მეფე-თამარი თავის ფეხით მობრძანებულა სვანეთში და სამეფო ოლარქვეშ უთხოვია სვანებისათვის სისხლის აღების მოსპობა, მაგრამ მისთვის შეუკადრებიათ უარის თქმა და დღემდის ჩვენს ადათს არ ვიშლით და შენ და შენი რუსები მომაშლევინებთ ჩემი მამა-პაპის ადათს!!

დევეთგერი მიხვდა, რომ დუდარუხის გული საუბარს ვეღარ ეგუებოდა და მოლაპარაკება სხვა დროსთვის იგულისხმა.

— მე წავალ ეხლა და, შენ იცი, თუ არ აყვები ბრიყვების ჭკუას.

— არა, შენ უნდა მოიცადო ჯერ. მის ძმობილ მურზაბეგსაც ვიხმობ და შენ წინ გოგო უნდა გამოვტეხო და გაიგო ჩემი სიმართლე. ისე ჩემი მოსვენება აწი აღარ შეიძლება.

— ოხო, მაგ ყველაფერს აჯობებს!

უპასუხა დევეთგერმა და დაჯდა.

— გინადრუყ! — გასძახა გარედ შვილს. — წადი ჩქარა და მურზაბეგს გადაეცი: ძალიან საჭირო საქმე მაქვს და ეხლავე გამოვიდეს. დედაშენსაც დაუძახე.

რამდენიმე წუთის შემდეგ მურზაბეგი და ჯამურხანი დუდარუხთან და დევეთგერთან ისხდენ და მთელი საქმის შინაარსი უკვე იცოდენ. დედამთილი ენა ჩავარდნილი ძირს ჩაიქეცა და შეშლილივით თვალებს აფეთებდა. ხოლო მურზაბეგმა ცოტა მდუმარების შემდეგ შეწუხებულმა ამოიხვნეშა და სთქვა:

— ბადიგერს დიდი ხანია ეტყობოდა, რომ მზე და მთვარე სირინოზზე

ამოდიოდა, მაგრამ სირინოზისგან არ მოველოდი ამას. ვერავინ ვერ შესძლო მაგის შეცდენა და ეხლა რა ღმერთი გაუწყრა.

— ვაი, როგორ შეგვარცხვინეს ამ სიბერის დღეს და გაგვასულელეს ბალღებივით.

ჩაიმოთქმა დედამთილმა.

— შენისთანა დაკვირვებული ცოლი ვისაც ჰყავს იმას, მეტი რა სიკეთე მოუვა აბა.

უსაყვედურა დუდარუხმა.

— მე რა მექნა! მეცარი (მარჩიელი) ხომ არა ვარ! ქალი ანგელოზებზე მელაპარაკებოდა და ბადიგერს რა მაფიქრებინებდა.

დუდარუხი „ანგელოზის“ ხსენებას ვეღარ იტანდა.

— ოხ, ღმერთმა დაგწყევლოთ თქვენ და თქვენი ანგელოზები! გაჩუმდი, ნულარ ამბობ მაგ სიტყვას!

ჩააწყვეტია სიტყვა ბრაზმორეულმა ქმარმა.

სირინოზს სახლიდან გამოუძახეს.

— შუადღე მშვიდობისა.

მიესალმა სტუმრებს.

— ღმერთმან ასეთი მშვიდობა მისცეს შენს გამომცემს, შენ ჩემს ოჯახს მშვიდობა მიეცი.

მიაძახა გარისხებულმა მამამთილმა.

სირინოზს თავზარი დაეცა, მიხვდა, რაღაც ახალი რამ უნდა მომხდარიყო.

— რა იყო, რა დავაშავე! ღმერთმანი, აღარ შემიძლია ამდენი უბედურობის ატანა და ბარემაც თავს მოვიკლავ და დავისვენებ.

— ნუ გეშინია. თუ მართალი არ თქვი, მე თითონ მოგკლავ!

— რა უნდა ვთქვა, რათ არ იტყვით?

— შენი მატყუვრობა აღარ გამოგადგება აწი, გავიგეთ ყველაფერი. თქვი, ვინ არის შენი ტყის ანგელოზი?

— ჰმ, კიდევ არ სცხრებიან ჩვენი მტრები და უნდათ ისევ აგვირიონ ოჯახი და ცხოვრება.

— უკაცრავათ, მტრები აქ არ არიან, მურზაბეგი შენი მოკეთეა, დეეთგერი კი ჩემი ერთგული მეზობელია, ამათ ორივეს ჩვენი სიკეთე უნდათ და ამათთან უნდა სთქვა ყველაფერი. ჩემი და შენი სიმართლე ამათ უნდა გაიგონ დღეს და გადამარჩინონ ბატონის წყრომასა და თემში შერცხვენასაც... სთქვი, ვინ არის შენი ანგელოზი?..

სირინოზი გაფითრებული სდუმდა.

— თუ იტყვი მართალს, გაპატიებ ყველაფერს, თუ არა და გაწამებთ იცოდე.

— ჩემი ანგელოზი ვინც არის, თქვენც ისე იცით, როგორც მე, და რაღას მეკითხები.

— კიდევ ბედავ ტყუილებს!

დაუყვირა მოთმინებიდან გამოსულმა მამამთილმა და სწვდა საცემად, მაგრამ შუაკაცებმა შეაკავეს.

— როგორ გადირიე, შე კაცო! წყრომით და ჩხუბით სიმართლე თავის დღეში არავის მოუნახავს, გვაცალე ცოტა.

უთხრა დევეთგერმა და სირინოზს მიუბრუნდა.

— ჩემო დაო, იცოდეს ღმერთმა, მე თქვენი ოჯახის ერთგული ვარ. ამ ამბავს ჩვენს მეტი კაცი ვერავინ გაიგებს. თქვი მართალი და ეს კაცი დამშვიდდება და შენც თავისუფალი იქნები.

სირინოზის პასუხი მხოლოდ საშინელი ქვითინი იყო.

შეწუხებულმა დედამთილმა ხელი მოკიდა, მოეფერა, კალოს კიდეზე გაიყვანა და შეევედრა:

— თქვი დედა-შვილობას მართალი, ნუ დაღუპავ ჩვენს ოჯახს. ბატონი აყრას გვპირდება თურმე. ვიღუპებით შვილო.

ბატონის ხსენებამ სირინოზს უფრო ბრაზი მოჰგვარა და გაჯიუტებულს ტირილი აუვარდა.

სვანებს ძლიერ უყვართ სხვის საქმეში ჩარევა და სამოციქულო საქმეები. რძალ-დედამთილს რომ დააგვიანდათ, დევეთგერს მოთმინება გამოელია და მათკენ გაისეირნა.

— წამოდი შე კაცო შენც და გამოვაწყოთ რამე.

უთხრა მურზაბეგს და ორივენი მტირალ ქალს თავზე დაადგენ.

— ტირის და არაფერს არ ამბობს და რა ვქნა!

შესჩივლა დედამთილმა.

— ჭკვიანი ქალი ხარ და სახელს ნუ წაიხდენ. ხომ იცი, მართალი ვინც სთქვა, ღმერთმა შეუნდოვო. თუ სიმართლეს იტყვი, პირობას გაძლევთ, შენ მამამთილთან როგორც გინდა ისე გაგიმწყაზროთ საქმე... ეს კი ნუ გრცხვენია! ნათქვამია: შეუმცდარი ღვთისმშობელიც არ არისო.

ეუბნებოდა ენა წყლიანი რჩევა-მოფერებით დევეთგერი.

— მე მაინც ხომ მენდობი, სირინოზ, შენი ძმა ვარ, —უთხრა მურზაბეგმა.

—მხოლოდ სიმართლე თქვი და შენ უფროსებთან ისე გაგიკეთებ საქმეს, როგორც გაგეხარდება, შენ დაძმობას ვფიცავ. რისა გრცხვენია! კარგი რომ ხარ, მიტომ უყვარხარ ყველას, თორემ გლახა არავის არ უნდა. ამოიღე ხმა.

— რა ვქნა, რას ჩამაცივდით. რა გითხრათ. მე რაც ვიცი, ის ჩემმა უფროსებმაც იციან. მაგათ წინააღმდეგ მე არაფერი ჩამიდენია. თუ გინდათ დამეფიცეთ, თუ გინდათ მომკალით, მე მეტს ვერაფერს ვერ გეტყვით.

როგორც იქნა უპასუხა სირინოზმა.

დევეთგერმა ორაზროვანი გადახედვით მურზაბეგს ანიშნა დუდარუხთან შებრუნებულიყვნენ.

— ხომ ხედავ რა თქვა, „მაგათ წინააღმდეგ მე არაფერი ჩამიდენიაო“. ჯამურხანსაც შეატყე ხომ, როგორ შეწბა ამ თქმაზე და ჩაღუნა თავი. ასეა, დუდარუხი ჭკვიანი კაცია, ის ერთი მხრით სჭრის და მეორე მხრმთ ჰკერავს.

ეუბნებოდა დევეთგერი მურზაბეგს.

— ღმერთო შეგცოდე და მეც ასე მგონია.

დაუმოწმა სრულიად უსაბუთოდ.

— რა გითხრათ მაგ ჩემმა დამლუპველმა? არ ტყდება?

ჰკითხა მისვლისთანავე დუდარუხმა.

— ამას ამბობს მეტს არაფერს, რომ რაც მე ვიცი, ის მაგათ[illegible] ანო. მაგათი წინააღმდეგი მე არაფერი მიქნიაო. რომ მომკლათ მეტს[illegible] ვერ ვიტყვიო. პირდაპირ დამნაშავეთ თქვენ გამოყევხართ და ამითი მთლათ აფუჭებს მაგ შეჩვენებული საქმეს. ქე მაინც ბატონის ყურამდე არ მიაწევდეს.

დევეთგერის სიტყვებმა დუდარუხი ყუმბარასავით ააფეთქეს და მოსდგა საშინელ ლანძღვა-ყვირილს.

— ვაი, დედა ჩემს, რომ აქამდი ჩემი მოღალატე და დამქცევი ჩემი პურ-ნარილით მირჩენია, მაგრამ აწი გაუსწორდები მაგას რომ ეკადრება ისე.

სთქვა თუ არა, წამოიჭრა ფეხზე, მოსძებნა დიდი თოკი, ჩამოჰკიდა ცალ-მაგის სართულში, მერმეთ გავარდა გარეთ და შვილს დაუძახა.

— გინადრუყ! აქ მოდი! დადგა შენი სიმართლის გაგების დღე. სირინოზ-თან იმ ღამეს მართლა სოფლის ეშმაკი ყოფილა. წამოდი გამოვეტეხოთ ვინ იყო მისი ანგელოზი.

გინარდუყი გამარჯვების სიამოვნებამ შეიპყრო და მამას ყლოჭინით გაჰ-ყვა. მიეჭრენ ორივენი მტირალ სირინოზს, სტაცეს ხელი, ჩქარის ნაბიჯით შეი-ყვანეს წამების ჯვართან და დევეთგერის დახმარებით ორივე ფეხებით ჩამოჰკი-დეს თოკზე.

— გინარდუყ, ჩალა მოიტანე ჩქარა და ქვეშიდან ცეცხლი შეუნთე!

უბრძანა მამამ.

გინარდუყმა სწრაფად ცეცხლი და ჩალა მოიტანა და უცებ გაჩაღდა კოცონი.

— თქვი, ვინ არის შენი ანგელოზი!

უყვირის მამამთილი.

— იჰ, იჰ, იჰ. ჩემმა სამართალმა გიქნა ეს.

შესძახის ნიშნმოგებით ქმარი.

— თქვი ჩქარა, შე საცოდაო, სანამ კვამლი მოგახრჩობდეს.

ეეედრებოდა აკანკალებული დედამთილი.

— ნულარ ჯიუტობ, შე უბედურო, თქვი მართალი, რა მოგივა ამაზე ეარესი.

ეუბნება დევეთგერი.

— არაფერი აქვს ალბათ სათქმელი, და ღმერთი აღარ გწამთ!

წამოიძახა ძმობილმა.

— იჰ, იჰ, იჰ. დაიხრჩვი, დაიხრჩვი, შე უნამუსო.

შესძახის ქვევიდან გინარდუყი და უმატებს ჩალას ცეცხლზე.

— თქვი მართალი, თორემ ხვალ ამ დროს აქ იქნები იცოდე.

უყვირის მამამთილი.

გაისამდი რომ ვიქნე, მეტს ვერაფერს ვერ ვიტყვი.

წამოიძახა სამსხვერპლოზე ასულმა.

— თქვი შე დაწყევლილო რამე!

უმეორებდა ხშირათ მამამთილი.

— მომკალით, მომკალით ვისაც ღმერთი გწამთ.

იძახოდა საზარელი ხმით სირინოზი.

სირინოზის გულშემზარავმა კივილმა მეზობლებში ელვასავით დაიარა. მეზობლები შეშფოთებული მოცვივდენ, რომლებმაც ნახეს მათთვის ჩვეულებრივი ცნობილი გოლგოთა, მშვენიერი ტარიგით. მოსულებს უფრო ამის გამომწვევი მიზეზი აინტერესებდათ და ყველა უსაზღვრო ცნობისმოყვარეობით კითხულობდენ „რა იყო, რა დააშავაო“. სირინოზს სისხლი თავში მოაწვა, თვალები გადმოცვენაზე დაუდგა, კივილით ხმა ჩაუწყდა, კვამლმა სულ-თქმა მოუხუთა. დუდარუხმა უკანასკნელ საშვალებას მიმართა—თოფი დაუმიზნა.

—თქვი, თორემ გესვრი!!.

—მესროო... ლე.

წამოიხრიწინა დამნაშავემ.

—თქვი რამე და გამამართლე?! თქვი ვინ შეგაცდინა??!

თქვი, ვინ იყო შენი ანგელოზი? არ გესმის!!

სირინოზს გული წაუვიდა. აღშფოთებული მეზობლები მივარდენ და თოკიდან ჩომოხსნეს. დედამთილი ტირილით თავს დაფუსფუსებდა. მიმკვდარებული წამებული გარეთ გაიტანეს, წყალი აპკურეს, დანის წვერით კბილი გაუხსნეს და მაგარი არაყი ჩაასხეს, —მობრუნდებაო. მამამთილი აკანკალდა, ვაი თუ მოკვდესო. გინადრუყი მაძას ამშვიდებდა: რა გაწუხებს, თუ მოკვდება შესაფერს ვითხოვო, ძმობილს სირინოზის ხელი ეკავა და სტიროდა. ქალები იძახოდენ: „მგონი გათავდა“, თავდებაო“.

სირინოზმა ზმუილი დაიწყო. „გაცოცხლდა, გაცოცხლდაო“, წამოიძახეს. დუდარუხი რძალის წინ სინანულის ცრემლებით დაემხო.

—ვაიმე, რა ვქნა, ჩემი სახლის მზე ჩემი ხელით დავაბნელე, მაგრამ რა მექნა, ცა და მიწა ჩემ მტრათ გადაიქცა, გადამრიეს, შემშალეს. მირჩიეთ ღვთის გულისათვის, რა ვქნა, როგორ მოვიქცე!

ემუდარებოდათ დატანჯული დუდარუხი ყველას.

სირინოზი ლოგინზე დაასვენეს.

—მიშველეთ, ვიხჩობი... ყელი მეწვის...

დაიხრიწინა მომაკვდავის ხმით გასამართლებულმა ბრალდებულმა.

* * *

მთელი სოფლის სამასლაათო საგნათ მარტო სირინოზი და ბადიგერი გახდენ. მარეხის მესაიდუმლე თეთრუა ამტკიცებდა, რომ ბადიგერი ტყის ქალისაგან არის დაკავებული და იმას არ შეუძლია სხვა ქალი შეიყვაროს, ის ამ მხრივ ცოლსაც ჩამოშორებულიაო. დეევეთგერმა თეთრუას ნაცნობებიც შეუერთა ნახულ სინამდვილეს. წარსდგა ქავშუბის წინაშე და ვრცელი მოხსენება გააკეთა. გახსნა კვანძი სინამდვილისა და თავადის წინაშე ტყის ქალისა და ტყის ანგე-

ლოზის მაგივრათ სირინოზი და ბადიგერი დააყენა. ქავშუბი მძაფრი შურისძიებით აღიგზნო ბადიგერისადმი.

რამდენიმე დღის შემდეგ ქავშუბს სვანეთის ბოქაული ესტუმრა. ბოქაული მასპინძელმა საიდუმლოთ გაიხმო და მოელაპარაკა.

—ალბათ თქვენ არ იცით, ჩემს სოფელში რა საზიღარი [illegible] ბიჭია ერთი. ჩემ მოვალეობათ მიმაჩნია გაგაფრთხილოთ, თორემ [illegible] საღდნელია, ერთ მშვენიერ დღეს მთელ სვანეთში სასტიკი აჯანყება მოაწყოს.

—რომელზედ ბრძანებთ თავადო, არ ვიცი?

—ბადიგერ რეჩკიანზედ.

—ახ, ბადიგერ რეჩკიანი! ვიცი, ვიცი! მეც ვამჩნევ, როგორღაც თავხედი ბიჭია!

—ოოო, უნდა გითხრათ, ის თუ მალე აქედან არ გააქვრეთ, მე იძულებული ვიქნები სვანეთს გავშორდე... საშიში პიროვნებაა.

თავადის წინადადება ბოქაულისთვის უეჭვოთ მისაღები გახდა.

* * *

სირინოზის წაშების გაგებით გახელებული ბადიგერი სახლს ველარ ეგუებოდა. ფეხის ჭრილობა იმდენათ მსუბუქი გამოდგა, რომ კოჭლობა არც კი ემჩნეოდა. მუშაობის სურვილს სრულიად მოწყდა. სცდილობდა თავისთვის მარტოობა შეექმნა. გავიდოდა ხოლმე იქვე ტყიანში, თოფს გვერდით ამოიწვენდა და ფიქრებით ირინდებოდა.

„რა ვჰქნა ალარ ვიცი! სახლში ცოლის საყვედური მახჩობს და კარში ხალხის მითქმა-მოთქმა. წავალ სადმე შორს, მაგრამ სირინოზი ასეთ დღეში მყოფი როგორ დავსტოვო. ახლოს—ამბავს მაინც გავიგებ და შორს ვინ იცის“...

ფიქრობდა ბადიგერი. უცებ ადამიანის ფეხის ხმა მოესმა. ვეფხური სიაფთრით წამოიჭრა და თოფი შემართა...

ბადიგერს ცა გაეხსნა... ბუჩქნარიდან სირინოზი გამოვიდა.

—შენ რა გინდა აქ??.

შესძახა თუ არა თოფი ძირს გააგდო და მოეჭდო კისერზედ.

—ცხვრები დაგვეკარგა და იმათ ვეძებ.

—მერე როგორ გამოგიშვეს?

—კაცები მთაშია, დედამთილი ავათ არის და მეტი რა გზა იყო.

—ფეხზე როდის ადექი?

—გუშინ.

სირინოზი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა, თვალი არავინ მოგვკრასო.

—დავსხდეთ, ნუ გეშინია... ასე ჩვენი ყოფნა ალარ შეიძლება. ქვეყანამ გაიგო, ეს არის. მარეხიც ისე გადარიეს, რომ სახლში ალარ მედგომება... შენ ხომ გაწვალებენ და ეს არის. ამიტომ მე გადავსწყვიტე მოგიტაცო აქედან და აფხაზეთში წაგიყვანო. იქ ვინმე დიდ კაცს მოსამსახურეთ დავუდგები, ვიცხოვრებთ ჯერ-ჯერობით და მერმე ღმერთი გააჩენს რაიმე საშველს.

—შენი ცოლშვილი? იმათ რა ეშველებათ?

—იმუშაონ და იცხოვრონ. უსიყვარულოთ ძნელი ყოფილა ცხოვრება. შენ შემდეგ მე არავინ აღარ მიყვარს...

—მეშინია, ამით უფრო დაიღუპო თავი. არა და აქ ბატონი გეჩემება თურმე. ვიცი ის სიკეთეს არას დაგაყრის, აღარ ვიცი ღმერთმანი, საიდან მოგივა უარესი.

—არაფერიც არ მომივა. ამ ორ კვირაში მოვემზადები. ერთ ულელ ხარს გავყიდი, ჩემს ცხენზე შეგსვამ და გავქრებით აქედან. ხომ თანახმა ხარ?

—როგორც შენ მეტყვი. თუ გინდ ჯოჯოხეთში წამიყვანე, მაგრამ მეშინია, რომ ჩვენი მტრების ოინებმა იქაც მოგიწიოს.

—ნუ გეშინია, იმათ ყველას გადაუხდი ოდესმე, მხოლოდ შენ არ მიღალატო.

ეუბნებოდა კისერზედ მოხვეულ სირინოზს.

* * *

უმთვარო ლუსკუმო ღამეში, სვანეთის ერთ ვიწრო ბილიკზედ, ქუთაისიდან ახლად დანიშნული მასწავლებელი რეგვენაძე მიდიოდა, რომელსაც თავისი ბარგი-ბარხანით დატვირთული ცხენით წინ ჩაფარი სვანი მიუძღოდა.

— ძაღლების ხმა ისმის, ეტყობა სოფელს მივუახლოვდით.

უთხრა მასწავლებელმა ჩაფარს.

— კი ბატონო, ეს არის გაედივართ სოფელში. ამაღამ ამ სოფელში უნდა დავრჩეთ, თორემ ცუდი გზები და ბოგირებია და შეიძლება რაიმე ხიფათი შეგვემთხვეს.

ურჩია ჩაფარმა.

— დიდი სიამოვნებით, მაგრამ ნაცნობი რომ არავინ მყავს!

— ნაცნობი რათ გინდათ ბატონო, ყველამ იცის ჩვენი მასწავლებელი ბრძანდებით და სადაც მიხვალთ, ყველა პატივს გცემთ.

— კარგი დაგემართოს!

ბადიგერის სახლთან რომ მიაღწიეს, ჩაფარმა ურჩია—კარგი მოსახლე და სტუმართმოყვარე კაცია და აქ ჩამოვხტეთო.

ბადიგერი იმ დღეს სირინოზის შეხვედრით გაბრუებული დერეფანზე მარტოობით ფიქრებს მისცემოდა. არ უნდოდა, არც ხმა, არც შუქი სინათლისა, მის მყუდროებაში შეეჭრილიყო, მაგრამ უცხო სტუმარი მაინც მხიარული სახით მიიღო.

— მე ბატონო, აგერ ახლოს მოყვარე მყავს და ამაღამ იქ გიახლებით და ხვალ დილა ადრიანათ თქვენთან გავჩნდები.

მოახსენა ჩაფარმა მასწავლებელს.

— ძალიან კარგი.

ჩაფარს მოყვრისას დიდი ფაცა-ფუცი და სვანური სიმღერის გუგუნი დახვდა.

— რა ამბავია, ქორწილი ხომ არა გაქვთ!?

შეეკითხა მასპინძლებს ჩაფარი.

— „პრისტავი“ ბრძანდება, „პრისტავი“.

იყო პასუხი და მიიწვიეს ვახშამზე.

— ოო, ვამეხს გაუმარჯოს, ვამეხს!

შესძახეს დამხთურებმა.

— ჰაა, შენ, ვამეხ! სიდან მოდიხარ?

შეეკითხა მოწყალების ღიმილით ბოქაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლეჩხუმიდან ბატონო, ახალი მასწავლებელი მოვიყვანე.

— მერე სად არის?

— ბადიგერ რეჩკიანისას მივიყვანე ბატონო.

— ვინ არის?

— იმისი არაფერი ვიცი ბატონო, მასწავლებელი კია და გურული კიდე, მეტი არაფერი ვიცი მისი.

ჩაფარის ასეთმა პასუხმა საერთო სიცილი გამოიწვია. ბოქაულმა წარბები შეჭმუხნა და ჩაფიქრდა. „აჰა, მივხვდი რაშია საქმე... დიდი გონიერია თავადი ქავშუბი, მისი თვალები ყოველგან იყურება, და მართლაც მაგათ დაუხმარებლათ აქ სამსახური შეუძლებელია. მასწავლებელი, დიახ! მასწავლებელი მღილია— სახელმწიფოს ჯამრთელობის მომსპობი... რა თქმა უნდა, მაგ ბინძური ყაზახი, რალაცას გაიძვერაობს, თორემ მაშ რალა იმასთან მივიდა უცხო §მასწავლებელი და არა აქ...“

ფიქრობდა და ადასტურებდა ბოქაული თავადის წინადადებას.

არაყით კარგათ შეზარხოშებული ბოქაულ-დარაჯები ნავახშმევს ბადიგერის სახლს თავს დაესხენ. მთელი სახლის გაჩხრეკიდან მარტო ჭირნახული და თივა აღმოჩნდა. მაგრამ, როდესაც მასწავლებელი გაჩხრიკეს და წერთელის, „კიკოლიკი ჩიკოლიკი და კუდაბზიკა“ აღმოაჩდნა, ამან უტყუარი საბუთი მისცა ბოქაულს, რომ მან საეჭვო პირი აღმოაჩინა.

— ახ! ასეთი წიგნებით მობრძანდებით თქვენ ხალხში, ვაებატონო!?.

შეეკითხა ორაზროვნათ ბოქაული შიშით ფერწასულ მასწავლებელს.

— ეს წიგნი, ბატონო, სრულიად ნებადართული წიგნია.

უპასუხა ყბის ცახცახით მასწავლებელმა.

— თქვენ მე უბრალო გაუნათლებელი ვინმე ხომ არა ბგონივართ! განა ვერ მივხვდები ამ თქვენ უცნაურ ქარაგმულ სახელებს! კიკოლიკი, ჩიკოლიკი, კუდაბზიკა! თითქო არ ვიცი, რას ნიშნავს ეს სახელები! იქონიეთ სახეში, რომ არა თუ დაწერილს, გულში რას ფიქრობთ, იმას მივხვდები!..

— ბატონო, ეს არც ჩემი დაწერილია და....

— ხმა ჩაიწყვიტე! მე ეხლა საქე მაქვს, ვისთანაც ეს წიგნი აღმოვაჩინე. მე თქვენ გიჩვენებთ რაც ეკადრება თქვენ კიკოლიკობას და ჩიკოლიკობას!!..

სთქვა ბოქაულმა.

მესამე დღეს უკვე ლეჩხუმის სამაზრო ცენტრისკენ რამდენიმე თოფიანი ცხენოსანი მცველები მიამგზავრებდენ ფეხით წინ აძღვანილ, ხაჯარეულ დადებულს, ახლათ აღმოჩენილ პოლიტიკურ დამნაშავე მასწავლებელ რეგვენაძეს და ბადიგერს.

დანაღვლიანებული მასწავლებელი გულში აბრალებდა დაბეზღებას ვამეხ ჩაფარს. ხოლო ბადიგერმა, ვის დააბრალოს, არ იცის. „შენც ცოციალობ შე ვიროვო“,—ბოქაულმა რომ უთხრა, ეს ვერ აეხსნა რა სიტყვა იყო და რას ნიშნავდა. ჰკითხოს მასწავლებელს, მცველების ეშინია, არა და რა ქნას, არ იცის. ბოლოს ბევრი ფიქრის შემდეგ დასკვნა თვითონვე გამოიყვანა: შეიძლება, „ცოციალობა“ რუსულათ ნადირობას ჰქვიან და ალბათ ამაზე [illegible]

სოფელმაც მრავალგვარი დასკვნები ააჭორიკანა. ზოგი ამბობდა, სირინოზის და ბადიგერის ამბავი გაუგია „პრისტავს“ და მისთვის დაიჭირესო. ზოგი ამბობდა, საყდრის ფული შეუჭამია. ზოგი ამბობდა, ის სტუმარი მასწავლებელი კი არა, აფხაზეთიდან გადმოხვეწილი ყაჩაღი ყოფილაო.

ამ ამბავის გაგონებამ სირინოზს ჯოჯოხეთის ცეცხლი თავს გადმოაყარა. კოცონზე წამების შემდეგ დასუსტებული მთლად დადნა.

დევეთგერი ვით მავნე სული სირინოზთან მზვერავი თვალით შევიდა. უნდოდა გამოერკვია, თუ რა გავლენა მოახდინა ამ ამბავმა სირინოზე. სირინოზი სდუმდა. ესმოდა სხვისი და არას ამბობდა თვისას.

ხმა გავარდა, ბადიგერი დარაჯებს გაქცევია და სადღაც მთაში იმალებაო. სირინოზის დაშხამული გული იდუმალ შეთამაშდა.

— ეჰ, ნეტავი ცოცხალი იქნეს და მისი ნასუნთქი ჰაერი სადმე მეც მომხვდეს და მეტზე არაფერზე აღარ ვიწუხებ.

ჩასჩურჩულებდა თავის გულს სირინოზი.

ბოქაულმა ბადიგერის ძებნით რამდენიმე ოჯახი აიკლო.

თავადის დამქაში დევეთგერი დუდარუხს აფრთხილებდა, „ღამით სახლში ნუ გაჩერდები, თორემ შენც დაგიჭერენო“. დუდარუხი და მისი ცოლი ღამით ტყეში წვებოდენ და დღისით სირინოზს ეჩიჩინებოდენ,—„იყოს ნება ბატონისაო“. მაგრამ ქალის გულში ბატონისადმი ზიზღი დღითი-დღე იზრდებოდა. ღამე მოხტომის საშიშროებით კიდობანში წვებოდა.

სირინოზის ჯიუტობა დევეთგერს მოთმინებას უკარგავდა. ალბათ კიდევ ბადიგერის ნახვის იმედი აქვს და მიტომ ჯიუტობსო,—ფიქრობდა დევეთგერი. მალე დევეთგერმა ხმა გაავრცელა, რომ მთაში საწყალი ბადიგერი უკვე მოუკლავთ დარაჯებსო. სოფელი სიბრალულის ოხვრამ მოიცვა. განსაკუთრებით იცრემლებოდენ ქალები, სირინოზისთვის მთელი ქვეყანა დაცალიერდა.

დევეთგერის აზრი ამ დროს მთელათ სირინოზისკენ იყო მიმართული. უთხრეს: ამ ამბის გაგების შემდეგ სირინოზმა ჭამა აიკრძალაო.

იჰი, ისიც მას! ეხლა ხომ დარწმუნდა, რომ ტყის ანგელოზი აღარა ჰყავს! არაფერია, მკვდარს ცოცხალი ურჩევნია, ერთხელ თუ ჩაიგდო ბატონმა ხელში, მერე ბადიგერი კიდევაც შესძულდება,—ფიქრობდა დუდარუხისას მიმავალი დევეთგერი. დუდარუხის ეზოში რომ შევიდა, წივილ-კივილი მოესმა. მეზობლები აშფოთებული ერთმანეთში ირეოდენ. სირინოზი გაქცეულა და დიდ მდინარეში გადაეხტარა... დამხჩვალა... დუდარუხი ყვიროდა, შფოთავდა, მოსთქვამდა, წვერებს იბალვავდა. ოღონდ მიცვალებული მომიძიეთ და ჩემი საცხოვრებელი წაიღეთ,—იძახოდა! დედამთილი დაკაწრული ლოყებით, სისხლში მოსვრილი იყო.

გინადრუკი ცრემლებს ყრიდა და ბუზღუნებდა: „ჩემმა სამართალმა უქნა მაგ უბედურსო“.

სახტათ დარჩენილს დეევეთგერს ცხენის იმედი დაეკარგა. „წაწყდა მისი სული, მეც დამლუპა და თავიცო“—წაიბუტბუტა და დუდარუხს ნუგეშისცემა დაუწყო. ეს თავზარდამცემი ამბავი ბადიგერს მთაში მისი დის ქმარმა ხვითარმა აცნობა და დაუმატა, რომ შენი და სირინოზის დამლუპველი ქალაბი ყოფილაო.—განზრახვა ჰქონია შენ აქედან მოეშორებიე და სირინოზი ნელში ჩაეგდო.—უთხრა და ჭრილობა გაულრმავა.

* * *

ავდრებისაგან მოდიდებულ მდინარეს შორს წაელო მიცვალებული. მეოთხე დღეს ამბავი მოვიდა: მიცვალებული ნახესო და სულის მაძებარს თხოულობენო. „არიქა მიშველეთ, ჯანჩიკს შემახვეწეთ, სულის საძებრათ ის წავიდეს“. იხვეწებოდა მოთქმით დუდარუხი. რამდენიმე წუთის შემდეგ, ჯანჩიკი თავის ჭიანურით დუდარუხთან იყო.

— აბა, ჩქარა, მამალი დაიჭირეთ, მოუყვანეთ!

იძახოდა აღშფოთებული დუდარუხი.

ქალებმა მამალი დაიჭირეს და ჯანჩიკს გადასცეს.

— აბა, ჯანჩიკ, ჩემი დღე შენ! მომიძიე ჩემი სირინოზის ლამაზი სული და მომიყვანე.

ევედრება ტირილით დუდარუხი მიმავალ ჯანჩიკს.

ჯანჩიკი და მისი ამხანაგი გამყოლი სვანი მიადგენ მდინარის ნაპირს, საიდანაც სირინოზი გადავარდა, იქ გაუშვეს მამალი და თვითონ ჩუმათ ფეხ-აკრეფით უკან გაჰყვენ. მამალს თანდათან ერეკებოდენ. გაიარეს დიდი მანძილი, მაგრამ მამალმა ჯერ არ იყივლა.

— ეხ, ეტყობა შორს წასულა უბედურის სული.

ჩუმათ წაიბუტბუტა ჯანჩიკმა.

— რა თქმა უნდა! მოაძულეს საწყალს თავი და მიუტოვათ ტანი, სული კი, ვინც უყვარდა, იმასთან წავიდოდა.

უპასუხა ჩუმი ბუტბუტითვე ამხანაგმა.

— ეჰე, ქეც მოასვენებენ კიდეც საწყალს!... შეხედე, ლაჯიოლას ბილიკზე მოდიან.

სთქვა ჯანჩიკმა.

— ჩვენ როგორ უნდა მოვიქცეთ ეხლა?

— გავუშვათ წინ მიცვალებული და ღმერთი როგორ მოგვიძულებს ისე, რომ სული არ ვპოვოთ. ჯერ არ მქონია შემთხვევა, რომ სული უპოვნელი დამრჩენოდეს და დღეს რა ღმერთი გამიწყრება.

მიცვალებულიც გაატარეს, მამალი კიდევ არ ყივის.

— საძაგელია ეს ოხერი წყლის ხმა, ისე დააბნევს სულს, რომ გზას ველარ იგნებს.

წაიბუტბუტა კიდევ ჯანჩიკმა.

მამალი უცებ დიდ ქვაშე შეხტა, ფრთები გააფართხუნა და იყივლა.

— ბადლობა წმინდა გიორგის! მადლობა წმინდა გიორგის! ვიპოვნეთ სული.

ჩურჩულობდენ ორთავენი.

გახარებულმა ჯანჩიკმა უცებ ჭიანური ააწყო, სალოცავი სიტყვები ნელი და ტკბილი ხმით დაამღერა. მობრუნდენ უკან და გამოუძღვენ სულს. ჯანჩიკი საუცხოოთ უკრავდა სულის მისაპატიჟებელ საგალობელს; სულგანაბული ამხანაგი უკან მიჰყვებოდა. ჭიანურს სიმები აეშალა, დაკვრა შეჩერდა.

— ვაი ჩვენი ცოდვა, სული მიგვემალა.

ჩაილაპარაკა ჯანჩიკმა და შეუდგა ჭიანურის აწყობას. ჭიანური ისევ აკვნესდა.

— მადლობა მთავარ ანგელოზს, გამოჩნდა სული.

— ჩუმათ, ჩუმათ, არ დააფრთხო.

გააფრთხილა ჯანჩიკმა და განაგრძო ჭიანურის ჟღერება. სირინოზის ცხედარი მიიტანეს სახლში. ერთი საათის შემდეგ სულის მაძიებლებმაც მიაბრძანეს სირინოზის სული. შუა ეზოში ჭირისუფლები გამოეგებენ სულს და შექნეს საზარელი მოთქმა-გოდება, თავ პირის ცემა და ხოკვა.

— აბა, კვირია! ჩემი დღე შენ: წადი ჩვენი მასწავლებელის ცოლთან, რომ ნიშანზე გასაკეთებლად ტანისამოსი გვათხოვოს. მაგიერში ჩვენც გვიმსახუროს.

სთხოვა ჯამურხანმა.

კვირია თქმის უმალვე გაქანდა მასწავლებლის ცოლთან და დავალებული სათხოვნელი მოახსენა. იმერეთიდან ახლათ მოსული მასწავლებელი და მისი ცოლი დიდათ განცვიფრდენ. მაგრამ მათთან სტუმრათ მისულმა მღვდელმა აუხსნა მათ სვანური ადათი, დაარწმუნა ცოლ-ქმარი, რომ უარის თქმა დიდ სამდურავს და უსიამოვნებას გამოიწვევდა. კვირიას გადასცეს ტანისამოსი.

მეორე დღეს დუდარუხისას დიდი ტირილი იყო გამართული. მოყვრები დიდი მოტირილით და ცხენ-კიდებული სანოვაგით მოდიოდენ. სახლი და ეზო სუფრებით იყო შემოფარგლული. ეზოში რამდენიმე ადგილას არყით სავსე გობები იდგა.

მოტირალი ქალები მიცვალებულს ეკედრებოდნენ: ეს ჩემ მიცვალებულს მიუტანეო. კუბოს ხილით, შელებილი კვერცხებით, ხაჭაპურებით და წინდებით უვსებდენ.

ორი პირი მოზარეები „ვაი-ვაის“ გაიძახოდენ.

მათივე სოფლის ხალხს, ჩვეულებისამებრ, ჩამოსარიგ ულუფას ურიგებდენ: ოჯახში რამდენი სული ადამიანი იყო, თუნდა იმ დღის დაბადებულიც, იმდენ ორ შოთ პურს და თითო კათხა არაყს (ნახევარი ჩარექი). მთვრალი ხალხი ერთი-მეორეში ირეოდენ და ხორხოცობდენ. არაყს, მოტანილ ჭურჭლებში ისხამდენ და პურს კალთებში იხვევდნენ.

სატირალში მასწავლებელი და მისი ცოლიც მოვიდნენ. ხალხი დიდი პატივისცემით შეხვდა მათ: მოზარეები ზარით, შემოსილი ღვდელი საცეცხლურის კმევით, წინ გაუძღვენ და მიცვალებულთან ისე შეიყვანეს. მაგრამ, როდესაც მასწავლებლის ცოლმა დაინახა, რომ მისი ტანისამოსით მორთულ სირინოზის ნიშანსაც ტირილით უჩოქებდენ. რომელიც ცოცხალივით იდგა კუბოს თავში, ამან ისე იმოქმედა ქალზე, თითქოს იგი იყო მკვდარი, ძლივს წასჩურჩულა ქმარს „მიშველეო“ და გულ წასული ძირს დაეშვა.

— ღმერთო ჩემო, გაგიჟებული ხალხი ყოფილა. ამათ თუ არ მოვშორდით, ჩვენც გაგვაგიჟებენ... მე აღარ შემიძლია ვატარო ის კაბა და ლეჩაქი... არ მინდა, არ მინდა!..

იძახოდა გონზე მოსული მასწავლებლის ცოლი რუსულად. შეწუხებული ქმარი ამშვიდებდა.

სვანის ქალები ლოცავდნენ: ჰოი, შენ დაგლოცოს ღმერთმა, რა კარგი გულის ყოფილხარ, რომ აგრე შეგაწუხა ჩვენმა უბედურებამ.

(გაგრძელება იქნება)

მ. ბოლაკი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არტამონოვების საქმე *)

(გაგრძელება)

II

არტამონოვების მამის გარდაცვალების მხოლოდ მეცხრე წლის თავზე დაამთავრეს ეკლესიის აგება და ილია წინასწარმეტყველის სახელობაზე აკურთხეს იგი. აგებდენ შვიდი წლის განმავლობაში. ასეთი დაგვიანების მიზეზი ალექსი იყო.

— ღმერთი მოიცდის. მას არ ეჩქარება,—სიტყვა-მოსწრებულად ოხუნჯობდა ის და საყდრისთვის დანიშნული აგური ორჯერ სხვა დანიშნულებაზე დახარჯა: ერთხელ—ფაბრიკის მესამე კორპუსს მოახმარა, მეორეჯერ—საავადმყოფოს.

ეკლესიის კურთხევის შემდეგ, არტამონოვებმა მამისა და შვილებს საფლავებზე პანაშვიდი გადაიხადეს. მინამ ხალხი სასაფლაოდან დაიშლებოდა, არტამონოვებმა შეიცადეს და შემდეგ, თითქოს მათი საოჯახო საფლავის გალავანში, არყის ხის ძირში, სკამზე ჩამომჯდარი ულიანა ბაიმაკოვა ვერც კი შეამჩნიესო, შინისკენ ნელი ნაბიჯით გაემართენ. არ ეჩქარებოდათ: საზეიმო სადილი, რომელზედაც მოწვეული ჰყადათ სამღვდელოება, ნაცნობები, მოსამსახურენი და მუშები, სამი საათისთვის იყო დანიშნული.

დღე უფერული იყო, ცა მოღუშული. როგორც შემოდგომას შეეფერებოდა. ნესტიანი ქარი დამდგარი ცხენივით ქლოშინობდა და ნაძვნარს არხევდა. წვიმა იყო მოსალოდნელი. ქვიშიანი გზის მოწითალო ზოლზე შავი ფიგურები ფაბრიკისკენ მიქანაობდენ. ფაბრიკის სამი კორპუსი რადიუსებივით იყო გაშენებული; ისინი ისე ჩასჭიდებოდენ მიწას, თითქოს ხელის დაკრუნჩხვით გაჭიმული წითელი თითებიაო.

ალექსიმ ჯოხი გააქნია და სთქვა:

— რა რიგ გაუხარდებოდა მამას, რომ ამას მოსწრებოდა და ჩვენი საქმიანობა დაენახა.

— მეფე რომ მოკლეს, ეს კი ეწყინებოდა,—მცირე ხნის გაფიქრების

*) იხ. ჟურ. „მნათობი" № 5—6.

შემდეგ უპასუხა პეტრემ. მას არ უნდოდა ალექსის ამ საგანზე სიტყვა კიდევ გაეგრძელებინა.

წყენა მაინცა და მაინც არ სჩვეოდა. მეფის ჭკუით კი არ ცხოვრობდა, საკუთარი ჰქონდა.

ალექსიმ თავზე ქუდი გაისწორა, შესდგა და ქალებს გაეცალა. მის ცოლს უბრალო შავი ტანთსაცმელი ეცვა, პატარა ტანის ქალი იყო, ფაფრამ კარგად მოყვანილი. მსუბუქი ნაბიჯით მიდიოდა დარბილებულ ქვიშაზე. ცხვირსახოცით სათვალეებს იწმენდდა და ტანსრულ ნატალიას გვერდით მიმავალი სოფლის მასწავლებელ ქალს ჰგავდა. ნატალია შავში იყო გამოწყობილი, ეხრებსა და სახელოებზე მინის პაწაწკინა მძივები ჰქონდა ჩაწინწკლული. მუქ-ლილის ფერი თავი მოხდენილად უფერავდა დიდად მშვენიერ მოწითალო თმას.

— რაც დრო გადის შენი ცოლი მით უფრო მშვენიერდება.—უთხრა ძმას ალექსიმ.

პეტრე გაჩუმდა.

— ნიკიტა ახლაც არ ჩამოვიდა წლის თავზე. გაჯავრებული ხომ არ არის ჩვენზე?

ნესტიან ამინდში ალექსის მკერდი და ფეხი ტკივოდა. ახლაც მოიკოჭლებდა და ჯოხზე დამყარებული მიდიოდა. სცდილობდა გაექარწყლებინა პანაშვიდის მძიმე შთაბეჭდილება და უფერული დღის მოწყენილობა. ჯიუტი კაცი იყო, უნდოდა, როგორმე პეტრე აელაპარაკებინა.

— სიდედრი საფლავზე დარჩა, ჯერ კიდევ ახსოვს მამაჩვენი. კარგი დედაბერია. მე ტიხონს ვუთხარი მოუცადოს და გამოჰყვეს. სულისხუთვა სჭირს. ამბობს, ძალიან მიმძიმს სიარული.

უფროსმა არტამონოვმა ძალდატანებით, დაბალი ხმით წარმოსთქვა:

— ძნელია.

— ხომ არ გძინავს? რაა ძნელი?

— ტიხონი უნდა დავითხოვოთ,—უპასუხა პეტრემ და განზე გაიხედა, ჯაგარივით ნაძვნარ-შეფენილ გორაკებისკენ.

რისთვის?—გაუკვირდა ალექსის,—პატიოსანია, დაუზარებელი...

—სულელია,—განმარტა პეტრემ.

ქალები მოუახლოვდენ. ოლგამ საამო ხმით (რომელიც მის პატარა ტანთან შედარებით მოულოდნელად ძალიან მაგრად გაისმა) ქმარს მიმართა:

— ნატაშას ვარწმუნებ, რომ ილია გიმნაზიაში მისცეს სასწავლად, მას კი ეშინია.

ფეხმძიმე ნატალია გამძლარ იხვივით მოაბიჯებდა, ბაჯბაჯით. უფროსის შესაფერ კილოზე, გრძლად და ოდნავ ცხვირში წართმოქმით, უპასუხა:

— ჩემი აზრით, გიმნაზია—მავნე მოდაა. აი, ელენე ისეთ წერილებს იწერება, რომ კაცი ვერ გაიგებს.

— ყველას უნდა ვასწავლოთ, ყველას!—მკაცრად განაცხადა ალექსიმ და ქუდი მოიხადა. უდროოდ გამელოტებულ თავზე ოფლი მოიხოცა. მელოტა საფეთქელთან ეწყებოდა და მახვილი კუთხედივით კეფამდე უწევდა. პირის სახეს უგრძელებდა.

ნატალიამ სახეზე კითხვის ნიშნის გამოხატვით შეხედა ქმარს და უთხრა:

— პომიალოვი მართალს ლაპარაკობს: სწავლისაგან ადამიანები ნადირდებიანო:

—დიაღ,—წარმოსთქვა პეტრემ.

— აი, რომ ხედავთ, მართალია!—კმაყოფილებით წამოიძახა ნატალიამ, მაგრამ ქმარმა ჩაფიქრებული სახით დაამატა:

— სწავლა საჭიროა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ძმამ და ოლგამ გაიცინეს. ნატალიამ მათ უსაყვედურა:

— რა ამბავია? დაგავიწყდათ, რომ პანაშვიდიდან მოდიხართ?

მათ ხელი ამოსდვეს ნატალიას და ნაბიჯს აუჩქარეს. პეტრემ კი შეიგვიანა.

— მე დედას მოვუცდი.

პეტრეს დღეს უსიამოვნო კაცმა, ტიხონ ვიალოვმა, აწყენინა.—პანაშვიდის დაწყებამდე, პეტრე სასაფლაოდან ფაბრიკას ათვალიერებდა და ხმამაღლა, მაგრამ თავისთვის, უბრალოდ, (ტრაბახობა აზრადაც არ მოსვლია) ამბობდა იმას, რასაც ხედავდა:

—აი, საქმე როგორ გაიზარდა.

და პასუხად მაშინვე მოესმა ყოფილი მიწის მთხრელის წყნარი ხმა.

— საქმე ხავსსა ჰგავს, რომელიც სარდაფში ჩნდება და თავისთავად იზრდება.

პეტრემ მას არაფერი არ უთხრა, არც კი მოიხედა მისკენ, მაგრამ მეეზოვის მეტად საწყენმა და აშკარად სულელურმა სიტყვებმა იგი ააშფოთეს: ადამიანი მუშაობს, ლუკმა პურს აწვდის არა ერთ ასეულ მუშას, დღე და ღამე საქმეზე ფიქრობს, ზრუნვასა და ფიქრში თავისი თავიც-კი ავიწყდება და ამ დროს ვიღაც სულელი ამტკიცებს, რომ საქმე თავის თავად იზრდებაო და არა პატრონის გონიერებითა და მეცადინეობით. ეს კაცუნა ყოველთვის სულსა და ცოდვაზე ბუტბუტებს რაღასაც.

არტამონოვი გზის პირად მოჭრილი ფიჭვის ძველ ჯირკვზე ჩამოჯდა, ყური შეისრისა. მოაგონდა, რომ ერთხელ მან ოლგას შეჩივლა:

— იმის დრო სად მაქვს, სულზე რომ ვიფიქრო.

ამაზე ოლგა უცნაურად შეეკითხა:

— განა სული შენგან ცალკე ცხოვრობს?

ეს სიტყვები მან ისე გაიგო, როგორც დედაკაცური ხუმრობა, მაგრამ ოლგას ჩიტისებური სახე სერიოზული ჰქონდა. მისი შავი თვალები სათვალების მინებს შიგნიდან მეტად ალერსიანად იმზირებოდენ.

— არ მესმის,—უთხრა პეტრემ.

— მეც არ მესმის, როცა სულზე ისე ლაპარაკობენ, თითქოს იგი ადამიანისაგან განცალკევებული იყოს... ან ობოლი, შვილობილი ვინმე...

— არ მესმის,— გაიმეორა პეტრემ და ხალისი დაეკარგა იმ ქალთან საუბარი განეგრძო. თუმცა ძალიან უცხო იყო მისთვის ოლგა, გაუგებარიც, მაინც მოსწონდა, რადგანაც უბრალო იყო. ხოლო ეშინოდა კი მისი: ოლგას უბრალობა მოჩვენებითი ეგონა, რომელის საშუალებით იგი თავის ცბიერებას ჰფარავდა.

ტიხონ ვიალოვი კი არასოდეს არ მოსწონდა მას. ყოველთვის ეჯავრებოდა მისი ჭორფლიანი, ლოყებამობერილი სახე. უცნაური თვალები და თავის ქალაზე მიკრული, წითურ თმაში შემალული ყურები. ეზარებოდა ტიხონის გრუზა წვერი, მისი აუჩქარებელი ბარაქიანი სიარული და მთელი მისი ჯმუხი და უშნო აღნაგობა. ის გარემოება, რომ ტიხონი მუდამ წყნარი, დამშვიდებული იყო, შურსაც კი უღძრავდა პეტრეს. ზედმიწევნილი [illegible] რომ სჩვეოდა, ესეც კი აჯავრებდა. ტიხონი მანქანასავით აწყობილად [illegible] და არასოდეს არ იძლეოდა იმის საბაბს, რომ რაიმე ესაყვედურებინათ მისთვის, მაგრამ პეტრეს ესეც კი ანალვლიანებდა. მაგრამ ყველაზე უფრო საწყენი პეტრესთვის ის იყო, რომ ეს კაცი დღითი დღე უფრო და უფრო მჭიდროდ უკავშირდებოდა მის ოჯახს და, როგორც ეტყობოდა, არტამონოვების ცხოვრების ჩარხის აუცილებელი ნაწილად მოჰქონდა თავი. უცნაური იყო, რომ ბავშვებსაც ისე უყვარდა, როგორც ძაღლებს და ცხენებს. ბებერი სამგლე ძაღლი ტულუნი, რომელიც ჯაჭვზე იყო დაბმული და ამით გაბრაზებული, ტიხონის გარდა სხვას არავის ახლოს არ იკარებდა, ხოლო პეტრეს უფროსი ვაჟი, თავისნება ილია, მეეზოვეს უფრო უგდებდა ყურს, ვინემ დედმამას.

რომ თავიდან მოეცილებინა ვიალოვი, არტამონოვმა მას ეკლესიის დარაჯისა ან ტყის მცველის ადგილი შესთავაზა, მაგრამ ტიხონმა თავი მძიმედ გააქნია და ერთსა და მეორეზედაც უარი განაცხადა:

— არ ვარგვარ მე ამაებისათვის. თუ თავი მოგაბეზრე—მოისვენე: ერთი თვით გამიშვი, ნიკიტა ილიასძესთან წავალ.

სწორედ ასე უთხრა: მოისვენეო ეს სულელური და თან თავხედური სიტყვა ძმის მოგონებასთან ერთად, რომელიც სადღაც ტბებს იქით, ტყეში მიჩქმალული ღარიბ მონასტერში თავს აფარებდა, პეტრეს საშიშ ეჭვებს უღძრავდა: გარდა იმისა, რაც ტიხონმა ნიკიტას შესახებ უამბო, როდესაც იგი თოკზე ჩამოხსნა, შესაძლებელია, რომ მან სხვაც ბევრი რამ სამარცხვინო ამბავი იცოდა. ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, თითქოს კიდევ მოელისო რასმე უბედურებას. მისი ბეჭუტავი თვალები პეტრეს თითქოს ამას ეუბნებოდენ:

— ხელს ნუ მახლებ, საჭირო ვარ შენთვის.

ტიხონი სამჯერ იყო მონასტერში.

აიკიდებდა ზურგზე ჩანთას, ხელში ჯოხს აიღებდა და ნელი ნაბიჯით გზას გაუდგებოდა. ისე მიაბიჯებდა, თითქოს დედამიწას წყალობას რასმეს უშვრებაო. საზოგადოდაც ასე სჩვეოდა ყველაფერში: ისეთი სახით ჰკიდებდა საქმეს ხელს, თითქოს წყალობა მოიღოვო.

მონასტრიდან დაბრუნებული ტიხონი ნიკიტას შესახებ ცნობას ძალიან ძუნწად იძლეოდა. მისი სიტყვებიდან სჩანდა, რომ იგი მხოლოდ იმის ნაწილს ლაპარაკობდა, რაც იცოდა.

— კარგად არის. პატივცემაშია. მიბრძანა მადლობა მოგახსენოთ მოკითხვისათვის... საჩუქრებისათვის.

— რას ამბობს მაინც?—დაჰკითხა პეტრემ.

— რა უნდა სთქვას ბერმა?

— მაინც?—მოუთმენლად ჩაჰკითხავდა ალექსიც.

— სულ ღმერთის შესახებ ლაპარაკობს. ამინდის ამბავიც აინტერესებს. ამბობს, წვიმა უდროოდროს მოდისო, კოლოებზე სჩივის. კოლო კი იქ მართლაც ბევრია. თქვენს შესახებაც მკითხა.

— რა?

— ზრუნავს... ეცოდებით.

— ჩვენ რისთვის?

— ყველაფრისთვის. აი, ისე ცხოვრობთ, თითქოს სადღაც გარბიხართ. ის კი დადგა: ამიტომაც ეცოდებით, მუდამ წუხილში რომ ხართ. ალექსი ხარხარებდა და ამბობდა:

— რა სისულელეა.

ტიხონს თვალის გუგა დაუდნა. თვალებიც დაუცალიერდენ.

— მე ხომ არ ვიცი, ის როგორ ფიქრობს? მის ნათქვამს გადმოგცემთ მხოლოდ. მე ხომ უბრალო კაცი ვარ.

— დიახ, უბრალო.— დაცინვით დაეთანხმა ალექსი.—ანტონ სულელივით უბრალო.

ქარმა სურნელოვანი სითბო შეაფრქვია პეტრე არტამონოვს. სინათლე გაიშალა. ცაზე, ღრუბლებ შორის დატანებულ ღრმა ნაპრალიდან, მზე ამოცურდა. პეტრემ მას თვალები გაუსწორა, თითქოს დაბრმავდაო, მყისვე დახუჭა და ფიქრებს მისცა თავი.

პეტრეს სწყინდა, რომ ნიკიტამ მონასტერში ათასი მანეთი შეიტანა იმ პირობით, რომ წლიურად მისთვის ასოთხმოცდაათი ეძლიათ, ხოლო მამის მემკვიდრეობაზე კი უარი სთქვა თავის ძმების სასარგებლოდ.

— ეს კიდევ რა საჩუქარია,—ბუზღუნობდა პეტრე, მაგრამ ალექსის კი გაუხარდა:

— რათ უნდოდა? მუქთახორა ბერების გასასუქებლად? არა, კარგად გადაუწყვიტა: ჩვენ ვმუშაობთ, საქმეს ვაკეთებთ. ბავშვებიც გვყავს.

ნატალიას გული მოუსლბა:

— კარგია, რომ არ დავიწყებია, რაც ჩვენს წინაშე დანაშაული მიუძღვის,—კმაყოფილებით სთქვა მან და ღაჟღაჟა ლოყაზე ობოლი ცრემლი მოიწმინდა.—ელენეს მზითვად გამოადგება.

პეტრეს კი ძმის საქციელი სულზე აჩრდილივით დაადგა. ნიკიტას ბერად აღკვეცის შესახებ ქალაქში ბოროტი ენები ათას ჭორს ავრცელებდენ არტამონოვების დასამცირებლად.

ალექსის პეტრე კარგად შეეთვისა, თუმცა ცხადად ამჩნევდა, რომ მარჯვე ძმამ მასთან შედარებით თავი უფრო ნაკლებად დაიტვირთა: იგი ნიჟეგოროდის ბაზრობაზე დადიოდა, წელიწადში ორჯერ მოსკოვს ეწვეოდა, და როცა იქიდან დაბრუნდებოდა, დიდის ამბით ჰყვებოდა ზღაპრებს დედაქალაქის მრეწველების წარმატების შესახებ.

— დიდებულად ცხოვრობენ, თავადაზნაურობას არ ჩამოუვარდებიან.

— ბატონურად ცხოვრება—ადვილი საქმეა,—გადაკრავდა პეტრე. მაგრამ ალექსი ვერ მიუხვდებოდა და აფრთოვანებით განაგრძობდა:

— ვაჭარი რომ სახლს ააშენებს, გეგონება ტაძარი არისო. შვილებიც ნასწავლი გამოუდით.

თუმცა შესამჩნევად მოტეხილიყო, მაგრამ ყმაწვილური იერი მაინც დაჰკრავდა და ქორის თვალები მხიარულად უბრწყინავდენ.

— რა ამბავია, რომ სულ სახე ჩამოგტირის?—ეკითხებოდა იგი ძმას და ჰკუაზედაც კი არიგებდა:—საქმეს იოლად უნდა აკეთებდე ხუმრობით. მტირალა ხალხი საქმეს როდი უყვარს?

პეტრე ამჩნევდა, რომ ალექსი ძალიან ჰგავდა მამას, მაგრამ იგი მაინც მისთვის თანდათან უცხო და გამოუცნობი ხდებოდა.

— მე ავადმყოფი კაცი ვარ,—ამბობდა ახლაც ხშირად ალექსი, მაგრამ ჯანმრთელობისათვის სულ არ ზრუნავდა: ღვინოს სვამდა, ღამეს ქალალდის თამაშში ათენებდა და, როგორც სჩანდა, ქალებთანაც თავშეკავებული არ უნდა ყოფილიყო. რა იყო მისი ცხოვრების მთავარი მიზანი? ეტყობოდა, არც თავისთავს ისახავდა ასეთ მიზნად და არც თავის ბუდეს, ოჯახს. ბაიმაკოვის სახლი დიდი ხანია შეკეთებას საჭიროებდა, მაგრამ ალექსი ამას ყურადღებას არ აქცევდა. შვილები სუსტები ებადებოდენ და ხუთიწლის ასაკამდე იხოცებოდენ. დაურჩა ძხოლოდ მირონი, არა-სასიამოვნო, ჩამოფხავებული ბიჭი, ილიაზე სამი წლით უფროსი. ალექსიცა და მისი ცოლიც ყოვლად გამოუდეგარი, უსარგებლო ნივთების შეძენის სიხარბენ შეიპყრო. მათი ოთახები სავსე იყო ბატონების ნაქონი ავეჯით, რომლის გასაჩუქრება უყვარდათ: ნატალიას უცნაური განჯინა აჩუქეს, ფაიფურით დამშვენებული, სიდედრს—ტყავის დიდი სავარძელი და მშვენიერი, ბრინჯაოთ მოჭედილი კარელის არყის ხის ლოგინი. ოლგამ მშვენიერად იცოდა მძივით სურათების ამოქარგვა, მაგრამ ქმარს სხვა ქალაქებიდან მაინც ჩამოჰქონდა ასეთივე მოქარგული სურათები.

— უცნაური კაცი ხარ,—უთხრა ალექსის პეტრემ, როცა მისგან საჩუქრად თვალსაჩინოდ ნაკეთები მაგიდა მიიღო, მრავალი ყუთებიანი და უცხო ჩუქურთმიანი. მაგრამ ალექსიმ მაგიდაზე ხელი დაარტყა და წამოიყვირა:

— რას მიედები? ასეთი ნივთები მეტი აღარ იქნება. მოსკოვში ეს უკვე ყველამ შეიგნო.

— უმჯობესია, რომ ვერცხლს შეიძენდე. თავად-აზნაურობას ბევრი ვერცხლი აქვს...

— მადროვე და—ყველაფერს ვიყიდით. მოსკოვში...

ალექსის თქმით, მოსკოვში ნახევრად გაგიჟებული ხალხი ცხოვრობდა. საქმის კეთების გარდა, მათ მიზანს შეადგენდა ბატონურად მორთვა-მოწყობა, რისთვისაც თავადაზნაურობისაგა ყიდულობდენ ყველაფერს, რისი ყიდვაც კი შეიძლებოდა,—სახლკარიდან დაწყებული და უბრალო ჩაის კოვზით გათავებული.

როცა პეტრე ძმასთან სტუმრად იყო, მის ოთახებში უფრო მყუდროდ გრძნობდა თავს, ვინემ საკუთარ ბინაში. ესეც ისევ გაუგებარი იყო მისთვის, როგორც ის გარემოება, რომ ალექსის ოლგა მოსწონდა. ნატალიასთან შედარებით ოლგა მოსამსახურე გოგოს ჰგავდა. ხოლო ოლგას არ ეშინოდა ნავთის ლამპისა, და არ სჯეროდა, რომ ნავთს სტუდენტები თვითმკვლელების ქონისაგან

ამზადებენ. საამო იყო მისი ლბილი ხმის გაგონება, და თვალებიც კარგი ჰქონდა. სათვალები არ ფარავდენ მათ მოალერსე ელვარებას: მაგრამ საქმეზე და ადამიანზე იგი მუდამ ნაღვლიანად ლაპარაკობდა, ბავშურად, საიდღამაც შორიდან. ეს კი აკვირვებდა მსმენელს და აჯავრებდა.

— მაშ, შენ როგორ ფიქრობ? შენი აზრით დამნაშავენი არ არსებობენ?— დასცინოდა პეტრე. ოლგა უპასუხებდა.

— დამნაშავენი არიან, მაგრამ მსჯავრის დადება მე არ მიყვარს.

პეტრეს არ სჯეროდა მისი სიტყვა.

ქმარს ისე ექცეოდა, თითქოს მასზე უფროსი ყოფილიყო და უფრო ჭკვიანი. ალექსის არ სწყინდა ეს, ბიცოლას უწოდებდა და მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ოდნავ ნაღვლიანად შენიშნავდა:

— თავი დამანებე, ბიცოლა, მომბეზრდა. მე ავადმყოფი კაცი ვარ. მოფერება არ მაწყენს.

— საკმაოდ განევრიებული ხარ. გეყოფა.

იგი ქმარს ისეთი ღიმილით გაუღიმებდა, რომელიც პეტრეს უნდოდა თავისი ცოლის სახეზე დაენახა. ნატალია სამაგალითო ცოლი იყო, საუკეთესო დიასახლისი. საუცხოოდ ამარილებდა კიტრს, სოკოს, ადუღებდა მურაბას. მის ხელქვეით მოსამსახურე საათის მექანიზმის ბორბლების ზედმიწევნილი სისწორით მუშაობდა. ნატალიას დაუღალავად უყვარდა ქმარი—წყნარი, დაწმენდილი ნაღებივით დამდგარი სიყვარულით. მომჭირნეც იყო.

— რამდენი გაქვს ახლა ბანკში?—ხშირად ჰკითხავდა ქმარს და სწუხდა:— თვალყური გეჭიროს, როგორი ბანკია. არ გაკოტრდეს, იცოდე.

როცა ფულს ხელში აიღებდა, მისი ლამაზი სახე მკაცრი ხდებოდა, ყოლოს ტუჩები მტკიცედ შეეკრებოდენ, ხოლო თვალებში რაღაც ზეთისებური და გესლიანი იერი ჩაუდგებოდა. როცა გასვრილ ჭრელ-ჭრელ ქაღალდის ფულს ითვლიდა, ფუნთუშა თითებით ისე ფრთხილად სინჯავდა თიოეულს, თითქოს ეშინიაო, ხელიდან ბუზივით არ გამიფრინდეს.

— როგორ ინაწილებთ მოგებას?—ეკითხებოდა იგი ქმარს ლოგინში, როცა ალერსით გააძღებდა—ალექსი ხომ არ გატყუილებს? ის—მარჯვე მოხერხებული კაცია. ხარბი ცოლ-ქმარია. ყველაფერს იტაცებენ.

ნატალიას ისე ჰქონდა წარმოდგენილი, თითქოს მის გარშემო ყველა გაიძვერა იყო და ამბობდა:

— ტიხონის გარდა სხვას არავის არ ვუჯერი.

— მაშასადამე, მხოლოდ სულელისა გჯერა,—ბუტბუტებდა დაღლილი პეტრე.

— სულელია, მაგრამ სინიდისიერი.

როცა პეტრემ მასთან ერთად ნიჟეგოროდის ბაზრობა დაათვალიერა, ნატალია მეტად გააკვირვა სრულიად რუსეთის ვეებერთელა ბაზარმა. ქმარმა ჰკითხა:

— ა? როგორია?

— ძალიან კარგია,—უპასუხა ცოლმა.—ყველაფერი ბლომად არის და უფრო იაფია, ვინემ ჩვენში.

— მერე იმის ანგარიშს შეუდგა, რა უნდა ეყიდნა.

— საპონი ორი ფუთი, ერთი ყუთი სანთელი, ერთი ტომარა შაქარი და რაფინადიც...

ცირკში ყოფნის დროს ნატალია თვალებს ხუჭავდა, რომ ასპარეზზე გამოსული არტისტებისთვის არ შეეხედნა.

— რა უსირცხვილო ხალხია, სულ ტიტვლები გამოდიან! შემფერის კი, რომ მე მათ ვუცქირო? ბავშვსაც ავნოს იქნება. ამ საშიშროების სანაცვლად ნეტავი არ დაგყავდე: იქნება მუცელში ბიჭი მყავს ჩასახული.

ასეთ წუთებში პეტრე არტამონოვი გრძნობდა, რომ მას მოწყენა ახრჩობდა, მწვანე და სქელი, როგორც მდინარე ვატარაკშას წყალი, რომელშიც მხოლოდ ერთნაირი თევზი ცხოვრობდა—მსუქანი და მეტად სულელური სახიერების.

ნატალია კვლავ ბევრს ლოცულობდა სახის მეტად საქმიანი გამომეტყველებით მორჩებოდა თუ არა ლოცვას, ლოგინში ჩაგორდებოდა და ქმარს საალერსოდ გამოიწვევდა, რათა თავისი მდიდარი ტანით დაეტკბო, ტანის კანს საკუჭნაოს სუნი სდიოდა, სადაც სხვადასხვა გვარი დამარილებულ სანოვაგე—თევზეულობა, შაშხი ჭურჭლებში ინახება ხოლმე. პეტრე ხშირად გრძნობდა, რომ ცოლი აჭარბებდა და მისი ალერსი მას ჭქანცავდა და ანადგურებდა.

— თავი დამანებე, დავიღალე,—ეუბნებოდა იგი ცოლს.

— მაშ, კარგი, ძილი ნებისა,—მორჩილად უპასუხებდა ნატალია და მაშინვე დაიძინებდა. ხოლო ძილის დროს წარბებს გაკვირვებით მაღლა ასწევდა და სახეზე ისეთ ღიმილს გადიკრავდა, თითქოს დახუჭული თვალებით ისეთ მშვენიერ რასმე უცქერის, რაც თავის დღეში არ ენახავსო.

როცა პეტრეს განსაკუთრებით არ უნდოდა, რომ ნატალიას მოფერებოდა, იგი მის საშინელ მშობიაობას წარმოიდგენდა, როცა პირველად ვაჟი შეეძინა. მეცხრამეტე საათი იყო მისი წვალებისა, როცა შეშინებულმა, ცრემლმოღვრილმა დედამთილმა პეტრე ოთახში შეიყვანა, რომელშიაც განსაკუთრებულად დახშული ჰაერი იდგა. ნატალია უწესრიგოდ აშლილ ლოგინში იკრუნჩხებოდა, აუტანელი ტკივილისაგან თვალები გადმოეკარკლა. თმა აბურძგნოდა. ოფლი სდიოდა. სახე საშინლად გამოცვლოდა. პეტრე რომ დაინახა ნადირივით შებღავლა:

— პეტია, მშვიდობით!.. ვკვდები... ვაჟია... პეტრე, მშვიდობით,

მისი დაკბენილი. დასივებული ტუჩები თითქმის არ მოძრაობდენ, ხოლო სიტყვები თითქოს პირიდან კი არ ამოდიოდა, არამედ ფეხებამდე ჩამოშვებულ, საშინლად გაბერილ მუცლიდან, რომლის გასკდომა მოსალოდნელი იყო ყოველ წუთში გალურჯებული სახეც გასივებოდა. ქანც-გამოლეულ ძალლივით სუნთქავდა და დაღეჭილი, დასივებული ენა გარედ გადმოეგდო. თავზე თმას იგლეჯდა, იწეწდა, ყვიროდა ბღაოდა, ვიღასაც არწმუნებდა, ვიღასაც დაძლევა უნდოდა, მაგრამ იმ ვიღასაცკი არ უნდოდა ან არ შეეძლო მისთვის დაეთმო.

— ვ-ვაჟი მეთქი.

ქარიანი დღე იყო. ფანჯრიდან სჩანდა, როგორ ქანაობდა და შრიალებდა ყრუა ხე. ფანჯრის მინაზე ლანდები აცახცახებულიყვნენ. პეტრემ თვალი მოჰკრა მათ უცნაურ ხტუნვას, ყურში ჩაწვდა მათი შრიალი და გიჟივით იყვირა:

— ფარდა ჩამოუშვით. განა ვერ ხედავთ?

და შიშით ზარდაცემული გარედ გაიჭრა, ქალებმა იგი კივილ-წივილით გააცილეს:

— ი—ი—უუ.

საათნახევრის შემდეგ კი, როცა ბედნიერებისა და დაქანცულობისაგან ენა-ჩავარდნილმა სიდედრმა იგი ისევ ცოლის ლოგინთან მიიყვანა, ნატალიამ დიდად ტანჯული მოწამეობრივი თვალებით შეხედა მას და ისეთი დასუსტებული ხმით მიმართა, თითქოს მთვრალი ყოფილიყოს:

— ვაჟია. ბიჭი.

პეტრე დაიღუნა. ლოყა მიადვა ცოლს მხარზე და წაიბუტბუტა:

— მაშ, ასე: დედა ხარ. იცოდე, კუბოს კარამდე არ დაგივიწყებ ამ ამაგს. მადლობელი ვარ.

მან პირველად უწოდა ნატალიას დედა. ამ სიტყვით მთელი თავისი შიში და სიხარული გამოხატა. ნატალიამ კი თვალები მინაბა და დამძიმებული, ღონეგამოლეული ხელი თავზე გადაუსვა.

— მდევია,—წარმოსთქვა ნაყვალვილარმა ბებია-ქალმა და ისეთი ამაყური გამომეტყველებით აჩვენა მამას ბავში, თითქოს თითონ დაბადაო.

მაგრამ პეტრეს ბავში არც კი დაუნახავს. იგი ვერაფერს ვერ ამჩნევდა გარშემო გარდა ნატალიას მკვდრული სახისა, რომელსაც თვალების ადგილას ორი ჩაღრმავებული შავი ორმო აჯდა.

— არ მოკვდება?

— ამისაგან რომ კვდებოდენ, ბებია ქალებიც მაშინ საჭირონი არ იქნებოდენ.

ახლა ის მდევი მეცხრე წელში გადადიოდა. მაღალი იყო, ჯანმრთელი. ფართე შუბლი ჰქონდა და ცხვირი აბზეკილი, სახეს უნათებდა მუქი ცისფერი თვალები, რომლებიც ძალიან სერიოზულად გამოიცქირებოდენ. ასეთი თვალები ალექსის დედას ჰქონდა და კიდევ ნიკიტას. ერთი წლის შემდეგ ნატალიას კიდევ ვაჟი ეყოლა, იაკობი. მაგრამ მეხუთე წლიდან დიდშუბლიანმა ილიამ შესამჩნევი ადგილი დაიჭირა სახლში. ყველა მას ანებივრებდა. ისიც არავის უგონებდა, და დამოუკიდებელ ცხოვრებას ატარებდა. საკვირველი იყო, რომ ბავში ხშირად უხერხულ და საშიშარ მდგომარეობაში ვარდებოდა:—მისი ცელქობა თითქმის ყოველთვის არაჩვეულებრივი იყო, და ეს გარემოება მამას საბაბს აძლევდა ეამაყნა თავისი ვაჟით.

ერთხელ პეტრემ შვილს ფარდულში შეუსწრო, სადაც იგი ძველ გობს ურმის ბორბალს უკეთებდა.

— რას აკეთებ?

— გემს.

— რომ ვერ გაივლის.

— ჩემს ხელში გაივლის! — უპასუხა შვილმა პაპამისის მედიდური ხმით.

პეტრემ იგი ვერ დაარწმუნა, რომ ტყუილა მუშაობდა, ხოლო გულში კი გაიფიქრა:

— პაპის ხასიათი აქვს.

ილია შეუპოვარი იყო, მაგრამ გობისა და ორ ბორბლისგან გემი მაინც ვერ გააკეთა. მაშინ მან გობს კიდეებზე ბორბლები მიანატა, მდინარეზე წაათრია და წყალში ჩაუშვა. მაგრამ თვითონ შლამში ჩაეფლა. არ შეშინებია,— იქვე ნაპირზე თავმოყრილ მესარეცხე დედაკაცებს გასძახა:

— დედაკაცებო, ამომიყვანეთ, თორემ დავიხრჩობი...

დედამ გობი დაამტვრევინა, ილიას კი სცემა. ამ დღის შემდეგ ილია დედას ისე უცქეროდა, თითქოს ვერც კი ამჩნევსო, ისე როგორც იგი თავის ორი წლის დასაც, ტანიას, ვერ ამჩნევდა. საერთოდ, საქმიანი კაცის შთაბეჭდილებას სტოვებდა. ყოველთვის რაღაცას თლიდა, ჭრიდა, ამტვრევდა, აკოწიწებდა.

— კაცი დადგება. მშენებელი იქნება.

ხანდახან ილია მთელი დღის განმავლობაში არ გაეკარებოდა მამას, მერე უცებ შეირბენდა მასთან კონტორაში, მუხლზე ჩამოაჯდებოდა და უბრძანებდა:

— მიამბე რამე.

— არ მცალია.

— მეც არ მცალია.

მამას გაეცინებოდა, ქაღალდებს განზე გადააწყობდა.

— მაშ, მისმინე: იყო და არა იყო რა, იყო ერთი გლეხი...

— გლეხების შესახებ მე ყველაფერი ვიცი. რამე სასაცილო მიამბე.

სასაცილო კი მამამ არა იცოდა.

— წადი ბებისთან, ის გიამბობს.

— ბებიას დღეს სულ ცხვირს აცემინებს.

— მაშ, დედასთან წადი.

— დედა კი დამბანს.. არ მინდა.

არტამონოვი იცინოდა. მისი შვილი ერთად ერთი იყო, რომელსაც შეეძლო იგი გაეცინებინა უბრალო, საღი სიცილით..

— მაშ, მე ტიხონთან წავალ,— განაცხადა ილიამ და წასვლა გააპირა, მაგრამ მამამ მუხლებზე დაიმაგრა.

— ტიხონმა კი რა უნდა გიამბოს?

— ყველაფერი.

— მაინც?

— მან ყველაფერი იცის. ბალახანაში უცხოვრია. იქ ნავებს აკეთებენ, გემებს...

ერთხელ ილია საიდლამაც ჩამოვარდა და პირისახე დაიშავა. დედამ სცემა ამისთვის.

— ნუ ადიხარ სახურავზე, მახინჯი იქნები, კუზიანი.

ილიას შეურაცხებისაგან სისხლი ეცა სახეში. არ უტირნია, მაგრამ დედას კი დაემუქრა:

— აი, მოვკვდები და მაშინ ვნახავ, როგორ მცემ.

შვილის ეს სიტყვები დედამ პეტრეს გადასცა. მამამ გაიცინა.

— შენ ნულარ სცემ... ჩემთან გამოგზავნე.

ილიაც გამოცხადდა. დადგა კარებში და ხელები ზურგს უკან დაიწყო. პეტრე ცნობისმოყვარეობისა და ნაზი სიყვარულის გარდა სხვას არაფერს გრძნობდა შვილისადმი. ჰკითხა:

— რატომ აწყენინე დედას?

— მე სულელი არა ვარ,—გულმოსულად უპასუხა შვილმა.

— თუ დედას აწყენინე, მაშასადამე სულელი ყოფილხარ.

— მცემს. ტიხონმა კი მითხრა: მხოლოდ სულელებს სცემენო.

— ტიხონმა გითხრა? თვითონ ტიხონი...

მაგრამ პეტრემ რაღაც მოსაზრებით სიტყვა არ დაათავა და მეეზოვე სულელად არ მონათლა. გაიარ-გამოიარა ოთახში. თან კართან მდგომ პატარა ადამიანს უთვალთვალებდა. არ იცოდა, რა ეთქვა მისთვის.

— შენც ხომ შენს ძმას, იაკობს, სცემ?

— ის სულელია. მსხვილი რომ არის, არ ტკივა.

— მაშ, ასე გამოდის: ვინც მსხვილია, მისი ცემაც შეიძლება.

— იაკობი ხარბიცაა.

პეტრე კარგად გრძნობდა, რომ შვილის სწავლების თავი არ ჰქონდა და რომ ეს გარემოება მისმა ვაჟმაც კარგად იცოდა. იქნება, საჭიროც და სასარგებლოც იყო, რომ მამას შვილისათვის ყურები აეწია, მაგრამ პეტრე როგორ შეახებდა ხელს მისი სიყვარულის სათუთ საგანს. დასჯაზე ფიქრიც კი მოუხერხებლად მიაჩნდა, ისე შესცქეროდენ მას ღვიძლი არსების ცისფერი თვალები. მზეც უშლიდა ხელს: ყოველთვის ხდებოდა ისე, რომ ილია მეტწილად უფრო მაშინ იცელქებდა ხოლმე, როცა მზიანი დღე იყო. პეტრეს აგონდებოდა ის დრო, როცა ის თვითონ ისმენდა ასეთსავე სიტყვებს მამისაგან, მაგრამ მამის სიტყვები მის გულს არ წვდებოდენ, მის მეხსიერებაში არ რჩებოდენ და მხოლოდ მოსაწყენად ეჩვენებოდენ. ხანდან სულ ცოტა ხნით მხოლოდ თუ შეაშინებდენ. ხოლო რაც შეეხება ცემას, კიდევაც რომ დაემსახურებინა იგი, იშვიათად დაავიწყდებოდა. პეტრე არტამონოვმა ეს გარემოება ძალიან კარგად იცოდა.

მეორე ვაჟი, იაკობი, მგვრალი და ღაჟღაჟა ბიჭი, სახით დედას ჰგავდა. ის ბევრს და თითქოს სიამოვნებითაც სტიროდა. სანამ ცრემლს დაღვრიდა, გაიბერებოდა, ცქმუტვას დაიწყებდა და მუშტით დაიზელდა თვალებს. მშიშარა იყო. ბევრს სჭამდა და ხარბად. როცა გაძღებოდა, ან დაიძინებდა ან ჩივილს წამოიწყებდა:

— დედა, მომწყინდა.

არტამონოვების ქალი ელენე, მხოლოდ ზაფხულობით ჩამოდიოდა დედამისთან.

იგი უცხო იყო სახლში.

შვიდი წლისა იყო ილია, როცა ხუცეს გლებს მიაბარეს და სწავლა დაიწყებინეს. მაგრამ გაიგო თუ არა, რომ მეკანტორე ნიკონოვის ხელს დავითნის მაგიერ, დასურათებულ წიგნს,—„დედა ენას"—ასწავლიდენ, მამას განუცხადა:

— მე არ მინდა ვისწავლო, ენა მტკივა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდიხნის დაკითხვისა და ალერსის შემდეგ ბავშმა ძლივს აუწყა პეტრეს:

— პაშა ნიკონოვს დედაენას ასწავლიან, ჩვენებურად, მე კი—უცხო ენას.

— მაგრამ ხანდახან, ეს მეტისმეტად ცოცხალი ბავში, თუ ვინმე აწყენინებდა, მთელი საათის განმავლობაში გორაკზე, ფიჭვის ძირში დაჯდებოდა და ხმელ კაკრებს მდინარე ვატარაკშაში ისროდა.

— მოწყენილია,—ფიქრობდა მამა. მთელი კვირა და დროთ თვეც გაივლიდა, რომ თვითონ პეტრეც გაბრუებული დადიოდა, იმდენი საქმე ჰქონდა. მუშაობდა, ტრიალებდა და მერე უცბად გაურკვეველ ფიქრების ნისლში გაეხვეოდა, მოიწყენდა. ხოლო იმაში კი ვერ ერკვეოდა, თუ ყველაზე უფრო რა აწუხებდა: საქმეზე ზრუნვა და ფიქრი, თუ ის, რომ სულ ერთნაირი ზრუნვა და ფიქრი თავისთავად ძალზე მოსაწყენი რამ იყო. ხშირად ასეთი სულიერი განწყობილების დროს, როცა ვისმე ადამიანს შეხვდებოდა, არ მოეწონებოდა მისი ირიბი გამოხედვა ან უადგილო სიტყვა. ასე, ერთ ასეთ უფერულ დღეს მას თითქმის სძულდა და სძაგდა ტიხონ ვიალოვი.

ვიალოვს სიდედრისათვის ხელი მოეკიდნა და ისე მოჰყავდა. როცა პეტრეს დაუახლოვდა, ბაიმაკოვას უთხრა:

— ჩვენ, ვიალოვები, დიდი ოჯახი ვართ...

— მერე რატომ შენიანებთან არ ცხოვრობ?—ჰკითხა პეტრემ, ბაიმაკოვასთან მივიდა და ხელი მკლავში ამოდვა. ტიხონი გაჩუმდა და განზე გაიწია. არტამონოვმა თავისი კითხვა ბეჯითად გაიმეორა. მაშინ, მეეზოვემ უფერული თვალები დაიპატარავა და გულგრილად უპასუხა:

— ალარავინ დარჩა ჩემიანი ცოცხალი... ყველანი დახოცეს.

— რას ნიშნავს:—დახოცეს? ვინ დახოცა?

— ორი ძმა სევასტოპოლში გარეკეს და იქ ომში დაიღუპნენ. უფროსმა ამბოხებაში მიიღო მონაწილეობა, როცა ყმები განთავისუფლებამ შეაკრთო. მამაც აჯანყებაში იღებდა მონაწილეობას, კარტოფილის ჭამაზე უარი სთქვა: ეს მაშინ იყო, როცა ძალას გვატანდენ კარტოფილი ჭამეთო. მისი გაწკეპვლა უნდოდათ, მაგრამ გაიქცა და დაიმალა. ყინულს მოჰყვა სადღაც მდინარეზე და დაიხრჩო. მერე დედაჩემს კიდევ ორი ვაჟი ეყოლა მეორე ქმრისაგან, მებადური ვიალოვისაგან: მე და ჩემი ძმა სერგეი.

— მერე სად არის ძმა?—ჰკითხა ულიანამ, რომელსაც ცრემლისაგან თვალები გასივებოდა.

— მოჰკლეს.

— ისე ლაპარაკობ, თითქოს პანაშვიდს უხდიდე,—გაჯავრდა არტამონოვი.

— ყოველივე ამის გაგება ულიანა ივანოვნას უნდოდა. რაღაც მოიწყინა და მეც...

სიტყვა არ დაათავა, ისე დაიღუნა, ხმელი ფიჩხი აიღო და განზე გადააგდო. ორი წუთი ჩუმად მიდიოდენ.

— ძმა ვინ მოგიკლა?—მოულოდნელად ჰკითხა არტამონოვმა.

— ვინ ჰკლავს საზოგადოდ? კაცი ჰკლავს,—მშვიდად უპასუხა ტეხონმა, ხოლო ბაიმაკოვამ ამოიოხრა და დაუმატა:

— მეხიც...

...შუა ზაფხულში სიცხიანი დღეები დაიჭირა. როგორც დედამიწაზე, ისე მოყვითალო კომლით შეპურულ ცაში, სულის შემხუთველი პაპანება გამდგარიყო საშინელი და უძრავი. ყველგან ტყეებსა და ტორფიან ადგილებს ცეცხლი ეკიდებოდა, იწოდა. მოულოდნელად მშრალი და ცხელი ქარი ამოვარდებოდა, ნადირივით ღმუოდა და გიჟივით უფსტვენდა. ფოთლებ-შემხმარ ხეებს სძარცვავდა, ანიავებდა შარშანდელს, უკვე შეწითლებულ სუროს, ქვიშის კორიანტელს აყენებდა და ცისკენ ერეკებოდა ღრუბლების მსგავსად. შიგ ბურბუშელაც ერია, ხენწკალი, ქათმის ბუმბული. ადამიანებს თავს ესხმოდა და ყაჩაღივით სძარცვავდა. მერე ტყეებში შეიმალებოდა, სადაც ცეცხლს აღვივებდა და ხანძარს აჩენდა.

ფაბრიკაში ბევრი მუშა დაავადმყოფდა. თითისტარების ბზუილისა და მაქოს ბრიალთან ერთად არტამონოვის ყურს მშრალი, გულის გამწყალებელი ხველა ჩაესმოდა. დაზგებთან გაჯავრებული ნაღვლიანი სახეები იდგენ. მოდუნებულად მუშაობდენ. იკლო გამომუშავებულ საქონლის რაოდენობამ, ღირსებაც შესამჩნევად დაეცა. გაცდენილ დღეთა რიცხვმა იმატა. მუშებმა სმას მიჰყვეს ხელი. დედებს შვილები ავად დაუხდათ. მუდამ მხიარული ხუროო სერაფიმე, რომელსაც სახე ბავშვივით ულაჟლაჟებდა, პატარა კუბოების კეთების მეტს არაფერს არ აკეთებდა. იგი ხშირად არყის ხის ფიცრის საუკუნო განსასვენებელ სამყოფელს ამზადებდა დიდებისთვისაც, რომელთაც თავიანთი ცხოვრების გზა გაელიათ.

— ხალხს ქეიფი, ლხინი უნდა გავუმართოთ,—არწმუნებდა პეტრეს ალექსი.—ხალხს გამხიარულება უნდა, გულის გამაგრება.

ბაზრობაზე გამგზავრების წინ ერთხელ კიდევ ურჩია:

— მოალხინე ხალხი, ნახავ როგორ გამოცოცხლდენ. დამიჯერე: მხიარულება ყველა უბედურების უებარი წამალია.

— მიიღე შენს თავზე, მოაწყვე—უბრძანა პეტრემ ცოლს.—ხარჯს არ მოერიდო, უხვად გაუმასპინძლდი.

ნატალიამ უკმაყოფილოდ ჩაიბუზღუნა. ქმარი გაჯავრდა:

— ჰა!

პროტესტის ნიშნად ნატალიამ გახმაურებით მოიხოცა ცხვირი და უპასუხა:

— მესმის.

ნადიმი პარაკლისით დაიწყო ხუცესმა გლებმა. პარაკლისი დიდ-მშვენიერად ჩაატარა. იგი უფრო გამხდარიყო და გამხმარიყო. მისი ჩამწყდარი ხმა ისე სა-

ცოდავად წარმოსთქვამდა უჩვეულო სიტყვებს, თითქოს უკანასკნელად თავს ძალას ატანს და ღმერთს ისე ევედრებაო. ჭლექიანი ფეიქრების უფერული სახეები მკაცრად მოლუშულიყვნენ და კეთილმორწმუნოებრივი გამომეტყველებით გახევებულიყვნენ. დედაკაცები გულამოსკვნით სტიროდენ. და როცა მღვდელი კომლიან ცისკენ სევდიან თვალებს აღაპყრობდა, ხალხიც მასაც ... და ვედრებით შესცქეროდა შეკომლილ მელოტ მზეს. ხალხს ეგონა, ... ხუცესი ცაში ვილასაც ხედავდა, ვისაც მისი ვედრება ესმოდა და ვინც მას პირადადაც იცნობდა.

გათავდა თუ არა პარაკლისი, დედაკაცებმა სუფრა გარეთ გაშალეს და მუშებიც ცხვრის ხორცის მსუქან ხინკალით სავსე მათლაფებს მოუსხდენ. თითოეულ მათლაფას გარშემო ათ-ათი კაცი ჯდებოდა. თითოეულ მაგიდაზე ერთი ჩაფი შინაური ლუდი იდგა და ერთი ბოთლი არაყი. ამან მალე ასწია დაღლილი ხალხის სულიერი განწყობილება. სიჩუმე, რომელიც წინად მთელ არემარეს მძიმე ქუდივით თავს ეხურა, ახლა აქედან შორს გაწეულიყო. ის მხოლოდ ტბებსა და ცეცხლ მოკიდებულ ტყეებს შერჩენოდა. მუშების ახალ გაშენებული სოფელი მხიარულმა ხმებმა გამოაცოცხლა, გაისმა ხის კოვზების ჩხრიალი, ქალების გაძახილი და ახალგაზრდობის ჟრიამული.

უხვი, ნოყიერი სადილი თითქმის სამი საათი გაგრძელდა. ნასადილევს ახალგაზდობამ დამთვრალები თავიანთ სახლებში დააბინავა და თვითონ კი თავი მოიყარა სუფთად გამოწყობილი ხუროს სერაფიმეს გარშემო. სერაფიმეს ლურჯ-ჭრელი ხალათი და ამავე ფერის პაიჭები ხშირი რეცხვისაგან გახუნებოდა. წაწვენთილი ცხვირით დამშვენებული, ზარხოშისაგან ავარდისფერებული სახე გაბრწყინებოდა და ბებრისათვის უჩვეულო მკვირცხლი თვალები აეხამხამებინა. ამ მოუწყინარ მეკუბოვეს მისი სახელის შესაფერისი ზეციური რამ მხიარული სულიერი განწყობილება ახასიათებდა, რაღაც მუდმივი თრთოლვა. სკამზე ჩამომჯდარიყო, მუხლზე ჩონგური დაედვა და მის სიმებზე გაშავებული თითები დაეწყო, რომლებიც ხარდალის ძირივით მოკრუნჩხოდა. სამათხოვროდ მოსიარულე ბრმა მომღერლების კილოზე უკრავდა ჩონგურზე და ნაღვლიანი და ბოხი ხმით ზედ დამღეროდა:

А и вот вам, люди, сказ на забаву,
Да премудрости вашей на разгадку...

მის წინ გოგოები ჩამწკრივებულიყვნენ. მათ შორის მისი ქალიც, ზინაიდა, იდგა,—გულმკერდ-მაღალი, თავხედურად გამომზირალი. სერაფიმემ მათ ცბიერად შეავლო თვალები, ხმას აუწია და უფრო ნაღვლიანად განაგრძო:

Да, вот, сидит Христос в светлом рае,
Во душистой, небесной прохладе,
Под высокой, златоцветной липой,
Восседает на лыковом престоле.
Раздает он серебро и злато,
Раздает драгоценное каменье
Всем богатым людям в награду,

За то, что они богатей,
Доброму люду доброхоты,
Бедную братью любят,
Нищих, убогих сыто кормят.

მან კვლავ გადახედა გოგოებს და უცებ კილო შეიცვალა, საცეკვაოზე გადავიდა. მაშინ მისმა ქალმა, ბოშასებურად ხელები თავზე გადიგდო, ქუქუები შეაქანა, შეჰკივლა ერთი და მამის სიმღერასა და ჩონგურის ხმას ფეხები ააყოლა.

А кто серебро возьмет,
Тому ноги отшибет.
А кто золото возьмет,
Того пламенем сожжет.
А яхонты, жемчуга,
Все бельмами на глаза.

ახლა ბიჭებიც ახმაურდენ. სერაფიმე და მისი წკრიალა ჩონგური ჩააჩუმეს. მერე გოგოებმა და დედაკაცებმა წამოიწყეს:

С моря быстрые кораблики бегут,
Красным девушкам подарочки везут.

ზინაიდა კი ფეხების ბაკუნით გაჰყივოდა:

От Пашки—Палашке
Рогож да рубашки;
От Терешки—Матрешке
Две березовы Сережки.

პატარა ილია არტამონოვი საფიცრე ძელზე ჩამომჯდარიყო პავლე ნიკონოვთან ერთად. ეს პავლე ნიკონოვი ხმელი ბავშვი იყო. მის გრძელ კისერზე მოუსვენრად ტრიალებდა მელოტი ბებრისებური თავი, ხოლო ფერავარდნილ ავადმყოფურ სახეზე შეშინებული ნაცრისფერი თვალები მიმოურბოდენ. ილიას ძალიან მოსწონდა ლურჯი ხური, სერაფიმე, სიამოვნებით უგდებდა ყურს ჩონგურისა და მის სასაცილოდ ჭირვეულ ხმას. მაგრამ უცებ აენთო და დატრიალდა ის ყუმაშის ჯუბაში გამოწყობილი დედაკაცი, და ყველაფერი არია. მის დანახვაზე ბიჭებმა ფსტვენა ასტეხეს და უმსგავსი ლექსების თქმა დაიწყეს. მაგრამ ილიას ეს ქალი საბოლოოდ შეზარდა, როცა ნიკონოვმა ყურში ჩაუჩურჩულა:

— ზინაიდკა—გარყვნილია, ყველა მამაკაცთან ცხოვრობს. მამაშენთანაც. მე თვითონ ვნახე, რომ ჩქმეტდა.

— რისთვის სჩქმეტდა—ვერ მიხვდა ილია.

— განა არ იცი...

ილიამ თავი დახარა. მან იცოდა, თუ რისთვის სჩქმეტდენ გოგოებს და ეწყინა, რომ ამის შესახებ ახლა ამხანაგს ჰკითხა.

— სტყუი,—ზიზღით სთქვა მან და ყური აღარ დაუგდო ნიკონოვის ჩურჩულს. ილიას არ მოსწონდა ეს მუდამ შეშინებული და მხდალი ბავშვი, რადგანაც იგი ყოველთვის მოდუნებული იყო და მოუთხრობდა მოსაწყენ ამბებს ფაბრიკაზე მომუშავე გოგოების შესახებ. მაგრამ ნიკონოვი სანადირო მტრედე-

ბის გამწვრთნელი იყო, ხოლო ილიას მტრედები ძალიან უყვარდა, და მას ისიც სიამოვნებდა, რომ სუსტ ბავშს ფაბრიკის ბიჭების თავდასხმისაგან იცავდა. გარდა ამისა ნიკონოვმა მშვენიერი მოყოლაც იცოდა იმის, რაც ენახა, თუმცა მისი თვალები ყოველთვის მხოლოდ ცუდს ამჩნევდენ ხოლმე ცხოვრებაში. ილიას პატარა ძმისებური, იაკობისებური ჩვეულება ჰქონდა: არავინ არ მოსწონდა, ყველაზე სჩივოდა.

ილია რამდენიმე წუთი კიდევ იჯდა ძელზე, მერე ადგა და სახლში წავიდა. მისიანები ბაღში, გამტვერიანებული ხეების ჩრდილ ქვეშ ჩაის სვამდენ. დიდ მაგიდას სტუმრები მოსხდომოდენ: წყნარი ხუცესი გლები, მექანიკოსი კოპტევი, ბოშასავით შავი და თმახუჭუჭა, სუფთად დაბანილ-დავარცხნილი კანტორის მოსამსახურე ნიკონოვი, რომელსაც სახე ისე გადარეცხოდა, რომ ძნელი გასარკვევი იყო, თუ რანაირი ჰქონდა: ზედ ულვაშიანი პატარა ცხვირი კი აჯდა, შუბლზე მუწუკი ამოსვლოდა, ხოლო ცხვირსა და მუწუკს შუა ღიმილი უკრთოდა, რომელსაც თვალების ვიწრო ნახვრეტები აცახცახებული კანის ნაოჭებით დაეფარა.

ილია მამას მოუჯდა გვერდით. მას არ სჯეროდა, რომ ეს მუდამ დაღვრემილი კაცი იმ უსირცხვილო გოგოსთან რასმე საქმეს დაიჭერდა. მამამ თავისი მძიმე ხელი შვილს მოფერებით მხარზე გადაუსვა. ყველა სიცხეს მოექანცა. ოფლი სდიოდათ და უხალისოდ ჰასლაათობდენ. მხოლოდ კოპტევის წკრიალა ხმა ისე გაისმოდა ამ სიცხეშიც, როგორც ყინულისაგან ბროლად ქცეულ ზამთრის ღაბეში.

— მუშების ახალ სოფელში წავალთ?—იკითხა დედამ.

— კი. წავალ, ჩავიცვამ,—უპასუხა მამამ. ადგა და სახლისკენ გაემართა. არ გაუვლია ერთ წუთსაც, რომ ილიაც წამოდგა და მამას გაჰყვა. კიბეზე წამოეწია.

— რა გინდა?—მოფერებით ჰკითხა მამამ. შვილმა თვალებში ჩახედა და თავის მხრით შეეკითხა:

— შენ ჩქმეტდი თუ არა ზინაიდას?

ილიას მოეჩვენა, რომ მამა შეკრთა და შეშინდა. მაგრამ ეს არ გაკვირვებია: მამა მას მშიშარად მიაჩნდა, რომელსაც ყველასი ეშინოდა და რომელიც ამიტომაც მეტწილად სდუმდა ხოლმე.

ილიას ხშირად უგრძვნია, რომ მამას მისი ეშინოდა,—აი, ახლაც შეეშინდა, და რომ შეშინებული კაცი გაემხნევებინა, დაუმატა:

— მე არ მჯერა. მე მხოლოდ გკითხე.

მამამ შვილს უბიძგა და დერეფნიდან თავის ოთახში შეაგდო. კარი მაგრად მოხურა. მერე კუთხიდან კუთხემდე დაიწყო სიარული, როგორც ჩვეულება ჰქონდა ხოლმე, როცა გაჯავრდებოდა.

— მოდი აქ,—წარმოსთქვა უფროსმა არტამონოვმა და მაგიდასთან დადგა. უმცროსი არტამონოვი მივიდა.

— შენ რა სთქვი?

— ამას პავლუშა ამბობს, მე კი არ მჯერა.

— არ გჯერა?.. მაშ კარგი.

პეტრემ ჯავრი გულიდან გადაიყარა. შვილის სერიოზულ, დიდშუბლიან და უსიამოვნოდ მოღუშულ სახეს შეაცქერდა. თან ცალი ყური შეისრისა და გაიფიქრა: კარგია თუ ცუდი, რომ შვილს არ სჯერა ისეთივე ბავშის ნათქვამი, როგორიც თვითონ არის, არ სჯერა და ამით უნდა მამა ანუგეშოს? [illegible] ვერ მოენახა, რა ეთქვა შვილისთვის, ხოლო მისი ცემა კი არ უნდოდა. [illegible] ხომ უნდა მოემოქმედნა? ისევ არჩია, რომ ცემა ყველაზე უფრო უბრალო და გასაგები საშუალება იყო. მძიმედ ამართა ხელი, რომელიც მაინცა და მაინც არც დამორჩილებია, და ილიას თითებით თმაში წვდა.

— ყურს ნუ უგდებ სულელებს, ნუ უგონებ...

მერე ხელი წაჭკრა და უბიძგა:

— წადი. შენს ოთახში დაჯექი. იქ იყავი. დიაღ.

შვილი კარისაკენ გაემართა. თავი განზე გადაეხარა და ისე მიჰქონდა, ვითომ სხვისი ყოფილიყო. მამამ თვალები გააყოლა მას და თავის სანუგეშებლად გაიფიქრა:

— არ სტირის. მაგრად არ მიცემნია.

მერე სცადა გაჯავრებულიყო.

— ამას უყურეთ ერთი. არ მჯერაო. მე შენ გიჩვენებ...

მაგრამ მაინც ეცოდებოდა შვილი. უკმაყოფილო იყო რომ შეურაცხება მიაყენა.

— პირველად ვცემე,—გაიფიქრა მან და ზიზღით დაიხედა თავის წითელ ბალნით შემოსილ ხელებზე.—მე კი, სანამ ათი წლის შევსრულდებოდი, ალბათ ასჯერ მაინც მცემეს.

მაგრამ ამანაც ვერ დააწყნარა. ფანჯრიდან გადაიხედა. მზე ისე მიცურავდა ცაში, თითქოს ქონის ბურთი მღვრიე წყალში ჩავარდნილაო. ბალიდან დაუძახეს—ჩქარა წამოდიო. არტამონოვი უნებურად დაეშვა ძირს და გასეირნების მსურველთ უნებურად გაჰყვა. გზა-და-გზა მან ნიკონოვს უთხრა:

— შენი შვილობილი სისულელეს აგონებს ილიას...

— მე მას გავწკეპლავ,—თითქოს სიამოვნებით შესთავაზა მას კონტორის მოხელემ.

— ენა დაუმოკლე,—დაუმატა პეტრემ და ირიბად გახედა ნიკონოვის უშინაარსო სახეს. ჯავრი შეუმსუბუქდა. გაიფიქრა:

— აი, რა უბრალოდ გათავდა ყველაფერიო.

მუშების ახალი სოფელი პატივისცემითა და ერთი ამბით შეეგება პატრონებს. ნახევრად მთვრალი ღიმილი აღბეჭდილიყო სახეებზე და პირმოთნეობა ხმამაღლა ალაპარაკებულიყო. სერაფიმეს ახალი ქალამნები ეცვა. თეთრ პაიჭებზე წითელი ზორტი შემოეხვია მორდვულ ყაიდაზე. ის ბუქნაობდა არტამონოვის წინ და თავის პატრონს ქებას ასხამდა:

Ой, кто это идет,
Это—сам идет,
А кого же он ведет—
Самое ведет...

თეთრწვერიანი, გრძელთმიანი ხუცესის მსგავსი ივანე მოროზოვი პეტრეს ბოხი ხმით ეუბნებოდა:

— ჩვენ კმაყოფილი ვართ შენით... ჩვენ ყველანი კმაყოფილი ვართ.

მეორე ბებერი, მამაევი, აღფრთოვანებით ჰყვიროდა:

— არტამონოვები ბატონებივით ზრუნავენ ხალხზე.

ხოლო ნიკონოვი კოპტევს ყველას გასაგონად ელაპარაკებოდა:

— ხალხი მადლიერია. ხალხმა იცის თავისი კეთილისმყოფების დაფასება.

— დედა, მეჯახებიან,—სჩიოდა იაკობი, რომელსაც გარდისფერი აბრეშუმის ხალათი ეცვა. დედამ მას ხელი მოჰკიდა, დიდკაცური გაღიმებით გადახედა ქალებს, და შვილს ჩაგონებით უთხრა:

— აი, შეხედე, ბებერი კაცი როგორ ცეკვავს.

ლურჯი მოხუცი დაუღალავად განაგრძობდა ბუქნასა და ტრიალს ხმის აყოლებით:

Эх, притопычай нога,
Притопычай чаще,
Лапоть легче сопога
Баба девки слаще.

— პირველად არ იყო, რომ არტამონოვს ქება ესმოდა. მას ჰქონდა საფუძველი, რომ ამ ქების გულწრფელობა არ ეწამებინა. მიუხედავად ამისა, გული მოულბა. დიმილით ამბობდა:

— მაშ, ასე... მადლობელი ვარ. არა უშავს რა, მეგობრულად, თანხმობით ვცხოვრობთ.

თან ფიქრობდა:

— სამწუხაროა, რომ ილია აქ არ არის. დაინახავდა, მამამისს რა დიდ პატივს სცემენ.

აზრად მოუვიდა რამე კარგი მოემოქმედნა და ხალხი რითიმე ენუგეშებინა. მცირე ხნით დაფიქრდა, ყური შეისრისა და სთქვა:

— საბავშო საავადმყოფო ერთიორად უნდა გაფართოვდეს.

სერაფიმემ ფართედ გაშალა ხელები, განზე გადახტა.

— გაიგონეთ, ხალხო? ვაშა, ვაშა, გაუმარჯოს ჩვენს პატრონს!

ხმაშეუწყობლად, მაგრამ მაღლა შესძახა ხალხმა: „ვაშა“. დედაკაცებით გარემოცული ნატალია აფრთოვანებული იყო.

— ქალებო, წადით, მოიტანეთ კიდევ სამი კასრი ლუდი. ტიხონი მოგცემთ.

დედაკაცები ამან უფრო გაახარა. ნიკონოვი კი თავს აქნევდა და ქებით ამბობდა:

— ასე არქიელს თუ შეხვდებიან...

— დეედა, მცხელა,—ბუზღუნობდა იაკობი.

ეს სიამოვნება რამდენიმედ დაარღვია შავ წვერიანმა კოჩეგარმა ვოლკოვ-

მა, რომელსაც ქლიავის ოდენა თვალები გადმოეკარკლა და მარცხენა ხელის მკლავზე უხერხულად გადმოეკიდა გამხდარი, სიცხისაგან დამწვარი, დამუწუკებული ბავში. იგი მივარდა ნატალიას და ისტერიული ყვირილი მორთო:

— როგორ უნდა მოვიქცე? ცოლი მომიკვდა. სიცხისაგან სული განუტევა აი, შენამატი დარჩა. ახლა ამას რა ვუყო?

გაგიჟებული თვალებიდან ყვითელი ფერის ცრემლი სდიოდა. დედაკაცებმა მოაშორეს ნატალიას კოჩეგარი და, თითქოს ბოდიში მოიხადესო, უთხრეს:

— ყურადღებას ნუ მიაქცევ. ხომ ხედავ, მის ჭკუაზე არ არის. ცოლი გარყვნილი ჰყავდა. ჭლექიანი. თვითონაც ავადმყოფია.

— გამოართვით ბალღი,—სთქვა გულმოსულმა არტამონოვმა. რამდენიმე დედაკაცმა მაშინვე გააშვირა ხელი ბავშის დასიცხულ ტანისკენ, მაგრამ ვოლკოვმა ერთი მაგრად შეიგინა და გაიქცა.

საერთოდ კი ყველაფერი კარგად მოეწყო—იმხიარულეს ისე, როგორც დღესასწაულს შეშვენის. არტამონოვმა ახალი მოსული მუშები შენიშნა, მედიდურად გაიფიქრა:

— ემატება ხალხს. ეს რომ მამას ენახა...

უცებ მისმა ცოლმა სიბრალულით სთქვა:

— უდროვო დროს დასაჯე ილია. ბავშს უნდა ენახა, აქ როგორ უყვახართ.

არტამონოვმა პასუხი არ გასცა. მან თვალი მოჰკრა ზინაიდას, რომელიც ათიოდე გოგოს წინ მოუძღოდა და უსიამოვნო, ბოხი ხმით მღეროდა:

Ходит мимо.
Смотрит мило,
Видно хочет,
полюбить.

— ლაწირაკი,—გაიფიქრა პეტრემ.—სიმღერაც რომ არ უვარგა!

საათი ამოიღო, ზედ დახედა და ცოლთან რატომღაც მოიტყუილა:

— სახლში წავალ, ალბად ალექსის დეპეშა მოსულია.

აჩქარებით წავიდა. გზაზე იმაზე ფიქრობდა, თუ რა ეთქვა შვილისათვის. მოიფიქრა მკაცრი რაღაც, მაგრამ ერთსა და იმავე დროს საკმაოდ საალერსოც. მაგრამ შეაღო ოთახის კარი თუ არა, ყველაფერი დაავიწყდა. ილია მუხლებით სკამზე შემდგარიყო და იდაყვებით ფანჯარას გადაყუდებოდა. კომლით შემურულ ცას შესცქეროდა. პატარა ოთახში ბინდი მტვერივით გამდგარიყო. კედელზე ჩამოკიდებულ გალიაში მაშვი დასაძინებლად ემზადებოდა და მოყვითალო ნისკარტს იწმენდდა.

— ოთახში ზიხარ?

ილია შეკრთა, მამისკენ მობრუნდა და აუჩქარებლად ჩამოვიდა სკამიდან.

— აი, რას ნიშნავს, რომ სისულელეს ყურს უგდებ!

შვილმა თავი დახარა და წინ დაუდგა.—მამა მიხვდა, რომ მისი ვაჟი ამას განზრახ სჩადიოდა, რათა მისთვის მოეგონებინა, რომ ამას წინად სცემა.

— რატომ მოხრილხარ. გაიმართე.

ილიამ წარბები მაღლა ასწია, მაგრამ მამას კი მაინც არ შეხედა. შაშვი შეფრთხიალდა გალიაში და დაბლად დაუფსტვინა.

— გაჯავრემულია,—გაიფიქრა შვილზე არტამონოვმა, ილიას ლოგინზე ჩამოჯდა და ბალიშს თითებით ჩხვლეტა დაუწყო.—სისულელეს ყური არ უნდა დაუგდო.

ილიამ ჰკითხა:

— მაშ როგორ მოვიქცე, როცა ლაპარაკობენ.

შვილის სერიოზულმა ხმამ გაახარა მამა. ახლა მან უფრო ალერსიანად და უფრო თამამად უთხრა:

— ილაპარაკონ, შენ კი ყური არ უგდო... დაივიწყე. იტყვიან შენთან სისაძაგლეს, დეე, სთქვან,—შენ კი დაივიწყე.

— შენ ივიწყებ?

— ვივიწყებ, მაშ, ყველაფერი რომ დავიმახსოვრო, რასაც გავიგონებ, მაშინ რაღა შევიქნებოდი.

აუჩქარებლად ლაპარაკობდა. დაკვირვებით არჩევდა უბრალო სიტყვებს, მაგრამ კარგად გრძნობდა, რომ ეს საჭირო არ იყო. მალე დაიბნა ამ უბრალო სიტყვების სიბრძნის ძებნაში, ბოლოს ამოიოხრა და ასე დაათავა:

— მოდი აქ, ჩემთან.

ილია ფრთხილად მიუახლოვდა, მამამ იგი მუხლებში მოიმწყვდია და ხელის გული შუბლზე მიაფარა. ატყობდა, რომ შვილს თავის გამართვა არ უნდოდა და ეს სწყინდა.

— რატომ ჭირვეულობ? შემომხედე სახეში.

ილიამ მას პირდაპირ თვალებში შეხედა, მაგრამ ეს უარესი შეიქნა. რადგანაც შვილი შეეკითხა:

— რისთვის მცემე? მე ხომ გითხარი, პავლუშკას ნათქვამი არ მჯერა მეთქი.

უფროსმა არტამონოვმა ამაზე უცბად პასუხი ვერ გასცა. გაკვირვებით შენიშნა, რომ მისი ვაჟი უცებ სასწაულებრ გაუთანასწორდა მას – ორში ერთი უნდა ყოფილიყო: ან შვილი ამაღლდა, გადიდდა, ან მამა დააპატარავა, თავის დონემდე დასწია.

— დიდის თავმოყვარეობა აქვს,—გაუელვა თავში პეტრეს და სწრაფად წამოდგა. ახლა იმას შეეცადა, რომ მალე შეერიგებინა გამწყრალი შვილი.

— არ მიტკენია, მგონი, ისე გცემე. უნდა ჩადგე ჭკუაში, ისწავლო. მამა-ჩემი... ჰოი, ჰოი, ისე მცემდა, რომ... დედაც. მეჯინიბეც. ნოქარიც. ასე წარმოიდგინე: გერმანელი ლაქიაც კი მცემდა. როცა შენიანი გცემს, იმდენად საწყენი არ არის. საწყენია—უცხო რომ გცემს. მშობლის ხელი მსუბუქია.

კარიდან ფანჯრამდის დადიოდა—ექვსი ნაბიჯი წინ, ექვსი უკან.—ძალიან უნდოდა მალე გაეთავებინა შვილთან საუბარი, რადგანაც ეშინოდა, იქნება, კიდევ რაიმე მკითხოსო.

— აქ შენ იმას შეითვისებ და შეისწავლი, რაც სულაც საჭირო არ არის ბუტბუტებდა იგი, თითქოს თავისთვის და ცდილობდა ლოგინს ზურგთან მიჩქმა-

ლულ შვილისთვის თვალი აერიდებინა.—სწავლის დროა უკვე. გუბერნიაში უნდა გაგგზავნო. გინდა ისწავლო?

— მინდა.

— აი, ასე.

უნდოდა მოფერებოდა, მაგრამ რაღაცა ხელს უშლიდა. ვერ მოიგონა: ეფერებოდა თუ არა თითონ მას დედ-მამა გაწყრომის შემდეგ.

— ახლა კი წადი, გაისეირნე. პავლუშკასთან კი ნუ ხარ...

— იგი არავის არ უყვარს.

— ან ასეთი მყაყი რა შესაყვარებელია?

ძირს დაეშვა თავის ოთახში, ფანჯარასთან დადგა და ჩაფიქრდა: რაღაც ვერ გამოუვიდა კარგი შვილთან საუბარი!

— გავანებივრე, არ ეშინია ჩემი.

მუშების ახლად გაშენებული სოფლიდან არეული ხმაურობა მოდიოდა, გოგოების წივილი და სიმღერა, ყრუ საუბარი, საკრავის წკრიალი. ჭიშკართან კი ტიხონის ხმა გარკვეულად გაისმა:

— რატომ ზიხარ სახლში, ბავშო! იქ სეირნობაა, შენ კი სახლში ხარ! სასწავლებლად მიემგზავრები? ეს კარგია. რა უსწავლელი და რა დაუბადებელი სულ ერთია, მე კი უშენოდ მომწყინდება, ჩემო ბავშო.

არტამანოვს უნდოდა დაეყვირა:

— სტყუი, შენ კი არა, მე მომწყინდება! შეხედეთ ამას, როგორ ელაქუცება პატრონის შვილს, გაიძვერა ვინმეა,—გაიფიქრა გაბოროტებით.

როცა ილია ქალაქში გააგზავნა, ხუცეს გლების ძმასთან, რომელიც იქ მასწავლებელად იყო, პეტრემ მართლა იგრძნო, რომ სულ დაუცალიერდა და მის სახლშიც მოწყენილობა გამეფდა. უხერხულად გრძნობდა თავს, უჩვეულოდ, თითქოს საწოლ ოთახში ლამპარი ჩაჰქრაო. ამ ლამპრის მოლურჯო სინათლეს პეტრე ისე შეჩვეოდა, რომ უმალვე გამოელვიძებოდა, როცა იგი რაიმე მიზეზით ჩაქრებოდა.

გამგზავრების წინ ილიამ იმდენი იცელქა, თითქოს განზრახ ცდილობდა, რომ მის შესახებ სახლში ცუდი ხსოვნა დარჩენილიყო. დედას ისე აწყენინა, რომ ბევრი ატირა: იაკობის ჩიტები გალიიდან გამოუშვა, ხოლო შაშვი, რომელიც იაკობისთვის უნდა ეჩუქებინა, ნიკონოვს მისცა.

— რა ამბავია, რომ ასე ცელქობ?—ჰკითხა მამამ, მაგრამ ილიამ პასუხი არ გასცა. მხოლოდ თავი გვერდზე გადაიგდო დახრით. არტამონოვს მოეჩვენა, რომ შვილი მას განზრახ აჯავრებდა და კვლავ აგონებდა ცემას, რომლის დავიწყება მას უნდოდა. უცნაური იყო, რომ ამ პატარა კაცს მის ფიქრებში ამდენი ადგილი ეჭირა.

— დავიჯერო, რომ მამაჩემიც ამდენს ზრუნავდა და სწუხდა ჩემთვის?

მეხსიერება მტკიცედ არწმუნებდა მას, რომ მამა არასოდეს არ ყოფილა მისი მახლობელი, საყვარელი ადამიანი. მამა მას მხოლოდ მკაცრ პატრონად ეცლინებოდა, რომელიც უფრო მეტი ყურადღებით ალექსის ეპყრობოდა, ვინემ მას.

— გამოდის თითქოს მე მამაზე უფრო კეთილი ვარ?—ეკითხებოდა არტამონოვი თავის თავს და ვერ გამოერკვია—მართლა კეთილი იყო იგი თუ ბოროტი. ფიქრები ხელს უშლიდენ მას, უდროვო დროს თავს ესხმოდენ, როცა მუშაობაში იყო გართული. არტამონოვების საქმე კი თანდათან ფართოვდებოდა, იგი ათასი თვალით შეჰყურებდა პატრონს და მისგან მუდმივად დაჭიმულ ყურადღებას მოითხოვდა. მაგრამ როგორც კი რაიმე ილიას მოგონებდა, მყისვე შესწყვეტდა საქმეზე ფიქრებს და საჭირო იყო თავისთვის ძალა დაეტანებინა, რომ აღედგინა და გადაება ისინი ერთმანეთისათვის. იგი ცდილობდა ამოევსო ის სიცალიერე, რომელსაც ილიას წასვლის შემდეგ გრძნობდა, და ამ მიზნით მთელი თავისი ყურადღება უმცროს ვაჟზე გადაიტანა. მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ იაკობი ილიას მაგივრობას ვერ გასწევდა.

— მამიკო, მიყიდე თხა,—ეხვეწებოდა მას იაკობი. იგი ყოველთვის რასმე სთხოვდა მამას.

— თხა რად გინდა?

— შევაჯდები და ვისეირნებ.

— ეს არ ვარგა. თხებზე კუდიანები სხდებიან.

— ელენკამ მე სურათებიანი წიგნი მაჩუქა და იქ ხატია: ერთი კარგი ბიჭი თხაზე ზის.

მამამ გაიფიქრა:

— ილია ამას არ დაიჯერებდა. ჩამაცივდებოდა: მიამბე რამე კუდიანის შესახებო.

არ მოსწონდა, რომ იაკობი თვითონ გააღიზიანებდა ფაბრიკის ბიჭებს და მერე უჩივოდა:

— მაწყენიესო.

უფროსი შვილიც მოჩხუბარი იყო და შფოთიანი, მაგრამ არავის არ უჩივლებდა და არ დააბეზღებდა, თუმცა ამხანაგებს არა ერთხელ უცემიათ. ეს კი მშიშარაა, ზარმაცი, ყოველთვის რაღასაც წუწნის, ღეჭავს. ცუდი ყოფაქცევაც ჰქონდა: ერთხელ ჩაიზე დედა რძეს უსხამდა, შემთხვევით სახელო მოსდვა ჭიქას და წააქცია, ფეხზე გადაესხა და დაიწვა:

— მე შევნიშნე, რომ უთუოდ დაღვრიდი,—გაიცინა და დაიტრაბახა იაკობმა.

— თუ შენიშნე, რად არა სთქვი? ეს ცუდია,—შენიშნა მამამ.—აი დედამ ფეხი დაიწვა.

იაკობმა ამაზე თვალები აახამხამა და ჩუმად განაგრძო ღეჭვა. რამდენიმე დღის შემდეგ კი მამამ ყური მოჰკრა, რომ ეზოში იგი ვიღაცას დიდი ამბით ეუბნებოდა:

— .... მე დავინახე, რომ ცემას უპირებდა. წამოვიდა, ჩუმად მოუახლოვდა და უკანიდან ერთი ისე დაჰკრა, რომ...

პეტრემ ფანჯარაში გადაიხედა. ნახა, რომ მისი შვილი ხელების ქნევით აგზნებული ელაპარაკებოდა საძაგელ ბავშს — პავლუშკა ნიკონოვს. მამამ მიიხმო იაკობი და ნიკონოვთან მეგობრობა აუკრძალა. უნდოდა ჭკუაზედაც დაერი-

ვებინა, მაგრამ იასამანისებურ თვალების კაკალში რომ ჩახედა და ღია გუგა დაუნახა, ამოიოხრა და ესღა უთხრა:

— წადი, შე თვალებ-ცალიერო.

ფრთხილად, თითქოს ლიპზე გაიარაო, ისე მოშორდა მამას იაკობი, დაყვები გვერდებზე მიიბჯინა და ხელისგული ისე გაშალა, თითქოს რაღაც ძვირფასი მიაქვსო.

— უშნოა, მოისულელებს, — გადაწყვიტა მამამ.

პეტრეს ქალიც, რომელიც უკვე დიდი იყო, იაკობს ჰგავდა. მას უყვარდა წიგნების წამოწოლილად კითხვა. ჩაიზე ბევრ მურაბას სჭამდა. სადილზე პურის ნაჭერს ზიზღით ფრცქვნიდა ორი თითით, თან კოვზს ისე ურევდა წვენში, თითქოს ჩავარდნილი ბუზი დაინახა და მისი დაჭერა უნდაო. სისხლისფერი ტუჩების მოკუმვით და ქალწულისათვის შეუფერებელი ხმით ხმირად მიმართავდა ხოლმე დედას:

— ახლა ამას ასე არ აკეთებენ. მოდა აღარ არის.

როცა მამამ ჰკითხა.

— ნასწავლო ქალო, რად არ გინდა დაათვალიერო, თუ როგორ ქსოვენ ჩვენში საპერანგო ტილოს? — ქალმა უპასუხა:

— ბატონი ბრძანდები. მე მზად ვარ.

სადღესასწაულოდ მოირთო. ბიძა ალექსის ნაჩუქარი ქოლგა ხელში დაიჭირა და მამას მორჩილი სახით გაჰყვა, ფაბრიკისაკენ. გზაზე ყურადღება იმაზე ეჭირა, რომ კაბის კალთა რასმე არ წამოდებოდა. რამოდენიმეჯერ ცხვირს დაცემინა, და როდესაც მუშებმა ჯანმთელობა უსურვეს, გაწითლდა და ჩუმად, კაბერილი სახის გაულიმებლად თავი დაუქნია. მამა უხსნიდა, როგორ წარმოებდა ძეშაობა ფაბრიკაში, მაგრამ როცა შენიშნა, რომ მისი ქალი დაზგების მაგიერ თავის ფეხებს უცქეროდა, გაჩუმდა. ასეთი გულგრილობა საქმისადმი პირად შეურაცხებად მიიღო. როცა ფაბრიკიდან გარედ გამოვიდენ, მან მაინც ჰკითხა:

— როგორ მოგწონს?

— ძალიან ბევრი მტვერია, — უპასუხა შვილმა და კაბას დაუწყო თვალიერება.

— ცოტა ნახე, — გაეცინა პეტრეს და ნაღვლიანად, მაგრამ აწეული ხმით შენიშნა:

— რა ამბავია, რომ სულ კაბას იწევ: ეზო სუფთაა და შენი კაბა კი ისედაც მოკლეა.

შეშინებულმა ქალმა კაბას ორი თითი გაუშვა და დამნაშავის კილოზე უპასუხა:

— ზეთის სუნია გამდგარი.

მამას ძალიან აჯავრებდა ეს მისი ორი თითი და ბუზღუნით შენიშნა:

— ორი თითით ბევრს ვერაფერს წაიღებ.

ავდარში, როცა ელენე სავარძელში იწვა და წიგნს კითხულობდა, მამა გვერდით მოუჯდებოდა და ჰკითხავდა, რას კითხულობო.

— ერთი ექიმის შესახებ.

— მეცნიერებაა მაშასადამე.

მაგრამ წიგნში რომ ჩაიხედა, აღშფოთდა.

— რას სტყუი? ეს ლექსებია, — მეცნიერება განა ლექსით იწერება?

ქალი დაიბნა და აჩქარებით რაღაც ზღაპარი უამბო: ერმერთმა სატანას ნება დართო ერთი გერმანელი ექიმი შეეცდინა, სატანამ ეშმაკი მიუგზავნა ექიმს. არტამონოვი ყურს ისრესდა და კეთილსინდისიერად ცდილობდა ამ ზღაპრის აზრის გაგებას. მაგრამ სასაცილო და სავალალო ის იყო, რომ მისი ქალი ისეთ კილოზე ესაუბრებოდა მას, თითქოს ასწავლისო. ეს ხელს უშლიდა პეტრეს და ზღაპრის შინაარსი ვერ გაიგო.

— ის ექიმი ლოთი ხომ არ იყო?

მისმა შეკითხვამ შეაკრთო ელენე. პეტრემ ახლა ყური აღარ დაუგდო შვილის ახსნა-განმარტებას და გაჯავრებულმა შენიშნა:

— სისულელეა რაღაც. სულ ტყუილი. ექიმებს ეშმაკი არა სწამთ. ვინ მოგცა ასეთი წიგნი?

— მექანიკოსმა მათხოვა.

პეტრეს მოაგონდა, რომ ელენე ხანდახან კატისებურ ნაცრისფერ თვალებს უცნაურად გააშტერებდა ხოლმე, და საჭიროდ სცნო ქალი გაეფრთხილებინა:

—კოპტევი შენი ტოლი არ არის. საქმე ნუ გაქვს მასთან.

დიახ, ელენე და იაკობი გაცილებით უფრო მოსაწყენი და უფერულები იყვნენ, ვინემ ილია. ამაში თანდათ.ნ რწმუნდებოდა პეტრე. არც კი შეუნიშნავს, რომ შვილის სიყვარულის ნაცვლად მის გულში პავლე ნიკონოვისადმი სიძულვილმა დაისადგურა. როცა შეხვდებოდა ამ ჩამომხმარ ბავშს, გაიფიქრებდა:

— ასეთი ქეციანისათვის რომ...

ეს ბავში ფიზიკურად ეზიზღებოდა პეტრეს. ნიკონოვი ზურგში მოკაკული დადიოდა. წაწვრილებულ კისერზე თავი მუდამ უკანკალებდა. მაშინაც კი, როცა ნიკონოვი გარბოდა, არტამონოვს ეჩვენებოდა, რომ იგი მხდალი არამზადასავით მიიპარებოდა. ბავში ბევრს მუშაობდა, მამინაცვალს ჩექმებს და ტანსაცმელს უწმენდდა, შეშას აპობდა, წყალი დაჰქონდა, სამზარეულოდან ნაგავი გაჰქონდა და პატარა ძმის სახვეველ-საგებელს რეცხავდა მდინარეში. ბელურასავით მოუსვენარი იყო, მაგრამ ბინძური, დაგლეჯილ-დაფხრეწილი დადიოდა. ყველას ელაქუცებოდა და რაღაც ძაღლური ღიმილით უღიმოდა. როდესაც კი არტამონოვს დაინახავდა, შორიდანვე თავს დაუკრავდა, ბატივით წაგრძელებულ კისერს მოღუნავდა და თავს მკერდზე ჩამოიზნექდა. არტამონოვს სიამოვნებას გვრიდა ამ ბავშის დანახვა, როცა წვიმა იყო ან ზამთარი იდგა და ბავში შეშას აპობდა: იგი ბატივით ცალფეხზე დადგებოდა ხოლმე, ცალს კი, რომელზედაც გაცვეთილი ჩექმა ძვრებოდა, მოიკეცავდა, და ამ სახით გაყინულ თითებს პირის ორთქლით ითბობდა. ახველებდა. გალურჯებულ ხელებს გულზე იკიდებდა, და ბურღივით იგრიხებოდა.

როცა არტამონოვმა შეიტყო, რომ პავლუშას აბანოს სხვენზე ორი მტრედი ჰყავდა დამწყვდეული, ტიხონს უბრძანა მტრედები გამოეშვა და კვლავ თვალყური ედევნებინა, რომ ბავში სხვენზე არ ამძვრალიყო.

— ჩამოვარდება, დაშავდება. არ ხედავ, რას ჰგავს: მყაყია.

ერთ საღამოს, როცა პეტრე შემთხვევით კანტორაში შეგზავნა, ნახა, რომ პავლუშა დანით იატაკს ფხეკდა და დაღვრილ მელანს სველი ჩვარით სწმენდდა.

— ვინ დაღვარა?

— მამამ.

— და არა შენ?

— ღმერთმანი მე არ მიქნია.

— მაშ, დინგი რატომ ჩამოგიტირის?

მუხლებზე მდგარმა პავლუშკამ ისე დახარა თავი, თითქოს ცემისათვის გაეშზადაო. მაგრამ არტამონოვმა მხოლოდ თვალებით განგმირა იგი და ამით დაკმაყოფილდა:

— ასე გინდა შენ.

მაგრამ უცებ, თითქოს მხოლოდ ახლა აეხილა თვალებიო, ულვაშებში ჩაიცინა. — მეტად ბავშური რამ და სასაცილო იყო, რომ ამ არარაობას ასე გადაემტერა:

— ჰე, მეც რით ვერთობი! — გაიფიქრა და ერთი მძიმე სპილენძის შაურიანი ნიკონოვის ბავშს წინ იატაკზე დაუგდო.

— წაიღე, კანფეტი იყიდე.

ბავშმა გასვრილი ხელის ჩხირები ისე გააშვირა ფულისკენ, თითქოს იმისი შიში აქვსო, ხელს მოვკიდებ თუ არა, დამწვავსო.

— მამინაცვალი გცემს?

— კი.

— რა ვუყოთ მერე? ყველას სცემენ, — ანუგეშა არტამონოვმა.

რამოდენიმე დღის შემდეგ იაკობმა პავლუშკას უჩივლა: შეურაცხება მომაყენაო. პეტრე არტამონოვმა, თუცა შვილის არა სჯეროდა, მაგრამ მაინც ჩვეულებისამებრ კანტორის მოხელეს ურჩია:

— გაწკეპლვა სჭირია გერს.

— არ ვაკლებ, — პატივისცემით მიუგო ნიკონოვმა.

(შემდეგი იქნება).

ლეონიდ ანდრეევი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცხენი სენატში*)

(ვოდევილი ერთ მოქმედებათ რომის ისტორიიდან)

„Калигула! твой конь в сенате
Не мог снять, сияя в злате:
Сияют добрые дела!“

დერჟავინი.

აქ იკრიბება რომის სენატი. ყველაფერი და ყოველივე დიად მასშტაბით, გრანდიოზული, გარდა... ადამიანებისა.

ზანტათ და მედიდურათ, თითქო ფეხებს მიწას არ აკარებენო, იკრიბებიან სენატორები დღევანდელ საზეიმო სხდომაზე. ყველაზე უფრო გამოჩენილთ და დამსახურებულთ მათ შორის გარს ახვევია მთელი ბრბო მსახურთა და მონათა. მელებივით დაძვრებიან აქეთ-იქით მლიქვნელნი—მრავლათ. და ვილაც ყველასათვის უცნობნი მუხუდოსფერ ხიტონებში—ნახევარ სენატორები,—წვეტიანი სახეებით და წყნარი გამომეტყველებით, ვითომც აქ არაფერიაო—ყველაფერს აკვირდებიან, ყველას უსმენენ, ყველაფერს სინჯავენ და თვალებით ზომავენ. მზე ანათებს. მშვენიერი დარია.

აი აგერ: ერთი ვილაც მოხუცი და თავმომწონე პატრიციი ესალმება მეორეს, აგრეთვე მოხუცს და არა ნაკლებ თავმომწონეს.

— სალამი შენ ღირსეულო პუბლი.

— სალამი შენ, სციპიო უდიდესო რომაელთა ტორის, დამამშვენებელო სენატისა!

თავს უკრავენ და გაიელიან, ამპარტავნობის გრძნობით წელი ისე მიაქვთ უკან გამოზნექილი, რომ იფიქრებ ეს-ეს არის ზურგით დაეცემიანო.

და აი აგერ: პირველი მლიქვნელი ყურში ჩასჩურჩულებს პირველ სენატორს:

— და მერე ასეთ ქურდს და არამზადას ასეთი ამალა!

მეორე მლიქვნელი აგრეთვე ჩასჩურჩულებს მეორე სენატორს:

— და მერე ასეთ მფლანგველს, მრუშს და ტუტუცს—ასეთი მხლებელნი.

და ორივენი, თითოეული თავის ადგილას, სასოწარკვეთით იქნევენ თავებს, რაც გამოხატავს მათ უზომო მოჭალაქეობრივ მწუხარებას.

მისალმების შემდეგ ერთ წრეში იკრიბებიან რამოდენიმე, შედარებით ახალგაზრდა, სენატორები.

———

პირველი. სალამი კლავდი.

მეორე. სალამი შენ, მარკ.

*) „ცხენი სენატში“ პირველად დაიბეჭდა გაზეთ „იზვესტიაში“ 1924 წელს, ე. ი. 6 წლი შემდეგ ავტორის სიკვდილისა. იმავე 1924 წელს ეს სატირა მოთავსებული იქნა ჟურნალ „Русский Современик“-ის პირველ ნომერში.

მესამე. რა დაგმართია მარკ? დღეს შენი სახე ნახევრად უფრო ფართეა ვიდრე გუშინ.

მარკ. დღეს ძალათ გამალვიძეს (ხრიწიანათ ახველებს) რა სისულელეზე დაგვიბარეს ნეტავ? თავი მისკდება პირდაპირ.

მეოთხე. ს-ს-ს!

მეორე. რალაც დიდი საქმე უნდა იყოს. ასე გადმომცეს მეკვეთლეს

მეოთხე. ჩუმათ!—შენ რა გინდა აქ?

ნახევარ სენატორი. მე? არაფერიც არ მინდა. საკვირველია ღმერთმანი, მე ისე. რა...

მარკ. (შეძარით) ისე?!

ნახევარ სენატორი. როგორი თალები, როგორი სვეტები. დერეფანი? თუმცა ეს დერეფანი არ უნდა იყოს, არამედ...

მეოთხე. გაათავე?!

ნახევარ სენატორი. დიდათ გმადლობთ, ყველაფერი დავათვალიერე. (მიდის) ახ, რა საოცარი არქიტექტურაა, ა!..

მარკ. (ხრიწიანი ხმით) სამარცხვინო ხელობა! დავიჭერ მაგ არამზადას სადმე კაპიტოლიის ახლო და ვაჩვენებ...

მეხუთე. (ფსალმუნმა ალელუიმით) გაიგონეთ?

ხმები. არა, რა? რა ამბავია? სთქვი რალა აგრიპა.

აგრიპა. პირდაპირ არ მესმის, საით მივდივართ. ეს პლუტონმა იცის, რა ხდება. ამბობენ დაჯერებით, ტოგა უნდა დაგვიმოკლონო.

მეოთხე. ეს შეუძლებელია, წარმოუდგენელია. როგორ თუ ტოგა დაგვიმოკლონ?

აგრიპა. მთელი წყდით, ან და, შეიძლება, ორი წყდითაც: ერთი სიტყვით, მუხლების ზევით. არა, წარმოგიდგენიათ? როგორი რომაელები ვიქნებით ამის შემდე? (ყველანი განცვიფრებაშია).

მრკ. (ამოოხვრით) ესეც ჩვენ!

აგრიპა. მერე იცით? უნდათ, ჩვენ თვითონ მივცეთ ხმა ამას. წარმოგიდგენიათ?

მარკ. (ცალკე ოხვრით) ესეც ასე! რას იზამ, დაგვიმოკლებენ.

მეორე. არავითარ შემთხვევაში!

მარკ. (მოწყენით) ისე დაგვჭრიან, რომ თქვენი მოწონებული.

აგრიპა. ვერა, ვერ დაგვჭრიან. ბოლოს და ბოლოს ჩვენ ხომ თავისუფალი მოქალაქენი ვართ და არა მონები.

მეორე. ვერავინ გაბედავს ხელი ახლოს რომის სენატს.

აგრიპა. და თუ კი დაგვჭრეს, დეე ფეხებიც დაგვჭრან. თუ კი ჩემმა წინაპარმა, მუცი სცევოლამ, მსხვერპლად გაიღო თავისი ხელი, მეც...

მარკ. შენთვის, აგრიპა, დაბოლოს სულ ერთია მაინც; ფეხები ისედაც გაფუჭებული გაქვს, დაკორძილი. მაგრამ ჩემი იკითხე ახლა შენ?

მესამე. შენ მარკ, მხოლოდ იმას აკეთებ, რომ სვამ და წევხარ,—მართლაც და რად გინდა შენ ფეხები? მე კი რა ვქნა!

ყველანი მოიღრუბლენ. მსახურთა მთელი ამალით ერთმანეთს ხვდებიან და სალამს აძლევენ თავმომწონე სენატორები (ორი).

მარკ. არა, უფეხოთ მართლა და როგორ შეიძლება! არ მინდა სწორედ უფეხოთ ვიქნე. (შაბართაკს თავმომწონე სენატორს). სალამი შენ, დიდებულო ტიტ! ხომ არაფერი იცი ჩვენი ღვთაებრივ კეისარის ახალ ნება-სურვილის შესახებ?..

ტიტ. ვიცი. სალამი თქვენ. გუშინ ვიყავი კეისართან, ... საკვირველი თავია! მერე როგორი ნათელი გონება!

ყველანი. დიახ. დიახ!

მეორე თავმომწონე სენატორი. (ბუტაფორიულ პიროვნულს) მეც ვიყავი კეისართან. თვითონ მიმიწვია. მერე, როგორი ღვინო! ისე დავმძიმდი, რომ ხუთმა მონამ ძლივს გამომიტანა!

ტიტ. მერე, რა არის აქ ისეთი? მე ექვსმა გამომიტანა. არ მესმის სწორედ. (მარკს) როდესაც მთვრალი ხარ, შენ მარკ, რამდენი მონა მიგიტანს სახლში?

მარკ. (ჩასაფთქვნოთ) თორმეტი. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ტიტ, შენ ხომ არაფერი გაგიგონია იმის შესახებ, რომ ჩვენმა დიდმა კეისარმა, ღვთაებრივმა კალიგულამ, გამოსთქვა სურვილი—დაგვიმოკლოს ჩვენ ტოგა.

ტიტ. ტოგა?

მეორე თავმომწონე სენატორი. დაგვიმოკლოს?

ორივენი მოწყალებით იცინიან.

ტიტ. რა ესაქმება მას თქვენი ტოგა?

მეორე. და მართლაც რა სისულელეს იტყვიან!

აგრიპა. მაშ რაშია საქმე? ამიხსენით ხვთის გულისათვის, რატომ მოუწვევიათ ეს საზეიმო სხდომა? მე ისიც მითხრეს, რომ გზირები უფრენიათ იმათთანაც, რომლებიც ქალაქ გარეთ ცხოვრობენ, ალბანოში. ხომ ხედავთ რამდენი შეიკრიბენ. ჩვენ კი ასე შევშინდით...

ტიტ. სისულელეა! კეისარს სურს მოაწყოს მთელი რიგი დიდ-მშვენიერ დღესასწაულებისა...

საერთო სიხარული; ხმაურობა. ხმები.

ტიტ. დიახ, დიახ!—და მას ჭირდება ფული, ხომ გესმით, ბევრი ფული (აცინის, გაბუტული თითქოს აფშვნეცს) ქელქშოს დარჟან!

აგრიპა. (სიხარულით) სესხი? ხო, ეს სხვა საქმეა.

ყველანი. ეს სულ სხვა საქმეა.

მარკ. ესენი რამდენიც ენებოს. მთავარი ისაა, რომ ფეხები...

მეოთხე. ისტორიაც იძულებულია აღიაროს, რომ „პური და სანახაობა"... საერთოდ ეს პრინციპი... ერთი სიტყვით (აფნეჯა ხელ), არ მესმის ღმერთმანი რა არის აქ... ششش!

მეორე ნახევარსენატორი. მე... არა... არაფერი ისე... მომესმა, თითქოს ანეკდოტს ამბობდენ აქ და... ხომ იცით, მე ძალიან მიყვარს ასეთი ცოტა უწმაწური... ხე-ხე-ხე... სამარხვო!

ტიტ. ჰა, ეს შენა ხარ? გამარჯობა, გამარჯობა. რატომ ჩემსას არ შემოდიხარ შე არამზადავ შენა?

ნახევარსენატორი. არ მცალია, ჩემო კეთილის მეურველო, სრულებით. იმდენი საქმე მაქვს და საზრუნავი, რომ მართლაც მიტრიალებს თავი.

ყველა დანარჩენი მოწიწებით იქით-აქეთ მიიწ-მოიწევიან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტ. შემოიარე, შემოიარე.

ნახევარსენატორი. დიდათ გმადლობთ, ჩემო კეთილის-მქნელო, დიდათ... მართლაც და ისეთი ახალი ცხელ-ცხელი ამბები ვიცი, ისეთი, რომ... (ჩუმად ყურში) შენ ხომ არ გაგიგონია, რას ამბობდენ ისინი აქ, ა? ეს აგრიპა რალაც არ მომწონს. დიდი ხანია უთვალთვალებ.

ტიტ. ეჰ, სულელი ყოფილხარ, როგორც გატყობ, ჩემო ძმაო. მე აქ ვარ, და რა უნდა სთქვან, ა? წავიდეთ. ჰო და გუშინ კეისარი მეკითხებოდა რომ...

მიდიან. დანარჩენნი კვლავ უბრუნდებიან თავიანთ ადგილებს.

მარკ. ტყვილად არ დაგვაშინეს!! ახირებული კაცი კი ხარ, აგრიპა.

მეორე. ეს დღესასწაულები კი კარგია ღმერთმანი. ხალხი რატომღაც ღელავს. გუშინ ჩემმა მონებმა ჯოხებით ძლივს გამიკაფეს გზა.

აგრიპა. მე თვითონ კმაყოფილი ვარ, ჩემო ძმაო. მაგრამ ჩუ,—მარცელი მოდის.

ხმები. მარცელ! მაშ ასე, ისიც მოუწვევიათ! არა აქ ხუმრობა არ უნდა იყოს.

მარკ. მართალი გითხრათ, იმისი ძალიან მეშინია. უცებ მოუვარს თავში და პირდაპირ გეტყვის: საძაგელი ადამიანი ხარ შენ მარკ, რა ვქნა მაშინ, რა ვუპასუხო? განა მართალი არ არის?

აგრიპა. ცოტანი დარჩენ მაგეთები.

ყველანი მოწიწემით ესალმებიან მარცელს. უკანასკნელი ჩერდება.

მარცელ. სალამი თქვენ, მეგობრებო! ხომ არ იცით რატომ მოგვიწვიეს დღეს? მთელი რომი მხოლოდ დღევანდელ კრებაზე ლაპარაკობს. ნეტავ რომი ხომ არ იწყება გალლებთან?!

აგრიპა. სადაც შენ ერთხელ უკვე მოიხვეჭე ასეთი სახელი, დიდო მარცელ მაგრამ არა! ამბობენ დიდ დღესასწაულისათვის ემზადებიან და ფულებია საჭიროო.

მარცელ. ხოოო!

ყრუ და ნახევრად ბრმა სენატორი. მეე? მე ყოველთვის ხმას ვაძლევ, ყოველთვის თანახმა ვარ. რა? როგორ? ხო, კი. ყრუ ვარ და როგორ შემიძლია წინააღმდეგ მივცე ხმა? ხო და ასე. რაო რა სთქვი? რაც გინდა ისა სთქვი, მე ხომ მაინც არაფერი მესმის. ეს შენ ხომ არა ხარ, მარცელ? ძალიან ცუდად ვიხედები. ჩვენ ერთად ვიყავით გალლიაში. მე ანტონიუსი ვარ, ხომ გახსოვს!!

მარცელ. დიახ, მე მარცელი ვარ, მაგრამ შენ კი უკვე არა ხარ ანტონიუსი (მიდის).

ყრუ. რაო, რა სთქვა? ხოო, როგორც ენებოს, რაც გინდა ისა სთქვი, მე მაინც არაფერი მესმის, ეხლა წავალ სხვებთან სალაპარაკოთ.

საერთო სიცილი. მიდის. ერევა ვიღაცეებს ლაპარაკში. თითქმის ყველა სენატორები მოსულან: ჯგუფებად არიან დაყოფილი. ჩვენს ჯგუფთან მოიჩქარის წარმოუდგენლივ აღელვებული, მრგვალი როგორც, ბურთი, სენატორი მენენი სიტყვის თქმას ვერ ახერხებს. სული ეხუთება, მხოლოდ-და ხველებს იქნევს.

აგრიპა. რა ამბავია? რა დაგემართა, მენენი?

მარკ. მართლაც რა დამართია? გონს მოდი, მენენი!

მენენი. ოხ, ოხ, ხო-ხო-ხო... უხ!

მეოთხე. სთქვი რაღა, რაშია საქმე?

მენენი. ქე... ქე... ქე... სენატორათ. ოხ ღმერთებო.

მოდიან სხვებიც.

ხმები. რა ამბავია? გაიგონეთ, გაიგონეთ. სთქვი მენენი, სთქვი. ვინ მოკვდა?

მენენი. არავინ. კეისარი... კეისარი... ღვთაებრივი კეისარი. ოხ, ოხ, ქერა, ქერა. სენატორად... დანიშნეს! ოხ! ღმერთებო! ქერა! (სცემს).

მარკ. რა ქერა, რის ქერა? ღვთის მადლმა, გაგიჟებულა, თუ მთვრალია.

მენენი. არა, არ ვარ მთვრალი, არც გიჟი.

მარკ. მაშ რად სტირი? სთქვი, ამოიღე ენა.

აგრიპა. რომელ ქერაზე ლაპარაკობს? მერმე რატომ ღელავს ასე? განა ცოტაა სენატორები.

მესამე. და მართლა ვინ არის ჩვენ შორის ქერა? სციპიონი—ეს ერთი.

მეორე. ვამილ—ორი გელვიდი—სამი.

მენენი. (სცლიშას ქნევით) ახ, არა, არა. ცხენი, გესმით, ქერა ცხენი!

ყველანი. რა ცხენი? რას ბოდავს ნეტავი?

მენენი. კეისარმა დანიშნა თავისი ცხენი... აი ის, ქერა ცხენი, ხომ იცით?..

ხმები. კი ვიცით, მერე, მერე: სთქვი ჩქარა!..

მენენი. (ტრაგიკულად) ხო და კეისარმა დანიშნა თავისი ულაყი — სენატორათ, ოხ!

სიჩუმე და შემდეგ საერთო ხარხარით მოდიან კიდევ სხვებიც, და გაიგებენ თუ არა რაშია საქმე, მორთავენ ხმამაღლა სიცილს. მენენი იქნევს ხელებს, მაგრამ მას ყურადღებას არავინ აქცევს.

ხმები. სთქვა, მარა რა სთქვა. ულაყი—სენატორი! ხა-ხა-ხა! მერე, ვინ სთქვა? მან?? ხა-ხა-ხა...

(როგორც იქნა დაწყნარდენ)

მენენი. (ყვირილით) ვირებო! სულელებო! ჩერჩეტებო! რას იცინით? მართალს გეუბნებით: დანიშნა, დანიშნა და დღეს აქ მოიყვანენ სწორედ.

კვლავ ხარხარი.

მენენი. დიახ, აქ მოიყვანენ, სენატში, აბა როგორ გგონიათ: და ჩვენ სალამით უნდა შევხვდეთ: ახალ სენატორს ე. ი. ქერა ულაყს. აი ჩემი დაწერილი სიტყვაც, რომელიც მე უნდა წარმოვსთქვა (აჩვენებს ყველას). აი კონსულებიც, მათ ყველაფერი იციან, აბა ჰკითხეთ მათ თქვე ჩერჩეტებო!

გაკვირვება, სიჩუმე. ზოგიერთნი კიდევ იცინიან, მაგრამ უმრავლესობის სახეებზე უკვე სერიოზული გამომეტყველებაა აღბეჭდილი. მოდიან კონსულები: ორი კუბტად ჩაცმული—თავმომწონედ ალერსიანი სახით.

პირველი კონსული. გეტყობათ კარგ ხასიათზე ხართ! ძალიან სასიამოვნოა. რა მშვენიერი დღეა?

მეორე კონსული. მართლაც რომ მშვენიერი დარია! ჩიტებს! — ადიდებს იუპიტერს. ჩვენი ღვთაებრივი კეისარი თავს მშვენივრად გრძნობს დღეს და მადლობას გიხდით ყველას. მე ვფიქრობ, სულ მალე დავიწყებთ, ა.?

აგრიპა. (ენის ნიკაპიკით) ნუთუ მართალია, ა?

ორივე კონსული. (აღფრთოვანებით) რა, ძვირფასო ამხანაგო?

მარკ. (ღაღადებით) ქერას შესახებ აქ ისეთ რამეებს როშავდა მენენი, რომ...

კონსულები ღებულობენ ალერსიან, მაგრამ ცოტათ ნაღვლიან სახეს: თუმცა იგი მხოლოთ ერთ მხარეს აქვთ ნაღვლიანი, მეორე მხარეს კი უბრწყინავთ უწყინარი მხიარულებით.

პირველი კონსულ. მაშ, თქვენ უკვე იცით? დიახ, დიახ! როგორ არა, სწორედ რომ ასეა. შემიძლია მოგილოცოთ თქვენ ყველას ასეთი სასიამოვნო ამბავი, ბატონებო. კეისარის უსაზღვრო მოწყალებით დაგვინიშნეს და დღესვე გვექნება ბედნიერება მივესალმოთ ჩვენ შორის ჩვენს ასე ვსთქვათ. ახალ თანა...

ნახევარ-კონსული. (თავს გამოყოფს) სენატორს.

კონსული. დიახ, დიახ, დიდათ გმადლობთ, რასაკვირველია, სენატორს. აბა როგორ იქნება?! ეს იქნება სავსებით ღირსეული ანდა უფრო კარგათ რომ ვსთქვათ... ხო, ღირსეული...

მეორე კონსული. (ეჯარნაბეშს) ცხოველი.

კონსული. დიახ, დიახ, ცხოველი. მაგრამ, ბატონებო, განა ჩვენ ყველანი ცხოველები არა ვართ? დიახ, ყველანი ცხოველები ვართ. და თუ კი ზოგიერთ თქვენგანს ორი ფეხი აქვს, სამაგიეროთ ხომ არიან ისეთებიც, რომელთაც მხოლოთ ერთი ფეხი აქვთ, მაშ, რატომ არ შეიძლება ოთხი ფეხიც გვექნეს?

მეორე კონსული. კანონშიაც არაფერია ნათქვამი ფეხების რაოდენობის შესახებ. და თუ აღნიშნული ულა... ულა...

მარკ. (ბრაზიანად)... ყი—სთქვი რაღა! ოხ, იუპიტერ, იუპიტერ!

პირველი კონსული... მისი ბრწყინვალე წარსული ყველამ ვიცით. მხოლოდ ერთი წელი გავიდა მას შემდეგ...დიახ, მან მიიღო საჩუქარი ცხენთა შეჯიბრში... და საერთოდ ჩვენ უნდა ვამაყობდეთ კიდეც და გვიხაროდეს...

მეორე კონსული. და თუ კი არის რაიმე იჭვები კანონის მიხედვით, ეს მხოლოდ წლოვანობის შესახებ. ჩვენი ახალი პატივცემული ამხანაგი, მხოლოდ ექვსი წლისაა.

პირველი კონსული. მე აქ არ შემიძლია არ განვაცხადო, რომ არ ვიზიარებ პატივცემულ კოლეგას ეხლა გამოთქმულ მოსაზრებას. საქმე იმა-

შია, რომ ისეთ სულიერთათვის, რომელთაც ოთხი ფეხი აქვთ, წლოვანება იზომება სულ სხვაფრივ, იმიტომ რომ ოთხფეხთა გონებრივი სიმწიფე, როგორც ცნობილია, იწყება...

აგრიპა. მე სასტიკ პროტესტს ვაცხადებ (საჭმელთ აღშფოთება და გულისწყრომა).

ხმები. ჩვენც, ჩვენც!

აგრიპა. რომის ისტორიაში არ ყოფილა ასეთი სამარცხვინო რამ.

ხმები. არ ყოფილა, არ ყოფილა! ძირს ქერა, ძირს ულაყი!

აგრიპა. (გაბუნეულია) ჩვენ გვინიშნავდენ არა ერთს და ორს არამზადებს—და ჩვენ ვსდუმდით, ჩვენ ვთანხმდებოდით. მაგრამ ისინი ყოველ შემთხვევაში ორ ფეხიანი მაინც იყვნენ, ეხლა კი ოთხფეხი...

ხმები. მართალია, არ შეიძლება! ძირს ოთხფეხიანი.

აგრიპა. ქურდებს და კეისარის საყვარლებს გვერდით გვისვამდენ...

მარკ. (ფოლს აფაფუქებს აგრიპას) შენ... ჭკუაზე ხომ არ შეშლილხარ.

თითქო ყველანი გონს მოვიდენ. დაჩუმდენ. სიწყნარეა.

პირველი კონსული. (ფეხზეა) შენ, მგონი, რაღაც სთქვი, აგრიპა?

ნახევარსენატორი. (ჩუჩუნით) სთქვა: კეისრის საყვარლებიო.

პირველი კონსული. ასეთია ბრძანება ღვთაებრივ კეისრისა. და თუ კი შენ, აგრიპა, არ მოგწონს ეს, შეგიძლია განაცხადო. რაოდენიმე წუთის შემდეგ კეისარიც მოვა... მაშინ მოიყ...

ნახევარსენატორი. მოიპატიჟებენ.

პირველი კონსული. დიახ, მოიპატიჟებენ ჩვენს ახალ და ყოვლად ღირსეულ კოლეგას. აქვე უნდა შევნიშნო, რომ კეისარი ფიქრობს, რომ თქვენი შეხვედრა იქნება განსაკუთრებით მეგობრული და გულწრფელი. კეისარი ღრმად არის დარწმუნებული, რომ ჩვეულებრივი თქვენი თავდაჭერილობა არ შეგიშლით ხელს თქვენ, ქვეყნის მამებო, სრული სიღრმით გამოსთქვათ თქვენი აღტაცება და მადლობის გრძნობა ღვთაებრივ ავგუსტის მიმართ მისი ასეთი მოწყალების გამო. მისასალმებელ სიტყვის შემდეგ, რომელსაც წარმოსთქვამს მენენი.

მენენი. ეხ!

პირველი კონსული. აჰ, ეს შენა ხარ, მარცელ, ძალიან გამეხარდა შენი ნახვა, ძალიან.

მარცელ. მეც. შენ თვითონ შემოიყვან ცხენს?

პირველი კონსული. (ეცინებათ) არა, მაგრამ შენ კი ეტყვი მას მეორე მისასალმებელ სიტყვას... ასეთია სურვილი ღვთაებრივ კეისრისა. ის წინდაწინვე გრძნობს აღფრთოვანებას შენი ცნობილი ჭერმეტყველებით.

მარცელ. (გაფითრებული) მე ცუდი ორატორი ვარ. მე მხოლოდ ბრძოლა ვიცი.

პირველი კონსული. შემიძლია გადმოგცეთ მხოლოდ ის, რაც კალიგულამ ბრძანა.

მარცელ. კეისარს უთხარი რომ....

პირველი კონსული. (ეჯაჰის ნაშნად ფრიალ სალეშს მაღლა იქნევს) შეუძლებელია ღირსეულო მეომარო! განა მე გავბედავ რაიმე გადავცე კეისარს!? (ალეჰსიანად იღიმება) შემიძლიან მხოლოდ გავიმეორო, რომ ის წინასწარვე უდიდეს აღფრთოვანებაშია. მაშ ასე, მომილოცავს ბატონებო.

კონსულები ლიკტორებისა და შრავალ ოიცხოვან ამალის თანხლებით მიდიან (ორივე). მარცელი მარტო რჩება, რადგან ის ყველამ მიატოვა. ძალზე გაფითრებული ისიც ნელი ნაბიჯით მიდის საერთო სიჩუმე და შემდეგ აღშფოთების საერთო ხმაური.

— გაუგონარი რამ ხდება!

— არ ნახული!

— ბრბო მასხრად აგვიღებს! გავაგდოთ ეს ცხენი!

— ძირს ულაყი! ძირს ქერა!

მარტოხელა ხმა. ძირს კალიგულა!

უცებ სიჩუმე. ყველანი მიიხედ-მოიხედავენ; ნარკ მოათრევს შეშინებულ ნახევარსენატორს, ხარხარი.

მარკ. აი ესეც. შენ რასა ყვირი, ა? ვის უძახი „ძირსო“?

ნახევარსენატორი. იუპიტერის მადლმა, მე არაფერი... განა მე...

ყველანი. გაეთრიე აქედან.

ნახევარსენატორს პანღურისცემით „იმასპინძლებენ“. დანარჩენი ნახევარსენატორებიც შეშინებულნი მიიპარებიან. მხოლოდ შორიდან ყურს უგდებენ კიდევ, შეიძლება რაიმე გაიგონონ, გაიგონ. თვალებში სასოწარკვეთაა. ხმაურობა ცოტა წყნარდება.

მესამე. არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავეთანხმოთ. მართლაც და რასა გავს ეს? ყველა კარებზე სწერია: სენატი და რომის ხალხი და უცებ... რაღაც თუ ვიღაც ცხენი... ქერა ულაყი!!

— საჯინიბო ხომ არაა ჩვენი სენატი!

— თავლა.

მეოთხე. ჩუმად, ჩუმად, სენატორებო! უნდა ვიმსჯელოთ.. ასე ხომ არ იქნება. აი აგერ ტიტიც მოდის—ვკითხოთ მას, ნუ თუ ისიც... ტიტ, ტიტ!

ხალხში დიდი სიძნელით გზას იკვლევს პატივცემული ტიტ, რომელსაც ეტყობა სადღაც დაუკარგავს თავმომწონეობის მნიშვნელოვანი ნაწილი.

ტიტ. მე წავედი და არ გამიგონია თუ რა... ყვირილი, ხმაური—რა მოხთა მეგობრებო? ამბობენ რომელიღაც ცხენის..

მარკ. რომელიღაც კი არა, კეისარის ულაყის შესახებ. ქერა ცხენი იცი? ულაყი?

ტიტ. ვიცი. მერე?

მარკ. მერე და: სენატორად დაუნიშნავთ. შენთან გვერდით იჯდომება სხდომაზე.

კვლავ ხმაურობა და ხარხარი. გულწასული ტიტ იქვე ეცემა.

ხმები. ცხვირში, ცხვირში ულიტინეთ! წყალი!

ტიტ მოსულიერდება.

ტიტ. (სუსტი ხმით) ნუ თუ ეს მართალია? ოხ, იუპიტერ!
— რა ვქნათ, რა ვქნათ ტიტი...

აგრიპა. მე იმ აზრისა ვარ, რომ უნდა მივმართოთ ხალხს და ლეგიონებს.

ტიტ. (ხელს იქნევს) რას ამბობ! არავითარ შემთხვევაში. მოითმინეთ. მოვიფიქრო!

ფიქრობს. დანარჩენნი—ხახა დაღებულნი შესცქერიან მას.

ტიტ. მაშ ასე.

ხმები. გაიგონეთ! გაიგონეთ!

ტიტ. როგორც უხუცესი ამ მაღალ კრებულისა—მე გადაწყვეტით ვამბობ: არ უნდა დავმორჩილდეთ. (ზეწოლეების ხმები) ღვთაებრივი ავგუსტი, როგორც ეტყობა, რაღაც შეცდომაში შესულა. როგორ შეიძლება ცხენი სენატორად? მაშ მეც ცხენი ვყოფილვარ, არა? (ბრაზე ირთვიან) ულაყი? ეტყობა კეისარს ისე არ მოახსენეს, როგორც საჭირო იყო, და ისიც თავის უსაზღვრო სიყვარულით ხალხისადმი—შეცდომაში შეიყვანეს: ღვთაებრივმა ვერ განსჭვრიტა, თუ რამდენი...

ხმები. რამდენი ფეხი აქვს ქერას?

ტიტ. ხო, კი—ვერ განსჭვრიტა, თუ რამდენი ფეხი აქვს და ასე საერთოდ. მაგრამ საქმე ფეხებშიაც არ უნდა იყოს: საკითხი, ჩემის აზრით, უფრო ღრმათა სდგას. უნდა მივმართოთ პეტიციით კალიგულას, ვთხოვოთ გააუქმოს ეს არა მართალი... ან და უკეთ რომ ვსთქვათ... არა ტაქტიკური გადაწყვეტილება.

ნახევარსენატორი. (თავს გაბეზღავს) მაშ, შენ ტიტ?

ტიტ. წასულხარ პლუტონთან! დიახ, მეც, მერე რა? დაიკარგე აქედან!

ყვირილი „წაეთრიე", „დაიკარგე"—ნახევარ სენატორი მიიმალება.

ტიტ. პირველ ყოვლისა, უნდა მოვაგონოთ ღვთაებრივს ჩვენი დამსახურებანი, ჩვენი მზად ყოფნა, რომელიც საჭიროდ არ ხდის, ასე ვთქვათ, აუცილებლად შემოყვანილ იქნეს ჩვენს წრეში კიდევ—ახალი...

ხმა. ცხოველები.

ტიტ. დიახ, ცხოველები. განა ჩვენ ყოველთვის ყველაფერში თანახმა არ ვიყავით? ჩვენ ყველანი ხომ ვსდუმდით, როდესაც კეისარმა გაძარცვა ასე ვთქვათ, მთელი ხალხი და შეკრებილი ფულები იფლანგებოდა ლოთობაში და ორგიებში. ჩვენ ყველანი ვსდუმდით, როდესაც ის მარგალიტებს ძმარში ადნობდა და ისე სვამდა ამ მეტად ძვირფას და ნაკლებ სასარგებლო სასმელს. ვსდუმდით, როდესაც ის მხეცებს საკვებათ რომის მოქალაქეებს უყრიდა სამხეცეში, რადგან არავის არ შეგვქონდა იჭვი მის რწმენაში, რომ ასეთი საქმელი გაცილებით უფრო იაფი ჯდებოდა. მახსოვს მე თვითონ გამოვარკვიე ეს საკითხი და იმ დასკვნამდე მივედი, რომ მართლაც ასეთი კვება მხეცებისა, მიხედვით სანოვაგის საზღაპრო სიძვირისა...

ხმები. მოკლეთ, ვიცით!

ტიტ. ჩვენ მაშინაც ვსდუმდით, როდესაც ის ბრიტანეთში წავიდა ლაშქრობით და იქიდან ტყუილებს გვწერდა, რომ ვიმარჯვებო, მაშინ, როდესაც მხოლოდ ლოკოკინებს იჭერდა ზღვის პირად. ჩვენ ვსდუმდით, როდესაც მან თავისი თავი ღმერთად გამოაცხადა, და სხვა ღმერთებს კი თავები წააგდებინა; მათ ადგილას [illegible] ეგლებს დგამდა. და თუ კი ყოველივე ეს ასეა და ეს რომ [illegible] ყველამ ვიცით—მაშ რატომ, რისთვის ასეთი შეურაცყოფა. რატომ? (ცდარის) მე უკვე მოხუცი ვარ, რომის მამა და განა შემიძლია ავიტანო, როდესაც ჩვენს გვერდით ქერა ცხე... ცხე... (ძვითინებს).

მენენი. (იგიც ძვითინებს) ულა... ულა... ყი... ყი.

ტიტ. (ცრარღით) ტოგა მოსხმული.. ტოგა მოსხმული.. (წყნარდება) მე უნდა ჩემი თვალებით ვიხილო, როგორ დასვრის იგი იმ ადგილს, სადაც მე... და მერე რისთვის? მე გეკითხებით თქვენ. სად არის ჩვენი დანაშაული? რაშია ჩვენი ბრალი? განა ჩვენ ოდესმე სიტყვა გვითქვამს საწინააღმდეგო? სულ ვსდუმდით, ვჩუმდით...

ხმები. კმარა, კმარა! ვთხოვოთ! არ არის ჩვენი ბრალი! ვთხოვოთ! ძირს ეს წყეული ცხენი!

აგრიპა. მე პროტესტს ვაცხადებ! რომის სენატორებო, გონს მოდით!

ყრუ სენატორი. (ჩიფჩიფით) მე ხმას ვაძლევ, მომხრე ვარ, მომხრე!

აგრიპა. თხოვნა კი არა, მოთხოვნა, რომის სენატორებო, მოთხოვნა! თუ კი რაიმეში დანაშაული მიგვიძღვის, დეე, დაგვინიშნონ სასჯელი, კანონების მიხედვით,—თორემ ეს რასა ჰგავს;—ცხენი ჩვენთან ერთად, სენატორი! რა არის ეს? აქ ბევრნი ყურადღებას აქცევენ იმას, რომ ცხენი ქერაა, ჩემი აზრით კი საქმე ფერი კი არაა, არამედ ის, რომ ყველანი ავდგეთ და პროტესტის ნიშნათ წავიდეთ აქედან.

ხმები. კარგია, მართალია! წავიდეთ, დავსტოვოთ სენატი!

აგრიპა. (მოწონებით უსმენს თავის თავს) და როდესაც ჩვენ ყველანი, ტოგით დაფარულ თავებით, ტანჯვა აღბეჭდილი სახეებით და ამაყნი ჩვენი ბედის წინაშე...

შემოსავალთან ჩოჩქოლია. გამოჩნდებიან კონსულები და იმპერატორის პრეტორიანთა გვარდია. ლიქტორები გაიძახიან: „ადგილებზე! ადგილებზე; გზა იმპერატორს! აგრიპას გარშემო თავმოყრილი სენატორები საჩქაროდ გარბიან თავ-თავიანთ ადგილებისაკენ.

აგრიპა. (ამაყი ხმის) და ვნახოთ ვინ დარჩება მაშინ სენატში? ვინ მოვა სხდომაზე? მხოლოთ ერთი ულაყი. სწორედ იმ ადგილას, სადაც ოდესლაც კეთილშობილი ბრუტი...

პრეტორიანელი. (ჯიჯგნით) გზა!

გონს მოსული აგრიპა გარბის თავის ადგილისაკენ. ხმაური, მოძრაობა, ჩოჩქოლი. გზა აბნეული მოხუცი სენატორები გარბიან. თავიანთ ადგილებს ვერ ნახულობენ, იბრძვიან, ჩხუბობენ. შემოდიან გადამწერები. ყველა კუთხეებიდან და ნახვრეტებიდან გამოიყურებიან ნახევარსენატორები; მზათ არიან შეადგინონ გონებრივი ანგარიში სხდომისა. გასავალ კარებს იკავებენ პრეტორიანელები.

გამოჩდება კალიგულა; გარს ახვევია მრავალრიცხოვანი ბრბო განებივრებულ მეგობრებისა, პრეფექტებისა და სხვა მაღალ ხარისხის სამხედრო პირებისა. კალიგულა მთვრალია და ორი მისი მეგობარი, პრისკი და დიომი, ბვერდში ამოუდგებიან მას. ასე მოდიან. კეისარს თავს უმშვენებს ოქროს დაფნის გვირგვინი. მისი პატარა და დაბერილი თვალები აღსავსეა ძილით და სისასტიკით. თავხედობის ნიშნად კეისარი ცალ ფეხს ისე მოათრევს, თითქო „ეკრენდელებს" გამოყავსო მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გაიცინებს, მეგობრებს მოიწვევს და მარტო, საკმაო მტკიცედ, ადის მაღლობზე, სადაც კეისრის ადგილია (ავანსცენის მარჯვენა კუთხეში) ამაღლა თავსდება მის ახლო-მახლო.

როდესაც კალიგულა თავის ადგილს დაიჭერს, მთელი სენატი ფეხზე წამოდგება და უმართავს მას ოვაციას, რომაულათ ტრიუმფს. ხმები: „დღეგრძელ იყავ კეისარო! სიცოცხლე კეისარს" კალიგულა არავის ესალმება, ისე აკვირდება ათვალიერებს მყვირალთ, შემდეგ ეტყობა მობეზრდა — ხელს ჩაიქნევს: კმარა.

ხმაურობა შეწყდება, სენატორები ჯდებიან. სხდომას ხსნის პირველი კონსული.

პირველი კონსული. რომის სენატორებო! ღვთაებრივი კეისარი მუდმივ ზრუნავს რომაელთა კეთილდღეობისა და რესპუბლიკის ბრწყინვალეობისათვის. და სწორედ ამიტომ ბრძანა და ინება მან, დანიშვნა ახალ სენატორისა. არავითარ მსხვერპლის გაღების წინაშე არ ჩერდება მისი დიადი გული, რა ზომ მძიმე არ იყოს იგი მისთვის. სახელმწიფოებრივ საჭიროებათა გამო კალიგულამ უარი სთქვა თავის საკუთარ საყვარელ ულა... ცხ...

მეორე კონსული. (უკანასკნელს) ცხენზე.

პირველი კონსული. დიახ! ცხენზე! და ეხლა ეს უკანასკნელი, უკვე როგორც სენატორი და ქვეყნის მამა, პატივს გვცემს ჩვენ აქ მოსვლით და ჩვენ ბედნიერნი ვართ, რომ...

კალიგულა. (ხმამაღლა) რას ბოშავს?! გააჩერე, პრისკ. უთხარი რომ ისევ ძველებურად ვიჯირითებ ქერაზე... ეს, რა მოიგონა ამ სულელმა!

პრისკ. (ზარმაცად) ეი, შენ...

პირველი კონსული. ვიცი, ვიცი... კეისრის წყალობა იქამდე დიდია და უზომო, რომ ის მომავალშიაც არ მოაკლებს ყურადღებას ახალ სენატორს და კვლავ ძველებურად... ასე ვსთქვათ, ივარჯიშებს მასზე.

მეორე კონსული. კანონების მიხედვით, თვითოეული სენატორი სახელმწიფოებრივ მოვალეობათაგან თავისუფალ დროს შესაძლოა, ასე ვთქვათ, გამოყენებულ იქნეს, ან და საერთოდ შეგუებული...

კალიგულა. (ხმამაღლა და გულმოსულათ) უთხარი: როდესაც კი მოვისურვებ!

კონსული. (ბრძანებით) და რადგან სამსახური კეისრისთვის არის უმნიშვნელოვანესი სახელმწიფოებრივი საქმე, უპირველესი და უწმინდესი ჩვენი მოვალეობა, ამისათვის გასაგებია, რომ ახალი სენატორი ყოველ ჟამს მზათ იქნება ამისათვის... ჰო, დიახ... ვარჯიშობისათვის. ბოლოს მე ბედნიერად ვრაცხ ჩემს თავს, გადავცე სენატს იმპერატორის მადლობა იმის გამო, რომ რომის სენატორები, თავის მოვალეობის სრული შეგნებით, ასე მრავალ-რიცხვით დი სასწრაფოდ შეიკრიბენ დღევანდელ სხდომაზე. ახლა კი გთხოვთ შემოვ.. მოვ...

მეორე კონსული. მოვიპატიჟოთ...

კონსული. მოვიპატიჟოთ ღირსეული ქე... სენატორი.

ყველანი აღელვებით იცქირებიან. რაოდენიმე მეჯინიბეს შემოყავთ კარგათ ნაზარდი ქერა ულაყი; ქვის იატაკზე ცხენის ფეხებს თქარა-თქური გაჰყვ. ცხენი, მართლა, მშვენიერია. ცოტა აღელვებით, იგი გაფაციცებით ავლებს აქეთ-იქით თავის ზავ და ამაყ თვალებს; საოფლეს მაგივრად ტანს [illegible] სენატორის ტოგა.

ბიბლიოთეკა

კალიგულა. (აღფრთოვანებით ჩურჩულებს) რა ცხენია! პრისკ, ხომ ხედავ, რა ცხენია, ა?

კონსული. რომის სენატორებო, სდუმხართ? სალამი ახალ ამხანაგს.. ვივატ!

სენატორები წამოდგებიან და გაისმის ერთსულოვანი და ხანგრძლივი ძახილი „ვივატ“: ესალმებიან ცხენს.

კალიგულა. (ჭუჭკვს ქუნიან თვალებს) პრისკ, ხომ ყველა წამოდგა ფეხზე, ა?

პრისკ. ყველა.

კალიგულა. (ჩურჩულით) ნუთუ ყველა?! კარგად დააკვირდი პრისკ, შეიძლება არ ადგა ვინმე, ა?

პრისკ. ყველა.

კალიგულა. მაშ ღვინო მოიტა.

სვამს ღვინოს. თანვე ხიზღით შეჰყურებს ბრბოს. ახალ სენატორის გარშემო შეიკრიბა ჯგუფი განსაკუთრებით აღტაცებულ პატრიციებისა და ფრთხილად—ალბალ ცხენის კბილების ეშინიათ,—ალერსით სავსე ღიმილით, ხელს უსვამენ ზურგზე და სქელ კისერზე.

პრისკ. ღვთაებრივო! ხომ არ გგონია, რომ ეს ახალი თაყვანის-მცემლები ზედმეტად აწუხებენ ქერას?

კალიგულა. რას? (ყვირის) უთხარი, ხელი არ ახლონ! უთხარი რომ... გაეთრიონ აქედან.

კონსული. კეისარი გთხოვთ, ზედმეტი ალერსით ნუ აწუხებთ და აღელვებთ ახალ სენატორს.

კალიგულა. დაიკარგონ, გაეთრიონ!

კონსული. და დაიკათ თქვენი ადგილები.

აღფრთოვანებულნი თავს უკრავენ. ღიმილით, რომელიც მოწმობს რომ მათ ყველაფერი გაიგეს. მიდიან თავიანთ ადგილებისაკენ. სიჩუმე. მხოლოდ ზოგიერთნი (სენატორები) ძალიან ხმადაბლა და ლოიალური გამომეტყველებით სახეებზე ერთი მეორეს ესაუბრებიან. ვილაც ლოიალურად ამთქნარებს, ალბად ეს იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი თავის რიგზეა.

კალიგულა. (მოღრეჭილი) და ეს ყველაფერი?

პრისკ. (მთქნარეთ) მეტი რა უნდა იყოს კიდევ, ღვთაებრივო? შენი ქერა ღირსეულად მიიღეს.

კალიგულა. ღირსეულად, ღირსეულად... გაინტერესებს მერე შენ ეს, პრისკ?

პრისკ. არა, მე ხომ ვამბობდი: დანიშნე მამალითქო.

მეორე ახლობელი. მამალსაც ასე დაემართებოდა.

კალიგულა. რას სულელობ! რა მამალი? მე მიყვარს ქერა და არავითარი მამალი არ მინდა. შენ თვითონ ხარ მამალი! არა, ნუთუ არ გესმის, პრისკ რასა ჰგავს ეს? ღორობაა. მე მინდა ცოტა გავერთო, საშინ-

ლათ ვარ მოწყენილი, მათ კი არაფერი გაეგებათ. (სტირის) პლუტონმა წაიღოს ჩემი თავი, მე ძლიერ განცდებს ვეძებ. ისინი კი... განა ეს ძლი... ძლიერი განცდებია? ოჰ, აფროდიტა, როგორი მოწყენა, როგორი მოწყენა!

პრისკ. დამშვიდდი ღვთაებრივო, შენი წუხილი გულს გვიკლავს ყველას.

პრეფექტი. (აფლს იტაცებს მახვილზე) საძაგლები! ნერვები, აუშალეს კეისარს!

მეორე ახლობელი. დამშვიდდი; შენი ჯანმრთელობა საჭიროა სამშობლოსათვის. მოითმინე, შეიძლება, კიდევ გამოვიდეს რაიმე...

კალიგულა. (ქვითინებს) კი, არ გინდა?! განა არ ვიცნობ მე მაგათ?!

პრისკ. აი ეხლა მენენი ეტყვის ცხენს მისასალმებელ სიტყვას.

კალიგულა. (ცარიელს თავს ანიმებს: თვალებ-დაჭყეტილი) მენენი... ხომ არ გაგიყდი!

პრისკ. რატომ. გამოჩენილი პატრიცია, თავის წინაპრები გამოჰყავს უშუალოდ ნუმა პომპილიის მზარეულ ქალისაგან; პატივსაცემი პიროვნებაა, უძრახი რეპუტაცია, სენატიც პატივსა სცემს.

კალიგულა. მენენი? ნუთუ არ გესმის? ის მხოლოდ ცხედრებს ეუბნება სიტყვებს, მახსოვს კარგად, როდესაც მამიკო ჩემი, ტიბერი, ბალიშებით, მოახჩვეს, მენენიმ ისეთი კარგი სიტყვა უთხრა, რომ მეც ავტირდი. (ვლაჭ სტირის).

პრისკ. დამშვიდდი ღვთაებრივო, დააწყნარე გრძნობიარე გული! სწორედ ეს არის საინტერესო: მიჩვევია სიტყვის თქმას მხოლოდ დასაფლავების დროს, ვნახოთ, როგორ გამოძვრება ეხლა!! მე და კონსულმა განგებ ამოვირჩიეთ ის, რომ შენც ბევრი გეცინა.

ახლობლები იცინიან. კალიგულაც მიხვდება ბოლოს, თუ რაშია საქმე და ხმამაღლა ხარხარებს.

კალიგულა. მაშ, მენენი, მენენი, კარგია!

ხმები. მენენი, მენენი.

მენენის სიტყვა.

— ღვთაებრივო კალიგულა და თქვენც რომის სენატორებო! მძიმე დანაკლისი ..კხე. კხე... იქნებოდა ჩვენთვის, რომ ჩვენ ღვთაებრივ კეისარს არ დაენიშნა ჩვენთან... ხო., როგორ უნდა კხე, კხე... დიახ, აი ეს... სენატორი. რა სულიერ მწუხარებასა და ვარამს განვიცდიდით ჩვენ ყველანი, აქ რომ შევკრებილვართ დღეს, რათა უკანასკნელი პატივი ვსცეთ... ხო, იმას, რაც სრულებითაც არ არის ფერფლი გარდაცვლილისა—დიახ,—ასე იქნებოდა, რომ იმპერატორს დაშურებოდა თავისი ულაყი და არ დაეფა... ხო, დაეფარა იგი სენატორის ტოგით. ცრემლებით ვიხრჩობი, როგორც კი გამივლის ასეთი აზრი. სამშობლოს მამებო! თქვენ ყველანი იცნობდით მას, გიყვარდათ იგი და რა საჭიროა ჩემის მხრივ, წარმოგიდგინოთ მისი დაუვიწყარი სახე—დიახ—დაუვიწყარი. გახსოვთ ყველას, როგორ დაჯირითობდა. როგორი ჭენება იცოდა, გახსოვთ მისი ზემოაწეული კუდი; როგორ დაფრინავდა იმპერატორის მოედანზე,—დიახ! ეხლა კი

რას ვხედავთ, ოი სენატორებო? ის აქ არის. სხდომაზე!! (აცვირის) და თუ კი ჩვენთვისაც, რომელთაც მხოლოდ ორი ფეხი გვაქვს, ძნელია, და საშინელი და ზაფხულობით კი ხომ აუტანელი სხდომებზე დასწრება,—თუკი ეს ასეა ჩვენთვის,—მაშ რა უნდა ჰქნას მან, რომელსაც ამდენი ფეხები აქვს და, გარდა ფეხებისა, [illegible] კმაროდა ეს, კუდიც, დიახ, კუდიც? მაშ კვლავ ერთხელ—[illegible] პატივი მის ხსენებას ფეხზე ადგომით და მადლი შევსწიროთ ჩვენს დიდს და სახელოვანს ავგუსტს, რომელმაც სენატისათვის არ დაიშურა თავისი საყვარელი, თავისი ღვიძლი (აცვირის) ულაყი...

ჯდება. ყველანი დგებიან. ხმები: „ვივატ“, სიცილი. ხარხარებენ კეისარის ლოჟაშიაც და მხოლოთ კალიგულა არის უკმაყოფილო. ჯერ კიდევ ვერ გაიგო სავსებით, რა სთქვა მენენიმ.

კალიგულა. რავა—კარგათ სთქვა?

მეორე ახლობელი. დიახ—კარგად.

პრისკ. მეც ასე ვფიქრობ—კარგათ სთქვა. თუმცა უკანასკნელი სიტყვები...

მეორე ახლობელი. უკანასკნელი სიტყვებიც კარგი იყო, თუ კი მივიღებთ მხედველობაში ორატორის ღრმა გულწრფელობას და მის ცრემლებს.

კვლავ ხარხარებენ. კეისარი იჭვიანი თვალებით გასცქერის შეკრებილთ და უცებ ბრაზდება.

კალიგულა. დაჩუმდით, თქვე მონებო, თქვენა! მე თქვენ გიჩვენებთ!. მე თქვენ ყველას, მე თქვენ...

ბრაზით იბრჭობა. სამარისებური სიჩუმეა. გალურჯებული სახით კალიგულა ბარბაცით წამოდგება და ყვირილით მიმართავს.

— ეი თქვენ რომის მამებო, მონებო! ნუ იკრიჭებით! და რომ არ იყოს ასეთი... მე თქვენ გიცნობთ... ვინ მოგცათ უფლება სიცილის?.. არ გაბედოთ! ეს ჩემი ცხენია! და თუ კი თქვენ გაბედეთ და კიდევ გაიცინეთ, მე თქვენ, მე გიჩვენებთ. ჩუმათ, ნაგავის გროვა, წამხდარო სენატო! ჩუმათ, თორემ აი ეხლავ, ამ წუთს, უბრძანებ—მათრახებით... დიახ. გაგამათრახონ ყველანი... ჩუმად... ხომ იცით, ვინა ვარ მე?—მე ღმერთი ვარ, აი. კასტორს მოვჭერი თავი, პოლუქსს მოვკვეთე თავი და თქვენც, დიახ, თქვენც დაგჭრით უწყალოდ თავებს. მომწყინდა ამდენი ლოდინი. მე ღმერთი ვარ. ხომ ხედავთ: ვისურვე და ულაყი სენატორად გავხადე, მოვისურვებ და თქვენ ყველას ულაყებად გაგხდით. გახტუნებთ მოედანზე. გაჩვენებთ როგორ უნდა ჭენება. კუდებსაც გამოგაბამთ... ხომ გესმით!?

ჯდება და ღვინოს სვამს. დასისხლიანებულ თვალებს არ აცილებს თავის მახლობლებს. ისინი ჩურჩულით გადასცემენ რაღაცას ერთმანეთს.

პრისკ. აჰ, რა სიტყვა იყო. ეს ერთი საუკეთესო სიტყვათაგანია ღვთაებრივის.

კალიგულა. (სვამს) აბა რავა!

მეორე ახლობელი. მერე კუდების შესახებ, ა? რა ლამაზია, ა?

კალიგულა. კმარა! მომაბეზრეთ თავი... აბა ვისი რიგია სთქვას სიტყვა. მაგრამ იცოდეთ: ნამდვილი სიტყვა სთქვას და არა გამოსათხოვარი საფლავზე.

პრისკ. მგონი მარცელის რიგია.

კალიგულა. აა, ძველი მეშფოთე. განა ის კიდევ ცოცხალია?

პრისკ. სრულებით დაგავიწყდა იგი, ღვთაებრივო.

კალიგულა. დამავიწყდა? მერე, განა თქვენ არ შეგეძლოთ გაგეხსენებიათ? კმარა, სთქვას, სთქვას მარცელ...

გაუბედავი ხმები: მარცელ, მარცელ!

მარცელის სიტყვა.

— სალამი შენ, ღვთაებრივო და სწორეთ ავგუსტ! სალამი თქვენ—სენატორებო! სალამი შენც—ჩვენო ახალო და ღირსეულო ამხანაგო (თავს უკრავს ცხენს) მე ძლომარი ვარ და არა ორატორი და შემშვენის უფრო ხმლით ბრძოლა, ვიდრე მსუბუქ სიტყვებით თამაში: და ამიტომ: ბოდიშს ვიხდი წინასწარ, თუ ჩემი სიტყვა არ იქნება მჭერმეტყველური. ეს ნაკლი, მე შევეცდები გამოვასწორო ჩემი მხედრული პირდაპიროობით და ძველ რომაელ მოქალაქის პატიოსნებით.

— დიახ, შენ მართალი ხარ, კალიგულა, შენ ყველაფერში ხარ მართალი. მაშინაც კი, როდესაც შენ, ბრაზმორეულმა, ყელში ჩაუხჩვე მათ სიცილი. მაშინაც მე, მთელი ჩემი სულით და გულით, შეუერთდი შენს მძვინვარებით აღვსილ სიტყვას. მათრახები, მათრახები მათ! დღეს ფიცს იძლევიან, ხვალ არღვევენ მოცემულ სიტყვას. მათი ენა მხოლოდ სისულელეებს როშავს. და უწმინდური პირი კი აღსავსეა უწმინდურივე სიტყვებით—მხოლოდ ის—ჩვენი ახალი ამხანაგი—ღირსეულად სდუმს. მაშ ვინ არის აქ უკეთესი? მაშ ვინ არის უფრო ღირსი იყოს სენატორად ამ სენატში, თუ არ ეს, შენი ქერა ულაყი?

— მაგრამ ერთი რამე უნდა გისაყვედურო შენ, ღვთაებრივო. შენ შუა გზაზე შეჩერდი, ბოლომდის არ დაიყვანე შენ მიერ დაწყებული საქმე და ღირსეულად არ დააგვირგვინე იგი. შენ არ დაუთმე ქერა ულაყს შენი დაფნის გვირგვინი და დიდი ღირსება.

კალიგულა ჯერ კიდევ ვერ მიმხვდარა: ახლობლები რაღაცას ანიშნებენ, ბრაზობენ, ჩასჩურჩულებენ მას მაგრამ, იგი უარის ნიშნად ხელებს იქნევს.

— შენ ღმერთი ხარ და ყველაფერი შეგიძლია! მაშ, მოიღე მოწყალება და გახადე ქერა ულაყი კეისრათ, ისევე როგორც—სენატორად; ულაყით დაამშვენე რომის მფლობელთა დიადი რიგი მაგრამ ვხედავ: შენ გაწითლდი, შენ იჭვიანობ: განა ღირსია ასეთი ღვთიური საჩუქრის შენთვის ასე საზიზღარი რომის ხალხი? დამშვიდდი: ხალხი ღირსია. თუ კი მრავალი წლები მორჩილად, მონურად ითმენდა იგი ორფეხა ცხოველს, შენს მსგავსს, ღვთაებრივო, მაშინ ოთხფეხა ცხოველი მხოლოდ საფეხური იქნება! ახალ დიდებისაკენ! ძირს გვირგვინი, ნაბიჭვარო, ცხენს გადაეცი იგი!

ხმაურობა. ლეგიონები საჩქაროთ მიეშურებიან მარცელისაკენ, რათა დააკავონ იგი. სენატორები (მრავალი) სიჩქარით სტოვებენ სხდომას, რათა არ დაინახონ ის, რაც მოხდება. კალიგულა დორბლებით ტუჩებზე გაჰყვირის.

— შეგოჭეთ! მე შენ გიჩვენებ... შენი ხორცით გავაძღებ მხეცებს მე...

მარცელ. (თავს უკრავს) მე გავათავე!

ხმაურობა იზრდება. ჟველანი გარბიან. პრეტორიანელები გარს ერტყმია მარცელს.

თარგმანი **ვ. ბ-ძის**

კრიტიკა მეცნიერება
პუბლიცისტიკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲕᲘᲮ. ᲙᲐᲮᲘᲐᲜᲘ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲘᲡ ᲤᲠᲝᲜᲢᲖᲔ

ᲐᲠᲘᲤᲘᲝᲜᲘ

პირველ ყოვლისა საჭიროა შევეხოთ ქართველი ინტელიგენციის განწყობილებას. ახალის თქმა ამ დარგში, თითქმის არაფრის შეიძლება, იმის გამოკლებით, რომ ახლა ემჩნევა შოვინიზმის ერთგვარი ზრდა ქალაქის ინტელიგენციაში დასოფლის კულაკობაში. რაც გამოხატულებას პოულობს მხატვრულ და ეკონომიური ხასიათის ლიტერატურაში. უკანასკნელი დრო ხასიათდება—ნაციონალისტურ ტენდენციების მქონე სხვადასხვა ლიტერატურულ დაჯგუფებათა გამოსვლით განსაკუთრებით გაითქვა სახელი ლიტერატურულმა დაჯგუფებამ — „არიფიონმა“. ეს არის ქართველ მწერალთა განსაზღვრული ნაწილი, რომელიც თავის დროზე, თითქო ძლიერ უახლოვდებოდა საბჭოთა ხელისუფლებას, მათ თანამგზავრებსაც კი უწოდებდენ, მაგრამ სულ რამდენიმე ხნის წინად მათ საკუთარი კრებულის—„არიფიონი“-ს გამოშვებით გვიჩვენეს თავისი ნამდვილი ფიზიონომია. იმათ, ვინც ეს არ იცის, შემიძლია აუხსნა, თუ რა არის „არიფიონი“. არიფი—ქართულად ნიშნავს, „თანამესუფრეს“. მაშასადამე, „არიფიონი“ ყოფილა კავშირი „თანამესუფრეების“, „შეზარხოშებული“ ხალხის.

მაგრამ, ხელოვნების ეს პატივცემული წარმომადგენლები ამბობენ, რომ ისინი თვრებიან არა ღვინით, არამედ ურთიერთ შთაგონებით და შემოქმედებით. აი, ამ „თანამესუფრეებმა“— არიფიონელებმა— განიზრახეს საკუთარი კრებულის გამოცემა და როგორც წესი და რიგია მოათავსეს მასში დეკლარაცია, რომელშიც საერთო ფრაზებით აცხადებენ, რომ ისინი მხარს უჭერენ საბჭოთა ხელისუფლებას, რომ ოქტომბრის რევოლიუციამ ძლიერ ბევრი გააკეთა (ახლა ოქტომბერი მოდაშია ასეთი ხალხისათვისაც კი). შემდეგ ისინი გადადიან უფრო ინტიმური აზრების გამოთქმაზე. იქ გამოდის გერონტი ქიქოძე, რომელმაც დასწერა „არიფიონი ჰერეთში. ჰერეთი ეს არის ადგილი კახეთში. იქ გერონტი ქიქოძე შეზარხოშდა ალბათ, უკვე ნამდვილი ღვინით. მისი წერილი ნათელყოფს, თუ როგორია არიფიონელების იდეოლოგია და საით მიდიან ისინი. გერონტი ქიქოძე აცხადებს:

> არც ოქტომბრის რევოლიუცია, არც კომუნიზმი არ არის მწიგნობრული სიბრძნის ნაყოფი, ერთიც და მეორეც იმ კულტურის საფუძველზე შენდება, რო-

> მელსაც ევროპაში დღეს ევრაზიულ კულტურას უწოდებენ. ევრაზია არც ევროპაა და არც აზია, ერთიც არის და მეორეც... გადაჭარბებული პატრიოტობაში ნუ ჩამომართმევთ თუ ვიტყვი, რომ როგორც ევრაზიას ძველი მატერიკის შუაგული უჭირავს, ისე საქართველოს ევრაზიის შუაგული უჭირავს და მუდამ ჰაღარა, მუდამ ახალგაზრდა ტფილისს კედლებს ძველი და ახალი ქვეყნის ტალღები ეხეთქებიან როგორც ოკეანეს მიქცევა და მიმოქცევა.

საერთოდ ეს გერონტი ქიქოძე დაუღალავად იმეორებს, რომ საქართველო ეს განსაკუთრებული, რჩეული ქვეყანაა და ბოლოს და ბოლოს ასეთ კურიოზებამდე მიდის:

> და დიდათ ნიშანდობლივი მოვლენაა, რომ დღეს ჩვენი თანამემამულეები თანდათან ხელმძღვანელ ადგილებს იპყრენ. ეს როდია გასაკვირალი. საბჭოთა ქვეყნების ერებს შორის ქართველობა განსაკუთრებით დატვირთულია სახელმწიფოებრივი და კულტურული ტრადიციებით.

აი როგორ იტეხება ამ ქართველ ნაციონალისტ-ინტელიგენტის აზროვნებაში მთელი ჩვენი პოლიტიკა, მუშაობა და სხვა. მისი სიტყვებიდან გამოდის, რომ ხელმძღვანელ ადგილებზე ჩვენი თანამემამულეები არ იჯდენ, არავითარ მშენებლობას ადგილი არ ექნებოდა.

შემდეგ დამახასიათებელია, თუ როგორ უყურებს ის ჩვენს ინდუსტრიალიზაციის, ელექტროფიკაციის და სხვა პოლიტიკას. შეხედეთ რას სწერს ის:

> ჩვენ ვველოდით კრიტიკული პერიოდი გათავდებოდა, ორგანიული პერიოდი დაიწყებოდა, ნგრევას შემოქმედება მოჰყვებოდა. მოლოდინი არ გამართლდა, ან უკეთ ვსთქვათ, მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა: ერთი რომ აღთქმული მსოფლიო კატაკლიზმი არ მოხდა, რევოლიუციამ ვერ გადალახა ევრაზიის საზღვრები, დედა მიწის ერთი მეექვსედი ნაწილით შემოიფარგლა. და შემდეგ რა დაუპირდაპირა მან ძველ კულტურას? ელექტროფიკაცია, ინდუსტრიალიზაცია, კოოპერაცია, ამ გზით არ შეიძლება ევროპისა და ამერიკის დამარცხება და გადახალისება, ეს ყოველივე იქ უკეთ არის მოწყობილი. ძველი ღმერთები მოკვდენ. კრიტიკულმა აზროვნებამ ამოსწვა ძველი ილიუზები, შეუძლებელია უკან დაბრუნება გულუბრყვილო ცრუმორწმუნეობისაკენ. მაგრამ სული დაცარიელდა და ელექტრონის ნაკადით არ შეიძლება მისი ავსება.

ნამდვილი შოვინიზმის ფსიქოლოგია

აი ხედავთ,—ამ ცარიელ ქართველ ნაციონალისტს, რომელიც, როგორც სჩანს, ჩვენს საბჭოთა დაწესებულებაში მუშაობს, არ სჯერა არც ელექტროფიკაცია, არც ინდუსტრიალიზაცია იმიტომ, რომ ევროპაში ყველაფერი ეს უკეთესად არის გაკეთებულიო, რომ იქ ელექტრონი უვეთესად ანათებსო.

ის ვერ ხედავს განსხვავებას, ხარისხობრივ განსხვავებას იმის შორის, რაც საბჭოთა კავშირში ხდება და იმის შორის, რაც ევროპაში არის. ყველაფერი ეს მის გარეშე მიმდინარეობს და ის ფაქტიურად გამოხატავს ნამდვილი მხეცური შოვინიზმის ფსიქოლოგიას. მაგრამ ყველაფერს ამას იგი მოხერხებულად ფარავს მხატვრული პროდუქციის ფორმაში, ალბათ იმ იმედით, რომ ბოლშევიკები ვერაფერს მიხვდებიან წაკითხულში.

მაგრამ, ეს არ მოხდება. ახლა თვითეული მუშა დაინტერესებულია მხატვრული პროდუქციით, დაინტერესებულია იმით, თუ რა იდგმება თეატრში, იმით თუ რა არის დაბეჭდილი წიგნში და ვერავითარი გერონტი ქიქოძე, — რამდენი უნივერსიტეტიც არ უნდა ჰქონდეს დამთავრებული მას, — ვერცერთ მუშას ვერ მოატყუებს.

ასეთ კონტრ-რევოლიუციონურ ლიტერატურას ჩვენ [illegible] მოვაჩენთ და ვისაც საჭიროა მოვსცხებთ.

ქიქოძე გამოდის პუბლიცისტიკის ასპარეზზე. მაგრამ არიფიონელებს ბელეტრისტიკაც აქვს. არის ასეთი ბელეტრისტი, როგორც ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. მან დასწერა მოთხრობა „დამპატიჟე", რომელშიც დამპატიჟეს სახით გამოჰყავს ზარმაცი გლეხი, რომელიც არაფერს აკეთებს და ცხოვრობს სხვა გლეხების კისერზე, მაგრამ ამავე დროს კავშირი აქვს კომუნისტებთან და ალბათ, თვითონაც კომუნისტია ან, ყოველ შემთხვევაში, თანამგრძნობი.

ჯავახიშვილის მოთხრობაში ეს არაფრის მაქნისი კაცი „კალახტივის" ნოწყობას აპირებს. ავტორი განზრახ წერს „კალახტივი" და არა „კოლექტივი".

რა არის ეს, თუ არა აბუჩად აგდება ჩვენი ხაზის, სოფლის კოლექტივიზაციის? თუ არ სრული არ ცოდნა ზოგიერთი ქართველი მწერლების მხრივ ნამდვილი, ახალ, საბჭოთა სოფლის? რატომ, იმის ნაცვლად, რომ ისეირნოს აქ, რუსთაველის პროსპექტზე, ამ ჯავახიშვილმა არ მოიცალა გამგზავრებულიყო სადმე სოფელში, შეეხედა თუ გინდ სამთავისის კომუნაში. იქ ის დაინახავდა არა თავის დამპატიჟეს, არამედ ახალი საბჭოთა ცხოვრების ნამდვილ შემოქმედთ.

ჩვენ არ გვინდა ძველის მოტრფიალე ხალხი

გატაცებული არიან რა „არიფობით", მათ არ სურთ ახალი ცხოვრების გაგება და შესწავლა. ასეთი ლიტერატურა ჩვენ არ გვჭირდება. ჩვენ არ გვჭირდება ის ხალხი, რომელიც ხოტბას ასხამს ძველ დროს, ყოველივე დახავსებულს და იყურება წარსულისაკენ, საშუალო საუკუნოებისაკენ. ყოველივე ეს უნდა აღმოვფხვრათ საქართველოს სინამდვილიდან. ჩვენ ნებას არ მივცემთ არც გერონტი ქიქოძეს და არც ჯავახიშვილს დასცინონ ჩვენს აღმშენებლობას.

ამჟამად, კულაკობის ერთგვარ ზრდასა და ქალაქებში კერძო კაპიტალის გამოცოცხლებასთან დაკავშირებით, ლიტერატურაში ხანდახან იჭრება შოვინისტური, წვრილ-ბურჟუაზიული და ბურჟუაზიული განწყობილება; ასეთ განწყობილებას ჩვენ ყოველთვის გადაჭრით ვებრძოდით და მომავალშიაც შევებრძოლებით.

ამას წინად, ქართველ მწერალთა ყრილობაზე, გამოვიდა რაჟდენ კალაძე, რომელიც თითქოს უკიდურეს მემარცხენეთ ითვლება და რომელიც თითქოს ებრძვის ნაციონალისტურ და ბურჟუაზიულ ზეგავლენას. ის გამოვიდა ყრილობაზე და წარმოსთქვა ნამდვილი უხამსი ნაციონალისტური სიტყვა. ის ლაპარაკობდა, რომ ნაციონალური იდეის გარეშე არ არსებობს პროლეტარული ლიტერატურაო. ასე მღერის რაჟდენ კალაძე, მაგრამ საეჭვოა, რომ მისმა სიმღერამ ჩვენ დაგვაკმაყოფილოს.

„ნაგავი“ ეკონომიურ ლიტერატურაში

ჩვენ ეკონომიურ ლიტერატურაზე, უნდა ითქვას, რომ ეს ლიტერატურა ძალიან მოიკოჭლებს. მე ვიტყოდი, რომ ამ შემთხვევაში დიდი დანაშაული მიუძღვით კომუნისტებს, რომლებიც ეკონომიური ჟურნალების რედაქტორებათ ითვლებიან, მაგრამ არ სთვლიან თავს პასუხისმგებლებად ამ ჟურნალების შინაარსისათვის. ამ ჟურნალებში ყოველგვარ ნაგავ მასალას ათავსებენ, ხოლო რედაქტორები კი იცინიან, თითქოს ეს მათ არ ეხებოდეს.

რას გავს ასეთი უპასუხისმგებლობა? თვითეული რედაქტორი პასუხს უნდა აგებდეს თავის ჟურნალისათვის, თვალყურს უნდა ადევნებდეს თუ რას სწერს ჩვენი შინაური „ემიგრაცია“—სეით დევდარიანი, ჭუმბურიძე და სხ.

აი, მაგალითად, როგორ ესმის დევდარიანს ჩვენი ინდუსტრიალიზაცია:

> მსოფლიო ბაზრის და ჩვენი წარმოების წესის დღევანდელ პირობებში საქართველოს მთავარ ბუნებრივ სიმდიდრეს ვერ ექნება მიმზიდველი ძალა უცხოეთის კაპიტალისთვის, ვერ მიეცემა ამ სიმდიდრეს ისეთი საექსპორტო მნიშვნელობა, რომ თავის მხრივ საფუძვლად დაედოს ჩვენში კაპიტალის დაგროვებას და ჩვენი მსხვილი მრეწველობის განვითარებას.

მაშასადამე, გამოდის, რომ ჩვენ არავითარი ინდუსტრიალიზაცია არ გვჭირდება. არაა საჭირო მრეწველობის განვითარება. ჩვენ ყველამ ყურადღება უნდა მივაქციოთ ნედლეულის რაიონებს და მეტი არაფერი არ უნდა ვაკეთოთ. რა თქმა უნდა, ასეთ ლიტერატურაზე ჩვენ ვერ შევძლებთ ჩვენი სამეურნეო მუშაკების აღზრდას.

საქართველოში ჩვენ გვაქვს მხოლოდ ერთი ეკონომიური ჟურნალი ქართულ ენაზე - „საქართველოს ეკონომისტი“. ნუ თუ ჩვენ იმდენად ღარიბნი ვართ, რომ არ შეგვიძლია მოვნახოთ ხალხი და სათანადო ნიადაგზე დავაყენოთ ეკონომიური ჟურნალი ქართულ ენაზე, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველ სამეურნეო მუშაკებისათვის?

ჩვენი უმაღლესი სასწავლებლები და მათი რაციონალიზაციის ამოცანა

უმაღლეს სასწავლებლების საკითხიც საინტერესო საკითხია. ეს საკითხი წამოიჭრა ჩვენი უმაღლეს სასწავლებლების (სახელმწიფო უნივერსიტეტი და სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტი) რაციონალიზაციისა და იმ პარალელიზმის აღმოფხვრასთან დაკავშირებით, რომელიც მათ შორის არსებობს. აგრონომიული და საინჟენერო ფაკულტეტები არსებობენ როგორც სახელმწიფო უნივერსიტეტში, ისე სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტშიაც. განათლების სახალხო კომისარიატი ფიქრობს, რომ არავითარი ცოდვა არ იქნება, თუ ორივე ეს ფაკულტეტი გაერთიანდება და ამ ფაკულტეტებზე მეცადინეობა იწარმოებს რუსულ და ქართულ ენებზე. არავითარი ცოდვა და ჩვენი ნაციონალური პოლიტიკის შებღალვა აქ არაა და ეს უაღრესად მიზანშეწონილია.

მაგრამ, რა თქმა უნდა, გამოინახენ „მოწინააღმდეგენი“. მე არ ვიტყვი, რომ

ამ მხრით პირველ ადგილზე სახელმწიფო პოლიტეხნიკური ინსტიტუტია, მაგრამ, იქ არის ხალხი, რომელიც დიდმპყრობელური შეხედულებითაა გაჟღენთილი და რომელმაც გამოსთქვა შიში, რომ თუ რომელიმე ფაკულტეტი გადატანილ იქნა სახელმწიფო უნივერსიტეტში,—იქ აღებული იქნება კურსი გაქართულებაზე და რუსული ენის მოსპობაზეო. ასეთ უნდობლობას ჩვენი პოლიტიკისადმი გარკვევით გამოხატავდენ სახელმწიფო პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის ზოგიერთი მუშაკები, რომლებიც დაგვემუქრენ კიდეც, რომ დასტოვებენ საქართველოს.

მაგრამ, კიდევ მეტ წინააღმდეგობას ხვდება განათლების სახალხო კომისარიატი სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში. მოინახა ისეთი ხალხი, რომელიც ამტკიცებდა, რომ ჩვენ მიერ განზრახული რაციონალიზაცია შეუძლებელია „განსაკუთრებული პირობების“ გამო. პირდაპირ გასაოცარია, რომ ჩვენ ასე ბევრი ლაპარაკი გვიყვარს ამ „განსაკუთრებულ პირობებზე“.

აჭარისტანში კომუნისტებს არ სურთ ახადონ ჩადრი თავის ცოლებს—ესეც განსაკუთრებული პირობებით აიხსნება; სდგება კითხვა სასულიერო სკოლების დახურვის შესახებ, ისევ განსაკუთრებული პირობები წამოჰყოფს თავს; საქართველოში საჭიროა ბრძოლა შოვინიზმის წინააღმდეგ, მაგრამ აქაც „განსაკუთრებული პირობებია“; აფხაზეთში საჭიროა აპარატის გაწმენდა,—აქაც განსაკუთრებული პირობებია!

ეს არაფრად არ ვარგა. პირობების გადალახვა შეიძლება და უნდა გადავლახოთ კიდეც.

ტეხნიკური ინტელიგენცია და უმაღლეს სასწავლებელთა რაციონალიზაცია

მე ეხლა მაქვს ერთი მეტად საინტერესო დოკუმენტი, რომელიც ახასიათებს ტეხნიკური ინტელიგენციის ერთი ნაწილის დამოკიდებულებას ჩვენ მიერ დასახულ ღონისძიებისადმი უმაღლეს სასწავლებლების რაციონალიზაციის დარგში. ეს დოკუმენტი მოწმობს, თუ რამდენად ძლიერია კიდევ ნაციონალიზმი ტეხნიკური ინტელიგენციის ზოგიერთ ფენებში.

ბარათში, რომელსაც ხელს აწერს საპასუხისმგებლო პოსტებზე მყოფი რამოდენიმე სპეციალისტი, ნათქვამია,—რა საჭიროა ამ რაციონალიზაციის გატარება; ეხლა ხომ სავსებით დამტკიცებულია ქართულ ენაზე უმაღლეს განათლების მიღების შესაძლებლობა და მიზანშეწონილობაო. თითქოს ამის შესახებ ვინმე დაობდეს.

რატომ აწვებიან ისინი ღია კარებს? განა მოიძებნება ისეთი სულელი, რომელიც იტყვის, რომ არაა საჭირო ქართულ ენაზე უმაღლეს განათლების მიღება? ეს არ ყოფილა და არც იქნება.

მაგრამ, როცა ასე ლაპარაკობენ, მათ სულ სხვა აზრების შემოპარება სურთ. აი რას სწერენ ისინი, აღნიშნავენ რა, რომ პოლიტეხნიკური ინსტიტუტი საქართველოს ხარჯზე ინახება:

> ამ ინსტიტუტის დანიშნულებას ასეთ პირობებში წარმოადგენს საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ იმ ეროვნულ უმცირესობათა ნაწილის მოთხოვნი-

ლებების დაკმაყოფილება, რომლებიც რუსულ ენაზე ლაპარაკობენ და დაინტერესებული არიან მიიღონ განათლება ამ ენაზე. ცხადია, რომ ამ საკითხში გამონახულ უნდა იქნეს სწავლების მოწყობის ისეთი ფორმა, რომელიც ერთი მხრით უზრუნველყოფს აღნიშნულ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებს და, მეორე მხრით, ასატანი იქნება რესპუბლიკის ბიუჯეტისათვის და, შესაძლების დაგვარად, სავსებით არ დააწვება მხოლოდ რესპუბლიკის ძირითადი ეროვნების საშუალებებს.

როგორ მოგწონთ ასეთი მსჯელობა საბჭოთა საშუალებებზე?

ბრძოლა ნაციონალისტურ მიდრეკილებათა წინააღმდეგ

შემდეგ ისინი ისეთ დასკვნამდე მიდიან, რომ უმაღლეს განათლების მთელი საქმე გადატანილ უნდა იქნეს სახელმწიფო უნივერსიტეტში. პირდაპირ ასეა ნათქვამი:

> ამრიგად, ჩვენი ღრმა რწმენით, საქართველოში, კონსერვატორიის გარდა, უნდა არსებობდეს მხოლოდ ერთი უმაღლესი სასწავლებელი—სახელმწიფო უნივერსიტეტი აგრონომიული, პოლიტექნიკური და, შეიძლება კიდევ სამხატვრო ფაკულტეტებით პარალელურად საგნების რუსულ ენაზე კითხვით.

ჯერ ერთი, აქ უცნაურად გვეჩვენება, რომ ისინი ასეთ რადიკალურ გზას დაადგენ. საქართველოს განათლების სახალხო კომისარიატს სურს მხოლოდ ორი ფაკულტეტი ორ ენაზე, ისინი კი უფრო შორს ბიდიან,— მათ სურთ, რომ მთელ უნივერსიტეტში ორ ენაზე იკითხებოდეს საგნები.

რას ნიშნავს ერთი უმაღლესი სასწავლებელი? მეცნიერული თვალსაზრისით ეს აბსურდია. არ შეიძლება არსებობდეს რაღაც უნივერსალური მაღაზიის მსგავსი უმაღლესი სასწავლებელი, რომ იქ ყველაფერი იყოს—აგრონომიული ფაკულტეტიც, პოლიტექნიკურიც და სამხატვროც.

ჩვენ ამჟამად მივდივართ სპეციალიზაციის გზით. ჩვენ გვსურს, რომ უმაღლესმა სასწავლებლებმა მოგვცენ ნამდვილი სპეციალისტები. ამ ხალხს კი არ სურს ამის გაგება. მათი ძირითადი მოტივია—ნაციონალიზმი, ნაციონალისტური ტენდენციები, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა მეტად სერიოზული ბრძოლა.

ამ შემთხვევაში—უმაღლეს სასწავლებლების საკითხში, მიუხედავათ წინააღმდეგობისა, საჭიროა ბრძოლა დიდმპყრობელურ ტენდენციებისა, და კიდევ უფრო მეტად,—ქართული ნაციონალიზმის ტენდენციების წინააღმდეგ და მთელი რეფორმის წელსვე გატარება, ხოლო კომუნისტებს უნდა მიეცეს დავალება—არ მოექცნენ პროფესურის გავლენის ქვეშ და სახელმწიფო უნივერსიტეტის ფარგლებში თვითონ მოახდინონ გავლენა პროფესურაზე და სტუდენტობაზე. [1]

[1] ამჯ. მ. კახიანის სიტყვიდან ს. კ. პ. (ბ) ც. კ. იანისის (1928 წ.) პლენუმზე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადღეისო საკითხები ლიტერატურაში

„მე“ და კოლექტივი. (ვ. ბახმეტიევი — „მარტინის დანაშაული“) *.

Бубновое небо,
бубновое,
По Звезд
Не достать и с горы,
Идеи-то, видишь ли
новые
да люди
уж очень стары.

И. Уткин.

I

ვლ. ბახმეტიევი კომუნისტია, ძველი პარტიული მუშაკი. ამავე დროს ნიჭიერი მწერალი, კარგი ფსიხოლოგი. „ხელოვნების საიდუმლოება“ ახსნილია მისთვის. მისი ახალი რომანი „მარტინის დანაშაული“ უთუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა ახალ რუსულ ლიტერატურაში. საოცარია, რუსული კრიტიკული პრესა თითქმის სიჩუმით შეხვდა მას. ერთი-ორი უმნიშვნელო და ზერელე რეცენზია. (როგორც მაგ. ნ. სმირნოვის „Новый Мир“-ის პირველ ნომერში)... მაშინ როდესაც, საკმაოა რომელიმე „სახელის მქონე“ (ხანდისხან ძალიან მდარე ღირსებისაა ეს სახელი) მწერალმა დასწეროს რაიმე პრანჭიობით და კალმის გრეხით,—რომ... ვინ გინდა მას ზე არ ალაპარაკდეს... შეიძლება აქ თავი იჩინა კვლავ ჩვენი კრიტიკის, და რაოდენიმეთ მკითხველისაც, ძველმა „ცოდვამ“: კომუნისტის კალმისაგან აბა რა მხატვრული ღირსების ნაწერი შეიძლება გამოვიდეს... კრიტიკის „სპეცები“, ხომ ტუჩებ-აწევით იხსენიებენ კომუნისტ მწერლებს... რასაკვირველია, ჩვენ სრულებით არ ვფიქრობთ, რომ საკმაოა იყო კომუნისტი, თუ გინდ ძალიან კარგიც, და გქონდეს დიდი სურვილი მწერლობისა, რომ ამით მწერალი, ხელოვანი გახდე. საუბედუროთ ასეთი „მწერლებიც“ გვყავს ჩვენ—არა მარტო საქართველოში, არამედ რუსეთშიაც. და არა ერთი და ორი. „კომჩვანობას“—მწერლობაშიაც—საკმაოდ ვებრძოდით და ვებრძვით დღესაც. ეს საჭიროა და აუცილებელი. მაგრამ აგრეთვე

*) Альманах... Земля и Фабрики № 1, 1928 г.

აუცილებელია და არა ნაკლებათ საჭირო ბრძოლა „სპეკჩვანობასთან“—ჩვენი მუშაობის ყველა დარგებში და კერძოთ ლიტერატურაშიაც...

ილია ერენბურგი—ერთი ასეთი „სპეცთაგანი“ ლიტერატურაში—კომუნისტების შესახებ ამბობს, რომ ისინი „ხიზლით შესცქერიან ცხოვრებაში ყოველგვარ ცრუმორწმუნოებას“ და ხელოვნებას. ყოველგვარ ცრუმორწმუნოებას რომ ხიზლით შევსცქერით, ეს რასაკვირველია მართალია, მაგრამ სიცრუეა და ცილისწამება ერენბურგის რწმუნება, რომ „ხიზლით შევსცქერით ხელოვნებას“. სხვათა შორის, ერენბურგი ამას ამბობს ერთ თავის უახლოეს რომანში „რვაჩ“, რომლის შესახებაც შეიძლება ითქვას, რომ ასეთი არა-ხელოვნური, ყოველგვარ სიმშვენიერეს მოკლებული, ვულგარული რომანი რუსეთის ახალმა ლიტერატურამ არც იცის... ერენბურგი მართალია, რომ ჩვენ—კომუნისტები—ხიზლით შევსცქერით ხელოვნებას თუ კი „რვაჩი“ ხელოვნებაა. ასეთი „ხელოვნება“ სწორედ რომ ღირსია ხიზლის...

ნათქვამი სრულებითაც არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს ვლად. ბახმეტიევის ახალი რომანი—უნაკლო იყოს, ან და არა-ჩნეულებრივი შედეგრი. რასაკვირველია არა. ბახმეტიევი, ცხადია, არ არის ლიტერატურის ცაზე პირველი ხარისხოვანი ვარსკვლავი: იგი არც იჩემებს ამას. ასეთი ვარსკვლავი ჯერ არც არავინაა ჩვენს ახალ ლიტერატურაში—თუმცა პრეტენზიებს ამაზე ბევრი აცხადებს...

„მარტინის დანაშაული“ პირველ ყოვლისა ზედმეტად სქელტანიანია. 300—დიდი ფორმის გვერდი—ეს არც ისე ცოტაა. სიტყვის ეკონომია ჯერ კიდევ ვერ უსწავლია ბახმეტიევს. ამბავსაც—მას, რაც უნდა სთქვას, გადმოგვცეს—ვერ შლის უნაკლო ხელოვნებით. ბევრია რომანში განმეორებები. ზედმეტი სიტყვიერი დახასიათებანი. ლაკონიზმი და მხატვრული სიმარტივე,—რაც ყოველთვის ახასიათებს დიდ ხელოვანს—ჯერ კიდევ უნდა ისწავლოს ბახმეტიევმა. საერთოდ სასწავლი მას ბევრი აქვს: ის ჯერ კიდევ არ არის დამთავრებული მწერალი. მიუხედავად ამისა, „მარტინის დანაშაული“ საინტერესო და ყურადღების მისაქცევი ნაწარმოებია. ბახმეტიევის რომანის უმთავრეს დადებით მხარეს ის შეადგენს, რომ რომანში გამოყვანილი—როგორც მთავარი მომქმედი ძალა—კომუნისტური პარტია—ცოცხალია და რეალური ხორცით შემკობილი. ვიცით მწერალნი (და მათში ბევრიც) გულწრფელად მონდომებულნი დაეხატათ კომუნისტური პარტია, როგორც ახალი ქვეყნის მეთაური, მებრძოლი, როგორც ომის ფრონტზე, ისე ყოფა-ცხოვრების საკითხებში. დამარცხებული გამოვიდენ ასეთი ცდიდან. მათი კომუნისტები უფრო სქემატიური ადამიანები, არარეალური ფანტასტებია—ვიღრე ცოცხალი პირები, რომლებიც პირველ ყოვლისა, ადამიანები არიან, ჩვეულებრივი ადამიანები დადებითი და უარყოფითი მხარეებით. ასე დამარცხდენ კომუნისტების დახატვაში პილნიაკი, ერენბურგი, შაგინიანი. უმთავრესი მიზეზი ამისა ის იყო, რომ დასახელებული მწერლები ახლო არ იცნობდენ კომუნისტებს; ისინი არ იყვნენ—პარტიის ცხოვრებით მცხოვრებნი—პარტიის სისხლი და ხორცი. ამ მხრივ ბახმეტიევი კარგ მდგომარეობაშია: ის კარგად იცნობს პარტიას, შეზრდილია მასთან;

იცის თუ რა აინტერესებს ამა და ამ მომენტებში პარტიის უმრავლესობას, როგორ ცხოვრობს ის და სხვა.

რომანში აღძრულია ბევრი საინტერესო საკითხი. შეიძლება ავტორის ზოგიერთ აზრებს არც დავეთანხმოთ, თუმცა ინტერეს მოკლებული არ არიან ისინი. ჩვენ ამ შემთხვევაში მკითხველის ყურადღება გვინდა შევაჩეროთ ერთ-ერთ მნიშვნელოვან—რომანის,—ჩვენის გაგებით, მთავარ საკითხზე, რომელიც ერთი მნიშვნელოვანთაგანი საკითხია ჩვენი—ე. ი. კომუნისტების—დღევანდელ ცხოვრებაშიაც. მართალია, რომანის ფონი სამოქალაქო ომია—20—21 წლები, მაგრამ ეს მთავარი საკითხი—რომანის წითელი ხაზი—საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხად ჩაითვლება დღესაც, და, ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს... ეს არის: კომუნისტში ინდივიდუალიზმის ბრძოლა კოლექტივიზმთან; პირადი „მეს“ გადამეტებულ ინტერესებთა და მოთხოვნილებათა შეტაკება კოლექტივის სურვილებთან და ნება-ყოფასთან.

ჩვენის აზრით ეს მეტათ აქტუალური საკითხია დღევანდელ ჩვენს ყოველდღიურ მუშაობაშიაც და ბრძოლებშიაც. ეგოცენტრიზმი—„მეს“ ავადმყოფური გადამეტებითი შეგრძნობა—ძველი ადამიანის—კერძო საკუთრებაში დაბადებულ და აღზრდილ ადამიანის—სისხლში და ხორცში შესული და დაკავშირებული თვისებაა. იგი—დიდი წარმოდგენა თავის „მეზე“—რევოლიუციონერების ავადმყოფობაც იყო. კომუნისტურ პარტიაშიაც აქვს მას, როგორც ავადმყოფურ მოვლენას, ადგილი. კომუნისტებიც—უმთავრესად ისინი, რომლებიც პარტიაში მოვიდნენ სხვა სოციალურ ფენებიდან—კერძო საკუთრების საფუძველზე და ფარგლებში არიან დაბადებულნი და აღზრდილნი. ამიტომ არ არის ოდნავადაც გასაკვირი, თუ ბევრ მათგანს, ნაკლებათ თუ მეტად, თან ახლდეს ძველი ადამიანის ეს გრძნობა—თავისი პირადობის განდიდებისა.

აქვე უნდა ითქვას, რომ ინდივიდუალიზმი ლიტერატურაში ოდესღაც შემოვიდა როგორც რევოლიუცია. როდესაც ბურჟუაზიამ თავისი რევოლიუციონური ამოცანები შეასრულა ისტორიის წინაშე და კონსერვატიული შეიქნა, მაშინ „ობივატელშჩინა“, არსებულ სინამდვილის გამაგრება, საკუთარ მდგომარეობის მატერიალურად კარგათ მოწყობა და სხვა თვისებები რეაქციისა გაბატონდა ბურჟუაზიულ წესწყობილებაში,—აი ამ დროს ინდივიდუალიზმის ჯანყი ბურჟუაზიულ ჭაობის წინააღმდეგ, როგორც ერთ-ერთი ფორმა პიროვნული პროტესტისა,—უთუოდ პროგრესიული მოვლენა იყო; მანამ, სანამ იგი არ დაუპირისპირდებოდა კოლექტივიზმს—როგორც პროლეტარიატის კლასიურ ბრძოლების შინაარსს და ფორმას.

რამოდენიმე ხნის განმავლობაში—ნიცშე, შტირნერი და, უმთავრესად იბსენი, უთუოდ პროგრესიული მოვლენანი იყვნენ, ისევე როგორც ბაკუნინის პოლიტიკური ბრძოლა, ბუნტარულ და აჯანყებულ პიროვნების სახელით, რევოლიუციის დამხმარე ძალა იყო, მანამ, სანამ ეს ბრძოლა მხოლოდ რეაქციონურ ძველი ქვეყნების წინააღმოეგ იყო მიმართული და მუშათა კლასის ბრძოლების მარქსისტულ იარაღს არ უპირისპირდებოდა.

ნიცშეს „ასე ამბობდა ზარატუსტრა“ და ჰენრიკ იბსენის „ეჭიმი შტოკმა--

ნი—ხალხის მტერი" და სხვა დრამები, საზოგადოებრივ განვითარების განსაკუთრებულ პერიოდში, უთუოდ ემსახურებოდენ პიროვნების განთავისუფლების საქმეს გარეაქციონებულ ბურჟუაზიის კლანჭებისაგან და მაშასადამე ხელს უწყობდენ არსებულ წესწყობილების წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლას, რომელსაც აწარმოებდა პროლეტარიატი. ვიმეორებთ, მხოლოდ განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში, რადგან მას შემდეგ, რაც ანარქიზმი, კერძოდ ფსევდოლიტერატურული გამოხმაურება ნიცშეს ზარატუსტრას სახით და იბსენის დრამებით—საერთოთ კოლექტივიზმის და კერძოთ მუშათა კლასის კოლექტიურ, მარქსისტულად დასაბუთებულ, ბრძოლების წინააღმდეგ აღიმართა,—მან დაჰკარგა ობიექტიური რევოლიუციონერობა,—ბურჟუაზიამაც შესძლო მისი გამოყენება—ნიცშე თვით დაისაკუთრა,—ცხადია, ამის შემდეგ ზარატუსტრას ქადაგი რეაქციის მოსახმარ იარაღად გადაიქცა, და, ძველი ქვეყნის დასანგრევად მიმართული, მუშათა კლასის ბრძოლების ხელის შემშლელად მოგვევლინა.

ევროპაში ლიტერატურული ანარქიზმი უფრო ადრე, გაცილებით უფრო ადრე, შეუერთდა რეაქციის ბანაკს, ვიდრე რუსეთში. ამას ობიექტიური მიზეზები ჰქონდა, რადგან თვით ბურჟუაზიაც რუსეთში ოპოზიციაში უდგა არსებულ წესწყობილებას, მაშინ როდესაც იგი საზღვარგარეთ უკვე დიდი ხნის სტაჟის მქონე ბატონ-პატრონი იყო რეაქციონური წესწყობილებისა. გორკის რევოლიუციონერობა ლიტერატურაში აგრეთვე ინდივიდუალიზმით დაიწყო; მართალია, მისი გმირები საზოგადოების დაბალ ფენებიდან გამოსული ადამიანები იყვნენ—მაგრამ ბრძოლის დროშა მათთვისაც პიროვნულ ბუნტის ლოზუნგით იყო შემკული. ყველაზედ უფრო ნიცშეანელი რუსეთის მწერლებში—ლეონიდ ანდრეევი—1905 წლის რევოლიუციის დამარცხების შემდეგაც კიდევ იბრძოდა რამოდენიმე ხანს რევოლიუციონერებთან ერთად...

ინდივიდუალიზმი პოლიტიკაში და ლიტერატურაში, როგორც რევოლიუციონური მოვლენა, ყველას დასანახად გაკოტრდა და განადგურდა მსოფლიო ომის დროს. ოქტომბრის რევოლიუციამ კი მოჰკლა იგი რუსეთში, როგორც დამოუკიდებელი მოძრაობა და მიმართულება. მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავდა იმას, რომ ინდივიდუალიზმი როგორც შენაკადი სხვა მოძრაობებში, როგორც დამატება—მახინჯი და რეაქციონური—მოისპო საერთოდ. ცხადია, არა. სანამ კი იარსებებს კერძოსაკუთრების ინსტიტუტი და მასზე აღმოცენებული ადამიანთა ფსიხოლოგია—ცხადია, ინდივიდუალიზმიც იარსებებს მანამდე, როგორც ეგოიზმის და პირადობის იდეური გამოსახვა.

პირველ ყოვლისა იგი უნდა მოკვდეს იმ კლასში, რომელიც დღეს განსაზოგადოებრივებულ წარმოებებში მუშაობს; და ყველაზე უფრო ადრე მის მოწინავე რაზმში, რომელსაც წარმოადგენს კომუნისტური პარტია.

შეიძლება ითქვას დღეს-დღეობით, რომ იგი პროლეტარიატში მკვდარია? ცხადია, არა. არამც თუ პროლეტარიატში, როგორც მთელ კლასში, არამედ მის მოწინმვე რაზმშიც, კომუნისტურ პარტიაში, საკმაოდ ღრმად აქვს გადგმული მას ფესვები. ხშირად საუკეთესო წრეები კომუნისტურ პარტიისა ამ სენით დაავადებულნი არიან. რასაკვირველია, ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს არა ის

მხარე ინდივიდუალიზმის გამოხატულებისა, რომელიც საბოლოო დაცემას და დაკნინებას წარმოადგენს: როგორც მაგალითად „შკურნიკობა“ და პირადი ცხოვრების კარგად მოწყობის სურვილი, მატერიალურ კეთილდღეობაზე ზრუნვა და სხვა; ჩვენის აზრით ამაებსაც იგივე ფესვები აქვთ, მაგრამ ჩვენ აქ გვაინტერესებს უფრო „მაღალი“ და „ღირსებიანი“ გამოხატულება [illegible] კერძო საკუთრებაზე აგებულ პიროვნებისა: ზედმეტი თავმოყვარეობა [illegible] წარმოდგენა თავის თავზე, — მე შუაში ვარ, სხვები კი ჩემს გარშემო ტრიალებენ, — უდისციპლინობა — მე ყოველთვის მართალი ვარ, მხოლოდ სხვები სცდებიან, — ისტორიის სარკეში ძალიან ხშირად ჰვრეტა თავისი საკუთარი პერსონის, აბა როგორ შევალ ისტორიაში, — ყველაფერი „მე“-ს გარშემო — რევოლიუციაც მანამ, სანამ იგი მიყვება ჩემს აზრებს... ხშირად ყველაფერი ეს უფრო მალულად, ფარულად, დარცხვენით გამოიყურება; ხშირად კი იგი თავს აიწყვეტს — და მაშინ ჩვენს წინ ისახება ადამიანი, რომელიც რევოლიუციასთან ყველაფერს სწყვეტს, იმიტომ, რომ რევოლიუცია არ გაჰყვა მას, არ სცა „სათანადო პატივი“ მის „დიად“ „მე“-ს, თუმცა შეიძლება ეს „მე“ არც თუ ისე დიადი იყო. არა ერთი და ორი რევოლიუციონერი დაუღუპავს საკუთარ „მე“-ს ყალბ და მახინჯ შეტაკებას რევოლიუციის შინაარსთან.

„მარტინის დანაშაული“ სწორედ ამ თემაზეა აგებული. თავის თავად არავითარი დანაშაული მარტინს არ ჩაუდენია. რომ ავიღოთ მისი ცალკე საქციელი ან მოქმედება, დანაშაულს, ბოროტმოქმედებას მის მიერ ნება-სურვილით, შეგნებით ჩადენილს — ვერსად ვნახავთ. ამ მხრივ ზოგიერთ მკითხველს, შეიძლება, კიდეც გააკვირვებს ნაწარმოების ასეთი სათაური — „მარტინის დანაშაული“, მარა, რომ აიღო მარტინის მთელი ყოფაქცევა, მისი შეტაკებანი პარტიის უმრავლესობასთან, მის გარშემო და მასთან ერთად მომუშავე კოლექტივთან, — სტიმულები, რომლებიც ამოქმედებენ ამ შემთხვევაში მას, ყოველთვის უარ-საყოფია, ყალბი, მიუღებელი, რადგან ყალბია და მუღებელი მარტინის გამოსავალი წერტილი: ოღონდ მე ვიყო წმინდა, ჩირქ-მოუცხებელი, ოღონდ არ იქნეს შელახული ჩემი თავმოყვარეობა — და კოლექტივს რა დაემართება, მისთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს. ამიტომაც იყო მართალი ავტორი, როდესაც მარტინზე დაწერილ თავის რომანს „მარტინის დანაშაული“ უწოდა — „დანაშაული“ აქ უნდა გავიგოთ როგორც მარტინის კოლექტივთან დაპირისპირების საფუძველი და სტიმულები ამ დაპირისპირებისა.

II

ვინ არის მარტინი? მარტინი — რევოლიუციონერია, ბოლშევიკი. მისი მოქმედება ბოლშევიკების კოლექტივთან ერთად იშლება სამოქალაქო ომის ხანაში, როდესაც რევოლიუციის ბედი უმთავრესად იარაღით წყდება. მარტინს ბევრი დადებითი თვისებები ახასიათებს — ის არ არის „უარყოფითი“ ტიპი. ერთი შეხედვით ის გმირიც არის, იდეალური რევოლიუციონერი: გამბედავია, თავდადებული, ბუნებრივი ნიჭითაც დაჯილდოვებულია, კარგი ორატორი, ცოდნაც საკმაოდ აქვს, მორალურ საზღვრებს თავის მოქმედებაში იშვია-

თად სცილდება, არ ლოთობს, არ „შკურნიკობს", მატერიალურ, ოჯახურ კეთილ-მოწყობაზე ძალიან ცოტას, შეიძლება ითქვას, სულ არ ფიქრობს... მეტს რას მოსთხოვ, თუ გინდ კომუნისტსაც? მიუხედავათ ამისა ის მაინც კონფლიქტში ვარდება პარტიულ კოლექტივთან, მაინც დამარცხდა მისგან, და თუმც კვდება გმირულად, რევოლიუციის დამცველად, სამოქალაქო ბრძოლის ფრონტზე—მაგრამ კვდება მაინც ისე, რომ პარტიასთან შერიგებული არ არის. შეიძლება კოლექტივია დამნაშავე იმ კონფლიქტში, რომელიც მას აქვს მასთან? დასაშვებია ესეც. რატომ არ შეიძლება, რომ ამა თუ იმ რაიონის კომუნისტური კოლექტივი შემცდარ ხაზს ატარებს, სწორად არ მიჰაყვს კომუნისტური საქმე—და ცალკე პიროვნება—ამ შემთხვევაში მარტინ ბაიმაკოვი—ცდილობს გამოასწოროს ეს ხაზი, მართალი გზით წაიყვანოს მუშაობა; ბუნებრივია ამ ნიადაგზე შეტაკება მარტინსა და კოლექტივს შორის და აქ სიმართლე და რევოლიუციონერობა სავსებით მარტინის მხარეზე იქნება. მით უმეტეს საფიქრალია ეს, რომ მარტინის წინააღმდეგ განსაკუთრებული ეინიანობით და დაინტერესებით გამოდიან ისეთები კომუნისტურ კოლექტივიდან, რომლებთა უმრავლესობა უარყოფითი ტიპებია: ზოგი ლოთი, ზოგი გარყვნილი მოქმედების ადამიანი, ზოგი „ლოდირი" და უსაქმოა; მათთან შედარებით მარტინი გაცილებით უფრო მაღლა დგას როგორც კომუნისტი—ყოველ მხრივ. ბოლოს, ის ბრალდებაც, რომელიც ფორმალურად სარჩულად უდევს კონფლიქტს—არც არის ისეთი მნიშვნელობის ბრალდება, რომ მარტინი დამნაშავის სკამზე დავსვათ...

ადამიანი ერთი წუთით, მხოლოდ ერთი წუთით, შეკრთა და თავის პირდაპირ დანიშნულებას—განსაკუთრებულ რთულ და დახლართულ პირობებში—გვერდი აუხვია. ეს ინსტიქტიურად მოხდა: მარტინი ეხლაც ვერ მიმხვდარა, თუ როგორ დაემართა ეს მას; მაგრამ ეს მხოლოდ ერთი წუთი გაგრძელდა, მეორე წუთში—მარტინი უკვე გამოასწორებს თავის შეცდომას და არის იქ, სადაც უნდა იყოს. მაშასადამე, შესაძლოა მარტინი იყოს მართალი კონფლიქტში და არა კოლექტივი; შეიძლება კოლექტივი თვითონ მოქმედობს არა-კომუნისტურად, როდესაც დამნაშავის სკამშე აჯენს მარტინს და პასუხს ითხოვს მისგან... შეიძლება კოლექტივი სწორედ მათ მიჰყვება მარტინის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვინც მარტინის წინააღმდეგ მოქმედობს, პირადი ინტერესების მიხედვით, პირადათ უკმაყოფილო მარტინისა, სარგებლობს შემთხვევით და უსწორდება მას.

შეიძლება ვიფიქროთ ასე, შეიძლება დაუშვათ ეს?.. არა, არ შეიძლება. ეს არ იქნებოდა ნაწარმოების მარილის სწორედ გაგება. საქმე სწორედ იმაშია და ძალის თავიც ამ რომანის სწორად იქ არის დამარხული, რომ მიუხედავათ ყოველივე ამისა—მარტინი მაინც დამნაშავეა კოლექტივის წინაშე; კონფლიქტში კომუნიზმის პრინციპები კოლექტივის მხარეზეა და არა მარტინის. მარტინი, როგორც კომუნისტი, რევოლიუციონერი—არ არის მართალი იმ შეტაკებაში, რომელიც მას უხდება კომუნისტურ კოლექტივთან. რა იყო მთავარი მიზეზი მარტინის კონფლიქტისა კომუნისტურ ორგანიზაციასთან? შემთხვევითი იყო ეს მოვლენა, თუ წინასწარვე გადაწყვეტილი? მარტინის კონფლიქტის მთავარი მიზეზი შემთხვევითი არ იყო, იგი ემარხა თვით მარტინში და კოლექტივში; ეს

მთავარი მიზეზი იყო—მარტინის ისტორიულად მოცემული ხასიათი—ინდივიდუალისტ-რევოლიუციონერისა. ეს კონფლიქტი თანდათან იზრდებოდა—მოინახა მისთვის გარეგნული მიზეზი—თავის თავად სრულიად უმნიშვნელო—და მანაც იფეთქა. ეს მიზეზი რომ არ ყოფილიყო, სხვა მოინახებოდა—შეტაკება კი თითქმის აუცილებელი იყო, იმდენად, რამდენადაც იგი იმარჯებოდა კოლექტივის და მარტინის ბუნებაში. მის ასაცილებლად საჭირო იყო ან კოლექტივის მიერ თავისი გზის შეცვლა, ან და მარტინის ხასიათის გამოცვლა. პირველი შეუძლებელი იყო იმდენად, რამდენადაც ეს იქნებოდა თვით მისი დანგრევა, კომუნიზმის პრინციპების წინაშე ღალატი; მეორე კი შესაძლო იყო, მაგრამ სანამ ის არ მოხდებოდა—ე. ი. მარტინის ინდივიდუალიზმი არ დამარცხდებოდა მასში—კონფლიქტი აუცილებელი იყო და მოხდა კიდეც. რაში იხატებოდა მარტინის ეს თვისება—ამაყ ინდივიდუალიზმისა?

თითქმის მთელ მის—რომანში აწერილ—რევოლიუციონურ მოღვაწეობაში მარტინი თავიდანვე არ იზიარებდა თავის მასწავლებლის—ჩერნოგოლოვის შეხედულებას, რომ „ადამიანი არის პირველ ყოვლისა საზოგადოებრივი ცხოველი". მარტინს უნდოდა დაემტკიცებია: პიროვნება თავისთვის და საზოგადოება თავისთვის. და დამარცხდა. ამ ნიადაგზე ის ხშირად ამეტებდა თავის ძალღონეს და ხშირადვე მარცხდებოდა.

აქტივობა უდიდესი დადებითი თვისებაა ადამიანის, და რევოლიუციონერი გროშ-კაპიკად არ ღირს, თუ კი მას ეს აქტივობა, ენერგიულობა არა აქვს. მაგრამ არ ვარგა,—ხშირად დამლუპველიცაა,—საკუთარ ძალღონის ყალბი გაზომვა: წარმოდგენა, რომ გაცილებით მეტს გააკეთებ, ვიდრე აკეთებ დღეს, რომ შენ გაცილებით უფრო მეტი ძალა შეგწევს და შეგიძლია ვიდრე სხვები ფიქრობენ. ასეთი აქტივობა ხშირად განდიდების მანიაში გადადის და ადამიანიც ილუპება. მარტინს უთუოდ სჭირდა ეს სენი. ავტორი სწერს: „მაგრამ მარტინს ცოტა უფრო მეტი უბედურებაც ემართებოდა; ის აკეთებდა და ხელს კიდებდა არა მარტო იმას, რაც მიაჩნდა შესაძლებლად თავისი ძალღონისათვის. მასში იყო სწრაფვა ყოველგვარ არაჩვეულებრივისადმი და დაუძლეველისადმი. ყოველთვის იმას სცდილობდა, რაც შეიძლება მძიმე და პასუხსაგები საქმისათვის მოეკიდა ხელი. ცხადია, არაფრად ვარგა ის კომუნისტი, რომელსაც საქმის ეშინია და პასუხისმგებლობას გაურბის, მაგრამ დონკიხოტია და მამლაყინწა ისიც, ვინც თავის ნება-სურვილით, ისეთ საქმეს ეკიდება, რომლის დაძლევა არავითარ შემთხვევაში არ ძალუძს; საქმე იმაში კი არ არის, რომ ამით ის თვითონ იტეხს სახელს, ირცხვენს თავს, არამედ იმაში, რომ ამით ის საქმეს აფუჭებს, საერთო წინსვლას უშლის ხელს: აქ არის ადიმიანის უპასუხისმგებლობა; ხელს კი მოვკიდებ ამ დიდ საქმეს, და შევასრულებ, თუ ვერ შევასრულებ—ამას რა მნიშვნელობა აქვს. საქმეც იმაშია, რომ კოლექტივისათვის სწორედ იმას აქვს მნიშვნელობა—შეასრულებ თუ ვერა. აქ საქმე წარმოდგენილია—არა როგორც საშუალება კომუნიზმის შენებისათვის, არა როგორც ერთი აგური საერთო შენობის ასაგებათ,—არამედ როგორც საშუალება ჩემი—მისი მკეთებლის, მეთაურის—თავის გამოჩენისა.

ბევრია ავადმყოფი ამ სენით—ეხლაც არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი დანაკლისი მიუღია რევოლიუციას სხვადასხვა დროს სხვადასხვა ფრონტზე—ასეთი სენით დაავადებულ მომუშავეთაგან. ბიუროკრატიზმის და „კომჩვანობის“ სათავეებიც სწორედ იქ მარხია.

პიროვნებას ყველაფერი შეუძლია,—ასე ფიქრობდა მარტინი. მას ჰქონდა ძალა და ღონე, სურვილიც—რევოლიუციის სასარგებლოდ ემუშავა; მაგრამ საზღვრებიც ჰქონდა მის ძალას და ღონეს. ამ საზღვრებს ის ვერ ამჩნევდა; მუშაობდა გულწრფელად რევოლიუციისათვის, მაგრამ ამავე დროს იმისათვისაც ფიქრობდა, რომ რევოლიუციის საშუალებით თავის „მე“-ც ეჩვენებია ხალხისთვის. ხშირად ეუბნებოდა მას ჩერნოგოლოვი: „საკვირველი ადამიანი ხარ შენ, მარტინ—ნუ თუ არ გესმის, რომ მარტოხელა ადამიანი საპნის ბუშტივით სუსტია“. მარტინმა არ იცოდა ეს და თავის სამოქმედო ხაზს მხოლოდ თავის აზრებს და სურვილებს უფარდებდა.

რევოლიუციამ—მარტინს და ჩერნოგოლოვს—გადასახლებაში მოუსწრო. ჩერნოგოლოვი მაშინვე შეუდგა ადგილობრივ მცხოვრებთა შორის რევოლიუციონურ მუშაობას. ის არ ჩქარობდა დიდ ცენტრებისაკენ გაქცევას; მან კარგად იცოდა, რომ საჭიროების დროს პარტია მას დაუძახებდა; აგრეთვე ისიც იცოდა, რომ ხშირად კარგად გაკეთებული პატარა საქმე დიდ საქმის გაკეთებასაც სწყვეტს.

მარტინი არ იზიარებდა ამ შეხედულებებს. ის ფიქრობდა, რომ მისთვის ისტორიას უფრო დიადი საქმეები აქვს გამზადებული და ისიც მოვალეა ჩქარა გასწიოს იქით, საითკენაც მოუხმობენ მას ისტორიული საქმეები. თუმცა ამ შემთხვევაში „ისტორია“ და „ისტორიული“ მისთვის ნიშნავდა მის საკუთარ „მე“-ს განდიდებითი ფიქრებს, ოცნებებს—საგმირო საქმეების შესრულების შესახებ,.. „დილიდან საღამომდე თავს დავტრიალებთ ამ რაოდენიმე ბანჯგვლიან მონადირეთ, მაშინ ოდესაც იქ პროლეტარიატი... არა, არა, ყველაფერი რაც გნებავთ, მაგრამ არა აქ ყოფნა“.—ხშირად შესჩიოდა ამ სიტყვებით მარტინი ჩერნოგოლოვს. და ამ სიტყვებში---თავს გამოყოფდა მარტინში მჯდომი ძველი ადამიანი—რომელიც უმთავრესად მხოლოდ პირად სახელისათვის და განდიდებისათვის ფიქრობს. გმირობა მხოლოდ ერთეულებს შესწევთ. ათასები კი მათ შორის, რომლებიც თავიანთ თავს გმირებათ ნათლავენ, მხოლოდ თავის ფანტაზიაში არიან გმირები. ადვილად შესაძლო იყო და დასაშვები, რომ მარტინს დიდი ადგილი დაეკავა რევოლიუციის რომელიმე საპასუხისმგებლო სამუშაოზე—მაგრამ ასევე ადვილად შესაძლო იყო, რომ ეს არ მომხდარიყო ასე. ყოველ შემთხვევაში „ბანჯგვლიან“ მონადირეებთან მუშაობაც რევოლიუციის საქმე იყო და არა „საუკადრისო“ დამცირება.

„მარტინი, დიდი ხანია, თითქმის ბავშობიდანვე, ხშირად ფიქრობდა, რომ ის მოვიდა ამ ქვეყნად არა მარტო იმისათვის, რომ წაიღოს ამ ცხოვრებიდან თავისი ხვედრი უმნიშვნელო ხარკი. მან იცოდა, რომ ადრე თუ გვიან მისი საათიც ჩამორეკს და,—მაშინ, ყველანი გაიგებენ, და მიხვდებიან ბოლოს, თუ როგორი საოცარი და საკვირველი სიცოცხლე დაიწვა—მარტინის სახით—მათ ახლოს, შესახედათ“.

ასე ფიქრობდა და ფიქრობს მარტინი: ისტორიის ბეჭედი აზის მას და, თუ ცხოვრებაში, მუშაობაში არა, სიკვდილის შემდეგ მაინც დაატასებენ მას, როგორც განსაკუთრებულ ნიჭით და თვისებებით დაჯილდოებულ ადამიანს, მიხვდებიან და გაიგებენ, თუ რა საოცარი ცხოვრების პატრონი იყო იგი. ალბათ იმასაც ფიქრობდა მარტინი გულში: თუ როგორი ცრემლებით და ვაი-ვაგლახით გაწკეპლავდენ თავიანთ თავს ყველა ისინი, რომლებიც იცნობდენ მას და არ იცოდენ კი, თუ რა „საუნჯე და განძი“ იმალებოდა მასში.

გასაკვირი არ არის ოდნავათაც, რომ თავის ყოველდღიურ მუშაობაში მარტინი—ხშირად ხედავს თავის თავს: აბა როგორი ვარ, ისტორიის დანიშნულებას ხომ ღირსეულად ვასრულებ: თავს ხომ არ ირცხვენს ჩემი „მე“—განსაკუთრებულ ბეჭედით აღნიშნული.

მარტინი კარგი ორატორი იყო და პარტია, ალბათ, ხშირად ავალებდა მას სამიტინგო გამოსვლებს, და აი ავტორი აგვიწერს:

„მარტინმა იცოდა ცოცხლად და აღფრთოვანებით ლაპარაკი, საჭირო ადგილებში დაიხმარებდა ხოლმე მარქსს და ლენინს, ოსტატურად ამოკრეფილ ციტატებით, ლამაზ კოლონებათ აწყობდა საჭირო ციფრებს; მაგრამ იცოდა მან აგრეთვე, თავის აზროვნების რომელიღაც ნაწილით, ფრთებ-გაშლილი ნავარდი ზევით, მათ თავებზე, რომლებიც უსმენდენ მას, კვამლის ბოლით ავსებულ ზალაში—და ასე, უსმენდა თავის საკუთარ მგრგვინავ ხმას, დასცქეროდა ზევიდან ქვევით მთელ ამ ზალას, ადამიანებს, რომელთაც აქ თავი მოეყარათ და წარმოიდგენდა თავის-თავს მათ ცენტრში. და არამც თუ შესცქეროდა თავის თავს, არამედ სიხარულის ცრემლებამდე აღფრთოვანდებოდა ხოლმე,—ცრემლები, ცხადია. არ სჩანდნენ,—აღფრთოვანება კი დიდი იყო,—რადგან დიდი იყო და განუმეორებელი ეს წუთები“.

ყოველ შემთხვევაში, ასე ფიქრობდა ის: დიადია და განუმეორებელი ის წუთები, როდესაც მე ვლაპარაკობ და სხვები მისმენენო. ავტორი არაფერს ამბობს იმის შესახებ, თუ რას ფიქრობდენ მარტინის მსმენელნი, ისე ფიქრობდენ, როგორც მარტინი, თუ არა... ალბად არ ფიქრობდენ ასე; ალბათ ისინი უფრო იმაზე ფიქრობდენ, თუ რას და რაზე ლაპარაკობდა ორატორი, ვიდრე იმაზე, თუ როგორი „განუმეორებელი და დიადი იყო ეს წუთები“. ალბათ არც ისე განუმეორებელი იქნებოდა მარტინის ორატორობის წუთები.

კოლექტივმა მარტინს საყვედური გამოუცხადა; მარტინი თვით მოითხოვდა გასამართლებას,—მაგრამ დადგენილებით კმაყოფილი კი არ დარჩა. რის კმაყოფილი? თითქოს თავის მოკვლაზეც ფიქრობს; მან კარგათ იცის, რომ კოლექტივს სხვა დადგენილების გამოტანა არ შეეძლო, თვითონაც ამბობს: პარტია მართალიაო. მაგრამ დადგენილებას მაინც ვერ ინელებს. ნამდვილი წვრილბურჟუაზიული, ინტელიგენტური შეურაცყოფით შეხვდება იგი იმ ფაქტს, რომ მისმა ამხანაგებმა მას საყვედური გამოუცხადეს. იმის მაგივრად, რომ შემდეგი თავისი პარტიული მუშაობით დაამტკიცოს და ნათელი გახადოს, რომ მისი საქციელი იყო არა ბოროტმოქმედება და დანაშაული, არამედ შემთხვევითი უბედურება—იგი, როგორც ინდივიდუალისტი და, უმთავრესად, მხოლოდ თა-

ვის თავზე მზრუნავი, თავისი „მეს“ დამფასებელი—სახელი არ გამიტყდესო—ფიქრობს, რომ ორგანიზაცია ვალდებულია მხოლოდ მასზე იმსჯელოს, მხოლოდ მისი საქმე ექნეს ყურადღების ცენტრად,—მაშინ როდესაც ორგანიზაციას სხვა ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და საჩქარო საქმეები აქვს.

ზინა—გუბკომის ტეხნიკური მდივანი—ატყობინებს მარტინს კოლექტივის გადაწყვეტილებას. მარტინი საშინლად დაჯავრიანებულია და დაღონებული. ზინა ცდილობს დააწყნაროს იგი. ზინა ერთი იმ ახალგაზრდა კომუნისტთაგანია, რომლებიც იცავდენ მარტინს, რომლებიც იდეალისტები არიან ვითომც, მაგრამ თვით არიან ავად მარტინის ავადმყოფობით—ეგოცენტრიზმით.

— „მაგრამ მარტინ, ხომ მარტო საყვედური, მეტი არაფერი!

— „ეს, სულ ერთია,—წაილაპარაკა მან ჩუმად,—ახლა მე კარგად ვიცი თუ ვინა ვარ მე და რა უნდა ვაკეთო“.

კარგია, თუ გულწრფელად ლაპარაკობს მარტინი ამას; კარგია, თუ ახლა მაინც მიხვდა ის, თუ ვინ არის იგი, გაიცნო თავისი თავი; კარგია, თუ აწი მაინც ეცოდინება მას, თუ რა უნდა აკეთოს. კარგია ეს ყველაფერი, მაგრამ... საუბედუროთ ეს ასე არ არის. მარტინის ამ სიტყვებში უფრო მეტია შეურაცყოფილი თავმოყვარეობის ჩივილი და საყვედური თავის-თავზე, ვიდრე მართალი და გულწრფელი შეგნება და შეფასება თავის წარსულისა და ასეთივე სურვილი ხასიათის გამოცვლისა.

ამას ზინაც მიხვდება და გულმწყრალათ ესვრის: „ეგოისტი, პრანჭია!“

გაივლის დრო და მარტინი ფრონტიდან სწერს ზინას:

„შენ მართალი ხარ,—მე ეგოისტი ვარ. ვიყავი ეგოისტი მთელ ჩემ წარსულში, მაგრამ აწი არ ვიქნები. ვაპატიე ეს ჩემს თავს, რადგან მე ნაყოფი ვარ რომელიღაც საზოგადოებრივ წრის, ცხოვრების პირობების: ვფიქრობდი ჩემს მკრთალ-სახიან დედაზე—ვნაღვლობდი ძლიერ ადამიანზე“.

შესძლებს კი მარტინი დაპირების შესრულებას? შესძლებს კი შეუთანხმოს და დაუმორჩილოს თავისი „მე“, თავისი ნებისყოფა, ხასიათი კოლექტივს და მის ნებისყოფას? ზინა ფიქრობს კი:

„შეუფარდებს და შეუერთებს თავის ნებისყოფას მილიონებისას და მათთან ერთად დაამარცხებს მასში მცხოვრებ წარსულის საშინელებებს“.

უარსაყოფი არ არის ეს ფიქრი:

ბაიმაკოვი შესძლებდა, ალბათ, თავიდან მოეხსნა უკანასკნელი კუზი წარსულისა; ამის თავდები იყო ის, რომ ბაიმაკოვში ბევრი დადებითი თვისებებია. რომ ეს ინდივიდუალიზმი, ეგოცენტრიზმი არა—ბაიმაკოვი თითქმის იდეალური კომუნისტი იქნებოდა. მისი ბრძოლა კლეპტიკოვების და კომპანიის წინააღმდეგ—ნათლად ამტკიცებს, რომ მისი შინაგანი „მე“ მაინც ჯანსაღი იყო: მას ჰქონდა ის, რაც აკლია ბევრს, მათ შორის კომუნისტებსაც: მას უტეხი ნება ჰქონდა და დასახული მიზნის მიღწევაც იცოდა, რათაც არ უნდა დაჯდომოდა იგი. საკმაო იყო, მას შეეგნო თავისი ხასიათის უარყოფითი თვისება—ეგოისტობა,—და დაესახა მიზნათ მისი აღმოფხვრა—რომ ის შესძლებდა ამას აუცილებლივ. მაგრამ ავტორმა არ ისურვა დაენახებია ჩვენთვის—ბაიმაკოვი თავისი

წინააღმდეგ „მე-ს“ მებრძოლი და შემდეგ გამარჯვებული. რომანი ამის შესახებ არაფერს ამბობს, ახალი მარტინი—რომანში არა სჩანს.

მარტინი წავიდა სამოქალაქო ომების ფრონტზე: და იქ—ათასებთან ერთად, გაიზიარა გმირული სიკვდილი. არ დასცალდა მას გამთლიანებული და განახლებული დაბრუნებოდა პარტიას და მუშაობას.

ის მოკვდა უფრო ადრე, ვიდრე თავის თავში მოკლავდა ძველ მარტინს.

ბიბლიოთეკა

III

რა იყო მიზეზი მარტინის ასეთი ხასიათისა? საიდან მოვიდა ასეთი ტიპი? სად დაიბადა და ჩამოყალიბდა ასეთი ადამიანი? ვინ, ან რა იყო მთავარი დამნაშავე მარტინის „დანაშაულში“? ვისი ისტორიული ცოდვა ეკიდა ტვირთად მარტინს? ავტორის აზრით მთავარი მიზეზი იყო სისხლი, მარტინის ჩამომავლობა. ჩვენ ვფიქრობთ, ავტორი აქ ცდება. ყოველ შემთხვევაში გადაჭარბებულ მნიშვნელობას აძლევს იგი მემკვიდრეობით თვისებებს. რასაკვირველია, ამასაც მნიშვნელობა ექნებოდა და შეიძლება დიდიც, მაგრამ გადამწყვეტ მიზეზად მას მაინც ვერ ჩავთვლით. აქ ავტორი რამდენიმეთ მეცნიერებასაც ღალატობს. უფრო სწორი იქნებოდა და თანამედროვე მეცნიერებასთან უფრო ახლო, რომ ავტორს ბაიმაკოვი დაეხატა, როგორც შედეგი საზოგადოებრივ ურთიერთობათა, როგორც შედეგი და შვილი კერძო საკუთრებაზე აგებული საზოგადოებრივ წესწყობილებისა. ვ. ბახმეტიევი კი—მხოლოდ სისხლზე მიგვითითებს,—დედისა და მამის სისხლი სდუღდა მასში, და ამიტომ გამოვიდა იგი ასეთიო. დედის და მამის სისხლის ნაყოფი რომ იყო ბაიმაკოვი (როგორც ყველა ადამიანები) ეს ცხადია, მაგრამ ეს არ არის სრულებითაც საკმაო, რომ ახსნა და მთავარ მიზეზად გამოაცხადო ადამიანის ამა თუ იმ საზოგადოებრივ ყოფა-ქცევისა, მაშინ როდესაც მთავარი აქ არის ის წრე, არსებობის ის პირობები, რომლებშიაც უხდებოდა ტრიალი დასახელებულ პირებს, და რომლის ზნე-ჩვეულებათა ნაყოფი და მსხვერპლი იყო იგი. რით უნდა ავხსნათ, მაგ., მარტინის შეხედულებანი ქალზე და ქალის დანიშნულებაზე: მარტინს კი საკმაოდ რეაქციონური და არაკომუნისტური შეხედულებანი აქვს ამ საკითხში.

როდესაც ზინა გაკვირვებით ისმენს ბაიმაკოვის „ფილოსოფიას“ ქალის ბუნებრივ დანიშნულების შესახებ და ეკითხება:

— „ბაიმაკოვ, ნუ თუ შენც იმ აზრისა ხარ, რომ ქალი სამზარეულოში, ცეცხლთან უნდა იყოს მხოლოდ?“.

— „ცეცხლთან კი არა, აკვანთან,—უპასუხებს ბაიმაკოვი, და რომ უხერხულ მდგომარეობიდან გამოვიდეს, თითქოს კომუნისტურ საფუძველს აძლევს ამ თავის ძალზე ძველ და ძალზე ძირმომპალ დებულებას—უმატებს:

— „ვინაიდან კომუნისტური საზოგადოება არ ფიქრობს სრულებითაც მოსპოს ადამიანთა მოდგმის გაგრძელების საქმე“.

ცხადია, ბაიმაკოვი ამ „ეშმაკობით“ ვერავის მოატყუებს: კომუნისტური ამ შეხედულებაში იოტის ოდენაც არაფერია: ნამდვილი ძველი „ბარინის“ და „უკულტურო კულაკის“ მსჯელობაა ეს. კომუნისტური საზოგადოება, ცხადია,

არ სპობს ადამიანის გამრავლების საქმეს,—მაგრამ ეს სრულებითაც იმას არ ნიშნავს, რომ ქალი საჭიროა მხოლოდ აკვანთან იყოს და საზოგადოებრივ ცხოვრებას და მუშაობას მოსცილდეს და მოსწყდეს.

მარტინი მცოდნე კაცი იყოვო—გვეუბნება ავტორი, მაგრამ ბებელის „დედაკაცი და სოციალიზმი", რომ არ წაუკითხავს მას—ეს [illegible] მაგრამ შეიძლება წაიკითხა და არ მოეწონა? ვინ იცის. მაგრამ [illegible] ეარესი მის კომუნისტობას. ყოველ შემთხვევაში ასეთი იყო ერთ დროს მარტინის შეხედულებანი ქალთა საკითხზე და ჩვენ ვფიქრობთ: ძალიან ძნელია ამის ახსნა მით, რომ მარიტნის ძარღვებში სჩქეფდა მეთევზისა და „მკრთალ-სახიან ბარინას" სისხლი. ამით ჩვენ ამას ვერ ავხსნით; მხოლოდ დავაბნევთ საკითხს. ავტორი კი სწორედ ამით გვიხსნის მარტინის ამ შეხედულებას და საერთოდ მთელ მარტინს როგორც ტიპს.

„ქვეყანა ძველია, ადამიანები მოდიან მასში და ისევ მიდიან, მაგრამ სისხლი მათი, როგორც ღვინო მარანში: დრო გარბის, მოვლენანი იცვლებიან, გრძნობები და ჩვეულებანი კი მხოლოდ მაგრდებიან და მტკიცდებიან".

არ არის ეს ასე: ასე რომ იყოს, მაშინ პროგრესიც არ იქნებოდა და კომუნიზმსაც, მით უმეტეს, ვერასოდეს ველირსებოდით. არა მეცნიერულია ბახმეტიევის ეს რწმენება. მართალია, ქვეყანა ძველია, მაგრამ სრულებითაც არ ნიშნავს ეს იმას, რომ ადამიანები არ იცვლებიან, ე. ი. არ იცვლება მათი გრძნობები და ჩვეულებანი.

ჩერნოგოლოვი, რომლის სახით ავტორს, ეტყობა, თავისი აზრების კომუნისტი ჰყავს გამოყვანილი,—ასე ეუბნება მარტინ ბაიმაკოვს:

— „მე შენთან შედარებით ორჯერ უფრო ეხხესი ვიქნები, მაგრამ დღემდის სად არის და სად არა—მაინც ვგრძნობ ჩემს ზურგზე უკან მათემატიკის მასწავლებელს".

მათემატიკის მასწავლებელი—ეს მისი მამაა. ასე რომ, არა მარტო მარტინის მიმართ მონახა ავტორმა ეს „მიზეზი", ბახმეტიევს საზოგადოებრივ საერთო კანონათ აქვს იგი გამოცხადებული.

როდესაც მარტინი, დაჟინებით მოითხოვს—რევოლიუციის პირველ დღეებში—საჩქაროთ წავიდნენ ცენტრისაკენ და თავი მიანებონ „ბანჯგვლიან მონადირეთ"—ჩერნოგოლოვი ასე ხსნის მის მოქმედებას:

„შენს სურვილში—ეხლავ გაიქცე აქედან—მე მელანდება შენი მშობლების ჯიუტობა".

მარტინი ამაზე უპასუხებს, რომ ჯიუტობა თვითონ ჩერნოგოლოვსაც არ აკლია მაინც და მაინც; ჩერნოგოლოვი ასე მიუგებს: „ჩემი ჯიუტობა ჩემს რწმენაშია და შეხედულებებში, შენი კი შენს სისხლში".

ცხადია, მარტინს როგორც ტიპს თავისებურ რევოლიუციონერისა,—რომლის მსგავსნი კიდევ უფრო ცუდ „გამოცემებში" ძალიან ბევრია ჩვენს სინამდვილეში—ხშირად კომუნისტებშიაც,—ავტორის ასეთი ყალბი და არა-მართალი გაშუქებით—არ ეკარგება ოდნავათაც ფასი. ჩვენ შეგვიძლია არ დავეთანხმოთ ავტორს, თუ რა მიზეზებმა და არსებობის პირობებმა შექმნეს და წარ-

მოშვეს მარტინი სწორედ ასეთი ხასიათით—მაგრამ, რომ მარტინი საინტერესო და ცოცხალი ტიპია—ეს ნათელია და ურყევი. ის კარგადა ჰყავს ავტორს დახასიათებული და დახატული: ეს კი მთავარია.

ჩვენი ცხოვრება უთუოდ ავადმყოფია მარტინის სენით: არა მარტო ისინი, რომლებიც კომუნისტური რევოლიუციის იქეთ არიან დარჩენილნი, არამედ და—არა ერთი და ორი—კომუნისტური პარტიის წევრებიც დაავადებული არიან ამ სენით. უბედურება იმიშია აგრეთვე, რომ ჩვენი ცოცხალი მარტინები დაჯილდოებული არიან ზომაზე მეტად: პირად თავმოყვარეობით, განდიდების მანიით, ეგოცენტრისტულ ხასიათით,—და ამავე დროს ძალიან ნაკლებათ აქვთ, ხშირად კი სრულებითაც არა, ის კარგი და დადებითი თვისებები, რომლებიც მარტინს საკმაოდ ჰქონდა და რის წყალობითაც იგი არ გადიქცა ხორც მეტად კომუნისტური პარტიისათვის.

ავტორი მშვენივრად მოიქცა, რომ მარტინი „უარყოფით" ტიპად არ გამოიყვანა; მარტინს, რომ ჰქონდეს—გარდა თავისი ეგოცენტრიზმისა—სხვა მნიშვნელოვანი უარყოფითი თვისებები—მაშინ მისი მნიშვნელობა,—როგორც განსაკუთრებული, ორიგინალური ტიპისა, ნაკლები იქნებოდა და ინტერესს მოკლებულიც. ბახმეტიევის რომანის ინტერესი მასში კი არ არის, რომ უარყოფითი ტიპია რომანში დახატული, თუ გინდ ძალიან ცოცხალი და მხატვრული ფერებით შესრულებული—ასეთ ტიპებს საერთოდ ჩვენი ლიტერატურა დღეს საკმაოდ გვაძლევს,—არამედ იმაშია „მარტინის დანაშაულის" ინტერესი და განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომ მარტინში, რომელიც—ერთი შეხედვით გმირია და თითქმის იდეალური კომუნისტი—(ზოგიერთმა რეცენზიტებმა სწორედ ასე მონათლეს მარტინი და ამიტომ იყო მათთვის გაუგებარი: რატომ დაარქვა ავტორმა თავის რომანს „მარტინის დანაშაული"),—მოცემულია ეგოცენტრისტი კომუნისტი და ამ ნიადაგზე აღმოცენებული მისი კონფლიქტები კოლექტივთან, მისი გათიშვა კოლექტივიდან და შემდეგ კი ცდა მობრუნებისა...

რატომ არის განსაკუთრებით საინტერესო ასეთი ტიპი? და მისი ამდაგვარი „ტრაქტოვკა?" იმიტომ რომ განსაკუთრებით საშიშია მარტინის ავადმყოფობა დღევანდელ პირობებში რევოლიუციის არსებობასა და განვითარებასა, საკმაოდ მრავალ რიცხოვანია—ხშირად იდეალურ რევოლიუციონერის სამოსში გამოწყობილი—მარტინები დღეს, ხშირად ისინი მეტად პასუხსაგებ ადგილებზე მუშაობენ: ხშირად—უმადურება სწორედ ამაშია—მათ გარშემო მომუშავე ადამიანებიც სწორედ ასე ფიქრობენ მათზე, ე. ი. რომ ისინი განსაკუთრებული თვისებებით დაჯილდოებული, დიდი ადამიანებია და რომ მათ უფლებაც აქვთ იამაყონ თავიანთ თავით. ბახმეტიევის რომანის დიდი ღირსება სწორედ იმაშია რომ ამ რომანში, პირველად მთელ რუსულ ახალ ლიტერატურაში, დახატულია ასეთი ორიგინალური „უარყოფითი" ტიპი. მარტინები დიდ ხანს გმირებათ ითვლებოდენ, საზოგადოებრივ კრიტიკის თვალ-ყურის დევნის გარეთ იყვნენ ისინი. „შკურნიკობა", მექრთამეობა, მფლანგველობა, ბიუროკრატობა, „კომჩვანობა"—ყველა ეს დამპალი თვისებანი ძველი ადამიანის,—კომუნისტურ პარტიაშიც შემოჭრილი—საკმაო და საგრძნობ კრიტიკის

ცეცხლში იქნა გატარებული—ეს ცეცხლი თანდათან მატულობს—ლიტერატურაშიც, მაგრამ ნაკლებათ მიუქცევია ჩვენ კრიტიკას პოლიტიკურს და ლიტერატურულს ყურადღება მასზე, რომ ძალიან ხშირად ზოგიერთ ამ ავადმყოფობათა ფესვები და სათავენი სწორედ მარტინის სენში მარხია.

და მართლაც: რა არის უმთავრესი ნიშანდობლივი [illegible] სენისა—ეგოცენტრიზმის; ის რომ—მისი პატრონი მოწყვეტილია [illegible] ადეურათ ამართლებს ამას: მე სხვებს ვჯობნი, მე განსაკუთრებული ნიჭითა ვარ დაჯილდოვებული, მე ნაკლებად ვცდები, ვიდრე სხვები—მაშასადამე მე უნდა მომყვებოდეს სხვები—დანარჩენები, კოლექტივი ჩემთვის,—ჩემი დამჯერი უნდა იყოს, მე უფრო სამართლიანად და სწორედ გადავჭრი საკითხებს, ვიდრე სხვები. ამიტომ თავის თავად იბადება დასკვნა: რატომ უნდა მივაქციო მაინცა და მაინც ყურადღება იმას, თუ რას ამბობენ სხვები, თუ გინდ ჩემი პარტიული ამხანაგებიც?! რა საჭიროა ეს: უბრალო დროის დაკარგვაა და მეტი არაფერი. „იდეური“ ბიუროკრატი სწორედ აქ იბადება და აქედან იწყებს ზრდას. მართლაც და ის ფაქტი, რომ არა ერთი და ორი კარგი რევოლიუციონერი, კომუნისტი,—ბიუროკრატათ იქცევა საპასუხისმგებლო ადგილზე; მით მარტო ხომ არ აიხსნება, რომ მასში იჯდა ეს ბიუროკრატი თავიდანვე, ან და იმით, რომ ასე სურდა მას! ცხადია, არა. ამის მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს მასებისაგან მოწყვეტა, ჩამოშორება. ეს კი იწყება, ხშირად, თავის თავზე დიდი წარმოდგენით, ეგოცენტრიზმით. განა ცოტანი არიან ჩვენში, განა მხოლოდ ერთსა და ორს ვხვდებით ყოველდღიურ მუშაობის პროცესში ისეთებს, რომლებიც თავის თავს თითქმის უცოდველ „ღმერთებათ“ სთვლიან და ყოველგვარი კრიტიკა მათ სამოქმედო უწყებაში თუ რაიონში წარმოებულ მუშაობისა თავის პირად შეურაცყოფად მიაჩნიათ!? ხშირად ნახავთ ასეთ ბიუროკრატს: ჰო, რამდენი მედიდურება და იუპიტერის რისხვა იხატება მის სახეზე: მე ვარ და... გარს შემორტყმია არა ერთი და ორი საკუთარი მბღვერები—ლაქიები—პოლიტიკური და მორალური,—ასეთებიც ჰყავს მას, საჭიროების დროს მათ გაუშვებს ხოლმე საკრიტიკოთ... ფეხზე ჰკიდია მას მასები და მასების კრიტიკა. თვითკრიტიკა კი ხომ მისთვის ფიზიკურად შეუძლებელი ამბავია.

რასაკვირველია,—მარტინი ასეთი ბიუროკრატი არ არის; ის არ არის „წყალ წაღებული“, მაგრამ მასში არის დაბუდებული ის სენი, რომელსაც, გადიდებულს და გამძინვარებულს, შეუძლია ასეთად გახადოს იგი.

მარტინის ბედნიერება კიდევ ის არის, რომ მას სამოქალაქო ომის პირობებში უხდება მუშაობა და მოქმედება,—როდესაც რევოლიუციონური ტალღა ხან აქედან შემოგკრავს, ხან იქედან, მოსვენებას არ გაძლევს: დღევანდელ—შედარებით მიყუჩებულ და რევოლიუციის უფრო შენელებულ წინსვლის პირობებში,—მარტინის ავადმყოფობა უფრო ადრე და უფრო ჩქარა გაიფურჩქნებოდა, უფრო მალე „დაიპყრობდა“ მის პატრონს.

მიხაილ ივანიჩს—ჩერნოგოლოვი,—და ზინაიდა ნიკიფოროვნას—ზინა,—ეხლა ისინი უკვე ცოლქმარნი არიან—ერთხელ ასეთი ბაასი ჰქონდათ:

ზინა უკმაყოფილოა, რომ საზოგადო მუშაობას მოწყდა და რომ მთელი მისი დრო ბავშის მოვლას უნდება.

ის ოცნებობს, რომ მალე დაუბრუნდეს საზოგადოებრივ მუშაობას და ფიქრობს, თუ რა სამუშაო შეუძლია მას აიღოს თავის-თავზე და ბოლოს ასე ამბობს:

„განა მე არ შემწევდა ძალ-ღონე, რა სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო, დამოუკიდებლივ, უშუალო მეთაურობა გამეწია მისთვის?!“

მიხაილ ივანიჩი ამაზე სამართლიანად შენიშნავს:

„რა სამუშაოც არ უნდა ყოფილიყო!—გაიმეორა მიხაილ ივანიჩმა და ნაღვლიანად გაიღიმა:—„ეხ, ჩემო ზინაიდა ნიკიფოროვნა, შენ ეხლა უკვე მომწიფებული ადამიანი ხარ; მაგრამ დღემდე ვერ მოგიშორებია თავიდან ეს ცუდი ჩვეულება: სულ „მე და მე“, მე ყველაფრის შუა, ცენტრში“. ეს საყვედური სავსებით სწორია და სამართლიანი; ტყუილად კი არ იცავდა ზინა ოდესღაც ასეთი გაშმაგებით მარტინს. მასშიაც ბუდობს სადღაც, ორგანიზმის კუნჭულში ეს წყეული თვისება წარსულ რდოების, მესაკუთრეთა კლასებისაგან დარჩენილ ფსიხოლოგიის ნაშთი: „მე“—ცენტრი, სხვები გარშემო. ზინა კარგად ებრძოდა ამ თავის „მეს“—არ აძლევდა მას გასაქანს: ამიტომაც არ ჰქონდა მას ხშირი კონფლიქტები კოლექტივთან. მაგრამ ხანდახან წვეტიან კლანჭებს ძველი ადამიანისა—იგიც გამოჰყოფდა ხოლმე; მართალია, უცებ დაიმალებოდენ ეს კლანჭები, ისე რომ ვერავის გაკაწვრასაც ვერ მოასწრებდენ, მაგრამ ფაქტი კი ის იყო, რომ ისინი ბუდობდენ ორგანიზმში, ცოცხლობდენ სადღაც კუთხეში—და, ვინ იცის, შეიძლება ერთ დღეს თავსაც წამოყოფდენ. და მაშინ ჩვენს წინ წარმოდგებოდა,—არა ძველი ჩვენი ნაცნობი—ზინა, გუბკომის მდივანი, დღე და ღამ მომუშავე, ენერგიით აღსავსე, სიმპატიური ადამიანი, კარგი ამხანაგი, ჭკვიანი და წინდახედული, ზინა,—არამედ,—ზინაიდა ნიკიფოროვნა—„დიდიკაცის“ ცოლი, ეგოცენტრისტი და, მერე, ვინ იცის, შეიძლება მედიდურ სახიანი ბიუროკრატი,—ვინ იცის! განა ასეთი ფერისცვალებანი გვინახავს!

— „ცხოვრებაში მთავარი ის არის, რომ გწამდეს შენი თავი, გჯეროდეს მისი, გრწამდეს შენი კლასის, გჯეროდეს მისი, გქონდეს შეგნება, რომ შენ მართალი ხარ შენს კლასის წინაშე.

„ჩვენი სინიდისი ეს ჩვენი კომპასია, მისი ისარი ყოველთვის იმას უჩვენებს, თუ რა უფრო სასარგებლოა მუშათა კლასისათვის. წაართვით მაგნიტი ისარს და ადამიანიც მოწყდება თავის კლასს, დაჰკარგავს მას. ჩვენი სინიდისი სასტიკია და დაუზოგავი, შეცოდება არ იცის მან, და რამდენათაც უფრო ახლოსა ვართ ჩვენ ჩვენი ცხოვრების მიზანთან, მით უფრო ბევრის მომთხოვნი და დაუზოგავნი ვართ ჩვენს საკუთარ „მეს“ მიმართ.

„მარტინმა განიზრახა სინიდისის საკითხი ამოეცნო თვითონ მარტო. თავისი საკუთარი ძალღონით. მას დაავიწყდა ის, რომ ადამიანის ბუნებასთან ბრძოლა მარტო ერთ ადამიანისათვის შეუძლებელია; და ამიტომ მან ვერაფერი გვითხრა ვერც თავისი სიცოცხლით და ვერც სიკვდილით, რადგან რა არის ბოლოს და ბოლოს სიმამაცე რაინდისა, როდესაც მამაცია თვით კლასი მთლია-

ნად: ვიღაცამ, სადღაც—წაიფორხა, წაიქცა, მისი ადგილი დაიკავა სხვამ, მორიგემ".

— ასეთი „სენტენციით" თავდება ფაქტიურად ეს რომანი. ჩვენ არ შეგვიძლია მივიღოთ იგი სავსებით. მართალია ის, რომ საჭიროა. „გარწამდეს თავისთავი, გჯეროდეს მისი, გქონდეს შეგნება, რომ შენ მართალი ხარ. შენი კლასის წინაშე".

მართალია ყველაფერი ეს, მაგრამ არა საკმაოა, რაღაც აკლია მას. აი, მაგ. მარტინს სწამდა თავისი თავი და სჯეროდა მისი. ვერავინ ვერ იტყვის, რომ მას არ ჰქონდა შეგნება თავისი მოქმედებათა სიმართლისა მუშათა კლასის წინაშე, და მიუხედავათ ამისა, ის მაინც ჩავარდა წინააღმდეგობაში თავის კლასთან, თავის პარტიასთან; „რაღაც" აკლია ბახმეტიევის ფორმულას, არაა, საკმაო ის, რასაც ის ამბობს; ეს „რაღაც" ის არის, რომ საჭიროა არა მარტო გწამდეს და გჯეროდეს თავის თავის და თავისი კლასის, არამედ ახერხებდე და იცოდე შენი ნება-სურვილი, შენი ხასიათის მოთხოვნილებანი შეუფარდო კლასის ნება-სურვილებს, კლასის „ხასიათს", უნდა იცოდე დამორჩილება პირადი „მე"-სი კლასისა და კლასიურ პარტიის წინაშე. შენ გგონია, რომ მართალი ხარ შენი კლასისა და პარტიის წინაშე,—მაგრამ ადვილად შესაძლოა, რომ არა ხარ მართალი, რომ შენ ცდები და ვერ ამჩნევ ამას, იმიტომ რომ შენ ერთი ხარ—ერთი თავი გაქვს და ერთი გული. შენი „სიმართლე" კლასის წინაშე მაშინ არის ობიექტიურად სიმართლე, როდესაც იგი ეთანაბრება და ეთანხმება კლასის მოწინავე ჯგუფის, ავანგარდის „სიმართლეს", ემორჩილება მის უმრავლესობას. ასეთი ჯგუფი, ასეთი ავანგარდი კლასისათვის არის მისი პარტია: საჭიროა შენი „მე" დაუმორჩილო ამ პარტიის „მეს". აი რა აკლდა მარტინს. მან არ იცოდა ეს. მან არ იცოდა, რომ კოლექტივთან კონფლიქტში მისი შეგნება თავის შინაგანი სიმართლისა ყალბი იყო და არაა მართალი. მარტინის „ფილოსოფიას" რო გავყვეთ ბოლომდე, იგი აუცილებლივ ანარქიზმის ზღვაში შეგვაცურებს.

მარქსიზმი პოლიტიკაში უდისციპლინოთ—მკვდარი მცნებაა.

არც ისაა სავსებით მართალი, ვითომ მარტინმა ვერაფერი გვაჩვენა ვერც თავის სიცოცხლით და ვერც სიკვდილით, „რადგან რა არის სიმამაცე რაინდისა, როდესაც მამაცია თვით კლასი მთლიანად; ვიღაცამ სადღაც წაიფორხა, წაიქცა, მისი ადგილი დაიკავა სხვამ, მორიგემ". არ არის სავსებით მართალი ეს. მარტინმა ბევრი რამ გვითხრა თავის სიცოცხლით და სიკვდილითაც. გვითხრა ის, რომ მიუხედავათ ბევრ კარგ და დადებით თვისებებისა,—იგი მაინც ჩავარდა წინააღმდეგობაში თავის პარტიასთან და ჩავარდა როგორც არა მართალი; მან გვითხრა თავის სიცოცხლით ის, რომ ეგოცენტრიზმი უდიდესი მტერია რევოლიუციის ადამიანთათვის; განა მარტინი ცოტა სარგებელს მოუტანდა რევოლიუციას და მუშათა კლასს, რომ სხვა კოლექტიური შეგნება, ხასიათი ჰქონოდა მას? მართალია, კლასის სიმამაცესთან შედარებით, რა არის სიმამაცე ცალკე ერთეულისა, მაგრამ არ იქნება მართალი, როდესაც ასე ვამბობთ:

„ვილაცა, სადღაც წაიქცა, წაიფორხა—მისი ადგილი დაიჭირა მეორემ“, მორიგემ“. გმირებისა და გმირობის გადამწყვეტი მნიშვნელობა ისტორიულ ამბებისათვის ჩვენ ცხადია არა გვწამს, მაგრამ არც იმათ ვეკუთვნით, რომლებთათვის მარქსიზმი მხოლოდ ფატალიზმია; ბრძოლის თეორია—რომ ბოლოსა და ბოლოს ადამიანებით ასრულებს ისტორია თავის განვითარების კანონებს—ასეთ კარიკატურათ გადაქცეულა: ვიცადოთ—რაც მოსახდენია, მაინც მოხდებაო! ბრძოლების სიმამაცეს თუ სილაჩრეს უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როდესაც ისინი თავის მოქმედებას კლასის გზას უფარდებენ. და ეს ასეა განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უშუალო ბრძოლებსა და ნგრევა-შენების გაცეცხლებულ ეპოქაში ვცხოვრობთ. მეთაურობის და მეთაურების პრობლემა არც ისე ადვილათ სწყდება, რადგან არც ისე ადვილია „მორიგეების“ საჭირო დროზე და საჭირო ღირსების შოვა.

მარტინ ბაიმაკოვი კარგი მეთაური იქნებოდა, რომ მუშათა კლასის კოლექტიური სული მაგრად და ღრმად ყოფილიყო გამჯდარი მასში.

ბახმეტიევის რომანი „მარტინის დანაშაული“ საინტერესო რომანია, ღირსი არა მარტო წაკითხვის, არამედ სერიოზული ჩაკვირვების და დაფიქრების.

„დაჩაგრული..... კულაკი“

გლებ ალექსეევის ახალი მოთხრობის—„ქურქი“*) უმთავრესი ინტერესი მასში მდგომარეობს, რომ იგი პირველი ცდაა ახალ რუსულ მხატვრულ ლიტერატურაში „კულაკის“ მიმზიდველი ხასიათის თვისებებით დახატვისა. საოცარია ეს და გასაკვირი, მაგრამ— ეს ფაქტია; ავტორის სიმპატიები თავისი გმირის— კულაკ-დრიგულინის მხარეზეა.

დამაფიქრებელი მოვლენაა ეს. განსაკუთრებით დღეს, როდესაც თვით კომუნისტურ პარტიაშიაც აქა იქ—მართალია გაუბედავი, მაგრამ მაინც საკმაოდ მისახვედრი, ცოტა დაფარული, მაგრამ თეთრი ძაფებით შეკერილი,—გაისმის ხმები იმის შესახებ, რომ ვითომც ზედმეტი „ნაჟიმია“ კულაკების მიმართ ჩვენს პოლიტიკაში, რომ საჭიროა ცოტა უფრო მეტი თავისუფლება მივსცეთ მათ, რომ, დაბოლოს, სოფლის კულაკი არც იმდენად საშიშია, როგორც ეს ჩვენ გვგონია და, სხვა ასეთი ლათაიები,— რომელთა შესახებ ამას წინათ სტალინიც ამბობდა— თავის წერილში, „პურის დამზადების“ შესახებ,— აი ამ დროს ვიმეორებთ,— განსაკუთრებით დამაფიქრებელია და სიმპტომატიური—გლებ ალექსეევის გაბედული გამოსვლა მხატვრულ ლიტერატურაში კულაკის „ხელოვანის“ როლში.

გლებ ალექსეევი— არ არის „კონტრრევოლიუციის“ მწერალი, ის საბჭოთა მწერალია, ჩვენში მუშაობს იგი, ალბათ გულწრფელათ ფიქრობს, რომ დრიგულინები— სასარგებლო მოვლენაა რევოლიუციისათვის. მით უფრო ჩამაფიქრებელი ხდება მაშინ— ეს ამბავი კულაკის იდეალიზაციისა, მით უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციოს კრიტიკამ ამ მოვლენას. ხშირად—„აზროვნება საზღვებათ“— უფრო გარკვევით და დასანახათ ამბობს იმას, რასაც ვერ ბედავს

*) Альманах. Недра № 12. Г. Алексеев—„Шуба“.

ტიტველი ფაქტები და ციფრებით მოაზროვნე; ხშირად პოეტი უფრო „გაბედულია“, ვიდრე პოლიტიკოსი.

გლებ ალექსეევი უთუოდ გამოხატავს განწყობილებას რომელიც საზოგადოებრივი წრისა, თუ ამ წრის ერთი რომელიმე ჯგუფისა: საბჭოთა ხელისუფლებასთან ერთად— მხოლოდ კულაკებს უფრო მეტი [illegible] და „თავისუფლება“.

ЭПЕЗЕНИРИЕЕ

გლებ ალექსეევი, ეტყობა, თვითონაც გრძნობს რასაც „ახალს“ ლაპარაკობს თავისი მოთხრობით და ამიტომ, ალბათ, ყოველგვარ გაუგებრობის „გასაფანტავად“ შემდეგ შენიშვნას უკეთებს თავის მოთხრობას:

> Шуба является только первой частью задуманной трилогии. В дальнейших частях автор надеется показать тех новых людей, которые как ему кажется призваны разрешить основную проблему переустройства жизни на новых началах. Автор хорошо понимает, что эту проблему, арудуя старыми методами, не мог разрешить кулак Дригулин. Одноко это обстоятельство не является основанием для наделения героя „Шуба“ всеми кочествами злодея.

შენიშვნა, საუბედუროთ ვერ „ჰფანტავს“ გაუგებრობას, რადგან ოდნავადაც ვერ ჰფანტავს იმ შთაბეჭდილებას, რომელსაც აუცილებლივ ჰქმნის თვით მოთხრობა: ეს შთაბეჭდილება გამოიხატება მასში, რომ მკითხველის სიმპატიები მოთხრობის კითხვისას სავსებით კულაკ დრიგულინის მხარეზეა, ავტორი ცდილობს, რომ ეს ასე იყოს და კიდევაც აღწევს მიზანს. მოთხრობის „ძაღლის თავიც“ სწორედ აქ არის დამარხული.

ნაწარმოების ხასიათს—რეაქციონურია ის თუ რევოლიუციონური—ჰქმნის არა ის, თუ როგორ პროზაიულ შენიშვნებს უკეთებს „პოსტ-ფაქტუმ“ მას ავტორი, არამედ ის თუ რა შთაბეჭდილებას ახდენს მთლიანად იგი მკითხველზე— ვისი სასარგებლოა ეს შთაბაჭდილება, ვის მიმართ ჰბადებს ავტორი სიმპატიებს და სიძულვილს მკითხველში— აი რას აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა ნაწარმოების „იდეური“ მხარეების დაფასების დროს. და ჩვენ ვამბობთ გადაჭრით: ავტორი, საკმაო გამბედაობით, საკმაო ოსტატობით და, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, ხელოვნების რეალისტური თქმით— კულაკის სასარგებლო შთაბეჭდილებას ჰქმნის თავის მოთხრობაში. ჩვენ არ ვიცით, ვის გამოიყვანს ავტორი თავის ტრილოგიის შემდეგ ნაწილებში ახალ ადამიანებათ, რომლებიც არიან მოწოდებული გადასჭრან ძირითადი პრობლემა ცხოვრების ახალ საფუძვლებზე გარდაქმნისა,—ჩვენ ეს არ ვიცით,— მაგრამ ის კი ვიცით— ტრილოგიის ამ პირველ ნაწილიდან, რომ, თუ ავტორი შემდეგ ნაწილებშიაც გაჰყვა იმ გზას, რომელიც მას აურჩევია „ქურქში“— ვერავითარ ნამდვილ ახალ ადამიანებს, ნამდვილ ახალ ცხოვრებისთვის მებრძოლთ—იგი ვერ მოგვცემს. საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ კულაკი მტარვალათ, ყოველ მხრივ ბოროტათ და უარყოფით ტიპათ გამოიყვანო— თუმცა ცხოვრებაში ეს სწორედ ასეა— ე. ი. კულაკები ყოველ მხრივ საძაგი ადამიანები არიან,— მაგრამ შეიძლება კულა-

კიც მოინახოს სიმპატიური, „შესაბრალისი“ და სხვა, როგორც მაგ. დრიგულინია,— არც არავინ მოითხოვს გლებ ალექსეევისაგან, რომ დრიგულინები მან ჯოჯოხეთის ადამიანებად დაგვიხატოს,—მაგრამ საქმე იმაშია და ამას ყველას მოვთხოვთ, რომ კულაკისა და რევოლიუციის საქმეების შეტაკების, ბრძოლების დროს— ავტორმა, ნაწარმოებმა— ისეთი მხატვრული სურათები უნდა მოგვცეს, რომ მკითხველის სიმპატიები უნდა იქნეს რევოლიუციის საქმის მხარეზე, და არა დრიგულინების; შთაბეჭდილება უნდა შეიქნეს— რევოლიუციის სასარგებლო— კულაკის წინააღმდეგ. ჩვენ მხოლოდ ასეთი ნაწარმოები შეგვიძლია მივიღოთ და ვიცნოთ ჩვენათ,—მხოლოდ...

„ქურქი“ კი ამ მოთხოვნილებას არამც თუ არ აკმაყოფილებს ოდნავადაც, პირიქით, სწორედ საწინააღმდეგო შედეგებს გვაძლევს.

რაზეა და როგორ აშენებული მოთხრობის კვანძი?

ორი ყოფილი ამხანაგი—კაპელდინერები მოსკოვის ერთ-ერთ თეატრში— შეხვდებიან რევოლიუციის დროს მაზრაში ერთი-მეორეს.

ერთი—დონდიში, როგორც ალმასკომის თავმჯდომარე, მეორე—დრიგულინი, როგორც კულაკი, არენდატორი, მდიდარი კაცი.

როგორ ჰყავს დახატული ავტორს ეს ორი ტიპი?—დონდიში—წარმომადგენელი ახალი ქვეყნის—ალმასკომის თავმჯდომარე, მთელი მაზრის მეპატრონე და დრიგულინი, ძველი წესწყობილების ნაშთი,—კერძო მესაკუთრე და მდიდარი ადამიანი??

დონდიში არასიმპატიური ტიპია: კარიერისტი—იმაზე ზრუნავს, რომ თავის „სატახტო ქალაქის“ ქუჩას მისი სახელი ეწოდოს,—„შკურნიკი“, უკულტურო, შეიძლება მექრთამეც ან და მფლანგველი,—არც ისე ადვილი საქმე იყო, ხომ 150 მანეთიან ქურქის ასე იოლათ შესყიდვა.

არავითარ სიმპატიებს დონდიში მკითხველში არ იწვევს; არც ცდილა ამას ავტორი.

სამაგიეროთ დრიგულინი სიმპატიური პიროვნებაა: მართალია, ის კულაკია, მაგრამ განა ავტორმა მხატვრული ოსტატობით მშვენიერად არ დაანახა მკითხველს, რომ მხოლოდ და მხოლოდ თავისი შრომით, ენერგიით, მომჭირნეობით და ჭკუით—მოახერხა დრიგულინმა გამხდარიყო შემძლე კაცად?! და მართლაც, ავტორი არ ზოგავს ფერებს და ძალ-ღონეს, რათა კარგათ დაგვიხატოს, ღრმად გვაგრძნობინოს ის, რომ დრიგულინმა სწორედ „არაფრიდან“ შესძლო ყველაფრის გაკეთება; სხვები „ლოდიერობდენ“, ლოთობდენ, მუშაობას გაურბოდენ—მან კი სასწაულებრივი სიჩქარით აამოძრავა ყველაფერი—წარმოიდგინეთ, საბჭოთა აპარატებიც დაატრიალა თავის პირადი საქმეებისათვის,—გლეხებიც აამუშავა თავის სასარგებლოთ, საქმეები გაჩარხა, და მეურნეობა გაიჩინა. მალე კულაკი გახდა, შემძლე—წისქვილის მოიჯარადრე: საბჭოთა კანონებს არა ჰყავს მაზრაში, შეიძლება, მეორე ისეთი „კანონიკი“, როგორც დრიგულინია; მწერალი ცდილობს დაგვანახოს, რომ დრიგულინი ყოველგვარ მოვალეობას საბჭოთა მოქალაქისას ასრულებს პირნათლად; ავტორი იმასაც ცდილობს გვაჩვენოს, თუ როგორი კეთილი ადამიანია დრიგულინი პირად ცხოვრებაში; როგორც მეურნე

კი ის პირდაპირ იდეალურია. როგორც დედა შვილს, ისე დასტრიალებს ის თავის მეურნეობას; შრომობს ბევრს, არ „ლოდირობს", „ქმნის სიმდიდრეს" არა მარტო სხვისი, არამედ თავის შრომითაც. არავითარ პოლიტიკურ „გამოსვლებს" საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ იგი არ აწარმოებს—გადასახადებს იხდის „პირნათლად" და მზად არის საბჭოთა ხელისუფლების ყოველგვარი კანონები ლოიალურად შეასრულოს.

ჰო და—ასე გამოდის ავტორის დასკვნები—რა უნდა გვქონდეს ჩვენ საწინააღმდეგო ასეთი ადამიანის წინააღმდეგ, თუ გინდ კულაკიც იყოს! ეკონომიური მოსაზრებებით,—ასეთების არსებობა და გამრავლება სასარგებლოა, რადგან ისინი სიმდიდრეს ქმნიან და ამით ქვეყანას ამდიდრებენ, ამავე დროს სიმდიდრის ნაწილს ხელისუფლებას აძლევენ გადასახადების სახით, რითაც ეკონომიურათ გვამაგრებენ,—პოლიტიკურად არავითარ საშიშროებას არ წარმოადგენენ, რადგან სრულიად შერიგებულნი არიან ამ ხელისუფლებასაც და არც ოცნებობენ სხვაზე, „მორალური" მოსაზრებითაც—თუ კი ასეთებითაც ვიხელმძღვანელეთ—ისინი არ არიან მაინც და მაინც დასაწუნი: არ ლოთობენ, გარყვნილ ცხოვრებას არ ეწევიან, ოჯახს კეთილ-სინდისიერათ აწყობენ, ცოლებს არ სცემენ და სხვა...

მაშ მეტი რა გვინდა... გაუმარჯოს დრიგულინებს! მართალია, ისინი ახალ ცხოვრების საფუძველს ვერ მოგვცემენ,—მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ისინი ჩვენი მტრებია და მათ წინააღმდეგ ბრძოლა უნდა ვაწარმოვოთ, მით უმეტეს ისეთი, რომელსაც დღეს „ჰქადაგებს" კომუნისტური პარტია...

უნდა არ უნდა, სწორედ ასეთ დასკვნებს იძლევა გლებ ალექსეევის „ქურქი", სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ჰქმნის იგი და ეს შთაბეჭდილება მით უფრო ძლიერდება, რომ დრიგულინების მოწინააღმდეგეთ გამოდიან ისეთი პირები, როგორიც არიან კარიერისტი დონდიში, სახაზინო ავეჯეულის მიმთვისებელი განათლების დარგში მომუშავე ესკინი, და სხვა ჩინოვნიკები, რომელთა გარჩევაც ძნელია ძველ ხელისუფლების ჩინოვნიკებისაგან.

მართალია, ავტორი გაკვრით იხსენიებს იმასაც, რომ ამავე რაიონში მუშაობს ვიღაც „მანტიორი" იაშკა—ელექტროფიკაციის საქმეზე, – მაგრამ ჯერ-ჯერობით ამ „საქმიდან" მხოლოდ ის სჩანს, რომ ქუჩებში აქა-იქ ყრია უპატრონოდ ბოძები, იაშკაც იმდაგვარად მუშაობს, თითქოს იყოს არა 1927 წელი, არამედ 20 და 21, როდესაც სამეურნეო ფრონტზე მუშაობა მხოლოდ ცალკე პიროვნებების ინიციატივაზე ეკიდა.

დონდიში—როგორც უხეში ძალის პატრონი, ბოლოს და ბოლოს დაამარცხებს დრიგულინს, მაგრამ,—„მორალურათ" მაინც დრიგულინი რჩება გამარჯვებული.

დონდიში ამარცხებს დრიგულინს არა როგორც კომუნისტი კულაკს, არამედ პირადი, ეგოისტური, „შკურნიკური" ზრახვებით. დრიგულინმა შეიფერა კარგი „ქურქი"—ისეთი, რომლის მსგავსი მთელ მაზრაში არავის აქვს. დონდიშს დაეხარბა ეს—პირველი კაცია მაზრაში, აღმასკომის თავმჯდომარე, მას შეშვენის და არა სხვა ვისმეს ასეთი ქურქი და იგიც შეეცდება ყოველგვარი

კანონიერი და არა კანონიერი გზებით და ხერხებით,—ხელთ ჩაიგდოს იგი. ამ ნიადაგზე—ვინ უნდა დაისაკუთროს ქურქი?—იმართება ბრძოლა მათ შორის და, ცხადია, დონდიში იმარჯვებს. დრიგულინს ხელოვნურად, უკანონოდ დააღარიბებენ, წელში გასტეხენ, და იგიც იძულებულია გამოეთხოვოს ქურქს. დონდიში მიზანს აღწევს—ქურქი მის ხელთაა. ეხლა ის ამშვენებს მაზრას დრიგულინის ქურქში გამოწყობილი.

ამით თავდება მოთხრობა.

საინტერესოა: მოთხრობის მთელი ტონი დრიგულინისადმი საბრალულით არის აღვსილი. ავტორი ცდილობს—და არა უშედეგოთ—დაგვანახვოს ის უსამართლობა და უკანონობა, რომელსაც მიმართავენ საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელნი, რათა წელში გასტეხონ დრიგულინი და ქურქი წაართვან მას. ამ უკანონობას და უსამართლობას რომ საფუძვლად ედოს იდეური მოსაზრებანი კულაკის მოსპობისა, კიდევ არაფერი, მაგრამ საქმე ისაა, რომ დრიგულინს ებრძვიან არა როგორც ეკონომიურად მავნე ელემენტს, კულაკს, არამედ, როგორც ქურქის პატრონს, რომელსაც არ სურს თავის ნებით და თანხმობით უსაჩუქროს იგი დონდიშს...

მოთხრობა ცოტა ირონიული ტონით იშლება, მაგრამ გზა-გზა ეს ირონია იცვლება გულწრფელი სიმპატიებით დრიგულინის საქმისადმი და ასეთივე გულწრფელი სიძულვილით დონდიშებისადმი. მხოლოდ მოთხრობის იმ ადგილებში, სადაც ეს ირონია, რჩება, იგი უმთავრესად საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენლების და მაზრაში გამეფებულ წესების მიმართ სჭირდება ავტორს, თორემ დრიგულინების მიმართ ის ირონიას არ ხმარობს.

„ქურქი" გოგოლის „შინელის" მიბაძვაა. ისევე, როგორც გოგოლის „შინელში" უსამართლოდ იჩაგრება საბრალო აკაკი აკაკიევიჩი,—ისევე აქ, აგრეთვე უსამართლოდ იდევნება და იჩაგრება პეტრ ანტონიჩ დრიგულინი.

მართალია, გარჩევა დიდია: სად აკაკი ბაშმაჩკინი—უძლური, ულონო და უსახლკარო პიროვნება, და პეტრე დრიგულინი—ენერგიით, ჯან-ღონით, შრომის უნარით აღსავსე სოფლის კულაკი, მაგრამ ბედი მათი კი მაინც ერთია. დროებანი იცვლებიან—უსამართლობა და უკანონობა მაინც მეფობს და მეფობს ამ ქვეყნად—ხან ვის მოხვდება მისი სუსხი მათრახი და ხან ვის!!.

თითქოს ამბობს ავტორი...:

საჭიროა დაუზოგავი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ,—გვეუბნება პარტია. საჭიროა დაუზოგავი მხილება მათი, ვინც ფარულად თუ აშკარად ცდილობს შეანელოს ეს ბრძოლა—სადაც არ უნდა იყვნენ ისინი—კომუნისტურ პარტიის რიგებში, თუ მხატვრული სიტყვის ოსტატთა ოჯახში... კომუნისტური კრიტიკა ვალდებულია ფარდა ახადოს გლებ ალექსეევის „ქურქის" მსგავს ნაწარმოებთა მახინჯ ზრახვებს.

ცოლი და... რევოლიუცია

(ვ. რომანოვ. „ვარსკვლავები")

ამ თემაზე ხშირად სწერს პანტელეიმონ რომანოვი. ოჯახის საკითხები დაკავშირებით რევოლიუციასთან—მისი საყვარელი სამწერლო საგანია. არც

არის შემცდარი. ოჯახის საკითხები ყოფა-ცხოვრების შინაარსია და რევოლიუციის ადამიანებისთვისაც მეტად მნიშვნელოვანი, რადგან ამათაც უხდებათ ხომ—ჯერჯერობით მაინც—ოჯახის ფარგლებში ცხოვრება და არსებობა.

პანტელეიმონ რომანოვის მოთხრობა „ვარსკვლავები" სწორედ ამ საკითხებს ეხება. ამ მწერლისთვის ჩვეული მხატვრული სიმახვილით და რეალიზმით მოყოლილია ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ ჩასძირა და დაღუპა მეშჩანური „კულაკურმა" ოჯახმა კომუნისტი, რომელსაც კარგი წარსული ჰქონდა და რომელსაც არა ერთხელ და ორხელ თავი გაუწირავს რევოლიუციის გასამარჯვებლად.

ვასია და პეტია ძველი მეგობრები და ამხანაგებია. სამოქალაქო ომში ერთად იბრძოდენ და ერთადვე გადაქონდათ გამარჯვებები და დამარცხებები. ძალიან უყვარდათ ერთმანეთი. სწორედ იმ სიყვარულით, რომელსაც ჰბადებს და ზრდის ომი,—მტრის წინააღმდეგ—გვერდით-გვერდ, ბრძოლა.

გათავდა სამოქალაქო ომები—მებრძოლები შინ დაბრუნდენ. ჩვენ ვიცით, თუ როგორ მუშაობდენ დემობილიზაციაქმნილი წითელარმიელები სამეურნეო აღმშენებლობის ყოველგვარ ფრონტზე, განსაკუთრებით სოფლებში. მოთხრობის გმირების—ვასიას და პეტიას გზები ერთმანეთს დასცილდენ. პეტია მეცნიერებას დაეწაფა, სწავლას შეუდგა; უნივერსიტეტში მეცადინეობს. ვასია კი—საბჭოთა აღმშენებლობის გზით წავიდა—უშუალო პარტიულ მუშაობაში ჩაება: ის უკვე რაიაღმასკომის თავმჯდომარეა და „პატივსაცემი" კაცი თავის რაიონში. რამოდენიმე წლის შემდეგ—სამოქალაქო ომების დამთავრებისა და მშვიდობიან ცხოვრების დამყარებისა—სრულიად შემთხვევით კვლავ ხვდებიან ისინი ერთი-მეორეს, ჩვენს წინ წარმოდგება ორი ნაყოფი ახალი ეკონომიური პოლიტიკისა: ტიპიური მოვლენა ჩვენს ცხოვრებაში: მეცნიერების გზით მედგრათ წინ მავალი პეტია და უკვე გადაგვარების გზაზე შემდგარი და ამ გზით საკმაოდ შორს წასული ვასია—ეხლა უკვე ვასილ ფედორიჩი—რაიაღმასკომის თავმჯდომარე—თავისი ცოლის ქმარი, „გვიზიანი" სოფლის ბიუროკრატი.

სტუმრად მოვიდა ვასიასთან პეტია, გაიხსენა ძველი მეგობრობა და ამხანაგობა და იმ იმედით, რომ მეგობარი მეგობრად დახვდებოდა და ამხანაგი ამხანაგურად მიიღებდა—გაბედულათ ესტუმრა მას. ფიქრობს: „ცოტა დახმარებაც მიიღოს მისგან. რატომაც არა? განა დასაძრახია ამხანაგმა ამხანაგს დაეხმაროს? მით უმეტეს, როდესაც ამბობენ ვასია დიდი კაციაო და ბევრის გაკეთება შეუძლიაო? განა ძველ დროს—სამოქალაქო ომების დროს—სულით და გულით ერთად არ იყვნენ, ერთად არ იყოფდენ არამც თუ მატერიალურ ბედნიერებას, არამედ სიცოცხლის და სიკვდილის ბედსაც?..

მოხუცი გლეხი სადგურიდან პეტიას წამოიყვანს ვასიას სოფელში; გზაზე უამბობს ორიოდე სიტყვით იმას, თუ რას წარმოადგენს დღეს ვასილ ფედორიჩი.

— „მაშ კარგად ცხოვრობს, ჰა!"—ეკითხება პეტია მოხუცს.

— ვინ ვასილ ფედორიჩი? უკეთესი ნუ გინდა. ნამდვილათ სცხოვრობს, შეიძლება ითქვას, ნამდვილად!—უპასუხებს მოხუცი.

და მართლაც—პეტია თავისი თვალებით რწმუნდება, რომ მართლაც კარგად სცხოვრობს ვასილ ფედორიჩი.

მეგობრები თბილად ხვდებიან ერთმანეთს; უამბობენ თავიანთ თავგადასავალს მათი უნახაობის ხნის განმავლობაში. პეტიაც ფიქრობდა ორი კვირით დარჩენას მეგობართან, ფიქრობდა ცოტას დავისვენებო,—სწავლის დაწყება ჯერ ადრე იყო—იმაზეც ფიქრობდა, ვასიას ცოტა ფულსაც გამოვართმევ დახმარების სახით; მეგობარი იყო და არ ერიდებოდა. მაგრამ... მხოლოდ ორი დღე დაჰყო პეტიამ ვასიასთან. შეხედა ყველაფერს—დააკვირდა—დიდი დაკვირვება არც იყო საჭირო და საჩქაროთ გაიქცა; ცხადია დახმარებაზე კრინტიც არ დაუძრავს; დასვენება კი არა—პეტიას ალბათ ასეთი მოუსვენარი და საზიზღარი წუთები წარსულში არც ერთხელ არ ექნებოდა ნანახი.

ვასია უკვე არ იყო—ის მომკვდარა: სამოქალაქო ომების გმირი, კარგი მეგობარი და ამხანაგი—„უნიფხვო ვასია", როგორც მას ეძახდენ ფრონტზე—ეს ვასია. უკვე ალარ იყო ცოცხლებში; მის წინ იყო ვასილ ფედორიჩი—რაიალმასკომის თავმჯდომარე, გვიზიანი ბიუროკრატი, უკვე საბოლოოდ გადაგვარებული, ზედმეტი ხორცი. მახინჯი შვილი საბჭოთა დიად ხელისუფლებისა. რაზე ფიქრობს და რას მოღვაწეობს დღეს ვასილ ფედორიჩი, როგორ წარმოუდგენია მას და როგორ ესმის მას თავისი მოვალეობა რაიალმასკომის თავმჯდომარისა?.. მხოლოდ თავისთვის, მხოლოდ იმისათვის, რომ თავისი საკუთარი ცხოვრება კარგად მოაწყოს... მისი მოქმედება მას იმგვარად ესმის რომ ყველაფერში ასიამოვნოს თავის ცოლს, რომელიც „ძალიან ლამაზია და აგრეთვე ძალიან ჭკვიანი". ცოლის ნება-სურვილი მისი სამოქმედო კომპასის ისარია; ეს კომპასი პუნქტუალურად მუშაობს—ცოლის ნებასურვილების და კაპრიზების მაგნეტიზმის მიხედვით.

ვასილის გადაგვარება იქამდის არის მისული, რომ მას უკვე დაუკარგავს გრძნობა—სავსებით: ჯურღმულისაკენ მიეჭანება. მართალია, მას—პეტიას იქ ყოფნის დროს—ხანდახან გაუელვებდა თავში ის აზრი, რომ შეიძლება არც ვარგა ისეთი მოქცევა, როგორითაც შეხვდა მისი ცოლი პეტიას მაგრამ ეს აზრი მხოლოდ გაუელვებდა, რადგან ეს აზრი საბოლოოდ მაინც მარცხდება მან ვერ მოახერხა პეტიას ოდნავათაც დაცვა ცოლის საზიზღარი მოპყრობისაგან; დაბოლოს—ეს აზრი აკრიტიკებდა არა საერთოდ მის „მოღვაწეობას" მის მუშაობას, და ყოფა-ცხოვრებას, როგორც „რაიალმასკომის თავმჯდომარისა"—არამედ იმას, რომ პეტიას მიმართ კარგი იქნებოდა სხვა გვარი მოპყრობა.

თორემ თავისი როლი სოფლად მომუშავესი და საბჭოთა ხელისუფლების უმაღლესი წარმომადგენელისა მას გამართლებული აქვს 100 პროცენტით; რომელი გამართლებული?!. მას საამაყოთ მიაჩნია—ის ქცევა და წესრიგი, რომელიც მან გაამეფა,—ცოლის დახმარებით და კარნახით რაიალმასკომში.

„ვასილი სულ უბრუნდებოდა თავის დღევანდელ კეთილ ცხოვრებას და ეტყობოდა ძალიან სურდა, რათა მის მეგობარსაც უფრო კარგად ეგრძნო, თუ როგორ კარგათ ცხოვრობს ის ეხლა"...

— აგრეთვე უნდა გიბრძანა, ძმაო, რომ მე თავი სათანადოდ მიჭირავს: რაიალმასკომის თავმჯდომარე, ხუმრობა ხომ არ არის! მიღების საათები და სხვა. უნდა გითხრა, რომ ეს ყველაფერი ცოლმა მასწავლა. ერთი, ზანტულში მოსულიყავი აქ, რას ნახავდი? პირდაპირ აგარაკი წარმოგიდგება, ბაღში ვცხოვრობ გეგონება, დიახ!“.

როგორ ეპყრობა ვასილ ფედორიჩი გლეხებს? ... გლეხებზე იმდენადვე ზრუნავს, რამდენათ ეს მის კეთილ-დღეობას შეუწყობს ხელს. გლეხები უკვე სამუშაო საქონელია მხოლოდ. ნათელია, ვერავითარ „კულტურულ რევოლიუციას“ ასეთი კომუნისტი სოფელში ვერ მოახდენს; პირიქით ყოველ გვარ—კულტურასაც მათ შორის—რევოლიუციას დაღუპვას და უთხრის ძირს, იგი სოფლად გლეხების თვალში; რა ღირსება აქვს იმ რევოლიუციას და რა დასაფასებელია იგი, როდესაც მისი წარმომადგენელი და მერე ისეთი პასუხის-მგებელი როგორიც არის რაიალმასკომის თავმჯდომარე ასეთ ცხოვრებას ეწევა და ასეთ ბიუროკრატათ გადაქცეულა. ასე იმსჯელებენ ალბათ ის გლეხები, რომლებიც საბჭოთა ხელისუფლებას იმით იცნობენ, თუ ვინ არის მილიციონერათ და აღმასკომის თავმჯდომარეთ მის სოფელ-რაიონში.

ცოლი დაბრუნდა სახლში. რასაკვირველია, აღმასკომის ეტლით. მოყვრებში იყო და ჩამოვიდა. ჩამოსვლისთანავე პეტია—მისი დახეული ტანსაცმელით დაუვარცხნელი თმით და ტალახიანი წაღებით, ცხადია, არ მოეწონა მას—ქმარს შესჩივლა...

— ოხ, როგორ დავიმტვერი ამ საშინელ ტალახიან გზებზე, რატომ არ ეტყვი ამ შენ გორბაჩევსკის გლეხებს, რომ ხიდი შეაკეთონ? თორემ ცხენი ჩავარდა და კინალამ ფეხები მოიტეხა?

— ოხ, ეს მამაძაღლები—სთქვა გულით ვასილიმ—ვითომც და ათასჯერ არ მეთქვას მათთვის.

— ჰო და, ათასჯერ თქმა კი არ უნდა. ჩასვი ვინმე მათგანი სამი დღით და მაშინ გაიხსენებენ. თორემ შენ დაუწყებ ხოლმე საუბარს, თითქოს ისინი შენი მეგობრები იყვნენ, თუმცა შენთვის ყველა მეგობარია, ვინც კი ერთხელ შეგხვდება სადმე.

ეს ბატონის კილოა, ნამდვილი ბატონის. და მართლაც ცოლი ბატონია. არა მარტო თავის ოჯახში, თავის ქმარის,—ვასილ ფედორიჩის,—არამედ მთელ რაიონში. ფაქტიურად აღმასკომის თავმჯდომარე და რაიონის ბედის გადამწყვეტი ცოლი არის და არა ვასილ ფედორიჩი და ცხადია—გლეხებისათვის და განსაკუთრებით, ღარიბ გლეხებისათვის—ხელ-საყრელი არ იქნება ამ ქალის დიქტატურა. როგორ მოხდა, როგორ გაიხრწნა ასე ბოლომდის და სავსებით—კომუნისტი, წითელ-არმიელი? რა იყო მთავარი მიზეზი ამის? ამის შესახებ ავტორი არაფერს ამბობს. ერთის შეხედვით, თითქოს ცოლია დამნაშავე ამაში, ცოლის მიერ შექმნილი ოჯახის მეშჩანური და ობივატელური პირობები. ცხადია, ცოლის ბრალიცაა ვასილის ასეთი სამარცხვინო დაღუპვა, მაგრამ არა გადამწყვეტი. ავტორის ფიქრი—რომ ოჯახია აქ მხოლოდ დამნაშავე—არ არის სავსებით მართალი. დამნაშავე მთავარი აქ არის ის საერ-

თო პირობები, რომლებშიაც მოექცა ვასილი, როგორც აღმასკომის თავმჯდომარე და აგრეთვე ისიც, რომ თვით ვასილი, როგორც კომუნისტი და მებრძოლი თავიდანვე ვერ ყოფილა სათანადოთ გამობრძმედილი და გამოკაჟებული. მაგარი კომუნისტი შესძლებდა—არ დამორჩილებოდა ცოლის და ოჯახის ასეთ ჭაობს, შესძლებდა ადგილობრივ არსებობას [illegible] პირობებიც შეეცვალა საერთოდ:—თავის გარშემო მოეკრიბა კომუნისტურად—განწყობილი ლარიბი გლეხების ახალგაზდობა-მაინც. ასე რომ თვით ვასილის დანაშაულიც დიდია—სუბიექტიურად—რომ იგი ასე დაეცა და დალპა. ვინ არიან ვასილის ყოველ დღიური დამხმარე ძალები, მეგობრები და ამხანაგები ახალ საქმეში, საბჭოთა აღმშენებლობის და პარტიულ მუშაობის საქმეში??... ალბათ ისინი, რომლებიც ისე შნოიანად და სხარტათ დაგვიხატა ავტორმა—ვასილის მიერ გამართულ ვახშამზე სტუმრებად რომ მოვიდნენ. „სტუმრებშიო", ამბობს ავტორი—„ნახევარი, თუ მეტი არა კომუნისტები იყვნენო", და აი ამ კომუნისტებში არ მოინახა არც ერთი, რომელსაც სიტყვა მაინც მოენახა საერთო იმ საღამოს პეტიასთან, მოსკოვის უნივერსიტეტის სტუდენტთან—დაგლეჯილ ტანისამოსით და ტალახიანი ფეხებით მარტო რომ იჯდა, მოწყენით და ნაღვლიანი იქ. პირიქით, სტუმრები, რომლებიც საერთოდ ძალიან კმაყოფილი იყვნენ რაიაღმასკომის მასპინძლობით—ცოტა გულ ნაკლულად გრძნობდენ თავს იმის გამო, რომ მათ საერთო „მხიარულ განწყობილებაში შეიჭრა ეს დაუპატიჟებელი და უსიამოვნო სტუმარი, რომელიც ასე დაგლეჯილი იყო და არაფერს ამბობდა", ეს დაუპატიჟებელი სტუმარი, რომელიც არაფერს ამბობდა იყო, შეიძლება, ერთად-ერთი ა დ ა მ ი ა ნ ი მათ—კომუნისტების შორის.

გაკვრით ავტორი გადმოგვცემს, რომ სტუმრები—ადგილობრივი კომუნისტური საზოგადოება—ძალიან პატივსა სცემდენ თავის მასპინძელს; ამის დასამტკიცებლათ—ამბობს ავტორი—მასპინძელს მ ე მ ა მ უ ლ ე უწოდესო, რაიც რაიაღმასკომის თავმჯდომარეს ძალიან მოსწონებია. ჰო და, ასეთ საზოგადოებრივ წრეში ჩავარდნილი თვით უხერხემლო და პროლეტარულ ფუძეს მოკლებული ვასია—ერთ დროს კარგი წითელარმიელი—გასაკვირი არ არის მაინც და მაინც, რომ საბოლოოდ დამპალა და გახრწნილა; მაგრამ გასაკვირი ის არის, რომ მის „ზევით" მყოფნი მეთვალყურენი საბჭოთა აპარატისა და პარტიულ ხაზის კონტროლიორები რატომ არავითარ ყურადღებას არ აქცევენ მას. ვასილი ისე კარგად არის მოწყობილი, ისე ჩასუქებულა—გვიზიც გაზრდია საკმაოდ—ცოლიც შეურთავს, ოჯახიც მოუწყვია, რომ ეტყობა კარგა ხანია ის მოღვაწეობს ამ რაიონში—რაოდენიმე წელი. საკმაო იყო ეს დრო—„გუბერნიის" ცენტრს ყურადღება მიექცია მისთვის მაგრამ... შეიძლება ეს ამბავი სმოლენსკის გუბერნიაში ხდებოდა და იქ ხომ თვით გუბერნიის პარტიული და საბჭოთა ცენტრი იყო ავსილი ვასილ ფედორიჩებით და მათი ცოლებით... ყოველ შემთხვევაში ვასილ ფედორიჩი—რაოდენიმე წელი რაიაღმასკომის თავმჯდომარეთ—ნათლათ ამბობს იმას, რომ ზევითაც არიან მოკალათებულნი—ხშირათ პასუხსაგებ სამუშაოებზე—დიდი ვასილ ფედორიჩები.

საგულისხმო და ბევრის მთქმელი მოთხრობაა „ვარსკვლავები“, რადგან საგულისხმოა და ბევრის მთქმელია ის პირობები, რომლებიც ვასილ ფედორიჩებს გვაძლევენ და რაოდენიმე წლებით ადმასკომის თავმჯდომარეებათ გვავლინებენ მათ. სმოლენსკის ისტორია ნათლად მოიწმობს იმას, რომ შემთხვევითი მოვლენა არ არის ვასილ ფედორიჩების ბატონობა; სმოლენსკის ისტორია იმასაც ამბობს, რომ ხშირად ნიჭიერ და რეალისტ ხელოვანის [illegible] დახატული სურათი ჩვენი ყოფა ცხოვრებისა უკეთ ეთანხმება სინამდვილეს, ვიდრე რომელიმე „კაზიონური“ მოხსენება, ფაქტებზე აშენებული სინამდვილე—„რომელიმე კაზიონ ჩინოვნიკების რევიზიისა“...

მაგრამ დასახელებული მოთხრობის ინტერესი არ თავდება იმით, რომ მასში ცოცხალი სიტყვებით და ხელშესახებ ფაქტებით—დახატულია ჩვენი სოფლის დღევანდელი მტკივანი ადგილები. ავტორი ერთს—ჩვენი აზრით შემცდარ და მავნე დასკვნას აკეთებს ამ მოვლენიდან: ე. ი. რომ ვასილ ფედორიჩები ბატონობენ სოფლად. საქმე ის არის, რომ ავტორი სრულიად იზიარებს და ეთანხმება პეტიას გადაწყვეტილებას—რომ „ბოლოს და ბოლოს მთავარი ეს არ არის“—ე. ი. მთავარი არ არის ის, რომ ჩვენი ბედის მეთაურებათ ზოგიერთ ადგილებზე გამოდიან ვასილ ფედორიჩები. გამოდის—რომ ეს აუცილებელი უბედურებაა—ადამიანს ეტყობა ასე სჩვევია—სახელმწიფო კაცად გახდება და გაფუჭდება—მთავარი სხვაა; მთავარი „ვარსკვლავებშია“—ე. ი. მეცნიერებაში, სწავლაში. რადგან „ვარსკვლავები“ აქ სწორედ ამას ნიშნავს. პეტიამ ჩაიხედა ტელესკოპში, დაინახა და გაიგო, რომ არსებობენ ახალი ქვეყნები—მრავალი, არა ერთი და ორი—თავისი თავი მსოფლიოს მოქალაქედ იგრძნო და უკვე არ აინტერესებს მას ამ ქყეყნის ამბები: კარგია, ვასია არ გაფუჭებულიყო, აჯო. ბებდა, რომ ვასიას მაგივრად ვასილ ფედორიჩი არ დახვედროდა! მაგრამ... „მთავარი მაინც ეს ხომ არ არის. მთავარი მეცნიერებაა, იმის მაგიერად, რომ პროტესტი, ბრძოლის სურვილი ასეთ სიდამპლის წინააღმდეგ გამოიწვიოს მასში ვასიას ვასილ ფეროორიჩათ გარდაქცევამ, იგი სრულიად და სავსებით უვლის გვერდს ბრძოლის საკითხებს და „ვარსკვლავებში“ ე. ი. წმინდა მეცნიერებაში ეძებს „მთავარს“. აქ ყალბი დაპირისპირებაა მეცნიერების და საზოგადოებრივ ბრძოლის და მუშაობის საკითხებ შორის; არ არის სრულებითაც საჭირო, რომ გაექცე საზოგადოებრივ ცხოვრებას, რათა მეცნიერება მიიღო. ეს ძველი დასმაა საკითხის: ან მეცნიერება და შორს საზოგადოებრივი მოღვაწეობა, პოლიტიკა და რევოლიუციები, ან და პოლიტიკა, და მაშინ შორს მეცნიერება და „ვარსკვლავები“. დღეს საკითხი სულ სხვა გვარად არის დასმული: სწორედ იმისთვის, რომ მეცნიერება, „ვარსკვლავების“ ცოდნა, რაც შეიძლება მეტ რაოდენობისათვის მისაღწევი გახდეს, რაც შეიძლება მეტი მეცნიერნი და საერთოდ სწავლულნი გვეყოლოს—საჭიროა—საზოგადოებრივ საკითხების მოგვარება—სწორედ იმ გვარად, რომ მეცნიერება ერთეულების საკუთრების მაგივრად გადაიქცეს მილიონების საკუთრებათ. და ასევე—საზოგადოების ასეთ საფუძველზე აშენების საქმე—ე. ი. პოლიტიკა—მოითხოვს, რომ ეს ხდებოდეს მეცნიერებასთან ღრმა და მჭიდრო კავშირით. ამიტომაც უწოდებთ ჩვენ მარქსიზმს მეც-

ნიერულ სოციალიზს: აქ პოლიტიკა მეცნიერებაზე არის აგებული და მეცნიერება პოლიტიკასთან დაკავშირებული. „ვარსკვლავებში“ კი ასე გამოდის: —თითქოს არის ორი გზა: ან „მთავრობის“ კაცობა, სიდამპლე და გათახსირება,— ვასილ ფედორიჩი,—ან და „ვარსკვლავებისადმი“ ტრფობა—მეცნიერების კაცობა და შორს საზოგადოებრივი საკითხები.... პეტია.

გარდა შინაგანი სიყალბისა და უსაფუძლობისა ამ „ან“ და „ან“-ში [illegible] კული განუხორციელებლობაც არის. საქმე იმაშია, რომ პეტიამ მიიღო საშვალება მეცნიერება შეყვარებოდა და მოსკოვის უნივერსიტეტში ამოეყო თავი— მხოლოდ იმის გამო, რომ იყო მუშებისა და გლეხების რევოლიუცია, რომ ამ რევოლიუციამ გაიმარჯვა და არსებობს საბჭოთა ხელისუფლება. ჩვენ არას ვამბობთ იმაზე, რომ ცხოვრების არსებობის წყაროს სტუდენტ პეტიას აძლევს სწორედ ეს რევოლიუციით შექმნილი მთავრობა სტიპენდიის სახით... ცხადია და ნათელი— ამაში არც ავტორი შეგვედავება და მით უმეტეს არც პეტია, რომ რევოლიუცია არ მომხდარიყო, პეტია უნივერსიტეტის კარებსაც ვერ მიუახლოვდებოდა და ალბათ, ისე მოკვდებოდა რომ „ვარსკვლავების“ გემოს ვერ „გაშინჯავდა“... მაშასადამე, სწორედ იმისთვის, რომ პეტია და მილიონ პეტიებმა მიიღონ საშუალება მეცნიერების შეყვარებისა და გაგების—საჭიროა ეს რევოლიუციით მოპოებული ხელისუფლება შევინარჩუნოთ, გავამაგროთ... ვასილ ფედორიჩები ამაგრებენ ამას? ცხადია, არა. პირიქით, ღუპავენ. ერთი წუთით რომ წარმოვიდგინოთ—დაუშვებელი რამ—რომ ვასილ ფედორიჩებმა ჩაიგდეს ხელთ საერთოდ დღევანდელი სახელმწიფოს სათავენი, ან და, თუ გინდ მარტო სოფლის მეთაურობა,—რა მოხდება? მოხდება ის, რომ საბჭოთა ხელისუფლება დაიღუპება; დაიღუპება აუცილებლივ. დაიღუპება მასთან ერთად— პეტიას იდეალიც—შეიგნოს და შეისწავლოს მეცნიერება; დაიღუპება თვით პეტია... ამიტომ, ვამბობთ ჩვენ, არ არის მართალი—და არამც თუ მართალი—მავნეა და რეაქციონურია—პეტიას დებულება, თითქოს მთავარი არ იყოს ის მოვლენა, რომელსაც ვასილ ფედორიჩები ეწოდება. მთავარი და მნიშვნელოვანი დღევანდელ მომენტში სწორედ ეს არის.

ვასილ ფედორიჩებს სასტიკი და დაუზოგავი ბრძოლა... უსაშინელესი მტერი ჩვენს დღევანდელ მდგომარეობაში საბჭოთა ხელისუფლებისა და რევოლიუციის არიან გადაგვარების გზაზე შემდგარი ან და სავსებით გადაგვარებული კომუნისტები—პატარა და დიდი ვასილ ფედორიჩები. რევოლიუციის მოღალატეა—და შეგნებული თუ შეუგნებელი მტერი ის, ვინც დღეს ქადაგებს საზოგადოებრივ საქმეებიდან გაქცევას, რა მოსაზრებითაც არ უნდა ხდებოდეს ეს.

პეტია, ცხადია არ არის რევოლიუციის მოღალატე. პირიქით— ნამდვილი რევოლიუციონერია თავისი შეგნებით ის: ალბათ მას სწორედ ახალი ქვეყნისათვის უნდა თავისი „მეცნიერება“, მაგრამ ობიექტიურად მისი „დებულება“— რეაქციონურია რადგან მთავარი—ჯერ ჯერობით—მაინც —ადამიანთა ურთიერთობის და დამოკიდებულების კომუნისტურ საფუძველზე აშენების საქმეა. საბჭოთა წესწყობილება ამას ემსახურება და ამიტომ დღეს დღეობით მთავარი ის არის, რომ ეს წესწყობილება გავამაგროთ, გავაუმჯობესოთ, გავაფაქიზოთ. მრავალი

ათასები და ათი ათასები სწავლობენ დღეს მეცნიერებას, „მაგარ კბილებით ღრღნიან მეცნიერების ქვას“. მაგრამ მათ ერთი წუთითაც არ უნდა დაავიწყდეთ ის, რომ ისინი რევოლიუციის გასამარჯვებლათ სწავლობენ, რომ „მთავარი“— რევოლიუციაშია. ვასილ ფედორიჩი უკვე დაღუპულია და მისი ბრძოლა არ შეიძლება; ის უნდა მოიჭრას, მოისპოს, მოკვდეს... ეს არის მხოლოდ ასეთებისთვის წამალი. რევოლიუციის უკვე დაჩირქებული მუწუკებია ასეთი რაიაღმასკომის თავმჯდომარენი. პარტიას სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა აქვს მათთან გამოცხადებული... არც ბრძოლიდან გაქცევა, მით უმეტეს შერიგება მათთან არ შეიძლება. ეს იქნებოდა რევოლიუციის დაღუპვა.

პეტია რევოლიუციის შვილია, რევოლიუციის „სტუდენტი“. მაგრამ მას აქვს არა სწორი გადახრა—წმინდა მეცნიერებისაკენ, საზოგადოებრივ საკითხებისადმი ჩამოშორებისაკენ—ეს მხოლოდ ავადმყოფობაა; საჭიროა—დროზე გამოვასწოროთ ეს, საჭიროა—პეტიებს—ავუხსნათ და გავაგებინოთ, თუ სად არის „მთავარი“—„ვარსკვლავებში“, თუ ვასილ ფედორიჩების გახრწნის პირობების მოსპობაში.

პანტელეიმონ რომანოვი ამ ახსნა-გაგებას არ იძლევა. ის თითქოს იზიარებს პეტიას ყალბ და მავნე შეხედულებებს.

ჩვენ ვერ დავეთანხმებით მას ამაში. ყოველ შემთხვევაში მოთხრობა საინტერესოა, რადგან შიგ აინტერესო საკითხებია დასმული. რომანოვი—რევოლიუციის მწერალია და რევოლიუციის საკითხებს მთავარ ყურადღებას აქცევს. მკითხველიც ვალდებულია კარგათ გაეცნოს ამ მწერალს.

რაუდენ კალაძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქართული პროლეტარული მწერლობა

I

წინასწარი

პროლეტარული სტილის ოთხი თვისება

ამხანაგო, ალბათ შეამჩნევ: ეს ნაწერი ახალი სტილით წერის ცდაა. ის მოითხოვს პროლეტარულათ დახელოვნებულ მკითხველს; ამას ახასიათებს: 1, ლაკონიურობა, 2, ზუსტობა,, 3, სიცხადე-გარკვეულობა და 4, სისადავე. ეს ოთხი თვისება აუცილებელია მისთვის; ნაწერი, რომელსაც ერთ-ერთი ამათგანი აკლია, ის პროლეტარული არაა. პირველი იმით არის გამოწვეული, რომ მებრძოლ პროლეტარს სასტიკათ აქვს დრო განაწილებული და ზედმეტი სიტყვებისათვის და განმარტებისათვის დრო აღარ რჩება და არც საჭიროთ მიაჩნია. მისი ცხოვრება სულ სამი მომენტისგან შესდგება: 1, შრომა-შემოქმედება, 2, ბრძოლა და 3, დასვენება—ენერგიის ისევ შემოკრება-აღდგენა. ის პროლეტარულ დიქტატურის პირობებში ნამდვილ თვითმომწესრიგებელ სრულყოფილ მანქანად არის გადაქცეული, მაგრამ ეს მანქანა რკინის ნამდვილ მანქანისგან უაღრესათ ერთი იმით განირჩევა, რომ იგი ინტელექტუალური ძალით, სრული შეგნებით არის აღჭურვილი და მეორე იმით, რომ შეგნებული მანქანა მბრძანებელი და ბატონია პირველის, ე. ი. მეორე მანქანა განაგებს პირველს და არა პირიქით, როგორც ეს კაპიტალისტურ პირობებშია იგი. მეორეც -ზუსტობაც—სწორეთ მისი ბუნებით—კანონშეზომილებით აიხსნება: თვით მომწესრიგებელი მანქანა ბუნებრივ ზუსტ კანონებზეა აგებული და თუ ოღნავ მაინც რითიმე დაირღვა ეს კანონი, მანქანა ჩერდება და ველარ მოქმედებს: ასე ემართება შეგნებულს და მებრძოლ პროლეტარსაც, როცა ის ისტორიულ-კლასობრივ მიზანშეწონილების კანონს არღვევს. მესამე—სიცხადე-გარკვეულობა—პროლეტარული მსოფლგაგებისა და შეგრძნობის შედეგია: მისთვის არც ღმერთი—ზესთაბუნებრივი რამ,—არც ავტორიტეტი და არც რაიმე ფეტიში უკვე აღარ არსებობს. მის წინაშე მხოლოდ სინამდვილეა და ამ სინამდვილის ლაბირინტში ის თან-

დათან გზას მიიკვლევს და მან იცის, დანამდვილებით იცის, მტკიცეთ დაჯერებულია, რომ ეს გზა სიცოცხლის სრულყოფისაკენ მიდის.

დასასრულ, მეოთხეთ, მის ყოველივე ნაწარმოებს და ნამოქმედარს, თვით მის მოქმედებას ახასიათებს სისადავე: არ შეიძლება, [illegible], ზუსტი და გარკვეული იმავე დროს სადა არ იყოს, რადგან ზეზეულობა, მეორთულობა, მოკაზმულობა და გაზვიადება საგნისა და მოვლენის არსებით მხარეს ბურუსში ხვევს, ფარავს, მისი ზუსტი, ნამდვილი ხასიათი იკარგება და მკაფიოთ გამოკვეთილის ნაცვლათ ხელში გვრჩება რაღაც შეთითხნილი, მიკიბულ-მოკიბული და გადაკეთებული რამ, ეს კი პროლეტარის ბუნების წინააღმდეგია.

2. რა არის პროლეტ-ლიტერატურა?

ამ ნაწერის დანიშნულებაა გარკვეულ იქნას მკითხველისათვის ქართული პროლეტარული ლიტერატურის ვითარება, მაგრამ თუ ამას წინასწარ არ გაუმძღვარეთ ზოგადი განმარტება-დებულებანი საერთოდ პროლეტ-მწერლობაზე და მის მიზანდანიშნულებაზე ისე, ცხადია, თვით ქართული პროლეტ-ლიტერატურის გაჩენა-არსებობაც გაუგებარი იქნება.

პროლეტ-ლიტერატურის სახელით ვგულისხმობთ ლიტერატურის ერთ დიდ ნაწილს, მხატვრულ ლიტერატურას, და როგორც ვიცით, იგი დიდათ მნიშვნელოვანი დარგია ხელოვნების.

ცხადია, პროლეტარიატის შემოქმედება ამ დარგით არ ისაზღვრება: ის ხელოვნების ყველა დარგებში იჩენს თავისებურებას. არა მარტო ხელოვნებაში, არამედ მეცნიერულ სფეროშიაც იჭრება და იქაც დიდ ძალას იჩენს, განსაკუთრებით—ისტორიულ-სოციოლოგიურ სისტემების შემუშავებაში.

რაც შეეხება საზოგადოებრივობას, ეს დღეს ყველასთვის აშკარაა, თუ რა გადამჭრელი როლი შეასრულა მან ამ სფეროში თავისი მსოფლიო პროლეტარული რევოლიუციის დაწყებით და დედამიწის ერთ მეექვსედზე თავისი დიქტატურის გამოცხადებით.

ყოველივე ეს დამაჯერებლათ მოწმობს შემდეგს: 1, მებრძოლმა პროლეტარიატმა კულტურის ყველა სფეროებში თავისებურება უკვე შეიტანა. 2, ახალ კულტურას ახალი საფუძვლები უკვე ჩაუყარა; და 3, ის ამ საფუძვლებზე ახალი კულტურის დიად შენობის აგებას უკვე შეუდგა.

პროლეტარულ დიქტატურის პირობებში მის წინაშე უდიადესი კულტურული ამოცანაა წამოჭრილი: მან ამ საფუძვლებზე უნდა შეჰქმნას თავისი კლასიური კულტურის მთლიანი და ერთიანი სრული სისტემა.

რა დავარქვათ ამ მთლიან კლასობრივ კულტურას, თუ არა პროლეტარული?!

ეს დღეს არავისთვის სადავო აღარ არის!

და აი ამ მთლიანი პროლეტარული კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგი რომ პროლეტ-ლიტერატურაა, ეს ყველამ იცის დღეს, მაგრამ ჯერ კიდევ არაა განმტკიცებული და შეთვისებული თვით პროლეტ ლიტერატორთა

მიერ ის აზრი, რომ პროლეტ-ლიტერატურის სათავე პროლეტ-კულტურის საერთო საფუძვლებიდან იწყება.

თუ არ იცი ეს საფუძვლები, მისი წარმოშობის პირობები და მისი განვითარების კანონები, მაშინ ვერც პროლეტ-ლიტერატურის წარმოშობის, მისი განვითარების და კანონებისა და მიზან-დანიშნულებას გაიგებ.

კულტურა მეტათ ფართე გამზოგადებელი ცნებაა: ეს მოიცავს ყოველ-ერამ-დენიმე სფეროს შეიცავს.

ერთ მთავარ და გადამჭრელ მნიშვნელობის სფეროს „იდეათა სფერო“ ეწოდება, მეცნიერულათ კი—იდეოლოგია; და აი ხელოვნება საერთოდ მხოლოთ ერთი დარგთაგანია ამ იდეოლოგიის, ხოლო პროლეტ-ლიტერატურა მხოლოთ ამ დარგის, როგორც ზემოთ ვთქვი, განყოფაა.

მაშასადამე, პროლეტ-მწერლობის განვითარების კანონები მეთოდოლოგიურათ. იდეოლოგიის განვითარების კანონებს ექვემდებარება: თუ არ გაარკვიე ეს კანონები უპირველესათ და არ შეისწავლე ის, ისე პროლეტ-მწერლობას ვერაფერს გაუგებ და ვერც პროლეტ-მწერლობა განვითარდება მიზანშეზომილათ.

რა თქმა უნდა, მიუხედავათ ამისა პროლეტ-მწერლობას თავისი განვითარების სპეციფიური კანონებიც აქვს, მაგრამ თუ არ გავერკვიეთ საერთოში, ისე, ცხადია, ამ სპეციფიურ-სულს ვერ მივაკვლევთ და ვერ შევითვისებთ: ვინც მატემატიკას წინასწარ არ გასცნობია, ის ვერც ფიზიკურ-ქიმიურს და მით უფრო ვერც მექანიკურ კანონებს შეისწავლის.

მატემატიკის როლს ზემოაღნიშნულ შემთხვევაში იდეოლოგია ანუ იდეათ მეცნიერება ასრულებს.

იდეოლოგიის მეცნიერულ საფუძვლების პირველი მკვლევარი „პროლეტ პოეზიას“ შემდეგნაირათ განსაზღვრავს:

„პროლეტ პოეზია სიტყვიერ ფორმებში ცოცხალი სახეების გამომხატველი ორგანიზაციაა“, რომელიც ამხანაგური თანამშრომლობის ტიპის კულტურის ერთ მეტათ მნიშვნელოვან დარგს წარმოადგენს. მისთვის მიუღებელია, როგორც ავტორიტარულის, ისე ინდივიდუალისტური ტიპის კულტურის „სული“.

აქედან პროლეტ-ლიტერატორი „სიტყვიერ ფორმებში ცოცხალი სახეების ორგანიზატორია“. მაშასადამე პირველი არსებითი ნიშანდობლივი თვისება პროლეტ-მწერლობის მდგომარეობს იმაში, რომ მისი შემოქმედების მთავარი ობიექტი არის ამხანაგური თანამშრომლობის საფუძველზე აგებული კოლექტივის ცხოვრება, ე. ი. „სიცოცხლის უმაღლესი ტიპი“.

მეორე არსებითს ნიშანდობლივ თვისებას პროლეტ-მწერლობისას წარმოადგენს ის, რომ ყოველ მხატვრულ თემის დასამუშავებლათ ის უდგება და ბოლომდე ამუშავებს მას თავისი განსაკუთრებული ისტორიული-კლასობრივი პროლეტარული მხატვრული

მეთოდით და პროლეტარული მსოფლგაგება-შეგრძნობის თვალსაზრისით.

და მესამეს—შეიცავს ის გარემოება, რომ პროლეტ-მწერლობის „ემოციონალური განზოგადების ფარგლები" სასურველია განისაზღვრება მხოლოდ პროლეტარული ესთეტიკურ-მოთხოვნილების დაკმაყოფილებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტ-მწერლობას შეიძლება თავის განვითარების პირველ ფაზებში რომელიმე ამ თვისებათაგანი აკლდეს ან სავსებით განვითარებული არ ჰქონდეს, მაგრამ თუ მას არც ერთი ამ სამთაგანი არა აქვს, იგი პროლეტმწერლობათ არას გზით არ შეიძლება ჩანასახის ფორმათაც კი ჩაითვალოს.

მაშ პროლეტ-მწერლობა არის სიტყვიერ ფორმებში ცოცხალი სახეების ისეთი ორგანიზაცია, რომელიც მებრძოლ პროლეტარიატს მისი ესთეტიურ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებით და „ემოციონური გაზოგადების გზით" ამხანაგური თანამშრომლობის პრინციპებზე ახალი საზოგადოების ასაგებათ და „სიცოცხლის უმაღლესი ტიპის" შესაქმნელათ ჰრაზმავს.

3. მხატვრული ნაწარმოების „შინაარსი და ფორმა"

პროლეტ-ლიტერატურის ასეთი განსაზღვრა დიდ და ეროვნულ განმარტებას მოითხოვს, რადგან აქ გატარებული ორგანიზაციული თვალსაზრისი და შრომითი მიზეზობრივი მეთოდი ხელოვნების პრობლემების გამოსარკვევათ ლიტერატურულ კრიტიკას ჯერ კიდევ არ გამოუყენებია საკუთარით.

როგორც ვიცით, მხატვრული „შინაარსისა და ფორმის" ურთიერთობისა და დამოკიდებულების პრობლემა—დღესაც დავასა და კამათს იწვევს ყველა სკოლის ლიტერატურულ წრეებში, მაშინ როდესაც ზემოალნიშნულ ორგანიზაციული თვალსაზრისით ამ საკითხის ანალიზს შემდეგ დამაჯერებელ დასკვნამდე მივყევართ.

თუ მხატვრული ნაწარმოები ერთ მთლიან, ერთიან ჰარმონიულათ ან სიმეტრიულათ შეკრულ „სხეულს" წარმოადგენს, როგორც ამას ყველა მიმართულების მხატვრული კრიტიკოსებიც ერთხმათ ცნობენ, მაშინ უნდა ვიკითხოთ: რაში მდგომარეობს და რას წარმოადგენს ამ „სხეულის" უჯრედი და რა ელემენტებისგან შესდგება ეს უჯრედი? როგორიცაა ამ ელემენტების თვისება, რა ბუნებისა და ფორმისაც არის ამ ელემენტებისგან შემდგარი უჯრედი, ისეთი არის მთელი „სხეულის" აღნაგობაც.

რომელიმე მხატვრული ნაწარმოები რომ შემადგენელ ნაწილებათ დავშალოთ (აბსტრაქციით) მივიღებთ შემდეგს: 1, თემა ანუ საკითხი, რომელსაც იგი შეეხება, 2, სიუჟეტი ან ფაბულა, რაც ნაწარმოების ჩონჩხს წარმოადგენს და 3, „მხატვრული იდეა", რაც ნაწერის „სულს", ე. ი. იდეოლოგიას შეიცავს.

თვითეული ამ ნაწილთაგანი მოცემულია შეთანხმებულ წინადადებათა ჯგუფში, ხოლო თვითეული წინადადება სიტყვათა შეთანხმებაში.

ამ სახით ყოველი წინადადების, მაშასადამე ნაწილის და მთელი ნაწარმოების უმარტივეს უჯრედს წარმოადგენს სიტყვა.

გაესინჯოთ რა არის სიტყვა?

სიტყვა ჩვეულებრივათ არის „სიმბოლი". რისი სიმბოლი?

ერთი მხრით „ცოცხალი წარმოდგენის ანუ სახის", რომელიც სიტყვის მთქმელს სადმე და ოდესმე შეუგრძვნია და ფანტაზიის ძალით ეხლა სიტყვის სახით აღუდგენია, ხოლო მეორე მხრით ეგევე სიტყვა სიმბოლია ცნების, რომელიც ადამიანის აზროვნებას აბსტრაქციის გზით მრავალ კონკრეტიულ წარმოდგენათაგან შეუდგენია, მაშ ყოველ სიტყვაში არის ეს ორი ელემენტი: „ცოცხალი სახის ანუ წარმოდგენის" და განყენებული ცნების. მაგალითად, თუ ვიტყვით სიტყვას—ხე,—ამით ჩვენ ერთგვარ ცნებას (მცენარეულობის ერთ გვარზე) მივიღებთ, ხოლო თუ ამ სიტყვას—ხე—დაუმატებთ—რომელიც ჩემი ბინის ეზოში დგას,—მაშინ ხის ცოცხალ კონკრეტიულ სახესაც წარმოვიდგენთ.

სიტყვაში მესამე ელემენტიც არის მოცემული და თუ ჩვენ სიტყვის წარმოშობის ისტორიას მივმართავთ, მაშინ ამ მესამე ელემენტსაც კარგათ გავიცნობთ და თვითეული ამ სამ ელემენტთაგანის დანიშნულებასაც ადვილათ გავიგებთ.

სრულიად მართალია ერთი პროლეტარულ კრიტიკოსთაგანი, როცა ამბობს:

> Первий вопрос естественый нейсбеженый, необходимый во всякомизследовани, это вопрос, коково происхождение-какова причинная обусловленност...

როცა ჩვენ ამ თვალსაზრისით და მეთოდით ვიწყებთ სიტყვის ანალიზს, ვხედავთ, რომ დიდი მეცნიერ ფილოლოგის, ლიუდვიგ ნუარეს თეორიის თანახმათ უმეტესათ ყოველ სიტყვის პირვანდელი ძირი „შრომითი ამოძახილს" წარმოადგენს და ადამიანის რაიმე შრომითი პროცესს გამოხატავს, იგი შესდგება ბგერებისგან და ამ ბგერათა მარცვლებად შეერთებისაგან, ე. ი. შრომითი შორისდებულებისგან (არის გრძნობითი შორისდებულიც). მაგალითათ უჰ, თხ, მოო, ოჰ და სხვა ამისთანა. ეს კი სიტყვის მესამე ელემენტია, ბგერითი ელემენტი, რომელსაც წარმოშობის სულ სხვა განპირობების მიზეზები აქვს, ვიდრე მის სახელობითი და ცნებითი ელემენტებს. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ძირითადი და პირვანდელი ელემენტი ეს ბგერითი ელემენტია, რომელიც ადამიანის ფსიქიურ განვითარების შემდეგ ფაზაში „ცოცხალი სახის ანუ წარმოდგენის" და ცნების სიმბოლოდ, ე. ი. სიტყვად იქცა.

სიტყვის ეს სამი ელემენტი—ბგერითი, სახეობითი და ცნებითი—მას სამი მხრით ახასიათებს და ორგვარ დანიშნულებისათვის გამოსაყენებელ მასალად ხდის: ერთია ადამიანის ემოციონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილება, ხოლო მეორე აზროვნების იარაღად და საშუალებად გამოყენებაა.

ორივე ეს დანიშნულება, ცხადია, ორგანიზაციული ხასიათისაა, ორივე შემთხვევაში სიტყვა საზოგადოებრივ დანიშნულებას ღებულობს: ის ემოციონალურადაც და იდეოლოგიურადაც—კაცთა კოლექტივს, ჯგუფს, ხალხს და ბოლოს

მთელ კლასს სამოქმედოთ რაზმავს, ე. ი. ჰქმნის ისტორიულათ მიზანშეზომილ ორგანიზაციას.

ამ სახით სიტყვა ერთი ადამიანის გრძნობა-გონების გამომხატველია და იმავე დროს ერთი გრძნობითა და აზრით ადამიანთა კოლექტივის, მთელი კლასის ან ნაციის ორგანიზაციულათ დამაკავშირებელია, ადამიანთა ერთი მთლიანი მონოლიტური მასის, ე. ი. ნამდვილი კოლექტივის [illegible] ძალაა.

სიტყვის ორივე დანიშნულებას ერთი სათავე აქვს: ეს არის ერთი მხრით ადამიანის გრძნობა-გონების განუყოფელობა, ხოლო მეორე—საზოგადოებიდან მისი გამოუცალკევეობა.

პირველყოფილ მდგომარეობაში ადამიანის ფსიხიკა მეტათ მარტივი იყო: მის გრძნობიერებაში გონიერებაც ისახებოდა; სახე ანუ წარმოდგენა და ცნება ანუ აზრი, იდეა ერთი და იგივე იყო, აქედან პირველყოფილმა ადამიანმა იდეოლოგიის დაყოფა—ხელოვნებად და ცოდნად—არ იცის. მისთვის, მაგალითად, მითი ან ლეგენდა ყველაფერია: ის პოეზიაც არის და ცოდნის წყაროც, ეს მისი მთლიანი იდეოლოგიაა.

მაგრამ განვითარების შემდეგ საფეხურებზე გონიერება თანდათან ცალკევდება ადამიანში, რეგულიატორის როლს იკავებს და გრძნობიერებასთან ხშირათ წინააღმდეგობაში ვარდება, ეხლა რეფლექსი წინანდებურად მთელი სხეულის რეგულიატორის როლს ველარ ასრულებს.

მიუხედავათ ამისა, ადამიანის, როგორც მთელის სიცოცხლე გრძნობიერებისაგან შესდგება; აქედან მისი ბუნება ორ სფეროთ იყოფა: გრძნობიერების და გონიერების ან შემეცნების და ქვეშემეცნების. ამ უკანასკნელს ისევ რეფლექსი განაგებს.

მაგრამ ამ ორ სფეროს შორის განუწყვეტელი კავშირი და ურთიერთობაა და ეს კავშირი და ურთიერთობა მშვენივრათ გამოხატება რთული ქართული სიტყვით—ადამიანის გრძნობა-გონება.

ადამიანის ემოციონალური ბუნება, რომელიც სიტყვის ბგერითი და სახეობითი ელემენტებით კმაყოფილდება განუყრელ-განუშორებელია მისი აზროვნებითი ბუნებისგან, რომელიც იმავე სიტყვის ცნებითი ელემენტს იყენებს. აქედან სიტყვა, შეიცავს რა განუყრელათ სამ სხვადასხვა ელემენტს, ადამიანის ერთიანი და მთლიანი ბუნების დამაკმაყოფილებელია.

ეს იმას არ ნიშნავს, რომ სიტყვის სხვადასხვა დანიშნულება ერთ და იმავე სიტყვით და ერთ და იმავე დროს სრულდებოდეს. ერთ რომელიმე სიტყვას, მაგალითად - სიყვარული—არ შეუძლია ადამიანის ემოციონალური ბუნებაც დააკმაყოფილოს და აზროვნებითიც, თუმცა ასეთი სიტყვებიც არსებობს, მაგალითად - ჭექა-ქუხილი არის სიტყვები და გამოთქმები, რომლებშიაც სახეობითი და ბგერითი ელემენტი სჭარბობს და არის მეორე ნაირიც, რომლებშიც, მხოლოთ განყენებული ცნებები სჩანს. მაგალითად მეტად ძლიერი და ნაზი გრძნობა ადამიანის ქართულ ენაზე მეტად განყენებული და უხეში სიტყვით—სიყვარულით—გამოითქმება, მაშინ როდესაც სიტყვა ჭექა-ქუხილი თავისი ბგერითი ხასიათით მეტად ცოცხალ წარმოდგენას გვაძლევს ბუნების ერთ მოვლენაზე.

აქ აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ სიტყვა თავის ხასიათისდამიხედვით ადამიანზე სხვადასხვა მნიშვნელობის შთაბეჭდილებას აღძრავს ხოლმე.

ბგერითი და სახეობითი ხასიათის სიტყვა მაგალითად ადამიანში ემოციონალურ მხარეს აღძრავს ხოლმე, ხოლო განყენებული სიმვოლი—სიტყვა კი მხოლოდ ცნებას და ცნებათა ასოციაციას [illegible] ადამიანს. აქედან აზრს უღვიძებს და აზროვნებას, მსჯელობას [illegible] საწყისს

ამრიგად დროს განმავლობაში ერთი მხრით მჭევრმეტყველება ანუ მხატვრული მეტყველება შემუშავდა, რომელშიაც ზემოაღნიშნული ბგერითი და სახეობითი სიტყვები და გამოთქმები სჭარბობენ, ხოლო მეორე იქ, სადაც უმეტესათ განყენებული ცნებების გამომხატველი სიტყვების საშუალებით ადამიანი აზროვნებას და მსჯელობას აწარმოებს, სულ სხვა ხასიათის მეტყველება შესდგა.

ეს ორი სხვადასხვა გვარი ხასიათის მეტყველება დაედვა საფუძვლათ ადამიანის ორ სხვადასხვა გვარ ინტელექტუალურ შემოქმედებას: მხატვრობას და „სიბრძნეს", ან სხვანაირათ—სიტყვიერ ხელოვნებას და ცოდნა-მეცნიერებას.

როგორც ვხედავთ, ხელოვნების და მეცნიერების გამომხატველ—გამომთქმელი სიტყვიერება ადამიანის მუსკულურ-ნერვიული შრომაა (სხვანირად ფიზიკური შრომის) ზეგავლენით წარმოიშვა, აქედან ადამიანის უბრალო შრომას და მხატვრულს, გინდ მეცნიერულ-ინტელექტუალურ შემოქმედებას ერთი სათავე აქვთ—ეს არის პირველყოფილი ადამიანის კოლექტიურ-ამხანაგური ფიზიკური (მუსკულურ-ნერვიული) შრომა ან ბრძოლა (ნადირობა ან ომი).

მაგრამ ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების შემდეგ საფეხურებზე რამდენათაც ირკვეოდა ეს კოლექტიურ-ამხანაგური შრომა და მის ალაგს განცალკევებული, ინდივიდუალური შრომა იკავებდა, რამდენათაც ადამიანის ფსიქიური ბუნება რთულდებოდა და სხვადასხვა ტოტებათ იყოფოდა, იმდენათ ადამიანის მხატვრული და შემეცნებითი შემოქმედების სფეროები ერთიმეორეს შორდებოდა და ორივე კიდევ თავის პირვანდელ საერთო სათავეს.

ამიტომ შეიქნა ძნელი მეცნიერთაგან მათი საერთო სათავის გამორკვევა და მით უფრო ძნელი შეიქნა ამის შემეცნება სხვადასხვა ლიტერატურულ შკოლების წარმომადგენელთა მიერ.

რაგინდ ეს ძნელი იყოს არა პროლეტარულ იდეოლოგთათვის, შეგნებულ—მებრძოლ პროლეტარისთვის ის ბუნებრივ აზროვნების შედეგს წარმოადგენს.

თუ ყოველივე ზემოთქმულს მხედველობაში მივიღებთ და გავითვალისწინებთ, ადვილათ მივხვდებით, თუ რატომ წამოაყენა პოტებნიამ თავის „პოეტიკაში" ძირითადი დებულება—„პოეზია სახეებით აზროვნებაა" და რატომ დღემდე „ფორმალისტები" ამ დებულებას უარყოფენ.

თუ რატომ ფიქრობს ცნობილი პროლეტარული ლიტერატორი, ლელევიჩი, რომ ვითომ ა. ბოგდანოვი, სტოლიაროვი და „ლეფი" (რუსი მემარცხენე

ფუტურისტები), ე. ი. „ფორმალისტები" ერთნაირათ „ცდებიან", როცა ვითომ-და ისინი ორ ცნებას—მხატვრული ნაწარმოების ერთი მხრით წარმოშობის, ხოლო მეორე მხრით საზოგადოებრივ დანიშნულების საკითხს ერთანეთში ურევენ, ერთს მეორეთი ცვლიან. (ლელევიჩის—ბროშურის—„О принципах марксистской литературной критики"—იხ. გვ. 93).

დასასრულ, როგორ მოხდა, რომ იმავე გ. ლელევიჩმა (ამავე ბროშურის იმავე წიგნაკის იგივე გვერდი) პროლეტარულ კულტურის მაღიარებელ ანატოლ ლუნაჩარსკის დებულებას პოეზიის შინაარსსა და ფორმას შორის დამოკიდებულებაზე ავსებს და უკეთ განმარტავს მეორე მწერალი, რომელმაც პროლეტარული კულტურის შექმნის შესაძლებლობა გარდამავალ ხანაში ერთიანათ უარჰყო, ე. ი. ლევ ტროცკი. ყველაფერი ეს ჩემი აზრით იმით აიხსნება, რომ არც ერთი აქ აღნიშნული ლიტერატორთაგანი შესაფერად არ ხმარობს მათ მიერვე აღიარებულ ისტორიულ—დიალექტიურ მეთოდს, ე. ი. ლელევიჩის ტერმინოლოგიით „წ ა რ მ ო შ ო ბ ი ს" თვალსაზრისით საკითხისადმი მიდგომას და არც ეგრეთ წოდებულ ორგანიზაციული თვალსაზრისით სარგებლობს.

ნამდვილათ კი საკითხები შემდეგნაირად აიხსნება: პოტებნიამ თავისი დებულება—„პოეზია სახეებით აზროვნებაა"—სიტყვის ანალიზიდან გამოიყვანა, როგორც დასკვნა: ყოველ სიტყვას სახეობითი ბუნება აქვს, მხატვარი ემყარება სიტყვის ამ ბუნებას, მაგრამ იმავე დროს სიტყვა ცნების სიმბოლოცარის, რომლის საშუალებით ადამიანი აზროვნობს, მაშასადამე პოეტი, რომელიც მხატვრულ შემოქმედებას ეძლევა, სახეობითი სიტყვებით, ე. ი. სახეებით აზროვნობს.

მაგრამ აქ მხედველობიდან გაშვებულია ის ისტორიული პროცესი, რომლითაც ადამიანის გრძნობიერებას, მაშასადამე რეფლექტიურ სფეროს გამოეყო ცნობიერების სფერო და განყენებული აზროვნება შეიქმნა ამით სახეობით გრძნობიერებას, ემოციონალურ მხარეს თითქო აზროვნება ჩამოცილდა. ამიტომ, თითქო, არც შეიძლება ითქვას, რომ აქ ადამიანი სახეებით აზროვნებს. სახეების გავლენით მას უმთავრესად მხოლოდ გრძნობა აღეძვრის და არა აზრი. ამიტომ მართლაც არ შეიძლება ითქვას, რომ იგი სახეობითი სიტყვებით ან მოკლეთ „სახეებით აზროვნობსო".

როგორც ზემოთ აღვნიშნე, გრძნობა და აზრი განუყოფელია, განუცალკევებელია, განუცალკევებელია ისე, როგორც სახეობითი და ცნებითი ელემენტები სიტყვაში, მაშასადამე სახეობითი სიტყვებით ანუ მოკლეთ სახეებით აღძრული გრძნობა ბუნებრივი პროცესით იწვევს აზრებს, დაფასებას, მსჯელობას, მაშასადამე ადამიანი ამ დროსაც აზროვნებს.

ამ სახით პოტებნიას დებულება ერთი მხრით სინამდვილესთან სწორია, ხოლო მეორე მხრით არაა სწორი.

ფორმალისტ-ფუტურისტებიც ასეთივე მდგომარეობაში ვარდებიან, როცა ისინი „სახეობითი აზროვნებას პოეზიაში" უყურადღებოთ სტოვებენ და სიტყვის ბგერითი ელემენტებს დიდ მნიშვნელობას აძლევენ.

ისტორიულ შრომითი თვალსაზრისით ეს არც ისე უსაფუძვლოა, როგორც პირველი შეხედვით გვეჩვენება: სიტყვების პირვანდელი ძირები ხომ ასეთ ბგერებისაგან წარმოიშვა?! და ეს ბგერებია ზოგ ეხლანდელ სიტყვებშიც ძლიერათ აღძრავს ჩვენს გრძნობებს, განსაკუთრებით მოვყავართ ერთგვარ გუნებაზე, როგორც მუსიკალურ ერთგვარ რიტმს?! მაშასადამე ამ ბგერებს [illegible] მნიშვნელობა ჰქონია ადამიანის ემოციონალურ დასაკმაყოფილებლ[illegible]

მაგრამ ამით „ფორმალისტ-ფუტურისტების“ ლიტერატურული პოზიცია ვერ გამართლდება, რადგან, ვიმეორებ, სიტყვა მაღალ კულტურულ ადამიანისათვის, თუ ის მხოლოდ ერთ-ერთი თავის შემადგენელი ელემენტის, მაგალითად, ამ შემთხვევაში მხოლოდ ბგერითი ელემენტის, მნიშვნელობით არის ნახმარი, ერთიანათ ცალიერდება და ყოველნაირ მნიშვნელობას ჰკარგავს.

ამით აიხსნება, რომ ადამიანი დღეს რომელიმე უსიტყვო ჰიმნით ნაკლებათ კმაყოფილდება. მას ასეთ ჰიმნს ბულბულის უსიტყვო სტვენა ურჩევნია.

გ. ლელევიჩის აზრი: ა. ბოგდანოვის, სტოლიაროვის და „ლეფის“ შეცდომის ერთნაირობა—იქედან იბადება, რომ თვითონ ავტორს გენეტიური მეთოდი ორგანიზაციული მეთოდისაგან ვერ გაურჩევია და ვერც ის შეუცვნია, რომ ჰეგელი, რომელიც, მაგალითად, დიალექტიურ მეთოდს ხმარობდა, სულაც არ იყო მარქსის თანამოაზრე, თუმცა ამ უკანასკნელშიც მისი მეთოდი, დიალექტიური მეთოდი გამოიყენა. გ. ლელევიჩის უნდა სცოდნოდა, რომ ისტორიულად მეთოდის გარდაქმნაც შესაძლებელია. ამის მაგალითი წარსულში მარქსმა მოგვცა. დღეს კი თითქო ამის მსგავს მაგალითს „ფორმალისტ-ფუტურისტები“ იძლევიან, რომლებმაც ისტორიულ-დიალექტიური მეთოდი სულ უკუღმა გამოიყენეს: თავიანთი ლიტერატურული „ფორმალიზმის“ განმტკიცება დიალექტიურათ მოინდომეს. აქედან არავის საბუთი არ აქვს გ. ლელევიჩივით ლეფელების (ფორმალისტ-ფუტურისტების) შეცდომები ა. ბოგდანოვს მიაწეროს. დასასრულ, ის ამბავიც, რომ ანატოლ ლუნაჩარსკის აზრის განმარტება და შევსება ლევ ტროცკიმ მოგვცა, ადვილათ აიხსნება იმ გარემოებით, რომ ორივე ეს ავტორი ისტორიულ-დიალექტიური მეტოდით სარგებლობს და კარგადაც სარგებლობს: პირველმა მოგვცა პოეზიის „შინაარსის“ ზოგადი ფორმულა გენეტიურ-ორგანიზაციული თვალსაზრისით, ხოლო მეორემ იმავე თვალსაზრისით ამ ზოგადი ფორმულის სოციალურ გამაპირობებელ მიზეზებზე მიგვითითა.

და თვითონ გ. ლელევიჩს რომ ეს გენეტიურ-ორგანიზაციული მეთოდი შესაფერათ მოემარჯვებია ის, ამ სხვანაირ განსაზღვრას მოგვცემდა, ვიდრე მოგვცა. მან მხატვრულ ნაწარმოების „შინაარსი და ფორმა“ შემდეგ ნაირად განსაზღვრა:

> Три элемента—комплекс идей эмоциональная доминанта и тема—вместе взятые составляют содержание... Форма,—говорил А. Луначарски—это средство выразительности. Ответ безусловно правильный,

ეთანხმება ლუნაჩარსკის გ. ლელევიჩი.

სამი ელემენტი—იდეათა კომპლექსი, ემოციონალური განწყობილება და თემა—ერთად აღებული შეადგენს შინაარსს... ფორმა—ამბობს ა. ლუნაჩარსკი—

ეს გამოხატვის საშუალებებიაო. ეს პასუხიც უდაო ჭეშმარიტებაა — დასძენს თავის მხრით გ. ლელევიჩი.

ეხლა განვიხილოთ ჩვენი კრიტერიით და თვალსაზრისის მიხედვითაც თუ რაშია მხატვრული ნაწარმოების „შინაარსი და ფორმა".

უწინარეს ყოვლისა, ჩვენ უნდა დავეთანხმოთ ჩვენ [illegible] ფუტურისტს — ქლენტს, როცა ის ერთ თავის წერილში, ერთ ძველ აზრს [illegible] ფორმის ურთიერთობაზე გამოთქვამს. ის სწერს:

> ფორმა და შინაარსი ორი განუკვეთელი ელემენტია შემოქმედებისა, ისე უსაზღვროთ გადასული ერთი-მეორეში, რომ დაკარგულია მათ შორის შეხვედრისა და განსაზღვრის წერტილი. რადგან აფორმიული არაფერია, ხოლო რაიმე ფორმალი კომბინაცია უშინაარსოთ აოც კი წარმოიდგინება, ამიტომ ყოველი ახალი ფორმა ჰგულისხმობს ახალ იდეას და პირიქით. ამრიგად ფორმისა და იდეის პრობლემას ჩვენ ვსჭვრეტთ მონისტერი თვალსაზრისით. აქედან ნათელია ძირეული შეცდომა იმ „კრიტიკოსების", რომლებიც ფუტურიზმში მხოლოდ ფორმალურ მიღწევებს აფასებენ. (იხ. ალმანახი—„ლიტერატურა და სხვა.„ № 1. 1924—25 წ. გვ. 64. ხაზი ჩვენია რ. ჯ.).

მართლაც ნათელია ჩვენთვისაც ის აზრი, რომ შეცდომაა ფუტურიზმი ფორმალურად დააფასო და მის იდეებს კი არ შეეხო, არ დაჰგმო: თუ მისაღებია მისი ლიტერატურული ფორმა, მაშინ მისაღებია მისი იდეოლოგიაც, რადგან სწორეთ ჩვენი გაგებით ყოველი ახალი ფორმა ახალი იდეოლოგიიდან გამომდინარეობს და ერთი მეორეს ჰგულისხმობს.

მაგრამ მე ამ ციტატაში სხვა რამესაც ვხედავ და ეს სხვაა, რომ ფუტურიზმის როგორც ფორმას, ისე იდეოლოგიას მიუღებლათ და უვარგისად ხდის.

იმასაც შენიშნავდი, რომ აქ ფუტურისტს „მონისტური თვალსაზრისითაც" თავი მოაქვს. მონიზმი — ეს ხომ მარქსიზმის მთავარი საფუძველია! მაშ რაშია საქმე?!

საქმე ი'აშია, რომ ფუტურიზმი, თუნდაც ის „მემარცხენე" იყოს გამოსავალ წერტილს საგნის ანუ მოვლენის განვითარების პროცესისას, ე. ი. დიალექტიური პროცესის დასაწყისს იქ ხედავს, სადაც ის სინამდვილეში არაა, რასაც ისტორია მას არ ამოწმებს.

ის გვაჯერებს, მაგალითად, რომ თავდაპირველად გაჩნდა „ფორმა" და აქედან წარმოიშვა იდეა: ჯერ როგორლაც და საიდანლაც ჩნდება ნაწარმოების „ფორმა" და აქედან იბადება მწერლის იდეები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ყოველივე ეს სინამდვილეში სულ წინააღმდეგ ხდება: „იდეაც და ფორმაც", სახეც დაცნებაც, ბგერებიც კი ადამიანის შრომის პროცესში ჩნდებიან და ამავე შრომის განვითარების პროცესში იქმნება სიტყვა თავისი ორგვარი სიმეოლიური მნიშვნელობით.

კერძო მხატვრის, მწერლის შემოქმედებაც ერთგვარი შრომაა, ისიც ხომ შრომის პროცესს წარმოადგენს; და აი ამ პროცესში ისახება, მომავალი მხატვრული „ქმნილება", ემბრიოლოგიურათ მიმდინარეობს მისი ზრდა და განვითარება, ბოლოს „ვაჟკაცდება" და მთელი თავისი მომხიბლავი ძლიერებით საზოგადოებრივ ასპარეზზე სამოღვაწეოთ გამოდის.

გავითვალისწინოთ, ანალიზი გაუკეთოთ ჩვენც ამ მხატვრულ შემოქმედების პროცესს და მის შედეგს — მხატვრულ ნაწარმოების ხასიათს და ბუნებას, ე. ი. „შინაარსსა და ფორმას“ — აშკარათ დავინახავთ.

პირველი შემოქმედებითი აქტი, საიდანაც ეს პროცესი იწყება, უთუოდ არის თემის ძებნა და მისი გამონახვა. რომელ[illegible] უნდა ჰკითხო, თუ საიდან და როგორ დაიწყო მან „მუშაობა“, [illegible]

— „მე მინდოდა ამაზე და ამაზე დამეწერა, ამისა და ამის გამო მომინდა დამეწერა რამეო“.

მწერალიც, როგორც ყოველი მშრომელი ადამიანი, მაშინ იწყებს მუშაობას, როცა მას რაიმე სტიმული აქვს ამისი, უსტიმულოთ არავითარი მუშაობის, არავითარი შემოქმედების პროცესი არ იწყება.

საიდან უჩნდება მწერალს ეს სტიმული და რა ხასიათისაა ის?

აქ შესაძლებელია ორგვარი გარემოება: ერთი, როცა რომელიმე საზოგადოებრივი ორგანიზაცია ან ამ ორგანიზაციის — რედაქტორი, მაგალითად, — წარმომადგენელი ანდა კერძო პირი აძლევს „დაკვეთას“: ამაზე და ამაზე დაგვიწერეო; მეორე, — როცა ეს ინიციატივა თვით მწერლის ნდომა-სურვილის სფეროში ჩნდება და მის აქტუალურ მისწრაფებას წარმოადგენს.

არის შემთხვევები, როცა მწერალი — პირდაპირ, ვით მშიერი, ისე დაეძებს საგანს, საკითხს, რომ მასზე დასწეროს რამე. ხშირად მწერალი პირდაპირ ამბობს ხოლმე: მინდა დავსწერო რამე და არ ვიცი კი რაზე დავსწეროო. ცხადია, ეს იმას ნიშნავს, რომ მას საერთო სტიმული აქვს წერის, მაგრამ ამ სტიმულს კონკრეტიული სახე არ მიუღია.

და აი როცა სტიმული კონკრეტიულ სახეს ღებულობს, ე. ი. მწერალს უჩნდება თემა, როცა ეს თემა უკვე მისთვის ხორცშესხმულია, მაშინ მასში ჩნდება დაუძლეველი სურვილი, უთუოდ დასწეროს რამე ამ თემაზე. ამ შემთხვევაში ისინი ამბობენ ხოლმე: არ შემიძლია ამა და ამ თემაზე არ დავსწეროვო.

ყოველივე ეს ყოველგვარ მწერალზე ითქმის, ეს არაა ნიშანდობლივი მოვლენა მხატვრული მწერლისთვის. ხშირათ ერთ თემაზე სწერს, — მეცნიერ-პუბლიცისტიც და პოეტიც. ხშირია იმის მაგალითებიც, რომ პოეტი მეცნიერულ ტრაქტატსაც სწერს რომელიმე თემაზე და მხატვრულსაც. ამის მაგალითები მრავალია როგორც სხვა ქვეყნის მწერლობაში, ისე ჩვენშიაც. მაშ ასე: პირველი კითხვა, რაზედაც მწერალი უპასუხებს ეს არის, თუ რაზე დასწეროს მან. ეს არის მისი მუშაობის სტიმული, ეს არის ეგრეთ წოდებული თემა.

მაგრამ თემა მეტად მრავალნაირი და მრავალფეროვანია და აქ ხდება ერთგვარი შერჩევა: მწერლის მუშაობის სტიმულად ის თემა ხდება, რომელიც მის ფსიხიკას ეგუება, მის მსოფლგაგება-შეგრძნობას და სულიერ განწყობილებას უდგება. ასეთ პირობებში თემა ნამდვილი „შთამგონებელი“ ძალა ხდება და ასეთ შემთხვევაში მწერალი ამბობს: „მუზა მომივიდაო“.

მაშასადამე, თემის განმსაზღვრელი და მთავარი გამპირობებელი ის ორგანიზაცია ან რამე საზოგადოებრივი ხასიათის დიდი ამბავი (событие) კი არ არის, რომლის გავლენით

თემა გაუჩნდა მწერალს, არამედ მისივე ინდივიდუალური ფსიხიკა, მისი მსოფლგაგება-შეგრძნობანი და სულიერი განწყობილება. თემას კონკრეტიულ სახეს ეს პირობები აძლევენ, ის ამის ძალით ყალიბდება და შემდეგ საფუძვლად ედება მწერლის მომავალ ნაწარმოებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თემა ჰგულისხმობს თითქმის ყველა იმ ელემენტებს, რომლებიც მუშაობის პროცესში „ქიმიურად" ერთდებიან და ამნაირათ ერთი მთლიანი კონკრეტულ-მხატვრული ნაწარმოები იქმნება.

ამრიგად თემა მომავალი მხატვრული „ნივთის" ერთგვარი თესლის ის მცირე მარცვალია, რომელიც ჩანასახის ფორმით ყველა იმ ნაწილებს შეიცავს, რომლებიც შემდეგში თანდათანობით ვითარდებიან და თავიანთ დასრულებულ-დამთავრებულ ფორმას ღებულობენ.

მეორე მომენტი, საიდანაც მწერლის აქტიური მუშაობა, ნამდვილი შემოქმედება იწყება, ეს არის „მასალის" დამზადება, რომელიც ერთ და იმავე დროს ორი გზით, მწერლის ფსიქიკის ორ სხვადასხვა სფეროში მიმდინარეობს—ცნობიერების და ქვეცნობიერების.

მწერალი ეცნობა ყველა იმ ნაწერებს, რაც კი მანამდე დაუწერიათ აღებულ თემის შესახებ, აგროებს ყოველნაირ ცნობებს ამ საგანზე. ამ „შავ მუშაობის" დროს ცნობიერების გარეშე მუშაობს მისი ქვეცნობიერებაც: ის ამზადებს ყველა იმ სახეებს, მთელ არსენალს სახეებისას, სიტყვების და გამოთქმების ფორმებს, რომელთა საშუალებით მწერალმა შემდეგში, ე. ი. მესამე ფაზაში „სისხლ-ხორცი" უნდა შეასხას აგებულ ჩონჩხს.

აი აქედან, ამ მეორე მომენტიდან იწყება ერთი მხრით მხატვრისა და მეორეს მხრით პუბლიცისტის შემოქმედებაში განსხვავება. მართალია „შავ მუშაობას" ორივე ერთნაირათ ეწევა: ორივე ერთსა და იმავე „მასალას" აგროვებს, მაგრამ თვითეული მათგანი ამ მასალის „გადამუშავებას" სხვადასხვანაირად უდგება, სხვადასხვანაირ მეტოდს ხმარობს. ამასთან დიდათ განსხვავდება ერთი მეორისაგან მათი ქვეცნობიერების სტიქიური მუშაობა: პოეტს მისი ქვეცნობიერება აწვდის: კონკრეტულათ წამოყენებულ კითხვა-პასუხს, მხატვრულ სიტყვებს და გამოთქმებს, და „ცოცხალ საახეებს", ხოლო პუბლიცისტის—ლოგიურ დასკვნებს, მოსაზრებებს და წამოყენებულ დებულების დამამტკიცებელ-დამადასტურებელ არგუმენტებს, ან ილიუსტრაციებს, ფაქტებს, სტატისტიკურ ცნობებს.

პოეტის მეტოდი იმაში მდგომარეობს, რომ იგი მხატვრულ თემას მომავალი „სრულქმნილების" ჩონჩხად ჰქმნის: მის მიერ დაგროვებულ მასალის „გადამუშავება" ამ კონკრეტიული ან უკეთ—მხატვრული ჩონჩხის აგებაში მდგომარეობს, ეს არის მომავალი მხატვრული ნაწარმოების „სიუჟეტი".

ის ამით გადადის მესამე ფაზაში და აქ იწყება მისი ნამდვილი სრულიად დამოუკიდებელი, განსაკუთრებული და თავისებურ-მხატვრული მუშაობა-შემოქმედება, რაც სხვა ყველანაირ მუშაობისაგან განსხვავდება.

ამ ეტაპზე მის მხატვრულ ამოცანას შეადგენს: შეასხას „სისხლ-ხორცი" მის მიერ შექმნილ მხატვრულ ჩონჩხს და ის „ცოცხალ სხეულათ", ე. ი. სრულქმნილ მხატვრულ „ნივთად" ანუ „პროდუქტათ" აქციოს.

და ამ „პროდუქტის" დამაკმაყოფილებელი თვისება, ხარისხობრივობა მით უფრო მაღალია და ძლიერი, რამდენათაც მხატვრული ჩონჩხი მხატვრულათ გაცოცხლებულია, ე. ი. რამდენათაც ის „ცოცხალ" სრულქმნილ ორგანიზმს ემსგავსება, რამდენათაც ყველა მისი ნაწილები ისეა შეწყობილი ერთმანეთთან, ისე შეწყობილათ ასრულებენ თავიანთ ფუნქციებს, რომ უამისოთ ორგანიზმი დაიშლებოდა და ლეშათ გადიქცეოდა.

აქ ყოველი სიტყვაც კი თავის ადგილზეა და არც ერთი სხვა სიტყვის ჩამატება არ შეიძლება ისე, რომ ნაწარმოები არ დამახინჯდეს.

რაში მდგომარეობს ეს მხატვრული პროცესი, რომლის საშუალებით მწერალი თავის მხატვრულ თემასა და ჩონჩხს—სიუჟეტს „ცოცხალ სხეულად" აქცევს ხოლმე?

— მხოლოდ იმაში, რომ მხატვარი-ოსტატი, ანუ მწერალი, სხვანაირად ხელოვანი აქ უუდიდეს ორგანიზატორობას იჩენს. მის განკარგულებაშია: მის მიერვე დღემდე შეთვისებული იდეათა კომპლექსი, ან რომელიმე იდეოლოგიური სისტემა ან კიდევ რაიმე საკუთარი იდეური კონცეპცია, მის მიერვე დაგროვებულ ცნობათა მასალა, მისგანვე დამუშავებული და გადამუშავებული. ის „დამძიმებულია" ყველა იმ გრძნობებით და შთაბეჭდილებებით, რომლებიც მას ამ იდეათა შეთვისებით, ცნობათა შესწავლით და იდეიურ კონცეპციის შედგენით განუცდია, ის განიცდის ყოველივე ამას მძაფრად და ებადება მძაფრივე შეუკავებელი სურვილი-მისწრაფება გამოთქვას ყოველივე ეს „ცოცხალ სიტყვიერ ფორმებში", ე. ი. მხატვრული სიტყვით. აქ ხაზგასმით აღსანიშნავია ის ნიშანდობლივი გარემოება, რომ მხატვარი-მწერალი თავისი იდეა-გრძნობათა გამოსათქმელათ ჩვეულებრივ სიტყვას კი არ მიმართავს, არამედ „ცოცხალ სიტვიერ ფორმას" ანუ მხატვრულ სიტყვას, ეს არის ერთად-ერთი განმასხვავებელი ნიშანდობლივი თვისება, ურომლისოდ ის აღარ არსებობს.

მაშასადამე, მესამე დამასრულებელ-დამმთავრებელ მომენტში სიტყვის ხელოვანი-მწერალი თავის იდეა-გრძნობათა ჩონჩხს ისეთ „სიტყვიერ ფორმებს" უძებნის, ისე აასხამს ხოლმე ამ ჩონჩხზე ამ შერჩეულ მასალას, ისე ანაწილებს მას ჩონჩხის სრულიად სხვა მხარეს, რომ მკვდარი ჩონჩხი „სულს" იდგამს და ცოცხლდება.

ამ სახით მწერალმა აქ შეასრულა იმ დიდი ორგანიზატორის როლი, რომელიც აწყობს, ვთქვათ, ძლიერ პოლიტიკურ ორგანიზაციას. როგორც პოლიტიკური ორგანიზაცია პროგრამისა და ტაქტიკის შემუშავების შემდეგ, თავის პირველ ორგანიზატორის შემდეგ იწყებს მისგან დამოუკიდებელ ცხოვრება-მოქმედებამოღვაწეობას, აგრეთვე მწერლის მხატვრული ნაწარმოებიც ასევე თავის როლს და დანიშნულებას მასზე დამოუკიდებლათ და თავის თავად ასრულებს. აქ ავტორს წილი არ უდევს, მაშ მწერლის შემოქმედებაც ზემოთ აღნიშნულ მესამე აქტით სრულდება და ბოლავდება.

ეხლა გადავხედოთ სამ ეტაპათ გადაჭრილ პროცესს და აღვნიშნოთ თვითეული მათგანი: 1, თემის ძიება და მისი გამონახვა-მიგნება, ანუ მხატვრული თემის დასახვა. 2, თემის ჩონჩხად ანუ სიუჟეტათ გაშლა, გავითარება, მხატვრული ჩონჩხის ანუ სიუჟეტის ჩამოსხმა და 3, ამ ჩონჩხის „სისხლ-ხორცის" შესხმა ანუ ჩონჩხის „ცოცხალ სხეულათ" გადაქცევა.

ამ სამი მთავარი მომენტისგან შესდგება მხატვარ-მწერლის დამთავრებული მუშაობა, რომლის შედეგია რომელიმე მხატვრული „პროდუქტი".

ეხლა ვიკითხოთ: სად არის ამ „პ რ ო დ უ ქ ტ შ ი" „შ ი ნ ა ა რ ს ი" და რ ა შ ი ა „ფ ო რ მ ა"? ამ კითხვაზე, მოკლეთ რომ ვთქვათ, „მემარცხენე" ფორმალისტ-ფუტურისტები უპასუხებენ: „შინაარსი" არის მ ა ს ა ლ ა, ხოლო „ფორმა"— მხატვრული „ხ ე რ ხ ე ბ ი". მარქსისტული სკოლა კი ასე უპასუხებს: „შინაარსი" არის იდეა—გრძნობათა კომპლექსი, სიუჟეტი და თემა, ხოლო ფორმა არის ამ-ების გამოხატვის (გამოთქმის) საშუალებანი.

ჩვენ რომ ამ მხატვრული „პროდუქტის" ნაცვლათ სხვა რომელიმე ჩვეულებრივი „მატერიალური" პროდუქტი ავიღოთ და იგივე კითხვა მივცეთ ჩვენს თავს, მაგალითად: სად არის პროდუქტის, ვთქვათ, ერთი ცალი სკამის შინაარსი და რაშია მისი ფორმა, აღმოჩნდება, რომ მასალად და ხერხებად დაყოფა როგორც ამას ფორმალისტ-ფუტურისტები ჩადიან არაფერს მოგვცემს.

ასეთი კლასიფიკაცია მხოლოთ იმ საგნებზე და ძალაზე გვითითებს, რომლისგანაც პროდუქტი შეიქმნა. ჩვენ კი გვინდა ვიცოდეთ, თუ რისგან შესდგება ეხლა თვითონ პროდუქტი. ამისთვის ჩვენ გვჭირდება ანალიზი გაუკეთოთ თვით პროდუქტს და არა მუშაობის პროცესს. რას მივიღებთ თუ ასე მოვიქცევით, მაგალითად, სკამის მიმართ?

— დათლილი ხმელი ხის ნაჭრებს, რომლებიც ისეა დაკავშირებული ერთიმეორეზე და ისეთი მოყვანილობისაა, რომ ადამიანს შეუძლია დაჯდეს ზედ და მოისვენოს.

მაგრამ ამ მაგალითზე აშკარავდება, რომ იმის გამოსარკვევათ, თუ რაში მდგომარეობს სკამის არსებითი მხარე, ე. ი. მისი ისეთი მოყვანილობა, რომლის ძალით ადამიანს შეუძლია დაჯდეს მასზე და მოისვენოს, ჩვენ ამ სკამის გამკეთებლის მუშაობის პროცესის ანალიზიც გვჭირდება.

ასეთი ანალიზით კი ცხადი ხდება, რომ სკამის შემომქმედს „მასალის" გარდა დასჭირდა წინასწარი გამოცდილების ცოდნა, პრაქტიკა, ერთგვარი გეგმის შედგენა და სკამის მოდელი, აგრეთვე ადამიანის ამ მხრით მოთხოვნილების და საჭიროების გათვალისწინება, ამ საჭიროების თანახმად თავის ოსტატობის მიმართვა და ამ წესით მიზანშეწონილათ ხის ნაჭრების ისე დაკავშირება, რომ „მასალამ ადამიანის მოთხოვნილების დამაკმაყოფილებელი მოყვანილობა, ე. ი. ფ ო რ მ ა მიიღოს.

მაშასადამე, ორივე ნაირი პროცესის—პროდუქტის და მუშაობის—ანალიზით ჩვენ გამოვარკვიეთ ის, რომ სკამის „შინაარსი" არის ხის ნაჭრები და ამ ხის ნაჭრებზე შესაფერ წესრიგში მოსაყვანათ დახარჯული შრომითი ენერგია, ხოლო „ფ ო რ მ ა" მდგომარეობს ამ ხის ნაჭრების ერთგვარ დაკავშირებაში, ე. ი. გ ა ნ ს ა კ უ თ რ ე ბ უ ლ მ ო ყ ვ ა ნ ი ლ ო ბ ა შ ი.

მხატვრის შემოქმედების ანალიზი ჩვენ უკვე ზემოთ გავაკეთეთ, ეხლა ავიღოთ რომელიმე მხატვრული ნაწარმოები, „პროდუქტი“, მაგალითად, „ვეფხის ტყაოსანი“.

აქ არის: მ ხ ა ტ ვ რ უ ლ ი თ ე მ ა, შემდეგ — „ამბავი“, რომელიც „გარდათქმულია ლექსად“, და ისეა „გარდათქმული“, რომ „აქამდის ამბავად ნათქვამი, ან მ ა რ გ ა ლ ი ტ ი წ ყ ო ბ ი ლ ი“-ა. თვითონვე აღიარებს (შესავალში), რომ მან თემად დაისახა თამარ მეფის და დავითის „შ ე ქ ე ბ ა“. მან ამ დროს „იპოვა სპარსული ამბავი ქართულად ნათარგმანევი“ და ეს „მასალა“ გამოიყენა თავისი ზემოთ აღნიშნული მხატვრული თემის განსახორციელებლათ.

მაშასადამე, „ვეფხის ტყაოსნის“ „შინაარსი“ მდგომარეობს თამარ მეფის და დავითის „შექებაში“, ხოლო „ფორმა“ ქართულად ნათარგმანევი „სპარსული ამბის“ „მარგალიტწყობილ ლექსებში“, ე. ი. მხატვრულ სიტყვიერ ფორმაში ისე გარდაქმა, რომ „ვინცა ისმინოს, დაესვას ლახვარი გულსა ხუული“.

მაგრამ აქ გამოსარკვევია თუ რას მივაკუთვნოთ თვით ის, „სპარსული ამბავი“, რომელიც რუსთველმა „ჰპოვა“ და ლექსად „გარდათქვა“? „შინაარსის“ ნაწილია ეს, თუ „ფორმას“ წარმოადგენს? ფორმალისტ-ფუტურისტების გაგებით და კლასიფიკაციით ის წარმოადგენს „მასალას“ ისე, როგორც მხატვრული თემა და „მხატვრული იდეები“, რომელსაც მხატვარი თავის ნაწარმოებში ატარებს, მაგრამ ჩვენი ანალიზით ირკვევა, რომ ის მხოლოდ მ ა ს ა ლ ა დ არის მიღებული და ისეა ეს მასალა მხატვრულ შემოქმედების პროცესში გარდაქმნილი, რომ ნაწარმოებში, როგორც „პროდუქტში“ ვერც შინაარსის სახით ვხედავთ და მით უფრო ვერც ფორმაში ვამჩნევთ: ის გარდაქმნილია სხვა სახეთ, ე. ი. ნაწარმოების მხატვრულ ჩ ო ნ ჩ ხ ა დ, ს ი უ ჟ ე ტ ა დ. მართალია, ის იკუთვნის ნაწარმოების „შინაარსს“, მაგრამ არა თავისი სახით, არამედ სრულიად გარდაქმნილ-გადასხვაფერებული სახით. მკვლევარნი ეხლა იმ აზრის არიან, რომ შოთამ „ესე ამბავნი უცხონი უცხოთა ხელმწიფეთანი“, როგორც თვითონაც ამბობს, თამარ მეფის, დავითის და სხვა ქართველ გმირების გამოსახატავათ გამოიყენა, ე. ი. უცხო ამბები გადააქართულა. მაშასადამე, ის გრძნობითი კომპლექსებიც, რომლებიც „სპარსულ ამბავში“ იყო გამოთქმული, ერთიანათ გარდათქვა, გადააქართულა.

ასე მოიქცა, როგორც ვიცით, ინგლისელი დიდი დრამატურგი შექსპირი, როცა მან თავისი ტრაგედიები შეჰქმნა. აიღო იტალიური ამბავი დანიის პრინცზე და ინგლისური სახე მისცა, თავისი იდეა — გრძნობათა კომპლექსებით გამოხატა და არა იტალიური ამბის ავტორისა.

ამრიგად, მხატვრული ნაწარმოების „შინაარსი“ შედგება სამი ელემენტისგან: თემა, იდეა და სიუჟეტი, ხოლო „ფორმა“ — ხერხია ანუ „გამოხატვის საშუალებანი“. რაც შეეხება „მასალას“ ის მრავალნაირია, უმეტესად სიტყვიერი. მაგალითად, იდეოლოგია და ცნობები მოცემულია განყენებულ ცნებათა სიტყვიერებაში, ხოლო „ფორმის“ მოსაცემათ, ე. ი. იდეების და სიუჟეტის ისე გამოსახატავათ, რომ ნაწარმოები „ც ო ც ხ ა ლ ს ხ ე უ ლ ა დ“ გადიქცეს და თავის მხატვრულ დანიშნულებას მიაღწიოს, ამისათვის გამოყენებულია მთელი მხატვრული სიტყვიერი მასალა.

მართალია ყველა ნაწარმოებში არაა „ნაპოვნი ამბავი“, ე. ი. სიუჟეტისთვის აღებული სხვისი მასალა, მაგრამ თვით ავტორის მიერვე გამოგონებული ამბავიც (არაკი—ეხლა—ქრონიკა) მასალად ჩაითვლება, რადგან მხატვრული ნაწარმოებიც რომ ასე დავყოთ, გამოვა: მისი „შინაარსი“ იქნება: 1, თემა, რაზედაც დაიწერა, 2, იდეა-გრძნობათა კომპლექსი, რომელიც შემოქმედმა ნაწარმოებში გამოთქვა და 3, ის ინდივიდუალური ფსიქიური მხატვრული ენერგია, რაც ყოველნაირ „მასალის“ დამუშავებაზე და გამოყენებაზე დაიხარჯა, ხოლო ნაწარმოების „ფორმა არის ამ მთლიანი „ცოცხალი სხეულის“ შინაგანი აღნაგობა-წყობა ანუ მოყვანილობა, რაც მკითხველის ესთეტიურ მოთხოვნილებას ყოველ მხრივ აკმაყოფილებს.

ეს კი სწორედ ის არის, რასაც პოეზიის ერთი ცნობილი მკვლევარ-მწერალი შემდეგ სიტყვებში გამოსთქვამს: „Художественность значить состоит в стройной организации живых словесных образов.“ ეს დებულება რომ მხატვრულ ლიტერატურულ ნაწარმოების ბუნებას შეუფარდთო და სრული განმარტება მივცეთ, გამოვა შემდეგი: „ფორმა არის ნაწარმოების მხატვრული თვისება, რომელიც წარმოიშვა, როგორც ნაყოფი მხატვრის მიერ ცოცხალი სიტყვიერი სახეების (ზოგჯერ ბგერებისაც) მწყობრად დალაგებით, ე. ი. მხატვრული შემოქმედებით.

მაშასადამე „ფორმა“ არ შეიძლება იყოს არც „გამოხატვის საშუალებანი“, როგორც ამას ანატოლ ლუნაჩარსკი ამბობს და არც „ხერხები“, როგორც ამაში ფორმალისტ-ფუტურისტებს გ. ლელევიჩიც კვერს უკრავს. ის, მაგალითად, სწერს: „რა არის ფორმა?... უწინარეს ყოვლისა, სიტყვიერი მასალა... და შემდეგ ხერხები“.

ცხადია, რომ თავისთავად არც „სიტყვიერი მასალა“ და არც „ხერხები“ ფორმა ვერ იქნება. ორივე ის ელემენტებია, რომლებისგან შემოქმედების პროცესში შეიქმნა სრულიად ახალი მთლიანი „ცოცხალი სხეული“, რომელიც სულ სხვა ახალ, განსაკუთრებულ გრძნობებს და აზრებს ულვიძებს მკითხველს და აკმაყოფილებს მას ესთეტიურად.

რა ვუწოდოთ ამ ახალ, განსაკუთრებულ „პროდუქტის“ ამ ახალ მოვლენას ანუ ადამიანზე მოხდენილ ზეგავლენას, თუ არა თვისება, ამ შემთხვევაში მხატვრული თვისება?

აქაც ისე, როგორც ყოველთვის, ადამიანის ნაწარმოებს, შრომის „პროდუქტს“ შრომის პროცესში ეძლევა ადამიანის დამაკმაყოფილებელი ახალი თვისება.

შეგვიძლია ჩვენ ვთქვათ, მაგალითად, სახელდობრ ნაწარმოების რომელი ნაწილი ან რომელი მხარე იწვევს ადამიანში აღნიშნულ დაკმაყოფილებას?

რასაკვირველია, არა! ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამას იწვევს ნაწარმოები მთლიანად ერთიან სახით ყოველი თავისი ნაწილებით.

მაშასადამე „ფორმა“, რომელიც ამ ზეგავლენას ახდენს, მდგომარეობს ნაწარმოების მთლიანობაში და მის ორგანიზაციულ მწყობრობაში, როგორც ამას ზემოხსენებული მკვლევარი გვასწავლის.

ამ სახით ფორმალისტ-ფუტურისტები თითქო სინამდვილეს აღნიშნავენ როცა ამბობენ, რომ „შინაარსი და ფორმა“ არ არსებობს ნაწარმოებშიო. რა თქმა უნდა, ნაწარმოები, როგორც მთლიანი „ცოცხალი სხეული“ ანუ შეიძლება დავანაწილოთ არც შინაარსად და ფორმად და არც სხვაგვარ ნაწილებათ, მას ჩვენ ვლებულობთ მთლიანათ ისე, როგორც ქიმიურად შედგენილ ნივთიერებას, მაგალითად წყალს, ჰაერს და სხვას.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ ნივთიერების ელემენტებათ დაშლა არ შეიძლებოდეს. ქიმიას აქვს საშუალება ყოველნაირი ნივთიერება დაშალოს და მათ შორის წყალიც და ჰაერიც თავის შემადგენელ ელემენტებით. ასევე შეუძლია აბსტრაქციით ხელოვნებათ მეცნიერებას დაშალოს ცალკე ნაწარმოები (ხელოვნური) თავის შემადგენელ ელემენტებათ და თვითეული ამ ელემენტთაგანის როლი და დანიშნულება, თვისებები საკუთარით შეისწავლოს.

ჩვენ ზემოთ შემოქმედების პროცესის და თვით ამ პროცესის „პროდუქციის“ ანალიზიდან დავინახეთ, თუ რა ელემენტები აღმოჩნდა მხატვრულ ნაწარმოებში, ესენია: 1, თემა, 2, იდეა-გრძნობათა კომპლექსები, 3, სიუჟეტი ან კონკრეტიული რაიმე განცდა, 4, სიტყვიერი და სხვა (ცნობები) მასალა, 5, შემომქმედის მხატვრული ენერგია ანუ მხატვრული ორგანიზატორული ძალა (ხერხები) და 6, მხატვრული თვისება.

შეუძლებელი ხდება, რომ ერთ რიგ ამ თვისებათაგანს „შინაარსი“ უწოდო, ხოლო მეორე რიგს „ფორმა“, რადგან შინაარსი ნიშნავს „საგნის არსებითს, მუდმივს შინაგან მხარეს, ხოლო „ფორმა“ კი არის საგნის გარეგანი მხარე, გარეგანი მოხაზულობა, რაც შეცვლილ პირობებისდაგვარად ადვილად იცვლება.

მხატვრული ნაწარმოების არც ერთი ზემოთდ ასახელებული ელემენტთაგანი არ უდგება „შინაარსის“ და „ფორმის“ ცნებას, ყოველი მათგანი საგნის (ნაწარმოების) შინაგან მუდმივს და არსებითს მხარეს წარმოადგენს. ამიტომ ისინი თანასწორი და ერთნაირი მნიშვნელობის როლს ასრულებენ ნაწარმოებში და ამ ნაწარმოების გამოსავლინებლათ. ისინი ნაწარმოების საზოგადოებრივი დანიშნულების შესასრულებლათ ერთნაირათ მნიშვნელოვანი არიან.

თუ ნაწარმოებს რომელიმე მათგანი აკლია, ის თავის დანიშნულებას ვერ შეასრულებს და მაშასადამე ის ნამდვილი მხატვრული ნაწარმოები არ არის.

მხოლოდ ეს ექვსი ელემენტი ერთად განუყოფელად და შეწყობილათ ქიმიურ შედუღების პროცესში ჰქმნის ნამდვილ მხატვრულ ნაწარმოებს.

თუ ჩვენ თვითეულ მათგანს ცალ-ცალკე განვიხილავთ და მათ-მათი ძირითად თვისებას აღვნიშნავთ, მაშინ ისინი ორ რიგათ, ორ კათეგორიად შეიძლება დავყოთ. ერთი—რიგი იქნება იდეოლოგიური ხასიათის, ხოლო მეორე—მხატვრული-სახეობით.

თუ გენეტიური თვალსაზრისით დავაწყობთ, პირველ რიგში მოექცევიან იდეოლოგიური ხასიათის ელემენტები: 1, თემა, 2, იდეა-გრძნობათა კომპლექ-

სები, 3, სიუჟეტი ანუ განცდა და 4, სხვადასხვა ცნობები, ხოლო მეორე მხატვრულ-სახეობითი-ხასიათის ელემენტებად დარჩებიან: 1) შემომქმედის მხატვრული ორგანიზაციული ძალა (სხვანაირად ესეც შრომითი ენერგია) და 2) ნაწარმოების, როგორც მთლიანი „ცოცხალი სხეულის" თვისება, მხატვრული დანიშნულება.

ამიტომ მხატვრული ნაწარმოების გარჩევა და დაფასება ამ ორი მხრით უნდა მოხდეს და არა „შინაარსისა და ფორმის" მხრით, რაც ამ „პროდუქტს" სინამდვილეში არ აღმოაჩნდა.

მაშ ასე: ყოველი მხატვრული ნაწერი გარჩეულ-შეფასებული უნდა იქნას იდეოლოგიურის და მხატვრულის მხრით; და რადგან იდეოლოგიური მხარეც აქ მხატვრულ სიტყვიერ ფორმებშია ერთიანათ მოცემული (სხვადასხვა ცნობებიც კი), მხატვრული კრიტიკის მთავარი და ძირითადი ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გამოარკვიოს მხატვრული სიტყვიერი ფორმების იდეოლოგიური საფუძვლები, ამ ორი მხრის, ორი კატეგორიის ელემენტების წარმომშობი საერთო პირობები და ძალები და ამ გზით ნათელჰყოს მათი ურთიერთობა.

3. პროლეტარულ მწერლობის ისტორიულ-კლასობრივი მიზან-დანიშნულება

პროლეტ-მწერლობა ეს სრულიად ახალი ისტორიული მოვლენაა. ის არ არსებობს პირველყოფილ კომუნიზმის ეპოქაში და ვერც იარსებებდა, რადგან ადამიანმა იმ დროს წერის ნიშნებიც კი არ იცოდა; ის არც „ანტიური ქვეყნების" ძველ პროლეტარიატს შეუქმნია, რადგან იმ დროინდელი იდეოლოგია რელიგიას არ გასცილებია, მაშინ როდესაც პროლეტ-მწერლობა მხოლოდ ზუსტ ცოდნას, მეცნიერებას ემყარება; ის არც საეჭრო კაპიტალის ბატონობის დრომ იცის, რადგან სამრეწველო პროლეტარიატი იმ დროს ჯერ კიდევ ჩანასახის მდგომარეობაშია და წარმოებაში მანქანა, ჯერ კიდევ გაბატონებული არაა. პროლეტ-მწერლობა კი ნაყოფია მანქანურ მრეწველობის ნიადაგზე აღძრულ მუშათა კლასის მოძრაობის, ამ კლასის ბრძოლის, ყოფა-ცხოვრების და იდეოლოგიის განვითარებისა.

ყოველივე ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტ მწერლობა იქ ვერ გაჩნდება, სადაც სამრეწველო კაპიტალიზმი არ განვითარებულა, სადაც მუშათა მოძრაობას უმაღლეს წერტილამდე არ მიუღწევია და სადაც პროლეტარული კულტურის სხვა დარგები (ეკონომიური, პოლიტიკური, საზოგადოებრივ-ორგანიზაციული და განათლების ერთგვარ სიმაღლეზე არ დამდგარან.

ის ჩნდება კაპიტალისტურ-საზოგადოების განვითარების უმაღლეს საფეხურზე—მანქანურ მრეწველობის ბატონობის პირობებში, მაგრამ განვითარების გზის გაგრძელებას, შემდეგ ფაზაში გადასვლას ის ვერ ახერხებს ისე, თუ მუშათა მოძრაობამ გადამჭრელი ნაბიჯი არ გადადგა და რევოლიუციური გზით პროლეტარული დიქტატურა არ დაამყარა.

პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვება და პროლეტარული დიქტატურის დამყარება ეს ის პირველი ძირითადი პირობაა, რომელიც პროლეტ-მწერლობას საშუალებას აძლევს ჩანასახის მდგომარეობიდან გამოვიდეს და ფრთები ღონივრათ გაშალოს. ამას ამტკიცებს რუსული პროლეტ-მწერლობის განვითარების პროცესი, რომელიც დღეს პროლეტარული დიქტატურის პირობებში მიმდინარეობს.

მაგრამ კაპიტალისტურ პირობებში ჩასახული პროლეტ-მწერლობა თვით იყო ისეთი ძალა, რომელიც დიდათ ხელს უწყობდა თავისი განვითარების აქ აღნიშნულ პირველი პირობის შექმნას, ე. ი. ის პროლეტარულ რევოლიუციის გამარჯვების ხელის შემწყობ ძალას წარმოადგენდა (და ეხლაც წარმოადგენს ბურჟუაზიულ ქვეყნებში). მაშასადამე ის თავის ჩანასახის მდგომარეობაშიც დიდ ისტორიულ-კლასობრივ როლს ასრულებს.

გადადის რა პროლეტარული დიქტატურის პირობებში, ის იწყებს ჩანასახის მდგომარეობიდან გამოსვლას და ისახავს ახალ ისტორიულ-კლასობრივ მიზანს.

რას ნიშნავს ჩანასახის მდგომარეობიდან გამოსვლა და რაში მდგომარეობს მისი ახალი ისტორიულ-კლასობრივი მიზან-დანიშნულება?

ჩანასახის მდგომარეობიდან პროლეტლიტერატურის გამოსვლა ეს უპირველესათ იმას ნიშნავს, რომ ის სასტიკათ განისაზღვროს პროლეტარული იდეოლოგიით და ეს იდეოლოგია ერთ მთლიან და დასრულებულ მხატვრულ სისტემას წარმოადგენს, მეორეთ ეს იმას ნიშნავს, რომ პროლეტლიტერატურა „ფორმალურათ" ვითარდებოდეს: უფრო და უფრო იმუშავებდეს თავის ბუნების (იდეოლოგიის) შესაფერ მხატვრულ ფორმებს, სტილს, ლიტერატურულ ხერხებს და ამ მხრითაც სრულყოფას აღწევდეს.

წინათ თუ ჩანასახის მდგომარეობიდან მისი გამოსვლა პროლეტარული რევოლიუციის გამარჯვებით მოხდა, ეხლა განვითარების შემდეგ საფეხურზე მისი გადასვლა, ე. ი. იდეოლოგიურათ და ფორმალურათ მისი სრულყოფა მხოლოდ საბჭოების პროლეტარიატის ეკონომიურათ გაძლიერების, სოციალისტური ეკონომიკის განმტკიცების გზით არის შესაძლებელი.

მისი მდგომარეობა და განვითარება პირდაპირ დამოკიდებულია ისევ ახალ ეკონომიურ პირობების შექმნაზე, ე. ი. სოციალისტურ ინდუსტრიალიზაციის სწრაფ ტემპზე.

აქედან გამომდინარეობს მისი ახალი ისტორიულ-კლასობრივი მიზან-დანიშნულებაც.

პროლეტ-მწერლობა, მართალია, პროლეტკულტურის მეტათ სათუთი ყვავილია, მაგრამ მასაც ისე, როგორც სხვას ყველაფერს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ფესვები ეკონომიურ ნიადაგში აქვს გადგმული და თუ მას ეს ეკონომიური ბაზა უხვ საზრდოს არ აწვდის, ისე იგი უნაყოფოთ სჭკნება.

ამ ეკონომიური ნიადაგის, სოციალისტური ეკონომიკის ბაზის შეჰქმნა, ე. ი. საბჭოეთის სწრაფი ტემპით „გაინდუსტრიალება", ცხადია, პროლეტ-მწერ-

ლობის პირდაპირ დანიშნულებას არ შეადგენს, აქ მას ხელი არ მიუწვდება, ეს მის ისტორიულ-კლასობრივ როლს აღემატება.

აქ პროლეტარიატის სხვა ძალები მუშაობენ, აქ გადამჭრელი მნიშვნელობა ისევ პროლეტარულ პოლიტიკას და საბჭოეთის გარეშე მომქმედ ძალებს აქვთ.

თუ როგორ მუშაობენ ეს შინაური და გარეშე ძალები, ეს პოლიტიკური აზროვნების თემაა და ჩვენ აქ მის გარკვევა-ანალიზს არ შეუდგებით.

აქ უნდა გარკვევით აღვნიშნოთ მხოლოდ პირობითი დებულება: თუ არ შეიქმნა ზემოთ აღნული ერთგვარი სოციალისტური ეკონომიური ბაზა, თუ საბჭოეთის „გაინდუსტრიალება" არ მოხდა, ცხადია, პროლეტკულტურის და მაშასადამე პროლეტ-მწერლობის შემდეგი განვითარების გზებიც გადაჭრილია, პერსპექტივა შეკვეცილია, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში კი გზა გახსნილი იქნება და პროლეტ-მწერლობაც სწრაფი ნაბიჯით სრულყოფისაკენ გაექანება.

როგორც ხედავთ, პროლეტ-მწერლობის ვითარება ერთიანათ დამოკიდებულია მებრძოლი პროლეტარიატის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ვითარებაზე: მისი წარმატების ძაფები პირდაპირ გადანასკვულია მუშათა კლასის პოლიტიკურსა და ეკონომიურ წარმატებაზე.

მისი საკუთარი შემდეგი განვითარების გამოსავალი წერტილი მუშათა კლასის ეკონომიურ-პოლიტიკურ სფეროში ძევს და თვითონ მას თავისი გავლენით ამ წერტილის ადგილიდან დაძვრა არ ძალუძს. მას შეუძლია ხელი შეუწყოს მუშათა კლასის პოლიტიკურ-ეკონომიურ კიდევ უფრო მეტ წარმატებას მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავისთავად ფაქტია ეს წარმატება; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ის მუშათა კლასის კვლავ მხოლოდ პოლიტიკური ბრძოლის ფაქტორი ხდება და მას კვლავ საბრძოლველათ რაზმავს.

მაშასადამე პროლეტ-მწერლობის მიზან-დანიშნულება ერთიანათ განისაზღვრება პროლეტკულტურის საერთო ვითარებით, რომელიც განსაზღვრულ-ისტორიულ ხანაში მუშთა კლასის პოლიტიკურ-ეკონომიური და იდეოლოგიური მდგომარეობით არის შექმნილი.

ჩვენ ვიცით, რომ პროლეტარულ დიქტატურის პირობებში, გარდამავალ ისტორიულ ხანაში პროლეტკულტურამ თანდათან უნდა შესცვალოს ბურჟუაზიული კულტურა, ეს ნამდვილი, გამარჯვებული „კულტურული რევოლიუციაა". ამ „რევოლიუციის" პროცესი პროლეტარულ-პოლიტიკური რევოლიუციის გამარჯვების მეორე დღიდან დაიწყო.

საბჭოთა პროლეტარიატის რევოლიუციის, სოციალიზმის შენების საქმის, საბოლოვო გამარჯვების ინტერესი საერთოთ მოითხოვს, რომ კულტურული რევოლიუციაც სათანადო ტემპით მიმდინარეობდეს და რაც ჩქარა დასრულდება ის გამარჯვებით, ცხადია, მით უფრო მეტი გარანტია ექნება მებრძოლ პროლეტარიატს, რომ სოციალიზმ-კომუნიზმი ახლო მომავალში საბოლოოთ დაამყაროს.

კულტურული რევოლიუცია დღეს ორი სხვადასხვა გზით მიმდინარეობს: ერთი ფართეთ გაშლილ მშრომელ ფართე მასების „გაკულტურებით", ხოლო მეორე—სილრმეში, ვიწრო ფარგლებში პროლეტარული კულტურის ელემენტების მეტი განვითარებით და მისი სულ უფრო და უფრო ჩამოყალიბებით, ერთ დასრულებულ მთლიან კულტურად გადაქცევით.

ეხლანდელ პირობებში პროლეტ-მწერლობის, როგორც ამ კულტურის ერთ-ერთი მთავარი გამოჩინების მიზან-დანიშნულებაა ახალ პოლიტიკურ-ეკონომიურ სიტუაციით წარმოშობილ ახალ პროლეტიდეებს სიტყვიერ-მხატვრული განსახიერება მისცეს 2) ამის შესაფერი ახალი პროლეტლიტერატურული ფორმები შეჰქმნას და 3) საკუთარი პროლეტარული მხატვრული სტილის ჩამოქნას შეუდგეს.

4. რა კავშირი აქვს პროლეტლიტერატურას კაცობრიობის წარსულთან

როგორც დავინახეთ, პროლეტლიტერატურას ძალიან მოკლე ისტორია აქვს: ის უფრო აწმყოთი და მომავლით საზრდოობს.

მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას წარსულთან და ისიც შორეულ წარსულთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდეს და ეს წარსული მას მდიდარ მასალას არ აძლევდეს.

> ხელოვნება, ამბობს პროლეტკულტურის განვითარების კანონების მცოდნე და მკვლევარი, ანატოლ ლუნაჩარსკი,—მიუხედავათ იმისა, რომ მისი „ბედი" სრულიად დამოკიდებულია მისი მომავლინებელი კლასის „ბედისაგან", იგი მაინც თავისი შინაგანი კანონების თანახმათ ვითარდება.

რაში მდგომარეობს ეს „თავისი შინაგანი კანონები"?

— ერთი იმაში, რომ მხატვრული ნაწარმოები თავის დანიშნულებას ისე ვერ მიაღწევს, თუ „ამთვისებელი" ესთეტიურად გამოცდილი, ე. ი. აღზრდილი არაა: თუ მას ამ მხატვრული „ნივთის" გავლენა და გემო რამდენჯერმე მაინც თავისთავზე არ განუცდია, თუ იგი მას არ „შეჩვეევია" და თავისი ნერვიული ცენტრი ესთეტიური დენის მისაღებ აპარატათ არ გადუქცევია. (ანატოლ ლუნაჩარსკის გახმარტებით ეს ითქმის განსაკუთრებით მუსიკაზე.)

მეორეის,—რომ მხატვრული მეტოდი და ხერხი („ტექნიკა"), რომლის საშუალებით ხელოვნება თავის დანიშნულების მიღწევას—კაცის ემოციონალური აპარატის აღძვრის—ცდილობს, ისტორიულათ, დროს განმავლობაში თანდათან უმჯობესდება, ვითარდება და სრულ ყოფას აღწევს. და აი ამ განვითარებაში მეფლავნდება ხელოვანთა თაობების ერთგვარი თანამშრომლობა, ამაში გამოიხატება ხელოვნური ანუ მხატვრული ფორმის ერთნაირი „დამოუკიდებელი" ვითარება.

არის მეორე კატეგორიის მოვლენაც, რომელიც არა ნაკლები მხატვრობით არის გამოსახული ძველ მწერლობაში და რომელიც პროლეტლიტერატურას ენათესავება თემატიური მხრით. ეს არის ადამიანის ბრძოლის მოვლენები.

ადამიანთა კოლექტივი ებრძოდა და ებრძვის ერთი მხრით ბუნების სტიქიურ ძალებს, აგრეთვე მისთვის საშიშარ ცხოველებს და მეორე მხრით თავისივე მსგავს ადამიანებისგან შემდგარ მტრულათ განწყობილ გვარ-ტომებს. ამ ბრძოლებში რამდენიმეთ გამარჯვებული ადამიანი, ბოლოს ისე თამამდება და იმდენ გაბედულებასაც იძენს, რომ ის მის მიერვე „გალმერთებულ" ზესთაბუნებრივ ძალებსაც ბრძოლას უცხადებს.

ეგრეთ წოდებული „გმირული ხანის" დროის ადამიანის ასეთი ბრძოლები გამოიხატა „ხალხურ გმირულ ეპოსში", სადაც კოლექტივის მხსნელათ უკვე გმირი პიროვნებებია წამოყენებული. საბერძნეთის ოდისე და ქართველი ხალ-

ხის ამირან დარეჯანიძე, ეს ისეთი მომქმედი პირებია, რომელთათვის პიროვნული მხოლოდ მათი ფიზიკური ან ფსიქიური ძალაა, ხოლო მათი ინტერესები იგივე იმ კოლექტივის ინტერესებია, რომლისთვისაც ისიც თავის პირად ძალას, სიცოცხლეს და ყოველივე პირადულს სწირავენ.

ბერძენთა გმირი მაგალითად, პრომეთე ღმერთებს ებრძვის „ადამიანისთვის" ართმევს ამ ძალას იგი ღმერთებს და ადამიანებთან მოაქვს, ამისათვის მას ღმერთები სჯიან: კავკასიის ქედის ერთ სალ კლდეზე რკინის ჯაჭვით აკრავენ და ამნაირათ სამუდამო სატანჯველში აგდებენ.

ეს მტრებთან ბრძოლაში დალუპვაზე მეტია: ამაზე დიდი მსხვერპლი—სამუდამოთ უსაშინელესი ტანჯვა წამების მილება—კაცობრიობისათვის ალარ შეიძლება; ამაზე დიდი გმირობა დღემდე არც ერთ ადამიანს არ ჩაუდენია.

პროლეტარიატის კლასობრივ-საზოგადოებრივი ბრძოლაც სწორეთ ასეთი გმირობით ხასიათდება, ამიტომ პროლეტლიტერატურის ერთი მთავარ თემათაგანი კლასის და ინდივიდუალური გმირობაც არის, ამიტომ ის უგულებელს ვერ ჰყოფს „ხალხური ეპოსის" იმ ნიმუშებს, სადაც ეს გმირობა ისე წარმტაცათ და შეუდარებლათ არის გამოხატული.

ამ რიგათ „პრეისტორიულ" ეპოქის კაცობრიობის სოციალურ-კულტურულ ცხოვრებას ისეთი ელემენტი,—„გმირული ეპოსი"—შეუქმნია, რომელიც პროლეტლიტერატურის სამხატვრო ლაბორატორიაში ინახება, რომ პროლეტლიტერატორმა საჭიროებისამებრ მოიხმაროს.

ყოველივე ამის შემდეგ, როგორც ანატოლ ლუნაჩარსკი თავის ნარკვევში—„основы позитивной эстетики"—განმარტავს, პროლეტლიტერატურას ისტორიულ ეპოქების კულტურიდანაც სჭირდება ზოგი რამ მხატვრული ელემენტის გამოყენება. ასეთ ელემენტად მას მიაჩნია „რომანტიზმიდან" და „რეალიზმიდან" მიღებული მხატვრული ხერხები.

ამას რომ ჩვენის მხრით უკანასკნელი დროის ლიტერატურული სკოლების—სიმბოლიზმის და ფუტურიზმის—ზოგი რამ გამოსაყენებელი დაუმატოთ, წარსულისგან სამკვიდროთ დატოვებულს სრულიად მივიღებთ.

ამ სახით პროლეტ-ლიტერატურისათვის აუცილებელი ხდება წარსულთან დაკავშირება, მისი მხატვრული საგანძურიდან საჭირო მასალის ამოკრება და ამ საშუალებით თავისი პროლეტარული სტილის და მხატვრული ფორმის ჩამოსხმა-გამახვილება.

მაგრამ ყოველივე ეს მხოლოდ ერთი პირობით: პროლეტ-მწერლობა, განსაკუთრებით მისი ნაწილი—მხატვრული კრიტიკა წინასწარ აღიჭურვოს კრიტიკის პროლეტარული თვალსაზრისით, ორგანიზაციული მეტოდით ე. ი. კოლექტიურ—შრომითი მიდგომით და ისე განიხილოს, გადასინჯოს მან წარსულისგან მიღებული გამოსაყენებელი სამკვიდრო მასალა. უამისოთ მფლობელი თვითონ სამკვიდრო გახდება და არა მისი მემკვიდრე.

ყველა აქ გამოთქმულ დებულებების, აღნიშნულ თვალსაზრისის და ისტორიულ-ეკონომიური ანუ დიალექტიური მეთოდის თანახმად შევეცდები ქვევით ქართული პროლეტლიტერატურის ვითარების გამოკვევას: 1, რა მიიღო მან სამკვიდროთ წარსულიდან და რამდენათ არის ეს სამკვიდრო მისთვის გამოსაყენებელი; 2, როდის და რა პირობებში ჩაისახა ქართული პროლეტპოეზია, რაში გამოისახა ის და რამდენათ განვითარდა ეს ჩანასახი საქართველოს გასაბჭოებამდე, ე. ი. პროლეტარულ რევოლიუციის საქართველოში გამარჯვებამდე; 3, რა ეტაპები განვლო მან განვითარების გზაზე გასაბჭოებიდან დღემდე, 4, რა ამოცანებია ძის წინაშე დღეს წამოჭრილი და 5) როგორია მისი შემდეგი განვითარების პერსპექტივა.

ვარლამ ხურციძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ორი სტილი

(გაგრძელება*)

ნიკოლოზ ბარათაშვილი (1816 წ.—1845)

მახსოვს იგი დრო, საამო დრო, როს ნაღვლიანი,
კდლევ ბუნდოვანო, შენს ბილიკად მიმოვდიოდი,
და წყნარს საღამოს, ვით მეგობარს, შემოგეტრფოდი:
რომ ჩემებრ იგიც იყო მწუხარ და სევდიანი.

მარტოობა, სევდა, ნაღველი, საკუთარ სულში ჭვრეტა.—
ნელად მოღელავს მოდუდუნე მტკვარი ანკარა
და მის ზვირთებში ჭკრთის ლაჟვარდი ცისა კამარა,
იდაყვ დაყრდნობილ ყურს უგდებდი მე მისს ჩხრიალსა
და თვალნი ჭრბიან შორად, შორად ცის დასავალსა!

ნელად მიტბორავდა ბარათაშვილის დროის საქართველო—ურემი, ქარავანი, ქართლიდან იმერეთამდე თვეობით მგზავრობა—და პოეტის არსებაც „ნელად მომღელვარ მტკვარს" ეგუება, აქ დაეშვება იგი ნელის მოძრაობით და ნელისვე კრთომით გაჰყურებს ცის დასავალს. აზრებიც ნელა ვითარდებიან მისს არსებაში: ჯერ გარემოს უნდა შეეწყოს პოეტის სული და გული, უნდა მონახოს მთაწმინდაზე მყუდრო საღამო, უსათუოდ მთვარითა და ვარსკვლავებით მორთული ზეცა—„მთვარე, ნაზად მოარე, დისკო გადათხრით შუქმიბინდული", „ნელად მჭროლნი ნიავნი"—და მხოლოდ ასეთი დეკორაციების შექმნის შემდეგ იწყება ფიქრთა დენა:

მაინც რა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი,
თუ არა ოდენ საწყაული აღუვსებელი?
...აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილავენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან...

და იწყება ჩუმი თვითანალიზი, საკუთარ სულის ხვეულებში ხეტიალი, უთვალავჯერ შემოტრიალება ერთი და იგივე ღერძის გარშემო.

ვინ არის იგი, ვის თვის გული ერთხელ აღევსოს,
და რაც მიელოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს?

არავინ არ არის ამ ქვეყნად კმაყოფილი:

თვითონ მეფენიც უძლეველნი, რომელთ უძლეველ
ამაო სოფლად არღა არის სხვა რამ დიდება,
შფოთვენ და დრტვინვენ, და იტყვიან: «როდის იქნება
ის სამეფოცა ჩვენი იყოს''.

*) იხ. ჟურ. „მნათობი" № 5—6.

მოუსვენარ ცხოვრებას ეწევა კეთილი მეფეც. პოეტის ანალიტიური გონება აქედან განზოგადებას ახდენს: ადამიანის ბუნება საზოგადოდ „ალუვსებელი საწყაულია“.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაცა უნდა ბოლო მოელოს,
მაშინ ვილამ ათქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?“

უძნელესი და ურთულესი საკითხი ყოველი ცალკე პიროვნებისთვის—ინდივიდისა და კოლექტივის ინტერესები პირისპირ უდგება ერთმანეთს. ასეთია ბარათაშვილის ანალიტიური სიმკვეთრე.

ნუ ვინ იტყვის ობლობისა ვაებას,
თუ ვინ ჰაჩივის თავის უთვისტომობას,—
საბრალოა მხოლოდ სული ობოლი,
ძნელლა ჰპოვოს, რა დაკარგოს, მან ტოლი!
ძნელი არის მარტოობა სულისა:
მას ელტვიან სიამენი სოფლისა,
მარად აბსოვს მას დაკარგვა სწორისა,
ოხერა არის შვება უბედურისა!

აქაც თვით ანალიზი, ობლობა. მარტოობა, ყოველ მოვლენაში პირადი „მეს“ დანახვა და საკუთრი სასისოცხლო ინტერესების აწონ-დაწონვა.

ნელად მიმტბორავ საქართველოს წიაღში მინაზებულ სულსაც ჰქონდა დრო და დრო, ჟამს უმაღლესის კრიზისისა, აჩქარებული ტემპი, მანაც იცოდა „მდუღარებაი სულისა“.

სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
ჩემის გონების და სიცოცხლის შენ ალმაშფოთრად?
მარქვი, რა უყავ, სად წარმიღე სულის მშვიდობა,
რისთვის მომიკალ ყმაწვილის ბრმა სარწმუნოება?
ამას უქადდი ჩემს ცხოვრებას, ყმაწვილ კაცობას?

წარსულის გადასინჯვა და შეფასება, ანალიზი და საშინელი დასკვნა:

რა ვარ აწ სოფლად დარჩენილი უსაგნოდ, მარტო,
ჭკუით ურწმუნო, გულით უნდო, სულით მახვრალი?..

განა შეიძლება ასეთ შიხაგან კრიზისის დროს ნელა აზრის გამოთქმა? და ბარათაშვილის მშვიდი ხატებაც გააფთრებული წამოიჭრება:

წყეულიმც იყოს დღე იგი, როს შენთა ალთქმათა
ბრმად უმსხვერპლიდი, მივანდობდი ჩემთა ალთქმათა!
განვედი ჩემთან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!

დღევანდელ ტელეგრაფულ სტილის ხანაში ამ ალშფოთებას უფრო სხვა ფრიე გამოსთქვამდენ,—ამ სიტყვებში უსათუოდ იგრძნობთ, რომ სისწრაფით ალმოხეთქილ ალშფოთების გრძნობისათვის ლექსის ფორმა და სიტყვების სიძნელე ერთგვარ ბორკილადაა გადაქცეული, მაგრამ ბარათაშვილის დროს ეს სიჩქარის მაქსიმუმი იყო.

აქ გავაკეთოთ ზოგიერთი საჭირო დასკვნა და შემდეგ წავიდეთ ქვევით.

რითი ენათესავება ნ. ბარათაშვილი ალ. ჭავჭავაძეს და გრ. ორბელიანს უკვე განხილულის მიხედვით?

„ყოველთ კეთილთაგან იავარქმნილ“ ალ. ქავჭავაძეს ბანს აძლევს გრ. ორბელიანი, რომელიც ამბობს: „ვიყავ უსაგნოდ, უიმედოდ“, თითქმის ამავე სიტ-

ყვებით გოდებს ბარათაშვილიც: „რა ვარ აწ სოფლად დარჩენილი უსაგნოდ, მარტო, ჭკუით უნდა, გულით ურწმუნო, სულით მახვრალი“.

მარტოობა და ცხოვრებისაგან გარიყვა გულს უკლავს სამთავეს, გარეშე ქვეყანაში დასაყრდნობი ვერ მოუნახავთ და საკუთარ „მე“-ში ინთქებიან. რასაკვირველია, გარჩევა არის მათ შორის, მაგრამ გარჩევა რაოდენობითია და არა თვისებითი. ბარათაშვილი მარტოობის გრძნობაში ყველაზე ღრმაა და მის მიერ შექმნილი სააზროვნო ფორმულაც ფართო დამტეობისაა, მას დიდი განზოგადების ნიჭი აქვს და ამიტომ მისი თვალთახედვის ფარგალიც თავისიანებზე უფრო ფართოა.

სამთავე მგოსანი გარს უტრიალებს ბედისწერას, რომელმაც პირადად ისინიც გააუბედურა და მათი სამშობლოც. ალ. ჭავჭავაძის „ბედზე“ ვილაპარაკეთ, ორბელიანსაც „უბედობამ დაჰქროლა“, ბარათაშვილი, ხომ მუდამ კბილის ღრეჭენით არის აღმართული ბედის წინაშე: სულო ბოროტო, ბედის ვარსკვლავი. „ბედი ქართლისა“. მაგრამ აქაც ერთგვარ გარჩევასთან გვაქვს საქმე: ბარათაშვილი ბედს ებრძვის და მუდამ ეომება, იმათი ბრძოლა კი არ სჩანს, უფრო კი ქედის მოხრაა.

კეთილისა და ბოროტი მეფის შედარება, რასაც ბარათაშვილი მიმართავს, რაღაც მიღებულ ფორმად ყოფილა მაშინ. მოვიგონოთ ჭავჭავაძის:

ხელმწიფენი, რომელთ სვესაც ვეზურვით,
არნ მოცულნი უმრავლესითა ურვით,
ფიქრმრავლობენ განდიდებისა სურვით.

შევადაროთ ამას ბარათაშვილის

თუნდ კეთილ მეფე როდის არის მოსვენებული? და სხვ. *).

დაუბრუნდეთ ისევ ბარათაშვილს. იგი ერთიანად განმარტოვებულია და სრულიად უარყოფილია ცხოვრების მიერ, არავინ არ გრძნობს მასში საჭიროებას: წვრილფეხა მოხელეა, მშობლები გაუღარიბდა, ფართო საზოგადოებას გამოწყდა, სამხედრო სამსახურში ვერ გამოდგა—ეს ასპარეზი კი ერთად ერთი იყო მაშინ. საზოგადოებრივი ცხოვრება არაა: 1832 წლის შეთქმულნი, რომლებთან ერთად ორი კვირის ციხე პოეტმაც იგემა, სადღაც მიფანტულ-მოფანტულნი არიან, ტფილისში სრული ფუქსავატობაა, საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა ისევ ძველებურია, ირაკლი მეფის აჩრდილი კი ჯერ კიდევ ცოცხალია... რას მიმართოს ასეთ პირობებში მგრძნობიარე და მოაზროვნე ადამიანმა? მხოლოდ საკუთარ თავს, თავის შინაგან ცხოვრებას და შინაგან ხილვას.

მე შენსა მჭვრეტელს მაგიწყდება საწუთროება,
გულისთქმა ჩემი შენს იქითა ეძიებს სადგურს,
ზენაართ სამყოფს, რომ დაშთოს აქ ამაოება.
მაგრამ ვერ სცნობენ გლახ მოკვდავნი განგებას ციურს!

*) ეს გარემოება იაკ. ფანცხავამაც აღნიშნა თავის დაკვირვებულ წერილში ალ. ჭავჭავაძის შესახებ. მაგრამ ერთი დიდი მარცხი კი ნოუვიდა: ალ. ჭავჭავაძეს არ ვკითხულობთ და უ ვ ი ც მაქსიმე გორკის ვეწაფებითო, სწერდა. გორკი და უვიცი! ფანცხავას მიერ უვიცად მონათლული გორკი დღეს საქვეყნო მწერალია, მისი კრიტიკოსი კი ისევ იმ საფეხურზე დგას, რომელზედაც მაშინ იდგა. ასეთია ბედის ირონია და...

ბარათაშვილის ბუნება აქტიურია, მას არ შეუძლია მარტო სულის სიღრმეში ჭვრეტით დაკმაყოფილდეს, აქ ძიება დასრულებულია, იგი გარეშე ქვეყნისკენ მიისწრაფვის და იქ ეძიებს ცხოვრების აზრს:

აწცა რა თვალნი ლაჟვარდს გიხილავენ, მყის ფიქრნი შენდა მოისწრაფვიან,
მაგრამ შენამდინ ვერ მოაღწევენ და ჰაერშივე განიბნევიან.

მკაცრმა ანალიზმა მიიყვანა მგოსანი იმ დასკვნამდე, რომ ეს „წუთისოფელი „აღუვსებელი საწყაულია“ და ადამიანის ბუნება მუდამ ძიებაშია, მაგრამ ეს ძიება არ არის ვიწრო ფარგლების.

მაგრამ თუ ერთხელ სოფელსაც უნდა ბოლო მოეღოს,
მაშინ ვიღამ სთქვას მათი საქმე, ვინ სადღა იყოს?

თუ კერძო პიროვნების ბოლო სიკვდილია და გაქრობა, რისთვის არის იგი აღუვსებელი საწყაული, რა აზრი აქვს მის ძიებას და დაუსრულებელ მისწრაფებას?

მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან—შვილნი სოფლისა.
უნდა კიდეცა მივდიოთ მას, გვესმას მშობლისა.
არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნვოს!

ამ ბრძნულ სიტყვებში იმ კაცის სულის ამოკივილია, რომელიც ერთიანად უარყო ცხოვრებამ, მაგრამ რომელსაც მთელის თავის არსებით უყვარს მისივე უარისმყოფელი. ზეზეური ჭკუა და არსება ასეთ დასკვნამდე ვერ მივიდოდა. ბარათაშვილი გარიყულია და საკუთარ სულში იღვენთება, მაგრამ იგი მთელის თავის არსებით გრძნობს თავის წარმომშობ წრესთან კავშირს, შემთხვევით გარემოებად მიაჩნია თავისი უბედურება და იმდენ სასიცოცხლო ენერგიას იჩენს, რომ ისევ მისივე უარის მყოფელს ეკვრის და მისკენვე მიისწრაფვის. ამბობენ—ქართველი მაღალი საზოგადოება—თავადობა მაშინ დაცემის გზაზე იყო და დეკადანსს განიცდიდაო. შემცდარი აზრია: ავადმყოფი წრე ასეთ საღ მოაზროვნეს ვერ წარმოშობდა, სნეული სნეულს შობს.

ბარათაშვილი თავად-აზნაურულ წოდების შვილი იყო, მსგავსად ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა, მისი თვალიც ყველგან მეგვეებს და თავადებს ხედავს: კეთილი და ბოროტი აბსტრაქტული მეფენი, ერეკლე მეფე, ნაპოლეონი, კნიაზ ბარათაევი, დიმ. ორბელიანი, ეკატერინე ჭავჭავაძისა, ძია გრიგოლი (ორბელიანი), ყაბახი, ერეკლეს საფლავი, სოლომონ ლეონიძე, სოფიო... დიახ, არაა შემთხვევითი ეს სახეები და მათი ხილვა, ბარათაშვილის და მისი დროის მგოსანთა თვალები ერთნაირად იყო მოწყობილი და მხოლოდ ერთი ხეივნის სურათებს ხედავდენ ისინი.

მაგრამ ბარათაშვილი არა მარტო ხედავდა ამათ, არამედ ძაღლებშიც გრძნობდა მათ სისხლსა და სიძლიერეს... საკუთარ სულში ჩაჭვრეტის ჟამს ის ხედავდა დავით აღმაშენებლის ხმალს, ესმოდა ყაზვინისკენ მიქცეულ ზაქარია მხარგძელის რისხვიანი რისხვა, თვალწინ ედგა „გუნდნი და გუნდნი ვაჟკაცნი“, არ ასვენებდა ერეკლეს სახე, მხარში უდგა თავისი წოდების ქვისმკვნეტი ენერ-

გია და არც უნდოდა ბედს დამორჩილებოდა, არ უნდოდა სიცოცხლეს გამოწყვეტოდა და თავის უბედური არსებობა უბედურათვე დაესრულებია.

ამიტომაა მისი რწმენა გაუტეხელი, მან იცის:

> რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველს ნათელს ის განანათლებს:

ამიტომაა, რომ იგი ინდივიდის თვალსაზრისს შორდება და ხსნას კოლექტივში ეძებს:

> არც კაცი ვარგა, რომ ცოცხალი მკვდარსა ემსგავსოს,
> იყოს სოფელში და სოფლისათვის არა იზრუნვოს.

ეს არის ყველა საღად მოაზროვნე ადამიანის ფილოსოფია, ასე მსჯელობს ყოველი საღი ელემენტი, ბოლოს ეს არის ყველა ძლიერი და ამომავალი საზოგადოებრივი ჯგუფის, თუ კლასის ფილოსოფია. ბარათაშვილის განზოგადებითი ნიჭი აქ უმაღლეს ხარისხამდე ავიდა და მით დაჩრდილა მან ალ. ჭავჭავაძეცა და გრ. ორბელიანიც, მაგრამ მათი რკალიდან მაინც არ შეიძლებოდა გამოსულიყო იგი—ვინაიდან მისი მშობელიც თავად-აზნაურული წოდება იყო. ამ სოციალურ წრეზე დაყრდნობით ავიდა იგი მსოფლიო მგოსნობის მწვერვალზე, აქედან გადახედა მან მთელი საქართველოს ცხოვრებას.

ბარათაშვილის ბედთან შეხვედრა მუდამ ბრძოლით იწყება და ბრძოლითვე თავდება:

> სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად,
> ჩემის გონების და სიცოცხლის შენ აღმაშფოთრად?
> განვედი ჩემგან, ჰოი მაცთურო, სულო ბოროტო!..
> ...გასწი. გაფრინდი, ჩემო მერანო, გარდამატარე ბედის სამზღვარი!
> თუ აქამომდე არ ემონა მას, არც აწ ემონოს შენი მხედარი!

ასეთი ბრძოლის ყიჟინა იმავე წარსულის სახეებმა შთაბერეს მგოსანს.

> ცუდად ხომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულის კვნესა!
> და გზა უვალი, შენგან თელილი, მერანო ჩემო, მაინც დარჩება,
> და ჩემს შემდგომად მოძმესა ჩემსა სიძნელე გზისა გაუადვილდეს,
> და შეუპოვრად მას ჰუნე თვისი შავის ბედის წინ გამოუქროლდეს.

აქაც უაღრესი ჯანსაღობა, ცხოველმყოფელობა და სოციალობა. გარეშეებზე ზრუნვა, საკუთარი ინტერესების გადალახვა, უარყოფილი ინდივიდუალიზმი, იმედად აღიარებული კოლექტივიზმი. ასე არ გრძნობს და არ მსჯელობს საზოგადოების ავადმყოფი შვილი. ადამიანებმა უარყვეს, ადამიანებს ვერ ნდობია, „მხოლოდ ვარსკვლავთა თანამოვალთა ვანდო გულისა მე საიდუმლო“ და... იმავე ადამიანებზე ფიქრი! მეტი პიროვნული სიძლიერე და ამაღლება არ შეიძლება!

მაგრამ ყოველივე ამით ხომ დაშორდა ბარათაშვილი ჭავჭავაძესა და ორბელიანს, ჩვენ აკი მსგავსება გვინდოდა მათ შორის აღმოგვეჩინა!

მე ვფიქრობ აქაც რაოდენობასთან გვაქვს საქმე და არა თვისებასთან. აწმყოს სამივე მგოსანი გაურბის, სხვაობა მხოლოდ იმაშია, რომ ბარათაშვილის გაქცევა ჭავჭავაძისა და ორბელიანზე გაცილებით უფრო ღრმაა; ისინიც რომანტიკოსები არიან და ბარათაშვილიც, მაგრამ მათი რომანტიკა უფრო წარსულის რომანტიკაა, ბარათაშვილის კი აწმყოსი და მომავლის; ჭავჭავაძე და ორბელიანი უფრო შატობრიანის ტიპის რომანტიკოსებია, ბარათაშვილი

კი ბაირონის ტიპისა. აკი ბაირონის ჩაჰილდჰაროლდი ბარათაშვილის მერანივით გაექცა თავის სამშობლოს უკეთესი ქვეყნის საძიებლად!

მართალია, ბარათაშვილმა რომანტიზმის გზაზე უმაღლეს მწვერვალს მიაღწია და თანამოლვაწენი დაჩრდილა, მაგრამ ეს ხომ რაოდენობითი გარჩევაა და არა თვისებითი. გარდა ამისა გზა და გზა ჩვენ ვნახეთ, რომ ბარათაშვილის თვალიც მხოლოდ მეფეებს და თავადებს ხედავს ირგვლივ. ამ მხრივ „იგი, ეჰვი არ არის, რომ ჭავჭავაძესთან და ორბელიანთან დგას.

ძმანო, თქვენ ჰქმენით საქმენი, ღირსნი თქვენთა წინაპართა!
იმპერატორსა ემსხვერპლეთ, ვაი დამართეთ წარმართთა!
აჩრდილნი თქვენთა მამათა იშვებენ საიქიოსა
და გვიკურთხებენ სახელსა, მომავალთ მოსალხინოსა!

რითი ჩამოუვარდება ეს „იმპერატორსა ემსხვერპლეთ“ ჭავჭავაძის მიერ პეტერბურგის სასახლის შექებას და ორბელიანის „ხელმწიფეე ჩვენოს“? დამეთანხმებით, რომ ამ ტაეპს საკმევლის სუნიც ასდის და საკმაოდ ენათესავება ორბელიანის „ბეთანიის ეკლესიის“ სულის კვეთებას და ჭავჭავაძის „გოგჩის ტბის“ ზოგიერთ ნახაზებსაც.

ბარათაშვილი წარსულშიც ეძიებს სახეებს, უამისობა არ შეუძლია აწმყო მოწამლულს. მისი უსაყვარელესი სახე წარსულიდან ერეკლე მეფეა, მის სახელთან დაკავშირებულია მე-19 საუკ. საქართველოს ბედი, ამიტომ ბარათაშვილის ყურადღება ამ მეფეებზეა მიპყრობილი. რასაკვირველია აქ წარსულის იდეალიზაციასაც აქვს ადგილი, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ ერეკლეს პიროვნება და მისი პოლიტიკის შეფასება პოეტს თავისი დროის მდგომარეობის გასაშუქებლად უფრო უნდოდა, ვინემ ერეკლეს დროის ყოველმხრივ დასასურათებლად. გავს, რომ მაშინდელ ინტელიგენციას მოსვენებას არ აძლევდა ის საკითხი, თუ რაგვარად შეეფასებიათ ერეკლეს პოლიტიკა რუსეთთან შეერთების საკითხში. ერთის მხრივ გმირი და ყველასათვის საყვარელი მეფე, მეორეს მხრივ კი რუსეთის უღელში შებმის პოლიტიკა! ლეონიძის სიტყვები პოემა „ბედი ქართლისა“-დან:

ირაკლიმ იცის, რომე ქართველებს
არად მიაჩნით უბედურება,
თუ აქვთ თვისთ ჭერქვეშ თავისუფლება.—

ეტყობა მაშინდელი ინტელიგენციის ერთი ნაწილის აზრი იყო და ბარათაშვილიც ამ აზრთან ერთგვარ პოლემიკას უნდა ეწეოდეს, თუმც პოემაში ლეონიძის აზრების თანაგრძნობაც არის. მაგრამ ის კი აშკარაა, რომ პოემაში ლეონიძე არ არის რეალური პოლიტიკის წარმომადგენელი და შექმნილ ობიექტიურ პირობებში ერეკლესავით ვერ ერკვევა. ბარათაშვილი რომ ერეკლეს პოლიტიკას ამართლებს, ამას აშკარად მოწმობს ლექსი:

თაყვანს ვსცემ შენსა ნაანდერძებს, წინასწარად თქმულს!
გახსოვს სიკვდილის ჟამს რომ უთხარ ქართლს დაობლებულს?
აჰა, აღსრულდა ხელმწიფური აწ აზრი შენი
და ვსჭამთ ნაყოფსა, მისგან ტკბილსა, აწ შენი ძენი.

ე. ი. შენი პოლიტიკა რუსეთთან დაახლოვების შესახებ საქართველოსთვის გამოსადეგი შეიქნაო,—აი ამ სიტყვების აზრი. თუნდაც ეს სრულებით იმას არ ნიშნავს, რომ ბარათაშვილი არსებულ მდგომარეობას სავსებით ამართლებდეს.

ჰეი დედანო, მარად ნეტარნო,
კურთხევა თქვენდა, ტკბილ სახსოვარნო!
რა იქნებოდა, რომ ჩვენთა დედათ
სულიცა თქვენი გამოჰყოლოდათ!
ვინლა ჰყავს გულის შემატკივარი,
მამულს ასული, ახლა თქვენგვარი
ქარმან ჩრდილოსმან ყველაზედ პირველ
გარდაუცვალა მათ გული ცხოველ!
ჯანი გავარდეს აწ შვილსაც, მამულს,
ოღონდ ვაამოთ ჩვენს საკუთარ გულს?
რის ქართველობა, რა ქართველობა!
მითომ რას გვარგებს უცხო ტომობა.

ეს სიტყვები აშკარად მოწმობენ, რომ მგოსანი ერთიანად ქართულ ნიადაგზე იდგა და საქართველოს აზროვნებდა, როგორც ერთ რთულს ეროვნულ ორგანიზმს.

მართალია, ბარათაშვილი ეროვნულ საკითხს თავისებურად უდგება, მაგრამ აშკარაა, როს ეს საკითხი მას ისე აწუხებდა, როგორც ჭავჭავაძეს და ორბელიანს.

პ ლ ე ხ ა ნ ო ვ ი ამბობს, რომ მწერლის შემოქმედების სისწორით შესაცნობათ უნდა ვიცოდეთ შემდეგი ობიექტიური პირობები: ა) ეპოქის საწარმოო ძალთა განვითარება, ბ) ამაზე დამყარებული კლასთა შორის არსებული ეკონომიური დამოკიდებულებანი, გ) ის სოციალურ-პოლიტიკური წესწყობილება, რომლის საფუძველს მოცემული ეკონომიური ბაზა შეადგენს, დ) ნაწილობრივ უშუალოდ ეკონომიურზე და ნაწილობრივ კი ამ სოციალურ-პოლიტიკურ წესწყობილებაზე აღმოცენებული ადამიანთა ფსიქიკა და ბოლოს ე) ის სხვა და სხვა იდეოლოგიური მიმდინარეობანი, რაიც გამოიხატება ამ ფსიქიკის სხვადასხვაობაში.

როგორი საწარმოო იარაღები და ეკონომიური ბაზა იყო ალ. ჭავჭავაძის, ნაწილობრივ გრ. ორბელიანის და მთლიანად ნიკ. ბარათაშვილის დროს საქართველოში? თითქმის პრიმიტიული საწარმოო იარაღები, პრიმიტიული შრომის ნაყოფიერება: ადამის დროინდელ იარაღის საშუალებით დაგროვილი ოდნავი ზედმეტი პროდუქტი მუქთახორა ბატონის მიერ ინთქება, ირგვლივ ნატურალი მეურნეობა და ბატონყმობა. რა ფაქტორი ქმნიდა საზოგადოებრივ ფსიქიკას ეკონომიური, თუ პოლიტიკური? უსათუოდ პოლიტიკური, 1832 წ. შეთქმლება და სხვა აჯანყებები ამის უტყუარი დამამტკიცებელია. ჩვენ მიერ განხილული პოეტების შემოქმედებაც ამას აშკარად ამტკიცებს. არც ერთ მათგანისათვის ერის დაბალი ფენა, როგორც შემოქმედების საგანი არ არსებობს და მათი ყურადღება ზედაფენების სულიერ ვითარებისკენ არის მიქცეული. სოციალური საკითხი, როგორც ასეთი, მათთვის არ არსის, ამ მხრივ ისინი ტკივილს არ გრძნობენ და, როგორც ვნახეთ, ალ. ჭავჭავაძე ბატონყმობას კიდეც ადასტურებს.

ეს მგოსნები ამ მხრივაც ერთ ნიადაგზე დგანან.

სანამ ბარათაშვილის ენას შევეხებოდეთ, ზედმეტი არ იქნება ამ მგოსანთა მსგავსების აღმოსაჩენად, კიდევ ერთ გარემოებას მივაქცია ყურადღება. როგორც ვნახეთ, ბარათაშვილი ცხოვრებას სრულებითაც არ /გაურბის და მთელის თავის არსებით მისკენ მიისწრაფის. ეს გრძნობა ახასიათებს /აგრეთვე ალ. ჭავჭავაძეს და გრ. ორბელიანსაც პირველ ხანებში-

შეგნებით სრული, გაბადრული მსწრაფლ ვამაყობდი.
ამით ვიცოცხლე. არც სიცოცხლე არ მომწყენია

ამბობს ალ. ჭავჭავაძე და ეს სრული სიმართლეა. მუდამ მოქეიფე და დიმპლიპიტოს მოტრფიალე ორბელიანზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. ეს გარემოება კიდევ ერთხელ გაფიქრებინებს, რომ ჩვენი თავადობა რუსეთის ფრთების ქვეშ თავს ხშირად მშვენივრად გრძნობდა და ახალ პირობებში ახლის ენერგიით მაგრდებოდა ცხოვრების ასპარეზზე.

კიდევ ერთი მსგავსება, გრ. ორბელიანი გალობს:

ჰე ჭაბუკო, სიხარულით დღენი შენნი განატარე,
იმხიარულე, შეექეც, ილხინე და შეიყვარე;
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქვნდეს სახე მოცინარე,
სიცოცხლითა, აწვე დასტკბი, მხიარულებს გული ვიდრე.
ნუ გგონია, სიჭაბუკე მარად იყოს განუყრელი,
ულმობელს დროს მიაქვს იგი, მასთან ყოვლი სიხარული... და სხვ.

ბარათაშვილი თითქმის სიტყვა სიტყვით იმეორებს:

ჭაბუკნო, ვიდრე ცხოვრების დღეთ დილა გინათებთ,
და სიყვარულიც გულის ჭირთაც გისიამოვნებთ,
არ დაიჩნიოთ შავის ბედის მსწრაფლნი ლაბვარნი
და შეუპოვრად წარიხოცეთ ცრემლიცა მწარნი.
აჰყევით სოფელს შეურჩენელს და მომღერალსა,
ნუ მოარიდებთ სიყმაწვილეს ტრფობისა ალსა!
სასაცილოა ბერი კაცი რომ ყმაწვილობდეს
და საბრალოა, როს ჭაბუკი ბერიკაცობდეს.

ასეთი აზრები ალ. ჭავჭავაძესაც მოეპოება.

ჩვენ შეგვეძლო კიდევ მოგვეყვანა ამ მგოსანთა მსგავსებანი, მაგ. ქალის სილამაზის გადმოცემანი—ერთნაირი სახეები და შედარებანი, მაგრამ სიტყვა ისედაც გაგვიგრძელდა.

როგორია ბარათაშვილის ენა და ხალხის რომელ ნაწილიდან არის ამოკრეფილი მისი გამოთქმა და ფორმები? თავადთა და სასულიერო წოდებიდან, ეს აშკარაზე აშკარაა: „სატრფოვ, მახსოვს თვალნი შენნი“, „ღმერთო, მამაო, მომიხილე მე შეცთომილი“, „შენნი მოთქმანნი, კაეშნის ხმანი“, „მიმქრალებული მთვარე მოწყენით ნათობს მუნ ქალსა“ და მრავალი სხვა არ არის მდაბიო ხალხის სალაპარაკო ლექსიკონი. შიგა და შიგ ბარათაშვილის ენაში გრ. ორბელიანისებურ პატეტიურობასაც აქვს ადგილი:

„ალმოხთა მნათი ალმოსავლეთს, მზეებრ ცხოველი“, „ვპოვე ტაძარი, უდაბნოდ მდგარი“, „სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად“, „ბრძოდე კავკასო, ახლო არს დღე შენის ალსასრულისა“, „დამჭროლა ქარმან სასტიკმან, თან წარმიტანა ყვავილი“ და მრავალი სხვა უსათუოდ ერთგვარი

კლასიკურ პოზით წარმოსათქმელ წინადადებებია, რომელნიც თვითეული ლექსის ტონს ქმნიან; ტონი კი მოგეხსენებათ, მუსიკის ელფერის მიმცემია.

ბარათაშვილს აქვს ნაზი ტონებიც:

ხმა საკრავისა,
ნელ ნარნარისა
სულს განახარებს
და მშვენიერის
ენა ამიშლის
გულისა ჭირებს.
....მიყვარს თვალები,
ეშხისა ცეცხლით დაქანცულები,
ვიცა პეპელა
არხევს ნელნელა
სპეტაკს შროშანას, ლამაზად ახრილს და სხვ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საერთოდ მხატვრული სახეებისა და ენის ჩაკვირვება აშკარად ჰყოფენ, რომ ეს დიდი მგოსანიც, რომელიც მსოფლიო მნიშვნელობის აზრების გამოხატვამდე მივიდა—შესანიშნავად დაგვისურათა ადამიანის ბუნება, მოგვცა ცხოვრების ბრძნული ფორმულები და გვაჩვენა ცხოვრების სიყვარული,—აი ეს დიდი გაქანების შემომქმედიც განსაზღვრული სოციალური წრის და დროის შვილი იყო; ის მშვენივრების კოშკი, რომელიც მან ააგო ქართული ხელოვნების წიაღში, განსაზღვრულ წოდების—ქართველი თავადების—მასალიდანაა აგებული.

ვახტანგ ორბელიანი (1817—1890). ეს მგოსანი თავადაზნაურული სტილის მეოთხე წარმომადგენლად უნდა ჩაითვალოს. მასთან ამ მგოსნით თავდება ამ მიმართულების წარმომადგენელთა მნიშვნელოვანი ფენის—სხვილი თავადობისა და ბიუროკრატების—ლიტერატურული შემოქმედება. ალ. ჭავჭავაძე, გრ. ორბელიანი და ბოლოს ვახტ. ორბელიანი დიდი თავადებიც არიან და იმავე დროს რუსის მთავრობის დიდი მოხელეებიც. ეს გარემოება მათ შემოქმედებას თავისებურ დაღს ასვამს. როდესაც ჩვენ ქვევით შედარებით უფრო მომცრო წოდების, გაღარიბებულ თავადების და აზნაურობის—რუსულად мелко поместное дворянство-ს წარმომადგენლებს შევეხებით, ეს გარჩევა მაშინ უფრო ნათელი იქნება.

სურათის მთლიანობას ერთი გარემოება არღვევს: მაღალ არისტოკრატებსა და დეზებით მორაჩხუნე ჯინჯილებიან ჭავჭავაძე—ორბელიანებ შორის ობლად გამოიყურება ბარათაშვილის კდემამოსილი—წვრილი მოხელის, გაღარიბებული თავადის ხატება; ეს გარემოება თითქოს არყევს ჩვენს აზრს სხვილი თავადობის შესახებ. ასეთი დასკვნა არ იქნებოდა ჯეროვანი: მართალია, ბარათაშვილი სოციალურად გამოვარდნილია ამ რგოლიდან, მაგრამ მისი ფსიქოლოგია მაინც ამ დიდ თავადებთან არის: მიისწრაფვის მათი მდგომარეობისაკენ, პატრიოტულ ნაღარას (ბრძოდე კავკასო) სცემს მათთან ერთად და მათი სულიერი ატმოსფერით იკვებება. ბარათაშვილი მათგან განირჩევა არა თვისებით, არამედ რაოდენობით: ის აზრები და შეგრძნობანი, რომელიც მის თანამედროვეთა შორის ტრიალებდენ, მან გააღრმავა, განაზოგადა და საერთო საკაცობრიო მნიშვნელობამდე მიიყვანა.

ვალაპარაკოდ ვახ. ორბელიანი:

ეროვნული ბიბლიოთეკა

დმანისო ძველო, აბა მითხარ შენგან რას ველი?
სადა ფრიალო, უნაყოფო ხარ აღმართული.
შენს სალა კლდეზე ვერ გავავლებ გუთნისა კვალსა,
ვახს არ ახარებ, რომ რთველითა გული ვიხარო,
რომ შენის ღვინით გულის ჭმუნვა, სევდა ვიჭარვო.
მაწა, დმანისო, არაფრისათვის არა ბარ სარგო.—
რათ მინდიხარ მაშ თუ ჩემთვის არა ხარ მარგი?
მაგრამ ეგ კოშკნი, ეგ ტაძარი და მამათ არე,
როსმე მაგარნი და ამაყნი, დღეს დარღვეულნი,
ჩემთ მამაპაპათ ისტორიის წმინდა რვეულნი.
მოგესალმებით მამაპაპის მაგარ სადგურო,
დიდხანს ვერ გნახე და აწ მინდა დიდხანს გიყურო!
მოგესალმები დიდ ნანგრევთა პატრონი თქვენი,
დ ი დ ი შ ე ნ ო ბ ი ს, რ ო გ ო რ ც თ ქ ვ ე ნ ა ს ა ბ რ ა ლ ო შ თ ე ნ ი.
ვსდგევარ თქვენს წინა თავმოხრილი, ფიქრით მოცული,
ვდგევარ და ფიქრში მიახლდება, რას არ წარსული.

ეს ლექსი, როგორც ერთგვარი ტონი, ვახტანგ ორბელიანის შემოქმედების მთელ მუსიკას ქმნის. სანახაობა ისეთივეა, ვით ალ. ჭავჭავაძის «გოგჩის ტბაში» და გრ. ორბელიანის „ბეთანიის ეკლესიაში", თითონ ამის მნახველი პოეტიც შესაფერ სულიერ განწყობილებაზე დგება. „დიდის შენობის, როგორც თქვენა საბრალო მშთენი,"—აი რა უწოდა მან თავის თავს. საეალალოა მისი აწმყო: ერთ დროს აყვავებული ორბელიანთა გვარის ისტორიული დმანისი, დღეს გამოუდეგარი ნანგრევებითაა დაფარული, რეალურად არაფერი სარგებლობის მოტანა არ შეუძლია; მაგრამ იდეალისტი პოეტი მაინც სიყვარულით ესალმება მას, ვინაიდან იგი მთელის თავი სარსებით, სისხლითა და ხორცით ამ ადგილთანაა დაკავშირებული, ესაა მისი სამშობლო და ძუძუს მაწოვებელი დედა. აქ წარმოიშვა მისი გვარი, ამ ადგილებში ვითარდებოდა მთელი მისი წოდება... და რაკი მოიგონებს, „რომ რაც ყოფილა წარსულა და აღარ იქნება", სევდით ევსება გული... ესაა წმინდა წყლის რომანტიკა, რომელიც თავდება შემდეგი უნუგეშო ამოძახილით:

განქრი, დმანისო, და დაინთქე უფსკრულსა შინა,
ჩემ სატანჯავად რომ არ იდგე ჩემთ თვალთა წინა.

ასეთნაირად ამოიკვნესებს სევდით გულგატეხილი პოეტი, რომელსაც სამშობლოს ძველი დიდება დალუპულად მიაჩნია... მაგრამ აწმყო მაინც საზარელია და ისევ წარსული, ისევ „ძველი ხილვანი" ალ. ჭავჭავაძესავით, მხოლოდ აქ პოვებს გული სიმშვიდეს და მალამოს.

მაგრამ გამოჩნდა ნავი დასავლით!
მორბის უშიშრად, მორბის ღვთის ძალით,
მოეშურება, მოფრინავს, მოქრის.
...აფრასა ჰბერავს ქარი, ძლიერად;
მიქროლავს, ნავი შეუპოვარად,
მიქროლავს, მირბის.—კვნესის ზღვა შავი...
კოლხიდის კლდეს მიფრინდა ნავი.
ნავით გადმოხდა უცხო ვინმე, ვით მოჩვენება,

არის ასული, მაგრამ არის სიზმარ-ზმანება.
...წმინდა ასული, წმინდა ნინო ცამ მოგვივლინა,
ქრისტეს ნათელი, ქრისტეს სვიფი მან შენ მოგფინა...

ქრისტიანობამ საქართველო განაახლა სულიერად და მატერიალურად:

დიდთა შენობათ მოლად მოიცვეს მთანი და ბარნი,
აშენდნენ, აღდგნენ დიდებულად წმინდა ტაძარნი;
ელინთა სწავლის, განათლების წყარო ნათელი
შემოიღვარა და განათდა გონება ბნელი...
მაგრამ რად გვინდა მის ამბავი, რაც არს არღარა?
რაც თვალთ წინა გვაქვს, გულსაკლავად ისიცა კმარა!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ისევ ალ. ჭ—ძისა და გრ. ორბელიანისებური ხაზები:

დიდნი პალატნი, დიდნი ტაძარნი
სადღა არიან? აღარ არიან,
მათ დიდთ შენობათ დიდნი ნანგრევნი
ჩვენ თვალწინ პირქვე ტიელად ჰყრიან.

აი მეორე სათაყვანო ხილვა წარსულიდან:

იყო ობოლი, სიობლეში აღმოიზარდა,
იმ ობლისათვის ამ ქვეყანას არვინ ზრუნავდა.

მთელი საქართველოს დიდება შეიქნა ეს ობოლი:

მაშინ აღმოჩნდენ იგი ლექსნი მის მაღლის სულით,
ლექსნი დამწველნი, ლექსნი ტკბილნი, სავსენი სიბრძნით,
მოკამკამენი წყაროს წყალნი, ცით ნაპერწკალნი,
ალმას ზურმუხტნი, მარგალიტნი, უფასო თვალნი.

ეს ლექსები შეიქნა ქართველი ხალხის გამაერთიანებელი და შემადუღებელი კულტურული დუღაბი, ამ ობლის შემოქმედებამ დაიხსნა დალუპვისაგან საქართველო:

და თუ აქამდის არ დაბნელდა ჩვენი გონება,
და თუ სწავლისთვის, სამშობლოსთვის კვლავადვე დგება,
და თუ აქამდის არ დავკარგეთ სითბო გულისა,
იგია მადლი იმ ნათელის წმინდის ლამპრისა.

ვინ იყო ეს დიდებული ობოლი?

ის იყო შოთა, დიდი შოთა რუსთაველი!

გელათის ეკლესიის ნახვა პოეტის არსებაში მძლავრად აჩქეფებს ისტორიული ლირიკის ტალღებს:

აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლო, ვდგევარ ლიტონი,
მარტოც ვარ თქვენი მბრძანებელი, თქვენი პატრონი
აქ დაბლა მე ვარ მის მოწამე და იქ მაღლა—ცა,
როგორ ამაღლდა საქართველო, როგორც დაეცა,

ასე ამეტყველებს ვახტ. ორბელიანი გელათის კედლებს.

ვახტანგ ორბელიანი უკვე 35 წლის იყო სალიტერატურო ასპარეზზე რომ გამოვიდა, პირველი მისი ლექსი 1857 წლის „ცისკრის“ № 1 დაიბეჭდა, მთელი ოცი წლის განმავლობაში მან მხოლოდ ოთხი ლექსი დასწერა, ინტენსიური მისი შემოქმედება იწყება ოთხმოციან წლებში, სახელდობრ 1879 წლიდან და თავდება 1890 წელს. ამ ხანებში უკვე გამორკვეული და ჩამოყალიბებული იყო ქართული ნაციონალური იდეა, ჩვენი ბუმბერაზები: ილია, აკაკი, ყაზბეგი ამ

წლებში უკვე მოვლებულნი იყვნენ ეროვნული გოდების მწვერვალებს. ვახტ-ორბელიანის მუზაც საერთო ლიტერატურულ-გონებრივ ატმოსფერის გავლენის ქვეშ ფართო ეროვნული გოდების ხასიათს იღებს. მისი ლექსის „ძველი დმანისის“ (დაწერილია 1866 წ.) იდეა თანდათან ფრთას შლის და კონკრეტ სახეებს იღებს. ვახტანგ ორბელიანი აქტიური მონაწილე იყო 1832 წლის შეთქმულებისა, რისთვისაც ციხე და ოთხის წლით სამშობლოდან განდევნა. [illegible] სამშობლოში დაბრუნებული, მართალია, მსგავსად ალ. ჭავჭავაძისა და გრ. ორბელიანისა დიდათ ემსახურება მთავრობას—გენერლის ჩინს მიიღებს, მაგრამ „რაც ერთხელ ცხოვლად სულ დააჩნდების, საშვილიშვილოდ გადაეცემის“: ვახტანგი მუდამ სამშობლოს ბედზე ფიქრობს, თანაც მისი საფიქრალი ადგილი თავად-აზნაურული კოშკია, აქედან იშლება მისი აზროვნება და გრძნობა.

პოეტის ფანტაზიას მოსვენებას არ აძლევს სახელგანთქმულ მამასთან ერთად ხმლით მებრძოლი ღვიძლი დედის თეკლე ბატონიშვილის—ერეკლეს ქალი—გმირული, აჩრდილი და თავისივე პაპის—ერეკლე მეფის შარავანდედით მოცული პიროვნება. მოაზროვნე მგოსნისათვის ერეკლე მეფე უდიდესი ორგანიზატორია ქართველი ტომების:

მამულისათვის ძრწის...
დღე და ღამ იბრძვის
იცის, რაცა სძევს მამულის ვალი:
ებრძვის ქრისტეს მტერს,
წინ უდგას თვის ერს,
ოთხკუთხივ აწვდის მკვირცხლს მაგარ მკლავსა.
ებრძვის დალესტანს,
ებრძვის აზატხანს,—
ზედ ევფრატზედა დგას და გზას იჭერს,—
ოსმალებს მარჯვნივ,
სპარსელებს მარცხნივ...
ალტაცებით მას ევროპა უმზერს.
მაგრამ გაჭირდა:
ივერსა სცდიდა
ისტორიული თვის ეტლი ბნელი

და ერეკლეც იძულებული შეიქნა რუსეთთან დამეგობრების პოლიტიკისათვის მიემართა. ეს აკტი ვახ. ორბელიანს ნ. ბარათაშვილივით ესმის და—

გადაგვარჩინა...
რას იტყვის ენა?
ჰკითხეთ მშვენიერ ალაზნის ველსა,
არეზის კიდეთ,
ეფრატსა ჰკითხეთ
და ქართლში გორის ციხეს მაღალსა.

ამნაირად, ზევით განხილულ მგოსნებთან რომ ვ. ორ—ლიანს მჭიდრო კავშირი აქვს, ეს აშკარაა. მართალია, რუსეთთან შეერთებით საქართველო გადარჩა, მაგრამ სამშობლოს დღევანდელი მდგომარეობა მაინც სევდასა და სასოწარკვეთილებას ჰგვრის პოეტს:

მითხარი ერთი:
თუ დაბადება სამყაროსი იყო მის (ღვთის) ნება,
და თუ ეს აზრი არ არის შტერთა
და ცრუ ზმანება,
თუ ქვეყნისა წესი მისგან მოენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,
მაშ საქართველო ასე მწარედ
რისთვის დაემბო?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს უკანასკნელი სიტყვები ძლიერათაა ნათქვამი, თანაც პოეტი თითქოს წინააღმდეგობაში ვარდება: თუ ერეკლემ „გადაგვარჩინა", ეს „დამხობა" რა შუაშია? პოეტის აზრით ეს ჩვეულებრივი ახალი უბედურებაა „ივერიის ბედის" რომელიც გამუდმებულ უბედურებათა და ომების შემდეგ რუსეთის ფარგლებში მშვიდობიან პირობებში მოყვა.

გაჩუმდა ნალარის ხმა, შეწყდენ სისხლის ღვარები...
ველოდი: შამათ დიდს ღვაწლს ძენი დაასრულებენ,
შრომის, ძმობის, ერთობის, სწავლას დააარსებენ,
მუშაობით, ოფლის ღვრით დანგრეულს აღმიდგენენ...
ამის ნაცვლად რა ვნახე? შრომის წილ ზარმაცობა,
სწავლის წილ სმა და ძილი, ძმობის წილ—დავა—მტრობა!
...ამ ძუძუთი გაზრდილნი ნაჭერ-ნაჭერ მყიდიან—და სხვ.

ამ სიტყვებით ვახტ. ორბელიანი ილია ჭავჭავაძეს გამოეკამათა ლექსის „ჩემო კარგო ქვეყანას" გამო. ამ კამათში გამოსჩანს ორბელიანის დაკვირვებული თვალი და ქვეყნის ჭირ-ვარამის მცოდნე მგოსანი, რომელსაც ვერც წარსულზე ფიქრი მოუშორებია თავიდან და აწმყოც გულს უკლავს. ვახტანგ ორბელიანის რომანტიულ ჩადრში გახვეულ სახეებში აწმყოს სახეებიც იჭრება თავისი რეალობით, სწორეთ ისე, როგორც ეს ვნახეთ გრიგოლ ორბელიანის შემოქმედებაში—მუშა ბოქულაძის გამოჭანდაკებით. მართალია, მუშა ბოქულაძე საკმაოდ თვინიერი არსებაა, მის წინ აღმართულ მდიდარს, რომლის წყალობით იგი, ბოქულაძე—„კაცთა შორის კაცად არ მიჩნეულია", სრულებითაც არ უნდა ამ-ქვეყნად შეებრძოლოს და საიქიოს უპირებს ანგარიშის მოთხოვნას,—დიახ, ასეთ ნაირად მოშინაურებული მუშის სახე მოგვცა გრ. ორბელიანმა,—მაგრამ მაინც აშკარაა, რომ მათ შორის ხიდი უკვე ჩატეხილია და ეს ახალი დროის ადამიანი დღეს თუ არა ხვალ თავის სიტყვას იტყვის და ორბელიანების მაგიერ ის ჩაუდგება ცხოვრებას სათავეში.

ვახტანგ ორბელიანმაც ბევრი იოცნება წარსულზე: შოთა, თამარი, ირაკლი, დმანისი, გელათი, კოლხეთი და მრავალი სხვა სანახაობანი მომხიბლავად გაივლიან მისი თვალების წინ, მაგრამ სინამდვილე მისთვისაც არსებობს და იძულებულია ქედი მოიხაროს მის წინაშე. მისთვის აშკარაა, რომ კლასიკური საქართველო ასპარეზს შორდება და მის ადგილს იჭერს პოეტის „უმცროსი ძმები" და სამშობლოს „უმცროსი ძენი"—გლეხები.

ვფიქრობ, რომ თქმულიდან სრულიად აშკარაა ამ ოთხ მგოსანთა ერთმანეთის მსგავსება შემოქმედების სფეროში. უკანასკნელად შევეხოთ ვახტ. ორბელიანის ენას მისი სოციოლოგიური საფუძვლების ნათელსაყოფად.

ვახტ. ორბელიანის ენა განხილულ მწერლებთან შედარებით მსუბუქი და დახვეწილია. უპირველეს ყოვლისა ეს გარემოება აიხსნება იმ ევოლიუციით, რომელიც განიცადა ქართულმა სალიტერატურო ენამ ალ. ჭავჭავაძიდან 80 წლებამდე. ალ. ჭავჭავაძის, ნ. ბარათაშვილის და ნაწილობრივ გრ. ორბელიანის დროს ქართული მწერლობა, როგორც ასეთი, არც არსებობდა; არ იყო წიგნების ბეჭდვა, პრესა, ერთ მწერალს არ შეეძლო ენის მხრივ გავლენა მოეხდინა მეორეზე, ყველა თავისთვის სწერდა და უმეტესად საკუთარ თავს ეყრდნობოდა; არც ალ. ჭავჭავაძეს და არც ნ. ბარათაშვილს თავიანთი ლექსების დაბეჭდვა არ ღირსებიათ, ისინი ხელნაწერად და ზეპირ სიტყვაობით ვრცელდებოდენ საზოგადოებაში. ეს მდგომარეობა რამოდენიმეთ გამოსწორდა 50—60 წლებში— გ. ერისთავის „ცისკარის" და ი. ჭავჭავაძის „საქართველოს მოამბის" დაარსებით. ამავე წლებში ჩვენი მწერლები რიცხვობრივადაც მრავლდებიან და თანაც ჩვენს ლიტერატურას ევლინებიან მსუბუქი ხალხური ენით გ. ერისთავი, აკაკი, ილია და სხვები. ყოვლად შეუძლებელი იყო, რომ ვახტანგ ორბელიანის ენაზე ყოველივე ამას შესაფერი გავლენა არ მოეხდინა,—ამიტომაცაა, რომ მისი ლექსების ენა ძალიან განირჩევა ალ. ჭ—ძის და სხვების ენისაგან და ხშირად აკაკისებურ დახვეწილობამდეც კი მიდის.

მაგრამ ვახტ. ორბელიანის ლექსების საერთო ტონი მაინც აწეულია და მისი მუზის პოზა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ძალიან ახლო დგას გრ. ორბელიანის ცრუკლასიკურ პოზასთან.

მე არ მიყვარს კილო მუხამბაზისა,
კინტოთ კილო, კილო შუაბაზრისა;
იმ კილოთი რა იმღერო პოეტო!
თუ არ ღვინო, ტოლუმბაში და კინტო
მათ დუდუკი, დიმპლიპიტო და ზურნა,
მათ უაზრო ლაზღანდრობა, ყიყინა?
მე არ მიყვარს სურათები ამგვარი,
მუხამბაზით სხვას რას იტყვი მითხარი?

მუხამბაზურად—ე. ი. უბრალოდ ლექსების გამოთქმა ვახტ. ორბელიანს არ მოსწონს, ეს არ შეეფერება მის გემოვნებას.

მე მომეცი კილო რუსთაველისა,
გაფურჩქვნილი, ვით ყვავილი ველისა,
მოკამკამე, როგორც წყარო მკინარი,
ვით მდინარე, მშვენივრად მომდინარი,

ეს კილო უყვარს მგოსანს და პოეტსაც ურჩევს:

იმ კილოთი გვაჩვენე სხვა სურათნი...
...დაგვანახვე ასულნი მშვენიერი,
სახეს უჩნდეს გულის ჭმუნვა ძლიერი...
...შილლერისას ჰგვანდეს ამალიასა,
ან შექსპირის ციურს ოფელიასა...

ასეთია პოეტის რომანტიული სულის მისწრაფება, მაგრამ ამავე პოეტის სიმპატიურ პიროვნებას გარდა მშვენიერი ქალებისა არ ავიწყდება ის ახალი ძალაც, რომელიც მაშინდელ ქართულ სინამდვილეს ეპატრონებოდა და რომლის სახე მწერლობაშიც შეიჭრა. ორბელიანი პოეტს ურჩევს:

შეგვიყვანე გლეხის კაცის სახლშია,
იმათ ბალში და იმათ ვენახშია;
დაგვანახვე რით სწუხს, რით ხარობს გლეხი;
ჩარჩებს დაეც რისხვა ღვთისა და მეხი!

პოეტი სრულიად მართალია, როდესაც უარყოფს კინტურ ყველას და ვულგარობას, მაგრამ ავიწყდება, რომ ახალ მასალას და ახალ მდგომარეობას ფორმაც—სიტყვიერი მასალაც, ახალი უნდა. პოეტი მაშინ შესძლებს გლეხის გულის სისწორით გადაშლას, როდესაც იგი თითონ გლეხს ალაპარაკებს მისივე ენით და არა მის ყოფა-ცხოვრებას ასწერს გარეგნულად და მის მაგიერაც თითონ არ ილაპარაკებს „რუსთაველის კილოთი“.

როგორც ვნახეთ, ვახტ. ორბელიანს გლეხი უყვარს და მისთვის კეთილი სურს, მაგრამ ისიც აშკარა, რომ ეს სიყვარული ჰუმანიურად განწყობილი „უფროსი ძმისაა“—ბატონისაგან გამომდინარეობს, ეს ბატონური საჭვრეტი სარკმელი არასოდეს არ დაუგდია ვ. ორბელიანს და ენობრივ მასალასაც უმთავრესად ამ წრიდან იღებდა, მაგრამ მის მისწრაფებათა შედარებითმა გადემოკრატებამ, უეჭველია, რომ მის სტილსაც დემოკრატიული ელფერი მისცა.

უსათუოდ კლასიკური პათეთიურობის ჩრდილი გადაჰკრავს შემდეგ თქვებს:

არის ადგილი, მის შვენებას ვერ აღწერს ხელი..
... ძმანო იმერნო, ვით ჩვენ ივერნო...
...ძველო ქვეყანავ, კოლხიდავ მითხარ!..
...ალარ მეღირსა, ჩვენო კახეთო,
რომ გომბორის მთით შენს შვენებას ყველაე გადმოვხედო...
...ჩვენს მიწა მამულს,
მტრისგან წამებულს,
ცამ მოუვლინა მეფე ირაკლი... და სხვ.

ამნაირად ვ. ორბელიანის საზროვნო სახეები, იდეოლოგიის მთავარი მიმართულება და ენობრივი მასალა სრულიად ენათესაეება ალ. ჭავჭავაძეს, გრ. ორბელიანს და ნ. ბარათაშვილს. ჩვენი ლიტერატურის თავადაზნაურული სტილი, უკვე ჩამოსხმული და გამოკვეთილი სჩანს. ვნახოთ რა ელფერს იღებს ეს სტილი 60 წლებიდან, როდესაც ჩვენს ლიტერატურაში ფეხს იკიდებს და ბატონდება ფეოდალური წოდების შედარებით დაბალი სოციალური ფენა—გალარიბებული თავად-აზნაურობა და თანაც ახალ სოციალურ ურთიერთობას—წვრილ-ბურჟუაზიულს—იერიშები იერიშებზე მიაქვს ფეოდალურ კოშკებზე და ხოდაბუნებზე.

(შემდეგი იქნება).

გრიგოლ რობაქიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პისპატორის თეატრი

ეს თეატრი თავის თავზე ასე ლაპარაკობს:

ჩვენი თეატრი არ არის დაარსებული, რომ პოლიტიკა ატაროს. პირიქით: მისი მიზანია—პოლიტიკისაგან განთავისუფლოს ხელოვნება. ჩვენ არ ვემხრობით მათ, ვისაც ჰგონია, თითქო ამ თეატრმა პოლიტიკა რეპერტუარზე გადაიტანა მარტოდ-მარტო როგორც საინტერესო გამდიდრება თავის დრამატიკის. ჩვენ არც იმათ აზრს ვიზიარებთ, რომელნიც ფიქრობენ, რომ დღევანდელ თეატრში წმინდა ხელოვნება მოსალოდნელია.

პოლიტიკის შეჭრა კულტურაში, ხელოვნებაში, მეცნიერებაში დამახასიათებელია იმ მძიმე კრიზისისა, რომელშიაც ჩავარდენ ხალხთა ურთიერთობანი 1914 წლიდან. ეს ურთიერთობანი ძველ სულიერ და ეკონომიურ ტრადიციებზე იყვენ დამყარებულნი. მსოფლიო ომმა და ევროპის ბანკროტობამ მათ ნიადაგი გამოაცალეს და ნამსხვრევებად აქციეს. ბუნებურ ყოფის მაგიერ თანადროულობა იძლევა „საარსებო-მინიმუმს", სოციალურ გაკავშირების ალაგს—„სარეგისტრო სალაროს". ამისათვის იგი იძულებულია, ყოველი ინსტიტუტი, სულიერი თუ ხელოვნური, პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაითრიოს. ეხლა შეუძლებელია უკვე, სცენიდან ისეთი სიტყვა წარმოითქვას, რომელიც არ დაყოფდეს მაყურებელთ სხვადასხვა ბანაკებად. პოლიტიკაა სწორედ, რომელმაც თეატრი ასე დააყენა.

ხელოვნების განთავისუფლება ამ მდგომარეობიდან შესაძლებელი გახდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ხელოვნება არ მოერიდება, თანადროულ სოციალური ყოფის წინააღმდეგ ბრძოლა გამოაცხადოს.

ჩვენი თეატრი მხოლოდ ამ მიზნით არის დაარსებული. ჩვენ გვინდა ვძლიოთ თანადროული სოციალური ყოფა, ჩვენ გვინდა ამით ვძლიოთ პოლიტიკა.

თავის საკუთარი ძალებით თეატრი ვერ შესძლებს ეს განთავისუფლება გაიყვანოს, მხოლოდ სოციალური გარდაქმნა, რომელიც დაამკვიდრებს თავისუფალ ყოფას, შესძლებს მისცეს თეატრს ნამდვილი სახე. სწორედ ხელოვნებისათვის აგზნებულ ადამიანისათვის არის სავალო, თანამეომარი გამოვიდეს იმ სოციალური ყოფის დამკვიდრებისათვის, საცა ხელოვნება საყვლეფი საგანი აღარ იქნება, საცა ხელოვნება არ იქნება გამოყენებული იმ მიზნებისათვის, რომლებიც მის გარეშე დგანან, საცა იგი აღარ გამოვა პოლიტიკურ იარაღად.

წმინდა ხელოვნება ეხლახან შეუძლებელია. მაგრამ ხელოვნება, რომელიც შეგნებულად დაისახავს პოლიტიკურ საქმელს, იქნება, რამდენაც იგი უკომპრომისოდ გააატარებს ამას, ერთად-ერთი შესაძლო ხელოვნება და ამდენადვე წმინდა ხელოვნება.

ეს არის იდეოლოგიური გეზი პისკატორის თეატრის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—

დღევანდელ ევროპაში თეატრს მართლაც არ აქვს ორგანიული ყოფა. ანტიურ ტრაგედიებს აქ ნიადაგი არ აქვთ: ევროპაში მკვდარია „მითოს". იქ ალარ აქვს ძირი არც შექსპირს და არც ლოპე-დე-ვეგას. მართალია, ჯერჯერობით კიდევ იდგმება ევროპაში ანტიური ტრაგედიაც, შექსპირიც, გოლდონიც, გოციც, მაგრამ ამ დადგმებს არ აქვთ ხასიათი შინაგანი აუცილებლობის. ყოველი ასეთი დადგმა რუდიმენტის ნიშანს ატარებს.

სულს ღაფავს მეშჩანური დრამაც. კვდება საფრანგეთის ადიულტერის სამკუთხიც—ცოლი, ქმარი, კურო,—ცოლი, ქმარი, ხასა,—რომლის კომბინაციამ, ერთი მოცლილი კაცის გამოანგარიშებით, 33-ს ვერ გადააცილა. დღეს ევროპაში თეატრის ალაგს არის „რევჯუ" (მიმოხილვა), ან უკეთ, „რევჯუ" არის ორგანიული ფორმა თანადროულ ევროპიულ თეატრის, ამ განხრის სოციალური მიზეზი მეტად ღრმაა და ცალკე საგანიცაა განხილვის.

აქ საკმაოა ითქვას: კლასებად დაყოფილ ევროპაში ორგანიულობა შეუძლებელია. ამერიკანულ მექანიზაციამ ეს არა-ორგანიულობა კიდევ უფრო გაამახვილა და გააღრმავა. დღევანდელ ევროპიელისათვის („შუათანასთვის") საინტერესოა მხოლოდ ის, რაც ხდება „დღეს": ბოკსი, სპორტი, დოლი, კინო-„ეტუალი", ავტოს ახალი ფორმა, ბირჟის ციებ-ცხელება და სხვა. ყველაფერი ეს გადადის სცენაზე. გაზეთის ქრონიკა თეატრში სახიერდება და იქმის „რევჯუ". „შუათანას" აინტერესებს მაგალითად ახალი „პა" ჩარლსტონის (ახლანდელი ცეკვის). იგი მიდის თეატრში და ნახულობს ამ „პას". ამით იგი უკვე დაკმაყოფილებულია. ასევე—მოდაც, ასევე—სხვა რამეც. „რევჯუში" ნახულობს „შუათანა" ახალ ჩაცმულობას, რომელიც ჩაუცმელობაა უფრო. იგი ხედავს ლამაზ ქალებს, ან უკეთ, ლამაზ ტანებს, ან კიდევ უკეთ, ლამაზ ფეხებს და ლამაზ მუხლებს. ესაა მისთვის „სანახაობა" და სანახაობის როლს ყველაზე უკეთ „რევჯუ" ასრულებს. რაც ძველად იყო „მითოს", ის ეხლა ევროპაში არის „რევჯუ".

ორი მაგალითი.

—

პირველი. რომანში შეიჭრა ავანტიურული ელემენტი. ავანტიურას ვერც თეატრი ასცდა: შარშან მაქს რაინხარდტის თეატრში დასდგეს „ჯადოსანი". რამოდენიმე მოქმედების განმავლობაში მაყურებელი ეძებს რამოდენიმე მსახიობში ამ „ჯმდოსანს" და ვერ პოულობს. ნერვები დაჭიმულია—და მაყურებელსაც ეს უნდა (კიდევ უფრო თეატრს). წარმოდგენის დროს „გამოცნობაც" იმართება: მაყურებელნი, ანტრაქტისას, ყუთში ჭყრიან ფურცლებს (საცა ანიშნულია, თუ რომელია „ჯადოსანი"). ფურცლებს კითხულობენ. კიდევ დაჭიმულობა და კიდევ დაძაბვა.

მეორე მაგალითი.

შარშან „ლესსინგის თეატრში“ დადგეს „ჰაინრიხ მეოთხე“. ერთი სცენა ასეა გაკეთებული, არის გაწყობილი სარეცელი. სარეცელზე ქალი წევს. ქალთან კაცი მიდის. მაყურებელი გაოცებულია: ინტიმურობა ახლია. კაცსა და ქალს შორის უნდა მოხდეს ის, რაც ბუნებით არის განწესებული და რის მოწმე სხვა არავინ უნდა იყოს, გარდა კაცისა და ქალისა, მაგრამ [illegible] ათასია მოწმე. დაჭიმულობა იზრდება (ზოგს ნერწყვიც მოდის). ეს ერთი. მეორე მხარე: კაცი ვერ ახერხებს განზრახულს. რათა? რეჟისორი აქაც უხვია, კაცს დიდი ფაშვი აქვს: მიგორდება თუ არა ქალთან სარეცელზე ვერ ხტება და უკანვე გორდება, ზალაში სიცილია და ხითხითი. პორნოგრაფია უეცრად იუმორესკის ხაზით გადაიჭრა.

ეს მაგალითები საკმარისია.

—

ცხადია, ასეთ თეატრალურ არეში ერვინ პისკატორის თეატრი გამონაკლისია.

მართალია, მის თეატრშიაც „ქრონიკაა“ უფრო. მაგრამ აქ „ქრონიკას“ სოციალური ფასეულობა აქვს. აქ „ქრონიკა“ სანახაობა კი არ არის მარტო. იგი ქმედებაცაა. ამაშია გარჩევა.

პისკატორისათვის არ არის საჭირო „დრამა“ დრამატურგიის ჩვეული წესებით იყოს დაწერილი. საკმაოა მისთვის ამბების ჩამოთვლაც (რასაკვირველია, „ჩამოთვლა“ გულისხმიერი). მაგალითი. Hoppla, Wir Ceben!“—ერნსტ ტოლლერის პიესა ქრონიკაა უბრალო. ქრონიკა რევოლიუციონური, ამბავი იწყება მსოფლიო ომის ბოლო ხანიდან და გრძელდება დღემდე. აქ არის: ტანკები, თავჩაქინდრული მეომრები, გენერლები, ჯარისკაცები, რევოლიუციის აფეთქებანი, დემონსტრაციები, მანიფესტაციები, საბჭოთა ქვეყანა, არჩევნები, აგენტები საიდუმლო პოლიციის, კაფეები, რესტორანები, დეპუტატები, საპატიმროები და მრავალი სხვა. რა არ არის აქ? აქ ის განცხადებაც არის, რომ ერნსტ ტოლლერის დამჭერს მისცემენ 10.000 მარკას. და ასეთი მრავალი.

როგორ ასახიერებს ამას პისკატორი?

იგი იყენებს კინოს. პირველი. ყველაფერი ის, რაც სცენაზე არ შეიძლება მატერიულად გაიშალოს (ტანკები, დემონსტრაციები და სხვა), ამას ამცნევს ეკრანი. მეორე, ჩვეულებრივი დრამა დაყოფილია აქტებად, აქტსა და აქტს შორის რაც მოხდა, ის ნაგულისხმევია დრამაში. პისკატორს ეს „ნაგულისხმევიც“ გამოჰყავს სცენაზე: იმავ ეკრანის საშვალებით. ამ ხერხით დრამატურგიული კონსტრუქციაც იცვლება: უახლოვდება ეპიურს. დრამა ხშირად იქიდან იწყება, რაიც რომანის შუაგულია. ეს არის გამოწვეული სცენის ტეხნიკური შესაძლოების განსაზღვრულობით. კინო არღვევს ამ განსაზღვრულობას და ჰქმნის უსაზღვრო არეს. ეს „უსაზღვრო არე“ პისკატორის სცენაზე ეკრანით გადადის. მესამე. დრამაში ხშირად „მოჩვენება“ გამოდის (მაგალითად, მამა, „ჰამლეტში“). რა საშვალებას არ მიმართავდენ აქამდე ასეთ „მოჩვენების“ გამოსაყვანად?! ყველა

უვარგისი იყო. პისკატორს „მოჩვენება“ ეკრანით გამოჰყავს—(ასახვა ხდება რეალური ადამიანის სცენის გარე, ეკრანს „ასარკული“ სცენაზე გადააქვს). ამით იზრდება საოცრება რეალური ადამიანის და მოჩვენებულის შეხვედრისა: თეატრალური გზნება უაღრესად მახვილდება.

კინოს საშვალებით ისპობა ჩვეული დაყოფა პიესის აქტებად. პიესა მიდის ერთი შესვენებით—(მხოლოდ შესვენებით: ეს რომ არ იყოს საჭირო, პიესა უწყვეტლივ წავიდოდა).

—

ხოლო ეს—კინოს არეში, რამდენად იგი შეჭრილია სცენაში. მაგრამ კინოს არეს გარდა, ხომ არის კიდევ სხვა არე?! აქ პისკატორი ასეთ ხერხს მიმართავს. სცენა წარმოადგენს მრავალ ოთახს და რამოდენიმე სართულს: წარმოადგენს „ერთბაშად“. ამით აცილებულია თავიდან სცენის ნივთიერი გაფორმების ცვლა. ამ სართულებში და ამ ოთახებში ყველა ის სივრცეებია მოცემული, რომელიც კი საჭიროა პიესაში (რესტორანი, საპატიმრო და სხვა). ეს ერთი. მეორე. სცენაზე თქვენ ხედავთ სივრცეებს, სხვადასხვა ალაგას ნაგულისხმებს: ხედავთ „ერთდროულად“. ესეც ამახვილებს თეატრალურ გზნებას. მაგალითი. ჩვეულ სცენაზე, როცა ტელეფონით ლაპარაკობს მსახიობი, მოპასუხე სხვაგანაა (სცენის გარეა სადღაც) და მას ვერ ხედავთ. პისკატორის სცენაზე კი თქვენ ორივეს ხედავთ (ორივე აქვეა, სცენაზე, მხოლოდ სხვადასხვა სართულებში თუ ოთახებში).

—

ასეთი გაფორმებით მოგებულია დრო (წარმოდგენა დიდხანს არ გრძელდება, ანტრაქტი ერთია), მოგებულია მსახიობი (სცენის გაფორმება მხოლოდ „ქარაგმაა ნივთიერი, სცენა არ არის დამძიმებული. არც ხატული და არც შენებული დეკორაციებით: ეს კი ნამდვილ არტისტს მეტ გასაქანს აძლევს), მოგებულია მაყურებელი (რადგან ეს ყველაფერი მისთვისაა გაწეული), მოგებულია თეატრი (ცოტაა დადგმაზე დახარჯული), მოგებულია ავტორი (ლიტერატურულად სუსტი ნაწარმოებიც კი თეატრალურად აქ მაგარი გამოდის).

—

ეფფექტის მხრით ერთი მაგალითი.

ტოლლერის პიესაში ორი რევოლიუციონერია გამოყვანილი. ერთი მიდის მარჯვნით, მეორე მარცხნით, ერთი დეპუტატად გახდება, მეორე მოხვდება საგიუეთში და საპატიმროში. რამოდენიმე წლის შემდეგ მემარცხენე ხვდება მემარჯვენეს. იმართება ომი. არჩევნების დროს „მესამეც“ მუშაობს (ეს ყოფილი არისტოკრატია). მას უნდა დეპუტატის სავარძელი, და ერთ სტუდენტს აგულიანებს, მოჰკლას კანდიდატი (მემარცენეს ყოფილი ამხანაგი). კანდიდატი რესტორანში ქეიფობს. „ლაქიად“ მემარცხენეა. წალაპარაკდებიან. „ლაქია“ შეუტევს: რევოლვერს იღებს. ამ დროს, მოგზავნილი სტუდენტი ჰკლავს კანდიდატს.

სტუდენტი მიიმალება. „ლაქიას“ დაიჭერენ: მას ამოაჩნდა ლევორვერი. ისევ საპყრობილე. საპატიმროში სხვებიც არიან, რევოლიუციონერები. კამერებიდან ერთი-მეორეს ელაპარაკებიან შიფრიანი რაკუნით—(სცენაზე ამ დროს ტილოა, საცა ეკრანი რაკუნს ასოებათ სჭრის: მაყურებელი ჰგებულობს ლაპარაკს). რაკუნი ისმის. სცენაზე საშიშროებაა: ადამიანს ვერ ხედავთ (გარდა „ლაქიისა“) და საუბარი გესმით, საშიშროება მატულობს: გამწარებული „ლაქია“ თავს ჩამოიხრჩობს. რაკუნი მატულობს: სად არის, რად არ ეხმაურება, რა დაემართა?! ეკრანი რაკუნის გულის-ცემას დაკლაკნილი ასოებით სჭრის ტილოზე: მორბიან ასოები, ზოგი პატარა, ზოგი დიდი, რიგი ჩაზნექილი, რიგი ჩაწყვეტილი, ხან დაგრეხილი, ხან დატეხილი—ყველაფერი ეს შეშფოთების გადმოსაცემად. მაგრამ სცენაზე სიკვდილია: პასუხი არაა. ამით თავდება პიესა. აქ ეფექტი მართლაც ტრაგიულია უაღრესად, და ტრაგიულობა განსახიერებულია ამ სრულიად უბრალო ხერხებით.

—

ერვინ პისკატორ ახალგაზდაა (30 წლის თუ იქნება). მისგან ბევრს მოელიან.

—

ამ თეატრთან შემოკრებილია ბერლინის მემარცხენე ინტელიგენცია. აქ იმართება „დილები“ რომელიმე გამოჩენილ ინტელიგენტის სახელის გარშემო. ასეთი „დილა“ გაიმართა გასული წლის ოქტომბერში ცნობილ თეატრალურ კრიტიკოსის და ესსაისტის ალფრედ კერრის ღვაწლის ასანიშნავად. ალფრედ კერრ დიდი თაყვანისმცემელია რუსეთის ლიტერატურისა და რუსეთის კინოსი.

ბიბლიოგრაფია

ეროვნული ბიბლიოთეკა

გრ. ორბელიანი—ლექსები. ტფილისი, 1928 წ. გამომცემლობა „ქართული წიგნი“, გვ. 195, ფასი 1 მ. 50 კ. ვახტანგ კოტეტიშვილის რედაქციით, შენიშვნებით და კრიტიკული წერილით.

„ქართული წიგნი“ კულტურულ საქმეს აკეთებს, გამომცემლობამ უკვე გამოსცა ილია ჭავჭავაძის თხზულებათა რვა ტომი, ახლო მომავალში გამოცემულ იქნება ალ. ჭავჭავაძე, ნ. ბარათაშვილი, საბა სულხან-ორბელიანი და სხვ. გრ. ორბელიანის ლექსების სრული კრებულის გამოცემით გამომცემლობამ უსათუოდ კარგი საქმე გააკეთა, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ ამ მგოსნის შემოქმედების შესწავლაში თუნდაც ერთი ნაბიჯი გადადგმულიყოს წინ: ვ. კოტეტიშვილის კრიტიკული განხილვა ამ მხრივ არაფერ სანუგეშოს არ იძლევა, იგი მხოლოდ იმას იმეორებს, რაც დიდიხანია ვიცით ა. ხახანაშვილისა და კიტა აბაშიძისაგან.

ვ. კოტეტიშვილის აზრით გრ. ორბელიანის შემოქმედება გაორებულია, „ორბელიანი გაბზარული საბით გამოიყურება“ და სხვ. პოეტს, თურმე არ ქონია პოლიტიკური სიმწიფე და იმიტომ ესწრაფებოდა კარიერას და რუსეთის დესპოტებსაც ლექსებს ამიტომ უძღვნიდა. თუ კოტეტიშვილს დავუჯერებთ, პუშკინიც, ლერმონტოვიც და რილეევიც პოლიტიკური ბალღები ყოფილან და არც ერთ მათგანს არ სცოდნია პოლიტიკაში მარჯვენა-მარცხენა ხელის გარჩევა. ყველა ამათ, თურმე, „აღარ იცოდენ რა ექნათ. ნამდვილი რევოლიუციონერობისათვის არც ნიადაგი ჰქონდათ და არც მსოფლმხედველობა“. ორბელიანის შემოქმედებაში კრიტიკოსი ორ მომენტს ხედავს: პროგრესიულს და რეგრესიულს, ერთ ადგილას დემოკრატის სახელიც კი მიაწერა.

ჩვენის აზრით არც ერთი ეს დებულება მისაღები არ არის და კოტეტიშვილის კრიტიკული წერილი თავიდან-ბოლომდე უარსაყოფია. გრ. ორბელიანის ასეთნაირად შეფასება წმინდა წყლის იდეალიზმია და არაფერი საერთო არა აქვს მეცნიერულ ლიტერატურათ-მცოდნეობასთან.

კოტეტიშვილი თითქო ისტორიულ გარემოში იხილავს ორბელიანს, მაგრამ ეს გარემო ისე ზოგადადაა მოხაზული, რომ ბოლოსდაბოლოს არაფერ კონკრეტულს არ იძლევა. ისტორიულ-კულტურული გარემოს ასეთნაირად მოცემა უკვე ძველის-ძველი და არა საკმაო მეთოდია. იპოლიტე ტენის და სხვების მეთოდი, თუმც არსებითად სწორია, მაგრამ თანამედროვე ლიტერატურათ-მცოდნეობასთან ისეთ დამოკიდებულებაშია, როგორც ურემი და ჰაეროპლანი.

გარდა საერთო ისტორიულ-კულტურულ პირობებისა, მწერლის შემოქმედება უნდა შესწავლილ იქნას იმ კლასის თვალთახედვითაც, რომელსაც მწერალი ეკუთვნოდა; ამასთანავე გათვალისწინებული უნდა იყოს ამ კლასის ისტორია და მისი ობიექტიურ-პსიქოლოგიური ცვალებადობანი. ხშირად საჭირო იქნება იმ სალიტერატურო სკოლის ბუნების გამორკვევა, რომელსაც მწერალი ეკუთვნოდა, ან თანაუგრძნობდა; უნდა მოვიშველოთ აგრეთვე მწერლის ბიოგრაფია და პროფესიაც კი.

გრ. ორბელიანი ეკუთვნოდა არა მარტო საერთო ისტორიულ პირობებს, არამედ თავადაზნაურულ წოდებასაც. ამ წოდებამ მე-19 საუკუნის მანძილზე სხვადასხვა საფეხურები გაიარა, ორბელიანიც თან მისდევდა მას ამ საფეხურებზე. საუკუნის პირველ მეოთხედში ჩვენს თავადობაში პოლიტიკური მომენტი ბატონობდა: ერის ყოფილ მმართველ წოდებას დაკარგული ბატონობის დაბრუნება უნდოდა, ამ მიზნით იმართებოდა აჯანყებები და შეთქმულებანი. 40—50 წლებისათვის კი მდგომარეობა იცვლება და პირველ ადგილზე უკვე ეკონომიური საკით-

ხები იჭრება, თავადობა შეურიგდა თავის პოლიტიკურ უფლებათა დაკარგვას, რუსეთის ბიუროკრატია უკვე თავის ერთგულ მოკავშირეთ ეჩვენება ბატონ-ყმობის გამაგრების და გლეხების ყვლეფის საქმეში. მაგრამ 60-იან წლებში ეს მოკავშირე ღალატობს ჩვენს თავადობას და ბატონ-ყმობას მოესპობს. ამ ნიადაგზე იბადება შიში და სკეპტიციზმი, სოციალური მიწისძვრა მთელ წოდებას შეაშფოთებს, ბლოკი გაიბზარა, თავი წამოყო 30 წლების სულიერმა განწყობილებამ თავისებური ელფერით.

თუ ჩაუკვირდებით, გრ. ორბელიანი, რომელიც არ იყო ღრმა მოაზროვნე პიროვნება, ფეხდაფეხ მიყვებოდა თავისი წოდების ამ ისტორიას. პოეტს დაწერილი აქვს სულ 40 ლექსი, აქედან ექვსი საზოგადოებრივი ხასიათისაა, 34-კი—წმინდა პირადულ ხასიათს ატარებს: ქეიფი, სიყვარული და სხვ. საზოგადოებრივი ხასიათის ექვს ლექსიდან სამი დაწერილია 30-იან წლებში, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც პოლიტიკური განწყობილება იყო და პოეტიც ამას თანაეგრძნობდა. ეს ლექსებია „სადღეგრძელო" (პირველი ვარიანტი), „იარალს" და „ჩემს დას ეფემიას". თითქმის ყველა ის ლექსები, რომელთა შინაარსი ქეიფსა და სიყვარულს გამოხატავს, მგოსანს დაუწერია 40—50 წლებში, ე. ი. იმ ხანაში, როდესაც პოლიტიკური საკითხები უკან ჩამოდგა და ვარანცოვის ხანამ ახალი ეკონომიური ინტერესები წარმოშვა. თავად-აზნაურული წოდება ერთიანად გადასცურავს პირადი ბედნიერების მორევში და ჩვენი ზეზეურად მოაზროვნე პოეტიც მათთან არის. ხარბად იძენს ჩინ-ორდენებს, ქეიფობს და „პატრიოტულს" საქმესაც აკეთებს: თავებს ჭრის ავარიელებს.

მაგრამ, დასრულდა 60-იან წლების სოციალური მიწისძვრა და გრ. ორბელიანსაც ისევ ეწვევა საზოგადოებრივ საკითხებზე ფიქრი: ამ ხანაში იგი ხელ-ახლა გადაამუშავებს „სადღეგრძელოს" და სწერს სამ ლექსს: „პასუხი შვილებს", „თამარ მეფის სახე ბერლინის ეკლესიაში" და „მუშა ბოქულაძე". ასევე ორბელიანის შემოქმედების საფეხურები, და აბაფერ გაორებას მის არსებაში ადგილი არა აქვს, მასში ყოველთვის ერთი გრძნობაა: ან პირადი, ან საზოგადოებრივი. კოტეტიშვილი თავისი სრულიად უვარგისი მეთოდის და თვალთახედვის წყალობით ამაოდ ცდილობს ორბელიანის პიროვნების რაღაც ბურუსში გახვევას, სადაც ოდნავი დაფიქრება და სინამდვილეში ჩახედვაა საჭირო. აქ იგი გაორების წამოყენებით ცდილობს ფონს გასვლას, ხოლო სადაც კი ისედაც ყველაფერი ნათელია, სიტყვების კორიანტელს აყენებს. ეს არ არის კრიტიკა. პირდაპირ სასაცილოა კოტეტიშვილის მსჯელობა პოეტის პოლიტიკურ ჩამორჩენილობაზე და არა ნამდვილ რევოლიუციონერობაზე. ასეთნაირად შრომის სკოლის მოწაფეებიც კი არ მსჯელობენ. ორბელიანზე გავლენას ახდენდა აგრეთვე ცრუკლასიკური და რომანტიული სკოლები.

გამოცემა, დღევანდელ პირობებისთვის კარგია, სამწუხაროა მხოლოდ ის, რომ წიგნს ბიოგრაფია არა აქვს დართული. ტექსტის თავის დაყრაში და დაკვირვებით დალაგებაში კოტეტიშვილს წუნი არ დაედება, ფაქტების დაგროვება მას შეუძლია, ხოლო მათში გარკვევა მისთვის ხშირად მიუწვდომელი ხდება.

ერთი ტექნიკური შეცდომა: სარჩევში გამორჩენილია ლექსი „ალბომში".

ვ. ხ უ რ ო ძ ე.

ი. გრიშაშვილი—ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა. ტფილისი. სახელგამი. 1928 წ.

ი. გრიშაშვილის ბედი მხატვრულ ლიტერატურაში არც ისეა ინტერესს მოკლებული. ი. გრიშაშვილს ჩვენ ვიცნობდით როგორც კარგ პოეტს, ქართული სიტყვისა და ლექსალობის ოსტატს, თუ გნებავთ—ვირტუოზს. გრიშაშვილს ყავდა საკუთარი მკითხველი, გააჩნდა საკმაოთ ფართო აუდიტორია. ასე იყო წინეთ, მაგრამ ასე არ არის დღეს.

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ი. გრიშაშვილი თანამედროვე პოეზიაში არაფერს წარმოადგენს. ის მოკვდა როგორც პოეტი. ი. გრიშაშვილს უკვე გაუვარდა ხელიდან ქალამი. ალბათ, არც გრიშაშვილმა იცის საკუთარი ადგილი დღევანდელ მხატვრულ ლიტერატურაში. შეიძლება იცოდეს, მაგრამ არა ისე, როგორც ეს ნამდვილად არის. ი. გრიშაშვილი, ასე ვსთქვათ, „ჩამორჩა ცხოვრებას", მისი შემოქმედება გაიყინა, გაშრა—ტრაღიკულად გარდაი-

ცვალა. მართალია უფერულად მოხდა ეს სიკვდილი, უმნიშვნელო გაფართხალებით. ი. გრიშაშვილის პოეზია არ დალუპულა ვაჟკაცურ ბრძოლაში. ის „დაიღუპა“, როგორც იღუპება ზამთრის წიწილა ქორის მძლავრი შემოკრთომლვით. ახალ ცხოვრების სხივები შემოიჭრა და ი. გრიშაშვილის პოეზიაც დადნა.

რასაკვირველია, ეს შემთხვევითი მოვლენა როდია. თანამედროვერბა ახალ სიტყვას მოითხოვს, ახალ ჰანგებს. კოხტა ფეხების პოეზია უნდა შეიცვალოს კუნთებათ ქცეულ მკლავების პროზათ. თანამედროვეობის ეს მოთხოვნილება ულმობელია და პირდაპირი. შეეძლო ი. გრიშაშვილს გაეწია ანგარიში ამ მოთხოვნილებისათვის? ჩვენ ვფიქრობთ ნაწილობრივ მაინც შეეძლო, თუ მთლიანად არა. მაგრამ ი. გრიშაშვილმა ესეც არ ისურვა და... კიდევაც განგმირული დაეცა არისტოკრატიულ ეროტიკის სამსხვერპლოზე.

ჩვენ არ ვიზიარებთ იმ აზრს, ვითომ ი. გრიშაშვილის „მობრუნება“ შეიძლებოდეს. ი. გრიშაშვილი, როგორც კოცნის პოეტი, გაემგზავრა იქითკენ, საიდანაც ველარ ბრუნდებიან. მას არაფერი აკავშირებს თანამედროვე ცხოვრებასთან და რამდენად საცოდავი იყო ი. ვარდინი, როცა ის ი. გრიშაშვილს „თანამგზავრ“ პოეტათ აცხადებდა. ქართული ლიტერატურის ისტორიაში ეს „ამბავი“ შევა როგორც სამარცვინო ფაქტი და უტვინო კრიტიკის ნიმუში.

პოეზიაში დადუმდა ი. გრიშაშვილი. მაგრამ... ი. გრიშაშვილი „არ მომკვდარა“ ის გვამცნობს დროგამოშვებით, რომ ცოცხალია და სუნთქავს მაინც თუმცა სხვა ჰაერით და მუშაობს სხვა კალმით. მართლაც, მხოლოდ ნიჭიერ მწერალს შეუძლია ეს, ისიც იშვიათ შემთხვევაში.

ი. გრიშაშვილი გულწრფელი მწერალია. მისი პოეზიის ბუნება ვერ ეგუება თანამედროვეობას. ძალ-ღონეც არ შესწევს „მუზაზე“ ძალდატანება მოახდინოს და ძველ, დრომოჭმულ თემას თავი დაანებოს. აქ მეტად სუსტი აღმოჩნდა ი. გრიშაშვილი. მან ვერ სცადა „თავის თავთან ბრძოლა“ და უბრძოლველათ ამჯობინა „ვარდ-ბულბულის“ პოეზიაზე ხელის აღება. ი. გრიშაშვილი პირდაპირია თავის გულისთქმაში და ის როდი იქცევა ზოგიერთ „ყანწელიანით“, რომელიც თანამედროვეობის მილებას მარცხენას მოქრიფთაც კი გეპირდება დაგვიმტკიცოს. ხოლო მარჯვენათი კი „წმინდა სანთელს“ უნთებს ეშმაკს სიონის ტაძარში... ი. გრიშაშვილი თანამედროვეობისათვის დაბადებული არ არის და ის გულახდილად აღიარებს ამას.

„ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ საყურადღებოა არა მარტო „თავის თავად“. ეს წიგნი უფრო საინტერესოა იმ მხრივაც, რომ ის გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ... ...ებულ გრიშაშვილზე. ... ...ქართულ ლიტერატურაში ი. გრიშაშვილის როლის უფრო სრულად შესაფასებლად.

ი. გრიშაშვილი მონოგრაფიის და კრიტიკის სამოსელში გვევლინება. მართალია, ეს სამოსი ახალი არ არის ი. გრიშაშვილისათვის, როგორც „საიათნოვას“ ავტორისათვის. „საიათნოვა დაიწერა იმ დროს, როცა მის ავტორს „თანამედროვეობის“ საკითხი“ სრულებით არ აწუხებდა. „საიათნოვა დაიწერა შინაგან შემოქმედების მძრი კარნახით, დაიწერა „ორგანიულად“ და ი. გრიშაშვილიც გამოვიდა გამარჯვებული. ასე ლავარ ითქმის „ლიტერატურულ ბოჰემა“-ზე. აქ ვერ ვამჩნევთ ასეთ მიდგომას საკითხისადმი. აშკარათ სჩანს „ბედის ტრიალი“, ერთ ასპარეზზე დამარცხებული მეორეზე მაინც გამარჯვების და ყურადღების დამსახურების სურვილი. ი. გრიშაშვილმაც ამ ახალი ნაბრომით დაიმსახურა საზოგადოებრივი ყურადღება, მაგრამ ვერ ვიტყვით, რომ გაიმარჯვა კიდეც.

როგორია „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“? პროფ. კ. კეკელიძე „ქართულ მწერლობიდან“ გვიპასუხებს, რომ „ძალიან კარგია“-ო. ვინ იცის, იქნებ ღრმა გულწრფელობითაა ეს სიტყვები ნათქვამი და აქ არ იმალება ჩვეულებრივი „ქართული სადღეგრძელო“. ჩვენ ვფიქრობთ, ასეთი შეფასება გადაჭარბებულია და მეტად აჩქარებული. „ქართულ მწერლობას“ ვერ დავეთანხმებით იმაში, რომ ეს ასე არ არის. მეორე მხრივ არც ისაა მართალი, რომ ი. გრიშაშვილის ეს წიგნი მოკლებულია ყოველგვარ ღირებულებას. ვერც „პროლეტარულ მწერლობას“ ვეთანხმებით ამაში.

„ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა“ ორი ნაწილისაგან შესდგება—„შესავალი“ და თვით „ბოჰემა“. პირველში მოცემულია ძველი ტფილისის მონოგრაფია, მეორეში—სქესი „ბოჰემის“ შემოქმედების განხილვა. პირველი „ნაწილი“ გაცილებით უკეთესადაა დამუშავებული მეორეზე. აქ ისეთი განსხვავებაა, რომ მკითხველს უსათუოდ ებადება აზრი, რატომ ქვია ამ წიგნს „ლიტერატურული ბოჰემა“, როცა „ბოჰემაზე“ სრულებით უფერულადაა ლაპარაკი.

ი. გრიშაშვილი ძველი ტფილისის „ტრუბადურათ და ქეშიკათ“ აცხადებს თავის თავს. მას უყვარს „ტფილისური ჯიშიანი სიტყვები“. ეს „სიყვარული“ თავდავიწყებამდე მიდის და გრიშაშვილიც გვევლინება ძველი ტფილისის იდეოლოგის როლში. ავტორი ამაოთ სცდილობს მოახერხოს „ძველი ტფილისის სინდისის შენარჩუნება“. ი. გრიშაშვილის პოეზიის სათავეც ძველი ტფილისით იწყება. ავტორი არ მალავს ამას და გვეუბნება ტრაბახობით: „ძველი ტფილისის გულის სილრმეში გამოჩნდა ანკარა წყარო და დასაწყისი ჯადოსნური ლამაზი პოეზიისა. მე შევსვი ეს წყარო ორივე ხელით და ვამაყობ, რომ ჩემს ძარღვებში მისი მადლიანი ნაკადი სჩქეფარებს“. ი. გრიშაშვილის წიგნიც მწარე მოთქმაა და უცრემლო ტირილი ძველ ტფილისზე, ტფილისზე ყარაჩოღელებისა და ორბელიან-ჭავჭავაძეების.

მხატვრულადაა აწერილი ყარაჩოღელი და კინტო, ყვენობა, კრივი, ამქრობა, აბანო, აშუღები, ძველი ტფილისის ენა. დიდძალი მასალაცაა აქ „გადმოყრილი“—ხშირათ „დაუმუშავებლად, ნედლად აქა-იქ, უსისტემოდ. ავტორი ვერ ახერხებს მასალის ანალიზს, დამუშავებას, მაგრამ რაც შეუძლია არ იშურებს: ბლომად ყარის თავს ფაქტებს, მაგალითებს, ამბებს და ამით იბყრობს მკითხველის ყურადღებას. მასალები არაა დამუშავებული, „გადადულებული“, მაგრამ საინტერესოა თავის თავად. ამ ინტერესს აძლიერებს ი. გრიშაშვილის ენა—დახვეწილი და მიმზიდველი.

ავტორს არ გაჩნია კვლევა-ძიების არავითარი მეთოდი. ი. გრიშაშვილს არ შესწევს ძალა ფაქტების წარმოშობა-მიზეზების გაშუქების. აქ ის აბსურდამდე მიდის. მაგალითად ავტორის აზრით, ძველი ტფილისის „ადათების ეს კომპლექსი რთული მოვლენაა, რომელსაც საფუძვლად უდევს თავისებური შეგნება ადამიანის მოვლენებისა და თავისებური მორალი“. აი ასეთ მეთოდით და თვალსაზრისითაა „რთული მოვლენები“ განმარტებული. ყველაფერი ეს წიგნს უკარგავს საფუძვლიანი ნაშრომის ხასიათს და სუმბურის შთაბეჭდილებას სტოვებს. მართალია, ავტორს აქვს გამბედაობა წიგნის დასასრულს თუმცა მოკრძალებით განაცხადა, რომ „მეცნიერულის სამართებლით ვპარსე ყველა ფაქტი და გამოვამზეე უცნობი კუთხე“-ო. სამწუხაროთ, ეს გამბედაობა არ ჩამორჩება მხოლოდ კურდღლის გამბედაობას და „მეცნიერული სამართებელი“ მოგვაგონებს საკმაოდ დაჩლუნგებულ ნაჯახს მეჩექმეს ხელში. ეს არცაა მოულოდნელი: „ძველი ტფილისის სადღეგრძელოებზე გაზრდილი“ ი. გრიშაშვილი, „ქედმაღალი და სილამაზის მაძიებელი“, „ვისი სულის ფესვები ღრმად არის გადგმული ძველი მწერლობის ყამირში“, ცხადია, ველარ შესძლებდა „ძველი ტფილისის“ ასე თუ ისე რეალური—თუ არ ვიტყვით—მეცნიერულთვალსაზრისით გაშუქებას. ამიტომაც ვამბობთ, ი. გრიშაშვილის ეს ნაწარმოები გამოადგება მასალათ მომავალ მკვლევარს, რომელიც ძველი ტფილისის „ისტორიულად შესწავლას“ შეუდგება. ვფიქრობთ, ი. გრიშაშვილს მხოლოდ მაშინ თუ „შეუსრულდება გულის მურაბი“, ძველი ტფილისის ისტორიულად შესწავლა უსათუოდ ძნელია ი. გრიშაშვილისათვის, კიდევ მეტი—შეუძლებელიც.

„ლიტერატურულ ბოჰემათ“ ი. გრიშაშვილი ასახელებს ანტონ განჯისკარელს, იეთიმ გურჯს, გ. სკანდარ-ნოვას, დ. გივიშვილს, ბეჩარას და ჰაზირას. მართალია მათი „პოეზია“ მეტად ელემენტარულადაა ი. გრიშაშვილის მიერ განპილული, მაგრამ წიგნის ეს ნაწილიც როდია საკმაო ინტერესს მოკლებილი. ამ „ხალხურ მწერლების“,—რომლებიც „ნელი-ნელ დავიწყებას ეძლევა“—ფართო საზოგადოებისათვის გაცნობა უსათუოდ საქები საქმეა და გრიშაშვილი აქ მხურვალე მადლობის ღირსია. პირდაპირ სირცხვილია და მიუტოვებელი დანაშაული ის ფაქტი, რომ დღემდე ფართოდ არაა ცნობილი ანტონ განჯისკარელის შემდეგი ნიჭიერი ლექსი, ცარიზმის წინააღმდეგ მიმართული:

...შენც კაცი ხარ ბორც-შესხმული
გაიხედე მოიმეთ არეს,—
დაინახავ, შენი ძმები
როგორ სვამენ შხამ-სიმწარეს,
ვინც გაბედა არდალეკა,
გლაბ სიცოცხლე ჩაუმწარეს,
მზე უდროოდ დაუბნელეს,
ტანჯვა, გვემა არ აკმარეს.
ან კი როგორც გმირსა გმართებს,
მჩაგვრელს თავზე გადაახტი!—
მაღლა ღმერთი შეგეწევა
ძირს ხელმწიფე, მისი ტახტი!.

მართლაც, მიუტოვებელი დანაშაულია ამ სტრიქონების ავტორი დღევანდელ პირობებში დავიწყებული იყოს. ჩვენ ვფიქრობთ, კარგს იზამს საბჭოგამი, თუ „ბაზრულ ლიტერატურიდან“ საინტერესო ნაწარმოებებს ამოარჩევს. გამოსცემს და ფართოდ გაავრცელებს.

ძველი ტფილისის რომანტიკა კიდევ სცოცხლობს საზოგადოების ზოგიერთ ფენაში. აი აქ სათაყვანებელი წიგნია „ძველი ტფილისის ლიტერატურული ბოჰემა". მაგრამ ეს წიგნი უსათუოდ ღირსშესანიშნავი მოვლენაა.. მხატვრულ ლიტერატურაშიაც, როგორც კარგი, მხატვრული ენით შესრულებული და საინტერესო მასალებით დამძიმებული ნაწარმოები.

ვ — ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

К. Маркс и Ф. Энгельс. Сочинения под. ред. Д. Рязанова, т. I, 1928 წ.

მარქს-ენგელსის ინსტიტუტი შეუდგა დ. რიაზანოვის რედაქციით სრულ გამოცემას მარქსის და ენგელსის ნაწერებისას. გამოვიდა პირველი ტომი. მოკლე ხანში გვპირდებიან კიდევ სამ ტომს. სულ იქნება 27 ტომი და მთელი გამოცემა დამთავრდება სამი წლის განმავლობაში.

უნდა ითქვას, რომ ამ გამოცემით იდგმება პირველი ნაბიჯი საერთაშორისო ფარგლებში, დღემდის არც გერმანულ ენაზეა მთლიანათ გამოცემული მარქსი და ენგელსი.

მერინგის ცდა იყო ამ ორიოდე ათეული წლის წინეთ. მისი რედაქციით გამოვიდა სამი ტომი მათი „ლიტერატურული მემკვიდრეობის" და ორი ტომი 1850-52 წლების საგანგებო წერილების („Gesammelte schriften")

თითონ, მერინგი აღნიშნავდა მაშინ, რომ „მარქსის და ენგელსის მეცნიერული გამოცემა მეტად სასურველი საქმეა და იმავე დროს მომავლისათვის შეუძლებელიცო, ამ საქმის ღირსეულათ შესრულება მოითხოვს წინასწარ მუშაობას მთელი კოლექტივისას და არა მარტო ერთი კაცისას, ჯერ ეს მუშაობა აღემატება კოლექტიურ ძალღონესაცო".

აი ეს მძიმე და მერინგის დროს შეუძლებელი საქმე იკისრა მარქს-ენგელსის ინსტიტუტმა რიაზანოვის ხელმძღვანელობით, და ეს მუშაობა მიმდინარეობს ორ ხაზზე—გამოდის საერთაშორისო და რუსული გამოცემა. ჩვენი მიზანია,—ამბობს რედაქტორი საერთაშორისო გამოცემის წინასიტყვაობაში,—შევქმნათ ობიექტური საფუძველი ყველა იმ კითხვების მეცნიერულ გამოსარკვევათ, რომლებიც მარქსის და ენგელსის ცხოვრება-მოღვაწეობასთანაა დაკავშირებული. რიაზანოვს აქვს ახლა ამ მიზნის მისაღწევათ მეტი შესაძლებლობა, ვიდრე ქონდა მერინგს. მოსკოვში არსებობს საუკეთესოთ მოწყობილი ინსტიტუტი, რომელშიაც შედიან საუკეთესო მარქსისტული ძალები. რიაზანოვის განკარგულებაშია აგრეთვე ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ხელთნაწერები.

ახლა ირკვევა, რომ მერინგის გამოცემაშიაც მეცნიერულ სოციალიზმის დამაარსებელთა მემკვიდრეობა იბეჭდებოდა გამოკლებებით. დღევანდელი გამოცემა ავსებს ამ ნაკლს. აქ პირველ ტომში მოცემულია მარქსის წერილები, გამოკვლევები 1837 წლიდან 1844 წლამდე. მერინგი კი იწყებდა პირველ ტომს 1841 წლიდან.

რა თქმა უნდა, ჩვენთვის საინტერესოა ის მომენტები, როცა მარქსმა პირველათ მოკიდა ხელი კალამს. ეს იყო მისი სამოსწავლო დროტრირის გიმნაზიაში. ამ ხანას ეკუთნის პირველი ცდა მისი კალმის. მაშინ უწერია „ფიქრები პროფესიის არჩევის შესახებ", მაშინდელი დროისაა ერთი წერილი სარწმუნოებაზე და ლათინური თხზულება... „შეიძლება თუ არა ავგუსტის ხანა ჩაითვალოს ყველაზე უფრო ბედნიერ ხანათ რომის ისტორიაში".

ამ ნაწერებზეა სარეცენზიო ხასიათის შენიშვნები სხვა და სხვა პირების, მარქსის მასწავლებლების. ისინი აღნიშნავენ აზრის სიმდიდრეს ამ გიმნაზიურ ნაწერებში.

ამავე ხანისაა სტუდენტობაში მამასთან მინაწერი ვრცელი წერილი, რომელშიაც გამოიხედება მარქსის მოუსვენარი ბუნება და მისი ცოდნის წყურვილი, მისი მეცნიერული მისწრაფებები.

ეს ხანა, როგორც ვთქვით, არ შედის მერინგის გამოცემაში მაგრამ იქ გამოშვებულია აგრეთვე ის, რაც მარქსს უწერია 1841—44 წლებში. მაგ. რეინის გაზეთიდან მერინგს აქვს მხოლოდ 5 წერილი, რიაზანოვის გამოცემაში კი მოყვანილია 11 წერილი. „ანეკდოტა"-დან მერინგის გამოცემაში ვხედავთ ერთ წერილს, რიაზანოვისაში—ორს. ნემენცურში არ არის მეორე წერილი „ლიუტერი როგორც სამედიატორო მოსამართლე შტრაუსსა და ფეიერბახს

შორის". მერინგს არ მოუთავსებია „დოიჩე იარბუხ"-იდან წერილი ბრუნო ბაუერის შესახებ და სხვა. ეს გამოკლებები აიხსნება იმით, რომ მერინგი იყო დარწმუნებული მარქსის ავტორობაში, არ შეუტანია არც ერთი ის წერილი რომელიც მისი აზრით არ ეკუთვნოდა მარქსს. ეს გამორკვევა აიღო თავის თავზე რიაზანოვმა და ამნაირათ გააფართოვა მარქსის მემკვიდრეობა.

ჩვენ არ ვიცით მხოლოდ, რითი აიხსნება ცვლილებები თითონ რიაზანოვის გამოცემაში. 1923 წელს გამოვიდა მისი რედაქციით პირველი ტომი. იქ „რეინის გაზეთი"-დან მოყვანილი იყო 16 წერილი. ახლანდელი (1928 წ.) პირველ ტომში კი 11 წერილია მოყვანილი. რედაქტორის წინასიტყვაობაში ვერ ვხედავთ ამის ახსნას. ასეთივე გამოკლება აქვს რიაზანოვს 1923 წლის გამოცემასთან შედარებით მეორე დროის წერილებიდან: „დოიჩე იარბურხ და დოიჩ-ფრანცოზ". „იარბურხიდან" პირველ გამოცემაში ქონდა 5 წერილი „ახლანდელში აქვს ოთხი. გამოუშვია წერილი „კრიტიკული შენიშვნა"წერილის—პრუსიის მეფე და სოციალური რეფორმა". არც ამის ახსნაა რედაქტორის წინასიტყვაობაში.

კიდევ ერთი საყურადღებო მომენტი: მერინგის გამოცამაში შესულ წერილებს აკლია შიგა და შიგ ვრცელი ადგილები. რამოდენიმე გვერდია მაგალითად გამოკლებული წერილებში „ბეჭდვითი სიტყვის თავისუფლების შესახებ (6 გვერდი) კელნის გაზეთის მოწინავის" შესახებ (12 გვერდი).

რიაზანოვი პრინციპიალურათ უარჰყოფს ამისთანა რედაქციას. ის ამბობს, რომ მარქსის და ენგელსის შემოქმედება უნდა გამოვიდეს სტამბიდან გამოუკლებლათ და შეუმოკლებლათ. არ შეიძლება რიაზანოვს არ დაეთანხმოს ყველა ის, ვისაც მარქსიზმის გაგება უნდა პირველი წყაროებიდან. რაც მარქსს დაუწერია ახალგაზდობაში საინტერესოა იმ მსოფლ-მხედველობის გასაგებათ, რომელსაც ქერა დიალექტიური მატერიალიზმი. თითქო თან დაყოლილია მარქსის ბუნებაში [illegible] მეთოდი აზროვნებისა. ამითი [illegible] საკითხს სინამდვილისას, პირველ წერილებშივე აქვს მომარჯვებული ეს მეთოდი და აქედან ხდება გასაგები მისი ფილოსოფია, ისტორია, სოციოლოგია და პოლიტიკა.

რიაზანოვის გამოცემა თვითეული ახალი ხანაა მარქსიზმის ისტორიაში. ას წელიწადზე მეტი გავიდა მარქსის და ენგელსის სამწერლო-სამეცნიერო ასპარეზზე გამოსვლის შემდეგ და მხოლოდ ახლა გვეძლევა საშუალება გავიცნოთ მათი შემოქმედების უდიდესი ნაწილი, დღემდის უცნობია და გამოუქვეყნებელი. ამ მოძღვრების შესწავლაში ჩვენ ვჯერდებოდით ზოგად ფორმულებს, დღეიდან კი აბალ გამოცემას შევყავართ გენიალური აზროვნების ლაბორატორიაში, რომელიც მოგვცემს იმის შესწავლას გაუყალბებელ და დაუმახინჯებელს.

არ ვიცით რატომ გადაუხვევია რედაქტორს ხელმძღვანელს ამ გამოცემაში თავის ერთი ტრადიციისგან. უშენიშვნებოთ ის არაფერს არ ბეჭდავდა. 1923 წ. გამოცემულ პირველ ტომს ახლავს შენიშვნები, იქ დიდი ადგილი აქვს დათმობილი განმარტებებს. უკანასკნელ გამოცემაში კი ვერ ვხედავთ შენიშვნა-განმარტებას, ეს კი საჭირო იქნებოდა მკითხველისთვის. გარეგნულათ გამოცემა არის უბრალო და მშვენიერი. ის დამამშვენებელი იქნება საუკეთესო წიგნთსაცავებისთვის.

ხ. დ—ნი.

რედაქცია:
მიხ. ვასიანი
ს. შაბულია
ვ. შუშიაშვილი
ს. ფოლი

შინაარსი

მხატვრული ლიტერატურა

ეროვნული ბიბლიოთეკა

		გვერ.
1.	**გალაქტიონ ტაბიძე**—ეპოქა (გაგრძელება)	000
2.	**ვარლამ ჟურული**—მეწყერი	9
3.	**ნ. ზომლეთელი**—ჩვენი გზა	10
4.	**კალე ბობოხიძე** * *	11
5.	**ვიქტორ გაბესკირია**—მაშინ გავექეც მოწოლილ გზნებას	12
6.	**სტეფანე კასრაძე**—მებადურთ უბანი	13
7.	**გიორგი წერეთელი**—გულქან (გაგრძელება)	33
8.	**იასამანი**—სამეგრელოში	90
9.	**ბანოვანი**—სამართალს სისხლით მოვძებნი (გაგრძელება)	95
10.	**მ. გორკი**—არტამონოვების საქმე (გაგრძელება) თარ. ლ. ქიაჩელის	123
11.	**ლეონიდ ანდრეევი**—ცხენი სენატში—თარგ. ვ. ბ—ძის	148

კრიტიკა—მეცნიერება—პუბლიცისტიკა

12.	**მიხ. კახიანი**—იდეოლოგიის ფრონტზე	165
13.	**ვ. ბახტაძე**—სიდღეისო საკითხები ლიტერატურაში	170
14.	**რაჟდენ კალაძე**—ქართული პროლეტარული მწერლობა	199
15.	**ვარლამ ხუროძე**—ორი სტილი (გაგრძელება)	221
16.	**გრიგოლ რობაქიძე**—პისკატორის თეატრი	236

ბიბლიოგრაფია

17.	**ვ. ხუროძე**—გრ. ორბელიანი: ლექსები	241
18.	**ვ—ლი.**—ი. გრიშაშვილი: ძველი ტფილისი ლიტერატ. ბოჰემა	242
19.	**ს. დ—ნი.**—К. Маркс, Ф. Энгельс: Сочинения под ред. Рязанова	275

ფასი **1** მან. **50** კ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა